მალხაზ მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია

მალხაზ მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის
პოლიტიკური კონცეფცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მალხაზ მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

ISBN 978-9941-36-220-0 (pdf)

შინაარსი

წინასიტყვაობა 17
ნაწილი პირველი. ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიცია (1895-1917) 20
თავი 1. გიმნაზიისა და სტუდენტობის წლები 20
1.1. ივანე ჯავახიშვილის ეროვნული პოზიცია 20
ოჯახის როლი ივანე ჯავახიშვილის ეროვნული პოზიციის ჩამოყალიბებაში 20
ივანე ჯავახიშვილი – გიმნაზიის მოწაფე 23
ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე 25
ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენა“ 28
1.2. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა სტუდენტობის პერიოდში 30
ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია 30
არჩევანი – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი 31
სტუდენტებს პოლიტიკური საქმიანობა ეკრძალებოდათ 33
1896 წელი: პირველკურსელთა წერილი ცნობილ ქართველ მოღვაწეებს 34
1896 წელი: ივანე ჯავახიშვილის წერილი ნიკო ნიკოლაძეს 35
1896 წელი: სოლიდარობა პოლონელ სტუდენტებთან 36
1897 წლის 4 მარტი – მონაწილეობა სტუდენტთა დემონსტრაციაში 38
1897 წელი: ბერძენთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერა 40
1901 წელი: პროტესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების საზეიმოდ აღნიშვნის გამო 43
1907 წელი: ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის შეხვედრა პეტერბურგში 45
დანართები 47
დანართი 1. ილია ჭავჭავაძე „დაცემული ვინაობის“ აღდგენის შესახებ 47

დანართი 2. სტუდენტთა წერილი გაზეთ „ივერიის“ რედაქციას და ილია ჭავჭავაძის პასუხი 49
დანართი 3. გრიგოლ რობაქიძე. ივანე ჯავახიშვილი 54
დანართი 4. ივანე ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ფრაგმენტები) 59
თავი 2. პირველი სამეცნიერო ნაშრომების პოლიტიკური კონტექსტი 61
2.1. ისტორიული სიმართლის დადგენა – მეცნიერების უზენაესი მიზანი 61
„წმინდა ნინოს ცხოვრების“ მეცნიერული ანალიზი 62
ივანე ჯავახიშვილი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ 62
პატრიოტიზმი და ისტორიული სიმართლის დადგენა 63
2.2. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია „საცდელ ლექციებში“ 64
საცდელი ლექციები 65
საცდელი ლექცია მსმენელის თვალით 67
მცდარი ჰიპოთეზის წინააღმდეგ 68
ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახული ამოცანა 73
2.3. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“ 74
იაკობ გოგებაშვილი ერისთვის ისტორიის მნიშვნელობის შესახებ 75
ვის აკრიტიკებდა იაკობ გოგებაშვილი 76
ივანე ჯავახიშვილის მიერ იაკობ გოგებაშვილის კრიტიკა: ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორიით პატარა ერი ვერაფერს მიაღწევს 78
მამულიშვილობა ჭეშმარიტ ისტორიას საჭიროებს 80
ნიკო მარის დაცვა 81
გადამეტებული ბრალდებები იაკობ გოგებაშვილის მისამართით 81
გამოხმაურებები ივანე ჯავახიშვილის კრიტიკულ სტატიაზე ... 82
მოსე ჯანაშვილი 82
იაკობ გოგებაშვილი 83
აკაკი წერეთელი 85

„ივერიაში“ გამოქვეყნებული რეცენზია 86
დასკვნის მაგიერ 86
დანართი 87
ივანე ჯავახიშვილი აღმოსავლეთის ქრისტიანი და მუსლიმი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურის ერთობის შესახებ 87
ივანე ჯავახიშვილი წარსულის იდეალიზების წინააღმდეგ 88
ისტორიკოსის მოვალეობა 91
თავი 3. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობა 1905-1907 წლებში 93
3.1. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907 წწ.) პერიოდში 93
მეცნიერთა საპროტესტო წერილთან შეერთება 93
დაპირისპირება ნიკო მართან 94
3.2. ქართული სახელმწიფოს გახსენება – ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ 97
მეფის თვითმპყრობელობის კრიტიკა საქართველოს ისტორიის მოშველიებით 97
ქართველთა ეროვნული თვითშეგნების კვლევა 98
3.3. დაუმთავრებელი ნაშრომი „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“ 101
რევოლუცია და საზოგადოების აზროვნებაში მიმდინარე გარდატეხა 101
„განათლებული წრეების“ როლი საზოგადოების გარდაქმნაში ... 102
3.4. აკრძალული წიგნი – „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ 104
ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ რუსულად გამოცემის მიზანი 105
ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ქართულად გამოცემის მცდელობა 106
ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის კონცეფცია 107
გლეხთა მოძრაობა XVIII საუკუნის საქართველოში 109
ეროვნული და სოციალური მოძრაობის თანაფარდობის საკითხი 110

თემის გაგრძელება – „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის“ 111
3.5. დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური ცხოვრება – ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ 112
როგორი იყო დამოუკიდებელი საქართველო 113
ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა ქართველი მარქსისტების მხრიდან 114
დანართი 115
ივანე ჯავახიშვილი. ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში (ფრაგმენტები) 115
ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია (ფრაგმენტები) 119
ნაწილი მეორე. ივანე ჯავახიშვილი და დამოუკიდებელი საქართველო 129
თავი 4. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზების ძიება 129
4.1. საქართველოს მეცნიერული ისტორია და მისი მნიშვნელობა 129
„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი 129
ეროვნული თვითშეგნების ზრდის ხელშეწყობა 131
ივანე ჯავახიშვილი ქართული ეროვნული თვითშეგნების შესახებ 133
4.2. ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს პოლიტიკური პარტიების დახასიათება 135
სოციალ-დემოკრატიული პარტია 136
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 137
ივანე ჯავახიშვილის თანამშრომლობა არჩილ ჯორჯაძესთან ... 139
ივანე ჯავახიშვილის თანამშრომლობა მიხაკო წერეთელთან ... 141
4.3. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ავტონომიის საკითხი 143
პარტიები და საქართველოს ავტონომიის საკითხი 143
1917 წ. მარტი: ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ავტონომიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ 145
ივანე ჯავახიშვილი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ 150

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 152
დანართი 154
მაღალი ზნეობრივი მოძღვრება XII საუკუნის საქართველოში .. 154
წოდებრიობისა და პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა 154
ისტორიის მსჯავრი პოლიტიკოსებისთვის 155
საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ თამარ მეფის დროს 155
საეკლესიო ცხოვრების დემოკრატიზაცია 158
რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობა 159
თავი 5. ქართული უნივერსიტეტის დაარსება 161
5.1. საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის ისტორიიდან ... 162
საქართველოში უმაღლესი განათლების სათავეები 162
საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი XIX საუკუნეში 162
ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტის იდეა 164
ქართულ მეცნიერებას ქართული უნივერსიტეტი სჭირდება .. 166
5.2. პირველად კავკასიაში – ქართული თუ რუსული უნივერსიტეტი? 167
პირველი ნაბიჯები ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად .. 167
რუსეთის დროებითი მთავრობა ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ 169
5.3. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ 171
განათლებისა და მეცნიერების სათავეები საქართველოში 172
განათლებისა და მეცნიერების დაქვეითების მიზეზები და აღორძინების მცდელობა 172
დიდი ეროვნული განსაცდელი XIX საუკუნეში 173
ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება 174
5.4. ქართული უნივერსიტეტის გახსნა 175
ქართული უნივერსიტეტის დაარსება 175
ქართული უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია 176

5.5. ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექცია 178
სასწავლო პროცესის დაწყება ქართულ უნივერსიტეტში ... 178
ივანე ჯავახიშვილის ლექციის თემა 179
ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები 181
ადამიანი, ვითარცა მოღვაწე 183
დანართი 184
აკაკი ჩხენკელი. თფილისის უნივერსიტეტის დაარსება (მოგონება) 184
სამსონ დადიანი. მეცნიერების ტაძარი 188
ისტორიული დღე 190
თავი 6. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ 193
6.1. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის შესახებ 194
კავკასია ბრესტის ზავის შემდეგ 195
ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის უპერსპექტივობა 196
საქართველო ოსმალური საფრთხის წინაშე – ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი 197
ისლამი – მთავარი იარაღი ოსმალთა ხელში 198
საქართველოს გარშემო „ოსმალური რკალის“ საფრთხე 199
ქართული პოლიტიკის ამოცანა – ჩრდილოკავკასიელთა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება 199
ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოკავკასიელთა გადაგვარებას ისახავდა მიზნად 201
6.2. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობის შესახებ (1919 წლის აპრილი) 203
ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის აპრილში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ 203
ისტორიის გაკვეთილები მიმდინარე პოლიტიკისათვის 207
დამოუკიდებლობის აღდგენა და „გულუბრყვილო პოლიტიკის“ ახალი სახე 209
1919 წლის აპრილი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი 212

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება 214
დანართი..... 215
ივანე ჯავახიშვილი. მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ..... 215
ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე 224
თავი 7. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების შესახებ 236
7.1. ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი).... 236
ივანე ჯავახიშვილის მიერ 18 დეკემბერს წაკითხული ლექცია... 238
ივანე ჯავახიშვილის მიერ 22 დეკემბერს წაკითხული ლექცია... 240
ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წ. დეკემბერში წაკითხული საჯარო ლექციები და ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ 243
დასკვნა 246
7.2. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ 248
ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დვალეთის მონაკვეთის შესახებ 248
ჯავის მაზრის შექმნის საკითხის განხილვა უწყებათშორისი კომისიის მიერ (1919 წ.) 249
7.3. საზღვრების საკითხში სახელმწიფოებრივი აზროვნების დასამკვიდრებლად 251
დანართი..... 253
პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია 253
პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია (სომხეთის საზღვრები) 255
წიგნიდან: ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული..... 259
ივანე ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.) 269
თავი 8. ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში 280

8.1. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს პოლიტიკური პარტიები (1918-1921 წლები) 280
საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 281
ივანე ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიაში 282
დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი 284
დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი დამფუძნებელი კრების არჩევნებში 285
ივანე ჯავახიშვილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგაციაში 287
მზადება ახალი არჩევნებისათვის 288
8.2. ქართული უნივერსიტეტის სამი წელი დამოუკიდებლობის პერიოდში 289
ქართული უნივერსიტეტის სწრაფი ზრდა 289
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის მიღება 290
ივანე ჯავახიშვილის რექტორად არჩევა 290
ქართული უნივერსიტეტის სამი წელი 291
ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა 293
8.3. ქართული უნივერსიტეტი 1921 წლის დამდეგს 293
ქართული უნივერსიტეტის მესამე წლისთავი 294
სტუდენტთა დღე 296
პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ლექციები და ავადმყოფობა 300
უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებები და სამეცნიერო საქმიანობა 302
უნივერსიტეტის ყოველდღიური ყოფა 304
პარტიული ცხოვრება უნივერსიტეტში 305
1921 წლის 1 თებერვლის საპროტესტო დემონსტრაცია 309
დახმარება თბილისის უნივერსიტეტს 311
ზეიმი საქართველოს იურიდიული აღიარების გამო 312
დანართი 314
დამოუკიდებელთა კავშირი 314
თავი 9. ივანე ჯავახიშვილი და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი 315

9.1. ქართული უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინ 318
9.2. ყველაფერი სამშობლოს დასაცავად 320
პროფესორთა საბჭოს სხდომა 320
მიტინგი უნივერსიტეტში: „თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ“ 322
9.3. უნივერსიტეტი 25 თებერვლის შემდეგ 327
ქართული უნივერსიტეტი – დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობა 327
არჩევანი ომსა და სწავლის განახლებას შორის 328
პირველი შეტევა ქართული უნივერსიტეტის გასაუქმებლად ... 333
ივანე ჯავახიშვილი და სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა ... 335
დანართი 339
ფილიპე შარაძე. ჩემი დღიურიდან (მიტინგი უნივერსიტეტში 1921 წლის 16 თებერვალი) 339
გიორგი ნაკაშიძე. გახსენებისათვის 340
უნივერსიტეტი საბჭოთა ოკუპაციის პირველ დღეებში 345
დათიკო პერესვეტელი. ფიქრები. ფურცელი 2. 345
კ.ნ. ქართველ სტუდენტობას 347
ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ირგვლივ 349
აკადემიური კომბინატორები 350
ნაწილი მესამე. ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა პერიოდში 352
თავი 10. ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში (1921-1926) 352
10.1. ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში 354
ქართული უნივერსიტეტის დასაცავად 354
ლექციები წარსულზე – დასკვნები მიმდინარე პოლიტიკისთვის 356
10.2. ივანე ჯავახიშვილი და სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა 359
სტუდენტები და 1922 წლის 11 თებერვლის საპროტესტო აქციები 360
სტუდენტები 1922 წლის 24-26 მაისის საპროტესტო გამოსვლებში 361

სახლის ჩამორთმევა ხოვლეში 362
10.3. რეპრესიების გაძლიერება უნივერსიტეტის წინააღმდეგ ... 363
1923 წელი: ახალი რეპრესიები უნივერსიტეტში 363
ნიკო მარი და შეტევა ქართულ უნივერსიტეტზე 364
10.4. 1924 წლის აჯანყება და ქართული უნივერსიტეტი 367
თსუ სტუდენტები და 1924 წლის აჯანყება 367
ივანე ჯავახიშვილის დაპატიმრება 1924 წლის აჯანყების დროს 368
თსუ პროფესორთა საბჭოს განცხადება 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით 368
1925 წელი: ქართული უნივერსიტეტის პროტესტი ჩიჩერინს .. 370
1926 წელი: ივანე ჯავახიშვილის განთავისუფლება რექტორობიდან 371
დანართი 372
ქართველ სტუდენტთა მიმართვა 372
ივანე ჯავახიშვილი: „ზოგს ახლა მამულიშვილობა დასაცინ სიტყვად გაუხდია...“ 373
თავი 11. საბჭოთა ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ 375
11.1. რეპრესიები ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ 1921-1929 წლებში 376
ბოლშევიკური „აღმშენებლობა“ უნივერსიტეტში 376
ლავრენტი ბერია უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის შესახებ 379
11.2. 1930 წელი: ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა ე. წ. „კონდრატიევშჩინას“ წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში ... 380
ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის კრიტიკა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმზე 381
ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა უნივერსიტეტში გამართული „კონდრატიევშჩინას“ საწინააღმდეგო კამპანიის დროს 382
როგორ ჩაუშალეს ივანე ჯავახიშვილს ლექცია (ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან) 389
11.3. 1936 წელი: „მამხილებელი“ შეტევა ივანე ჯავახიშვილზე .. 390

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დისკუსია „საისტორიო ფრონტზე“ მდგომარეობის შესახებ 390
ივანე ჯავახიშვილი მის წინააღმდეგ გაშლილი კამპანიის შესახებ 398
თავი 12. როგორ გადარჩა ივანე ჯავახიშვილი 401
12.1. როგორ ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი დევნის პირობებში 402
„ჩემს მოღვაწეობას უნივერსიტეტში ყოველგვარი აზრი დაეკარგა“ 402
ივანე ჯავახიშვილის წერილი სტალინს 403
ივანე ჯავახიშვილი და ალექსანდრე სვანიძე 404
12.2. „ჩეკას“ მიერ ივანე ჯავახიშვილზე „მამხილებელი“ საქმის შეთითხნა 406
რა ბრალდებებით და როგორ აპატიმრებდნენ „იდეურ მტრებს“ 406
ივანე ჯავახიშვილის „საქმე“ 408
როგორ გადაურჩა „დიდ ტერორს“ ივანე ჯავახიშვილი 413
თავი 13. ივანე ჯავახიშვილი 1938-1940 წლებში 419
13.1. კომუნისტური რეჟიმის ხარკი და ივანე ჯავახიშვილის ჭეშმარიტი პოზიცია 419
13.2. ივანე ჯავახიშვილის ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის შესახებ 423
13.3. ივანე ჯავახიშვილი – ახალი აკრძალვა აღიარების შემდეგ 425
დანართი 427
მარიამ ლორთქიფანიძე ივანე ჯავახიშვილის ლექციების შესახებ 427
ფურცლები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებიდან 428
ივანე ჯავახიშვილის საბედისწერო დღე 430
ვისი სახელობის უნდა იყოს უნივერსიტეტი 433
თავი 14. ივანე ჯავახიშვილი: თეორიის საკითხები 436
14.1. ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ... 436
ივანე ჯავახიშვილი და გეორგ ელინეკის თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 436

ივანე ჯავახიშვილი გვაროვნული და სახელმწიფოებრივი წყობილების იგივეობრიობის შესახებ 437
სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების კრიტიკა არჩილ ჯორჯაძის მიერ 438
სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების კრიტიკა საბჭოთა პერიოდში მარქსისტული პოზიციიდან 440
14.2. საქართველოს სახელმწიფოს დაქვეითების მიზეზი ... 440
14.3. ივანე ჯავახიშვილი ქართველთა ეროვნული ხასიათის შესახებ 442
14.4. ივანე ჯავახიშვილი ნაციონალურობისა და ინტერნაციონალურობის შესახებ..... 443
14.5. ივანე ჯავახიშვილი კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის შესახებ 445
დანართი..... 446
ივანე ჯავახიშვილი. ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები .. 446
ლიტერატურის სია 452

წინასიტყვაობა

სალექციო კურსი „ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია“, პირველ რიგში, ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებლის ღვაწლის დაფასებაა. მისი მიზანია, სტუდენტებს გააცნოს პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის პოლიტიკური შეხედულებები, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის.

ივანე ჯავახიშვილს ურთულეს პერიოდში მოუწია ცხოვრება, თავისი შეხედულებების გამო „პოლიტიკურად არასაიმედოდ“ ითვლებოდა რუსეთის იმპერიის არსებობის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც, როდესაც რეჟიმმა მისი დევნა სიცოცხლის ბოლო წლებში შეწყვიტა. ივანე ჯავახიშვილს თავისი შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა მხოლოდ 1917-1921 წლებში ჰქონდა.

დიდი ადამიანის ღვაწლის დანახვა ამ ადამიანის სიცოცხლეშივე ყველას როდი შეუძლია. გავიხსენოთ, რამდენი ებრძოდა ილია ჭავჭავაძეს. ღირსეული თანამედროვენი კი ივანე ჯავახიშვილს არა მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებად, არამედ ილია ჭავჭავაძის საქმის გამგრძელებლად მიიჩნევდნენ და ეს გადაჭარბებული ქება არ ყოფილა.

ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა, როგორც თავად ამბობდა, „დაცემული ქართული ვინაობის აღდგენას“ ეძღვნებოდა. სწორედ ეს მიაჩნდა ქართული ლიბერალიზმის უმთავრეს ამოცანად. ივანე ჯავახიშვილიც ამ თვალსაზრისს სრულად იზიარებდა და მას ემსახურებოდა. დაცემული ქართული ვინაობის აღსადგენად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა იყო. მეცნიერულად გამართული ისტორია ერს წარსულით სიამაყის საშუალებას, ისტორიის გამყალბებლებისათვის პასუხის გაცემის შესაძლებლობას და წარსულის შეცდომების გათვალისწინების საშუალებას მისცემდა. ეს კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის დაწყება კი ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება.

დაცემული ქართული ვინაობის აღდგენა, საბოლოო ჯამში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გულისხმობდა. ივანე ჯავახიშვილს ერის სუვერენიტეტის თავისი ხედვა ჰქონდა. მისი აზრით, თანამედროვე პირობებში ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი საყრდენი ეროვნული უნივერსიტეტის არსებობაა. ამიტომაც ივანე ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო არაქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლისთვისაც ლექტორებიც უხვად იქნებოდა და სახელმძღვანელოებიც. ივანე ჯავახიშვილმა თავისი ენერგიის დიდი ნაწილი სწორედ ქართული უნივერსიტეტის შექმნას მოახმარა. „ქართულად იკვლიე და ქართულად ასწავლე“, – ასეთი იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის კონცეფციის არსი.

რთული წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა საქართველოს ისტორია, ქართული უნივერსიტეტი რომ არ შექმნილიყო. ქართული უნივერსიტეტის გარეშე ქართული სახელმწიფოს არსებობა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ქართული უნივერსიტეტის გარეშე არ იქნებოდა ქართული სამეცნიერო ენა, არ იქნებოდა სრულფასოვანი ქართული სკოლა, ქართულ სახელმწიფოს არ ეყოლებოდა ქართულ ენაზე მოსაუბრე სამოხელეო აპარატი. ქართული უნივერსიტეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ივანე ჯავახიშვილს არც უფიქრია ემიგრაციაში წასვლა. მას სურდა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში ეროვნული უნივერსიტეტის დაცვა, მისი შენარჩუნება, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილისა. ძალები უთანასწორო იყო და ივანე ჯავახიშვილმა ეს ვერ მოახერხა, საბჭოთა რეჟიმმა უნივერსიტეტის ოკუპაციაც მოახდინა, მაგრამ ქართული უნივერსიტეტის სულის ჩაკვლა ვერ მოახერხა.

სალექციო კურსში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, განხილულია მისი ნაშრომების პოლიტიკური კონტექსტი და ამ ნაშრომებზე დაყრდნობით ნაჩვენებია მისი ხედვები, პოლიტიკური კონცეფცია. ამ საკითხებზე საუბარს მარტო ისტორიული მნიშვნელობა როდი აქვს.

ივანე ჯავახიშვილი იღვწოდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად და ბევრი რამ მისი ნააზრევიდან დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას, ეს იქნება საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია, საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები თუ კონკრეტული მიმართულებების დასახვა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ისტორიული საფუძვლების ხედვა და სხვა მრავალი.

სალექციო კურსის შესწავლა სტუდენტს მისცემს აუცილებელ ცოდნას არგუმენტირებულად მსჯელობისათვის აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფციის შესახებ; გააზრებული ექნება ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური იდეების მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკის პრობლემების ანალიზისას.

ნაწილი პირველი

ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიცია (1895–1917)

თავი 1. გიმნაზიისა და სტუდენტობის წლები

1.1. ივანე ჯავახიშვილის ეროვნული პოზიცია

ოჯახის როლი ივანე ჯავახიშვილის ეროვნული პოზიციის ჩამოყალიბებაში

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს ქალაქ თბილისში. მამამისი – ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი პედაგოგი იყო და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ალექსანდრე ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის ნაშრომი ქ. გორისა და უფლისციხის აღწერილობათა შესახებ. ამზადებდა დიდ ნაშრომს – „ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. 45 წელი მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე, გარდაიცვალა 1912 წელს.[1]

დედა სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი იყო. „ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში არ ყოფილა ისე, როგორც ჩვეულებრივ იმდროინდელ ქართველ თავადთა ოჯახში გვხვდებოდა, სადაც თაკილობდნენ დედა ენაზე ლაპარაკს. მათ უკეთეს შემთხვევაში საყველპურო ქართული თუ იცოდნენ, სხვა ფუნქცია ქართულ ენას მათთან დაკარგული ჰქონდა. ამ გადაგვარებულ ფეოდალებს დაგვიანებული მოტირალივით გარდასულ დიდებაზე მოთქმა შეეძლოთ მხოლოდ. სულ სხვა სურათი იყო ალექსანდრე ჯავახიშვილის სიცოცხლითა და სიხარულით სავსე ოჯახში. მშობლიური ენის, ქართული მწიგნობრობის სიყვარული ყველაფერში გამოსჭვივოდა; მშობლებიცა და შვილებიც სულმოუთქმელად ელოდნენ ახალი მხატვრული ნაწარმოების გამოჩენას ქართულ

[1] შალვა კაშმაძე, ივანე ჯავახიშვილი – „დროშა“, 1952, № 4, გვ. 17.

ენაზე; ქართული პერიოდიკა კი მთელი ოჯახის გაძლიერებული ინტერესის საგანი იყო“.[1]

ცნობილი ქართველი მწერალი კოტე მაყაშვილი[2], რომელიც ბავშვობიდანვე იცნობდა ივანე ჯავახიშვილს, განსაკუთრებით გამოყოფდა მისი მშობლების დამსახურებას, რომელთაც შვილები ქართულად აღზარდეს, რითიც განსხვავდებოდნენ მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მრავალი ოჯახისაგან.

კოტე მაყაშვილი იგონებდა თავის პირველ შეხვედრებს ივანე ჯავახიშვილთან, რაც მათი მოწაფეობის ასაკში დაიწყო. მაშინ ერთმანეთს შეხვდა ორი ქართველი ახალგაზრდა, იმდროინდელი საქართველოს ორი წარმომადგენელი – ეროვნულად განწყობილი და ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარი. კოტე მაყაშვილი შემდეგნაირად აღწერს ამ შეხვედრებს, რამაც, ალბათ, დიდი როლი შეასრულა მისი ეროვნული პოზიციისკენ შემობრუნებაში:

„... ისინი ქართულად არიან აღზრდილნი, რაიცა იშვიათია იმ დროისათვის: ქართული ინტელიგენციის ოჯახში მეტწილად ბატონობს უცხო ენა.

მეც ბავშვობიდანვე (6 წლიდან) მშობლიურ კერას მოწყვეტილს, აღზრდილს ქართულის არმცოდნეთა საზოგადოებაში, ისე საფუძვლიანად მაქვს დავიწყებული დედაენა, რომ გარდა გარეგანი იერისა, ქართველს სხვა არა მიგავს რა.

ვანო ჯავახიშვილი გაცნობისას ქართულად მელაპარაკება, მრცხვენიან, რომ ქართულადვე პასუხის გაცემა არ შემიძლიან. უკვირს და სწყინს, მაგრამ მალე ნებაუნებურად ურიგდება ამ გარემოებას.

შეხვედრის დროს ჩვენი ბაასის თემა ყოველთვის ერთია: საქართველო, მისი წარსული, აწმყო, მისი ლიტერატურა და სხვა. ლაპარაკობს, უმთავრესად, ვანო, ლაპარაკობს აღტაცებით, ხანაც ექსტაზით, თვალები უბრწყინავს, მარჯვენა ხელის ენერგიული ჟესტიკულაციით ყოველ წარმოთქმულ სიტყვას მეტ დამაჯერებლობას აძლევს.

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 14-15.

[2] კოტე მაყაშვილი თბილისის მისადგომებთან 1921 წლის თებერვალში დაღუპული სტუდენტი გოგონას – მარო მაყაშვილის მამაა.

ბევრი რამ მაქვს წაკითხული რუსულად: მშვენივრად ვიცი რუსეთის ისტორია, ვწერ რუსულ ლექსებს... მაგრამ რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, საზოგადოდ საქართველოს კულტურას – ეს ჩემთვის... Terra incognita-ა".[1]

კოტე მაყაშვილის მოგონებიდან კარგად ჩანს მე-19 საუკუნის ბოლოს შექმნილი სავალალო ვითარება: ქართული ინტელიგენციის არცთუ მცირე ნაწილი ივიწყებდა ქართულ ენას, შვილებს რუსულად ასწავლიდა. ეროვნებადაკარგული ახალგაზრდები კი დიდად აღარ იდარდებდნენ თავიანთ „პატარა" სამშობლოზე. საჭირო იყო ამ ტენდენციის დაძლევა, ქართული სულისკვეთების აღორძინება.

კოტე მაყაშვილი იგონებს ივანე ჯავახიშვილის მიერ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგში გამგზავრებამდე, სოფელ ხოვლეში გატარებულ ზაფხულსაც, როდესაც ის უნივერსიტეტში სწავლისათვის ემზადებოდა. ხოვლესა და მეზობელ სოფლებში ივანე ჯავახიშვილი ხშირად ხვდებოდა ახალგაზრდებს: „იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უამბობს დამსწრეთ ქართულ წარსულზე, აწმყოზე და მომავალ პერსპექტივებზე: მოუწოდებს ახალგაზრდობას, შექმნან სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები, **მოუწოდებს ყველას ქართული აპატიისაგან გამორკვევას** და თვითგანვითარების, თვითშემოქმედების გზაზედ შედგომას და სხვა... იგი მოღვაწეობს ამგვარად და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა. ჭაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმედე."[2]

---

[1] კოტე მაყაშვილი. ვანო ჯავახიშვილი – კოტე მაყაშვილი, ერთტომეული, თბ., „მერანი", 1997, გვ. 388-389.

[2] კოტე მაყაშვილი. ვანო ჯავახიშვილი – კოტე მაყაშვილი, ერთტომეული, თბ., „მერანი", 1997, გვ. 390.

ივანე ჯავახიშვილის მშობლები – ალექსანდრე ჯავახიშვილი და სოფიო ვახვახიშვილი უფროს ქალიშვილ ეკატერინესთან ერთად.

მათ ჰყავდათ 6 შვილი: ეკატერინე, ივანე, გიორგი, დათა, ალექსანდრა, მიხეილი.

ივანე ჯავახიშვილი – გიმნაზიის მოწაფე

ივანე ჯავახიშვილის ეროვნული პოზიცია ოჯახის და პირადად მისი დამსახურება იყო. თბილისის გიმნაზიის შესახებ, სადაც ივანე ჯავახიშვილი 1885 წლიდან სწავლობდა, შემდგომში შალვა ამირეჯიბი აღნიშნავდა: „ტფილისის გიმნაზია ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ჯავახიშვილი იქ სწავლობდა, იყო რუსიფიკაციის ჭეშმარიტი ბუდე, რომელიც ამ დროს განსაკუთრებით მოედო მთელ საქართველოს, მაგრამ ქართველი ბავშვები ასეთ რუსულ სკოლას ვერ ასცდებოდნენ, თუ ქართველ დედ-მამებს არა სურდათ, რომ მათი შვილები გაუნათლებელნი დარჩენილიყვნენ. ქართველი ბავშვების წინ ორნაირი ამოცანა იდგა: კიდევაც უნდა ესწავლა და გარუსებისგანაც თავი გადაერჩინა. ამასთანავე, ტფილისის პირველ გიმნაზიას ცოტაოდენი ქართული ტრადიციაც ჰქონდა. ავი იყო ეს გიმნაზია თუ კარგი, ის იყო ის სკოლა, რომელიც ქართველ ბავშვებისათვის რუსის მთავრობამ ჯერ კიდევ 1802 წელს დააარსა. იქ სწავლობდა გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და მრავალი სხვა. იქ სწავლობდა შემდეგ ი. ჭავჭავაძე და სხვანიც. ვანო ჯავახიშვილზედ ადრე იქ სწავლობდა პ. მელიქიშვილი, ალ. სუმბათაშვილი, ვ. აბაშიძე და

აგრეთვე მრავალი სხვა. თვით ჯავახიშვილის დროსაც იქ სწავლობდნენ: ძმები ი. და ზ. ავალიშვილები, ლ. ანდრონიკაშვილი, არჩ. ჯორჯაძე და სხვანი“.[1]

11 წლის ივანე ჯავახიშვილის მეხსიერებაში „წარუშლელად აღიბეჭდა და აღარასდროს აღარ წაშლილა 1887 წლის შემოდგომა, როცა მშობელმა ხალხმა მწარედ დაიტირა თავისი პატრიოტი შვილი დიმიტრი ყიფიანი და მთაწმინდის მიწას მიაბარა იგი“.[2]

რაც შეეხება გიმნაზიაში სწავლას, ივანე ჯავახიშვილი შემდეგ იგონებდა: „გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდნენ.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, ივანე ჯავახიშვილს ჩამოუყალიბდა თავისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი და სამეცნიერო ინტერესები.

	თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიის მატერიალური ბაზა თითქმის ორჯერ აღემატებოდა სხვა სასწავლებლების ბაზას. გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი დამხმარე სახელმძღვანელოებით და კლასგარეშე ლიტერატურით. გიმნაზიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სხვა სასწავლებლებთან შედარებით სოლიდურად გამოიყურებოდა და მე-19 ს. 80-იან წლებში 15766 ტომს მოიცავდა.

[1] შალვა ამირეჯიბი, თავადი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) – შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბ., „დიოგენე“, 1998, გვ. 70.

[2] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 16.

ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე

ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა ილია ჭავჭავაძის წერილებმა საქართველოს ისტორიის შესახებ. ცნობილი ქართველი მოღვაწე შალვა ამირეჯიბი შემდეგ იგონებდა: „ივანე ჯავახიშვილის ეს შეგირდობის წლები გადაბმულია არა მარტო ტფილისის ამ გიმნაზიასთან, არამედ თვით ტფილისთან, რომელიც ამ დროს მთელი მაშინდელი საქართველოს ეროვნული მისწრაფებების ცენტრი იყო. ეს იყო სწორეთ ის ხანა, როცა ქართულ მწერლობაში და საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძე მეფობდა თავისი ეროვნული აზროვნებით. ქართულ საზოგადოებაში ფეხს იკიდებდა საქართველოს წარსულის შესწავლის სურვილი. ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ ამ წლებში დაიბეჭდა ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილების მთელი რიგი, რომელთა ავტორები შემდეგი პირნი იყვნენ: დ. ჩუბინაშვილი, დიმ. ბაქრაძე, პ. უმიკაშვილი, ნ. დადიანი, პლ. იოსელიანი, ი. სვიმონიძე, თ. ჟორდანია, ნ. ხიზანიშვილი, ილ. ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვი, თათარხან დადეშქელიანი, სილ. ხუნდაძე, მოსე ჯანაშვილი, ალ. ცაგარელი და სხვანი. როგორც ხედავთ, ისტორიის დარგის მწერალთა მთელი პლეადაა. ამ კადრმა თავის დროზედ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, საქმე ჯერ ისეთ სუსტ სტადიაში იყო, რომ, როდესაც 1890 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე მიიცვალა, ამ ამბავს ილია ჭავჭავაძემ დიდი გოდების წერილი უძღვნა და მწუხარებით დასძინა: დ. ბაქრაძე მიიცვალა და ჩვენს ისტორიას ვიღა დასწერსო?!“[1]

საქართველოს ისტორიის დაწერა კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო „ქართული ვინაობის აღსადგენად“.

1889 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილების სერია „აი ისტორია“, რომელიც მიმართული იყო ივანე ჯაბადარის წინა-

---

[1] შალვა ამირეჯიბი, თავადი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) – შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბ., „დიოგენე“, 1998, გვ. 70-71; შალვა ამირეჯიბი: „თუ გავიხსენებთ, რასა სწერდა ილია ჭავჭავაძე ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სიკვდილზედ, თავისი ცხოვრების მეორე ხანის ჯავახიშვილზედ, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძემ საქართველო შეასახელა და საქართველომ მას ჯავახიშვილით უპასუხა“.

აღმდეგ, რომელმაც რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდა „წერილები საქართველოზე“. ივანე ჯაბადარი ნიჰილისტურად იყო განწყობილი საქართველოს ისტორიისადმი. მისი აზრით, საქართველოს ისტორიაში საამაყო არაფერი იყო, ქართველი ერი კი დაბერდა, ფიზიკური და სულიერი ძალისგან დაიშრიტა და პერსპექტივა აღარ ჰქონდა.

ჯაბადარის ნიჰილიზმი იყო შედეგი არა მხოლოდ რუსიფიკაციის პოლიტიკისა, არამედ დაშლილი ეროვნული ცნობიერებისაც. ჯაბადარი მარტო არ იყო, მას მხარდამჭერები ჰყავდა. ფილიპე მახარაძე შემდეგ წერდა: ილია ჭავჭავაძესა და ივანე ჯაბადარს შორის გამართულ კამათში „მთელი ჩვენი სიმპატია ივანე ჯაბადარისკენ იყო“.[1]

დიდი ხნის შემდეგ, 1938 წელს, სტატიაში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა:

ივანე ჯაბადარი „მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დინჯი კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუმზადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმაღლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბრძნს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მოუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს, უპირვე-

[1] ფილიპე მახარაძე, ივანე ჯაბადარის ხსოვნას – ფ. მახარაძე, თხზულებები, ტ. 3, თბ., 1926, გვ. 149. ფ. მახარაძეს ეს სტატია 1913 წელს აქვს დაწერილი და კიდევ ერთხელ აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძეს. მისი განცხადებით, „აი ისტორიის“ ავტორს ჰქონდა „არა საკადრისი... დემაგოგიური პოლიტიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ (გვ. 149).

ლესად, ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართ. საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელსაც სათაურად „აი ისტორია“ უწოდა... ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამამჟღავნებელი იყო“.[1]

იმავე წერილში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა:

„ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია“.[2]

ივანე ჯაბადარი

[1] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, კრებ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 78-79.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, კრებ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბი., 1956, გვ. 87-88.

ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენა“

ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მიმდევარი იყო და ილიას პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში. როგორი იყო თავად ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა? ამ მხრივ აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მიერ 1881 წლის მაისში დაწერილი „შინაური მიმოხილვა“. მასში ილია ჭავჭავაძე საქართველოს იმდროინდელ ვითარებას აანალიზებს, მაგრამ ეს სტატია დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ილია ჭავჭავაძე განიხილავდა „აზრთა ორ მდინარებას“ – კონსერვატიზმს და ლიბერალიზმს. ეს ორი მიმდინარეობა ევროპაში ჩამოყალიბდა, მაგრამ, ილია ჭავჭავაძის თქმით, ნებისმიერი „სიცოცხლის ღირსი ერის“ ისტორიული განვითარება მხოლოდ ამ ორი აზრთა წყობის ურთიერთბრძოლით არის შესაძლებელი. მათ მარცხნივ და მარჯვნივ „ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ“, მაგრამ წამყვან როლს სწორედ ეს ორი „აზრის წყობა“ ქმნის.

აქ ილია ჭავჭავაძე ორ საფრთხეს ხედავდა. პირველი საფრთხეა კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის არსის დამახინჯება – ეს ორი იდეოლოგია „ჭეშმარიტ“ სახეს მხოლოდ მაშინ ატარებს და თავის როლს ასრულებს, თუკი ერთი ყველა ძველის დამცველი არ იქნება, მეორე კი ყველა ძველის წინააღმდეგი და ყველა ახლის მომხრე. ასე დაემართა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების რუსეთს, მისი წაბაძვით კი იმდროინდელ საქართველოსაც:

„ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადაეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა – მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარისხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას, სა-

ცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად“[1].

მეორე საფრთხეა კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის სხვა ქვეყნიდან მექანიკური გადმოტანა. ამ ორი „აზრთა წყობის“ შინაარსი კონკრეტული ქვეყნის პირობებით განისაზღვრება და მისგან უნდა მომდინარეობდეს.

ილია ჭავჭავაძე დასცინოდა რუსეთის წაბაძვით საქართველოში გაჩენილ „ცრუ ლიბერალიზმს“, რომლის არსიც რამდენიმე მოდურ ფრაზაში გამოიხატებოდა:[2]

საქართველოში ლიბერალიზმის უმთავრეს ამოცანად ილია ჭავჭავაძეს „დაცემული ვინაობის აღდგენა“ მიაჩნია. საქართველოს ამ მხრივ ბევრი რამის სწავლა შეეძლო იმ ევროპელი სლავი ხალხებისაგან, რომლებიც ანალოგიურ ამოცანას წყვეტდნენ და აქ, პირველ რიგში, ჩეხებს ასახელებდა. ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა კონკრეტული პროგრამაც ქართული „დაცემული ვინაობის“ აღსადგენად (იხ დანართი 1).

---

[1] ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, საქართველოს მატიანე, თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, გვ. 90-91.

[2] ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, საქართველოს მატიანე, თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, გვ. 93 – „ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე – ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე – ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე – ქვეყანაზედ მარტო გლეხიკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამგვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწვილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები...“.

1.2. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა სტუდენტობის პერიოდში

ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია

ივანე ჯავახიშვილი სტუდენტობისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტის რანგში საქმიანობის წლებში მარტო სწავლითა და სამეცნიერო კვლევა-ძიებით არ იყო დაკავებული. მას აქტიური სამოქალაქო პოზიცია ჰქონდა – თავიდან მონაწილეობდა სტუდენტურ გამოსვლებში, შემდეგ კი უერთდებოდა აკადემიური წრეების პროგრესული ნაწილის საპროტესტო აქციებს. „ივანე ჯავახიშვილი სარბიელზე გამოდის არა როგორც კარჩაკეტილი კაბინეტის სწავლული, რომლისთვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვა არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისთვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი აქტიურობის ერთი ფორმათაგანია მარტოოდენ“, – აღნიშნავდა სიმონ ჯანაშია.[1]

„ვანო ჯავახიშვილი მარტო მეცნიერი როდია. იგი იმავ დროს, ღირსეული მოქალაქეა. მას განუსაზღვრელად უყვარს თავისი ერი, სწამს მისი მომავლის და ის, რომ საქართველო ჯერ კიდევ დაუშრეტელი პოტენციაა, რომ საჭიროა რაიმე მძლავრი იმპულსი იმისთვის, რომ ეს პოტენცია დიდ რეალურ მიღწევებად გადაიქცეს“, – აღნიშნავდა კოტე მაყაშვილი.[2]

ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი[3], თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნა ნიკო მარისთვის გაგზავნილ წერილში (1902 წლის 25 იანვარს), მას ჰქონდა თავისი მკაფიო „პოლიტიკური და მორალური რწმენა“. სწორედ პოლიტიკური და მორალური რწმენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი გულგრილს არ ტოვებდა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის დაფიქსირებისაკენ უბიძგებდა. იმავე წერილში ივანე ჯავახიშვილი

---

[1] სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი – შრომები, ტ. 5, თბ., „მეცნიერება“, 1987, გვ. 384.

[2] კოტე მაყაშვილი, ვანო ჯავახიშვილი – კოტე მაყაშვილი, ერთტომეული, თბ., „მერანი“, 1997, გვ. 391.

[3] თუ არ ჩავთვლით 1918-1921 წლებში მის ყოფნას „უპარტიოთა კავშირში“.

აღნიშნავდა, რომ მისი მოქმედება იყო არა „პარტიულ ბრძოლაში მონაწილეობა“, არამედ „მოქალაქის მოვალეობის ასრულება“.[1]

ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია მკაფიოდ ჩანს მის მიერ ამ პერიოდში დაწერილ სამეცნიერო ნაშრომებშიც. საქართველოს ისტორიული წარსულის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომები, ფაქტობრივად, მიმართული იყო რუსეთის იმპერიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და არსებითად იყო მოწოდება როგორც დემოკრატიული გარდაქმნების, ისე საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმართული ნაბიჯების გადასადგმელად.

არჩევანი – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი

1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაამთავრა გიმნაზია. ცხადი იყო, რომ ის უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებდა სწავლას. ატესტატთან ერთად, გიმნაზიის დირექტორმა მას შემდეგი დახასიათება მისცა: „მოწაფე ივანე ჯავახიშვილი შვილია ქართველი ხელმოკლე თავადისა (სასწავლებლის ზედამხედველისა). კეთილ პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია ჭაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიური, ზნეკეთილი, თავაზიანი და ალერსიანი. ზომიერი ხასიათისაა, ზრდილი, რის გამოც ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან მეტად ბეჯითი და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჯანმრთელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით. ის ბევრს კითხულობს და კარგი ნაკითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ამითი. იგი შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმაწვილი არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც, პოლიტიკურად კეთილსაიმედოა“.[2]

---

[1] ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., „ნეკერი“, 1996, გვ. 24.

[2] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 24.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი

1855 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის განკარგულებით, ყაზანის უნივერსიტეტში დაიხურა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, საიდანაც პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები პეტერბურგის უნივერსიტეტში იმავე წელს გახსნილ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გადაიყვანეს. პეტერბურგში გადაიტანეს სასწავლო ბიბლიოთეკა და ნუმიზმატიკური კაბინეტი. ფაკულტეტზე იყო 6 მიმართულება, მათ შორის, სომხურ-ქართულ-თათრული.

ივანე ჯავახიშვილის პეტერბურგში ყოფნის დროს 1893-1902 წლებში დეკანი იყო ვიქტორ როზენი, 1902-1911 წლებში – ვალენტინ ჟუკოვსკი, 1911-1919 წლებში – ნიკო მარი. 1919 წელს ფაკულტეტი დახურეს, ხოლო აღმოსავლეთმცოდნეობითი დისციპლინები სხვადასხვა ისტორიულ-ფილოლოგიურ მიმართულებებზე გადაანაწილეს. ფაკულტეტი მხოლოდ 1944 წელს აღადგინეს.

„პოლიტიკური კეთილსაიმედობის“ ხაზგასმა მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც სხვა შემთხვევაში ახალგაზრდას გაუჭირდებოდა სტუდენტად გახდომა.

რადგანაც საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, სხვა მრავალი ქართველი ახალგაზრდის მსგავსად, სწავლის გასაგრძელებლად ის უცხოეთში უნდა წასულიყო. ივანე ჯავახიშვილი იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე.[1] ეს ფაკულტეტი 1855 წლიდან არსებობდა და ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობის დროს ორიენტალისტიკის აღიარებული მსოფლიო ცენტრი იყო.

1844 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენის კათედრა, რომელსაც პროფესორი ჩუბინიშვილი ხელმძღვანელობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კათედრა ალ. ცაგარელმა ჩაიბარა. იქ ასევე მოღვაწეობდა ნიკო მარი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი შემდეგ თავის მასწავლებლად მიიჩნევდა.

სტუდენტებს პოლიტიკური საქმიანობა ეკრძალებოდათ

რუსეთის იმპერიაში, რომელიც უკვე უფრთხოდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების რევოლუციურ აქტივობას, ყველას ადებინებდნენ ხელწერილს რაიმე პოლიტიკური საქმიანობისგან თავის შეკავების თაობაზე.[2]

ამ აკრძალვებსა და შეზღუდვებს მეტად რეაქციული 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება ედო საფუძვლად. უნივერსიტეტში შემსვლელს პოლიციიდან ცნობა უნდა წარედგინა „უნაკლო“ პოლიტიკური კეთილსაიმედოობის თაობაზე. სტუდენტური საზო-

---

[1] 1897 წლის აღწერის მონაცემებით, 1.914.100 ქართველიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო 313.400, უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით – 2.407, საშუალო და დაუმთავრებელი საშუალო განათლებით – 31.718. მე-19 ს ბოლოს მთელ საქართველოში მხოლოდ 46 ქალი იყო უმაღლესი განათლებით (კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 24).

[2] სამსონ ფირცხალავა, რომელიც ამ პერიოდში იყო სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ იგონებდა: „საშინელი რეაქციის მძვინვარება მთელ იმპერიაში, რასაკვირველია, უნივერსიტეტის ცხოვრებასაც ემჩნეოდა. პოლიციური წესები ბატონობდა ყველგან, თავისუფალი აზრი და კვლევა აკრძალული იყო, პროფესორებს ლაგამი ჰქონდათ ამოდებული. სტუდენტთა პოლიტიკური შეგნება მოისუსტებდა..“ (ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ, 1988 წ., გვ. 24).

გადოებრივი ორგანიზაციების შექმნა იდევნებოდა. სწავლის პერიოდში სტუდენტებს ცოლის მოყვანაც ეკრძალებოდათ, წესდების მოთხოვნათა დარღვევისათვის სასჯელთა მთელი სისტემა იყო გათვალისწინებული.

1895 წლის 5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილმა დადო ხელწერილი „მასზედ, რომ საიმპერატორო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში ვალდებულებას ვიღებ, არა თუ არ გავხდე წევრი რომელიმე საიდუმლო საზოგადოებისა, არამედ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაშიც, უშუალო უფროსების ნებართვის გარეშე, არ შევიდე წევრად კანონით დაშვებულ საზოგადოებაში, აგრეთვე არ მივიღო მონაწილეობა რაიმე ფულადი შენატანებით. ჩემ მიერ ამ აღთქმის გატეხის შემთხვევაში ვექვემდებარები დაუყოვნებლივ გარიცხვას დაწესებულებიდან და მერთმევა ყველა უფლება ჩემ მიერ იმ ფულადი თანხების მიღებაზე, რომლებიც ნებადაურთველი მიზნისთვის შეიკრიბა“.[1]

როგორც ვხედავთ, სტუდენტს ეკრძალებოდა თავისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მრწამსი ჰქონოდა და მით უმეტეს, ეს აშკარად გამოემჟღავნებინა, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული ხელწერილის დადებისა, ივანე ჯავახიშვილი არ აპირებდა, შემოფარგლულიყო მხოლოდ სწავლითა და სამეცნიერო კვლევა-ძიებით.

1896 წელი: პირველკურსელთა წერილი ცნობილ ქართველ მოღვაწეებს

გიგანტური იმპერიის პოლიტიკურ ცენტრში, პეტერბურგში ჩასულ ივანე ჯავახიშვილს „თან ჩაჰყვა სევდიანი ფიქრები კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ სამშობლოზე“.[2]

1896 წლის თებერვალში პირველკურსელმა ივანე ჯავახიშვილმა, სტუდენტ ი. ჩარექიშვილთან ერთად, წერილები გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს, გიორგი ზდანოვიჩსა და ნიკო ნიკოლაძეს. ქართული საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს პირველკურსე-

---

[1] ციტ.: სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 31-32.

[2] მამია დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898-1912 წ. წ.), თბ., „მეცნიერება“, 1984, გვ. 3.

ლი სტუდენტები სთხოვდნენ, მეტი აქტიურობა გამოეჩინათ „ჩვენი ბედკრული სამშობლოს საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად“.[1]

სამშობლოს საკეთილდღეოდ „მეტი აქტიურობისაკენ“ მოწოდება ილია ჭავჭავაძეს ან ნიკო ნიკოლაძეს, ალბათ, არ სჭირდებოდათ, მაგრამ ეს წერილები კარგად გამოხატავდა პირველკურსელი ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრეების გულისტკივილს და ფიქრებს.

1896 წელი: ივანე ჯავახიშვილის წერილი ნიკო ნიკოლაძეს

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის უაღრესად მძიმე პრობლემად რუსეთის დემოგრაფიული კოლონიზაცია იქცა, რაც ქართველი ხალხის საზიანოდ ცვლიდა ქვეყნის ეთნიკურ სურათს.

1896 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან ფოთის იმდროინდელ მერს ნიკო ნიკოლაძეს წერდა: „ამ ახლო ხანში სახელმწიფო საბჭოში განხილული იქნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი შავი ზღვის სანაპიროზე რუსების დასახლების შესახებ. ამისათვის კარგი იქნება ამ საქმეში დაგვეხმარონ ჩვენი საუკეთესო საზოგადო მოღვაწენი. მოგმართავთ თქვენ და ვიმედოვნებ...“ ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველმა მოღვაწეებმა უნდა დაანახონ რუსეთის ხელისუფალთ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე რუსების ჩასახლება „მავნებელი იქნება სახელმწიფოსთვის“, აჩვენონ რუსეთის მთავრობას, რომ ქართველი ხალხი რუსეთის ხელმწიფის ერთგულია და რუსეთის ხელმწიფემაც უნდა დაანახოს ხალხს, რომ აფასებს ამ ერთგულებას.[2]

პირველკურსელ ივანე ჯავახიშვილს სამშობლოს მძიმე მდგომარეობაზე გული შესტკივა, მაგრამ მისი პოზიცია პოლიტიკურად გულუბრყვილოა. შემდგომში ასეთ პოზიციას ივანე ჯავახიშვილი თავად სასტიკად აკრიტიკებს.

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 36.

[2] „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ. 8 თებერვალი.



ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) ქალაქ ფოთის თავი 1894-1914 წლებში იყო. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ქალაქის განაშენიანება. 1914 წელს გადააყენეს ქალაქის მერობიდან და პეტერბურგში გადასახლდა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, იყო ეროვნული საბჭოს (1917-1918) და დამფუძნებელი კრების (1919-1920) წევრი

1896 წელი: სოლიდარობა პოლონელ სტუდენტებთან

1896 წელს რუსეთის იმპერიაში დიდის ამბით აღინიშნა პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების ჩამქრობის მ. მურავიოვის დაბადების ასი წლისთავი. პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც დიდი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი პოლონელთა მიმართ, კარგად ესმოდათ, რომ საქართველოსა და პოლონეთის ბედი ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. სამსონ ფირცხალავა, რომელიც ამ პერიოდში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, ამასთან დაკავშირებით იგონებდა: „ვიცოდით, თუ რა აღშფოთებას იწვევდა პოლონელ ერში მურავიოვის დღესასწაული და გადავწყვიტეთ, მიგვეწვდინა მათთვის ჩვენი ხმა, რომ ჩვენი გული მათ გულთან ერთად ძგერს. შევადგინეთ მოწოდება პოლონელი სტუდენტების მიმართ, გადავათარგმნინეთ პოლონელ ამხანაგებს პოლონურად და ჰექტოგრაფით დავბეჭდეთ მრავალი ცალი, რომლებიც გავგზავნეთ ვარშავაში პოლონელ სტუდენტთა შორის გასავრცელებლად“.[1]

მოწოდების ტექსტი სამსონ ფირცხალავას მიერ იყო შედგენილი:

[1] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ., გვ. 27.

„პოლონელ სტუდენტებს პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან. ამხანაგებო და მეგობრებო, მიიღეთ ჩვენი მეგობრული სალამი და მოკლე, მაგრამ წრფელი გულიდან ამონაღები თანაგრძნობა. თავისუფლება საზოგადოდ და ეროვნული კერძოდ აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი პროგრესის. თქვენ მუდამ ენერგიულად ამტკიცებდით ამ თავისუფლების სიყვარულს. თქვენ შეგეძლოთ დადუმებულიყავით, როდესაც შელახეს საუკეთესო თქვენი უფლებანი, შეურაცხყვეს უწმინდესი თქვენი მისწრაფება და ძეგლი აუგეს თქვენი ერის თავისუფლების უარმყოფელს – მტარვალს მურავიოვს იქ, სადაც იგი ისე მხეცურად აწამებდა და ახრჩობდა თქვენს მამებს და ძმებს. მეტად მწარეა თქვენთვის დღევანდელი მდგომარეობა. მეტად მძიმეა, რომ სრული უფლება გქონდეს თავისუფალი არსებობისა და მონა კი იყო! მაგრამ ეჭვი არ არის, ყოვლის დამძლევი სიმართლე წარხოცავს თვითნებობას, გაიფანტება ბნელი და კაცობრიობის დროშაზე ცეცხლის ასოებით დაიბეჭდება თავისუფლება მოქალაქეობრივი, თავისუფლება ეროვნული!

	პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყება. 1815 წ. პოლონეთის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა, სადაც „პოლონეთის სამეფო“ შეიქმნა, მის სათავეში კი რუსეთის იმპერატორი იდგა. 1830-1831 წლებში პოლონელებმა სცადეს დამოუკიდებლობის მოპოვება და აჯანყდნენ. რუსეთის ჯარებმა აჯანყება ჩაახშვეს, „პოლონეთის სამეფო“ კი გააუქმეს. მის ნაცვლად რუსეთის ჩვეულებრივი გუბერნია შეიქმნა.

და თქვენი მრავალტანჯული სამშობლოს თავზე აღბრწყინდება დამოუკიდებლობის გვირგვინი!

ვიყვნეთ მხნედ, ვიყვნეთ შეუპოვარნი და რწმენით და იმედით ვესწრაფოდეთ სასურველ მიზანს“.[1]

1897 წლის 4 მარტი – მონაწილეობა სტუდენტთა დემონსტრაციაში

1896 წელს დააპატიმრეს პეტერბურგის უმაღლესი ქალთა კურსების მსმენელი მარია ვეტროვა. მას ბრალად ედებოდა კავშირი საიდუმლო სტამბასთან, სადაც იბეჭდებოდა აკრძალული ლიტერატურა. ის დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. მისგან მოითხოვდნენ თანამონაწილეთა გაცემას. პატიმარს ცუდად ეპყრობოდნენ და გააუპატიურეს კიდეც. პროტესტის ნიშნად ვეტროვამ თავი მოიკლა, რასაც სტუდენტთა საპროტესტო აქცია მოჰყვა.[2] ამ ისტორიას სამსონ ფირცხალავა შემდეგნაირად აღწერს: „პეტრე-პავლეს ციხეში დამწყვდეული იყო ახალგაზრდა ქალი ვეტროვა, რომელიც ისე გაამწარა ზედამხედველების უხეშმა მოქცევამ, რომ ტანზე ნავთი გადაისხა და თავი დაიწვა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია სტუდენტებში, გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მონაწილეობით. მთავრობა შეშინდა, გამოიწვიეს პოლიცია, ჟანდარმერია, ყაზახები. პირდაპირი შემოტევა ვერ გაბედეს. ალყა შემოარტყეს სტუდენტებს, აწერეს და მერე სამ-სამი დღით ყველანი ციხეში ჩასვეს“.[3]

---

[1] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ., გვ. 27-28.

[2] მარია ვეტროვა (1870-1897) – რუსი რევოლუციონერი, ხალხოსანი, „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი. ვეტროვა 1896 წ. 22 დეკემბერს დააპატიმრეს, 1897 წ. 8 თებერვალს პროტესტის ნიშნად საკნის ლამფიდან ნავთი გადაისხა და თავი დაიწვა, 12 თებერვალს დამწვრობისაგან გარდაიცვალა. 13 თებერვალს ჩუმად დაკრძალეს. 1897 წ. 4 მარტს შედგა სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაცია. ასეთი დემონსტრაციები რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად ეწყობოდა.

[3] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ., გვ. 24-25.

მარია ვეტროვა (1870-1897), რევოლუციური ორგანიზაციის „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი.

მარია ვეტროვა 1896 წ. 22 დეკემბერს დააპატიმრეს. 1897 წ. 8 თებერვალს მან ლამფიდან, რომელიც საკანს ანათებდა, ნავთი გადაისხა და თავი დაიწვა, 12 თებერვალს ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. 13 თებერვალს ჩუმად დაასაფლავეს.

1897 წლის 4 მარტს გამართული დემონსტრაციის შემდეგ, კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში იმართებოდა ასეთი დემონსტრაციები. მაქსიმ გორკიმ ერთ-ერთ ასეთ დემონსტრაციაზე მიღებული შთაბეჭდილებით დაწერა „სიმღერა ქარიშხალაზე“.

1897 წლის 4 მარტს პეტერბურგში, ყაზანის მოედანზე, გაიმართა სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაცია. ამ საპროტესტო აქციაში ივანე ჯავახიშვილიც მონაწილეობდა.

რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, შეაშფოთა სტუდენტთა მრავალრიცხოვანმა საპროტესტო აქციამ და ის მიიჩნია სახელმწიფო დანაშაულად, მაგრამ დემონსტაციას არ მიანიჭეს პოლიტიკური ხასიათი. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა განათლების მინისტრი გრაფი ი. დ. დელიანოვი, გამოიტანა შემდეგი დასკვნა: „მომხდარი შემთხვევა განიხილოს, როგორც სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამოვლენა და პოლიციის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა, რისთვისაც დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც ჩაწერილი არიან პოლიციის ყაზანის ნაწილში, დაეკისრა დისციპლინური სასჯელები“. გადაწყვიტეს, ყველა დემონსტრანტი სტუდენ-

ტი ერთნაირად დაესაჯათ: იმ სტუდენტებს, რომელთაც სტიპენ-დია ან სხვა რაიმე დახმარება ჰქონდათ, დროებით ჩამორთმეო-დათ იგი, ხოლო სხვებს შეფარდებოდათ სამდღიანი პატიმრობა ცალ-ცალკე საკნებში.[1]

ივანე ჯავახიშვილი მოხვდა დაპატიმრებულ სტუდენტებს შო-რის და მან სამი დღე-ღამე გაატარა საპატიმროში. სტუდენტები გააფრთხილეს, რომ მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევა-ში სასჯელი უფრო დიდი იქნებოდა.

1897 წელი: ბერძენთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერა

1896 წელს კუნძულ კრეტაზე ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რასაც 1897 წელს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომიც მოჰყვა. პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ[2] გამო-ხატა ბერძენთა სრული მხარდაჭერა, შეიმუშავა ათენელი სტუდენ-ტებისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი და დელეგაცია გაგზავნა საბერძნეთის საელჩოში. ელჩმა მათ ურჩია, დეპეშა არ გაეგზავნათ, ეგ თქვენთვის შეიძლება სახიფათო იყოს და მე პირადად გადავცემ საბერძნეთის მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო.

თავიანთი განზრახვის თაობაზე ქართველმა სტუდენტებმა წერილით მიმართეს ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს, სთხოვდნენ, ერჩიათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. [3] ეს წერილები ასევე განიხილეს სათვისტომოს სხდომაზე. სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს წერი-ლები მისი ინიციატივით გაეგზავნა და მისივე დაწერილი იყო.[4] წე-

---

[1] გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., თსუ, 1999, გვ. 27-28.

[2] 1897 წელს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომა-რე იყო სამსონ ფირცხალავა, შემდეგ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე (წერ-და ფსევდონიმით „სიტყვა“), გამგეობის მდივანი იყო ვიქტორ კალანდაძე.

[3] ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიას“ ხელმძღვანელობდა, გიორგი წერეთელი კი გაზეთ „კვალს“. გაზეთი „ივერია“ 1897 წელს ფართოდ გამოეხმაურა ბერ-ძენთა აჯანყებას კუნძულ კრეტაზე. თავად ილია ჭავჭავაძემ ამ თემაზე „ივერიაში“ ორი წერილი გამოაქვეყნა (10 თებერვალს (№ 22) და 13 მარტს (№ 48)).

[4] პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი – ჟურნ. „ცისკარი“, 1961, № 11, გვ. 121.

რილი „ივერიის“ რედაქციაში 27 მარტს გაიგზავნა, თუმცა მას აწერია თარიღი – 22 მარტი. წერილით მიმართავენ „ივერიის“ რედაქციას და მასში არსად ჩანს, რომ პასუხს ილია ჭავჭავაძისგან ითხოვდნენ. სავარაუდოდ, წერილი ფოსტითაც არ გაუგზავნიათ და საქართველოში ჩამოიტანა საგანგებოდ გამოგზავნილმა პირმა.[1] საპასუხო წერილი ილია ჭავჭავაძემ სტუდენტებს 5 აპრილს გაუგზავნა. სტუდენტებს უპასუხა გიორგი წერეთელმაც.

გიორგი წერეთლის აზრით, ზოგიერთი შემოკლების შემდეგ დეპეშა აუცილებლად უნდა გაგზავნილიყო მთელი ქართველი სტუდენტების სახელით და აღნიშნავდა: „ვაი საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას, რომ ამ დროში მას არ შეუძლია უფრო ნამდვილი საქმით მიეშველოს დაჩაგრულ ხალხს, გაგზავნოს საბერძნეთს თავისუფალი რაზმი ქართველთა მებრძოლთა. თქვენი თანაგრძნობის წერილი ჩინებულია და დიაღაც უნდა გაგზავნოთ“.[2]

ილია ჭავჭავაძის პასუხი, რომელიც 5 აპრილსაა დაწერილი, განსხვავებული აღმოჩნდა.[3] ერთი მხრივ, იგი მიესალმებოდა სტუდენტთა სურვილს: „ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერ და ყოვლად თავსმოსაწონებელს გულთაძვრას და გასამხნევებლად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“. მაგრამ, ამავე დროს, სტუდენტებს სთხოვს, რომ პატიოსან გულთაძვრას ცივი ანგარიში დაუყენონ წინ – სტუდენტურ გატაცებას ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის, ბერძნებს კი დეპეშა ბევრს არაფერს არგებდათ. ამიტომ სტუდენტებს ურჩევდა: „ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი

---

[1] პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1961, № 11, გვ. 119.

[2] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 35.

[3] ჩვენამდე მოღწეულია ილია ჭავჭავაძის წერილის შავი ვარიანტი და საბოლოო ტექსტიც, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ილიას წერილზე ბევრი უფიქრია და გადაწერის დროს წერილის ტექსტი გადაუმუშავებია და შეუვსია (პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1961, № 11, გვ. 122).

დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი, თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი“.



ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს (1821-1829) საბერძნეთის დამოუკიდებლობა მოჰყვა, მაგრამ კრეტა ოსმალთა ხელში დარჩა. ამის შემდეგ კუნძულზე რამდენჯერმე მოხდა აჯანყება საბერძნეთთან შეერთების მოთხოვნით. 1896 წ. მაისში კრეტაზე კვლავ დაიწყო აჯანყება. დიდი სახელმწიფოები, პირველ რიგში, ინგლისი, კრეტის საბერძნეთისთვის შეერთებას მხარს არ უჭერდნენ. რუსეთი ამის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ არ უნდოდა საბერძნეთის ჩრდილოეთისკენ გაფართოება. 1897 წლის მაისში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ჩარევამ საბერძნეთ-ოსმალეთის ომი შეაჩერა. 1898 წ. თურქეთმა კრეტადან ჯარი გაიყვანა, კრეტამ ავტონომია მიიღო და იქ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია) ჩადგნენ. 1908 წ. კრეტის ბერძნულმა ადმინისტრაციამ თურქეთის შიდა არეულობით ისარგებლა და კუნძულის საბერძნეთთან შეერთება გამოაცხადა. საბერძნეთმა ეს შეერთება 1912 წელს სცნო.

ილია ჭავჭავაძის ეს პასუხი სტუდენტობას პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ ს. ფირცხალავამ გააცნო.

1901 წელი: პროტესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების საზეიმოდ აღნიშვნის გამო

პეტერბურგში მყოფმა პატრიოტულად განწყობილმა ქართველმა სტუდენტებმა თავისი პროტესტი გამოხატეს საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 100 წლისთავის ზეიმის გამო.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი გრიგოლ ნათაძე იგონებდა ივანე ჯავახიშვილთან თავისი ურთიერთობის თაობაზე: „შევხვედრივართ ერთმანეთს საზოგადოებრივ მუშაობაში და კარგადაც გვიმუშავნია. მაგ., 1901 წელს, მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, იმართებოდა დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. ჩვენ, სტუდენტებს, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა ეს და რუსეთიდან წერილებს ვწერდით თავადაზნაურობას, რომ პროტესტს ვაცხადებთ ამის გამო. მერე აქ რომ ჩამოვედით, თავადაზნაურობის წინამძღოლმა დაგვიბარა, პროფ. ჯავახიშვილიც იქ იყო, მეც იქ ვიყავი, აგრეთვე კაკი წერეთელი, ერთი ფრონტი გვქონდა მაშინ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი გარკვევით წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობის, რა თქმა უნდა, ნაციონალურ ნიადაგზე იდგა“.[1]

საქართველოს რუსეთთან „შეერთება“ 1901 წლის 24-29 სექტემბერს იზეიმეს, რომელსაც რუსეთიდან ჩამოსული სტუმრებიც მრავლად დაესწრნენ. იმპერატორმა თავისი რესკრიპტით თავადაზნაურობა დააჯილდოვა, თუმცა ამ ჯილდომ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. გიორგი ლასხიშვილის მოგონების თანახმად, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი, ზეიმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, დავით მელიქიშვილიც უკმაყოფილო დარჩა „რესკრიპტით“ – საქართველოსთვის მოელოდა ერობის (ადგილობრივი თვითმმართველობის) შემოღებას, ან უნივერსიტეტის გახსნას, კიდევ რაიმეს ქართველი ერისთვის, „ნამდვილად კი რესკრიპტით თავად-აზნაურობას ებოძა კადეტთა კორპუსი და რაღაც

[1] ციტ.; გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., თსუ, 1999, გვ. 28.

გროშები. დამახასიათებელია, რომ მელიქიშვილს მაინც მტკიცედ სწამდა, მეფე აქ არაფერ შუაში იყო, ყველაფერში დამნაშავე „კედელი“, განსაკუთრებით კი კავკასიის მთავარმართებელი, თავადი გოლიცინი იყო, „იმის ჩაგონებით არის დაწერილი ეს რესკრიპტიო“, – გაიძახოდა განრისხებული მელიქიშვილი.[1]

ქართველი ახალგაზრდობის ნაწილმა დიდხანს იმსჯელა, პროტესტი რითი გამოეხატათ და ბოლოს არჩილ ჯორჯაძემ პროკლამაცია დაწერა, დაბეჭდეს, გაამრავლეს და გაავრცელეს ხალხში.

ილია ნაკაშიძემ (ილიას დიდი მეგობრის, პეტრე ნაკაშიძის შვილი), რომელიც ცნობილ რუს მწერალთან ლევ ტოლსტოისთან ახლოს იყო, მას მისწერა წერილი, სადაც აღწერდა, რა სამარცხვინოდ აზეიმეს საქართველო თავისი დამონების მეასე წლისთავზე და რომ ქართველი ხალხი არათუ მონაწილეობდა ამ ზეიმში, პირიქით, პროტესტს გამოთქვამდა თავსმოხვეული მონობის ზეიმის გამო.

ილია ნაკაშიძე წერდა ლევ ტოლსტოის, თავისი ავტორიტეტული სიტყვით მსოფლიოს წინაშე მხარი დაეჭირა ქართველთა სამართლიანი გულისწყრომისთვის. ნაკაშიძემ ტოლსტოის პასუხი მიიღო. იწერებოდა, თანაგიგრძნობთ, მაგრამ ახლა ამის გაკეთება არ შემიძლია და, იქნებ, შემდეგში მოვახერხო რამეო. არც არაფერი მოუხერხებია...

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე მწვავედ აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურობას მეფის რუსეთისადმი ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობების გამო. მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი შეესწრო ილია ჭავჭავაძის და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის დავით მელიქიშვილის საუბარს, რომელშიც ასევე ილია წინამძღვრიშვილიც მონაწილეობდა. „მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამამახსოვრდა. მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყვედურა, თავადაზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდიო.

- სასიხარულო არაფერია, – მიუგო ჭავჭავაძემ, – საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები (1885-1915), ტფილისი, 1934, გვ. 143-145.

- ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, – გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჭავჭავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

- გარდა ამისა, – სთქვა ჭავჭავაძემ, – ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გაღმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია... ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერ-მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება“.

თბილისში აღმართული ტრიუმფალური თაღი, საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 100 წლისთავის გამო

1907 წელი: ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის შეხვედრა პეტერბურგში

1906 წ. 8 აპრილს, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ილია ჭავჭავაძე აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად. ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს პირველი ქართველი წევრი იყო. საბჭოში ილია მიემხრო მემარცხენეთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ უმთავრესად პროფესორები და პროგრესული მოღვაწეები.

ილია ჭავჭავაძეს პეტერბურგში მოუხდა გამგზავრება, სადაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: სახელმწიფო საბჭოში თავად-აზნაურობამ ამირჩია, მაგრამ „საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“.[1]

ცნობილ ქართველ ისტორიკოსს ქრისტეფორე რაჭველიშვილს ივანე ჯავახიშვილმა მოუთხრო ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრის შესახებ: პროფ. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, პეტერბურგს ილიას ჩასვლისას იქაურ ქართველთა წრეს გაუმართავს ილიას პატივსაცემად შეხვედრა-ბანკეტი“. ამ ბანკეტს, ივანე ჯავახიშვილის გარდა, დაესწრნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გ. ერისთავი (მაშინ უკვე ცნობილი ვექილები პოლიტიკურ პროცესში), ა. ერისთავი, ს. ვირსალაძე და სხვანი. ლ. ანდრონიკაშვილმა ილიას მიმართა ჩინებული სიტყვით. ილიამაც უპასუხა საკმაოდ ვრცლად. ივანე ჯავახიშვილს კარგად დაამახსოვრდა ილიას პირველი ფრაზა: „ქართველები ბედოვლათები ვართ ქებაშიაც და ძაგებაშიაცო“. აქ, ილია, უეჭველია, გულისხმობდა ქართული პრესის ერთი ნაწილის ლაშქრობას მის წინააღმდეგო.[2]

ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჩანს, ხშირად ხვდებოდა. 1907 წელს ერთ-ერთი შეხვედრისას ილია ჭავჭავაძეს ივ. ჯავახიშვილისთვის უთქვამს: მე გადაწყვე-

[1] მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, „განათლება“, 1908, №3-4.
[2] ქ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, სახელგამი, 1937, გვ. 106.

ტილი მაქვს, დავწერო წიგნი კოოპერაციაზე და საამისო მუშაობას უკვე შევუდექი. მე მაინტერესებს, იყო თუ არა ამის მსგავსი რამ ჩვენს წარსულშიო. როდესაც ივ. ჯავახიშვილს უპასუხნია, რომ საამისო ისტორიული ფაქტები საკმაოდ მოიპოვება, ილიას უთხოვნია: იკისრეთ თქვენ ამ საერთო წიგნისთვის ისტორიული ნაწილის დაწერაო. ეს ყოფილა 1907 წ. ზაფხულს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი დათანხმებულა ხსენებული შრომის შესრულებას, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ილია მოკლეს ქართველი ხალხის მტრებმა.[1]

დანართები

დანართი 1. ილია ჭავჭავაძე „დაცემული ვინაობის“ აღდგენის შესახებ

„თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში – ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა

[1] ქ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, სახელგამი, 1937, გვ. 84.

ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენის დაცემულის ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ...

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის, კაცმა დაისწავლოს პარი-

ზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯ-საც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ და-აჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფო-ბენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, – ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარ-მა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფი-ცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებ-ში თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი“.[1]

დანართი 2. სტუდენტთა წერილი გაზეთ „ივერიის“ რედაქ-ციას და ილია ჭავჭავაძის პასუხი

„ივერიის“ რედაქციას

22 მარტი, 1897 წ.

პეტერბურღი

„კრიტოსი და საბერძნეთი“! გაისმის ერთგან, – „კრიტოსი და ოსმალეთიო“! გაისმის სხვაგან და ბოლო დროს მთლად დედამიწის

[1] ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, საქართველოს მატიანე, თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გა-მომცემლობა, 1955, გვ. 95-98.

ზურგი, განათლებულ ევროპიდამ მოკიდებული, მხოლოდ იმის გონებაშია, თუ ერთის მხრით შევიწროებულ, მაგრამ სულით ძლიერთა კრიტოსელთა, მასთან ბერძენთა, და, მეორის მხრივ, თავხედ და შეუგნებელ ოსმალთა საქმე რით დაბოლოვდება. კრიტოსელნი და ბერძენნი – ეს განუყრელნი ძმანი, რომელთაც ესოდენ დიდი ძალა შესწევთ, რასაკვირველია, სულიერი და არა სხვა (თორემ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯარებს რა გაუმაგრდებოდა?), საგმირო მოედანზედ გამოსულან, ევროპის წინაშე ეროვნული თავისუფლების დროშა აუმართიათ და საყოველთაოდ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი ეცით“-ო! ამათ თანაუგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი, ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევებს და აათკეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლებისა მიმართ, რომლის პატივიც შეუგნებელმა და ბარბაროსმა ოსმალომ ჯერ არ იცის. მაგრამ საზოგადოების აზრს პოლიტიკის ბორკილი ადევს და ხელ-ფეხი შეკრული აქვს. უკეთესს მდგომარეობაში არც ევროპის სახელმწიფოთა მმართველნი არიან, გარდა ერთისა!... და ვგონებთ, სწორედ ის ერთია მხოლოდ მიზეზი, რომ დღეს დიდი სახელმწიფონი სასაცილო თვალხუჭიანობას თამაშობენ. იმავე დროს კი საზოგადოების აზრი, სინიდისი და სამართლიანობა მოსვენებას არ აძლევენ! ერთი სიტყვით, დღეს მთელი ევროპის თანაგრძნობა მიმართულია საბერძნეთისაკენ, რომელიც ეროვნულს პრინციპს, შევიწროებულ ერთა თავისუფლებას საქვეყნოდ აღიარებს და მაგალითს გვიჩვენებს, თუ თავგანწირვა და სიკვდილი როგორ უნდა ამ საქვეყნო მადლის სადიდებლად.

დიდს სახელმწიფოებს, რომელთაც ერთის დამთქნარებით შეუძლიათ საბერძნეთის მიწასთან გასწორება, ამ საზარელს ვეშაპთ ბრძოლის საქმეებში არ უშინდებიან ბერძნები და წარბშეუხრელად იმეორებენ: „ერი ერს ან არა და სიკვდილი“-ო! შემკრთალნი მთავრობანი ამ სამართლიანის მცნების წინაშე მორცხვენით ღუნავენ თავს და ჯერჯერობით მხოლოდ უაზროდ აფათურებენ ხელებს; კრთიან, მაგრამ სულ სხვა მიზეზით... აზრი საზოგადოებისა უკვე ცნობილია და ამ აზრს უერთდება ყველა, ვის ყურამდის კი კრიტოსის შვილების ამბავს მოუხწევნია. ამ დიდებულს ხმას ერთა თავისუფლებისას ბანს აძლევენ ყველა ისინი, ვინც კრიტოსელთაებრ სხვის უღლისა ქვეშ ქედს იხრიან. მაგრამ მოვა დრო და ევრო-

პა სულ სხვა სამართლის გზას დაადგება და აღიარებს ერთა თავისუფლებას.

ამის გამო პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა გარდავწყვიტეთ: გავუგზავნოთ ბერძნებს (ათინელ სტუდენტობას) თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა და ამით ნათელ ვჰყოთ, რომ ჩვენთვისაც ისე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელებისათვის. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა, დაგკითხებოდით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საგნის შესახებ, და მეორეც, უკეთესი იქნებოდა, მთლად ყველა ქართველი სტუდენტებისაგან გაგზავნილიყო ასეთი თანაგრძნობის წერილი. ჩვენ სტუდენტებისაგან პასუხს მალე შევიტყობთ; გთხოვთ, თქვენც ნუ დაგვიგვიანებთ პასუხს. ამასთანავე გვაცნობეთ, რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთ საგნის გადაწყვეტის დროს. ეს ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა.

ამასთან გიგზავნით პირს იმ წერილისას თუ დეპეშისას, რომელიც განზრახულია გაიგზავნოს.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა.

პასუხი ამ ადრესით: СПБ, Екатерингофский пер. 15, кв. 6, ვიქტორ კალანდაძეს.

პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1961, № 11, გვ. 120-121.

ილია ჭავჭავაძე, წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

5 აპრილი, 1897 წ.

ქ. ტფილისი

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არადამსახურებულ პატივის-ცემისათვის, ხოლო ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით, ყოვლად პატიოსანი გულთა-ძვრა თქვენი დამიდგა თვალწინ, გულთა-ძვრა საქვეყნო, გულთა-ძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღა-

დის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილ-შობილებით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი, ქებ-ა-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერსა და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და განსამხნევებელად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას. კაცთა საუბ-ედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომ-ლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთი-სა. შეიძლება-ღა ამაზე უდიდესი მაგალითი! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართვლის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნო-ბით, კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთ-ვლის. ძნელია, კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ად-ამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთ-ნადე-ბი არ მოგახსენოთ გულახდილად. ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, რა ხართ თქვენ, უმაღ-ლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის ავ-ბედი-ანის ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზე დარჩეს? აშკარაა, იგი, რაც

თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება **ვისაც ჯერ არს** და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა. გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიჩნდა – და ამ დროს რომ მიზეზი რამ მივცეთ, მთავრობა ჩვენზე ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და, მაშასადამე, ბედი თქვენის ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის და გულთა-თქმის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა.

კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა. არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ერჩოდეს, არ ეძროდეს ყოველ პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის ვერ გავწირავთ ვერარას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ. ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელითა: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხევთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებასა, ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ

ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლოა და მეორე მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარიც არ არის, ჩვენთვისვეა საჭირო და იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარ-ხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანმიღებული. უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. **გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი.**

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჭავჭავაძე

პავლე ინგოროყვა. ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1961, № 11, გვ. 123-125.

დანართი 3. გრიგოლ რობაქიძე. ივანე ჯავახიშვილი

1907 წელს საქართველოს დედა ქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანადასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული. სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი, უბადო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად იფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი – რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული. მორიდებული უფრო, ვიდრე უკარე-

ბელი. შინაგან შეკვრივებული და არა გულჩათხრობილი – უდრეკი, ურყევი – რათგან მტკიცე და მყარი. მაგარი, როგორც კუნძი და უღრუო, ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი“: არდამთმობი ერთხელ აღებული გეზისა. ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა – სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება – ალბათ, ცდილობს: არც მეტი თქვას და არც ნაკლები. არც ერთხელ ხმის ამაღლება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი, დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას – და გრძნობენ თანდათან: რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ანუ უკეთ: რაღაც იმართება. ასე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს. თავდება მოხსენება. მსმენელნი აფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მოურავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქო ჰსურს, გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია.

* * *

გადის რამოდენიმე თვე. საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის“ სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. და აი, წიწამურის ველიდან ვლინდება დღითიდღე, კიდიდან კიდემდე მთელს საქართველოს არეში ეს უხილავი, ხოლო ცხადზე უცხადესი ძალა – ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული. ყოველ ქართველ-

ში, რომელშიაც ღვივის კიდევ, ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჰუს თესლისა, ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო – იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით. ხოლო ერთი კაცი, რომელიც მთელი თავისი არსით საქართველოს საუკუნოებში გაწვდილ წიაღშია გადასული, ალბათ, ყველაზე უფრო ღრმად განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას. ეს კაცი უთუოდ ივანე ჯავახიშვილია. სიხარული, ილიას გახარებით შობილი, ახლა მისთვის „კურთხევად“ იქცევა, ხოლო კურთხევა მოწოდებაა და დანიშნულება.

ილია იღვწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევამიღებული სწავლული ხედავს ახლა ნათლივ: მან უნდა განაგრძოს ეს გზა, მეტად მძიმე, გარნა მეტადვე საშური, მაგრამ როგორ? ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე. გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს – იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფობის აღდგენას. ეს არის ახლა მისი უღრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს, გაიგო, „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო, „ვინ იყავ“. გინდა, იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო, „რა განვლე“. „საითკენ?“ მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“. ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა, იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავალისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას. უამრავი სიძნელენი იმართებიან მის წინ: ევროპაში ისტორიული კვლევა გაადვილებულია: სწავლულს აქ ყოველი დარგი გაკაფული ხვდება წინ: ყოველი მასალა დალაგებული. ჯავახიშვილი კი თითქმის ყველაფერს პირველად უნდა შეეხოს. იგი მაინც იმედნეული იკაფავს გზას, იშველიებს რა ყოველგვარ საჭურველს სიძნელეთა დასაძლევად. იგი სწავლობს ევროპასა და რუსეთში: ენებს, როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთისა, პალეონტოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ხუროთმოძღვრებას – და კიდევ რას? დრო და დრო მოკლე ნარკვევებსაც აქვეყნებს, ხოლო ყოველი ეს ჯერ კიდევ მზადებაა მხოლოდ და მასალასთან მიახლოვება.

* * *

იწყება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს: ვინ იცის, ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგუნოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველისა – როგორც ქართველის. თავდადებულთა ერთი მცირე ჯგუფი ცდილობს, დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი, რათა **ამ შეგნებას ქვაკუთხედი აუგოს.** ამ ჯგუფის თაოსანი და სულის ჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილია. სიძნელე სიძნელეს მოსდევს, ხოლო ენერგია თავგამოდებულთა კიდევ უფრო მატულობს. და, აი, როცა 1918 წელს, 26 მაისს საქართველო თავის თავს განთავისუფლებულად აცხადებს, მის ხელმწიფებას უკვე ამართული აქვს შინაგანი სიმაგრე: უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ჩაუქრობი კერა.

* * *

იწყება დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა. ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჯავახიშვილია. თავგანწირვით, რომელიც უმაგალითო თუ არა სამაგალითო, აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს: აგროვებს საქართველოს ყოფიდან ყოველგვარ მასალას – ძველ ხელნაწერს, ნახატს, ნახაზს, გადმოცემას, სიგელს – და კიდევ რას? აგროვებს მასალას, არჩევს, იკვლევს და ალაგებს მას. ხოლო მასალა უფრო და უფრო ხვავდება. ჯავახიშვილი ახლა იკრებს მთელს ჯგუფს ახალგაზრდა მკვლევართა, თანამშრომელთა და დამხმარეთა. ჩაღდება უმაგალითო მუშაობა. **„ქართველი ერის ისტორია“** – მთავარი შრომა ჯავახიშვილისა – იზრდება თანდათან, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს არაა ჩვეულებრივი „ისტორია“, იგი უფრო ენციკლოპედიაა. ყველაფერია აქ განხილული: ქართველთა წარმოშობა, ნათესავ ტომთა ერთ ერად ქცევა და ჩამოსხმა, ქართული ენა, ნივთიერი და სულიერი კულტურა საქართველოსი, ხელმწიფების დგენა და განმტკიცება მისი, ბედი თუ უბედობა, მარჯი და მარცხი – ყველაფერია აქ განხილული. და მერე როგორ? აიღეთ ნიმუშად განხილვა ქართული სიტყვისა

„მზე“, რომელსაც ამ შრომაში თითქმის სამი გვერდი უჭირავს. ეს განხილვა სწორუპოვარი ცდაა ენის შინაგანი დენის, მისი მითიურ-მსახიერებელი ცნებისა. და ასე ყველგან, ყოველ დარგში. დროდადრო იგი ამ ნაშრომს სხვადასხვა ნარკვევით ავსებს და ამაგრებს. იგი იკვლევს: ქართულ სამართალს, ქართულ ეკლესიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მხატვრობას, ქართულ მუსიკას, გეოგრაფიას, დამწერლობას, არქეოლოგიურ ნაშთებს – და კიდევ რას? ქართულ მევენახეობასაც კი! და მერე: რა სიყვარულით და გულმოდგინებით! არ დარჩენილა არც ერთი ლერწი, რომელიც მას „რაობის“ მიხედვით არ განეხილოს. არ დარჩენილა არც ერთი მტევანი, რომელიც მას „თვისების“ მხრით არ განეხილოს. მტევნის მარცვალიც რაა – მისი მნიშვნელობაც კი აქვს გაშუქებული. და ასე ყველგან, ყოველ დარგში.

* * *

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნაკვლევში – აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა – მონივთულია „ცხოვრებაი ქართლისაი“. დიახ, „მონივთული“. ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მარტავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად: აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა, ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ“ თავგადასავალში საქართველოისა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად. მაშინ დაფასდება იგი საბოლოოდ, როგორც მკვლევარი-წინამორბედი, ხოლო ჩვენთვის დღესაც ნათელია ერთი რამ: ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული: და ამით უკვდავ ჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში.

ბერლინი, 1944

P. S. ზემოხსენებულ მოხსენებას ჯავახიშვილისა მე არ დავსწრებივარ: იმ ჟამად უცხოეთში ვიყავ. თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე, ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ

ვალერიან გუნიასაგან. სხვათა შორის, უკანასკნელი უზომო თაყვანისმცემელი იყო ილიასი, რომლის სახელს იგი იცავდა როგორც თავდადებული რაინდი.

გ. რ.

დანართი 4. ივანე ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ფრაგმენტები)

... ილიას არა ერთხელ, მაგ., თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა“, რომელსაც, „აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ... თავისი ისტორია არ ახსოვს“-ო (V, 207).

1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოსი“-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგოსანი კვლავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არა ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ“, მაგრამ, ილია ჭავჭავაძის აზრით, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება“. ჩვენი მგოსნის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში“-ო (V, 240). „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ“ (V, 240).

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო (V, 207).

ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

მაგრამ **ჩვენ დაუვიწყარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა...**

რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი, მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია, გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა...

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს“-აო (V, 207).

საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა... მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილ. ჭავჭავაძეს გიორგი სააკაძის პიროვნებაც...

თავი 2. პირველი სამეცნიერო ნაშრომების პოლიტიკური კონტექსტი

ივანე ჯავახიშვილის პირველივე სამეცნიერო ნაშრომებში კარგად ჩანს მისი სამეცნიერო და მოქალაქეობრივი პოზიცია. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორია უნდა დაწერილიყო მეცნიერული ობიექტურობით და კეთილსინდისიერებით. ასეთი ისტორია, პირველ რიგში, იმდროინელ საქართველოს სჭირდებოდა და დახმარებას გაუწევდა მის წინაშე მდგომი საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში.

თავიდან ისე მოხდა, რომ ივანე ჯავახიშვილის პოზიცია საქართველოში ყველამ ვერ გაიგო და სათანადოდ ვერ დააფასა. ივანე ჯავახიშვილს მხარდაჭერასა და ქებაზე მეტი კრიტიკა შეხვდა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია ახალგაზრდა ისტორიკოსის თვალსაზრისზე.

2.1. ისტორიული სიმართლის დადგენა - მეცნიერების უზენაესი მიზანი

ივანე ჯავახიშვილის პირველ სამეცნიერო ნაშრომს წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის შესახებ, რომელიც სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში და ბევრი არ შეხვდა მოწონებით. პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო თემაზე, 1898 წლის 15 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილმა წარადგინა თავისი ნაშრომი – „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“. მესამეკურსელი ივანე ჯავახიშვილი საეჭვოდ მიიჩნევდა მრავალ დებულებას, რომელიც უპირობოდ იყო აღიარებული ქართული ეკლესიისა და იმ დროს ცნობილი ქართველი ისტორიკოსების მიერ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქული არასდროს ყოფილა საქართველოში და ცნობები ნინოს მშობლებისა და აღზრდის შესახებაც მოგვიანებით იყო შეთხზული.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ მეცნიერული ანალიზი

ივანე ჯავახიშვილმა ქართული და უცხოური წყაროების შეჯერების საფუძველზე ეჭვქვეშ დააყენა შატბერდისეულ კრებულში შესული „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ გადმოცემული რიგი ცნობები. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, ტექსტი არ წარმოადგენდა ნინოს ნაამბობს და მისი თანამშრომლების მიერ ჩაწერილს. ამას ამტკიცებდა ნინოს შთამომავლობის, დაბადების, აღზრდის წლების მიმოხილვით. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა რაიმე ისტორიული მონაცემები, რაც დაადასტურებდა ნინოს მამის, როგორც გამოჩენილი მთავარსარდლის, ხოლო ბიძის, როგორც პატრიარქის, არსებობას. ამასთან, მე-4 საუკუნეში იერუსალიმში პატრიარქობა ჯერ დაწესებული არ ყოფილა. ჯავახიშვილის დასკვნით, „წმინდა ნინოს ბიძის სახელწოდებაც, თანამდებობაც, თავგადასავალიც მოგონილი და შეთხზული“ უნდა ყოფილიყო. ივანე ჯავახიშვილს ასევე არადამაჯერებლად მიაჩნდა ნინოს ცხოვრების დაკავშირება რიფსიმესა და გაიანეს ცხოვრებასთან.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, „ჩვენშიაც ყოფილა ის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელსაც ყალბსათაურიანი, ანუ ფსევდოეპიგრაფიკული მწერლობა ეწოდება და რომელიც ყველგან გავრცელებული იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. შატბერდისეული წ-ა ნინოს ცხოვრება ეკუთვნის სწორედ ფსევდოეპიგრაფიკულ მწერლობას“.

ივანე ჯავახიშვილი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი წყაროების ანალიზის საფუძველზე სკეპტიკურად უყურებდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების საკითხსაც. „ახლა შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ ქართველობას მეცხრე საუკუნემდის ანდრიას იბერიაში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ არა სცოდნია რა“. თქმულება ანდრიას მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ ბიზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა. საქმე ისაა, რომ ეკლესიის თვითმმართველობისათვის აუცილებელი იყო, ერთ-ერთ თორმეტ მოციქულთაგანს გაევრცელებინა ქრისტიანობა ამა თუ

იმ ქვეყანაში. ამ გზით ქართული ეკლესია თვითმმართველობაზე თავის უფლებას ამტკიცებდა. მე-12 საუკუნეში რუის-ურბნისის კრების დროს ანდრიას საქართველოში ქადაგება უკვე უდავო ფაქტად განიხილებოდა.

„ვარღვევთ რა და უარვყოფთ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებას, – დასძენდა ივ. ჯავახიშვილი, – ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არა გვსურს, რომ ქრისტიანობა საზოგადოდ საქართველოში პირველ საუკუნეებში არ ვრცელდებოდა“. ამის დასამტკიცებლად ივანე ჯავახიშვილს საჭიროდ მიაჩნდა უფრო სანდო საბუთების მოძიება.

პატრიოტიზმი და ისტორიული სიმართლის დადგენა

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა ლამაზი პატრიოტული გადმოცემის გაბათილებით დაიწყო. მე-3 კურსის სტუდენტმა უარყო ის, რაც ათასი წლის მანძილზე უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა და მას აღიარებდნენ ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსებიც – აკადემიკოსი მარი ბროსე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე და სხვები.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიული თქმულებების დაუნდობელ მხილებასთან ერთად აღნიშნავდა, რომ ისტორიულად ამ თქმულებებმა დადებითი როლი შეასრულეს: „ერთ დროს მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ: არაერთხელ და ორჯერ სამშობლო ეკლესიის თვითმმართველობის უფლების დაცვისა და მაჰმადიანთა საზარელი ბატონობის დროს ამ თქმულებებს ხალხისათვის რწმენა განუმტკიცებიათ, მიუციათ სულგრძელობა და ცხოვრების ტანჯვის ატანა გაუადვილებიათ... ეხლა – დრო იყო ეს თქმულებები მეცნიერებას შეესწავლა და თავისი პირუთვნელი და მიუდგომელი მსჯავრი გამოეთქვა“.

ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომი ქართულად 1900 წელს გამოქვეყნდა (ჟურნალი „მოამბე“,№ 5 და 6) და გარკვეული წრეების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებაც მოჰყვა. მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი აღნიშნავდა: „სწორე გითხრათ, მამა-პაპათა „ზღაპრობას“ ჩვენ, ხშირად, უფრო

ვუჯერებთ, ვიდრე ზოგიერთ სწავლულების მეცნიერებას. ბ. ჯავახიშვილის „ანდრია პირველწოდებული“ კი ხომ, როგორც დავინახეთ, ვერავის გზას ვერ გაუკვლევს და ვერც შეცდომას ააცდენს, ვინაიდგან თვით იგი უფრო სხარტულას ჰგავს, ვიდრე მეცნიერულს გამოკვლევას. სხარტულით არ შეიძლება მამა-პაპათა მრავალსაუკუნოვან რწმენა-გადმოცემის სხვერტა, სხეპა, გაქარწყლება“.[1]

ივანე ჯავახიშვილის მშობლებს ეუბნებოდნენ, რომ ნიკო მარის გავლენით მათი შვილი ანტიპატრიოტულ პოზიციაზე იდგა. 1898 წლის 22 ოქტომბერს აფორიაქებული მამა ივანეს წერდა: „შვილო, როგორც მამა, გირჩევ შენი საკუთარი და ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“. იმავე წელს დედა სწერდა: „ამ გაზეთებმა ლამის გამაგიჟოს, რას არ წერენო“.[2]

ივანე ჯავახიშვილი გრძნობდა შექმნილ უხერხულობას, მაგრამ მისთვის ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარ მიდგომას შედეგად მოჰყვა ისტორიული წყაროებისადმი გულუბრყვილო-მოწიწებითი დამოკიდებულების მსხვრევა, ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალის მთელი სიმკაცრით გაწმენდა და საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლის საფუძვლის ჩაყრა.

2.2. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია „საცდელ ლექციებში“

ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკური პოზიცია კარგად ჩანს მის პირველ ლექციებში, რომლებიც მან 1902 წლის ნოემბერში სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტის თანამდებობის მოსაპოვებლად წაიკითხა.[3]

ახალგაზრდა მეცნიერმა, რომლის სპეციალობაც საქართველოს ისტორიის შესწავლა იყო, ანუ უფრო ზოგადად რომ ვთქვათ,

---

[1] ქართული მწერლობა, წიგნი 4, 1909, გვ. 108.

[2] ციტ.: სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 48.

[3] პრივატ-დოცენტის თანამდებობის შესახებ იხ. სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 69-71.

მომავალმა ისტორიკოს-ორიენტალისტმა, გააკრიტიკა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის უგულებელყოფა, რასაც მაშინ ბევრი ცნობილი დასავლეთევროპელი მეცნიერი აკეთებდა.

„აღმოსავლეთის ხალხების“ ისტორიის შესწავლაში ივანე ჯავახიშვილი გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთს, რომლის ნაწილიც ისტორიულად იყო საქართველო და სომხეთი, ასევე ბიზანტია და ირანი. ამ უგულებელყოფას საფუძვლად ედო იმდროინდელ ევროპაში რიგი მეცნიერების (გ. როულინსონი, მ. დუნკერი, ფ. ლენორმანი, ე. მაიერი და სხვ.) მიერ გაზიარებული ჰიპოთეზა აღმოსავლეთის ხალხების ისტორიული „გაყინულობის“ შესახებ. თავის მხრივ, ეს ჰიპოთეზა გამომდინარეობდა რასობრივი თეორიიდან და მის საფუძველზე შექმნილი ისტორიის ევროპოცენტრისტული კონცეფციიდან.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ივანე ჯავახიშვილის **საპროგრამო გამოსვლა,** რომელშიც ავტორი ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ აღმოსავლეთშიც ისტორიული განვითარება დასავლეთ ევროპის მსგავსად მიმდინარეობს. ივანე ჯავახიშვილი თავისი მომავალი სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სწორედ ზემოთქმულის დასაბუთებას მიიჩნევდა.

ივანე ჯავახიშვილის საცდელი ლექციები შეუმჩნეველი დარჩა იმდროინდელ ქართულ პრესას, რომელიც ინტერესით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა მეცნიერის პირველ ნაბიჯებს. გაზეთი „ივერია“ მხოლოდ 1903 წელს იუწყებოდა: „როგორც პეტერბურგის გაზეთები გადმოგვცემენ, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტი თავ. ი. ა. ჯავახიშვილი შემოდგომიდან შეუდგება ლექციების კითხვას: წაიკითხავს „ფეოდალებისა და მეფის ბრძოლის ისტორიას საქართველოში“.[1]

საცდელი ლექციები

პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტის თანამდებობის მოსაპოვებლად, იმდროინდელი წესის თანახმად, ივანე ჯავახიშვილს დაენიშნა სანიმუშო ლექციები. 1902 წლის 1 ნოემბერს

[1] როგორც პეტერბურგის გაზეთები გადმოგვცემენ – „ივერია“,№146, 1903 წ., 6 ივლისი, გვ. 2.

ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია თვით მის მიერ არჩეულ თემაზე „ქართული ეკლესიის რეფორმა XI საუკუნეში“,[1] ხოლო 18 ნოემბერს ფაკულტეტის მიერ მიცემულ თემაზე: „სტეფანოზ ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისათვის“.

ივანე ჯავახიშვილის შესახებ არსებულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სწორედ ამ მეორე ლექციის ტექსტი 1960 წელს პირველად გამოაქვეყნა სიმონ ყაუხჩიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის მე-5 გამოცემაში (1960 წ.).[2] ს. ყაუხჩიშვილი ამ ნაშრომის შესახებ შენიშნავდა: „ივ. ჯავახიშვილის შესავალი ლექცია, წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში 1902 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მან მოიპოვა პრივატ-დოცენტის წოდება და პირველად შეუდგა „საქართველოს ისტორიის“ კურსის კითხვას. ეს ლექცია, დაწერილი რუსულ ენაზე, აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში. განსვენებულ აკადემიკოსს გადაწყვეტილი ჰქონია ამ ლექციის ტექსტის გამოქვეყნება ქართულ ენაზე და დაუწყია კიდეც მისი თარგმნა. პირველი გვერდნახევარი (სიტყვებამდე: „დანარჩენ მეცნიერებისათვის“, გვ. 390, სტრ. 14 ზევიდან) ნათარგმნია თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ, ხოლო დანარჩენი თარგმნა უნივერსიტეტის გამომცემლობის დავალებით დოც. მაქსიმე ბერძენიშვილმა“.[3] შემდეგ ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშ-

---

[1] პირველი ლექციის ძირითადი ტექსტი დაიბეჭდა „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის“ 1904 წლის თებერვლის ნომერში სახელწოდებით: „საეკლესიო რეფორმის ისტორიისათვის ძველს საქართველოში, გიორგი ათონელი“. მისი ცალკეული დებულებები და ნაწილები შემდგომ შევიდა „ქართული საისტორიო მწერლობისა“ და „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში.

[2] ქართველი ერის ისტორია, 1960, ტ. 1, გვ. 389-400.

[3] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1960, ტ. 1, მე-5 გამოცემის შესავალი, გვ. X-XI. შემდგომში, ივანე ჯავახიშვილის შესახებ დაწერილ ნაშრომში სიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენამდე მოღწეულია შესავალი ლექციის დედანი რუსულ ენაზე (ის ჩვენ გადმოგვცა ივ. ჯავახიშვილის კაბინეტის გამგემ ნათელა ჯავახიშვილმა და დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის შრომათა პირველი ტომის დამატებად). ამ შესავალ ლექციაში, რომლის თემა არის „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები“, ივ. ჯავახიშვილი ახლებურად სვამს საკითხს აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის მეცნიერული საფუძვლებისა და ამოცანების შესახებ“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., „განათლება“, 1976, გვ. 19).

რომი შეიტანეს მისი თხზულებების თორმეტტომეულის მე-12 ტომში.[1]

ლექციის შინაარსს თუ გავითვალისწინებთ, ის ძალზე განსხვავდება იმისაგან, რისი წაკითხვაც ლექციის თემის მიხედვით დაავალეს. როგორც უკვე ითქვა, ფაკულტეტის დავალებით ივანე ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია თემაზე „სტეფანოზ ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისათვის“. ივანე ჯავახიშვილი მნიშვნელოვნად გასცდა დავალებულ თემას. სტეფანოს ორბელიანის თაობაზე აღნიშნულ ლექციაში საუბარია მოკლედ მის მეორე ნაწილში. „მონასტრებისადმი ბოძებული წყალობის სიგელები და ეკლესიათა კედლებზე დაცული წარწერები, რომლებიც შეჰკრიბა სტეფანოს ორბელიანმა, საკმაოდ გვირკვევენ, მაგალითად, იმას, თუ სომხეთში როგორი ურთიერთობა არსებობდა ეპისკოპოსთა და დიდკაცობას შორის ერთი მხრით, და გლეხობასა და ეპისკოპოსებს შორის მეორე მხრით“, – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი და ამ საკითხის გაშუქებას მხოლოდ ოთხ აბზაცს უთმობს.

ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექციის შინაარსიდან გამომდინარე, მას ეწოდა **„აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები“.**

საცდელი ლექცია მსმენელის თვალით

ივანე ჯავახიშვილის საცდელ ლექციას, გარდა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის პროფესორთა მთელი შემადგენლობისა, ბევრი ქართველი სტუდენტი დაესწრო არა მარტო სხვა ფაკულტეტებიდან, არამედ პეტერბურგის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდანაც. იმდროინდელი პეტერბურგელი სტუდენტი ა. ნ. ჩიჯავაძე შემდეგ იგონებდა:

„ლექციის მოლოდინში მგონია, უბრალო დამსწრეები უფრო ვღელავდით, ვიდრე თვით დებიუტანტი, ცოტა ხნის მოლოდინის შემდეგ აუდიტორიაში შემოვიდნენ მთელი ფაკულტეტის წამყვანი შემადგენლობა და მთავარი ფიგურა – ივანე ჯავახიშვილი. ეს იყო

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ., 1998, გვ. 53-63.

ჩვენი პირველი ნახვა ახალგაზრდა ისტორიკოსისა. გარეგანი შთაბეჭდილება კარგი დატოვა: შუატანზე ცოტა მაღალი, კარგი შესახედავი გარეგნობის, პატარა წვერი, ერთი სიტყვით, პირველი შთაბეჭდილება, ვიმეორებ, კარგი მოახდინა. ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და ლექტორმაც დაიწყო თავისი ლექცია. ლექცია არ იყო ზეპირად ნათქვამი, არამედ წინასწარ დაწერილი, რა თქმა უნდა, რუსულად და პირდაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით წაკითხული, სტუდენტები არ ვიყავით მიჩვეული წაკითხული ლექციის მოსმენას... მიუხედავად ამისა, ლექციის გათავების შემდეგ ლექტორი ტაშით დააჯილდოვეს როგორც პროფესორებმა, ისე სხვა მსმენელებმაც. ჩვენც, თავისთავად ცხადია, ტაში დავუკარით, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა ხმამაღლა არავისთვის გაგვიმხელია". მაგრამ ჩიჯავაძის სიტყვით, მალე ყველაფერი გაირკვა, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა კერძო ბინაზე ქართველი სტუდენტებისთვის საქართველოს ისტორიაში ლექციების კითხვა ქართულად დაიწყო. „რამდენადაც შესავალ ლექციაზე დასწრებისას გულდაწყვეტილი ვიყავით, იმდენად სიამოვნებით ვიღებდი იმის კერძოდ წაკითხულ მჭევრმეტყველობით და პოპულარულად შესრულებულ ლექციებს. ამ ლექციებს ესწრებოდა კარგად ბლომად სტუდენტობა და რამდენიმე იმ დროს პეტერბურგში მყოფი პირები, ჩამოსული თავის საქმეებზე".[1]

მცდარი ჰიპოთეზის წინააღმდეგ

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ იწყებოდა და ისტორიკოს-ორიენტალისტებს დახმარებას ვერ გაუწევდნენ ვერც დასავლეთის ისტორიის მკვლევრები, რომლებიც ევროპოცენტრიზმის პოზიციაზე იდგნენ და ვერც ისტორიის ფილოსოფია, სადაც „აღმოსავლეთს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე".[2]

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 83.

[2] ისტორიის ფილოსოფიასა და მეთოდოლოგიის სფეროდან ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა ერნსტ ბერნჰაიმის ნაშრომს – Ernst Bernheim. Lehrbuch der Historischen Methode und Geschichtsphilosophie. Leipzig, 1889. არსებობს ამ წიგნის ნაწილის რუსული თარგმანიც – Э. Бергейм. Введение в историческую

ივანე ჯავახიშვილის თქმით, მეცნიერები „ეჭვის თვალით უცქერიან, ათვალისწინებული ჰყავთ აღმოსავლეთი“, მაშინ დასავლეთ ევროპის ისტორიკოსთა უმრავლესობისთვის აღმოსავლეთი მუდმივი ჩამორჩენილობის სინონიმად ითვლებოდა.[1] ამასთან ასეთად მიიჩნევდნენ არა მარტო აზიის ხალხებს, არამედ „თვით იმ ევროპის ხალხთა ისტორიასაც, რომელნიც დასავლეთის კულტურაზე მოწყვეტილნი იყვნენ“. აქ ივანე ჯავახიშვილი, პირველ რიგში, გულისხმობდა საქართველოსა და სომხეთს.

უნდა ითქვას, რომ ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ივანე ჯავახიშვილი მარტო არ იყო. ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ მაშინ რიგი მეცნიერები აქტიურად ილაშქრებდნენ. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი პეტერბურგის უნივერსიტეტში ვ. როზენი (1849-1908) და ამ საკითხში ივანე ჯავახიშვილი სწორედ მას ემხრობოდა.[2]

თავის ლექციაში ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად ჩერდება მცდარ ჰიპოთეზებზე, რომლებიც აფერხებენ მეცნიერების განვითარებას. მისი თქმით, მთავარი ასეთი მცდარი ჰიპოთეზა **რასობრივი თეორია იყო** – „მოდგმის თავისებურებათა და რასის სულის ანუ რაობის განსაზღვრა“.

რასობრივი თეორიის თანახმად, კაცობრიობა სამ დიდ მოდგმად იყოფოდა: ინდოევროპულ, სემიტურ და მონღოლურ ხალხებად. ევროპაში მცხოვრებ ინდოევროპელი ხალხების დამახასიათებელ თვისებად მიიჩნეოდა „ლტოლვა-მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ“, ხოლო აღმოსავლეთის ხალხებს ჰქონდათ „ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა“.

რასობრივი თეორია არაინდოევროპელ ხალხებს ათვალწუნებით უყურებდა, „აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებად ითვლება მეტად თუ ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაკეტილობა, წოდებათა და კლასების უქონლობა, წოდებრივი-

---

науку. Перев. с немецкого В.А. Вейнштока. Спб, 1908. ე. ბერნჰაიმის ნაშრომი დამოწმებული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904, გვ. 31.

[1] დავით გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., „ნაკადული“, 1968, გვ. 118.

[2] მამია დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898-1912 წწ.), თბ., „მეცნიერება“, 1984, გვ.17.

სა და კლასობრივი ბრძოლის არქონა, ერთი სიტყვით, სულიერი და სოციალური უძრაობა“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი მარტო „ევროპოცენტრისტი“ მეცნიერების წინააღმდეგ როდი გამოდიოდა. „აღმოსავლეთის უძრაობის“ თეორიას თავისებური მომხრეები საქართველოშიც ჰყავდა. ეს უკანასკნელნი „პატრიოტული“ მოსაზრებებით ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში წოდებებსა და კლასებს შორის ბრძოლა ისტორიულად არ არსებობდა.[1] მათ ეგონათ, რომ ამით საქართველოს განსაკუთრებულობას და სიკარგეს უჩვენებდნენ ყველას, სინამდვილეში წარსულის ასეთი იდეალიზება სიმართლეს არ შეესაბამებოდა და თან იმათ წისქვილზეც ასხავდა წყალს, ვინც აღმოსავლეთის ჩამორჩენილობას ამტკიცებდა.

საცდელ ლექციაში ივანე ჯავახიშვილს არ დაუსახელებია რომელიმე ავტორი, რომელიც აღმოსავლეთის ისტორიაზე ასეთ შეხედულებებს ანვითარებდა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, 1904 წელს დაწერილ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ივანე ჯავახიშვილს დასახელებული ჰყავს ერთ-ერთი მათგანი – გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი, ავტორი „ისტორიის ფილოსოფიის“ ერთ-ერთი კურსისა.[2]

დასავლური „ისტორიის ფილოსოფიის“ ამ დებულების გასაბათილებლად ივანე ჯავახიშვილს ფაქტობრივი მასალის მოშველიებით უნდა ეჩვენებინა, რომ:

ა. – წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ბრძოლა „აზიის ქვეყნებსაც“ ახასიათებთ;

ბ. – ეს ბრძოლა არის მიზანდასახული და გააზრებული, კარგად გათვლილი სტრატეგიულად და ტაქტიკურად.

---

[1] მაგალითად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია ამტკიცებდა, რომ „ბატონსა და გლეხს შუა მჭიდრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი მეფობდა... ქართული ბატონყმობა ანუ დამოკიდებულება გლეხსა და ბატონებს შორის ნებაყოფლობითი იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორისავე მხარისათვის სასარგებლო“ („ახალი ქართლი“, 1915, № 31).

[2] ივანე ჯავახიშვილი: „გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს, მაგ., თავის წიგნში „Geschichtsphilosopie”, რომ აღმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო. აზიაში შეიძლება მხოლოდ აჯანყდნენ, ტაქტიკური ბრძოლის უნარი კი არ მოეპოვებათო“.

ივანე ჯავახიშვილი თავის ლექციაში სწორედ ამის ჩვენებას ისახავდა მიზნად საქართველოსა და სომხეთის ისტორიიდან მოტანილი მაგალითებით. ივანე ჯავახიშვილი ასაბუთებდა, რომ ამ ქვეყნების ისტორია არ არის გაყინული, რომ მათ არ ახასიათებთ სულიერი და სოციალური უძრაობა, რომ **ამ ხალხების ისტორიაშიც არის წოდებები და კლასთა ბრძოლა.**

„მცდარია ან კიდევ გაზვიადებულია აგრეთვე აზრი აღმოსავლეთის სულიერი კულტურის უძრაობისა და კარჩაკეტილობისა. სხვადასხვა საკითხი – უფლებრივი, თეოლოგიური და ლიტერატურული – აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეობრივი კულტურა. მეტად მრავალი ისეთი მონაცემი მოგვეპოვება, საიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, საქართველოში ყოველი წოდება ან მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ, თავიანთი მდგომარეობა ან მოთხოვნილება განემტკიცებინათ უფლებრივი საბუთებით, მათ ეს აუცილებლივ საჭიროდ მიაჩნდათ თავიანთი საქმის მართებულობის განმტკიცებისათვის“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

პირველ რიგში, ივანე ჯავახიშვილი იშველიებდა ფაქტებს საქართველოს ისტორიიდან. სტრაბონის დროს (I ს.) საქართველოში სათემო-გვაროვნული წყობა იყო და წოდებები არ არსებობდა, მაგრამ VI ს. დამდეგისათვის საქართველოში უკვე ფეოდალური წყობილებაა. ოთხ-ხუთ საუკუნეში მოხდა „საქართველოს სოციალური წყობილების ასეთი რთული ევოლუცია“. VIII საუკუნისთვის ფეოდალიზაცია უკვე დასრულებულია. საქართველოში მკაფიოდ ჩანს წოდებები და მათ შორის მიმდინარე ბრძოლა. სამეფო ხელისუფლება ეჯახება გვაროვნულ არისტოკრატიას, სასულიერო წოდებაც იცავდა თავის ინტერესებს, როცა მთავრობა „მათ უფლებებს თრგუნავდა“. ივანე ჯავახიშვილს მოაქვს სასულიერო წოდების კორპორაციული მოქმედების მაგალითები გრიგოლ ხანძთელის, გიორგი III-ის და უფრო გვიანდელი პერიოდიდანაც. „განა ეს, ბატონებო, წოდებათა ბრძოლა არ გახლავთ? ... ორგანიზებული, ტაქტიკური, აწონილ-დაწონილი ბრძოლა სასულიერო წოდებისა მთავრობასთან“.

ივანე ჯავახიშვილს ასევე მოაქვს ფაქტები საქართველოს ისტორიიდან სამღვდელოებასა და სამეფო ხელისუფლებას შორის მიმდინარე ბრძოლასთან დაკავშირებით: „სამღვდელოება კანონიკური გზით იცავდა თავისი ძალაუფლების უპირატესობის იდეას საერო და თუნდაც მთავრობის ხელისუფლებასთან შედარებით; იგი ამის ძალით მოითხოვდა საეკლესიო საქმეებში სამღვდელო დასის დამოუკიდებლობას... თავის მხრივ, მეფის ხელისუფლებამაც საქართველოში იცოდა დაცვა თავისი სუვერენობის ღვთაებრივი წარმოშობისა. იგი მტკიცების ჩვეულებრივ ხერხს კი არ მიმართავდა, მას ჰქონდა საკუთარი თეორია, ტრადიცია იუდეველთა მეფის დავითისგან მათი გვარის წარმომავლობისა. დავითს მეფის ხელისუფლება ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, მემკვიდრეობის უფლების ძალით საქართველოს დინასტიის მეფის ხელისუფლებაც ასევე ღვთაებრივი წარმოშობისა უნდა ყოფილიყო“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა თვით სამღვდელოების, როგორც ფენის, შიგნითაც. სამღვდელოების დაბალი ფენის ბრძოლა „თავისივე წოდების უმაღლეს წარმომადგენლებთან“, იმათთან, ვინც „არ შეესაბამებოდა ეკლესიის მწყემსის დიადსა და მაღალ იდეალს“. საქართველოში განხორციელდა რეფორმები სამღვდელო დასის დემოკრატიზაციისათვის. „ეკლესია საქართველოში ინტენსიურ ცხოვრებას ეწეოდა და რეფორმებსაც განიცდიდა მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული მეთორმეტემდე. საქართველოს სამღვდელოებამ შესძლო ეკლესია ეროვნულ ინსტიტუტად გარდაექმნა, კანონიკური რეფორმები მოეხდინა და სამღვდელო დასის დემოკრატიზაცია განეხორციელებინა უფრო ადრე, ვიდრე ეს გატარდა დასავლეთ ევროპის ეკლესიაში“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ საქართველო და სომხეთიც ისევე ვითარდებოდნენ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იმავე კანონზომიერებებს ემორჩილებოდნენ და ზოგჯერ უსწრებდნენ კიდეც. მაგალითად, ეკლესიის დემოკრატიზაცია, მესამე წოდების გამოსვლა და ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა. ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ საქართველოს „სახელმწიფო ცხოვრობდა ინტენსიური ცხოვრებით და სწორედ წო-

დებათა ბრძოლა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენისა“.

ივანე ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ მცდარი იყო ისტორიის ფილოსოფიის მეორე შეხედულებაც, თითქოს აღმოსავლეთის სულიერი კულტურისთვის დამახასიათებელი იყო უძრაობა-კარჩაკეტილობა. „სხვადასხვა საკითხები – უფლებრივი, თეოლოგიური თუ ლიტერატურული – აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლურ ევროპის შუასაუკუნეობრივი კულტურა“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ასეთი კავშირი ბუნებრივი იყო, მაგრამ საქართველოს კულტურული კავშირები თავის მეზობელ არაქრისტიანულ ხალხებთანაც ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ისტორიული ფაქტები გვარწმუნებენ, თუ რაოდენად ძლიერი იყო ქრისტიანული საქართველოს კულტურული კავშირი არაქრისტიან, მაჰმადიან ხალხებთანაც“.

ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახული ამოცანა

ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა უმთავრესი ამოცანა, რაც, მისი აზრით, გასაკეთებელი იყო და რომლის განხორციელებაც საერთო ძალისხმევით მხოლოდ მეცნიერთა ჯგუფს შეეძლო.

მისი აზრით, აუცილებელი იყო და უნდა დაწერილიყო აღმოსავლეთის საერთო, ზოგადი ისტორია, იმ გაგებით, რა გაგებითაც დასავლეთ ევროპას ჰქონდა ზოგადი ისტორია. ასეთი ისტორიის დაწერა შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ იქ არსებობდა გამაერთიანებელი ფაქტორები, „იქ არსებობდა საერთო კულტურული ცხოვრება“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად რელიგიური გათიშულობისა, აღმოსავლეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი კულტურა ბევრ რამეში ერთნაირი იყო და ეს ერთობა მით უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგებოდა, როდესაც საკითხი ყოველმხრივ დაწვრილებით იქნებოდა გამოკვლეული; შესწავლილი და დადგენილი იქნებოდა ის ძირითადი ფაქტორები,

რაც აერთიანებს აღმოსავლეთის ხალხთა სოციალურ ცხოვრებას. შევნიშნავთ, რომ აქ ივანე ჯავახიშვილი გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიას.

2.3. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“

1904 წლის აპრილში გაზეთ „ცნობის ფურცელში“[1] გამოქვეყნდა (1, 6, 8, 13, 14 და 15 აპრილის ნომრებში) ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელიც მალე ცალკე ბროშურის სახითაც დაიბეჭდა. ივანე ჯავახიშვილმა ეს სტატია დაწერა იაკობ გოგებაშვილის ნაშრომის „ბურჯი ეროვნებისა“[2] საპასუხოდ და სასტიკად გააკრიტიკა მისი ავტორი.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „მამულიშვილობა და მეცნიერება“ გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. „ცნობის ფურცლის“ 1904 წლის 20 და 21 აპრილის ნომრებში მას გამოეხმაურა მოსე ჯანაშვილი, 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის საპასუხო სტატია. ავტორი იქვე აღნიშნავდა, რომ მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილს უფრო დაწვრილებით პასუხს გასცემდა. პოლემიკაში ჩაერთო აკაკი წერეთელი. მან „ივერიის“ 1904 წლის 3, 4 და 5 ივნისის ნომრებში დაბეჭდა სტატია სათაურით „ქართველთა მოძულენი“, რომელშიც, სხვებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილიც გააკრიტიკა. იმავე წლის 17 აგვისტოს „ივერიაში“ „პ.პ.“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა რეცენზია, რომელშიც ერთ სიბრტყეში განხილულია ვერმიშევის წიგნი და ივანე ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, როგორც ანტიქართული შინაარსის მქონენი.

---

[1] გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორი 1903-1905 წლებში იყო იოსებ ყიფშიძე.

[2] ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“ იაკობ გოგებაშვილმა სათაურით „ძირითადი უკუღმართობა“ პირველად იაკობ სვიმონიძის ფსევდონიმით გამოაქვეყნა გაზ. „ივერიაში“ და ჟურნალ „მწყემსში“, 1892 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა იმავე სახელწოდებით, ხოლო 1903 წელს გამოვიდა მეორე შევსებული გამოცემა ახალი სათაურით „ბურჯი ეროვნებისა“. სწორედ ამ გამოცემას აკრიტიკებდა ივანე ჯავახიშვილი.

იაკობ გოგებაშვილი ერისთვის ისტორიის მნიშვნელობის შესახებ

1903 წელს ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა ხელმეორედ გამოაქვეყნა პუბლიცისტური ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“, სადაც ნაჩვენები იყო დედა ენის დიდი მნიშვნელობა პიროვნებისა და ერის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ერს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და დაპყრობილია. იაკობ გოგებაშვილი ეხებოდა ერის ისტორიის შესწავლის დიდ მნიშვნელობასაც. მისი თქმით, ევროპაში არსებული დაპყრობილი ერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თავისი ისტორიის წარმოჩენას: „ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს, დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისის ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა“.[1]

იაკობ გოგებაშვილის თქმით, „ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა – მამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი – დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა“.[2]

იაკობ გოგებაშვილი სრულად იდგა ე. წ. **ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორიის** პოზიციაზე, რადგანაც, მისი აზრით, ასეთ ისტორიას მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქცია ეკისრებოდა. იაკობ გოგებაშვილი, იმდროინდელი მრავალი მოღვაწის მსგავსად, საქართველოს ისტორიას, ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნემდე, თითქმის მხოლოდ დადებითი და ამაღლებული მოვლენებით წარმოაჩენდა.

გარდა ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორიისა, იაკობ გოგებაშვილს აუცილებელად მიაჩნდა „ჭკვიანური მოქმედება პატა-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 36.

[2] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 36.

რა ხალხებისა“. ევროპაში ადრე თუკი ისინი სახელმწიფო დამოუკიდებლობის მიღწევას ცდილობდნენ, ახლა მათ ამაზე უარი თქვეს და „გახდნენ გულწრფელნი მომხრენი სახელმწიფოს ერთობისა, მისცეს სახელმწიფოს მრავალი საბუთნი თავის ერთგულობისა, ეცადნენ, რომ მათ შორის არ აღმოჩენილიყვნენ სეპარატისტები და ეჭვში არ ჩაეგდოთ მათი ერთგულობა“.[1]

შედეგად, იაკობ გოგებაშვილის თქმით, „დიდნი ერნი დაადგნენ სხვა გზასა, უარჰყვეს პატარა ხალხების ეროვნობის დევნა და სრულს უფლებას ანიჭებენ მათს ეროვნულს ფაქტორებს და ადგილობრივს თვითმმართველობას. ყველაზედ ცხადად ამ მიმართულებამ იჩინა თავი ინგლისში შესახებ ირლანდიელებისა, უელსელებისა და შოტლანდიელებისა, ავსტრო-ვენგრიაში შესახებ მადიარებისა და სლავიანებისა.“[2]

იაკობ გოგებაშვილის დასკვნით, „კაცობრიობაში სდგება ხანა დიდის სახელმწიფოებისა, აშენებულისა თვით-მმართველობის პრინციპზედ, ფედერალურ საფუძველზედ“.[3] იაკობ გოგებაშვილი იმედოვნებდა, რომ რუსეთის იმპერიაც ამ გზით წავიდოდა და საქართველოს პოლიტიკურ წრეებსაც ამგვარ გზაზე წინსვლის შესახებ უნდა ეფიქრათ.

ვის აკრიტიკებდა იაკობ გოგებაშვილი

ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორია პატარა ერისთვის თავდაცვის საშუალებაა. საქართველოში კი, იაკობ გოგებაშვილის თქმით, მსგავსი არაფერი ხდებოდა, არავინ ცდილობდა ქართველობის გამოსარჩლებას ისტორიის მეშვეობით. პირიქით, აკნინებდნენ და უარყოფდნენ საქართველოს ისტორიას: „ჩვენს შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა. საარაკო უკუღმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარვყოთ ყოველივე მისი თავისებუ-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ .41.

[2] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 41.

[3] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 4 2.

რობა და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ, მიწასთან გავასწოროთ, ამითი გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა და მომავალსა და გარეშე პირთ ვათქმევინოთ ესა: რამდენი ათასი წელიწადი ქართველებს გქონიათ საკუთარი ისტორიული ცხოვრება და სახელმწიფო, ხანდახან ძლიერიც, და იოტის ოდენა კი კულტურისათვის, თქვენივე სიტყვით, არა გაგიკეთებიათ-რაო. ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ თქვენი ეროვნება უძლურია, უნიჭოა, ფუქსავატია და სრულიად ღირსი არ არის დაცვისა და სიცოცხლისაო“.[1]

ამას რომ წერდა, იაკობ გოგებაშვილი გვარებს არ ასახელებდა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, თუ ვის აკრიტიკებდა. საქართველოს ისტორიის უარმყოფელებში ის არ გულისხმობდა რუსულ შოვინისტურ წრეებს, ლაპარაკობდა „ჩვენში არსებულ“ ტენდენციაზე. პირველ რიგში კი, დაუსახელებლად აკრიტიკებდა ნიკო მარს. „იგი მთელს ძველს ქართულს ლიტერატურას თარგმანს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდგან. ქართული ნიჭი მას სრულიად არა სწამს და არც არას მოელის მისგან. ამ აზრს წინად უფრო მკვახედ ამბობდა, ახლა მორბილდა; მაგრამ მხოლოდ მორბილდა; აზრი კი არ შეუცვლია, თუმცა ბევრი ახალი ფაქტი აღმოჩნდა მის გასამტყუნებლად“, – აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი.[2]

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ისტორიის მიმართ ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილნი ჯერ ქართველი ხალხოსნები, შემდეგ კი სოციალ-დემოკრატები. შემდგომში უაღრესად ცნობილი სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი 1903 წელს წერდა: „აწმყო ჩვენ გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით გვეჯავრება“.[3] ქართული ბოლშევიზმის მომავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფილიპე მახარაძე კი 1904 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ შესწავლის ღირსად არ მიიჩნევდა საქართველოს ისტორიას: „ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ქართულ ისტორიას ჯერ არ ყავს გამოჩენილი ისტორიკოსი, მაგრამ ასეთი საყვედური რამდენადაც მართა-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 37.

[2] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990, გვ. 39.

[3] „კვალი“, 1903, № 14.

ლია, იმდენათ იგი უსაფუძვლოა, და მართლაც, კარგიც რომ გვყოლოდენ, რას იზამდენ ჩვენში გიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი, ნიბური და სხვა? რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტორიული ცვლილება უნდა გაეხადათ იმათ თავიანთ გამოკვლევათა საგნათ, რაზე უნდა მიეპყროთ თავიანთი ყურადღება? აბა დაასახელეთ ისეთი ღრმა ცვლილება ჩვენს ისტორიაში, რომელსაც ხაზი გაევლოს ძველსა და ახალს ცხოვრებაში და რომლის მოთავე თვით ხალხი ყოფილიყოს“.

ივანე ჯავახიშვილის მიერ იაკობ გოგებაშვილის კრიტიკა: ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორიით პატარა ერი ვერაფერს მიაღწევს

ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ გადაჭრით დაგმო ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორია, რომლის შესახებაც წერდა გოგებაშვილი, როგორც დადებით და საჭირო საქმეზე. „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულებით გამოუსადეგარი გახლავთ“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი და, თავის მხრივ, ასეთ მიდგომას არათუ უსარგებლოდ, არამედ საზიანოდაც მიიჩნევდა – „საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა, მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოვო კულტურა ჰქონიათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო“.

ასეთი აზრის გავრცელებით, მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი, „საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს“. ასეთი მოწყალების მოლოდინი კი ქართულ თავად-აზნაურობაში ისედაც ფართოდ იყო გავრცელებული მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიღეთ წყალობის“ პოლიტიკა: თავად-აზნაურობას ჰგონია, მაგ., რომ საკმარისია, თავისი სურვილი და გულისნადები შეატყობინოს, ვისაც ჯერ არს და თანაც მოაგონოს, რომ მათი წინაპრები ჩოლოყის და და-

ღესტნის ომებში გულადად იბრძდნენ, რომ მაშინვე ერობაც მიენიჭოთ, ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებაც და სახელმწიფო ბანკის („პრიკაზის“) ვალებიც ეპატიოთ. რამდენი იყო ჩვენში ამ ვალების პატიების მოიმედე, იმის მაგივრად, რომ პირადი გამჭრიახობით და მუშაობით თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, იმის მაგიერად, რომ ვიდრე ერობას ეღირსებოდნენ, გზების შეკეთებასა და გაყვანაზე, საავადმყოფოების და სამრეწველო ამხანაგობათა დაარსებაზე ეზრუნათ“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, რუსეთის ხელისუფლებისთვის ერთგულების მტკიცება ეროვნული ინტერესების დასაცავად მიმართულ პოლიტიკაში უსარგებლო და ზიანის მომტანია. „როცა არჩევნების დრო მოახლოვდება ხოლმე ტფილისის საბჭოში, ჩვენი პუბლიცისტები ცეცხლს აფრქვევენ, მთავრობას ქართველების ერთგულებას აგონებენ და დახმარებას სთხოვენ. ბატონი გოგებაშვილი სთხზავს „Правда о Тифлись”-ს, იმის მაგივრად, რომ ბრძოლისათვის მოემზადნენ და ქართველი მეკენჭეები შეჰკრიბონ, და ბევრი სხვა ამნაირივე... რამდენად უნაყოფოა პოლიტიკაში ჩვენთვისაც ამგვარი „გამოსარჩლებითი მწერლობა“, იქიდანა მტკიცდება, რომ ყველა ზემო აღნიშნული და სხვა კიდევ ბევრი ამგვარივე საქმე სრულებით წაგებულია, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილის თქმით, ავსტრიაში „ჩეხებმა თუ რაიმე უფლება მიიღეს, მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიკური წარმატების და პარლამენტის ბრძოლის წყალობით“ და არა „ადვოკატური“ ისტორიით. ასეთი თხზულებები „მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შესცვლიან“. „რამდენიც უნდა ეწერათ ჩეხელ მეცნიერთ ბ-ნ გოგებაშვილისებური „ადვოკატური“ თხზულებები, ვერაფერს ვერ ეღირსებოდნენ ისინი, თუკი საზოგადოების გამოფხიზლებით და პარლამენტში ბრძოლით გამარჯვებულნი არ გამოსულიყვნენ. ბ-ნ გოგებაშვილს კი ამისთანა მიმართულების გავრცელება სწადიან ჩვენ საზოგადოებაში“, – წერდა ივანე ჯავახიშვილი.

წარსულ დიდებულ ისტორიას არა აქვს მნიშვნელობა დღევანდელ პოლიტიკაში. „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“, გადაშენდა დიდებული წარსულის მქო-

ნე ბევრი ერი. „აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

მამულიშვილობა ჭეშმარიტ ისტორიას საჭიროებს

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორია არაფრის მომტანია არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის აღზრდის კუთხითაც. „ადვოკატური“ ისტორიით ქართული საზოგადოება „ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის ვერ გაიგებს, მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს“, თუ არა. საკუთარი თავის მოტყუება ეროვნულ ცნობიერებას ვერ აამაღლებს. „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მეცნიერის ზნეობრივი მოვალეობაა, წეროს ჭეშმარიტი ისტორია და არა ადვოკატურ-გამოსარჩლებითი. „გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს, თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს, ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად“.

ივანე ჯავახიშვილი წინააღმდეგია წარსულის იდეალიზაციისა, რომლის მიხედვითაც საქართველოში არასოდეს ყოფილა კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლა და კონფლიქტები, ბატონსა და ყმას შორის არსებობდა „მამა-შვილური“ ურთიერთობა და ა. შ. ასეთი რამის მტკიცება, გარდა იმისა, რომ არასწორი იყო, ასაბუთებდა „აღმოსავლეთის გაყინულობის“ თეორიას, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდა ივანე ჯავახიშვილი.

ნიკო მარის დაცვა

ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ივანე ჯავახიშვილი უსამართლოდ მიიჩნევდა იაკობ გოგებაშვილის მიერ ნიკო მარის კრიტიკას. „თუმცა ბ-ნი გოგებაშვილი ამ მკვლევრის გვარს არ ასახელებს, მაგრამ იმის სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ იგი პროფესორ ნ. მარზე ლაპარაკობს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

მისი თქმით, „ჩვენ საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე; ბ-ნი გოგებაშვილი ამ ჭორების ხმას აჰყვა და თავის წიგნში ყველა ამგვარ ცილისწამებას თავი მოუყარა ერთად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა ჭორი და ცილისწამება სრულს უვიცობასა და გაუგებრობაზეა დამყარებული. მე ხშირად შემხვედრია ისეთი მაბრალებელი პრ. მარისა, რომელიც რიხიანად ლაპარაკობდა მასზე, თუმცა ერთი მისი სამეცნიერო თხზულებაც კი წაკითხული არა ჰქონდა“.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „მამულიშვილობა და მეცნიერების“ დიდი ნაწილი ეთმობა ნიკო მარის პოზიციის განმარტებასა და დაცვას. „ვეცდებით, ვუჩვენოთ მკითხველს, რამდენად შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელთაც ვერ გაუგიათ პრ. მარის თხზულების მნიშვნელობა და დედააზრი და თითოეულ მის ნაწერს მტრის თვალით უცქერიან“, – წერდა ივანე ჯავახიშვილი.

გადამეტებული ბრალდებები იაკობ გოგებაშვილის მისამართით

უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი იაკობ გოგებაშვილის კრიტიკის დროს ყველაფერში მართალი არ ყოფილა და კრიტიკის დროს ზოგ შემთხვევაში გადააჭარბა კიდეც. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი მთლიანად აკნინებდა იაკობ გოგებაშვილის ნაშრომს: „ენის მნიშვნელობის შესახებ გერმანულად და ფრანგულად მრავალი საუცხოვო თხზულება არსებობს, რომლებშიაც გაცილებით უფრო უკეთესად, საბუთიანად და ცხადად არის გამოთქმული ის საკითხი, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ეხება“. მაგრამ იაკობ გოგებაშვილი თავად აღნიშნავდა, რომ „ბურჯი ეროვნებისა“ პუბლიცისტური ხასიათის იყო და სხვა ავტორების ნაშრომებს ეყრდნობოდა: „ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის: იგი ეკუთვნის ჩინე-

ბულ და განთქმულს პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ისეთის ძალით, ანალიზით და მჭერმეტყველებით ჰხატავენ მავნებლობას დედა-ენის უარყოფისას და მის გაცვლისას უცხო ენაზედ, რომ ჩვენი სიტყვები შეადგენენ მხოლოდ მკრთალს კოპიოს, სუსტ აჩრდილს მათის მსჯელობისას“.

იაკობ გოგებაშვილის მისამართით ასევე უსამართლოდ შეიძლება მივიჩნიოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „...იმის მაგივრად, ეცადნენ ყოვლის ღონისძიებით იმდენად ააღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებ-მიცემობაშიც, იმის მაგივრად, რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის წარმატების ხელის შეწყობის წყალობით ჩვენს დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ“. იაკობ გოგებაშვილმა, „დედა-ენის“ ავტორმა, ბევრი რამ გააკეთა ქართული ენის დასაცავად და ასაღორძინებლად.

იაკობ გოგებაშვილი პროფესიონალი ისტორიკოსი არ ყოფილა და ასევე უსამართლოდ უნდა მივიჩნიოთ ივანე ჯავახიშვილის მიერ მისი მისამართით წაყენებული ბრალდება: „ბ-ნ გოგებაშვილს რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერის მაგიერ თავის დროზე საზოგადოებისათვის ჩაეგონებინა, თავის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას შესდგომოდნენ და თვითონაც შეძლებისდაგვარად მაგალითი ეჩვენებინა, მაშინ ქართველ საზოგადოებას შეეძლო, ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა“.

გამოხმაურებები ივანე ჯავახიშვილის კრიტიკულ სტატიაზე

მოსე ჯანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „მამულიშვილობა და მეცნიერება“ პირველად გამოეხმაურა მოსე ჯანაშვილი.[1] იგი ძირითადად ლაპარაკობდა თავის ადრინდელ პოლემიკაზე ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილის შესახებ კი შენიშნავდა: „ჯავახიშვილს ძალიან უყ-

[1] მოსე ჯანაშვილი, მცირე შენიშვნა (ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო), „ივერია“, 1904 წ., 20 და 21 აპრილის ნომრები.

ვარს ორი სიტყვა მეცნიერი, უვიცი. მეცნიერია, ვინც მარის ახალ აზრს უმალვე დაიჯერებს, უმეცარი, ვინც ამ აზრს არ მიიღებს“.[1]

იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სტატიის ბეჭდვის დამთავრების შემდეგ იმავე გაზეთში გამოაქვეყნა საპასუხო სტატია სათაურით „მკითხველისადმი (თავ. ჯავახიშვილის წერილის გამო)“.[2] „მკითხველნი უეჭველად ელიან ჩემგან ჯეროვანს პასუხს შესახებ თავ. ჯავახიშვილის წერილისა. სამწუხაროდ ჩემდა, ამ მოლოდინის დაკმაყოფილება ამ ჟამად მე არ შემიძლიან“, – წერდა იაკობ გოგებაშვილი. ის აღნიშნავდა, რომ აპრილში დიდხანს იავადმყოფა, არც სხვა საქმეები აძლევდა ამის საშუალებას. თანაც პასუხის გაცემას საჩქარო საქმედ არ მიიჩნევდა. „ბედად, პასუხის დაჩქარება მაინც და მაინც დიდს საჭიროებას არ შეადგენს. თუ ჯავახიშვილმა ჩემის ორმოციოდე სტრიქონის გაკიცხვას (და არა გამტყუნებას, რადგანაც გამტყუნებული არაფერია) მოანდომა მთელი სამი თვე და შვიდი ფელეტონი, „დიდბუნოვანის“ მხურვალე დახმარებით, მეც ნება უნდა მქონდეს ამდენივე დრო მოვანდომო მისი უშველებელის წერილის მხილებასა, გამტყუნებასა“. მანამდე კი მკითხველს სთხოვდა, ყურადღებით გადაეკითხა მთლიანად „ბურჯი ეროვნებისა“, რადგანაც „თავ. ჯავახიშვილს მოჰყავს ჩემი წიგნიდან პატარ-პატარა ნაწყვეტები, რომელთა მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია, თუ წინამძღოლი და მიმდევარი აზრები წაკითხული და შეგნებული არა აქვს მკითხველსა“.

ამ წერილში იაკობ გოგებაშვილი შეეხო 1903 წელს მის დაპირისპირებას ივანე ჯავახიშვილთან, რომელიც, მისი აზრით, გახდა ჯავახიშვილის მიერ წერილის დაწერის მიზეზი. ისინი ერთმანეთს შეხვედრიან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იქ იაკობ გოგებაშვილს რამდენიმე საყვედური გამოუთქვამს ივანე ჯავახიშვილის მისამართით.

ერთი საყვედური შეეხებოდა ივანე ჯავახიშვილის მიერ წმინდა ნინოს და ანდრია მოციქულის შეფასებას. თითქოსდა, ივანე

---

[1] „ივერია“, 1904 წ. 20 აპრილი.

[2] „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 29 აპრილი.

ჯავახიშვილის მიხედვით: „წმინდა ნინო უბრალო ტყვე იყო და მთელი დიდებული ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში ხალხის არაკია, რომ ანდრია მოციქული საქართველოში სრულიადაც არა ყოფილა და, მაშასადამე, ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქულო ეკლესიისას“.

იაკობ გოგებაშვილის მეორე საყვედური შეეხებოდა იმას, რომ ივანე ჯავახიშვილი არ გამოდიოდა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ: „აუარებელი ცილისწამება იბეჭდება თქვენს ახლო ჩვენის ერის წარსულისა და აწმდგომის შესახებ და თქვენ არც ერთხელ არ აგმღვრევიათ გული და არ აგიღიათ კალამი სიმართლის დასაცველად და ცილისწამების გასამტყუნებლად“.

მესამე ბრალდება კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო ივანე ჯავახიშვილისთვის: „ამბობენ, თქვენ გწადიათ დაიჭიროთ კათედრა ქართულის ენისა აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. გულახდილათ უნდა გითხრათ, ვერ მოგილოცავთ. სომხურის კათედრიდან ბ-ნი მარრი ჩვენის უარყოფობის ოპერას იმღერის წინანდებურად და თქვენ ქართულის კათედრიდან მაღალს ბანს მისცემთ. გაიმართება სწორედ ჩინებული ჰარმონიული დუეტი და... აგვიშენდება ოჯახი“.

ივანე ჯავახიშვილს ძალზე სწყენია ასეთი სიტყვების მოსმენა და, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, მასთან პირადი ნაცნობობა გაწყვიტა. იაკობ გოგებაშვილი შენიშნავდა: „მეც საწყენად დამრჩა მისი წყენა, მაგრამ სიმართლის თქმა უნდოდა და მეც ვუთხარი“-ო. მისი თქმით, სწორედ ამის გამო ივანე ჯავახიშვილს „უსაზღვრო სიბოროტე“ გასჩენია მის მიმართ და ამის გამო დაწერა „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ამავე წერილში იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ივანე ჯავახიშვილს და ნიკო მარს მალე საკადრის პასუხს გასცემდა: „მე ვგონებ, რომ ამ მწარე სიმართლის პირში თქმით საქმესა და გონზე მოყვანას დავეხმარე; მაგრამ ჩემ წინააღმდეგ კი დიდი უსიამოვნება ჩავუნერგე ერთსაცა და მეორესაც. ამით უნდა ავხსნათ უმთავრესად ის უსაზღვრო სიბოროტე ჩემ წინააღმდეგ, რომლითაც გაჟღენთილია უგრძელესი წერილი თავ. ჯავახიშვილისა. ეს საუზმედ იმყოფინონ ჩემმა მოწინააღმდეგეებმა და სადილიც თავის დროზე მიერთმევათ“-ო.

იაკობ გოგებაშვილს ასეთი წერილი არ დაუწერია. გურამ ყორანაშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ჩანს, იგი მიხვდა,

რომ ივანე ჯავახიშვილთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კამათში მას მეცნიერული საფუძველი არ ეყოფოდა და მომდევნო წლების მანძილზე, ალბათ, საკმაოდ გააცნობიერა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, შეფასებაში იგი მართალი არ იყო. შესაძლოა, იგი თავისი პოზიციის სისუსტესაც მიხვდა“.[1]

აკაკი წერეთელი

პოლემიკაში ჩაება აკაკი წერეთელიც. მან 1904 წლის ივნისში გამოაქვეყნა სტატია „ქართველთ მოძულენი“.[2] ამ სტატიაში იგი აკრიტიკებდა ნიკო მარს და მასთან ერთად აკრიტიკებდა ივანე ჯავახიშვილს: „მარრის მაგალითმა შკოლა გამოიწვია ჩვენში „ქართველთა მოძულეთა“, რომელთა შორის თავი იჩინა ახალგაზრდა ჯავახიშვილმა. და ამის წაყრუება არ ივარგებს არც ჩვენთვის და არც თვით იმ ახალგაზრდა სამეცნიერო გზისკენ მიმავალ კაცისათვის“.[3]

„...ასე მოუვიდა სწორედ ახალგაზრდა ჯავახიშვილსაც, ბ-ნ იაკობ გოგებაშვილზე რომ მიიტანა იერიში!... გოგებაშვილი დღეს ერთი უკეთესი მოღვაწეთაგანია ჩვენში: წინდახედული, შორსმჭვრეტელი და გამბედავი მოპირდაპირე. საზოგადო საქმის შესახებ უსამართლობასა და თაღლითობას არავის შეარჩენს...“

აკაკი წერეთლის განცხადებით, „შეიძლება ერთხელ ოდესმე ბ-ნი ჯავახიშვილი ბრძენთა ბრძენი შეიქმნეს და მეცნიერთა მეცნიერიც გამოდგეს“, მაგრამ „ჯერ კი არც დრო და არც მისი ნაშრომ-ნაღვაწი უფლებას არ აძლევს, რომ მედიდურად მოძღვრავდეს გოგებაშვილებს!... სიმართლეც რომ სჭეროდა ხელში, მაშინაც სიფრთხილით უნდა მოქცეულიყო, თვარა საუკუღმართო სოფიზმებით აღჭურვა რა საკადრისია?!“ „ეს უღირსი შვილი, თუ მართლა გულწრფელია და მეცნიერების ბრმა მონა, რატომ მაშინ კი არ ამოიღებს ხმას, როცა უსამართლოდ მისს მშობელს აპირშავებენ? რაღა მაშინ აგონდება მეცნიერება და მისი ვითომც პრინციპები, როცა მისი მოძმე ქვეყანა ამხილებს მისის მშობლის დაუძინებელ მტრების უსამართლობას და პირნათლად გამოჰყავს მშობელი?...

---

[1] გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 81.
[2] „ივერია“, 1904 წ. 3, 4 და 5 ივნისი.
[3] „ივერია“, 1904 წ. 3 ივნისი.

ამის პასუხი მოგვცენ ბატონმა მარრმა და მისმა მიმდევრებმა, რომელთა რიცხვში ყველაზე მეტად ჯერ-ჯერობით თავი იჩინა ბ. ივ. ჯავახიშვილმა...“.[1]

„ივერიაში“ გამოქვეყნებული რეცენზია

1904 წლის 17 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ „პ.პ.“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა რეცენზია, სადაც განხილული იყო ქ. ვერმიშევის წიგნი „Материалы для истории грузино-армянских отношений“ და ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“. რეცენზიაში ეს ორივე ნაშრომი ანტიქართულად იყო მიჩნეული.

დასკვნის მაგიერ

1922 წელს ივანე ჯავახიშვილი იხსენებდა რა „მამულიშვილობა და მეცნიერების“ გამოქვეყნების დროს და განვითარებულ მოვლენებს, აღნიშნავდა: „არა ერთხელ ამ ხანაში მას ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია, მაგრამ რადგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის – ნ. მარი, დამოუკიდებელ თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორე მხრით, ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტკინებული მცირედი მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, უყოყმანოდ საჯაროდ მის დასაცავად გამოვედით. ვგონებ, არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნმაც ნ. მარისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარის შესახებ სუფევდა“.[2] აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. ივანე ჯავახიშვილსა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამართულ დისკუსიაში არ ჩარეულა ილია ჭავჭავაძე.

---

[1] „ივერია“, 1904 წ. 5 ივნისი.

[2] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1983, გვ. 213.

დანართი

ივანე ჯავახიშვილი აღმოსავლეთის ქრისტიანი და მუსლიმი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურის ერთობის შესახებ

თავისი საცდელი ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველომ იწყო გაძლიერება და გამოჩენილი პოლიტიკური როლის თამაში აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შორის და თავის თავს თვლიდა განგებისაგან მოწოდებულად, რათა განეხორციელებინა დიდი ქრისტიანული მონარქიის იდეა, მაშინ ლიტერატურამაც უფრო და უფრო თავისთავადი ხასიათი მიიღო და იგი ასახავდა თავისი დროის საზოგადოების რელიგიურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და იდეალებს. ამგვარი მიმართულების მკაფიო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ჩვენამდე მოღწეული შავთელისა და ჩახრუხაძის ხოტბანი. რითი-ღა აიხსნება მაჰმადიანური პოეზიისა და მსოფლმხედველობის ქრისტიანულ საქართველოზე და მის მწერლობაზე ასეთი უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა? ეს აიხსენება სახელმწიფოებრივი კულტურის ერთიანობით. ქრისტიანობისა და ბიზანტიის მონარქიის უდიდესი გავლენის მიუხედავად, საქართველომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ აითვისა მაჰმადიანი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურიდან, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი იდეალები უცხო არ ყოფილა საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. სპარსეთის რომანტიკულ და ეპიკურ ნაწარმოებთა გმირების რაინდული სული და საქმე, გვაროვნული სიამაყის შეგნება და სუვერენულ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება-ურთიერთობა შეეხამებოდა საქართველოს ფეოდალური დიდკაცობის სულიერ განწყობილებას, ყოველივე ეს მისთვის სავსებით გასაგები იყო. მათ სთიშავდა რელიგია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურა კი ბევრ რამეში ერთნაირი იყო.

რა თქმა უნდა, ეს ერთობა უფრო თვალსაჩინო შეიქმნება, როცა საკითხი ყოველმხრივ დაწვრილებით გამოიკვლევა, როცა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათი საკმაოდ იქნება შესწავლილ-დადგენილი. ხოლო ეს არ შეიძლება ჩვენი დისციპლინის

ერთ-ერთი დარგის სპეციალისტის საქმედ იქნას მიჩნეული. და, აი, ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის მეორე და საერთო ამოცანას ისიც შეადგენს, რომ შესწავლილი და დადგენილი იქნეს ის ძირითადი ფაქტორები, რომელნიც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ხალხთა სოციალური ცხოვრების შემაერთებელ რგოლებს, რომელთაც, მიუხედავად რასობრივი წარმოშობის სხვაობისა და პოლიტიკური განკერძოების დაბრკოლებისა, მაინც შეჰქმნეს მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურის ეგოდენ მსგავსი ნიშნები. ეს ამოცანა ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის საერთო, საზიარო ამოცანად აღიარებული მიტომ შეიძლება იქნეს, რომ იმ დრომდე, სანამ საკითხი არ გაშუქდება და არ გამოიკვლევა, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება იქნეს აღმოსავლეთის საერთო, ზოგად ისტორიაზე იმ გაგებით, რა გაგებაც აქვს დასავლეთ ევროპის ზოგად ისტორიას, ვინაიდან იქ არსებობენ გამაერთიანებელი ფაქტორები, იქ არსებობდა საერთო კულტურული ცხოვრება. თუ ეს ამოცანა არ იქნა შესრულებულ-გადაწყვეტილი, ისე, უამისოდ აღმოსავლეთის ისტორიაც და ეგრეთ-წოდებული მსოფლიო ანუ ზოგადი ისტორიაც იქნება მარტო ცალკეულ ხალხთა ან სახელმწიფოთა ისტორია, ხოლო თხრობაში ვერ იქნება გავლებული გამაერთიანებელი ლარი და ხაზი; მაშინ ვეღარ მოვუნახავთ საფუძველს ერთი მხრით ისტორიის ისეთ ტერიტორიულ დანაწილებას, როგორიცაა დასავლეთის ისტორია და აღმოსავლეთის ისტორია, ხოლო, მეორე მხრით, ვერც იმას შევძლებთ, რომ კაცობრიობის წარსულის თხრობა სავსებით იქნეს გაერთიანებული, როგორც ამას ვხედავთ მსოფლიო ისტორიის დისციპლინაში“.

ივანე ჯავახიშვილი წარსულის იდეალიზების წინააღმდეგ

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ აღნიშნავდა:

„კრიტიკულ, სამეცნიერო და ჩვეულებრივ წარმოდგენათა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენში ჰგონიათ, ვითომც აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულზე სწორე იყოს, ვითომც ამ შეხედულების შერყევა და დარღვევა თვით ჩვენი წარსულის ღვაწლისა და წარმატებულ ცხოვრების გაქარწყლებას მოასწავებდეს. პირველიდანვე ქართველთა მოდგმის ტომნი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ, ფარნავაზმა დააარსა შეერთებული,

ძლიერი ეროვნული სახელმწიფო, მწერლობა შეჰქმნა და კანონიერი წეს-წყობილება შემოიღო. შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდა, რასაკვირველია, პირველიდანვე წმინდა, შეუმწიკვლავი მართლმადიდებლობა უნდა გავრცელებულიყო, იგი აქამდეც შეურყევლად არსებობს ჩვენში. ქვეყანა არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე, საცა მწვალებლობას არ ეჩინა თავი. თვით საბერძნეთსა და იტალიაში დაუცხრომელი ქიშპობა და კამათი იყო ხოლმე სარწმუნოებრივ უთანხმოებათა გამო, მხოლოდ ჩვენში პირველიდანვე სრული მშვიდობიანობა სუფევდა, არავის აზრადაც არ მოსვლია, ამა თუ იმ სარწმუნოებრივი საკითხის შესახებ ისე არ ეფიქრა, როგორც მართლმადიდებელნი ფიქრობდნენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მყუდროება სუფევდა. სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამაშვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლა არც როდის არა ყოფილა. ცხადია, აგრეთვე ჩვენი თავადაზნაურობის ქართველ მეფეებისადმი მხურვალე სიყვარული და ერთგულება და სხვადასხვა მრავალი ამგვარი აზრი ტრიალებს ჩვენ საზოგადოებაში საქართველოს წარსულის შესახებ. ამ წარმოდგენის კრიტიკული განხილვა და შერყევა ქართველთა ნიჭიერების უარყოფად მიაჩნიათ. რით აიხსნება ამგვარი ახირებული გრძნობის არსებობა? მარტოოდენ იმით, რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ არაფერი არ იცის თავისი სამშობლოს ისტორიის შესახებ ჩვეულებრივი, მამა-პაპური გადმოცემის გარდა და ამის გამო შიშობს, ეს ნიადაგიც არ გამოეცალოს.

დიახაც, ჩვენ იმდენად უვიცნი ვართ ჩვენი წარსულის თავგადასავალის შესახებ, იმდენად გვეშინიან კრიტიკული მსჯელობისა, რომ მე-17-18 საუკუნ. წარსულის შესახებ შეთხზული შეხედულება სასიქადულოა და ჩვენი ნიჭიერების დამამტკიცებლად მიგვაჩნია და ისიც ვერ შეგვიმჩნევია, რომ ეს შეხედულება მხოლოდ ჩვენივე „testimonium pauperitatis“-ი არის[1]. მართლაც, განა ძალიან საქებარია ჩვენთვის, როცა გავიძახით და ვარწმუნებთ ხოლმე ყველას, საქართველოში საზოგადო და საეკლესიო საქმეების შესახებ უთანხმოება და ბრძოლა არც როდის არა ყოფილაო, ვითომც ჩვენში ეგრეთ წოდებულ მწვალებლობას თავი არც როდის

[1] testimonium pauperitatis – „სიღარიბის მოწმობა“, ვისმე ჭკუანაკლებობის მაჩვენებელი.

არ უჩენია?! ბერძნებს, რომაელებს, ასურელებს, ფრანგებს, გერმანელებს, რუსებს, სომხებსაც, ყველას, ჩვენს გარდა, ჰქონია სარწმუნოებრივი უთანხმოება, ყველგან ყოფილა ეგრეთ წოდებული მწვალებლობა, მხოლოდ ჩვენ მოგვაქვს თავი უცდომელობით... მაგრამ საქმე რომ მართლა ისე ყოფილიყო, როგორც ჩვენში ჰგონიათ, მაშინ მეცნიერს უნდა ეთქვა, რომ ან ქართველებმა მხოლოდ გარეგნობით, ზედაპირულად შეითვისეს ქრისტიანობა და იმის შინაარსსა, ამა თუ იმ დოგმატის სხვადასხვა ახსნაზე, რომელზედაც მთელი ქრისტიანობა კამათობდა ხოლმე, სრულებითაც არა ფიქრობდა, თავს არ იტკიებდა, ან არა და ქართველები იმდენად ნიჭმოკლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სარწმუნოებრივ ბრძოლასა და პაექრობაში მონაწილეობის მიღების თავი არა ჰქონდათ, არ შეეძლოთ, – გერმანელი პოეტის – ბოდენშტეტისა არ იყოს, „უცდომელი მხოლოდ ის არის, ვინც არაფერს არ აკეთებს“. ასეთი გახლავთ ჩვენი სასიქადულო შეხედულება! ნამდვილად კი სულ სხვანაირი იყო ჩვენი წარსული: სარწმუნოებრივი, საეკლესიო და სამონასტრო ბრძოლა, გაცხარებული კამათი ხშირად ყოფილა ხოლმე საქართველოში, სწორედ ამ ბრძოლას არაერთხელ გაუცოცხლებია და განუახლებია ჩვენი ეკლესია.[1] იგივე უნდა ითქვას „მამაშვილური“ განწყობილების შესახებ წოდებათა შორის. ბევრს ჰგონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი უნდა იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი: ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდო-ევროპიელთა მოდგმის ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალურ თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივ ბრძოლით ესარგებლათო. გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს, მაგ., თავის წიგნში „Geschichtsphilosopie”, რომ აღმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო. აზიაში შეიძლება მხოლოდ აჯანყდნენ, ტაქტიკური ბრძოლის უნარი კი არ მოეპოვებათო. როგორც ხედავთ, დიდად საქებური არ ყოფილა ეს ვითომდა ქართვე-

[1] ამის შესახებ იხ. И. Джавахов – Изъ исторіи церковныхъ реформъ въ древней Грузіи. Журн. Мин. Нар. Прос. 1904 г. №2.

ლების თვისება, „მამაშვილური“ განწყობილება წოდებათა შორის. საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლია, დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიახაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე...

ერთი სიტყვით, აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულის შესახებ სრულებით ვერ გვიხატავს საქართველოს მდგომარეობას, იმის წარმატებულ საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას. იგი გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე თვით ჩვენი წარსული ცხოვრება იდგა; იგი მხოლოდ ამ ცხოვრების უფერულ, მკრთალ აჩრდილს წარმოადგენს; მკრთალს იმიტომ, რომ ეს წარმოდგენა თანამედროვე მეცნიერულ კვლევასა და შესწავლაზე კი არაა დამყარებული, არამედ იმ გადმოცემასა და ცნობებზე, რომელიც ჩვენ საზოგადოებას XVI-XVIII საუკ. ქართველმა მოღვაწეებმა უანდერძეს...

ისტორიკოსის მოვალეობა

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა:

ისტორიკოსი მოვალეა, მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოარკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს, ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ **ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა, იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.**

მაგრამ საქართველოს ისტორიის პირუთვნელი, მეცნიერული ცოდნა მარტო ქართველებისთვის კი არ არის საჭირო, სხვა ერთა წარმომადგენლებისთვისაც: რა ჩამომავლობისაც უნდა გახლდეთ მეცნიერი, გერმანელი იქნება იგი, თუ ფრანგი, რუსი, თუ ქართველი, ყველანი ერთნაირად, რასაკვირველია, თუ ისინი მართლა მეცნიერებას ემსახურებიან, დაინტერესებულნი არიან, რომ საქარ-

თველოს წარსული საფუძვლიანადა და პირუთვნელად იყოს შესწავლილი, იმიტომ, რომ თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაესს მიზანს.

ცხადია, „ადვოკატურ“ ისტორიის დაწერა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, ვინც არავითარ ზნეობრივ მოვალეობას არა გრძნობს მეცნიერების წინაშე. მაგრამ იქნებ მამულიშვილური გრძნობა, მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი აიძულებს ქართველ მეცნიერს „გამოსარჩლებითი“ გაზვიადებული ისტორია წეროს ხოლმე? ზემოთ ვსთქვით, რომ ამგვარი ისტორია უნაყოფოა ხოლმე პოლიტიკაში, გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს, თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად. დიახაც, ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის: განა ეგვიპტელებსა და ასურელებზე კაცობრიობის წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვისმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლდათ, განა იმათი ბრწყინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ახლა შესაბრალისს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი? აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...“

თავი 3. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობა 1905-1907 წლებში

3.1. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907 წწ.) პერიოდში

1905 წლის 9 იანვარს „სისხლიანი კვირით“[1] რუსეთში რევოლუცია დაიწყო. რევოლუციური მოძრაობა საქართველოსაც მოედო – რევოლუცია ახალ იმედებს აჩენდა მათთვისაც, ვისაც ქვეყნის დემოკრატიზაცია და ეროვნული აღორძინება სურდა. 1900-იან წლებში საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკა მთელი ძალით ხორციელდებოდა, ინტელიგენციის ნაწილი გადაგვარების გზას ადგა, რევოლუციონერთა დიდი ნაწილი ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურად იყო განწყობილი, თუმცა უკვე იყო პოლიტიკური ძალაც (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია), რომელიც აყენებდა საქართველოს ავტონომიის საკითხს.

ივანე ჯავახიშვილი ამ დროს უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. ახალგაზრდა მეცნიერის პირველი ნაშრომები უკვე მიიღო და აღიარა სამეცნიერო საზოგადოებამ. რევოლუციის პერიოდში ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და მოქალაქეობრივმა საქმიანობამ მკაფიოდ წარმოაჩინა მისი პოლიტიკური პოზიცია.

მეცნიერთა საპროტესტო წერილთან შეერთება

1905 წლის 20 იანვარს გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ში გამოქვეყნდა რუსი მეცნიერების ჯგუფის საპროტესტო წერილი, რომლებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ რუსეთის განათლების მინისტრის ლ. ა. კასოს ბრძანებით უნივერსიტეტის შენობაში პოლიციის ძალები შეიყვანეს. წერილში ნათქვამი იყო: „ხალხის განათლების დარგში მთავრობის პოლიტიკა გამსჭვალულია

[1] ამ დღეს პეტერბურგში დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებსაც მეფესთან პეტიცია მიჰქონდათ თავიანთი მძიმე მდგომარეობის შესახებ.

უპირატესად პოლიტიკური ხასიათის თვალსაზრისით, წარმოადგენს მისი განვითარების მუხრუჭს, იგი აჩერებს ხალხის სულიერ ზრდას და სახელმწიფო დაკნინებამდე მიჰყავს“. ეს იყო მეფის ხელისუფლებისა და აკადემიური წრეების კონსერვატიული ნაწილის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტი. წერილს თავდაპირველად 342 მეცნიერი აწერდა ხელს, მათ შორის 16 აკადემიკოსი, 125 პროფესორი და 201 პრივატ-დოცენტი. შემდგომში ხელმომწერთა რაოდენობამ 1500-ს მიაღწია. პროტესტს ივანე ჯავახიშვილიც შეუერთდა.

1905 წლის 24 იანვარს ივანე ჯავახიშვილი გაზეთ „ნაში დნი“-ს («Наши дни») რედაქციას წერდა: „ღრმად პატივცემულო ბატონებო, იმის გამო, რომ აქამდე გაცნობილი არ ვიყავი, პროფესორების მიერ განზრახულ ბანკეტში შეეძლო თუ არა მონაწილეობა დოცენტს და უმაღლესი სკოლის სხვა მასწავლებლებს, მე ვერ შევძელი თავის დროზე მომეწერა ხელი მიმართვაზე „განათლების საჭიროების შესახებ“. ვთხოვ, პატივცემულ რედაქციას, მიუერთოს ჩემი გვარი ამ მიმართვის ხელის მომწერებს“.[1]

დაპირისპირება ნიკო მართან

მეფის რუსეთის მთავრობას, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით დიდ რევოლუციურ ტალღასთან უხდებოდა გამკლავება, მეცნიერთა პროტესტისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, სამაგიეროდ ივანე ჯავახიშვილს, მის მიერ დაფიქსირებული პოზიციის გამო, დაპირისპირება მოუხდა თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, ნიკო მართან.

როგორც კი გაზეთ „ნაში დნი“-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის წერილი, 1905 წლის 25 იანვარს ნიკო მარმა თავის საყვარელ მოწაფეს მკაცრი წერილი გაუგზავნა: „უკანასკნელ დროს, თითქმის ნახევარი წელიწადია, მე უკვე ვამჩნევდი, რომ ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობები რაღაცით წყდება, რაღაც ჩემთვის უხილავი დენით. უკანასკნელმა საუბარმა ნაწილობრივ

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984, გვ. 97-98.

გააცხადა წყარო თქვენი გაცივებისა ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობისადმი“.

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილს თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი რუსეთში არსებულ ვითარებაზე ნიკო მართან პირად საუბარშიც გამოუხატავს, შესაძლოა, რევოლუციის დაწყებისას, რასაც მარი სამეცნიერო საქმიანობის ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევდა.

ნიკო მარის 25 იანვრის მოკლე წერილში ივანე ჯავახიშვილისადმი შემდეგ ნათქვამია: „თქვენი განცხადება გაზეთ «Наши дни»-ში ჩემთვის საცნაურს ხდის, რომ ჩვენ გულწრფელად არ შეგვეძლო გვევლო ერთი და იგივე სამეცნიერო გზით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიაროთ ხელიხელ ჩაკიდებულებმა და წინანდელი მჭიდრო თანამშრომლობით სამეცნიერო და პოლიტიკური ინტერესების შეფარდების დიამეტრულად სხვადასხვა გაგებისას, მაშინ, როდესაც ჩემი ღრმა რწმენით, მეცნიერი პროფესორის მიერ პარტიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა მეცნიერების აკადემიურ თავისუფლებას ყველაზე მძიმე მორალური შედეგებით ემუქრება. მაგრამ რაკი სხვანაირია თქვენი რწმენა, მე დიდად მოხარული ვარ, რომ ეს გამოაშკარავდა და გისურვებთ წარმატებას ამ ახალ სარბიელზე“.[1]

ნიკო მარის წერილი აშკარად ირონიული ტონით მთავრდება და წერილის ბოლოს ივანე ჯავახიშვილს სთხოვს, ი. ნიჟარაძეს გადასცეს მარის მიერ შედგენილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების სია, „თუკი აღარ სჭირდება“.

ივანე ჯავახიშვილის პასუხი ნიკო მარისადმი თავდაჭერილი და ღირსეული იყო, ივანე ჯავახიშვილი განმარტავდა თავის მოქმედებას და აღნიშნავდა, რომ მისი წერილი „ნაში დნი“-ს რედაქციისადმი წარმოადგენს არა პარტიულ ბრძოლაში მონაწილეობის გამოვლინებას, არამედ მოქალაქის მოვალეობის ასრულებას:

„ჩემი პოლიტიკური მიმართულება და იდეალები, მე მეჩვენებოდა, თქვენთვის ნათელი იყო ადრეც ჩვენი უწინდელი საუბრებიდან. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვიფიქრებდი, რომ მოთხოვნებს

[1] ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., „ნეკერი“, 1996, გვ. 24; წერილის ქართული თარგმანი – გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., თსუ, 1999, გვ. 30-31.

ერთობლივი სამეცნიერო შესაძლებლობებისათვის, იმისათვის, რათა ხელიხელ ჩაკიდებულებს გვევლო ერთი და იგივე სამეცნიერო გზით, შეეძლოთ, ისე შორს წასულიყვნენ, რომ მე აუცილებლად დამჭირდებოდა ჩემი პოლიტიკური და მორალური რწმენის ნიველირება და შეთანხმება თქვენეულთან. მე ყოველთვის ვაცალკევებდი სამეცნიერო შეხედულებებსა და ინტერესებს პოლიტიკურისაგან. ჩემი წერილი „ნაში დნი“-ს რედაქციისადმი წარმოადგენს არა პარტიულ ბრძოლაში მონაწილეობის გამოვლინებას, როგორც თქვენ ფიქრობთ, არამედ მოქალაქის მოვალეობის ასრულებას, რადგან სახელმწიფოს ცხოვრების მსგავს მომენტებში ყოველი მოქალაქის ვალია, – ასეთი გახლავთ ჩემი ღრმა რწმენა, – გამოთქვას ამა თუ იმ მხრით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩემეული ქმედება ყველაზე ნაკლებად ემუქრება „აკადემიურ თავისუფლებას“, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობს“.[1]

ივანე ჯავახიშვილმა ნიკო მარს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სიაც დაუბრუნა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ნიკო მარს ასეთი წერილის შემდეგ ურთიერთობა უნდა გაეწყვიტა ივანე ჯავახიშვილთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მან რაღაც-რაღაცეები გადააფასა და ურთიერთობა ორ მეცნიერს შორის შემდეგაც გაგრძელდა.

ნიკო მარი, 1905 წ.

ნიკო მარი (1864-1934)

მამა – შოტლანდიელი იაკობ მარი (1793-1874), დედა – აგაფია მაღულარია. დაიბადა ქუთაისში, მშობლიური ენა – ქართული, 1884 წ. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და გადასახლდა პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. 1890 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, 1891 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. გახდა რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი აღმოსავლეთმცოდნე, 1912 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

[1] ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., „ნეკერი“, 1996, გვ. 34.

3.2. ქართული სახელმწიფოს გახსენება – ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“

მეფის თვითმპყრობელობის კრიტიკა საქართველოს ისტორიის მოშველიებით

ივანე ჯავახიშვილი მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიაში გაშლილ რევოლუციურ მოძრაობას და ემხრობოდა თვითმპყრობელობის სისტემის ჩანაცვლებას საპარლამენტო დემოკრატიით. მისი ასეთი პოზიცია კარგად ჩანს 1905 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიას ეხებოდა: „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“.[1]

ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული გამოკვლევა, ერთი მხრივ, აგრძელებდა ბრძოლას „აღმოსავლეთის გაყინულობის“ ჰიპოთეზის წინააღმდეგ, ასაბუთებდა, რომ საქართველოში ძველ დროში მიმდინარე რიგი პროცესები დასავლეთ ევროპასაც უსწრებდა, მეორე მხრივ კი, ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა რა საქართველოს მეფის უფლებების ისტორიას დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფის ჩათვლით, მკაფიოდ აფიქსირებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას თვითმპყრობელობისადმი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმისადმი.

„ამგვარად საქართველოს მეფეებს ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებიათ, ფუჭად და ამაოდ ჩაუარათ“, – ასკვნიდა ივანე ჯავახიშვილი; ყუთლუ არსლანის დასის მოთხოვნებთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ამგვარად თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო“; „თვითმპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სავსებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია“.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905; აღნიშნული გამოკვლევა პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1905 წ. №№ 2856, 2859, 2860, 2862, 2866).

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 79, 84, 88.

ყუთლუ არსლანის დასის მოთხოვნების თანახმად, მეფეს კანონმდებლობითი ხელისუფლება უნდა ჩამორთმეოდა და მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა დარჩენოდა. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა:

„დიახაც დიდი ყურადღების ღირსია ეს ჩვენი წარსული სახელმწიფო ცხოვრების მოვლენა; საყურადღებო და საგულისხმიერო იმიტომაა, რომ ყუთლუ-არსლანის დასი საქართველოს ბატონის თვითმპყრობელობითი უფლების შეზღუდვას იყო მოწადინებული და დიდგვარიან აზნაურთა დასივით წოდებრივ განსაკუთრებულ უპირატესობისა და უმაღლესი მოხელეობის მოხვეჭით არ იყო გატაცებული; მას სურდა, ხელმწიფის უფლება შეეზღუდა და საქართველოში ახალი მმართველი დაწესებულება დაფუძნებულიყო, ერთი სიტყვით, ამ პოლიტიკურ მოძრაობას წოდებრივი ხასიათი არა ჰქონდა და მარტოოდენ სახელმწიფოს წეს-წყობილების ცვლილების გულისათვის იყო ატეხილი.

ჩვენ არ ვიცით, რა წელს მოხდა ეს ისტორიული მოძრაობა... იგი 1189 და 1200 (ან 1195) წლებს შორის უნდა მომხდარიყო. როგორ მოქმედებდნენ ამ პროგრესული დასის წარმომადგენელნი შემდეგ საუკუნეების განმავლობაში, ჯერჯერობით ჩვენ ამას არ შევეხებით, ან კი რა უნდა ემოქმედნათ, როცა მონღოლთა შემოსევამ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და წარმატება დიდი ხნით შეაფერხა და დააუძლურა, ხოლო ჩვენი ერი უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო“.

ქართველთა ეროვნული თვითშეგნების კვლევა

ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდას. 1905 წელს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მას მომზადებული ჰქონდა ცალკე გამოკვლევა სათაურით – „ეროვნული თვითშემეცნების ისტორია საქართველოში“. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა ივანე ჯავახიშვილს არ გამოუქვეყნებია.[1]

---

[1] X-XIII საუკუნეებში ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საკითხებს ივანე ჯავახიშვილი ეხება „ქართველი ერის ისტორიის“ მე-2 ტომში, კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილ თავებში.

1907 წელს თბილისში წაკითხულ ლექციების ციკლში, რომელიც საქართველოში კულტურის ისტორიას ეძღვნებოდა, ივანე ჯავახიშვილი შეეხო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასაც: „მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას კულტურული აღორძინებაც მოჰყვა. განვითარდა ქართველი ერის თვითშემეცნება, მრავალი უტყუარი საბუთი მოიძებნება იმისა, რომ ამ ხანაში ეს შემეცნება მართლაც ძლიერი იყო. როგორც ვიცით, წმინდა ქრისტიანობა კოსმოპოლიტური მოძღვრებაა და ყოველგვარ ეროვნულ განცალკევებას სპობს, მაგრამ საქართველოშიაც, როგორც სხვაგან, ამ სარწმუნოებამ ეროვნული ხასიათი მიიღო და იგი ქართულ ეროვნულ ნიადაგზე განმტკიცდა“. იმავე ლექციაში ივანე ჯავახიშვილი მე-11 საუკუნის საქართველოზე საუბრისას აღნიშნავდა: „ამ ხანში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც კი იყო არავითარი იმერლობა-ამერლობაზე და სხვა ამის მსგავს რისამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ, დღესაც სავსებით არ გამქრალა. საქართველოდან სამი ათასი ვერსით მოშორებულს, სადღაც სინას ხრიოკ მთაზე გადახვეწილ ქართველს, რომელსაც კულტურული შრომისა და ხასიათის განმტკიცებისათვის უარ-ეყო ცოლ-შვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი მიწა-წყალი, იქ, იმ უდაბნოში, სხვა არა ახსოვდა რა, გარდა საქართველოსი. სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“-ო.[1]

ნაშრომში „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ ივანე ჯავახიშვილი აღწერდა რა საქართველოს გაერთიანების პროცესს, აღნიშნავდა, თუ რა ძნელი იყო კუთხურობის დაძლევა. „ასე შეაერთა სახელოვანმა ხელმწიფემ ერთ დროს განცალკევებული და ზოგჯერ ურთიერთის მოწინააღმდეგე ქართველი მოდგმის ტომების სამეფოები. ასე შეითხზა და დამყარდა აგრეთვე ქართველ მეფეთა ჩვეულებრივი სახელწოდება „მეფეთა მეფე, მე-

[1] გაზ. „ისარი“, 1907 წ. 28 ივნისი, № 139.

ფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“ და სხვა და სხვა. ამ სახელწოდებაში საუცხოოდ გამოიხატება საქართველოს თანდათანი გაერთიანების ისტორია და ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც საქართველოს ხელმწიფის უფლება იყო დამყარებული. ეს ნიადაგი და საფუძველი ადგილობრივი და ტომობრივი განცალკევება და კერძოობა გახლავთ. საქართველოს სამეფო გვარი მაშინაც კი, როცა მთელი კავკასია მას დაპყრობილი ჰქონდა, შეერთებულ, ეროვნულ სახელმწიფოს მბრძანებლად ითვლებოდა და სამეფო საყდარი თბილისში იყო გადმოტანილი, მაშინაც კი მათ საზოგადოდ „აფხაზთა მეფეებს“ ეძახდნენ; ასე უძახიან მათ, სხვათა შორის, არაბებისა და სპარსელების ისტორიკოსებიც. ეტყობა, მაშინდელ საზოგადოებას კარგად ახსოვდა, რომ თავდაპირველად საქართველოს მეფეები აფხაზთა მეფეები ბრძანდებოდნენ“.[1]

ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და აღნიშნავდა, რომ „ამ პროვინციულ განცალკევების მიდრეკილების შესწავლაა საჭირო“. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „წარმოიდგინეთ, მეთორმეტე საუკუნის უმაღლესმა სახელმწიფო ძლიერებამ და პოლიტიკურმა ხანგრძლივმა ერთობამაც კი ვერ გააქარწყლა სამუდამოდ სათემო განცალკევებისადმი მიდრეკილება, დროგამოშვებით ამგვარი კერძოობის გრძნობა და პროვინციალური განცალკევების წადილი თავს ამოჰყოფდა და თავის გესლიან ნაყოფს გამოიტანდა ხოლმე. ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში დიდი ძალღონე შეალია ამ განცალკევების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. დიახაც, უნაყოფოდ არ ჩაუვლია ამ სახელოვან მოღვაწეობას, ბევრ მამულიშვილს უმუშავნია თავგამოდებითა და ღრმა სიყვარულით გამსჭვალულს, რომ თანამოძმეების ეროვნული თვითშემეცნება გაეღვიძებინა და მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა“.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თხზ., ტ.12, თბ., 1998, გვ. 208-209.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თხზ., ტ.12, თბ., 1998, გვ. 209.



3.3. დაუმთავრებელი ნაშრომი „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“

რევოლუცია და საზოგადოების აზროვნებაში მიმდინარე გარდატეხა

1906 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“ ბეჭდვა. ჩანაფიქრი უაღრესად მასშტაბური იყო, მაგრამ დაიბეჭდა მხოლოდ პირველი წერილი „ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი“. აღნიშნული ნაშრომიდან შევჩერდებით მხოლოდ მის შესავალ ნაწილზე, სადაც ჩამოყალიბებულია ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი ხალხის აზროვნებაში მიმდინარე გარდატეხის და საზოგადოების გარდაქმნის საქმეში „განათლებული წრეების“ როლის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, „კარგა ხანია, რაც საქართველოში დიადმა მოძრაობამ იჩინა თავი“. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ცხადი გახდა, რომ „ხალხის წინანდელი აზროვნება ირყეოდა და ხალხში ახალი მიმართულება ვრცელდებოდა“. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ეს მოძრაობა და ძველებურ შეხედულობის შერყევა ქართველი ერის ეკონომიურ განწყობილებასაც[1] შეეხო, მის ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებასაც“.[2]

---

[1] ე.ი. ეკონომიურ ურთიერთობებს.
[2] „ივერია“, 1906, №10.

მიმდინარე ცვლილებების თვალსაჩინო გამოხატულება იყო ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლა. „ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში მხურვალე და წრფელ სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა: ხალხს აღარ აკმაყოფილებს წინანდელი მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ზოგან კიდევ ეგრედ წოდებული რაციონალური მიმართულებაა გამეფებული“.[1]

საზოგადოების განწყობაში მიმდინარე ცვლილებები მარტო ეკლესიისა და რელიგიის სფეროს არ ეხებოდა, მაგრამ ეს ძალზე მნიშვნელოვანი მხარე იყო ცვლილებებისა და ამიტომაც მასზე უფრო დაწვრილებით შეჩერდა ივანე ჯავახიშვილი, – ამას სტატიის თემაც განაპირობებდა. ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მას სათავეში რუსი ეგზარხოსი ედგა და ქართველობის გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა, მაგრამ ამ საკითხს, ცენზურის გათვალისწინებით, ივანე ჯავახიშვილი არ შეხებია.

ივანე ჯავახიშვილი განიხილავს იმ დამოკიდებულებასაც, რაც იმ დროს არსებობდა ხალხის რელიგიურობის შემცირებასთან დაკავშირებით – ზოგი მდგომარეობის გამოსწორებას ზედაპირული ზომებით ფიქრობდა, ზოგი კი, პირიქით, ამ პროცესს სიხარულით ხვდებოდა. „ერთი ნაწილის მიდგომით ვითომც წირვა-ლოცვის გამშვენიერება და ქადაგების შემოღება აჩერებდეს ურწმუნოებისა და ეკლესიისადმი გულგრილობის გავრცელებას“, მეორე ნაწილის მიხედვით კი, „ვითომც საკმარისია, ხალხს ჩააგონოთ, – მღვდელი და ხატი რად გინდაო, რომ რაციონალურმა მართლა გაიმარჯვოს“, მაგრამ „ორივე მხარე შემცდარია იმიტომ, რომ გარეგნულობა შინაარსად მიაჩნიათ და ზედაპირული საშუალებით სურთ, დიად საქმეს წინ გაუძღვენ“.

„განათლებული წრეების“ როლი საზოგადოების გარდაქმნაში

ნაშრომში „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“ ივანე ჯავახიშვილი აყენებს „განათლებული წრეების“ მნიშვნელო-

[1] „ივერია“, 1906, №10.

ბის საკითხს კრიზისულ სიტუაციებში და განიხილავს ხალხის (მასების) და განათლებული წრეების ურთიერთმიმართების საკითხს. შეიძლება „განათლებული წრეები“ დღევანდელ სოციალურ მეცნიერებაში დამკვიდრებული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელობით გავიგოთ, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს თუ დავუკვირდებით, „განათლებული წრეები“ და „პოლიტიკური ელიტა“ სინონიმები არაა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების აუცილებლობას გრძნობს, თავად არ შეუძლია სწორი გზის პოვნა, ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარება. „ხალხს ხომ თავის თავად გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ წინანდელი წესი ეხლა გამოუდეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორ, – ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს“, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „დიადი მოძრაობის სათავეში“ უნდა ჩადგნენ „ხალხის განათლებული წრეები“, სწორედ მათ უნდა უხელმძღვანელონ სახალხო მოძრაობას და „სწორე, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ იგი“. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ამოცანის შესრულება ადვილი არ იყო. „სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში თავისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოგმატიური და საეკლესიო წყობილება აქვს შექმნილი, ძალიან ძნელი და რთული საქმეა“. ჯავახიშვილის თქმით, „თითოეულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობასა და დაწესებულებას თავისი წარსული და მნიშვნელობა ჰქონდა“. აქედან გამომდინარე, „განათლებულ წრეების მოვალეობაა, შეიგნონ მნიშვნელობა თითოეულ ამგვარ დაწესებულებისა და გამოარკვიონ, აკმაყოფილებს იგი თანამედროვე მოთხოვნილებას თუ არა“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რომელთაც შეუძლიათ ამ დიდ მოძრაობის სათავეში ჩადგნენ და სწორე, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ“. ამას ივანე ჯავახიშვილი კანონზომიერებად მიიჩნევდა და თავის მსჯელობას შემაჯამებელ დასკვნას ურთავს: „წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძ-

რაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიაც“.

ვინ შიძლება ყოფილიყო საქართველოს პირობებში „განათლებული წრეები“, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ ხალხისთვის? – ცხადია, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია, რომელსაც უნდა შეესწავლა მიმდინარე პროცესები და სწორი გზა ეჩვენებინა ხალხისთვის.

3.4. აკრძალული წიგნი – „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ 1906 წელს ცალკე ბროშურად რუსულ ენაზე გამოვიდა პეტერბურგში. აღნიშნული ნაშრომი მაშინვე ითარგმნა ქართულად და გამოქვეყნდა გაზეთ „შრომის“ ექვს ნომერში. ამ გაზეთში ჯავახიშვილის ნაშრომის ბეჭდვა დაიწყო 1906 წლის 27 ივნისის (10 ივლისის) ნომერში სათაურით „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში. პრივატ-დოცენტის ჯავახიშვილისა“ და ერთვოდა მოკლე შენიშვნა – „ეს თხზულება ცალკე წიგნად ამ ორიოდე დღის წინად გამოვიდა პეტერბურგში“.

ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომი შემდგომ ორჯერ მაინც ითარგმნა ქართულად[1], მაგრამ 1906 წელს გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნებულ თარგმანს ისტორიული ღირებულება აქვს. მას უთუოდ იცნობდა ივანე ჯავახიშვილი. სავარაუდოდ, სწორედ ამ თარგმანის გამოქვეყნება უნდოდათ ცალკე წიგნადაც, რაც ცენზურამ მაშინ არ დაუშვა და წიგნის აკრძალვაც მოჰყვა.

[1] ივანე ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, №2-3, გვ. 143-170; ივანე ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში, თბ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2016, გვ. 68.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ რუსულად გამოცემის მიზანი

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1906 წელს გამოცემულ ბროშურაში რუსეთში 1905 წელს დაწყებული რევოლუციის გავლენა იგრძნობა. ივანე ჯავახიშვილი მიზნად ისახავდა, რუსი მკითხველისთვის ეჩვენებინა, რომ ამ პერიოდში საქართველოში გაშლილი გლეხთა აგრარული მოძრაობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებისათვის მეტად შთამბეჭდავი იყო, შემთხვევითი არ იყო, თავისი ისტორიული ფესვები ჰქონდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა მე-19 საუკუნეში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.

ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი სწორედ ამ გარემოების ხაზგასმით იწყება: „რამდენიმე წელიწადია უკვე, რაც ძლიერმა სოციალურმა და პოლიტიკურმა მოძრაობამ საქართველოში მიიქცია რუსეთის საზოგადოების ყურადღება. თუ არ ყველას, მომეტებულ ნაწილს მაინც ეს მოძრაობა მოულოდნელ მოვლენად მიაჩნია. ვერ მიმხვდარან, რამ შეჰქმნა ის ერთსულოვნება, რომელსაც იჩენს ქართველი ხალხი სოციალურ მოძრაობაში, საიდან გაჩნდა ის სამაგალითო დისციპლინა და საორგანიზაციო მოქმედება, რომელთა წყალობითაც ასე ცხადად გაირჩევა კულტურულ ქართველთა მოძრაობა რუსეთის სხვა კუთხეების თანამედროვე მოძრაობისაგან“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ დრომდე რუსულ ენაზე არ არსებობდა თუნდაც მოკლე მიმოხილვა მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების თაობაზე. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად აღნიშნული ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი, შესაძლოა, გათვლილი იყო იმაზეც, რომ მას გაეცნობოდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრები და სახელმწიფო მოხელენი, რომელთაც გარკვეული გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან და, პირველ რიგში, გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯავახიშვილის ნაშრომი ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს, გამოკვლევებს და უკვე გამოქვეყნებულ მასალებს. ჯავახიშვილი არ იყენებდა

არცერთ საარქივო დოკუმენტს. ამ გარემოებამ შემდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და შეამცირა ის რეპრესიები, რაც ნაშრომის გამოქვეყნებისთვის ივანე ჯავახიშვილს დაატყდა თავს.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ქართულად გამოცემის მცდელობა

საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, ნაშრომი მაშინვე ითარგმნა ქართულად და გაზეთ „შრომაში“, უკვე 1906 წლის ივლისში გამოქვეყნდა. ამასთან გაზეთი აღნიშნავდა, რომ რუსულად პეტერბურგში „ორიოდე დღის წინად“ იყო გამოქვეყნებული. მალე სცადეს ეს ნაშრომი ქართულად წიგნის სახითაც გამოეცათ და ამ მიზნით თხოვნა წარედგინა ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტს მისი გამოცემის ნებართვისათვის. ცენზურამ უარი თქვა ნებართვის გაცემაზე.

მაშინ გამომცემელმა აღნიშნულ კომიტეტში წარადგინა პეტერბურგში რუსულად გამოცემული ნაშრომი, როგორც დედაქალაქის მიერ ნებადართული და ხელმეორედ ითხოვა ნებართვა ამ გამოცემაზე. თუმცა ამას მოვლენათა სულ სხვა განვითარება მოჰყვა. თბილისის ცენზურამ არათუ ნებართვა არ გასცა, ჯავახიშვილის ნაშრომის გამოქვეყნების მიზანშეუწონლობის შესახებ მოხსენება წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალ ი. ვორონცოვ-დაშკოვს. მეფისნაცვალმა დაადასტურა ბროშურის ქართულად გამოცემის აკრძალვა. ამას მოჰყვა რუსულად უკვე დაბეჭდილი ბროშურის აკრძალვაც. დაბეჭდილი 5 ათასი ეგზემპლარიდან ნახევარი უკვე გაყიდული იყო, მეორე ნახევარი კი გაყიდვიდან ამოიღეს.

წიგნის ავტორი ივ. ჯავახიშვილი სასამართლო პასუხისგებაშიც კი მისცეს, „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“. მას უშველა იმან, რომ მთელი წიგნი ოფიციალურ, გამოქვეყნებულ მასალას ეყრდნობოდა.[1] ივანე ჯავახიშვილს სამი წლით აეკრძალა პეტერბურგიდან უნებართვოდ გასვლა.

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 96-97.

აღნიშნული წიგნის აკრძალვასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს პაატა გუგუშვილს. მისი თქმით, როდესაც 1926-1928 წლებში საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივში მუშაობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და ბეჭდვითი სიტყვის თბილისის კომიტეტის ფონდებს ეცნობოდა, გამოავლინა ერთი „საქმე“ – ეს იყო ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის – «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в» (СПБ. 1906, изд. «Сакартвело») ცენზურის მიერ აკრძალვის შესახებ მიმოწერა. „აქ ივ. ჯავახიშვილი დახასიათებული იყო როგორც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური და სულისჩამდგმელი. ეს ვაცნობე თვით ივ. ჯავახიშვილს. რამდენიმე დღის შემდეგ დანიშნულ დროზე მობრძანდა. საქმეს გაეცნო. წასვლისას დამემშვიდობა და მითხრა: მეტისმეტი ყურადღება მიუქცევიათო... თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ ამ მასალის გაცნობის საშუალება მომეცითო“.[1]

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის სიმონ ყაუხჩიშვილიც. „თვითონ ივ. ჯავახიშვილს აქვს ნათქვამი ჩვენთვის, რომ ამ მიმოხილვის გამოქვეყნებამ გამოიწვია რეპრესია: სამი წლით აეკრძალა პეტერბურგიდან გამოსვლა; მეტი სასჯელი მომელოდაო, – დასძინა განსვენებულმა მკვლევარმა, – მაგრამ მოხსენებული ვიყავი როგორც თავადი და ამან მიხსნა უფრო მკაცრი სასჯელისაგანო“.[2]

ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესეს. იგი არ შეწყვეტილა შემდგომ მეფის ხელისუფლების არსებობის მანძილზე, ანუ 1917 წლამდე.[3]

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის კონცეფცია

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის მიზანი, როგორც უკვე ითქვა, რუსეთის საზოგადოების გარკვევაა საქართველოში მიმდინარე

---

[1] პაატა გუგუშვილი, დაუვიწყარი მასწავლებელი, მოგონება, „მნათობი“, 1974, №1, გვ. 175.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, რედაქტორისაგან წიგნში: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბ., 1953, გვ. VIII.

[3] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 97.

მოვლენებში, კერძოდ კი, აგრარული მოძრაობის მიზეზებსა და ხასიათზე, მაგრამ აქ მხოლოდ საუბარი არაა უბრალოდ გლეხობის მძიმე მდგომარეობასა და ბატონყმობის გადმონაშთების აღმოფხვრის საჭიროებაზე. ივანე ჯავახიშვილი წარმოადგენს საქართველოში რუსეთის „ასი წლის მართვა-გამგეობის შედეგებს“. ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილი სურათი იმდენად შემზარავი აღმოჩნდა, რომ წიგნი გამოცემისთანავე აიკრძალა.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომის წაკითხვის შემდეგ? საქართველო გაფორმებული ხელშეკრულებების (1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) უხეში დარღვევით და მოტყუებით დაიპყრო რუსეთმა, მოსპო სახელმწიფო ინსტიტუტები, გააბატონა სასტიკი კოლონიური რეჟიმი, უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკა, მეფის მექრთამე მოხელეები თავიანთი უსულგულო და ცინიკური დამოკიდებულებით კიდევ უფრო ამძიმებდნენ რუსული მმართველობის შედეგებს. რუსული მმართველობის შედეგებიდან გამოტანილ დასკვნას კი ივანე ჯავახიშვილი ნაშრომის დასაწყისშივე წარმოადგენს: „რევოლუციონურმა პარტიებმა კი არ დასცეს მთავრობა ხალხის თვალში, თვით მთავრობამ თავის მოქმედებით ასის წლის განმავლობაში დაამხო თავისი თავი; თვით სასამართლომ შეარყია თავის ავტორიტეტის საძირკველი“.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის გაცნობის შემდეგ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ რუსეთის მმართველობის გაგრძელება საქართველოში გადაწყვეტდა იმ პრობლემებს, რაც ასი წლის მმართველობის შედეგად თავად წარმოშვა. ამ პრობლემებიდან ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით ეხება მხოლოდ გლეხთა მოძრაობას და აგრარულ საკითხს. ივანე ჯავახიშვილის 1906 წელს გამოცემულ წიგნში თხრობა მთავრდება 1905 წლის მოვლენების აღწერით და მისი შეჯამებაა ნაშრომის ბოლო აბზაცი: „ნამესტნიკმა[1] ზოგი მოთხოვნა სამართლიანად და მათი დაკმაყოფილება აუცილებლად სცნო, მაგრამ დღესაც არაფერი გაკეთებულა. სამაგიეროდ, რეაქციის წყალობით, რევოლიუციის ჩასაქრობად საქართველო ისე გაანადგურეს, თითქო მტერი შემოესიაო. ამ გალაშქრებამ

[1] მეფის ნაცვალი.

სიმძულვარის მეტი არაფერი შეჰმატა „მართლმადიდებელ ქრისტეს მოყვარე ჯარის“ სახელს. უიარაღოს მოკვლა ძნელი არ არის, მაგრამ განა მთავრობა ასეთის საქციელით აღადგენს თავის ზნეობრივ გავლენას? ამაზედ პასუხს გვაძლევს ასი წლის მართვა-გამგეობის შედეგი საქართველოში“.

პასუხი კი, ასი წლის მართვა-გამგეობის შედეგებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთადერთია – რუსეთის მთავრობა „თავის ზნეობრივ გავლენას“ საქართველოში ვერასოდეს აღიდგენს. საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ამ მმართველობის დასასრულს საქართველოში. რუსეთის პირველი რევოლუცია კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ამ მმართველობის დასასრული გარდუვალი და მხოლოდ დროის საკითხი იყო.

გლეხთა მოძრაობა XVIII საუკუნის საქართველოში

ივანე ჯავახიშვილი თავის ადრეული პერიოდის ნაშრომებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ე.წ. „აღმოსავლეთის გაყინულობის“ კონცეფციის დაძლევას და იმის ჩვენებას, რომ საქართველოსთვისაც დამახასიათებელი იყო ის სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა, რითიც ხასიათდებოდა ევროპის განვითარება.

1906 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სოციალურ ბრძოლას, გლეხთა აგრარულ მოძრაობას საქართველოში ისტორიული ფესვები აქვს და არ დაწყებულა მე-19 საუკუნეში. მისი თქმით, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა, მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე აგრარული მოძრაობა საქართველოში არ შეწყვეტილა. ამას ადასტურებს შემონახული ისტორიული დოკუმენტები, უმეტესად საეკლესიო გლეხთა მოძრაობის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ამ მოძრაობამ ვერ მიიღო „თავისი ისტორიულ-ლოგიკური განვითარება“, რადგანაც გარეშე მტრის განუწყვეტელი თავდასხმების პირობებში, ქვეყანა ვერ ახერხებდა შიდა პრობლემების მოწესრიგებაზე კონცენტრირებას. მიუხედავად ამისა, მე-18 საუკუნეში სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო ყმა-გლეხების მდგომარეობის შემსუბუქება და ამით მათი უკმაყოფილების შენე-

ლება. მაგალითად, 1765 წელს მეფე ერეკლეს გადაწყვეტილებით, იმ ყმებზე, რომლებიც თავისუფლებას მოიპოვებდნენ ტყვეობიდან, აღარ ვრცელდებოდა ყოფილ მებატონეთა უფლებები, რომ ყმა, რომელიც არ ყოფილა გამოსყიდული ტყვეობიდან მებატონეთა მიერ, თავისუფლებას ღებულობდა, ასევე თუკი მებატონე შიმშილობის დროს არ იზრუნებდა ყმაზე, ეკარგებოდა მასზე უფლება და ა. შ. საქართველოს ბუნებრივი განვითარება კიდევ უფრო შეაფერხა რუსეთის მიერ დაპყრობამ.

ეროვნული და სოციალური მოძრაობის თანაფარდობის საკითხი

საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, 1832 წლის შეთქმულება განწირული იყო დასამარცხებლად, რადგანაც გლეხობა მას მხარს არ დაუჭერდა. გლეხობისათვის ეროვნულ განთავისუფლებაზე უფრო მეტად ბატონყმობისგან თავის დაღწევა იყო მნიშვნელოვანი. „ეხლა, როდესაც საბუთები ხელთა გვაქვს, დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ... გაუცემლადაც შეთქმულება ვერ გაიმარჯვებდა, იმიტომ კი არა, რომ საზოგადოება საკმაოდ არ იყო აღელვებული მთავრობის რეჟიმით, არამედ იმიტომ, რომ ქართველ გლეხთა შორის ძლიერმა უკმაყოფილებამ მემამულეთა წინააღმდეგ სწორედ ამ დროს იჩინა თავი“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „რუსის რეჟიმი მეტად მძიმე იყო გლეხობისთვისაც“, მაგრამ გლეხობის უმეტესი ნაწილი ცდილობდა ბატონ-ყმობისგან განთავისუფლებას, ქართველ გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში კი რუსის მოხელეებს (მეტადრე კი ვექილებს) ყმების მხარე ეჭირათ. „გლეხობა ვერ უღალატებდა მომხრე მოხელეებს, რომელნიც ასეთ მფარველობას უწევდენ და ამბოხებაში მხარს ვერ დაუჭერდა თავად-აზნაურობას, რადგან ამ თავად-აზნაურობის ბატონობისგან თავი უნდა დაეხსნა“.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, „საქმის მომწყობ თავად-აზნაურთ რომ კარგად შეეგნოთ გლეხთა მოძრაობის დიდი მნიშვნელობა და ყმების სურვილი დაეკმაყოფილებინათ, მათი განზრახვა რეალურ სახეს მიიღებდა, მაგრამ სწორედ ეს არ მოხდა“.

თემის გაგრძელება – „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის“

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“ 1906 წელს გამოვიდა და მოვლენათა აღწერა 1905 წლით წყდება. ამავე საკითხებს ივანე ჯავახიშვილი ეხება რუსული ენციკლოპედიისთვის მომზადებულ „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“, რომელიც დაწერილია არა უგვიანეს 1912 წლისა. აღსანიშნავია, რომ მიმოხილვის ბოლოს მოცემულ ლიტერატურაში ივანე ჯავახიშვილი ასახელებს 1906 წელს გამოცემულ თავის ნაშრომს „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“.

მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი გადმოსცემს არა მხოლოდ აგრარულ მოძრაობასთან დაკავშირებულ მოვლენებს, არამედ საუბრობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებზე; მიუთითებდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო იზრდებოდა საქართველოს ავტონომიის მომხრეთა რაოდენობა, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ წამოაყენა და სოციალ-დემოკრატებს შორისაც პოულობდა მომხრეებს.

მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი არა მხოლოდ გადმოსცემდა, არამედ შეფასებასაც აძლევდა საქართველოში 1900-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს; აღნიშნავს, რომ 1890-იან წლებში დაწყებულმა აგრარულმა მოძრაობამ 1904-1905 წლებში მთელი საქართველო მოიცვა. ეს მოძრაობა წარმოშობილი იყო წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე და მიზნად ისახავდა საიჯარო პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ მთავრობამ ეს მოძრაობა პოლიტიკურად მიიჩნია და რეპრესიები მოჰყვა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. ამის შედეგად გლეხობამ თვალსაჩინო დადასტურება მიიღო იმისა, რომ რუსეთში გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, ამიტომაც მოძრაობამ თანდათან პოლიტიკური შეფერილობა მიიღო.[1]

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, თბ., 1998, გვ. 366.

რევოლუციის ჩახშობამ რუსეთში განაპირობა მოძრაობის დამარცხება საქართველოშიც. დავიწყებას მიეცა მოძრაობის აღმავლობის დროს დაპირებული რეფორმები კავკასიაში: ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მშობლიურ ენაზე სწავლების თავისუფლება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგება ადგილობრივი გლეხებისათვის და სხვა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხელისუფლების მიერ გატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა და ჯარიმებმა გლეხები ეკონომიურად გააღატაკა, მეორე მხრივ, გლეხთა მოძრაობის გაქანებით შეშინებული მემამულეები თავიდან პანიკურად ყიდდნენ თავიანთ მიწის ნაკვეთებს. მეფის მთავრობა კი აგრძელებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას და კავკასიის „თავისუფალ მიწებზე“ რუსეთიდან ასახლებდა კოლონისტებს. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, აგრარული საკითხი არათუ არ იდგა გადაწყვეტის გზაზე, არამედ კიდევ უფრო ჩაიხლართა.

მიმოხილვის ბოლოს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში განსაკუთრებული ძალით იგრძნობოდა ეროვნული ჩაგვრაც. შექმნილ ვითარებაში საქართველო არსაიდან არ უნდა მოელოდეს დახმარებას და ბუნებრივია, რომ მთელი ენერგია მიმართული უნდა ყოფილიყო შინაგან ორგანიზებასა და აღმშენებლობით საქმიანობაზე. ამ საქმიანობის მიზანი იყო ხალხის თვითშეგნებისა და ეკონომიური კეთილდღეობის გაზრდა, რაც ხორციელდება წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის გაზრდით, რაციონალური ცოდნის გავრცელებით სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაზე, კოოპერატივებისა და ამხანაგობების დაარსებით და სხვა.[1]

3.5. დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური ცხოვრება – ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“

1907 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. საქართველოს ეკონომიკის

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, თბ., 1998, გვ. 368.

საკითხებზე ივანე ჯავახიშვილი შემდგომშიც მუშაობდა, მაგრამ მხოლოდ 1930 წელს გამოვიდა მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნი. იხსენებდა, რა 1907 წელს გამოცემულ ნაშრომს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „იმ დროს და იმ პირობებში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დაწერის განზრახვა ეხლა ჭაბუკურ გამბედაობად მეჩვენება“-ო.

1907 წელს გამოცემულ ამ წმინდა ისტორიულ გამოკვლევაშიც ბევრი რამ იყო საგულისხმო იმდროინდელი საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის. ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას IX-XIII საუკუნეებში და აჩვენებდა, რომ ქართველებს თავის ძალებზე დაყრდნობით შეუძლიათ მტრის მოგერიება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა.

როგორი იყო დამოუკიდებელი საქართველო

ივანე ჯავახიშვილი თამარ მეფის ეპოქაზე საუბრისას აღნიშნავდა, თუ როგორი ძლიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული იყო იმდროინდელი საქართველო: „მაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მთავრობას კი, როგორც ეტყობა, საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა საუკეთესოდ მიაჩნდათ: სამეფო გაფართოებული იყო, გარეშე მტრები ხმა ჩაწყვეტილები ისხდნენ თავიანთვის და თუ ვინმე გაბრიყვდებოდა და საქართველოს ომს გამოუცხადებდა, შესაფერის პასუხს გასცემენ ხოლმე. დასასრულ, მთელი ქვეყანა სიმდიდრით იყო ავსებული. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოება ყველას, დიდით პატარამდის, ქვეყნის მეტის მეტი წარმატების ნიშნად მიაჩნდათ“.[1]

ივანე ჯავახიშვილი შეეცადა, გამოეთვალა იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობა და აღნიშნავდა, რომ მე-13 საუკუნეში საქართველო უფრო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მცირემიწიანობის საკითხი მწვავედ იდგა. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „მაშასადამე, მიწის სიცოტავე უფრო მეტი იქნებოდა, აკი იყვნენ კიდეც ამ დროს უმიწაწყლო გლეხები, რომელნიც მუშაობით ირჩენდნენ თავს; მხოლოდ რაკი მაშინ აღებმიცემობა, ხელოს-

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზ., ტ.12, გვ. 278.

ნობა და მრეწველობა განვითარებული იყო, უმიწობა ასე საგრ-ძნობელი არ იქნებოდა, როგორც ახლა“.[1]

ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა ქართველი მარქსისტების მხრიდან

ივანე ჯავახიშვილის მიერ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ (1907) გამოქვეყნებას ქართველი მარქსისტების განაწყენება მოჰყვა. მათ თავად მარქსისტული იდეოლოგია მოუწოდებდათ, ყურადღება მიექციათ ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის და შეესწავლათ იგი. მათ კი ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის მსგავსი არაფერი ჰქონდათ გაკეთებული; გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილი ეხებოდა ეკონომიკის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ ეს არ იყო მარქსისტული თვალსაზრისი. ამდენად, ქართველმა მარქსისტებმა, ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიური განვითარების სურათი არამარქსისტულად და ამიტომ „მცდარად“ მიიჩნიეს.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი გააკრიტიკა ქართველი მარქსისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ფილიპე მახარაძემ, რომელმაც 1907 წელს ქუთაისში გამომავალ მარქსისტულ ყოველკვირეულ გაზეთ „ცისკარში“ გამოაქვეყნა (№№ 5, 6) „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“. ფილიპე მახარაძე აცხადებდა, რომ „ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს არც მომზადება აქვს და არც ცოდნა საქართველოს ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევათ“. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილს „ნაციონალისტად“ აცხადებდა, რომელიც „ყოველთვის მზად არის ქართველი პატრიოტის გული გაახაროს, თუ „გენიოს მეფეთა“ ნამოღვაწევით, თუ ძველი ქართველების სამაგალითო ცხოვრებით“.

ფილიპე მახარაძემ მარქსიზმის სახელით მკაცრი განაჩენი გამოუტანა დიდ ქართველ მეცნიერს: „საზოგადოდ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება სოციოლოგიის და პოლიტიკური ეკონომიის დარგებში სრულებით გამოიფიტა. მარა, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებას ზედ ერთვის კიდევ სამშობლოს ცრუ სიყვარული, რომელიც გამოიხატება წარსულის განდიდების სურვილში

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზ., ტ.12, გვ. 280.

და არა მეცნიერული თვალით მის გამოკვლევა-დაფასებაში, ამ შემთხვევაში ყოველგვარი საღი თეორიის თუ მსჯელობის, ყოველგვარი ჭეშმარიტების გადამახინჯებას და შელახვას საზღვარი აღარ აქვს. ბ-ნ ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ამგვარი გადამახინჯების ერთ მაგალითს წარმოგვიდგენს. ჩვენ აქ იმას აღარ ვიმეორებთ, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ თვით ბურჟუაზიულ მეცნიერების თვალითაც კი უვარგისია“.

ივანე ჯავახიშვილი ფილიპე მახარაძის რეცენზიას, სავარაუდოდ, იცნობდა, მაგრამ მას არ გამოხმაურებია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა კრიტიკა „მარქსიზმის პოზიციიდან“ .

დანართი

ივანე ჯავახიშვილი. ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში (ფრაგმენტები)

წერილი პირველი

ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი

კარგა ხანია, რაც საქართველოში დიადმა მოძრაობამ იჩინა თავი. ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინად ცხადად ეტყობოდა, რომ ჩვენი ხალხის წინანდელი აზროვნება ირყეოდა და ხალხში ახალი მიმართულება ვრცელდებოდა; ეს მოძრაობა და ძველებურ შეხედულობის შერყევა ქართველ ერის ეკონომიურ განწყობილებასაც შეეხო, მის ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებასაც. ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში მხურვალე და წრფელ სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა: ხალხს აღარ აკმაყოფილებს წინანდელი, მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ზოგან კიდევ ეგრედ წოდებული რაციონალური მიმართულებაა გამეფებული. სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რომელთაც შეუძლიანთ ამ დიად მოძრაობის სათავეში ჩადგნენ და სწორე, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ იგი. ხალხს ხომ თავის თავად

გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ წინანდელი წესი ეხლა გამოუდეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორ, – ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს.

სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში თვისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოგმატიური და საეკლესიო წყობილება აქვს შექმნილი, ძალიან ძნელი და რთული საქმეა. თითოეულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობასა და დაწესებულებას თავისი წარსული და მნიშვნელობა ჰქონდა. განათლებულ წრეების მოვალეობაა, შეიგნონ მნიშვნელობა თითოეულ ამგვარ დაწესებულებისა და გამოარკვიონ, აკმაყოფილებს იგი თანამედროვე მოთხოვნილებას თუ არა?

ჩვენში კი ერთ მხარესა ჰგონია, ვითომც წირვა-ლოცვის გამშვენიერება და ქადაგების შემოღება აჩერებდეს ურწმუნოებისა და ეკლესიისადმი გულგრილობის გავრცელებას, მეორე მხარე კიდევ დარწმუნებულია, ვითომც საკმარისია ხალხს ჩააგონოთ, მღვდელი და ხატი რად გვინდაო, რომ რაციონალურმა მიმართულებამ მართლა გაიმარჯვოს. ორივე მხარე შემცდარია იმიტომ, რომ გარეგნობა შინაარსად მიაჩნიათ და ზედაპირული საშუალებით სურთ, დიად საქმეს წინ გაუძღვენ. წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძრაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიაც.

ამ წერილის ავტორს სურდა, შეესწავლა, თუ რა ზნეობრივ ნიადაგზე იყო დამყარებული საქართველოში ქველმოქმედება, ვის ჰქონდა ზნეობრივი უფლება, ქველმოქმედებით ეცხოვრნა, რა მიზეზის გამო ეხმარებოდა ქონებრივად ქართველი ერი სამღვდელოებასა და მონაზონებს, როგორ შეიცვალა თანდათან მონაზონების ორი უმთავრესი აღთქმა და როგორ გადაგვარდა იგი; დასასრულ, რა და რა საქველმოქმედო დაწესებულება არსებობდა ძველ საქართველოში და ვინ იყვნენ მათი დამაარსებელნი. ავტორს სურდა, მკითხველისათვის ნათლად წარმოედგინა ზნეობრივი და საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომელზედაც დამყარებული იყო ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი საქართველოში.

დასავლეთ ევროპის სამეცნიერო მწერლობაში, მეტადრე საეკლესიო ისტორიის მკვლევართა შორის, ერთი ცრუ აზრი არის

გავრცელებული, ვითომც აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ზნეობრივი მოძღვრება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუცვლელი, სრულებით გაქვავებული ყოფილიყოს. ჩვენ დავინახავთ, რომ აღმოსავლეთშიაც, განსაკუთრებით საქართველოშიაც ზნეობრივი მოძღვრება იმნაირადვე იცვლებოდა და სხვაფერდებოდა, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომ საქართველოშიაც იბრძოდა ხალხი ზნეობრივ შეხედულების წარმატების გულისთვის.

ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული; ხოლო სახარების ზნეობრივი იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლო ყოფილიყო, ვითარცა მამა ზეციერი და დაუშრეტელ სიყვარულით და სათნოებით მოპყრობოდა თავის მოყვასს, მეტადრე უძლურს და გლახაკს: მშიერს, მწყურვალს, შიშველს, სნეულს და სხვა (მათე, XXV). სახარებიდან ჩანს, რომ ქრისტეს უმთავრეს ზნეობრივ მცნებას ქველმოქმედება შეადგენდა. მერე ვინ ჩაითვლებოდა გლახაკად, – ყველა მშიერ-მწყურვალისათვის უნდა მიეცა კაცს ქველის საქმარი თუ არა? სახარებაში, რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ ერთი წინადადება მოიპოვება, რომელიც სწორედ ამ საკითხზე გვაძლევს პასუხს...

პავლეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ყველას, ვისაც-კი შრომა და მუშაობა შეეძლო, მოვალე იყო ემუშავნა და ისე გამოეჯვებნა თავისი თავი. მაშასადამე, იმ პირებს, რომელთაც მათხოვრობა ხელობად აქვთ არჩეული და მათხოვრობით ცხოვრობენ, არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ, ქველმოქმედების იმედი ჰქონდეთ...

დახმარების ღირსი იყო მხოლოდ უძლური, სნეული ან ბუნებითი ნაკლის პატრონი. ამ ჯგუფის გარდა ქველმოქმედების მიღების ზნეობრივი უფლება იმ პირებსა ჰქონდათ, რომელნიც, თუმცა სინიდისიერად შრომობდენ, წელებზე ფეხებს იდგამდენ, მაგრამ მაინც ხელმოკლედ, ღარიბად იყვნენ წვრილ შვილებისა გამო, ან არა და ქადაგება და მოძღვრება ქრისტიანეთა კრებულში იმდენ დროს ართმევდათ, რომ ლუკმა პურის საშოვნელად მუშაობისათვის მოცალეობა აღარა ჰქონდათ...

„ივერია“, 1906, № 10, გვ. 9-11.

...

საიდან წარმოსდგა ეს დაწესებულება, ვინ ურჩია ბაგრატ კურაპალატს გლახაკთა ნაწილის შემოღება? შემოიღო ბაგრატმა სხვა ქვეყნების მიბაძვით, თუ ამგვარ დაწესების საჭიროება თვითონ ქართველებმა იგრძნეს? 10% გადასახადი გლახაკთა სასარგებლოდ დასავლეთ ევროპაშიაც არსებობდა...

ვიფიქროთ: 10% საქველმოქმედო გადასახადი საფრანგეთის მიბაძვით შემოიღო ბაგრატმა საქართველოში, ჭკვასთან ახლო არ იქნება, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა და საფრანგეთი მეტისმეტად არიან ერთი ერთმანეთზე დაშორებულნი, ხოლო არსებობდა თუ არა ამგვარი გადასახადი ბიზანტიაში, გამორკვეული არ არის. ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ, რომ მთავრობამ ბიზანტიაში გლახაკების ზრუნვა სამღვდელოებას მიანდო.

საქართველოში კი ბაგრატმა სახელმწიფო საქველმოქმედო ნაწილი დააწესა. ჩვენში სამღვდელოება კი არ აძლევდა და ანაწილებდა საქველმოქმედო თანხას, არამედ თითონ საერო მთავრობა. ამიტომ შეუძლებელია ამ საქველმოქმედო ნაწილის შემოღებას საქართველოში პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონოდეს ბიზანტიასა და საფრანგეთთან, ამის გარდა, საქართველოში საქველმოქმედო თანხა 10% გადასახადისგან კი არ იყო შემდგარი, არამედ მთელ სახელმწიფოს შემოსავლის და დაპყრობილ ქვეყნების ხარჯის 10%-ს ქველმოქმედებას ახმარებდენ; ერთის სიტყვით, საქართველოში არსებობდა სახელმწიფო და არა საეკლესიო ან კერძო საქველმოქმედო თანხა...

ერთის სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ ზნეობრივ მოვალეობის ასრულებაზე ქართველი საზოგადოება და მთავრობა სამღვდელოებაზე ნაკლებად არ ზრუნავდა. თუ გავიხსენებთ აგრეთვე, რომ დავით აღმაშენებელმა საავადმყოფო დააარსა, სადაც თვით მეფე დროგამოშვებით სინჯავდა ხოლმე საჭმლის გემოს და საცვლების სისუფთავეს, მაშინ არ შეიძლება ადამიანმა არა სთქვას, რომ ქართველი საზოგადოება თავის დროზე უძლურ და სნეულ მოყვასთა ტანჯვის შესამსუბუქებლად დიდ ზრუნვას იჩენდა.

„ივერია“, 1906, № 13, გვ. 11-14.

თავი II

საქართველოს მეფეების სახელმწიფოს იდეალი: თვითმპყრობელობა, მეფობის ღვთისნიერება და ხელმწიფის გაღმერთება

ქართველი მეფეები... თავიანთი ძლიერებისა და უფლების დასამყარებლად აზნაურებს ებრძოდნენ ხოლმე... ამ გამწვავებულ ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არა კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო ზნეობრივი ძალაც. რაში მდგომარეობდა ეს ზნეობრივი ძალა? ბრძოლის გასაადვილებლად საჭირო იყო, რომ მეფობის უფლების არსებობის აუცილებლობა და სარწმუნოებრივი მნიშვნელობა დაესაბუთებინათ. ეს კი არცთუ ძალიან ძნელი საქმე იყო: ახალ აღთქმაში ამის შესახებ საუცხოო წინადადება მოიპოვება, პავლე მოციქულის ეპისტოლეში სახელდობრ.

ამ მოციქულის სიტყვების თანახმად, ბრძოლის დროს ბერმონაზვნები მეფეს მხარს უჭერდნენ ხოლმე და ეხმარებოდნენ ხან საქმით, ხან კიდევ სულიერი გავლენით... გრიგოლ [ხანძთელის] აზრით, საცა მთავრობას პატივსა სცემდნენ, იქ სუფევდა ღვთაების მსგავსება: თვით ზეციურმა მამამ გახადა ხელმწიფენი ქვეყნის გამგებლად; ამის გამო მეფეები უნდა ყოფილიყვნენ ხელმწიფენი „ნებითა ღვთისითა“; სწორედ ასეთ წინადადებას ხმარობდნენ ხოლმე ქართველი მეფეებიც... დავით აღმაშენებელი თავის წყალობის წიგნს ასეთივე წინადადებით იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა“.

მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს არ იკმარეს და თავიანთ უფლებას ღვთაებრივ ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს. დარწმუნებული იყო დავით აღმაშენებელი, რომ მეფის უფლება თვით ღმერთმა პირადად „არწმუნა“ მას, რომ ეს მეფის უფლება „მის მიერ“, ე. ი. ღვთის მიერ, განგებული და დაფუძნებული იყო, მაგრამ ამას კიდევ არა უჭირს რა; იგივე ამტკიცებდა, რომ საქარ-

თველოს მართვა-გამგეობაში მას თვითონ ღვთაება ეხმარება ხოლმე... თუმცა სამეფოს ხორციელად დავით აღმაშენებელი მართავდა, მაგრამ უხილავად იმ ძნელ საქმეში მას თვით ღმერთი უძღოდა ხოლმე წინ; მაშასადამე, საქართველოს გამგეობა ღმერთსავე ეკუთვნოდა; ...მაშასადამე, საქართველოს მეფის გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო. ასეთი შეხედულების შემდეგ მოსალოდნელიც იყო, რომ საქართველოს მეფის პირადობა ღვთაებრივი ბუნების პატრონად, თვით ღვთაებად ეღიარებინათ... საქართველოს მეფე „ღვთისა სწორი“, „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“ იყო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს, ე. ი. სამებასთან მეოთხე სახედ, მეოთხე ღვთაებად აღზევებული...

ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძალიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს ხელმწიფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას დაადგნენ, ცხადია, ისინი თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭას მოინდომებდნენ.

თავი V

საქართველოს მეფე თვითმპყრობელი იყო თუ არა?

თვითონ მეფეებისათვის რომ გვეკითხა, უეჭველია, ისინი დაუყოვნებლივ გვიპასუხებდნენ, „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“ – სრული უფლებითა ვართ აღჭურვილიო;... მაშინდელ მეფეების ბრძანება-სიგელები და მემატიანეთა მიერ მოთხრობილი ამბები უფფრო მიუდგომელ და პირუთვნელ საბუთებს შეგვძენენ ამ საკითხის გამოსარკვევად. დიდი ხანია როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისე განათლებულ საზოგადოებაში ერთი ახირებული და შემცდარი აზრია გავრცელებული, ვითომც საშუალო საუკუნეებში და ქრისტეს წინა დროს აზიის ყველა სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითმპყრობელობა იყო გაბატონებული, ვითომც იქ მეფის სურვილსა და განზრახვას კანონის ძალა ჰქონდა

და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვეშევრდომებს. ამისთანა სახელმწიფო წესწყობილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ დესპოტიის, ანუ აზიურ მტარვალობის სახელიც კი დაარქვეს. რასაკვირველია, ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოზე ლაპარაკის ჩამოგდებას ჩვენ ვერ გავბედავთ, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესწავლა და ქვემორე დაწერილიც, იმედია, საკმაოდ შეარყევს ამ ყალბ და უსაფუძვლო აზრს.

საქართველოს მეფის უფლებათა სივრცის გამორკვევას ჩვენ მისი ტახტზე აბრძანების პირველ მოქმედებიდანვე შევუდგებით. უძველესი ქართული იურიდიული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ხელმწიფე ტახტზე აბრძანდებოდა თუ არა, ყველა დაწესებულება და კერძო პირი, რომელსაც განსვენებულ მეფეთა მიერ წყალობის ან კიდევ ბრძანების წიგნები ნაბოძები ჰქონდა, მოვალე იყონ ახალი ხელმწიფისათვის მიერთმია და საბუთების დამტკიცებას შევედრებოდა...

ამგვარად, იურიდიული საბუთები გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს მეფის უფლებას მხოლოდ მის სიცოცხლის დროს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, სიკვდილის შემთხვევაში კი – მარტო იმ შემთხვევაში, როცა მოადგილე დაამტკიცებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ და არსებითად ავიწროვებდა და ზღუდავდა მეფის უფლებას; რამდენად შეზღუდული იყო ამ მხრივ საქართველოს ბატონობის უფლება, შემდეგი შედარება დაგვანახებს: თანამედროვე სახელმწიფოებში თითოეულ მეფის ბრძანებას იმ დრომდე აქვს ძალა და მნიშვნელობა, მანამდინ რომელიმე მომავალი მეფე არ გააუქმებს, მაშინდელ საქართველოში კი მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ თითოეული მოსახლი ხელმწიფე დაამტკიცებდა მას.

თავი VI

ბრძოლა აზნაურთა და საქართველოს მეფეებს შორის ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების გამო

მაგრამ თუ აზნაურები იბრძოდნენ თავიანთ უფლებათა დასაცავად, არც მეფეები შესცქეროდენ გულხელდაკრეფილნი: ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სულ იმის ცდაში იყვნენ, ზურგი როგორმე გაემაგრებინათ...

... მთელი თავისი ძალ-ღონე დავით აღმაშენებელმა ურჩ აზნაურებთან ბრძოლას შეალია. მეფეს სახელმწიფოს წინაშე იმის ღვაწლი მიუძღვის, რომ აზნაურთა შეერთებულ წინააღმდეგობას დასამხობად მან გარკვეულ, ტაქტიკურ ბრძოლას მიმართა და თავის წინაპრებისავით გზადაბნეული არ მოქმედებდა. გარკვეულმა მიზანმა მტკიცე მოქმედებაც შექმნა: მეფე ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ დიდებულ და თავგასულ მოხელეებისათვის თანამდებობა ჩამოერთმია და მათ ადგილას დაბალი წოდების წევრი, ანუ, როგორც აზნაურები ეძახოდენ, „ვინმე უგვანონი“ დაენიშნა; თანდათან უმაღლესი მოხელეობა მეფის ერთგულ, „უგვაროების“ ხელში გადადიოდა... დავით აღმაშენებლის დროს საქართველო გაძლიერებული და უზრუნველყოფილი იყო როგორც მეზობელთა შემოსევისაგან, ისე აზნაურთა განდგომილებათა და ღალატისაგან.

თავი VII

დიდებულ აზნაურთა პირველი პოლიტიკური გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგ

მრავალი საბუთი, მაშასადამე, ცხადად გვაჩვენებს, რა გამწვავებული ბრძოლა არსებობდა მთავრობასა და აზნაურთა შორის უფლების გამო და რამდენად შეზღუდული იყო ხოლმე მეფის მოქმედება აზნაურთა ძლიერებისა და წინააღმდეგობისაგან, მაგრამ თუ ამ ბრძოლის ვითარებას ჩავუკვირდებით, უეჭველია, შევამჩნევთ, რომ გამარჯვება საბოლოოდ ჯერ არც ერთ მხარეს არ დარჩენოდა. მართალია, დავით აღმაშენებლის დროს მთავრობამ აზნაურებს აჯობა და ურჩი მოხელეები თავიანთ ქერქში ჩააყენა, მაგრამ დავითის მემკვიდრეები თანდათან უკან იხევდნენ და აზნაურებს ყველაფერს უთმობდნენ ხოლმე. ესეც უნდა თქვას კაცმა, რომ დიდებული აზნაურები ბრძოლის დროს თავიანთ წინანდელ უფლებათა შენარჩუნებასა ცდილობდნენ და რაიმე ახალი პოლიტიკური პროგრამა და საკითხი, რამდენადაც ეს საბუთებიდან ჩანს, არ წამოუყენებიათ. ასე გამოურკვეველი იყო ეს ხანგრძლივი ბრძოლა თამარ მეფის დრომდე, თამარის მეფობაში კი ბრძოლამ

გარკვეული მიმართულება მიიღო და საქართველოს ხელმწიფის უფლების შეზღუდვამდე მიიყვანა...

ერთი სიტყვით, დიდგვარიანი აზნაურები გაიფიცნენ და მეფეს გამოუცხადეს, არც წინანდელ წესს, არც წინანდელ უგვარო დიდებულ მოხელეებს ჩვენ აღარ დავემორჩილებითო, დაითხოვეთ ისინი ყველანიო, თამარ მეფე იძულებული იყო, გაფიცულ დიდგვარიანი მოხელეების მოთხოვნილება აესრულებინა. ასე გაიმარჯვა დიდგვარიანმა აზნაურობამ. საქართველოს ბატონს უფლება შეუზღუდეს; მას თავისი სურვილისამებრ მოხელეთა ამორჩევა და დანიშვნა არ შეეძლო. ამიერიდან უმაღლესი მოხელეობა უეჭველად დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს უნდა რგებოდა. ამგვარად, საქართველოს მეფეების ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებინათ, ფუჭად და ამაოდ ჩაიარა. რასაკვირველია, აზნაურთა გაფიცვამ და გამარჯვებამ მხოლოდ უმაღლეს წოდების უპირატესობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი და წოდებათა თანასწორობასა და პირად ღირსების მნიშვნელობას ნიადაგი გამოაცალა. ამის გამო, თუმცა გაფიცულ აზნაურთა გამარჯვების შემდეგ საქართველოს მეფის უფლება შეზღუდული იყო, მაგრამ პოლიტიკურად მხოლოდ მაღალ წოდებას მიანიჭა ამან უპირატესობა, დაბალი წოდება კი პირიქით, დაიჩაგრა კიდეც. ერთი სიტყვით, ეს აზნაურმოხელეთა გაფიცვა უფრო წოდებრივ რეაქციის ნაყოფი იყო, ვიდრე სახელმწიფო წეს-წყობილების წარმატება.

თავი VIII

პოლიტიკური მოძრაობა და მეფის უფლების შეზღუდვა. პარლამენტის მსგავს დაწესებულების დაარსების მოთხოვნილება

საბედნიეროდ, საქმე აზნაურთა გაფიცვის შემდეგ არ შეჩერებულა. ცოტა ხანმა გაიარა და ახლა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუარსლან, მემატიანეს სიტყვით „მომღებ იქმნა წესსა რასამე სპარსთა გონება მაღლობისასა და სილაღით ქცევისასა, ითხოა დადგმად კარავი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელისასა“...

ვინ იყვნენ ამ დასის თანაშეფიცულნი, რომელთა მეთაურადაც ყუთლუ-არსლანი ითვლებოდა? დიდგვარიანი აზნაურები გაფიცვისა და გამარჯვების შემდეგ უეჭველია ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ; განა იმათ შეეძლოთ ვიღაც „გვარითა უაზნო“ „სიმდიდრით ამაღლებული“ მოხელე ეწინამძღვრათ? მართალია, მემატიანეს სიტყვიდან ჩანს, რომ ამ დროის წევრებად „დიდებულნი“-ც ბრძანებულან, მაგრამ დიდებულის სახელი მარტო აზნაურს ხომ არ ერქვა, დიდებული – ხელისუფალიც იყო, დიდვაჭარიც. დაბალი წოდების კაცის მეთაურობა და თვით თანაშეფიცულთა მოთხოვნილება და მოქმედება ხომ უფრო მეტს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიდგვარიან აზნაურებს ამ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ეს თანაშეფიცულნი განსაკუთრებით მაღალ წოდების მოწინააღმდეგენი უნდა ყოფილიყვნენ.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, რასაკვირველია, ამ თანაშეფიცულთა წადილი და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცვლილების გეგმა. ისინი თხოულობდნენ, რომ კარავი უსათუოდ ისნის ველზე დადგმულიყო; ისანი იმიტომ იყო ამორჩეული იმ დაწესებულების ადგილად, სადაც, „თავისუფლად მსხდომებს“ სამეფო საქმეები უნდა განეგოთ, რომ იქვე ისნის ველზე თამარ მეფის სასახლე დარბაზი იდგა. როგორც ეტყობა, მათ სურდათ, რომ ორი საგამგეო დაწესებულება ერთად, ერთი მეორის გვერდით ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, სამეფო პალატის გვერდით კარავში „თავისუფლად მსხდომარენი მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ, რომელთამე ვწყალობდეთ“-ო, – ამბობდნენ თანაშეფიცულნი. ყურადღება მივაქციოთ, დასი თავისუფლებას თხოულობდა; რასაკვირველია, მას მეფისაგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება ექნებოდა სახეში; თანაშეფიცულთ სურდათ, რომ ბჭობის დროს მეფე არ ბრძანებულიყო და საქმეში არ ჩარეოდა.

რა უნდა გაეკეთებინათ მერე იმ კარავში? – „მივსცემდეთ და მოვიღებდითო“, მოკლედ არის მოჭრილი მათი სიტყვა, ესე იგი მივცემდეთ ბრძანებასა და მოვიღებდეთ მოხსენებასაო, ხოლო ამისდა მიხედვით „რომელთამე ვრისხავდეთ, რომელთამე ვწყალობდეთო“; საქმის ერთგულსა და ბეჯითს წყალობას გაუმრავლებდნენ, ხოლო დაუდევარ და დამნაშავე მოხელეებს დასჯიდნენ;

შესაძლებელია ამ შემთხვევაში თანაშეფიცულთ უმაღლესი მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებაც სურდათ. დასს უნდოდა, ერთი სიტყვით, ქვეყნის უმაღლესი გამგეობა და სამართალი მისი განსაგებელი ყოფილიყო; ყველა ამ საქმეს მაშინდელ დროში „სახელოთა და საბჭოთა სჯა“-ს ეძახდნენ; ხოლო დავით აღმაშენებლის მემატიანის სიტყვებიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ „სახელოთა და საბჭოთა სჯა“ მეფის პირად მოვალეობასა და უფლებას შეადგენდა. ამიერიდან საქართველოს ბატონს ეს უფლება უნდა ჩამორთმეოდა და ახალ საგამგეო დაწესებულებას გადასცემოდა. თანაშეფიცულთა სურვილისამებრ, ხელმწიფეს მხოლოდ ამ საგამგეო დაწესებულების გადაწყვეტილების განხორციელების უფლება უნდა შერჩენოდა მხოლოდ... მაშასადამე, საბჭო, ანუ „კარავში მსხდომარენი“, საქმეებს განაგებდნენ, მეფე კი მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას ასრულებდა; ერთი სიტყვით, საქართველოს უმაღლესი მართვა-გამგეობა „კარავში მსხდომარეთა“ ხელში უნდა გადასულიყო, მეფე კი აღმასრულებელ ორგანოდ გახდებოდა. ამგვარად, თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო.

მემატიანე ამბობს, თამარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, „ეწყინა და გაიკვირვაო“. აბა, რას არ ეწყინებოდა ასეთი უფლების შეკვეცა და შეზღუდვა. მაგრამ წყენით, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობდა. ვერც მოთავის დაჭერამ ჩააქრო და გაანელა ეს საგულისხმიერო პოლიტიკური მოძრაობა, პირიქით უფრო გაამწვავა კიდეც. მეფის უფლების შეზღუდვის მომხრეთა დასი, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა და საუცხოოდ შეთანხმებული. მემატიანის ნაამბობი გვიჩვენებს, რომ ახალ წეს-წყობილების მომხრეებს ერთმანეთისთვის შეუფიცნიათ – ჩვენი წადილის განსახორციელებლად ერთად ვიმოქმედებთ და ერთმანეთს დავეხმარებითო; ამის გამო ისტორიკოსი მათ „თანაშეფიცულებს“ ეძახის; ეტყობა, ერთგულებისა და ერთსულობის ფიცის სიმტკიცის წიგნიც შეუდგენიათ; ეს იქიდანა ჩანს, რომ მემატიანე ამბობს, ყუთლუ-არსლანის დაჭერის შემდეგ მათ „ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიციო“. ეტყობა, წინათაც ჰქონიათ სიმტკიცის წიგნი, რაკი ახალსა ადგენდენ. თუ რამდენად თავგამოდებულები იყვნენ თანაშეფიცულნი ერთიერთმანეთის გულისათვის, მაშინ გამოაშკარავდა, როცა მთავრობამ მოთავე

დააჭერინა; ისინი ფიცხლავ შეიყარნენ ერთად, თამარს გადუდგნენ და ფიცი დასდეს, რომ „ყუთლუ-არსლან გააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისა“. თავიანთი წადილის ასრულების გულისათვის ისინი უკიდურესს საშუალებასაც კი არ შეუშინდნენ. სამეფო პალატს გარშემოერტყნენ და „ხელყვეს საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლელსაო“, – ამბობს მემატიანე. როგორც ეტყობა, სამეფო სასახლის აღებას და თამარის დატყვევებას აპირებდნენ. უეჭველია, თანაშეფიცულნი ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, რაკი ასე გაბედულად და რიხიანად იქცეოდნენ, ხოლო თვითმპყრობელობისა და მთავრობის მომხრენი იმდენად უძლურნი აღმოჩნდნენ, რომ თამარ მეფემ ძალას ძალა ვერ დაუპირისპირა და განსაცდელის თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო, მოწინააღმდეგეებისათვის შუამავლად და შემარიგებლად მანდილოსნები გაეგზავნა. აშკარაა, მთავრობას რომ ბევრი მომხრეები ჰყოლოდა, მაშინ ისინი ალყაშემორტყმულ სასახლეს მიეშველებოდნენ და ხელმწიფეს სამარცხვინო ტყვეობიდან დაიხსნიდნენ, მაგრამ, ეტყობა, თამარმა დაინახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა და ისევ მოლაპარაკება ირჩია...

განხეთქილება, ერთი სიტყვით, მშვიდობიანად დაბოლოებულა, იმიტომ რომ თამარ მეფემ ისევ მორიგება ირჩია. სამწუხაროდ, ისტორიკოსი არ ამბობს, რის ფიცი აიღო ყუთლუ-არსლანის დასმა მეფისაგან; ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეებმა ჯერ მეფეს ჩამოართვეს ფიცი, მერე თვითონაც „მისცეს პირი ერთგულებისა“. ასე გათავდა ეს ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების საგულისხმიერო და დიადი შემთხვევა.

რა შედეგი ჰქონდა ამ შესანიშნავ პოლიტიკურ მოძრაობას, ნაყოფიერი იყო იგი, გაიმარჯვა თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა დასმა და საქართველოს მეფე იძულებული იყო საგამგეო და საბჭო საქმეები ახალ დაწესებულებისათვის დაეთმო თუ მეფემ აჯობა თავის მოწინააღმდეგეებს და სახელმწიფო წესწყობილება ხელუხლებელი დარჩა? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართული იურიდიული საბუთები ძალიან ცოტაა გამოქვეყნებული და ამის გამო მკვლევარს არ შეუძლია თქვას, დასდეს თუ არა თანაშეფიცულებმა და თამარ მეფემ შეთანხმების ხელშეკრულება. ეხლა კი,

რადგან საბუთები ჯეროვნად შესწავლილი არ არის, ჩვენ ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვა რაიმე საბუთებსა და მოსაზრებას უნდა მივმართოთ. ყურადღების ღირსია, მაგალითად, რომ მემატიანე სწორედ ამ პოლიტიკურ მოძრაობის თავგადასავალის მოთხრობის შემდეგ, როცა სიტყვას ახალ მოხელეთა დანიშვნაზე ჩამოაგდებს ხოლმე, ერთ ფრიად საგულისხმიერო წინადადებასა ხმარობს; მაგალითად, ახალ ამირსპასალარის დანიშვნის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა გააჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი“. ვინ დანიშნა ახალი სარდალი? – თამარმა, მაგრამ საქართველოს დიდებულთა „ერთნებაობითა და თანადგომითა“, მაშასადამე, ნება და სურვილი, ანუ განზრახვა, მოხელის მოადგილის დასახელების უფლება, ახლა დიდებულთა ხელშია, მეფე კი მხოლოდ ამ ერთნებაობას ასრულებს; ერთი სიტყვით, ამირსპასალარის დანიშვნა დიდებულთა განსაგებელი საქმე იყო, ხოლო თამარ მეფეს სრულ უყვია დიდებულთა განგებული. აქედანა ჩანს, რომ თვითმპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სრულებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამნაირი წინადადება არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ამაზე წინათ არასდროს არ უხმარია.

... ერთი სიტყვით, ისტორიული მასალები ამტკიცებენ, რომ თანაშეფიცულთა პოლიტიკურ მოძრაობას სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

დიახაც დიდი ყურადღების ღირსია ეს ჩვენი წარსული სახელმწიფო ცხოვრების მოვლენა; საყურადღებო და საგულისხმიერო იმიტომაა, რომ ყუთლუ-არსლანის დასი საქართველოს ბატონის თვითმპყრობელობითი უფლების შეზღუდვას იყო მოწადინებული და დიდგვარიან აზნაურთა დასივით წოდებრივ განსაკუთრებულ უპირატესობისა და უმაღლესი მოხელეობის მოხვეჭით არ იყო გატაცებული; მას სურდა, ხელმწიფის უფლება შეეზღუდა და საქართველოში ახალი მმართველი დაწესებულება დაფუძნებულიყო, ერთი სიტყვით, ამ პოლიტიკურ მოძრაობას წოდებრივი ხასიათი არა ჰქონდა და მარტოოდენ სახელმწიფოს წესწყობილების ცვლილების გულისათვის იყო ატეხილი.

ჩვენ არ ვიცით, რა წელს მოხდა ეს ისტორიული მოძრაობა... იგი 1189 და 1200 (ან 1195) წლებს შორის უნდა მომხდარიყო. როგორ მოქმედებდნენ ამ პროგრესული დასის წარმომადგენელნი შემდეგ საუკუნეების განმავლობაში, ჯერჯერობით ჩვენ ამას არ შევეხებით, ან კი რა უნდა ემოქმედნათ, როცა მონღოლთა შემოსევამ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და წარმატება დიდი ხნით შეაფერხა და დააუძლურა, ხოლო ჩვენი ერი უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო.

პეტერბურგი, 30 მაისი, 1905 წ.

ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, თბილისი, 1998, გვ. 203-238.

ნაწილი მეორე

ივანე ჯავახიშვილი და დამოუკიდებელი საქართველო

თავი 4. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზების ძიება

4.1. საქართველოს მეცნიერული ისტორია და მისი მნიშვნელობა

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი

1908 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის „ქართველი ერის“ ისტორიის პირველი ტომი. წინასიტყვაობაში, რომელიც 1908 წლის 30 აგვისტოთი თარიღდება, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წიგნი სამი წლის წინათ იყო დაწერილი, მაგრამ მისი გამოცემა აქამდე ვერ მოახერხა.

გამოცემის შემაფერხებელი მთავარი პრობლემა უსახსრობა იყო. ვერ მოიძებნა გამომცემლობა, რომელიც წიგნის ბეჭდვის ხარჯებს გაიღებდა. ა. ფრონელი (ყიფშიძე) 1906 წელს წერდა: „მოიპოვებიან ჩვენში სამი-ოთხი მუშაკი, რომელნიც გულს არ იტეხენ და უსაღსრონი მაინც ფორჩხალობენ, აგროვებენ მასალას, ღამეებს ტეხენ, ლუკმა-პურს იკლებენ და ასე ბეჭდავენ ისტორიულ წიგნებს... ამას წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერმა ასი თუმანი ვერ იშოვნა, რომ დაებეჭდა თავისი გამოკვლევა, ორსამ ტომად დაწერილი ისტორია საქართველოსი“.[1] ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ივანე ჯავახიშვილი იგულისხმებოდა.

ორი წლის შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის თავზე აიღო ივანე ჯავახიშვი-

[1] გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 25 ნოემბერი.

ლის „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემა.[1] ნაშრომის სათაური, როგორც ჩანს, ბეჭდვის პროცესში შეიცვალა და „საქართველოს ისტორიის“ ნაცვლად „ქართველი ერის ისტორია“ ეწოდა. უკვე ამ სათაურით გამოირჩეოდა იმ დროს საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული სხვა ნაშრომებისგან.

წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ იგი 8 წლის განმავლობაში ცდილობდა, ქართული საისტორიო წყაროები კრიტიკულად შეესწავლა და, ამასთან, თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ჩვენი ერის წარსული გამოეკვლია. ამ გზით სიარულმა დაარწმუნა, რომ „ადრე და იმ დროსაც გაბატონებული შეხედულება ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე მხოლოდ საისტორიო წყაროებისა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული“. ამ 8 წლის მუშაობამ არა მარტო არსებითად შეცვალა მისი შეხედულება ისტორიაზე, არამედ დაანახა, რომ „ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმე“.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე 4 წიგნად გეგმავდა. ეს მრავალტომეული ფართო მკითხველისთვის იყო გამიზნული.

სამწუხაროდ, თანამედროვეთა მხოლოდ ნაწილი აფასებდა სათანადოდ ივანე ჯავახიშვილის შრომას. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ (მიხაკო) წერეთელი 1910 წლის 16 იანვარს ივანე ჯავახიშვილს წერდა:

„დასასრულ გისურვებთ ჯანმრთელობას, კარგად მოსვენებას, რომ თქვენი დიდი გეგმა აგესრულებიოთ – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი ს დ ა წ ე რ ა. ჩვენში რომ ესმოდეთ, თუ რა არის ეს შრომა, მაშინ ასე აღარ გაგიჭირდებოდათ, მაგრამ არ ესმით ჩვენს უბედურებს. ჩემის დღეები არ დამავიწყდება, – თქვენს ლექციაზედ რომ სამი კაცი იყო ერთხელ და... სხვებს რომ ათასობით აწყ-

[1] ავტორთან გაფორმდა ხელშეკრულებაც და სიმბოლური ჰონორარიც გადაუხადა – 100 მანეთი. ხელშეკრულების თანახმად, უნდა გამოცემულიყო „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან ვიდრე XII ს.). ავტორი ვალდებულებას იღებდა, გამოსაცემად გადაეცა ამ თხზულების მეორე ნაწილიც.

დებოდა ხალხი! ეს დამახასიათებელია ერთგვარი უმსგავსოებისა ჩვენში, თორემ სხვა მხრივ კი არა არის რა. არც ის ესმით და აფასებენ, რომ ქართულადა სწერთ თქვენს თხზულებებს. რა დიდი მსხვერპლია ეს პირადად თქვენთვის – ეს არ იციან და როდის გაიგებენ, როდის ჩავარდებიან ჭკუაში ჩვენები, რომ თ ა ვ ი ს ი ვ ე ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ თ ა ვ ი ს ი ვ ე კაცებს შეუმსუბუქონ შრომა – არ ვიცი“![1]

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების ბეჭდვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც შეფერხდა. 1915 წელს ამ საზოგადოებამ უსახსრობის გამო უარი თქვა გამოეცა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები: „ისტორიის მიზანი და მეთოდები წინათ და ახლა“ და „ქართველი ერის შემოკლებული ისტორია“. განაწყენებული ივანე ჯავახიშვილი საზოგადოებას წერდა: „შემოკლებული ისტორიის“ დედანი უკანვე მიმაქვს და ამიერითგან ჩემსა და ქ.შ.წ.გ.ს. გამგეობას შორის „ქართველი ერის ისტორიის“ როგორც შემოკლებულის, ისე სრულის წიგნის გამოცემის შესახებ ყოველგვარი მოლაპარაკება და დამოკიდებულება სამუდამოდ გათავებულად მიმაჩნია“.

ეროვნული თვითშეგნების ზრდის ხელშეწყობა

საქართველოს ისტორიაში მეცნიერების თანამედროვე დონეზე შესრულებული ნაშრომების გამოცემა ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ზრდას. ამასთან ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები, სხვადასხვა მიზეზის გამო, რიგით მკითხველზე არ იყო გათვლილი. მისი წაკითხვა და გააზრება შეეძლო მხოლოდ მომზადებულ და განათლებულ მკითხველს. ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავდა წყაროებს. „მე მინდოდა მკითხველი თანამოზიარედ გამეხადა, რომ მას თითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს. ამას გარდა, მკითხველს რომ ყოველს წამს შეძლება ჰქონოდა, თითონაც შეესწავლა რომელიმე საკითხი, თვითეულის ჩემის ცნობის და დასკვნის სიმართლის დამამტკიცებელი წყაროები დასახელებული

[1] მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 83.

მაქვს, – წერდა ივანე ჯავახიშვილი 1913 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში.[1]

ივანე ჯავახიშვილი კარგად ხედავდა, რომ მისი ნაშრომები რიგითი მკითხველისთვის ძნელად საკითხავი იქნებოდა, სხვანაირად მოქცევა კი არ შეეძლო, რადგანაც საქართველოს ისტორია მეცნიერულად შესწავლილი არ იყო. ამის გამო ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა:

„მე კარგად მესმის, რომ სწორედ ამის გამო ჩემი თხზულება ძნელ საკითხავ წიგნად იქცა. ამას ვგრძნობდი მაშინაც, როდესაც ვწერდი და ეხლა ხომ ეს სრულებით ცხადი იქმნება ყველასათვის. ამ ორ წიგნის[2] წაკითხვა და გაგება ადვილი არ არის, მკითხველი მუდამ ჩაფიქრებული იქნება; იგი დაინახავს, რომ ბევრი რამ ჯერ გამოურკვეველია და ბევრი რამ ჯერ შეუძლებელი იყო სასურველის სისრულით და სიღრმით ყოფილიყო შესწავლილი.

მაგრამ მაინც მე საჭიროდ არ მიმაჩნდა, მოთხრობა განზრახ გამემარტივებინა: ისტორია რთული მეცნიერება არის, იგი არასდროს გასართობ წიგნად არ გამოდგება და ყოველთვის შესწავლისა და ღრმა დაკვირვების საგნად უნდა იყოს. ამას გარდა, ქართველ ერის ისტორია მეცნიერულად ჯერ ისე შესწავლილი არ არის, რომ ისტორიკოსს უფლება ჰქონდეს სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს. მაინცა და მაინც ეს ისტორია არც სკოლებში სახმარებლად, არც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთათვის არის დაწერილი, არამედ მხოლოდ მოზრდილთათვის, განათლებულ და მომზადებულ მკითხველებისათვის. სკოლებში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხავად იქმნება განსაკუთრებული გამოცემა“.[3]

მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები გათვლილი იყო მკითხველთა შეზღუდულ წრეზე – განათლებულ და მომზადებულ ადამიანებზე, ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული საზოგადოების ეროვნული თვითშეგნების ზრდაში. სწორედ განათლებულ წრეებში ბევრი იყო ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ადამიანი. ასეთი ადამიანების ნაწილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების გაცნობის

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 37.
[2] იგულისხმება „ქართველი ერის ისტორიის“ 1-ლი და მე-2 ტომი.
[3] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 37.

ან ლექციების მოსმენის შემდეგ პოზიციას იცვლიდა. ამასთან დაკავშირებით მიხაკო წერეთელი 1913 წლის 3 აპრილს ივანე ჯავახიშვილს წერდა:

„თქვენი მონოგრაფიებისა და წიგნების გამოცემა დიდი საქმეა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ თვით ჩვენი განკაცებისთვისაც. საუკეთესო პროპაგანდაა იგი საქართველოს იდეისა. მე ეს დაკვირვებითა და გამოცდილებით ვიცი. ჯერ თბილისში რომ ვიყავი, თვალით ვნახე, რამდენი ურწმუნო და უმეცარი მოარჯულა თქვენმა ლექციებმა და საქართველო აწამებია. არა იციან რა, არც გაუგონიათ არაფერი საქართველოს წარსულზედ, ჩვენმა გადარჯულებულმა ხალხმა აბა ვინ უნდა შეიყვაროს, რას უნდა ეთაყვანოს, როცა ჩვენი ხალხის არც წარსული იცის, არც აწმყო. აქ კიდევ ერთი მაგალითი ვნახე. ერთ ქართველს, რომელსაც ორი ბროშურა წაუკითხავს და კაცობრიობის სახელით საქართველოს უარყოფდა, ძალით მივაჩეჩე ხელში ქართული წიგნები. რასაკვირველია, თქვენი წიგნებიც მივეცი. წაიკითხა, თუმცა ჯერ მაჰმადიანს რომ ღორის ხორცი შესთავაზო, ისე შეხედა ქართულ, „შოვინისტურ“ წიგნებს. მაგრამ როცა გაიგო, რაში იყო საქმე, როცა გაიგო, რომ ქართველები სხვებზედ ნაკლებნი არ ვყოფილვართ წარსულში, ყოყოჩობაც კი დაიწყო, ჩვენც ვყოფილვართ ხალხიო!“[1]

ივანე ჯავახიშვილი ქართული ეროვნული თვითშეგნების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნიკური თვითშეგნების საკითხებს და, მისივე სიტყვებით, დაწერილი ჰქონდა სპეციალური ნაშრომი სათაურით „ეროვნულ თვითშემეცნების ისტორია საქართველოში“, რომელიც, სამწუხაროდ, ამ სახით არ გამოქვეყნებულა. თუმცა ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში ხშირად ეხებოდა და აშუქებდა აღნიშნულ საკითხს.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართული ეროვნული თვითშეგნების ფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საეტაპო მიჯნა იყო იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“. გარდა ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა, იოანე საბანისძე აბოს

[1] მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 93.

წამებას იყენებდა ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად. „განახლებულს სარწმუნოებრივ გრძნობას ქართველებისთვის უნდა ჩაენერგა ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე“, ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილი არ მიიჩნევდა, რომ აქედან იწყება ეროვნული თვითშეგნების ფორმირება. „ეს-ეს იყო დროებით მიბნედილი ეროვნული თავმოყვარეობა და მიმართულება იღვიძებდა და იოანე საბანისძე მისი პირველი და ნიჭით აღსავსე მქადაგებელი ყოფილა“, „იოანე საბანისძე ქართული ეროვნული მიმართულების მქადაგებელი ყოფილა ეკლესიასა და სარწმუნოებაში“.[1]

იოანე საბანისძის პერიოდში დაწყებული ეროვნული თვითშეგნების აღმავლობის პროცესი მომდევნო საუკუნეებში განვითარდა. „ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც-კი, ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ ამ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული“.[2]

ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა რა მეფეთა და დიდებულთა შორის მიმდინარე ბრძოლას, აღნიშნავდა, რომ „სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქართველოს ბედ-იღბალი, დიდებულ აზნაურებს რომ ძლიერი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშემეცნება და შეგნება ჰქონოდათ და პირადი თავმოყვარეობა და წოდებრივი სარგებლობა საქართველოს საზოგადო კეთილდღეობისათვის შეეწირათ. ვინ მოსთვლის, რაოდენი ძალა იკარგებოდა მაშინ ტყუილ-უბრალოდ და უნაყოფოდ ამ ძმათა შორის ბრძოლაში!“[3]

ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვავდა, რომ „ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთისას და პალესტინისას, შავი მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას“. ამას კი ის გარემოება განაპირობებდა, რომ „ეროვნული გრძნობა უცხოეთში უფრო ცხოველდება ხოლმე; ხოლო საღს ეროვნულს სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო ბევრი ბრძოლა მოუხდება სხვათა

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983, გვ. 91.
[2] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983, გვ. 168.
[3] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983, გვ. 168.

ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშემეცნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნილთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შეერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად“.

4.2. ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს პოლიტიკური პარტიების დახასიათება

ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური პარტიებისადმი ორი კუთხით შეიძლება განვიხილოთ. ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, აინტერესებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და განიხილავდა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს. მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილი პირადად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი, თუ არ ჩავთვლით მის წევრობას 1918 წლის ივლისში შექმნილ უპარტიოთა კავშირში. ამავე დროს, ივანე ჯავახიშვილი თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ნებისმიერი ეროვნული საქმის კეთებაში.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო საქმიანობა უმთავრესად საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის შესწავლას ემსახურებოდა და მე-19 საუკუნის ისტორიას მხოლოდ რამდენიმე ნაშრომში შეეხო. ერთ-ერთი ასეთია 1912 წელს რუსული ენციკლოპედიისთვის დაწერილი ნარკვევი „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა“.[1] ამ ნარკვევში ივანე ჯავახიშვილი შედარებით მოკლედ ეხება ძველ პერიოდს და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიასა და მიმდინარე პროცესების მიმოხილვას. ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს იმ დროს საქართველოში მოქმედ ორ პოლიტიკურ პარტიას – სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს. ამ პარტიების და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების მოკლე დახასიათებაშიც შეიძლება დავინახოთ ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური სიმპათიები.

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის, თხ. ტ. 12, თბ., 1998, გვ. 347-369.

სოციალ-დემოკრატიული პარტია

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ პირველად ხალხის მასების გაყოლიება შეძლო 1893 წელს დაარსებულმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (იგულისხმება „მესამე დასი“), რომელიც მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ეს პარტია, პირველ რიგში, მუშებს შორის, შემდეგ კი სოფლად, გლეხთა შორის შეუდგა პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ საქმიანობას. პარტიის მიზანი იყო მშრომელი მასის ერთობლივი ძალისხმევის ორგანიზება თავისი სამართლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, საქართველოში არსებულმა მძიმე აგრარულმა პირობებმა ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა ქართველ გლეხობაში იმის საქადაგებლად, რომ აუცილებელია, საერთო ძალისხმევით მიეღწიათ საიჯარო და დროებით-ვალდებულის ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად.[1]

შექმნილ ვითარებაში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია საქართველოში მუშაობდა არა იმდენად ფაბრიკის მუშათა შორის, რომელთა რაოდენობაც იმ დროს დიდი არ იყო, რამდენადაც გლეხებში, წვრილ მიწათმფლობელთა შორის.

თავისი წინამორბედების, 1860-80-იანი წლების ინტელიგენციის მიმართ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მტრული პოზიცია დაიკავეს, მათ ბრალს სდებდნენ ხალხის ინტერესების სრულ იგნორირებაში. ივანე ჯავახიშვილის თქმით, დიდი ხნის განმავლობაში ქართველი სოციალ-დემოკრატები უაღრესად მტრულად იყვნენ განწყობილნი ეროვნული საკითხისადმი, ხოლო ნაციონალიზმი გამოაცხადეს მხოლოდ ბურჟუაზიული მიმართულების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად.

სოციალ-დემოკრატებსა და 1860-80-იანი წლების ინტელიგენციას შორის გაიშალა ცხარე პოლემიკა და ბრძოლა იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო გავრცელებული კაპიტალისტური წყობილება საქართველოში და რამდენად პროლეტარიზებული იყო საქართვე-

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის, თხ. ტ. 12, თბ., 1998, გვ. 365.

ლოს მოსახლეობა, რომლის არსებობასაც საქართველოში უარყოფდნენ. ასევე დავა მიმდინარეობდა სოციალ-დემოკრატიის ძირითად კონცეფციის – ისტორიული მატერიალიზმის და ეროვნული საკითხის გარშემო.

რა დამოკიდებულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატებისადმი ივანე ჯავახიშვილს? ამ დამოკიდებულებას განაპირობებდა თავად სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ეროვნული საკითხისადმი. სანამ სოციალ-დემოკრატები ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილნი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე არ ფიქრობდნენ, ივანე ჯავახიშვილისთვის გამორიცხული იყო ამ პარტიასთან თანამშრომლობა. თავად სოციალ-დემოკრატთა მხრიდან დამოკიდებულებაც მტრული იყო, მათი აზრით, „ბურჟუაზიული სოციოლოგიის“ და „ნაციონალისტურ“ პოზიციაზე მდგომი ისტორიკოსისადმი. 1907 წელს სოციალ-დემოკრატმა ფილიპე მახარაძემ გააკრიტიკა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და მასში რაიმე ღირებული ვერ დაინახა, დაგმო ასევე ჯავახიშვილისეული „სამშობლოს ცრუ სიყვარული, რომელიც გამოიხატება წარსულის განდიდების სურვილში, და არა მეცნიერული თვალით მის გამოკვლევა-დაფასებაში“.

სოციალ-დემოკრატთა ერთი ფრთის (ე. წ. „მენშევიკების“) შემობრუნება ეროვნული პრობლემებისადმი და საქართველოს ინტერესების დაცვის პოზიციაზე გადასვლა ცვლიდა ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულებასაც ამ პარტიისადმი. ჩნდებოდა თანამშრომლობის შესაძლებლობა და სურვილი ორივე მხრიდან, რაც რეალიზდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში სარბიელზე გამოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1904 წელს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიად. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ამ პარტიამ პირველად დააყენა ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური უფლებების საკითხი, ამასთან სოციალ-დემოკრატიის საპირისპიროდ, რომელიც ცენ-

ტრალისტურ ტენდენციებს ემხრობოდა, სოციალის-ფედერალისტები იდგნენ დეცენტრალიზაციის, ავტონომიის და ფედერალიზმის პრინციპებზე; ამასთან, ისინი მიუთითებდნენ, რომ საქართველოს ავტონომიის უფლება აქვს მეფე ერეკლე II-სა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს მიერ დადებული ხელშეკრულებისა და ტრაქტატის მიხედვით.[1]

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიმართ ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება პოზიტიური იყო. ამ პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან – სამსონ ფირცხალავასთან და კიტა აბაშიძესთან ივანე ჯავახიშვილი წლების მანძილზე მეგობრობდა, კიტა აბაშიძე კი მისი ქვისლიც იყო.

ივანე ჯავახიშვილის მჭიდრო ურთიერთობებმა ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლებთან, როგორც ჩანს, პოლიციის აგენტებს აფიქრებინა, რომ ივანე ჯავახიშვილი ამ პარტიის წევრიც იყო. საპოლიციო სამსახურის ერთი საარქივო საბუთის თანახმად, რომელიც 1910 წელს განეკუთვნება, ივანე ჯავახიშვილი დასახელებულია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივ საპატიო წევრად აკაკი წერეთელთან, ნიკო მართან (!) და ეპისკოპოს ლეონიდესთან ერთად.[2] ეს ცნობა, რა თქმა უნდა, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ფედერალისტთა პარტიის ეროვნული პროგრამა ივანე ჯავახიშვილისათვის მისაღები იყო, მაგრამ არ იზიარებდა მათ სოციალისტურ მისწრაფებებს.

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა ენციკლოპედიისათვის, თხ. ტ. 12, თბ., 1998, გვ. 365.

[2] ოთარ ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996, გვ. 22.

ივანე ჯავახიშვილის თანამშრომლობა არჩილ ჯორჯაძესთან

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913)

1904 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პარტიის აღიარებული ლიდერი და მთავარი იდეოლოგი.

როგორც უკვე აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ამა თუ იმ პიროვნების რომელიმე პარტიის წევრად ყოფნას, თუკი საქმე საქართველოსთვის სასიკეთო, ეროვნული საქმის კეთებას ეხებოდა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილისა და არჩილ ჯორჯაძის თანამშრომლობა. ჩვენამდე მოღწეულია ამ ორი დიდი მოღვაწის მიერ ერთმანეთისთვის მიწერილი რამდენიმე წერილი.

1908 წელს, რევოლუციური მოძრაობის დამარცხებისა და რეაქციის ხანაში, არჩილ ჯორჯაძე აპირებდა, გამოეცა ახალი სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, სადაც სათანამშრომლოდ იწვევდა ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს – კიტა აბაშიძეს, მიხაკო წერეთელს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, ზურაბ ავალიშვილს და სხვებს. მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც სთავაზობდა, რომ მომავალ ჟურნალში წაეყვანა ისტორიის განყოფილება. „დიდი მნიშვნელობა ექნება ჟურნალისთვის, თუ პირველ ნომერშივე მიიღებთ მონაწილეობას“, – წერდა 1908 წლის 12 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილს არჩილ ჯორჯაძე.

ჯორჯაძეს აფიქრებდა იმ დროს საქართველოში შექმნილი ვითარება. „საზოგადოებაში დიდი უიმედობაა. თუ ეხლა ძალა არ დავატანეთ ამ უიმედობას, ჩვენი საქმე ძლიერ ცუდათ დატრიალდე-

ბა. აუცილებლის საჭიროა ჩვენი სალიტერატურო ძალების შეკრებვა და შეკავშირება“.

ივანე ჯავახიშვილის თანხმობამ არ დააყოვნა. 1908 წლის 21 სექტემბერს საპასუხო წერილში ის აღნიშნავდა: „დიდის სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი. მოხარული ვარ, რომ ეს ჩვენის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო საქმე ითავეთ და ჟურნალის წინამძღოლობა გიკისრიათ. მეც ჩემდათავად, შეძლებისდაგვარად, ვეცდები, დაგეხმაროთ და ჟურნალში მხურვალე თანამშრომლობით მაინც ჩემი ზნეობრივი მოვალეობა ავასრულო“. ივანე ჯავახიშვილი მზადყოფნას გამოთქვამდა ჟურნალში გაგრძელებებით დაებეჭდა თავისი ახალი ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“.

სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, ჟურნალის გამოცემა ვერ მოხერხდა. ფედერალისტთა პარტიას თავისი სახსრების გამოყენება დასჭირდა გაზეთ „ამირანის“ გამოცემის დასაფინანსებლად.

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობას. 1911 წელს გამოვიდა არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველი ტომი. ეს ტომი არჩილ ჯორჯაძემ ივანე ჯავახიშვილს პეტერბურგში გაუგზავნა, რომელმაც წიგნი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ბიბლიოთეკას გადასცა, სხვებსაც რომ წაეკითხათ; არჩილ ჯორჯაძისთვის გაგზავნილ წერილში კი აღნიშნავდა: „პირადად დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე წიგნად გამოვიდა და იმედია, შემდეგშიაც გამოვა, იმიტომ, რომ თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველ ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას“.

ამავე წერილში ივანე ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს არჩილ ჯორჯაძის სამეცნიერო ნაშრომებს: „თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალე, შემატკივარ და თანამგრძნობი გულით დაწერილი“.

ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და პოლიტიკური მოძრაობის შესწავლას. თავად ძველი პერიოდის შესწავლა უხდებოდა და თავის ნაშრომებში „აღმოსავლეთის გაყინულობის“ თეზისის დასაძლევად ყოველთვის წინ წამოსწევდა წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლის ფაქტებს, რაც იდეურ კონცეფციებშიც აისახებოდა ხოლმე. ამ პრობლემატიკის შესწავლა მით უმეტეს მნიშვნელოვნად მიაჩნდა იმდროინდელ ქართულ რეალობაში.

„თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია. სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჰხებოდნენ ჩვენ მწერლობაში, რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავიწყოთ ის, რაც გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო“.

ივანე ჯავახიშვილის თანამშრომლობა მიხაკო წერეთელთან

ივანე ჯავახიშვილს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა ცნობილ ქართველ მოღვაწესთან მიხეილ (მიხაკო) წერეთელთან. მ. წერეთელი პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული, ქართველი ანარქისტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო და ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად ქმნიდა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას ქართულ ანარქიზმში, ზრუნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. სწორედ ეს პატრიოტული განწყობა და ეროვნული პოზიცია აკავშირებდა ივანე ჯავახიშვილთან. ამავე დროს, როდესაც მეცნიერებაში მოსვლა გადაწყვიტა და სპეციალობად ძველი აღმოსავლეთის შესწავლა გადაწყვიტა (ისევ პატრიოტული მოსაზრებებით – ქართველი ერის ისტორიული ფესვების მოსაძიებლად), კონსულტაციისთვის ივანე ჯავახიშვილს მიმართავდა.

მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოში წაკითხულ ლექციებს არათუ ესწრებოდა, არამედ ლექციების შინაარსს იწერდა და გაზეთებში აქვეყნებდა; შემდგომ კი, უცხოეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს, ცდილობდა ივ. ჯავახიშვილის ზოგიერთი ნაშრომის თარგმნას და გამოქვეყნებას. უკვე დავიმოწმეთ რამდენიმე ნაწყვეტი მ. წერეთლის წერილიდან ივ. ჯავახიშვილისადმი. მოვიტანთ კიდევ ერთ ფრაგმენტს, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართულად დაწერილ ნაშრომებს ჩვენს ქვეყანაში „ახალი ხანის დასაწყისად“ მიიჩნევს:

„ქართულად ისინი სწერდნენ ჩვენში, ვინც შინ იყო და ისიც ნამდვილი მეთოდით აღჭურვილი მეცნიერი კი არა, არამედ უფრო დილეტანტი იყო. თუმცა ისინიც კი არა სწერდნენ ხოლმე ყოველთვის ქართულად. ხოლო ვინც რუსეთში იყო და კათედრა ეჭირა, მას ან რაღაც ცოტა და უმნიშვნელო დაუწერია ქართულად, ან სულ არაფერი. ვასო პეტრიაშვილმა მარტო ორი წიგნი მოგვცა ქართულად. მელიქიშვილმა და თარხნიშვილმა არაფერი. ცაგარელმა, რომლის ვალდებულება იყო ბევრი მოეცა, რადგანაც სპეციალისტად ითვლებოდა ქართულში, ძლიერ ცოტა. მარმა – მგონი მარტო ერთი წერილი და ასე მოქმედებდა ყველა. თუკი მით ხელმძღვანელობდნენ, რომ საქართველოში მეცნიერებისათვის მზად არ არის ხალხიო, ან სულ ერთია, მეცნიერებისათვის რა ენაზედაც არ უნდა სწეროო, – დიდი შეცდომაა, რადგანაც მეცნიერება ციდან არ ვარდება... საქართველოს შესახებ რაც დაუწერია მარს, ქართულად რომ დაეწერა, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე რუსულად რომ სწერს. **რუსეთში რუსს არ ეინტერესება ქართული,** არც კი ვიცი, ყოფილა კი ოდესმე რუსი მცოდნე ქართულისა? – ქართულს თუ გინდ თავი დავანებოთ, ვთქვათ ისიც, რომ აკადემიკოსს არ შეუძლია არა სწეროს იმ ენაზედ, რომელიც სახელმწიფო ენაა, მაგ დალოცვილს ერთი რამ მაინც დაეწეროს ევროპიულ ენაზედ, სადაც საქართველოს ინტერესი მეტია, ვიდრე რუსეთში. თქვენ კი, ბატონო ვანო, იმიტომ გაქვსთ მოპოვებული ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენს გულში, რომ ქართული მეცნიერების ნამდვილი დამწყები ხართ, ქართულად სწერთ, ქართულად კითხულობთ ლექციებს, საქართველოსთვის გინდათ მეცნიერება. ამას გრძნობს ყველა, ამას აფასებს, ესმის

ყველას, რომ ასეთი მუშაობის შედეგი იქნება ნამდვილი ქართული მეცნიერების შექმნა და ბოლოს და ბოლოს ჩვენს მეცნიერებას გამოეცლება ის შემთხვევითი და ქველმოქმედებითი ხასიათი, რომელიც მას აქამდისა ჰქონდა. მთელი შთამომავლობა უნდა აღიზარდოს ამ აზრით, ამ მიზნით და საქმეც სასურველად დაგვირგვინდება, თქვენი მოწაფეები ამ აზრისა არიან პეტერბურგში. თქვენგან აქვსთ ჩანერგილი ეს დიდი აზრი. მიწერ-მოწერა მაქვს ა. შანიძესთან. ისეთი ბიჭი ყოფილა, რომ ერთი ათიოდე მაგისთანა ბევრ მნიშვნელოვან სვრელს აიტანს ჩვენი სამეცნიერო კვლევის ყანაზე. თორემ გულზედ როგორ არ გასკდები კაცი, ჩვენში მღვდლებიც აღარ კადრულობენ ქართულად წერას და კეკელიძე რუსულად სწერს ქართულ საეკლესიო მეცნიერების შესახებ!“.[1]

4.3. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ავტონომიის საკითხი

პარტიები და საქართველოს ავტონომიის საკითხი

ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებისკენ მიმართულ ბრძოლაში სულ უფრო ხშირად აყენებდნენ საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის მიღწევას 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების საფუძველზე. ეს მოთხოვნა პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით კარგად გათვლილი იყო. ტრაქტატს რუსეთის მხარეც აწერდა ხელს, მისი დადანაშაულება შეიძლებოდა დადებული პირობის შეუსრულებლობაში, რუს მოხელეებს კი გაუჭირდებოდათ სეპარატიზმში დაედოთ ბრალი ავტონომიის მოთხოვნის წამომყენებლებისათვის.

რუსული ენციკლოპედიისთვის დაწერილ მოკლე მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ შეეხო საქართველოს პოლიტიკური პარტიების მზარდ თანხმობას საქართველოს ავტონომიის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

---

[1] მ. წერეთლის წერილი ივ. ჯავახიშვილს, 1913 წ. 3 აპრილი, მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., თსუ, 1990, გვ. 311.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ავტონომიის პრინციპი შეიტანეს ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამაშიც. თავიდან სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებს შორის მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა როგორც პრესაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, თანდათანობით საქართველოს ავტონომია თავის მომხრეებს პოულობდა სოციალ-დემოკრატებს შორისაც. მისი თქმით, 1908 წლიდან ყალიბდებიან **ქართველი სოციალ-დემოკრატი ავტონომისტები** და ეროვნულ პრობლემას თანდათანობით სულ უფრო სერიოზული ყურადღება ექცეოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა მხრიდან.

უნდა ითქვას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას საბოლოოდ მხოლოდ 1917 წლის შემოდგომაზე შეუერთდნენ.

თავად ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას პრაქტიკული პოლიტიკის საგნად მიიჩნევდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1912 წლის 18 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა:

„... ლ. ანდრონიკაშვილის[1] შესახებ რასაც ეხლა თურმე ლაპარაკობენ, ვითომც იგი ავტონომიის წინააღმდეგი იყოს, შეცდომაა: ის პირიქით ამბობს, ჩვენ მთავრობას უნდა ვუთხრათ, რომ ქართველებმა რუსეთის მთავრობაზე უკეთ იცის ხელშეკრულებათა და პირობების აღსრულება და ჩვენ იმ ხელშეკრულობის ნიადაგზე ვდგევართ, რომელიც ერეკლე მეფისა და ეკატერინეს შუა იყო დადებულიო; მაგრამ ის ამასთანავე უმატებს: ეხლა როდესაც ასეთი რეაქცია არის გაბატონებული, ადგილობრივზე მეტის მეტად ლაპარაკი რა დროსია, ყველანი უნდა შეერთდნენ და მთელი სათათბირო ორ დიდ ბანაკად უნდა გაიყოს მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მთავრობის მომხრეთა, რომ ჯერ უმთავრესი საკითხი რეჟიმის შესახებ გადაწყდესო. შეიძლება ადამიანი ამგვარს მსჯელობას არ დაეთანხმოს და მიუგოს, რომ არსად ამგვარი გამარჯვება

[1] ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1872-1939) – ცნობილი იურისტი, დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში და 1900-იან წლებში მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის ასზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში.

ერთბაშად არ მომხდარა, არამედ თანდათანობით, რომ ვინც მუდმივ და დაუცხრომელად თავის მიზნის განხორციელებაზე არა ზრუნავს, ის, როცა საქმის აღსრულების დრო მოახლოვდება, შეიძლება პირღია დარჩეს და სხვადასხვა, რომ პოლიტიკურს დასს უმაღლესი იდეალი, რომლისაკენაც იგი თანდათანობით მიისწრაფის, გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს; მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილის გმობა... არ შეიძლება".[1]

1917 წ. მარტი: ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ავტონომიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად ზრუნავდა საქართველოს ავტონომიის აღსადგენად, როგორც ჩანს, გააქტიურდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. მძიმე ომში ჩართული რუსეთის ხელისუფლებისაგან უფრო ადვილი ჩანდა გარკვეული დათმობის მიღება. ეს იმედი გააძლიერა პოლონელებისთვის ავტონომიის თაობაზე მიცემულმა დაპირებამ. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა რუსეთის ჟანდარმერიას. კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1916 წ. 15 დეკემბერს გაგზავნილ მოხსენებაში[2] აღნიშნულია: „პოლონეთისთვის ავტონომიის მირთმევის შემდეგ, საქართველოს ავტონომიის საკითხმა, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გონების გაძლიერებულად დაკავება დაიწყო. ეს საკითხი განიხილება ისევე, როგორც პრესაში, ასევე კერძო შეხვედრების დროს, რომლებსაც ესწრებიან სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები. მათ ხელმძღვანელობს თავადი გრიგოლ ნიკოლოზისძე დიასამიძე. თვითონ ის უპარტიოა და მხოლოდ აწყობს ამ შეკრებებს. მიმდინარე ნოემბრის 20-ში, თბილისში ქართველმა კათოლიკეებმა, დასახელებული დიასამიძის ინიციატივით მოაწყვეს გარდაცვლილი პოლონელი მწერლის, სენკევიჩის პანაშვიდი. პანაშვიდისას ქართველებმა მიულოცეს პოლონელებს ავტონომიის გამოცხადება, ხოლო პოლონელებმა იმედი გამოთქვეს საქართველოს მიერ ავტონომიის უახლოეს მომავალში მიღების თაობაზე.

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ალმანახი, თბ., 2000, გვ. 15.

[2] საიდუმლო მოხსენება („რაპორტი") დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში და მას ხელს აწერს პოლკოვნიკი პასტრიულინი.

პანაშვიდის გადამხდელმა პატრე ღაზალოვმა სიტყვა წარმოთქვა პოლონეთისთვის ავტონომიის ჩუქების შესახებ და ასევე გამოხატა საქართველოს ავტონომიის მიღწევის იმედი. პანაშვიდის დროს პოლონელებმა იმღერეს ეროვნული ჰიმნი „ჯერ პოლონეთი არ დაღუპულა“.[1]

ამავე საიდუმლო მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ივანე ჯავახიშვილის საქმიანობას საქართველოს ავტონომიის აღსადგენად:

„არსებობს ცნობები, რომ პეტროგრადში მცხოვრები ქართველებიც შეწუხებული არიან საქართველოს ავტონომიის მიღების სურვილით და იქ მცხოვრებმა პროფესორმა ჯავახოვმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს, სამსონ გრიგოლის ძე ფირცხალავას, რომელიღაც სტუდენტის ხელით გამოუგზავნა წერილი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ციმერმანი კარგად იცნობს საქართველოს საკითხს, ძალიან არის დაინტერესებული ამით და პირობა დასდო წამოწიოს ეს საკითხი სამშვიდობო მოლაპარაკების გადაწყვეტის პროცესში.

ჯავახოვი ვითომდა ინკოგნიტოდ იმყოფებოდა სტოკჰოლმში და იქ საქართველოს საკითხზე მოლაპარაკებები აწარმოა გერმანიის ელჩთან. ამ მოლაპარაკების შინაარსი დიდ საიდუმლოდ არის შენახული. ჯავახოვი, ისტორიკოსი, ავტონომიის და ფედერალიზმის მხურვალე მხარდამჭერი, თავის დასკვნებს ამყარებს ისტორიულ დოკუმენტებზე“.

ამ ცნობის დამადასტურებელი რაიმე სხვა ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ კარგად აჩვენებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა და როგორ ადევნებდა თვალს ივანე ჯავახიშვილს ცარიზმის საიდუმლო პოლიცია.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში და ცარიზმის დამხობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მიმართული პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. იმ პირობებში ეს საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნა იყო. უფრო მეტის მოთხოვნისათვის არ არსებობდა სა-

[1] ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს დამოუკიდებლობა – https: //idfi.ge/ge/ivane_javakhishvili_and_georgias_independence.

თანადო პირობები და, გარდა ამისა, მზად არ იყვნენ თავად საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც.

ივანე ჯავახიშვილის პოზიცია კარგად ჩანს კიტა აბაშიძისადმი 1917 წლის 11 მარტს გაგზავნილ მოკლე წერილში. ივანე ჯავახიშვილი კონკრეტულ სამოქმედო გეგმასაც აყალიბებს:

„ძვირფასო ძმაო კიტა!

მომილოცავს ძველის დამხობა და ახლის მთავრობის წევრად შენი დანიშვნა.[1] აბა შენ იცი, როგორ გაბედულად და ბრძნულად იქმნება საქართველოს პოლიტიკური განახლების საქმე განხორციელებული. აქ სრულებით დაბნეულებიც არიან და ჩვენთვისაც არა სცალიანთ ისე, რომ მანდ თქვენ, ვითარცა დროებით მთავრობის წევრებს, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიანთ ეხლავე. ნეტავიკი ჩვენში თანხმობა ჩამოვარდეს დასთა შორის. აქ ყრილობა გვქონდა და პოლიტიკური ავტონომია ერთმხრივ სოციალ-დემოკრატების მიერაც იყო მიღებული. თუ მანდაც მოხდა შეთანხმება, მაშინ ჩვენი აღორძინება ადვილი შესაძლებელი იქმნება. კ. ჩხეიძეც ყველა ჩვენს აზრს ემხრობა. მე მგონია, ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიანთ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწყესობა აღადგინონ, აირჩიონ კათალიკოზი და ეს მთავრობას და ლვოვს აცნობონ. აქეთგან რომ აფხაზი წამოვიდა, დაგვპირდა, რომ მანდაურს ამბებს და ჩვენ მომქმედ დასების აზრს და წადილს გვაცნობებდა, ველით მოუთმენლად. თავადაზნაურობის ტელეგრამა მშვენიერი იყო და აქ ყველას მოეწონა. იყავ ყოჩაღად და ჯანმრთელად. საუკუნეზე მეტია, ასეთს ჟამსა და დროს საქართველო არ მოსწრებია“.[2]

საქართველოს ავტონომიის მოსამზადებლად ძალისხმევას არ იშურებდა თავად ივანე ჯავახიშვილი პეტროგრადში მყოფ სხვა თანამოაზრეებთან ერთად. „იმოდენა კრებები და სხდომებია, რომ მოსვენება არა მაქვს. ჩვენ ვცდილობთ, აქ როგორმე დავეხმაროთ ჩვენს ერს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში.

---

[1] კიტა აბაშიძე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრად დაინიშნა. ეს იყო რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისთვის შექმნილი ორგანო. „ოზაკომი“ შემდეგში ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა შეცვალეს.

[2] ივანე ჯავახიშვილი, ალმანახი, თბ., 2000, გვ. 22.

ზურაბ ავალიშვილი იგონებს პეტროგრადში გამართულ ერთ-ერთ ასეთ კრებაზე ივანე ჯავახიშვილის შთამბეჭდავ გამოსვლას: „ივ. ჯავახიშვილის ბაგეთაგან უეცრად რაღაც ახლებურად ამეტყველდა საქართველოს ათასწლოვანი პოლიტიკური ტრადიცია“.[1]

პეტერბურგში გამართული ერთ-ერთი კრების შესახებ იუწყებოდა ბერლინში გამომავალი „ქართული გაზეთი“. ამ სხდომაზე გადაწყდა, კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად:

„პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა მოახდინეს კრება, რომელზედაც იქონიეს მსჯელობა საქართველოს მომავალ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია საქართველოს პოლიტიკური უფლებების აღდგენისა ავტონომიის სახით. ამ დადგენილების მთავრობისათვის შესატყობინებლად, პრესისა და საზოგადოების აზრის მოსაპოვებლად, აგრეთვე ახლო დამოკიდებულების დასაჭერად სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან, ამორჩეულ იქნა კომიტეტი, რომელშიც შედიან შემდეგი პირები: პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი, პრივატ-დოცენტი ი. ყიფშიძე, ნ. გელოვანი, ვექილი გ. სიდამონ-ერისთავი, ზ. ავალიშვილი, ა. ჩერქეზიშვილი და პრივატ-დოცენტი ნუცუბიძე“.[2]

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა სტატიები გიორგიევსკის ტრაქტატთან და მის იურიდიულ მხარესთან დაკავშირებით. მაშინ ივანე ჯავახიშვილი ამ პროცესში არ ჩართულა და არაფერი დაუწერია.

1917 წლის 10 მარტს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრებაზე მიღებულ ერთ-ერთ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავის მოვალეობად სთვლის, შეუთანხმოს თავისი მოქმედება ახალ მთავრობის განკარგულებათა და წინასწარ განზრახვათა, რადგან ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური უფლებები, დამყარებული 1783 წლის ხელშეკრულობაზე, ეხლა მაინც, როცა ძველი ტირანია გასრესილია,

---

[1] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ., 1990, გვ. 17.

[2] „ქართული გაზეთი“, 1917 წ. 20 მაისი.

მიიღებს სრულს დაკმაყოფილებას და განხორციელებას თავის უფლებებისას წმიდა დემოკრატიულ პრინციპებზე“.[1]

1917 წლის ზაფხულში მიღებულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ნათქვამი იყო: „1783 წლის ხელშეკრულობით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი). ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია. 1801 წლის ენკენისთვის 15 მანიფესტით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულობა და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებები. საქართველოს პოლიტიკური უფლებები უნდა იქმნეს აღდგენილი“.[2]

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა 1917 წლის შემოდგომაზე გამართულ ეროვნულ ყრილობაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ავტონომია მოეთხოვათ საქართველოსთვის. მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, რუსეთის დამფუძნებელი კრება, სადაც ქართულ დელეგაციას ავტონომია უნდა მოეთხოვა, 1918 წ. 5 იანვარს შეიკრიბა და მეორე დღესვე გარეკეს ბოლშევიკებმა. იქ ქართული დელეგაცია არც ჩასულა.

ამიერკავკასიაში 1918 წლის თებერვალში ჯერ ამიერკავკასიის სეიმი შეიქმნა, 1918 წლის 9 (22) აპრილს კი გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობების და თურქეთის შემოტევის გამო ერთიანობის შენარჩუნება არ შეეძლო. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მოგვიანებით, 1919 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი მოვლენათა განვითარების შეფასებისას აღნიშნავდა, რომ ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობის გამოვლინება იყო ისიც, რომ „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა“, რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა, საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მი-

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1917 წ. 15 მარტი, № 59, გვ. 4.

[2] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პროგრამა წინასიტყვაობით, დადასტურებული საქ. ეროვ-დემოკრ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მიერ, 1917 წელს, თიბათვის 4-20, თბილისი, 1917.

აჩნდა დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადაიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია“. იგულისხმებოდა 1918 წლის 26 მაისის აქტი.

ივანე ჯავახიშვილი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ

1919 წლის გაზაფხულზე გამოცემულ ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით შეეხო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. მისი თქმით, მეცნიერები სხვადასხვა შეფასებას აძლევდნენ ამ დოკუმენტს. მაგალითად, უსელის უნივერსიტეტის პროფესორი ერნესტ ნიუსის აზრით, რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება იყო დადებული. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ლისცტის სიტყვით, ეს ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში სრულებით დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც მისი ვასალური სახელმწიფო ხდებოდა. დაახლოებით იგივე აზრი ჰქონდა გამოთქმული ზურაბ ავალიშვილსაც.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ასეთი აზრთა სხვადასხვაობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ ხელშეკრულება ყოველმხრივ სრულს იურიდიულს ნაწარმოებს არ წარმოადგენს და იქიდან თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თითოეული ზემომოყვანილი შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება“.[1]

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საკითხის გადაწყვეტა მართებული იქნებოდა თავად ხელშეკრულების გამფორმებელ მხარეთა თვალსაზრისის გათვალისწინებით. მას მოჰყავდა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის მითითება ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით: „მისი უდიდებულესობის აზრი იყო, რომ ქართველ მეფეებთან (ე. ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან) დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრ-

[1] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ., 12, გვ. 414.

დომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი“.[1]

მეფე ერეკლეს თვალსაზრისიც ცნობილია. ის დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს აღუთქვამდა: „შუამდგომლობითა ჩემითა მოგიპოვოთ მფარველობა და კავშირი უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა“-ო.[2]

ივანე ჯავახიშვილი ასკვნიდა: „მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს, გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“.[3]

ივანე ჯავახიშვილის თქმით, საქართველოს მოწინავე წრეებს ეგონათ, რომ „ძლიერი მოკავშირის, რუსეთის, მფარველობითა და დახმარებით, ჩვენი ქვეყანა მოღონიერდებოდა, გარეშე მტრებს მოიგერიებდა და მყუდრო ცხოვრების შემდგომ მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით წარმატების გზას დაადგებოდა“[4], მაგრამ „1783 წ. ხელშეკრულების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა“,[5] რუსეთმა კი ხელშეკრულების პირობები უხეშად დაარღვია და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა წაართვა.

[1] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 12, გვ. 415.
[2] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 12, გვ. 415.
[3] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 12, გვ. 416.
[4] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 12, გვ. 433.
[5] ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 12, გვ. 416.

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

როგორც უკვე ითქვა, 1917 წლის 11 მარტს ივანე ჯავახიშვილი პეტროგრადიდან კიტა აბაშიძეს წერდა: „მე მგონია, ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიანთ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწყესობა აღადგინონ, აირჩიონ კათალიკოზი და ეს მთავრობას და ლვოვს აცნობონ“.

მოვლენები სწორედ ასე განვითარდა. 1917 წლის 12 მარტს (ახალი სტილით 25 მარტს) მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანში, საეკლესიო კრებამ 10 ათასი კაცის თანდასწრებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლება გამოაცხადა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად იურიდიულ კომისიას გადასცა. კომისიამ ისეთი ცვლილებები შეიტანა მასში, რომ საქმეს ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. ეს შეიტყო ივ. ჯავახიშვილმა და ზ. ავალიშვილთან ერთად სასწრაფოდ სინოდის ობერ-პროკურორს ლვოვს ეწვია: „ზურაბსა და მე საათნახევრის განმავლობაში კამათი მოგვიხდა მასთან და ბოლოს დავიყოლიეთ და იურიდიული კომისიის აზრი უარვაყოფინეთ. ჩვენ... ვარჩიეთ ის დებულება, რომელიც მარისა და ბენაშვიჩის თანდასწრებით საეკლესიო სამართლის მეცნიერთ შეემუშავებინათ. არც ეს დებულებაა მთლად დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საქმე მთლად იღუპებოდა და ისევ ეს სჯობდაო“, – ატყობინებდა თბილისში ივანე ჯავახიშვილი.

დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის მხოლოდ ეროვნული ავტოკეფალია სცნო: „დროებითი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ქართულ-ეროვნულ ხასიათს და მოქმედებას ტერიტორიით არ საზღვრავს. მართლმადიდებელი რუსების და სხვა არა ქართველთა ეკლესიების მართვა-გამგეობა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელში რჩება“.[1]

ივ. ჯავახიშვილმა და ზ. ავალიშვილმა სინოდის ობერ-პროკურორთან შეხვედრისას გაარკვიეს, რომ არაქართველებში ბერძნები და აისორები იგულისხმებოდნენ, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი შიშობდა: ვაითუ აფხაზები და ოსებიც რუსულ ეკლესიას დაუქვემდებარონო.[2]

---

[1] „საქართველო“, 1917 წ. 30 მარტი.

[2] ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, №2-3, გვ. 130-131.

დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებამ საქართველოში უკმაყოფილება გამოიწვია. ეს იყო ეკლესიის ექსტერიტორიული ავტოკეფალია და კანონიკური პრინციპის დარღვევა (ერთ საეკლესიო მხარეში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი ეკლესიის დაშვება). ქართული ეკლესიის დროებითმა მმართველობამ უკანონოდ მიიჩნია პეტროგრადიდან მოსული გადაწყვეტილება. საკითხის შესასწავლად დროებითმა მთავრობამ თბილისში გამოგზავნა საეკლესიო სამართლის სპეციალისტი, პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ბენაშევიჩი.

ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს წერდა: „ბენაშევიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს... უნდა კარგად დაუხვდეს ქართული სამღვდელოება და საზოგადოება. წინასწარ მომზადებაა საჭირო“, იქნებ, მანდ, მოლაპარაკების დროს, როგორმე მშვიდობიანად შეთანხმდეთ ბენაშევიჩთანო.[1]

1917 წლის 13 აპრილს ვ. ბენაშევიჩი თბილისში ჩამოვიდა. რამდენიმე დღეში შემუშავებული იქნა „საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დებულება“, რომელიც შემდეგ დროებითმა მთავრობამაც დაამტკიცა. საქართველოს ეკლესიამ, მიუხედავად პროტესტისა, მხოლოდ ნაციონალური ავტოკეფალობა მიიღო.

1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულმა საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ II. დროებით მთავრობას რუსეთში კი დიდი დღე არ ეწერა და 1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკებმა დაამხეს.

საქართველოს I საეკლესიო კრება
9-17.09.1917

[1] ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, №2-3, გვ. 130-131.

დანართი

მაღალი ზნეობრივი მოძღვრება XII საუკუნის საქართველოში

„მეტად დამახასიათებელია და საგულისხმიერო აგრეთვე ის მაღალი ზნეობრივი მოძღვრება, რომელიც გავრცელებული ყოფილა მაშინ საქართველოში და რომლის გულმოდგინე მიმდევარნიც ყოფილან ჩვენი დიდებული გვირგვინოსნები დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე. ეს ის მოძღვრება იყო, რომელიც ადამიანს უკარნახებდა, რომ მხოლოდ საკუთარის, პირადის შრომითა და მუშაობით შეძენილი ფული იყო უმწიკვლო და წმინდა, რომ მხოლოდ ამ გზით მონაგები ქონება შეიძლებოდა ღვთისათვისაც სათნო ყოფილიყო. როდესაც ადამიანს ჰსურდა თავისი დავრდომილი მოყვასისათვის ხელი გაემართა და ქველმოქმედებით წრფელის გულით დახმარება გაეწია, მას უეჭველად ამ ფაქიზი გზით შეძენილი ფული თუ ქონება უნდა მოეხმარა. მაშასადამე, იმდროინდელი შეხედულებით მხოლოდ ხელსაქმესა და ნაჭირნახულევს თან ახლდა სრული ზნეობრივი სიფაქიზე და თვით მეფეებიც კი საქართველოში ცდილობდნენ თავიანთ თავზე და ქველმოქმედებისათვის საკუთარის შრომით შეძენილი ფული დაეხარჯათ. ცხადია, რომ **ეს მშვენიერი და მომხიბლავი აზრი მუშა-კაცის, მიწისმოქმედებისა და ხელოსნის ცხოვრების მძიმე ტვირთს აკეთილშობილებდა და ზნეობრივ სიწმიდის შარავანდედსა და მიმზიდველობას ანიჭებდა“.**

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 297.

წოდებრიობისა და პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა

„პირველი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის უნდა გადაწყვეტილი ყოფილიყო, წოდებრიობისა და პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა იყო. საშუალო საუკუნეებში, ფეოდალურ წესწყობილებაში განმტკიცებული მსოფლმხედველობაცა და რწმენაც უპირატესობას შთამომავლობასა და წოდებრიობას აკუთვნებდა. ეს ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული მაშინდელი რწმენა დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველომ დაარღვია და ადამიანის პირად ღირსებას, წოდებ-

რივ შთამომავლობასთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა. მონინავე მოაზროვნე საზოგადოებაშიც და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროშიც საქმიანობა სწორედ ამ ძირითად ახალ მოძღვრებაზე იყო დამყარებული“.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 384.

ისტორიის მსჯავრი პოლიტიკოსებისთვის

„... არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდი ხანია, უკვე რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმშენებელის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობის და ძლიერების სიმბოლოს.“

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 220.

საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ თამარ მეფის დროს

„განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ საქართველოში პოლიტიკური ძლიერების დროსაც საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების განვითარება შეჩერებული არა ყოფილა და ქართველობა თავისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილების შეცვლასა და დაწინაურებას ცდილობდა“.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 296.

„... შეთანხმება ურთიერთ დათმობით გახდა შესაძლებელი. თამარმა შეუთვალა, რომ, ყუთლუ-არსლანს გარდა, დატრიალებული

ამბის პასუხს ის არავის მოსთხოვდა. ამასთანავე თამარი დათანხმდა, რომ ამიერითგან მას საქართველოს დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით გადანაწყვეტი წარსდგებოდა ხოლმე დასამტკიცებლად. დასის წარმომადგენლებმა თავიანთ მხრივ აღიარეს, რომ ისინი ერთგულებას განუცხადებენ თამარ მეფეს, დაემორჩილებიან და მის ხელისუფლებას სცნობენ.

ამგვარად, თამარ მეფემ დარბაზის თანადგომის, ე. ი. სახელმწიფოს საქმეების განხილვა-გადაწყვეტის მონაწილეობის უფლება აღიარა, მაგრამ სამაგიეროდ უარყო, რომ მეფეს ამ დადგენილების ასრულების გარდა სხვა აღარავითარი ხელისუფლება არ ჰქონდა: თავისთვის მან დამტკიცების უფლება შეინარჩუნა. მართლაც, ამ დროითგან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში ყოველ ცნობას დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ ისეთი გამონათქვამები ახლავს, რომელთა კვალი წინანდელ საისტორიო ძეგლებში არსად ჩანს: ასეთ შემთხვევაში უკვე ნათქვამია ხოლმე „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა“ თამარმა დაამტკიცაო ესა და ეს პირიო.

საკმარისია XI საუკუნის დამდეგს ქართულს სამონასტრო წესწყობილებაში მომხდარი ცვლილება გავიხსენოთ, როდესაც წინანდელი მამასახლისისგან თანამდებობის პირთა დანიშვნის მონარქიული წესი რესპუბლიკურ წესად შეიცვალა და მონასტრებში ძმობის ყველა წევრთა „თანადგომითა და ერთნებობით“ მოწყობილი არჩევნები იქმნა შემოღებული, რომ თამარის დროს ყუთლუარსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ცვლილების იდეური სათავის სადაურობა ცხადი შეიქმნეს. უეჭველია, აქ იმავე მოძღვრებისა და იმავე პროგრამის ანარეკლი გვაქვს, რომელთაც XI საუკუნეში ქართული მონასტრების მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურ წეს-წყობილებად შეცვალეს.

ამგვარად, ამიერიდან საქართველოს მეფეთა-მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის თანადგომითა და ერთნებობით იყო შეზღუდვილი. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საგულისხმო და წინამორბედ ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც XIII საუკ. დამდეგს ინგლისში, როგორც ცნობილია,

მოხდა და „მაგნა ხარტა ლიბერტატუმ“-ის შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა.

ამ შეთანხმებამ საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური მყუდროება მიანიჭა. მართალია, დიდგვარიანი აზნაურები შემდეგშიც რამდენჯერმე შეეცადნენ, მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ გამოესწორებინათ, მაგრამ მათი ყოველი ასეთი მცდელობა ამაო გამოდგა და პოლიტიკური მყუდროება საგრძნობლად აღარ შერყეულა.“

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 375-376.

„... თუ თამარ მეფემ თავისი მეფობის პირველ წელს მოახერხა, გადაელახა სერიოზული სიძნელეები და თავისი მოსალოდნელი შედეგებით მრისხანე კრიზისი, ამაში მას გარდა მისი უეჭველი პოლიტიკური შორსმხედველობისა და სახელმწიფო მოღვაწის არაჩვეულებრივი ტაქტისა, დაეხმარა ის გარემოებაც, რომ ნიადაგი კონფლიქტის გონივრული გადაწყვეტილებისათვის უკვე მომზადებული იყო იმით, რომ მმართველობის მონარქიული წესი ქართულ კორპორაციულ ორგანიზაციებში შეცვლილიყო რესპუბლიკური წესწყობილებით. ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივ უფლებრივსა და სოციალურ სფეროში ბრძოლის მიმდინარეობამ თავისი ლოგიკური განვითარება ჰპოვა და დამთავრდა თამარის მეფობაში იმ მოვლენით, რომელსაც იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ხარტიაში. სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივი ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგად-ისტორიული თვალსაზრისითაც“.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 408-409.

„... იმავე მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო წესწყობილების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაც გადაწყდა, როგორიც მეფისა და დიდგვარიან აზნაურთა ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემაა. საუკუნეთა განმავლობაში მიმ-

დინარე ბრძოლა, რომელიც მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის ჯერ მხოლოდ წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად წარმოებდა, როცა მეფის ხელისუფლება ამ უპირატესობის შეზღუდვა-მოსპობას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, თამარის დროს, ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოქმედი პოლიტიკური დასისაგან წამოყენებული მოძღვრებისა და მონათხოვნის წყალობით, სახელმწიფო დარბაზის ერთაგან მოპოვებული უფლებით **მეფის ხელისუფლების შეზღუდვით** დამთავრდა. ამ ხანითგან მოყოლებული დარბაზის ერთა თანადგომა და ერთნებობა მეფის ბრძანების სიმტკიცისათვის საჭირო გახდა“.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 408-409.

საეკლესიო ცხოვრების დემოკრატიზაცია

ძველი დროითგან მოყოლებული სამონასტრო იერარქიული წესწყობილება საქართველოში მონარქიულს პრინციპზე იყო დამყარებული, ე. ი. მონასტრის მამასახლისი სამონასტრო დაწესებულებებში ყველა მოხელეს თვითონ ნიშნავდა, სიკვდილის წინ თვითონ ასახელებდა იმ პირსაც, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისად უნდა გამხდარიყო.

ასეთ პირობებში მყოფ მონარქიულ წესწყობილებაზე დამყარებულ მონასტერს შემდეგში ღირსეული მემკვიდრეები მამასახლისთა შორის ვერ აღმოაჩნდნენ...

ათონის მონასტრის ძმობა დარწმუნდა, რომ სავანეზე თავს დამტყდარი განსაცდელი წესწყობილების იმ დებულების შედეგი იყო, რომლითაც ძმობას საშუალება ჰქონდა, მოსპობილი მამასახლისობისათვის შესაფერისი პირი შეერჩია და რომელიც მონასტერს უფროსად მემკვიდრეობით დანიშნულს პირს უგდებდა ხელში. ამის შეგნებამ სამონასტრო წესწყობილების ამ ძირითადი დებულების შეცვლის აუცილებლობა ცხად-ჰყო. ძმობა იმ აზრს დაადგა, სავანეს ბედ-იღბალი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს უზრუნველყოფილი, თუ დანიშვნაზე დამყარებული მონარქიული წესის მაგიერ მთელი ძმობის ნებაზე დამყარებული არჩევანის წესწყობილება იქნებოდა შემოღებული. სწორედ არჩევანი იყო მიღებული იმ წესად, რომელსაც წინანდელი ერთპიროვნული

მართვა-გამგეობის წესი შეეცვალა. ათონის ქართველთა მონასტერში 1031 წლისათვის, უცხოეთში მყოფი ყველა ქართველთა საკანეების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მონასტრის თანამდებობის პირად დადგენისათვის არჩევაზე დამყარებული წესი იქმნა შემოღებული. სამი დასახელებული კანდიდატიდან მამასახლისად ის პირი ითვლებოდა ხოლმე არჩეულად, რომელსაც ამ სამთაგანს წილგდებით ერგებოდა.

ამგვარად, ძველად არსებული მონარქიული წესწყობილების მაგიერ, ქართველთა ჯერ უცხოეთში მყოფსა და შემდეგ თვით საქართველოს მონასტრებშიც დამყარდა რესპუბლიკური წესწყობილება, მთელი ძმობის მონაწილეობით მომხდარი არჩევანისა და საქმეთა განხილვის პრინციპზე დაფუძნებული. ამას უაღრესი მნიშვნელობა მარტო საქართველოს ეკლესიისთვის-კი არ ჰქონდა, არამედ ქართული სახელმწიფო წესწყობილებისათვისაც.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 338-339.

დავით აღმაშენებლის ღვაწლია, რომ მან, ვითარცა სახელმწიფოს ბრძენმა მესაჭემ, საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო. პირველი მისი დიდი სახელმწიფო გეგმიანი ნაბიჯი **ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის** განხორციელება იყო: პირადი ღირსებისათვის უპირატესობის მინიჭება წოდებრიობასთან შედარებით. ის, რაც პირველად გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და ნაწილობრივ მისი განხორციელებაც-კი სცადა, დავით აღმაშენებელმა ქართულ ეკლესიაში მთელი სახელმწიფოს საზომითა და მთელი სახელმწიფოს სივრცეზე განახორციელა.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 357-358.

რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობა

... ქართველები მოსაზღვრე თურქ **მმართველებს** და სამფლობელოებს ებრძოდნენ, მათ ქვეყნებს იპყრობდნენ, მაგრამ **მაჰმადიანობასთან და მათ სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ. ქართველ-მაჰმადიანთა ბრძოლას არასდროს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არა ჰქონია.**

საქართველოს სახელმწიფოში მაჰმადიანი ქვეშევრდომებიც არა მცირედნი იყვნენ, მაგრამ მთავრობას ისინი არამცთუ არ შეუვიწროებია, არამედ როგორც თვით მაჰმადიანი მემატიანეებივე გვაუწყებენ, ზოგჯერ სულტანებზე და ამირებზეც კი მეტს მზრუნველობას იჩენდნენ, მათს სარწმუნოებრივ გრძნობას ანგარიშს უწევდნენ და არც მფარველობა მოუკლიათ.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 304-305.

... **თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა, მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა.** ქართველებისათვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არა ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივსა სცემდნენ.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 305-306.

... საქართველოში მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება სუფევდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის და სარწმუნოებრივ სიძულვილს სახელმწიფო ცხოვრებაში არამცთუ არავითარი ძალა არ ჰქონდა, არამედ, პირიქით, სარწმუნოების სხვადასხვაობისადა მიუხედავად, საერთო საკულტურო მუშაობა სუფევდა...

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 306.

... ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილებას გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ., სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ. სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი.

ივანე ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 307.

თავი 5. ქართული უნივერსიტეტის დაარსება

ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივ საქმიანობაში უმთავრესი მაინც ქართული უნივერსიტეტის დაარსებაა. დღეს წარმოუდგენელია საქართველო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარეშე, იმ წვლილის გარეშე, რაც პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში.

თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება კულტურულ-საგანმანათლებლოს გარდა, დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხი იყო. ივანე ჯავახიშვილის გეგმით ქართული უნივერსიტეტი ქართული მეცნიერების აყვავების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ქართულ მეცნიერებას კი ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს აღორძინებისათვის უნდა დაედო სათავე. რუსეთის ხელისუფლებას და იმპერიულად მოაზროვნე ინტელიგენციას სწორედ ამიტომ არ აღელვებდა ქართული უნივერსიტეტის იდეა და მისი წინააღმდეგიც იყო. სამწუხაროდ, მათ ბანაკში აღმოჩნდა დიდი მეცნიერი და ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი ნიკო მარი. მეტიც, იგი ქართული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ლიდერად მოგვევლინა. სწორედ მისი იდეა იყო თბილისში რუსულენოვანი ე. წ. კავკასიის უნივერსიტეტის დაარსება, რომელიც კავკასიის ყველა ეროვნების წარმომადგენელს მოემსახურებოდა და მათ რუსულ ორიენტაციას არ დააკარგვინებდა.

5.1. საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის ისტორიიდან

საქართველოში უმაღლესი განათლების სათავეები

საქართველოში უმაღლესი განათლების სათავეები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. ანტიკური წყაროებიდან ცნობილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში ფაზისის (ახლანდელი ფოთის) მახლობლად არსებობდა კოლხეთის აკადემია ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის სახით, სადაც, ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, განათლებას იღებდნენ საბერძნეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც.

შუა საუკუნეებში უმაღლესი განათლების კერები არსებობდა რამდენიმე მსხვილ მონასტერთან. XII საუკუნეში შეიქმნა გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები. სწორედ მათი წარმოშობა მიიჩნევა უმაღლესი განათლების საწყის პერიოდად ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ისტორიაში დაწყებულმა ძნელბედობამ არათუ განვითარების საშუალება არ მისცა განათლების აღნიშნულ კერებს, არამედ მათი ფუნქციონირებაც შეწყდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის დროს საქართველოში კვლავ წამოიჭრა უმაღლესი განათლების ცენტრების აღდგენისა და განახლების იდეა. ამ მიმართულებით მუშავდებოდა კიდეც უმაღლესი სკოლის შექმნის კონკრეტული პროექტები, მაგრამ ისინი არ განხორციელებულა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ დიდი ხნით ჩაკლა საქართველოში ეროვნული უმაღლესი სკოლის შექმნის შესაძლებლობა.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა არაერთხელ დააყენეს საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. როგორც ჩანს, პირველად უნივერსიტეტის დაარსების იდეა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ეკუთვნით. მათ განზრახული ჰქონდათ, მოეთხოვათ ქართველი ახალგაზრდების წარმატებით და სწრაფად განათლების მიზნით, თბილისში უნივერსი-

ტეტის დაარსება, სამხედრო და სხვა ტიპის სასწავლებლების გახსნა.

თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას ვრცელი წერილი მიუძღვნა გაზეთმა „დროებამ“ 1871 წლის 3 ივლისს (№ 26) სათაურით: „საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?“ გაზეთი ასაბუთებდა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საჭიროებას, ვარაუდობდა, რომ აქ სიამოვნებით იმუშავებდნენ სხვა ქალაქებიდან მოწვეული პროფესორები, უნივერსიტეტს კი ეყოლებოდა სტუდენტთა საკმაოდ დიდი კონტინგენტი. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა საზოგადოების წინსვლას, გახდებოდა ცოდნისა და კეთილსინდისიერების გავრცელების ცენტრი.

უნივერსიტეტის დაარსებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა 1880-იანი წლებიდან. თუმცა ადგილობრივი თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ცდები თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ნებართვის მისაღებად მარცხით დასრულდა.

საქმე ეხებოდა არა ქართულ, არამედ რუსული უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ მეფის მთავრობას ისიც არ ემეტებოდა კავკასიისთვის. ცარიზმს ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი რევოლუციური აზრების გამავრცელებელი კერა გახდებოდა.

1909 წლის 26 სექტემბერს თბილისში გაიხსნა პირველი რუსული უმაღლესი ტიპის სასწავლებელი – ქალთა უმაღლესი კურსები, იგი კერძო ტიპის სასწავლებელი იყო.[1]

ქართველმა მოღვაწეებმა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისთვის სცადეს, გამოეყენებინათ 1914 წლის 1 ივლისს გამოცემული კანონი კერძო სასწავლებლების დაარსების შესახებ, მაგრამ მეფის მთავრობამ დრო გააჭიანურა და საქართველოში კერძო ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ნებართვა არ გაუცია.

[1] 1912-1913 სასწავლო წელს მასში სწავლობდა 306 მოსწავლე. მათი სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: პრინცესა – 1, თავადაზნაურთა ქალიშვილები – 52, სასულიერო პირთა – 23, მაღალი რანგის ოფიცერთა – 28, მოხელეთა – 80, ვაჭართა – 17, ქალაქის ბურჟუაზიის – 91, მდიდარ გლეხთა – 13, უცხოელ მოქალაქის ქალიშვილი – 1.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტის იდეა

ივანე ჯავახიშვილმა 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც ქართული მეცნიერების აღორძინების საფუძვლის შექმნა დაიწყო. ამ წრის წევრები მოხსენებებს წერდნენ და კითხულობდნენ ქართულ ენაზე, რაც იმ დროისათვის ბევრს შეუძლებლად ეჩვენებოდა. ისინი ქართული სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის შექმნაზე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე მუშაობდნენ. ივანე ჯავახიშვილთან მომუშავე ამ წრის წევრები – იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, იუსტინე აბულაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები – შემდეგ ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები გახდნენ.

1912 წელს ამ წრემ მოამზადა და რუსეთსა და ევროპის ქალაქებში დააგზავნა ანკეტები იმის გასაგებად, თუ სად რამდენი ქართველი სტუდენტი იყო და რა პროფესიას ეუფლებოდა. ივანე ჯავახიშვილს ეს ინფორმაცია მომავალი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებით და პროფესორთა კადრებით უზრუნველყოფისთვის სჭირდებოდა. პეტერბურგში დარიგებული ანკეტები რუსულად იყო შედგენილი, იგი 57 მუხლისგან შედგებოდა, ხოლო რუსეთის და ევროპის ქალაქებში გასაგზავნი ანკეტები – 15 პუნქტისაგან. იგი ქართულად იყო დაბეჭდილი. დაიგზავნა არა მარტო რუსეთის ყველა ქალაქში, სადაც უმაღლესი სკოლა იყო, არამედ ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცენტრებშიც.[1]

გამოკითხვის მიზანი იყო, გამოერკვია, თუ რამდენი სტუდენტი იყო საქართველოდან უცხოეთში წასული სასწავლებლად და რა სპეციალობების დაუფლებას ცდილობდნენ. ზოგი გამოთქვამდა ეჭვს, რომ ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად სტუდენტთა რაოდენობა არ იქნებოდა საკმარისი, გარდა ამისა, ვარაუდობდნენ, რომ სასწავლებლად წასული სტუდენტები ძირითადად იურიდიულ სპეციალობას ირჩევდნენ.

გამოკითხვით მიღებული მონაცემები დამაიმედებელი აღმოჩნდა. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში 1000-მდე ქარ-

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 158.

თველი სტუდენტი სწავლობდა. აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა თითქმის არცერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომლის დაუფლებისათვის ვინმე არ გამგზავრებულიყო საქართველოდან. არ გამართლდა შეხედულება, რომ ქართველი ახალგაზრდები უპირატესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდნენ, შემდეგ კი მხოლოდ სამსახურებრივ კარიერაზე ფიქრობდნენ.

საკმარისი აღმოჩნდა ის ადამიანებიც, რომელთაც, ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემთხვევაში, იქ მშობლიურ ენაზე სწავლება შეეძლოთ. ალექსანდრე თვალჭრელიძე, ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც 1913 წელს ბათუმ-პეტერბურგის მატარებელში გაიცნო ივანე ჯავახიშვილი, შემდეგ იგონებდა ივანე ჯავახიშვილის ნათქვამს, რომ არცთუ ისე მცირეა ქართველ სწავლულთა რიცხვი რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ისინი ხელსაყრელ ვითარებაში შეძლებენ ქართული უნივერსიტეტის მუშაობის დაფუძნებას და წარმართვას. ამასთან, ივანე ჯავახიშვილმა ალექსანდრე თვალჭრელიძეს პირობა ჩამოართვა, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, სადაც უნდა ყოფილიყო და რა თანამდებობაც უნდა ჰქონოდა, ყველაფერს მიატოვებდა და ქართულ უნივერსიტეტში გადმოვიდოდა სამუშაოდ. ალექსანდრე თვალჭრელიძე ამას დათანხმდა, რადგანაც ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა მისი ოცნებაც იყო.[1]

სტუდენტური გამოკითხვა კინაღამ ძალზე მძიმე შედეგებით დამთავრდა. რუსული კანონმდებლობით სტუდენტებს ნებართვა უნდა აეღოთ ამგვარი აქტივობისათვის. ოდესის პოლიციას ერთ-ერთი ქართველი სტუდენტის ჩხრეკის დროს ხელში ჩაუვარდა ქართულად დაბეჭდილი ანკეტის ეგზემპლარი. ოდესის პოლიციამ ამის შესახებ აცნობა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს და ეკითხებოდნენ, ნამდვილად არსებობს თუ არა „ქართული სამეცნიერო წრე“, ვინ არის მისი ხელმძღვანელი, აქვთ თუ არა ანკეტების გავრცელების უფლება და ა. შ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა 1913 წლის 28 მაისს უპასუხა და დაადასტურა, რომ ნამდვილად არსებობდა ასეთი წრე, მას ხელმძღვანელობდა თავადი ი. ა. ჯავახოვი, რაც შეეხება ბლან-

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 156-157.

კებს, მათ ნამდვილობაზე ვერაფერს იტყოდა, რადგანაც ჯავახიშ-ვილი მივლინებაშიაო. უნივერსიტეტის რექტორი არა იმდენად ქარ-თველ სტუდენტებს იცავდა პოლიციისგან, რამდენადაც საკუთარ თავს, რადგანაც არ სურდა დამატებითი პრობლემების აღიარება სტუდენტების „უკანონო“ საქმიანობასთან დაკავშირებით.[1]

სტუდენტთა ანკეტური გამოკითხვა იმედის მომცემი დასკვნე-ბის საფუძველი გახდა, მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებებიც გა-მოავლინა სამშობლოდან უცხოეთში წასული სტუდენტების გა-ნათლებაში. ბევრ მათგანს დავიწყებული ჰქონდა ქართული ენა. ივანე ჯავახიშვილმა საჯაროდ განაცხადა ამის შესახებ და მოუწ-ოდა მისი აღმოფხვრისაკენ.

1914 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ღარიბ მონაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ კრებაზე. როგორც სხდომის ოქმშია აღნიშნული, ჯავახიშვილმა ისაუბრა ქართველ სტუდენტებზე და უმთავრესი ყურადღება იმ სამწუხარო მოვლენას მიაქცია, „რომ ჩვენმა მომა-ვალმა ახალგაზრდობამ ქართული არ იცის, არ შეუძლიან ქართუ-ლად აზროვნება. მისი აზრით, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გა-რემოებას როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გიმნაზიებმა, ყოვე-ლი ღონე იხმარონ, რომ ჩვენი მომავალი ახალგაზრდობა ეროვ-ნულ ელფერს არ ჰკარგავდეს და მომავალ ეროვნულ მუშაობის-თვის მზად იყოს“. საზოგადოება მიღებულ რეზოლუციაში დაეთ-ანხმა ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს და მხარი დაუჭირა გიმ-ნაზიაში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას.[2]

ქართულ მეცნიერებას ქართული უნივერსიტეტი სჭირდება

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულ-ტეტი რუსული მეცნიერების ნაწილი იყო. თუმცა, 1880-იანი წლე-ბიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის შესწავლას სათავეში ქართველები ედგნენ – ჯერ ალექსანდრე ცა-

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 155.

[2] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თსუ, 1984, გვ. 156.

გარელი, შემდეგ ნიკო მარი. ივანე ჯავახიშვილი კი ქართული მეცნიერების შექმნაზე ფიქრობდა.

როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ივ. ჯავახიშვილს არ აკმაყოფილებდა რუსული მეცნიერების წარმატება საქართველოს შესწავლის საქმეში და ქართული მეცნიერების შექმნაზე ზრუნავდა. 1899-დან 1917 წლამდე ივ. ჯავახიშვილმა 40 სხვადასხვა ნაშრომი გამოაქვეყნა, აქედან 23 რუსულ ენაზე, 16 ქართულად, ერთი – გერმანულად. თუ ამ ნაშრომებს მოცულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ყველა კაპიტალური ნაშრომი ქართულად აქვს გამოქვეყნებული („საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართველი ერის ისტორია“, „ისტორიის მიზანი, წყაროები, მეთოდები წინად და ეხლა“). რუსულად აქვს დაწერილი მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომი („ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობა“), რომელიც სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა. დანარჩენი კი რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მხოლოდ მცირე წერილებია.[1]

პარალელურად ივანე ჯავახიშვილი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაფანტულ ქართველ მეცნიერებს აღრიცხავდა. ქართულ ენაზე შექმნილი ნაშრომები საფუძვლად დაედებოდა სალექციო კურსებს მომავალ ქართულ უნივერსიტეტში.[2]

5.2. პირველად კავკასიაში – ქართული თუ რუსული უნივერსიტეტი?

პირველი ნაბიჯები ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში დაამხო მეფის ხელისუფლება და ბევრი ისეთი რამის გაკეთების იმედები გააჩინა,

---

[1] იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბილისი, 1943, გვ. 265.

[2] ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორიის კათედრა უნივერსიტეტის ორმოცდამეხუთე წლისთავზე (1918-1963), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107, 1964, გვ. 140.

რაც ადრე წარმოუდგენელი ჩანდა. ივანე ჯავახიშვილისთვის ეს, პირველ რიგში, ქართული უნივერსიტეტის გახსნა იყო.

არსებობს შალვა ნუცუბიძის მოგონება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებია. ზამთრის სასახლეში ჯერ კიდევ გამაგრებული არიან ძველი რეჟიმის მომხრეები. ივანე ჯავახიშვილი აკაკი შანიძესთან ერთად მიუყვებოდა პეტროგრადის დიდ პროსპექტს. ივანე ჯავახიშვილი აკაკი შანიძეს მიუბრუნდა და უთხრა: ეს ყველაფერი ძალიან კარგია, ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო, რუსეთი ახალ ცხოვრებას იწყებს, მაგრამ ჩვენს თავზე, ქართულ საქმეზე არ უნდა ვიფიქროთ? პასუხმაც არ დააყოვნა: – „თუ თქვენ შესაძლებლად დაინახავთ, საჭიროა, მოვილაპარაკოთ საქართველოში ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესახებ“. იქვე გადაწყდა, რომ ივანე ჯავახიშვილის ბინაზე, პეტროგრადში, მეორე დღეს მოიწვევდნენ თათბირს პეტროგრადში მყოფი ყველა ქართველის მონაწილეობით, რომელთაც უმაღლეს სკოლასთან რაიმე სამეცნიერო კავშირი ჰქონდათ.

1917 წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილის ბინაში შედგა კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ს. ლომია, ე. ჩიჯავაძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვები. ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ქართული უნივერსიტეტის გახსნა და წაიკითხა რუსეთის უნივერსიტეტებში მომუშავე ქართველი პროფესორების სია, რომლებიც, მისი აზრით, აქტიურად მიიღებდნენ მონაწილეობას ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნებაში.

1917 წლის 14 აპრილს ივ. ჯავახიშვილმა დატოვა პეტროგრადი და თავისი იდეების ხორცშესასხმელად საქართველოში გამოემგზავრა.

ივანე ჯავახიშვილმა შეიმუშავა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტი და ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. ეს დოკუმენტები უნივერსიტეტის შექმნის საორგანიზაციო კომისიამ 1917 წლის 22 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა.

1917 წლის 22 აგვისტოს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა განიხილა ეს დოკუმენტები და რეგისტრაციისთვის გადაუგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

გადაწყვეტილება ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ დროებითი მთავრობის განათლების სამინისტრომ 1917 წლის ოქტომბერში მიიღო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამას რეალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – ოქტომბრის ბოლოს ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობა დაამხეს, რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, სამხრეთ კავკასია კი, ფაქტობრივად, ჩამოშორდა რუსეთს.

რუსეთის დროებითი მთავრობა ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ

რუსეთის დროებით მთავრობას კერძო ქართული ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების წინააღმდეგ პირდაპირი წასვლა არ შეეძლო, მაგრამ მისთვის ხელის შესაშლელად ვერაგულ გეგმას მიმართა და თბილისში სახელმწიფო რუსული უნივერსიტეტის დაარსება განიზრახა.

1917 წლის ოქტომბერში თბილისის საქალაქო მმართველობამ მიიღო დროებითი მთავრობის განათლების მინისტრის, ს. სალაზკინის დეპეშა. თბილისის ქალაქის მმართველობას წინადადება ეძლეოდა, სასწრაფოდ შეეტანა დროებით მთავრობაში კანონპროექტი თბილისში დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. დეპეშაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ თბილისის ქალაქის მმართველობას დროებითი მთავრობისთვის უნდა წარედგინა კანონპროექტი თბილისში დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

ქალაქის მმართველობამ დეპეშის მიღებისთანავე შეადგინა „საუნივერსიტეტო კომისია“. კომისიის წინადადებით, უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო ქალთა უმაღლესი კურსების ბაზაზე, უნივერსიტეტი იქნებოდა სახელმწიფო, ისარგებლებდა ყველა იმ უფლებით, რაც ჰქონდათ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს. უნივერსიტეტს ექნებოდა 5 ფაკულტეტი: ისტორია-ფილოლოგიური, აღმოსავლური, ფიზიკა-მათემატიკის, იურიდიული და სამედიცინო. სახელმწიფო ხაზინას 4 წლის განმავლობაში შენობის და სხვა სასწავლო დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად უნდა გაეღო 2 მლნ 360 ათასი მანეთი, ნავარაუდევი იყო, რომ მარტო 1918 წელს უნივერსიტეტზე დაიხარჯებოდა 1 მლნ 304 ათასი მანეთი.

სამხარეო ხელისუფლების მიერ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი გახსნილად ჩაითვლებოდა. სწავლება უნივერსიტეტში უნდა ყოფილიყო რუსულ ენაზე. ასე რომ, თბილისში 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დამდეგს უნდა გახსნილიყო რუსული უნივერსიტეტი.

ეს ყოველივე ცხადყოფს რუსეთის დროებითი მთავრობის განზრახვას, რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტი დაეპირისპირებინა ქართული უნივერსიტეტის იდეისათვის, რომელიც კერძო უნივერსიტეტის სახით იხსნებოდა.

ქართულ უნივერსიტეტს არ ეძლეოდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება, ხოლო მის პროფესურასა და სტუდენტებზე არ ვრცელდებოდა სამხედრო ბეგარის გადავადების შესახებ კანონი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, ქართულ უნივერსიტეტს ძალზე მცირე ოდენობით ეყოლებოდა სტუდენტი ვაჟები.

თბილისში რუსულენოვანი კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას მხარი დაუჭირა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მისი მტკიცებით, თუ რუსული უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ არ გაიხსნებოდა თბილისში, კავკასია უცხო ბანაკში აღმოჩნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 1906 წლიდან გადაწყვეტილი იყო თბილისში პოლიტექნიკური სასწავლებლის დაარსება, მაგრამ მისი გახსნა სხვადასხვა მიზეზის გამო ძალიან გაჭიანურდა. ახლა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივამ ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე ეს პროცესიც დააჩქარა და 1917 წელს მან ფუნქციონირება დაიწყო.

რუსული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების ნაწილსაც, რადგანაც ახლა მათ შვილებს სასწავლებლად შორს წასვლა არ მოუწევდათ.

ყველა ამ სასწავლებელში სწავლების ენა რუსული იყო. ეს ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ ეჩოთირებოდა და სრულიად კანონზომიერად მიაჩნდა, რადგანაც მეცნიერების სხვადასხვა დარგების ქართულად ამეტყველება შეუძლებლად ეჩვენებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის დროებითმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თბილისში რუსული უნივერსიტეტი გახსნილიყო. საქართველოში ზოგს ეს გადაწყვეტილება გონივრულად მიაჩნდა. უნივერსიტეტი თბილისში იქნებოდა, არც პროფესორების შოვნა გაჭირდებოდა, უნივერსიტეტში კი არა მარტო ქართველები, არამედ კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენელი ისწავლიდა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეებისათვის უნივერსიტეტი მარტო განათლების კერა არ უნდა ყოფილიყო. ისინი ხედავდნენ ქართული უნივერსიტეტის აუცილებლობას. „ასწავლე და იკვლიე ქართულად", – ასეთი იყო ქართული უნივერსიტეტის დანიშნულება.

თუ ქართული არ იქნებოდა უნივერსიტეტში სწავლების ენა, არ იქნებოდა სრულფასოვანი ქართული სკოლა, რადგანაც არ ეყოლებოდა მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ქართულად ასწავლიდნენ, ქართულ სახელმწიფოს კი არ ეყოლებოდა ქართულად განათლებამიღებული მოხელეები. როდესაც ქართული უნივერსიტეტი დაარსდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჯერ აღდგენილი არ იყო, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ქართული უნივერსიტეტი ქართული სახელმწიფოს მტკიცე დასაყრდენი გახდებოდა.

5.3. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ

უნივერსიტეტს უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი მრავალი ნაშრომი, მაგრამ მათ შორის ორი შეიძლება გამოვარჩიოთ – 1917 წლის მაისში წაკითხული მოხსენება, რომელშიც ასაბუთებს ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას და 1938 წლის მაისში წაკითხული მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით.

პირველ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების ისტორიულ გზას, ასაბუთებდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობას და შესაძლებლობას.

განათლებისა და მეცნიერების სათავეები საქართველოში

ივანე ჯავახიშვილი 1917 წელს წაკითხულ მოხსენებაში მოკლედ განიხილავდა განათლების და მეცნიერების ისტორიას საქართველოში. ჯავახიშვილის თქმით, წარსულში განათლებასა და მწერლობას საეკლესიო ელფერი დაჰკრავდა. უმთავრესი სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო მუშაობა მონასტრებში მიმდინარეობდა. მეზობელი ქვეყნების კულტურული მიღწევების ათვისებაში დიდ როლს ასრულებდა უცხოეთში აგებული ქართული მონასტრები, „მათის წყალობით, ქართველობას უცხოეთში ქრისტიანულ კულტურის წიაღში წარმოშობილ ყოველ ახალ მიმართულებისა, ახალთახალ შესანიშნავ თხზულებისა და გამოჩენილ მოღვაწის შესახებ ცნობები ჰქონდა ხოლმე“.

გარდა ამისა, საქართველო ითვისებდა მეზობელი არაქრისტიანული ქვეყნების კულტურულ მიღწევებსაც. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ჩვენმა ერმა ისიც შესძლო, რომ უკვე იმ დროსვე, სხვებზე ადრე თავის განათლებასა და მწერლობა-მეცნიერებაში საერო და არაქრისტიანული ელემენტებიც შეითვისა“, ამით „ქართულ აზროვნებას ფართო მსოფლმხედველობა გადაეშალა“, შედეგად „ქართული კულტურა აღმოსავლეთსაც ეკუთვნის და დასავლეთსაც“, „ქართველობამ მაშინდელ მსოფლიო კულტურის შეერთება შესძლო“.

განათლებისა და მეცნიერების დაქვეითების მიზეზები და აღორძინების მცდელობა

ქართული კულტურისა და მეცნიერების აღმავლობა ისტორიულმა ძნელბედობამ დიდი ხნით შეაფერხა. ხვარაზმელთა და მონღოლების შემოსევებმა, ოსმალთა და ყიზილბაშთა აგრესიამ შეაფერხა არა მარტო საქართველოს კულტურული განვითარება. განადგურდა ბიზანტია, დაქვეითების გზას დაადგნენ საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მეზობლებიც.

მონღოლთა ბატონობით და შემდგომი განუწყვეტელი ომებით შეწუხებულ საქართველოს თავისი კულტურული მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ „დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებთან“ ურთიერთობით შეეძლო, მათგან კი ჩვენი ქვეყანა ძალზე

„დაშორებული და მოწყვეტილი იყო“. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია ჰქონდა და აღარც ახალ მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ახალი დარგების მოციქულები მოეძევებოდა“.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, აღორძინების ხანაში საქართველოს სრულ განახლებას ის გარემოებაც აფერხებდა, რომ „დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ენაც, ჯერ ლათინური და შემდეგ ახალი ენებიც, საქართველოში უცნობი იყო“. საქართველოში კარგად ესმოდათ, რომ აუცილებელი იყო „ქართული სამეცნიერო მწერლობა დასავლეთ ევროპისას დასწეოდა“. გამოსავალი საქართველოში დასავლური ყაიდის უმაღლესი სასწავლებლების დაარსება იყო. იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილი სახელმწიფო რეფორმის პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში სამი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო (თბილისში, გორში და თელავში). ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ეს იქნებოდა „ლიცეუმის მსგავსი უმაღლესი სასწავლებლები“ და „ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა, რომ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო“.

დიდი ეროვნული განსაცდელი XIX საუკუნეში

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ დაპყრობამ საქართველო უმძიმეს დღეში ჩააგდო. „არასდროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელიც ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით მე-19 საუკუნეში თავს დაატყდა“. რუსიფიკაციის პოლიტიკის შედეგად ქართული ენა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებიდან, სასამართლოდან განიდევნა, საშუალო და დაბალ სასწავლებლებშიც კი რუსული ენა გააბატონეს. ქართული ენა „მხოლოდ შინაურობაში სახმარებლად, „საყველპუროდ“ იქცა“. შედეგად „ქართული სამეცნიერო ენა XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს ქართველ მეცნიერთა დაუღალავ შრომის წყალობით გამოცოცხლებული... ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად

გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმინდეს გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივს-ღა ეხერხებოდა“.

მიუხედავად ასეთი განსაცდელისა, ქართული საზოგადოების გამოჩენილ პირთა ძალისხმევით, ქართველი ერი არ გადაგვარდა, ქართულმა ენამ „კვლავ მოღონიერება და ნელ-ნელა აღორძინებაც-კინ დაიწყო. ივანე ჯავახიშვილის თქმით, საჭირო იყო ამ აღორძინებას მტკიცე საფუძველი შექმნოდა, რისთვისაც „საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა“ უნდა შემუშავებულიყო. მის განსახორციელებლად კი „არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეროვნული აღორძინებისა და განვითარებისთვის აუცილებელი იყო ქართული მეცნიერების განვითარება. „არც ერთ ეროვნებასა და ქვეყანას არ შეუძლიან შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია“. ერის ყოველი წარმატება კი თეორიული მეცნიერების განვითარებაზეა დამოკიდებული.

ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ ქართული საზოგადოების ხელთ იმ დროს არსებული რესურსების გათვალისწინებით, ამ ამოცანის გადაწყვეტა ყველაზე კარგად უნივერსიტეტის დაარსების შემთხვევაში იყო შესაძლებელი და არა მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ეს მაშინ ზოგიერთებს მიაჩნდათ. „სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლიან და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია, ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ აკადემიები გაჩნდა“.

ივანე ჯავახიშვილს არასწორად მიაჩნდა ქართული საზოგადოების იმ ნაწილის პოზიციაც, რომელთა აზრითაც საქართველოში უნივერსიტეტი კი არა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი

უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტი შესაძლებლობას იძლეოდა, თეორიული კვლევა-ძიება შეთავსებულიყო თეორიული მეცნიერების პრაქტიკული გამოყენების სწავლებასთან, შემდეგ კი შესაძლებელი იქნებოდა „სასოფლო მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტების“ დაარსებაც.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, უნივერსიტეტის დაარსებას „პრაქტიკული მოთხოვნილებებიც“ განაპირობებდა. ქართული უნივერსიტეტი საჭირო იყო მასწავლებლების მოსამზადებლად გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის, განახლებული ქართული ეკლესიის სამღვდელოებისათვის, ეკონომისტებისა და ფინანსისტების მოსამზადებლად.

5.4. ქართული უნივერსიტეტის გახსნა

ქართული უნივერსიტეტის დაარსება

1917 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისკენ მიმართულ ძალისხმევაში და ეს იმ დიდი მუშაობის შედეგია, რაც ივანე ჯავახიშვილმა გასწია.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და ქართველთა დიდი ნაწილის ორჭოფობა-გულგრილობისა, ივანე ჯავახიშვილმა თავისი გაიტანა. კიდევ ერთხელ, პოლიტიკურად შეცვლილ ვითარებაში, როცა რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოექცნენ, მათთან თანამშრომლობა კავკასიის ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ისურვეს და ფაქტობრივი ძალაუფლება ამიერკავკასიის კომისარიატის ხელში აღმოჩნდა. ივანე ჯავახიშვილმა ახლა სწორედ მას მიმართა. ეს მოხდა 1917 წლის 27 ნოემბერს. ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 2 დეკემბერს ქართული უნივერსიტეტის წესდება დაამტკიცა. ამ დღიდან ქართულმა უნივერსიტეტმა იურიდიული არსებობა დაიწყო, ხოლო 1918 წ. 26 იანვარს თავის დაბადება საზეიმოდ გამოაცხადა.

1918 წლის 13 იანვარს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. რექტორობა ჯერ ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა ამაზე. უნივერსიტეტი დაარსდა როგორც კერძო დაწესებულება და მხოლოდ 1918 წ. ივნისიდან გამოცხადდა

სახელმწიფო უნივერსიტეტად, ამავე წლის სექტემბრიდან კი გადაეცა მთლიანად ქართული გიმნაზიის მთელი შენობა (დღევანდელი თსუ პირველი კორპუსი).

ქართული უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია

1918 წლის 17 იანვარს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „გაიხსნას 26 იანვარს. დაიბეჭდოს მოსაწვევი ბარათები სამ ენაზედ ქართულსა, ქართულ-რუსულსა და ქართულ-ფრანგულსა. მოსაწვევ პირთა და დაწესებულებათა სიის შედგენა მიენდოს გამგეობას. პარაკლისი გადახდილ იქნას ეკლესიაში, ხოლო უნივერსიტეტი გაიხსნას საუნივერსიტეტო დარბაზში პირველ საათზედ. უნივერსიტეტი გახსნას ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ სიტყვას წარმოთქვამს რექტორი. მდივანი წაიკითხავს უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიას, დასასრულ, დეკანი წარმოთქვამს სიტყვა-ლექციას“.

1918 წლის 26 იანვარს გაზეთები იუწყებოდნენ: „დღეს, იანვრის 26-ს, ქართული გიმნაზიის შენობაში (წყნეთის ქ. № 51) გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი. ვინაიდგან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელზეა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათოლიკოსო წირვა იქნება შესრულებული და ეკლესიაშივე გადახდილ იქნება პარაკლისი. უნივ-

ერსიტეტი გაიხსნება პირველ საათზედ უნივერსიტეტის დარბაზში შემდეგი წესით: უნივერსიტეტს გახსნილად გამოაცხადებს ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ა. ჩხენკელი; შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ 1) უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 2) უნივერსიტეტის რექტორი და 3) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი. მიწვეულნი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები".[1]

უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია, ძირითადად, ამ გეგმის მიხედვით განხორციელდა 1918 წლის 26 იანვარს, დილის 10 საათზე უნივერსიტეტის ეკლესიაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ ჩატარებული ლიტურგიით.

უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია შედგა 13 სთ 20 წთ. მას არ დასწრებია ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელიც თბილისში არ იმყოფებოდა. მის ნაცვლად სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი. შემდეგ სიტყვით გამოვიდა რექტორი პეტრე მელიქიშვილი. ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. დამსწრე საზოგადოებასა და პროფესორთა საბჭოს მიესალმნენ სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების წარმომადგენლები. წაიკითხეს მილოცვის დეპეშები.[2]

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის ლექციას, ხალხმრავლობის გამო მისი ჩატარება ვერ მოხერხდა და გადატანილ იქნა 30 იანვრისათვის. ამის თაობაზე გაზეთი „ერთობა" იუწყებოდა: „პრ. ივანე

---

[1] „საქართველო", 1918 წ. იანვრის 26, პარასკევი, გვ. 3, „სახალხო საქმე", 1918 წ. იანვრის 26, № 155, გვ. 3.

[2] მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს წარმომადგენლებმა: პოლონელთა საბჭოს (პოლონურათ), ამიერ კავკასიის მუსლიმანურ კომიტეტის, სომეხთა ეროვნულ საბჭოს, სომეხის ეპისკოპოსის (ქართულათ), რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითი ბიუროს, სახალხო უნივერსიტეტის, დასავლეთ ამიერ კავკასიის მუსლიმანების და მუსულმანთა თფილისის კომიტეტის, სამოსწავლო კომისარიატის, ქალთა უმაღლეს კურსების, პოლიტექნიკურ ინსტიტუტის, კავკასიის მასწავლებელთა კავშირის, პოლონელთა საქველმოქმედო საზოგადოების, ქართველ კათოლიკეთა ჯგუფის, კავკასიის მუზეუმის, საგეოგრაფიო საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის, გაზ. „ფეიქარი"-ს, ქალთა უმაღლესი კურსების საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტის, მე-2 საავაჟო სკოლის.

ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია, მაგრამ, ვინაიდან ბევრი ხალხი დარბაზის გარეთ იყო დარჩენილი, თვით დარბაზში კი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდა დამსწრეთა სიმრავლის გამო – ლექციის წაკითხვაც გადაიდო სხვა დროისთვის“.[1]

თუმცა 26 იანვრის სხდომაზე განსაკუთრებით გამოიყო ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი: „დასასრულ, აკაკი ჩხენკელი მიესალმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს პრ. ივ. ჯავახიშვილს და ღრმა მადლობა უძღვნა მას დიდი ამაგისათვის.

კმაყოფილ საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციებით დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს“.[2]

5.5. ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექცია

სასწავლო პროცესის დაწყება ქართულ უნივერსიტეტში

ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექციები 1918 წლის 30 იანვარს (ძვ. სტ.) წაიკითხეს. ამის თაობაზე გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა: „30 იანვარს დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა ქართულ უნივერსიტეტში. პირველი ლექცია წაიკითხა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიიდან, მეორე ლექცია – დეკ. კეკელიძემ ღვთისმეტყველების ისტორიიდან. ლექციებს დაესწრო 400-მდე სტუდენტი და თავისუფალი მსმენელი“.[3]

1918 წლის პირველ სემესტრში უნივერსიტეტში (ამ დროს ის კერძო უნივერსიტეტია) იყო 505 მსმენელი. ამათგან ფული არ შემოუტანიათ და არ გამოცხადებულა 17; დარჩა 488; ნამდვილი სტუდენტი იყო 310, აქედან 128 ქალი და 182 ვაჟი; თავისუფალი მსმენელი იყო 96; ქალი – 38, ვაჟი – 58.

უნივერსიტეტში ერთადერთი ფაკულტეტი იყო – სიბრძნისმეტყველების, ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ეს ფაკულტეტი შეიცავდა ყველა იმ საგანს, რაც რუსეთის უნივერსიტეტების სამ ფაკულტეტზე იყო: საისტო-

---

[1] „ერთობა“, კვირა, 28 იანვარი, 1918 წ., № 22, გვ. 2.
[2] „ერთობა“, კვირა, 28 იანვარი, 1918 წ., № 22 გვ. 2.
[3] „ერთობა“, 1918 წლის 1 თებერვალი, № 25, გვ. 2.

რიო-ფილოლოგიურზე, აღმოსავლურ ენებისაზე და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე.

დრო იყო რთული და სტუდენტებს სწავლის შეთავსება ქვეყნის დაცვაზე ზრუნვასთან უხდებოდათ. ქვეყანაში არსებულ რთულ ვითარებაზე მოწმობს შემდეგი განცხადებაც: „ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებმა 17 თებერვლის საერთო კრებაზე შემდეგი დაადგინეს: ყოველი სტუდენტი, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია, დაუყოვნებლივ უნდა ჩაეწეროს ეროვნულ ჯარში“.[1]

ივანე ჯავახიშვილის ლექციის თემა

30 იანვარს ივანე ჯავახიშვილის მოსასმენად მოსულთა რიცხვმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ბევრი ფეხზე იდგა, დიდი წვალებით მოახერხეს კარების დახურვა, მაგრამ ამან აუდიტორიის გარეთ მყოფთა უკმაყოფილება გამოიწვია. კარები ხელახლა გააღეს და დერეფანშიც მოსასმენად მოემზადნენ.

ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექციის სახელწოდება იყო: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“. მისი გადამუშავებული ტექსტი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1956 წელს დაიბეჭდა.[2]

---

[1] „ერთობა“, 1918 წლის 20 თებერვალი, № 41, გვ. 2.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 130-155.

თავისი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა სამ ნაკვეთად დაყო: პირველია მოძღვრება ადამიანზე, მეორე – ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალები და მესამე – ადამიანი, ვითარცა მოღვაწე.

ივანე ჯავახიშვილი მრავალი ისტორიული წყაროს, დოკუმენტის, მასალის შეჯერების, შემოწმების, ძველი ავტორების დაპირისპირების შედეგად საგულისხმო დასკვნებს წარუდგენდა მსმენელებს. ამავე დროს, ხშირად აღნიშნავდა, რომ „ჯერ კიდევ ზედმიწევნით თქმა არ შეიძლება“, „ჯერ ზუსტად არ ვიცით“ და ა. შ. ამით მსმენელებს მომავალ საკვლევ თემებზე მიუთითებდა და ინტერესს უღვიძებდა.

ივანე ჯავახიშვილის პირველ ლექციას გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ პრესაში. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა ი. მჭედლიშვილის მოკლე წერილი „პირველი დღე ქართულ უნივერსიტეტში (შთაბეჭდილება)“:

„არ ვიცი, ეს ცხადათ იყო თუ სიზმარში, მხოლოდ ის ვიცი, რომ 30 იანვარს 1918 წ. ქართულ გიმნაზიის ერთ-ერთ დარბაზში აუარებელი სტუდენტობა და მსმენელები მოუთმენლად ელოდნენ ლექტორის გამოსვლას კათედრაზე.

ბოლოს უეცრად მოიქცა ქართველური გულუხვი ტაშის მთა, რამაც გამომაღვიძა და დამანახა სიცხადე დიდი ხნის ოცნებისა.

ტაშმა დიდხანს გასტანა. ბოლოს უცბად მიწყდა ყოველი და ისეთი სიჩუმე დამყარდა, რომ დარბაზის კედლების ფიქრსაც კი გაიგებდა მოჯარადე ყური.

ლექცია დაიწყო. ლექტორი კითხულობდა პიროვნებაზე, რომელიც დღეს, მეოცე საუკუნეში, დიდი რევოლუციის ხანს ისეა შებღალული, რომ ვინმე მაწანწალას შეუძლიან მოჰკლას დიდი გენიოსი და ორ დღესაც არ იქმნას დაპატიმრებული კომისართა მიერ;

ლექტორის ხმა სმენად სულგანაბულ დარბაზში ისე გაისმოდა, როგორც მედავითნის ხმა მიცვალებულის თავს, რომელიც შესანდობელს კი არა კითხულობდა, არამედ მოუწოდებდა ქართველ ერს და უფრო ქართველ ახალგაზრდობას შრომისათვის, ერთგულებისათვის.

ვისმენდი ლექციას ქართულ უნივერსიტეტში!

განა ხუმრობა საქმეა ეს!

გადაჭარბებული სიამოვნება მსუსხავდა და ეს სუსხი ჟრუანტელივით მივლიდა ტანში. ყოველი ღერი თმა ჩემი სმენად იყო აღორძინებული და იყო სიწყნარე, ოცნების ფრთებმა გადამატარეს მთელი დედა მიწის ზურგი და ვინ იცის, რა ბედნიერება არ განვიცადე ქვეყანათა შორის, როგორ ვარდის ფრად არ წარმოვიდგინე საქართველო, მაგრამ როცა ლექცია გათავდა, ერთმა ქალმა უთხრა მეორეს:

- Немножко не поняла, что он говорит.

ამან სულ მთლად დაფუშა ჩემი ოცნების კოშკები და ისღა დამრჩენია, მოუწოდო ქართველ ხალხს: იცან შენი თავი! ჩვენცა გვაქვს ჩვენი ისტორია, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა-ხელოვნება; შევისწავლოთ იგი და გავხდეთ ის, რადაც ბუნებამა გვშობა; რაც უნდა ვიყოთ!“

ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები

ძველ საქართველოში ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალების დახასიათებისას ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით უფრო ნაკლებ საშუალებას აძლევდა, თავისი პიროვნების ყველა თავისებურება გამოეჩინა, ვიდრე ეხლა“.

ძველ დროს, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, – ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდული და შებოჭილი: „ჯერ საგვარეულო წესწყობილება და ზნე-ჩვეულებანი, შემდგომ წოდებრიობა, პატრონყმობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონ-წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდავდნენ და მის მოქმედებას საზღვარს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიც“.

რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ ძველადაც არსებობდა განსაზღვრული სოციალ-ეთიკური იდეალები, რომლისკენაც ისწრაფოდნენ კლასები, განსაზღვრული ჯგუფები და ფენები. ადამიანთა იდეალების რეალიზაცია ცხოვრებაში ვერ ხერხდებოდა, ანდა მას ყოველთვის დიდი წინააღმდეგობები ახლდა. რასაკვირველია, სრულიად განუხორციელებელი იყო მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ის რეცეპტი, რასაც ეკლესია იძლეო-

და: პიროვნების იდეალური სისრულე იქ შეიძლება იქნეს მიღწეული, როდესაც ადამიანები სრულიად თავისუფალნი იქნებიან „სოფლის საცდურისაგან“.

მაშასადამე, „უცხოება“ და „მაცდური“ ქვეყნისაგან განშორება, სრული „უპოვარება“ და „სიგლახაკე“ თითქოს აუცილებელი პირობაა ადამიანის სისრულისა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სისპეტაკისა. გამოდის, რომ ამ იდეალის მიღწევისათვის მათ უნდა თავისი მახლობლებიც მიეტოვებინათ, ადამიანთა საზოგადოება და მხოლოდ „უცხოება“ აერჩიათ. ამასთანავე, მთელი თავისი საკუთრებისათვის თავი უნდა დაენებებინათ, რადგან ყოველი სიბოროტისა და ანგარების მიზეზად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული. თვით სამონასტრო წყობის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ბერებს არა თუ კერძო რაიმე პირადი საკუთრება არ უნდა ჰქონოდათ, ყველაფერი საერთო და საძმო უნდა ყოფილიყო, ბერებს არ შეეძლოთ ტანისამოსის დაჩემებაც კი.

იმ ვითარებაში ერის კაცთაგანს არავის თავისთავი უცოდველად არ მიაჩნდა, ვინაიდან „სულის ცხონების“ იდეალს ისინი ვერ იცავდნენ, თუმცა ხანში შესულობის შემდეგ ბევრს სურვილი ებადებოდა, გაქცეოდა „მაცდურ“ ქვეყანას. ეს გრძნობა საწუთროსადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა და მისი დატოვებისა და განშორების სურვილი ზოგჯერ თვით მეფეებს უჩნდებოდათ.

ძველ საქართველოში, კერძო საკუთრებისა და „მაცდური“ ქვეყნის გარდა, ადამიანის „ცოდვათა სიმრავლე“ ადამიანის გულისთქმასა და ნებისყოფაზე იყო დამოკიდებული. ცოდვათა მონანიების გრძნობა და ახალი ცოდვების ჩადენის შიში ზოგჯერ ადამიანს ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედების ხალისს უკარგავდა.

ყოველი ადამიანის მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოიხატება. ადამიანის ღირსების შეფასების დროს მისი მეტყველების თვისებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძველ საქართველოში, აღნიშნავდა ლექტორი, სიტყვის ფასი ესმოდათ და საუბრის დროს ზომიერების დაცვა დიდ ღირსებად და საუკეთესო ზრდილობის ნიშნად ითვლებოდა. მაშინდელი შეხედულებით, გონიერი ადამიანის ღირსებას მრავალსიტყვაობა არ შეადგენდა. მოსაწონ თვისებად სწორედ ბრძნული „მცირე მეტყველება“ ითვლებოდა. არაფრად ფასობდა „ენა-მანქანა“ ადამიანი, რომელიც ლაპარაკად იყო

გადაქცეული. საუბრის გარკვეული წესის დაცვით პირს უნდა დაემტკიცებინა თავისი დარბაისლობა. „მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ძველ საქართველოში მხოლოდ ტკბილი და საამური ლაპარაკი იცოდნენ... თავშეკავებული მოსაუბრე შეიძლება „მკუეთრ“ მეტყველი გამხდარიყო, თუმცა მაშინაც კარგად ესმოდათ, რომ ტკბილი საუბრით ადამიანის დაყოლიება და მოხიბლვა – „მონადირებაი“ ხშირად უფრო ადვილი იყო, ვიდრე მკაცრი ლაპარაკით, როდესაც მოკამათეს „ფიცხელი ხიტყვაი“ წამოსცდებოდა“.

ადამიანი, ვითარცა მოღვაწე

ლექციის ბოლო ნაწილში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, თუ რა ნიშნები ახასიათებდა დიდ ადამიანებს, ვითარცა მოღვაწეებს.

ჩვენი წინაპრების აზრით, მათ უნდა ასხვავებდეს „სივრცეი გონებისაი“. ეს თვისება მათ ფართო გეგმების მოსაზრების საშუალებას აძლევდა და შორსმჭვრეტელობას უქმნიდა. ამასთან ერთად, აზროვნების სიღრმეც იყო საჭირო, ამიტომ მოღვაწე „ღრმად გამგონეც“ უნდა ყოფილიყო. ესეც საკმარისი არ იყო, ვინაიდან დიდ გეგმას დიდი ნებისყოფა და ენერგია სჭირდება. ამიტომ გამოჩენილ მოღვაწეს უნდა ჰქონოდა „მდუღარება სულისაი“, დაუცხრომელი „კრთომაი და წადიერებაი სულისაი“, რომ ყოველგვარი სიძნელე გადაელახა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს კარგად ესმოდა, რომ მოღვაწის სუბიექტური შესაძლებლობანი, სიბრძნე და ორგანიზატორული უნარი არ კმარა მის მიერ დასახული გეგმების შესასრულებლად, თუ რომ ამ გეგმების შესასრულებლად ქვეყანა და ხალხი შესაფერისად მომზადებული არ არის და მისი აზრების შესასრულებლად ჯერ პირობები არ მოიპოვება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასებით, დავით აღმაშენებელი პირადი ნიჭითა და გეგმათა სიფართოვით ალექსანდრე მაკედონელსაც არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის შედეგი თუ იმდენად დიდი არ აღმოჩნდა, როგორც ალექსანდრე მაკედონელისა იყო, ეს საქართველოს იმდროინდელი პირობებით აიხსნებოდაო. ამავე პირობებში „ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რასა ალექსანდრე იქმოდა კარგსა“. მსგავსად ამისა, დავით

აღმაშენებელსაც რომ „სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, თუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა“, ფართო სახელმწიფოებრივი ასპარეზი და დიდი გეგმების განსახორციელებლად საჭირო დიდი ძალა, „მაშინცა გენახნეს ნაქმარნი მისნიო!“

დანართი

აკაკი ჩხენკელი. თფილისის უნივერსიტეტის დაარსება (მოგონება)

26 იანვარს 1918 წ. მე მხვდა წილად გამეხსნა ჩვენს დედა-ქალაქში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელით, პირველი ქართული უნივერსიტეტი. ჩემთვის ძნელია მოგონება, რა ვსთქვი ამ დღეს თავმჯდომარის სავარძლიდან. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება, გულის-ტოკვა, რომელიც განვიცადე.

და განა მარტო მე?! ამავე განცდას ადვილათ ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი. ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოშიც ბევრი კანკალებდა სიცივისგან. ამოტელა, უადგილობით გაწბილებულ ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღწეულ ვაშა-ტაშისთვის.

საყურადღებოა, გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა, ბლომათ იყო დაბიო ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელნი სჭარბობდნენ კიდეც პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მათ შორის არ სჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მოსალოცი სიტყვებიც წარმოთქვეს.

ჩვენ ვხსნიდით, ასე ვთქვათ, კ ე რ ძ ო უნივერსიტეტს, მას კიდევ არ ერქვა „სახელმწიფო“, რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა – ჩვენ განვლეთ დაუვიწყარი ეროვნული ყრილობა ნოემბრის 1917 წ., რომლისაგან იშვა თვით ჩემი გამომგზავნი ეროვნული საბჭო, გარდაქმნილი, 26 მაისის შემდეგ, საქართველოს დროებით პარლამენტად. არსებობდა, ამის გარდა, საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესია, რომლის მეთაური, აწ განსვენებული კათალიკოზი კირიონი, პირადათ დაესწრო უნივერსიტეტის გახსნას.

მაგრამ ყველა ეს ჯერ კიდევ არ იძლეოდა საკმაო საბუთს, რომ ქართველს ხმამაღლა ეთქვა თავისი გულის ნადები, თავი საკუთარ მიწა-წყლის ბატონ-პატრონად გამოეცხადებია. ბევრი იყო ამისათვის დაბრკოლება და პირველ რიგზედ უაღრესად მტრული განწყობილება არაქართველ ელემენტებისა ჩვენი ქვეყნის რუსეთისგან გამოცალკევების მიმართ.

გამოცალკევება რაა, თვით უნივერსიტეტის დაარსებაც ერთგვარ მინუსად ჩაგვითვალეს! მე მოწმე ვიყავი, რა ჭაპან-წყვეტა განვლეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდენ. თუმცა რევოლიუციის პირველ ხანაში, მაშასადამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ, უნივერსიტეტის, თუ გინდ კერძოსი, ნებადაურთველათ გახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო. ძველი რეჟიმის ადათნი ჯერ კიდევ განაგრძობდნენ, ვთქვათ ინერციით, არსებობას. ეს იყო განსაკუთრებით მართალი თფილისში, სადაც დაგროვილი იყო დიდძალი რუსის ჯარი და თავს იყრიდენ უამრავი დელეგატები ანატოლიის ფრონტიდან: საკმარისი იყო უბრალო წასისინება, რომ მთელი ერი კანონის გარეთ გამოეცხადებიათ. თანამედროვეთ ახსოვთ, როგორის შიშის ქვეშ მუშაობდა ჩვენი ეროვნული საბჭოც. ის არალეგალური ორგანიზაცია იყო დასაწყისში და მისი წევრები კიდეც უარობდენ, გარეშეთა წინაშე, მასში მონაწილეობას...

ვისთვის უნდა მიემართნა ჯავახიშვილს ნებართვისთვის? ოზაკომისთვის, რა თქმა უნდა, რომელიც ატარებდა პეტროგრადის დროებით მთავრობის ძალა-უფლებას ამიერ-კავკასიის ფარგლებში. მასში შედიოდენ თითო წარმომადგენელი სომხებისა და აზერბაიჯანლებისგან, ორი ქართველებისგან და თავმჯდომარედ რუსი იყო დანიშნული. ვინაიდან განსვენებულ კიტა აბაშიძეს განათლების დარგი ჰქონდა მინდობილი, უნივერსიტეტის საქმეც მას ეკუთვნოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, იმავე ძველი ადათით, შინაგან საქმეთა მართველსაც ცოტა რამ ეკითხებოდა ამ საქმეში! და ეს კი მე გახლდით. უადგილო არ იქნება აქვე შევნიშნო, რომ კიტა უამისოთაც ნაბიჯს არ გადადგამდა უჩემოთ, რადგან ჩვენ თავიდანვე სოლიდარულათ ვმუშაობდით.

ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა. უნდა ითქვას, განხილვამდე კაი ძალი ცვლილებათა შეტანა დაგვჭირდა

უნივერსიტეტის წესდებაში, და ეს ხდებოდა, ასე ვთქვათ, ჩვენიანებში, ჯერ კიდევ განათლების უწყების ჭერ ქვეშ. ოზაკომის არაქართველი წევრები მეგობრულათ არ შეხვედრიან ჩვენს განზრახვას, თუმცა გარეგნულათ არ იმჩნევდნენ ამას. მათ დააყენეს მეორე კითხვა, რომელსაც უნდა ჩაეშალა, არაპირდაპირ, საქმე. ძველი რეჟიმის მიწურულში, როგორც მოგეხსენებათ, ნებადართული იქნა რუსულ უნივერსიტეტის გახსნა თფილისში მთელი კავკასიისათვის. ჩემმა კოლეგებმა გამახსენეს, თუ რამდენი ბრძოლა დაგვჭირდა ამისათვის დუმაში... „ძლივს ვეღირსეთ იმ დროს, – ამბობდნენ ისინი, – როცა ჩვენ თვითონ მოგვეცა საშუალება ამ დიდი ხნის წადილის განხორციელების, ფულიც გადადებულია, საცაა საქმეს უნდა შევუდგეთ და თქვენ კი ქართულ უნივერსიტეტის გახსნის კითხვას გვიყენებთ!“ ისინი განმარტავდნენ, რომ რუსული უნივერსიტეტი კავკასიის ერთა ინტელექტუალურ ძალების გამაერთიანებელ ცენტრად იქცეოდა, მაშინ როდესაც ქართული, სომხური, თათრული უნივერსიტეტები უფრო მათი გათიშვის ბუდეებად გახდებიანო. თითქოს მომენტიც ამართლებდა მათ აზრს: უკვე დაწყებული იყო შუღლი და ბრძოლა სომეხ-თათრებს შორის. მარტო ამითაც არ განისაზღვრებოდა მათი არგუმენტაცია: უნივერსიტეტის გახსნა ხომ ასე ადვილი არ არის, – ამბობდენ ისინი ძლიერ თავაზიანათ, – მას ეჭირვება, გარდა ათასგვარ ტეხნიკურ მორთულობისა, პროფესორ-მეცნიერთა მთელი რიგი, აბა სად შეიძლებთ ასე ნაუცბათევათ ყველა ამ ნაკლის შევსებას?“

ეს უკანასკნელი მოსაზრება, ასე წარმოიდგინეთ, ბევრი ქართველისაგანაც გამიგონია! ჩვენი მეცნიერული ძალები ისე იყვნენ დაფანტული რუსეთის სხვა და სხვა მაღალ სასწავლებლებში, რომ მხოლოდ რჩეულთ თუ შეეძლოთ, განესაზღვრათ მათი რაოდენობა და ღირსება. ამ მხრივ, ივ. ჯავახიშვილის დარბაისლური მტკიცებანი, მისი შეურყეველი რწმენა, რომ სიტყვას საქმედ აქცევდენ, საკმაო თავდები იყო ჩვენთვის, რომ გავეტაცნეთ მის იდეას და ხელიც შეგვეწყო შეძლების გვარათ.

ბოლოს ოზაკომმა მაინც მოგვცა თავისი დასტური და მოიწონა წარდგენილი წესდება. სხვაგვარ შეუძლებელიც იყო. ერთი იმიტომ, რომ უარის თქმა კიდევ უფრო ავნებდა ერთა მეგობრულ განწყობილებას, რომლისთვისაც თითქოს ზრუნავდენ, და მეორეც იმიტომ,

რომ რევოლუცია, როგორც იტყვიან, ჩვენს მხარეზე იგულისხმებოდა. მას მე წარმოვადგენდი ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოში და მქონდა საამისო მანდატიც როგორც პეტროგრადის, ისე თფილისის საბჭოებისა. ჩვენ შორს წაგვიყვანდა მბობა იმის შესახებ, თუ რას მაკისრებდა ან როგორ ვასრულებდი მე ამ მანდატს, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამა თუ იმ საფაქიზო კითხვის გადაჭრის დროს განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდენ ჩემს დასკვნას, ვინაიდან ჩემს ზურგს უკან რევოლიუცია ეგულებოდათ!

კიტა აბაშიძე მძიმე ავათ იყო იმ ხანათ და ისე გარდაიცვალა, საუბედუროთ, რომ არც კი დაბრუნებია თავის თანამდებობას ოზაკომში. ამის გამო განათლების უწყებაც მე დამეკისრა და მქონდა, მაშასადამე უშუალო დამოკიდებულება უნივერსიტეტის ინიციატორებთან. უკანასკნელნი არ იყვნენ შეკრულნი წესდებით. უნივერსიტეტის საბჭო აღჭურვილი იყო დასავლეთის ავტონომიის უფლებით, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობდით რევოლიუციის ხანაში, ხშირად ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა ზევიდან ჩაურევლათ. მახსოვს, მაგ., რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ უნივერსიტეტის შენობიდან გაგვეყვანა ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც იქ მოკალათებულიყო „რევოლიუციური გზით“.

ამასობაში აგვისტოც დადგა და მე გავემგზავრე მოსკოვ-პეტროგრადს ჯერ სახელმწიფო, მერმე დემოკრატიულ ყრილობაზედ დასასწრებათ, პირველზედ ოზაკომის, ხოლო მეორეზედ ეროვნულ საბჭოს სახელით. სექტემბრის დამლევს მოხდა კორნილოვის გამოსვლა და თფილისში ამის პასუხად ოზაკომის ნაცვლათ კომისარიატი დააარსეს, რომელშიაც მეც შევდიოდი. კიდევ ცოტა ხანი და მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, რის გამო ამიერკავკასია მთლათ ჩამოსცილდა ფაქტიურათ ყოფილ რუსეთს.

შექმნილ პირობებში, თავის თავათ ცხადია, ჩვენც უფრო გავთამამდით, მივიღეთ ნივთიერი საშუალებაც ერის სახელზე (თავად-აზნაურობის შემოწირულობა), რაიცა სარჩულად დავუდეთ თვით ეროვნულ ყრილობის მოწვევას და სხ. და სხ. ერთ-ერთი საყურადღებო შედეგი აღნიშნულ ცვლილებათა ის იყო, რომ სიმძიმის ცენტრი თანდათან ეროვნულ საბჭოებისკენ გადადიოდა. ჯავახიშვილიც და მისი მეგობრები საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან მიიქცენ და ითხოვეს, ასე ვთქვათ, მისი ლოცვა-კურთხევა,

რაიცა მათ უკამათოთ მიიღეს. ეს უკვე იყო ნამდვილი სახელმწიფო აქტი, რომლის სიმბოლური გამოხატულება უნივერსიტეტის ეროვნულ საბჭოს სახელით გახსნაში დავინახეთ.

მე მქონდა ბედნიერი შემთხვევა, დავსწრებოდი, როგორც ერთი მრავალთაგანი, ჩვენი უნივერსიტეტის სამი წლის თავს. იანვრის 1921 წ. მოსმენილმა ანგარიშებმა გადაგვიშალა ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი სურათი უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარების, რომ 1918 წ. გამოთქმული ეჭვები სასაცილოთ არ გვყოფნიდა. და თუ რამეზე მწყდება ეხლა გული, იმაზე, რომ ერთხელაც ვერ მოვახერხე, მიუხედავათ განმეორებითი მოპატიჟებისა, დამოუკიდებელ საქართველოში ერთი წლის ყოფნის დროს, ქართულ ლექციებზედ დასწრება...

„დამოუკიდებელი საქართველო“, 1928 წ. იანვარი, № 25, გვ. 4-6

სამსონ დადიანი. მეცნიერების ტაძარი

1918 წლის იანვრის 26-ს საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი. განხორციელდება ქართველი ერის მოწინავე ელემენტების დიდი ხნის ოცნება.

ჩვენში ზოგიერთი უვიცთა წყალობით ის აზრია გავრცელებული, ვითომ საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის მეოხებით დაადგა განათლების, კულტურის გზას. ეს აზრი სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს და ეს იქიდანაც სჩანს, რომ ძველს რუსეთს, რუსეთის მტარვალურს მთავრობას, რომელმაც სამასი წლის სახელმწიფოებრივ ცხოვრების განმავლობაში ველურობის მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანა თვით რუსეთი, რა შეეძლო მიეცა სხვისთვის! საქართველოში რუსეთის მთავრობის შემოსვლით და დამკვიდრებით, საქართველო ასცდა იმ გზას, რომელიც მას უკვე აღებული ქონდა და რომელიც მიმართული იყო ევროპისაკენ.

არა ერთსა და ორს უცხო ქვეყნის მკვლევარს და მეცნიერს აღუნიშნავს, რომ საქართველოს თუმცა დღე მუდამ მახვილით ხელში უხდებოდა დგომა ეროვნულს სადარაჯოზე, მაგრამ კულტურისადმი მიდრეკილება, მეცნიერების სამსახური არასოდეს დაუვიწყნია. საქართველოს პოლიტიკური არსებობის უკანასკნელი მომენტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ თუ არ ისტორიული ვერაგობა მოკეთედ

მიჩნეული გადამთიელისა, საქართველო შესძლებდა ამ სწორი გზით სიარულს. მაგრამ საქართველოს დაადგეს მონური უღელი, მოუსპეს საშუალება თავისუფალი შემოქმედებისა, განვითარებისა და რუსეთის თვითმპყრობელობა რომ თვითონვე არ გახსნილიყო და არ დაშლილიყო, უნდა მოსპობილიყო ქართული ერის არსებობა.

მიუხედავად ესოდენ კირთებისა, ესოდენ ტანჯვისა, საქართველო მაინც სასოებით შესცქერის ბრწყინვალე მომავალს და აჰა, კიდეც დაჰკრა ჟამმა ყოველნაირ მონობის ბორკილების მსხვრევისამ და კავკასიონის მწვერვალზე მიჯაჭვული ამირანი აპირებს ზეზე წამოჭრას.

ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელია, რომ ამ რევოლუციური ნგრევის დროს, როდესაც ჯერ ოდნავადაც არ შემაგრებულა ფუძე ახალი ცხოვრებისა, საქართველოში იხსნება ტაძარი მეცნიერებისა, საქართველოში იკრიბება ქართველ მეცნიერთა დასი და ცდილობენ, გააღვივონ დაფერფლილი კერა მეცნიერებისა.

ჩვენს ბატონებს, ძველი რუსეთის მტარვალურს მთავრობას, საქართველო მხოლოდ ფეხქვეშ სათელ ველურთა ქვეყნად მიაჩნდა და მისი ღირსება, ღირებულება, არსებობა და განვითარება მას არ აინტერესებდა. იგი მას ამ მხრით არც კი იცნობდა და არც სურვილი ქონდა გაეცნო. საერთოდ, კავკასია და კერძოდ საქართველოს ტერიტორია სრულიად ხელუხლები და დაუშრეტელი წყაროა სამეცნიერო კვლევა ძიებისა და ქართველი ერი საუკეთესო მასალაა კულტურისა და ცივილიზაციის დასამყნელად და ასაყვავებლად.

ჩვენი ისტორიის შორეულ სიღრმეშიც კი ვხედავთ ჩვენ ქართველთა სიყვარულს მეცნიერებისას, ფილოსოფიისას, განათლებისას. კაცობრიობისათვის არა ერთი და ორი შესანიშნავი განძი შეუნახავს საქართველოს ძველი ქვეყნების სიბრძნისა და შემოქმედებისა. და აჰა, დღეს აქვე ერის შიგ გულში იდგმის მეცნიერების შუქმფენი ლამპარი, რომელიც ამიერიდან გზას გაუშუქებს ერის აზროვნებას, შემოქმედებას.

ქართულს უნივერსიტეტში ისწავლება ისეთი მეცნიერებანიც, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს კულტურულად აყვავებისთვის. დარგი პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებისა მასში შემავალი დარგებით ისეთ სასინჯი, ისეთი იარაღი შეიძლება გახდეს მომავალ ქართველ მეცნიერთა ხელში, რომლის საშუალ-

ებითაც თვალწინ გადაგვეშლება მთელი ქალწულებრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა. ცხოვრება ახალს გზას ადგება, ერი ახალს ცხოვრებას იწყებს და ის, რომ ამ ახალს გზას გაგვიშუქებს ეროვნულ უნივერსიტეტში აყვავებული მეცნიერება, დიდი იმედის მომგვრელია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარება, მეურნეობა, სტატისტიკა და სხ. და სხ. სრულად შეუსწავლელია და გამოურკვეველი. აი, ამ უცნობს საიდუმლოებას გადუხსნის გულს და გააშუქებს ბედნიერების სხივი და წინ წასწევს ჩვენს დაბეჩავებულს ხალხს.

ბევრი ურწმუნოს თვალით შესცქეროდა ამ იდეას, ბევრი შეუძლებლად სცნობდა, ბევრს ღიმილი მოსდიოდა – სად შეუძლია საქართველოს ასეთი რამ შეასრულოსო, მაგრამ ამ იდეათა ენტუზიასტებმა თავისი გაიტანეს და უკვე დიადი სინამდვილის წინაშე დაგვაყენეს. ვაშა მათს მხნეობას, გულგაუტეხელობას, მათს ენერგიას! გაუმარჯოს მათს დაწყებულს დიადს საქმეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ!

„სახალხო საქმე“, 26 იანვარი, პარასკევი, 1918 წელი, №155, გვ. 1

ისტორიული დღე

26 იანვარი ისტორიულ დღეთ დარჩება საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიული იქნება მით, რომ ამ დღეს გაიხსნება დიდხანს ნანატრი ქართული უნივერსიტეტი. საქართველოს ასი წლის განმავლობაში პოლიტიკური მონობა მით იყო ჩვენთვის დამღუპველი, რომ ამ მონობას მოჰყვა მონობა, წამბაძველობა და ხშირად შეჩერებაც, ერთ წერტილზე გაყინვაც ინტელექტუალურ სფეროში, ჩვენს კულტურულ ზრდაში და განვითარებაში. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენს წარსულს, შავს, მაგრამ მდიდარსა და რაინდულ სულით გაჟღენთილ ისტორიას, იმას უსათუოდ ეცოდინება ის უცილობელი ფაქტი, რომ საქართველო ადგა აყვავების გზას სწორედ იმ დროს, როცა იგი უერთდებოდა რუსეთს. იმ ხანაში საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ხდებოდა აღორძინება, წელში გასწორება იმ დაქვეითების შემდეგ, რომელიც წინ უძღოდა იმ ხანას, რენესანსი გვიახლოვდებოდა, ქართული პოეზია კვლავ შლიდა ფრთებს. ქართული მეცნიერება ფეხზე დგებოდა იმ წაბორძიკების შემდეგ, რომელიც მან განიცადა ისტორიის სრბოლაში. იგონებდა მე-XII საუკ.

ტრადიციებს, მეცნიერული კვლევა-ძიებას ითვისებდა ქართველი მამულიშვილი, ამდიდრებდა ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას. განვითარებული იყო უცხო ენებიდგან მეცნიერული შინაარსის გადმოთარგმნა, საქართველოს დაბა ქალაქებში მრავლდებოდა თანდათან სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ადგილი ქონდა დათმობილი ღვთის მეტყველებასთან ერთად, მეცნიერებას, წმინდა მათემატიკას, ფიზიკას და სხ. ჰუმანიტარულ საგნებს, ქართველი ერი წინ მიდიოდა... მაგრამ დაკარგა პოლიტიკური თავისუფლება და შეჩერდა მისი კულტურული წინსვლაც. გაიყინა ერთ ადგილზე. უმაღლესი სასწავლებლები გაქრნენ, აღარ გვქონდა ის კერა, სადაც ქართველ ახალგაზრდობას შეეძლო მიეღო განვითარება მშობლიურ ნიადაგზე. და ას წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ სიბნელეში ვიმყოფებოდით, ას წელიწადზე მეტია, რაც ქართველი ახალგაზრდობა ჯან-ღონით სავსე იძულებული იყო, სწავლა განვითარებას მოწყურებული დაეტოვებია სამშობლო და ცივ ჩრდილოეთში გამგზავრებულიყო. ას წელზე მეტია, რაც საქართველო ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე, მაგრამ ოცნება ვერ ისხამდა ხორცს, იმ ბიუროკრატიის წყალობით, რომელსაც მხოლოდ ერთი აინტერესებდა, რაც შეიძლებოდა მეტი სიმწვავით ეწარმოებია რუსიფიკატორული პოლიტიკა. და მიაღწია კიდევაც უკანასკნელმა თავის მიზანს სულ თუ არა, ცოტათი მაინც.

ვისაც გამოუცდია სტუდენტობის ხანა, იგი უსათუოდ განიცდიდა მთელი თავის საშინელებით თავის ტრაგიკულ მდგომარეობას.

ქართველი სტუდენტი მიდიოდა ჩრდილოეთში და მით სწყვეტდა უკანასკნელ ძაფს, რომელიც მას აერთებდა სამშობლოს ნიადაგთან. მას უცხო, უჩვეულო ატმოსფერაში უხდებოდა ტრიალი. იგი იქ უსათუოდ ობლად გრძნობდა თავს პირველ ხანებში მაინც. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტებს და სტუდენტობას რევოლუციამდი რუსეთში ერთი გარკვეული ფრიად დიდი მნიშვნელობა ქონდა. სტუდენტობა ითვლებოდა იმ ბარომეტრად, რომელიც აჩვენებდა ხოლმე რუსეთის საზოგადოებას პოლიტიკურ მდგომარეობას. ყოველ გვარი მოძრაობა პირველად აქ იჩენდა თავს. უნივერსიტეტში ქონდა მოყრილი თავი დემოკრატიულ სტუდენტობას, რომელიც ძლიერ ახლო იდგა თვით რუსეთის საზოგადოებასთან, რადგანაც რუსეთის სტუდენტობა მისი პირმშო შვი-

ლი იყო. ქართველი სტუდენტობა კი... ისიც იღებდა მონაწილეობას ყოველ გვარ მოძრაობაში, მაგრამ ეს მონაწილეობა უფრო ზერელე იყო. ზერელე იყო, იმიტომ რომ ქართველი სტუდენტობა ვერ იცნობდა რუსეთს, ვერ განიცდიდა რეალურად მის სინამდვილეს. ასეთ ზედ ნაშენობით, ასეთ ზერელობით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველი სტუდენტობა ყოველთვის, როდესაც რაიმე მოძრაობა ძლიერ სერიოზულ ხასიათს იღებდა, იგი სტოვებდა რუსეთს და საქართველოსკენ მოეშურებოდა, აქ სურდა ჩაბმულიყო მოძრაობაში და თავისი წვლილი შეეტანა შიგ.

ამიტომ აქვს ქართულ უნივერსიტეტს დაუფასებელი მნიშვნელობა. რასაკვირველია იგი იქნება ქართული აზროვნების მანათობელი სვეტი, იგი იქნება იმ წმინდა ადგილად, სადაც გაიფურჩქნება გაყინული ეროვნული ქართული კულტურა, იგი იქნება აკვანი, რომელშიაც აღიზრდება შეჩერებული ქართველი მეცნიერება. აქ მოიყრიან თავს ქართველი საუკეთესო მოაზროვნენი და თავის საქმიანობას დაუკავშირებენ ეროვნულ კულტურის აყვავებას, იგი შეიქმნება ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა სამობილიზაციო პუნქტათ.

მაგრამ იგი შეიქმნება აგრეთვე იმ ცენტრათ, სადაც თავს მოიყრის ქართველი ახალგაზრდობა და გაწყვეტილ ძაფს გაამთელებს. გაიხსენებს ძველ ქართველ ახალგაზრდათა ტრადიციებს და ქართულ ცხოვრებას წინ წასწევს.

ამ შემთხვევაში ახალგაზრდობას მეტი მოეთხოვება, ვინემ იმ სტუდენტობას, რომელიც მოწყვეტილი იყო სამშობლოს და რუსეთში გადახვეწილი იყო, მაგრამ მაინც არ ზოგავდა თავის ძალღონეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მოეთხოვება იმიტომ, რომ იგი აქ იქნება ჩვენში, ჩვენ ხალხთან მიჯაჭვული და შეძლებაც ექნება სათანადო დარაზმვისათვის. იმედია ქართველი სტუდენტობა, რომელიც თავს მოიყრის თფილისში ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტში, შექმნის ძლიერ დემოკრატიულ ორგანიზაციებს და ისეთსავე ტრადიციებს, რომლითაც ამაყობს რუსეთის სტუდენტობა.

ჩვენ ჩვენის მხრით ვულოცავთ ქართველ ახალგაზრდობას ამ ისტორიულ დღეს.

შ. ა-ძე.

„ხალხის მეგობარი“, 26 იანვარი ,1918 წ., № 91, გვ. 1-2

თავი 6. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს ეროვნული აღორძინებისკენ იყო მიმართული. ეროვნული აღორძინება კი, საბოლოო ჯამში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გულისხმობდა. როდის იქნებოდა ეს შესაძლებელი? ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ ვერაფერს იტყოდა, თუმცა გარკვეულ ვარაუდებს, როგორც ჩანს, აკეთებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრი მხოლოდ რუსეთის იმპერიის მძიმე საგარეო-პოლიტიკური მარცხის შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

დიდი ხნის შემდეგ, 1938 წელს, უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლის დროს, ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა: „1914 წელს მსოფლიო ომი რომ ატყდა და შეტაკება მოხდა გერმანიასა და ძველ თვითმპყრობელურ რუსეთს შორის, დიდი წინასწარმეტყველება და ნიჭი არ იყო საჭირო, ეწინასწარმეტყველა ვინმეს, რომ ძველი რუსეთი, თვითმპყრობელობის მიერ მონობაშიც ჩამწყვდეული, დამარცხებული იქნებოდა. ვინც რუსეთის ისტორია იცის, კარგად ეცოდინება: თუ რაიმე ღირსებია რუსეთში მცხოვრებ ხალხებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობა დამარცხებულა“.

მაშასადამე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ივანე ჯავახიშვილს იმედი გაუჩინა, რომ ომში რუსეთის გარდუვალი დამარცხების და, სავარაუდოდ, რევოლუციის პირობებში, შესაძლებელი

იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში და ცარიზმის დამხობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. იმ პირობებში ეს საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნა იყო. უფრო მეტის მოთხოვნისათვის არ არსებობდა ობიექტური პირობები და, გარდა ამისა, მზად არ იყვნენ თავად საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც.

ივანე ჯავახიშვილის პოზიცია კარგად ჩანს კიტა აბაშიძისადმი 1917 წლის 11 მარტს გაგზავნილ მოკლე წერილში. ივანე ჯავახიშვილმა კონკრეტული სამოქმედო გეგმაც ჩამოაყალიბა. ამის თაობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წინა ლექციებში, ამჯერად შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილის ორ მოხსენებაზე, რომელთა ტექსტებმაც ჩვენამდე მოაღწია და სადაც განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები. ერთი დაწერილია 1918 წლის გაზაფხულზე, მეორე კი – 1919 წლის გაზაფხულზე. ივანე ჯავახიშვილის ეს ორი მოხსენება საინტერესო პოლიტიკური შინაარსის მატარებელია და იქ ჩამოყალიბებულ რიგ დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

6.1. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა ყოველთვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა-დაცვაზე იყო ორიენტირებული. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული მოხსენება ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის **სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ.**[1]

---

[1] ეს მოხსენება პირველად გამოაქვეყნა თ. ტაბლიაშვილმა „საისტორიო მოამბეში“, 21-22, თბ, 1967, ოღონდ შემოკლებით – პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამოიღო გარკვეული ადგილები, რომელთა გამოქვეყნებას საბჭოთა პერიოდის ცენზურა არ დაუშვებდა. მოხსენების სრული ტექს-

ივანე ჯავახიშვილის ამ მოხსენების წაკითხვის ზუსტი თარიღი უცნობია. დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, მოხსენება წაკითხულია 1918 წლის 22 აპრილის შემდეგ 26 მაისამდე პერიოდში (ტექსტში მოხსენიებულია ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 22 აპრილს გამოცხადდა, 26 მაისს კი ფედერაცია დაიშალა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა).

ეს იყო ურთულესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, სწრაფად ცვალებადი საერთაშორისო ვითარებით. ივანე ჯავახიშვილი აანალიზებს იმ დროს არსებულ ვითარებას და ახლად შექმნილ ქართული უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოჰყოფს ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რასაც შეეძლო საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესება. საქმე ეხებოდა ჩრდილოკავკასიელთა ენებისა და კულტურის შესწავლას.

კავკასია ბრესტის ზავის შემდეგ

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ რუსეთში 1917 წლის 7 ნოემბერს ეს ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ წაიყვანა. რუსეთის არმია მოიშალა და 1918 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მყოფი 500-ათასიანი არმია თითქმის მთლიანად რუსეთში გაიქცა. თურქეთი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში ყველა ფრონტზე მარცხდებოდა და რუსეთის ჯარები 400-500 კილომეტრზე იყვნენ წინ წაწეულნი ოსმალეთის სიღრმეში, უცბად მოწინააღმდეგის გარეშე დარჩა. თურქეთის ჯარებმა წინსვლა დაიწყეს.

1918 წლის 3 მარტს ბრესტში გაფორმებული ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა გერმანიას უზარმაზარი ტერიტორიები დაუთმო. კავკასიაში თურქეთის ხელში გადადიოდა ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქები. ამიერკავკასიას მაშინ, ფაქტობრივად, ადგილობრივი ხელისუფლება მართავდა, სამხრეთ კავკასიის სამი ერის წარმომადგენლებისგან შემდგარი. ოსმალეთთან მოლაპარაკებები უშედეგო იყო, რადგანაც თურქები გრძნობდნენ მოწინააღ-

---

ტი 2010 წელს გამოაქვეყნა დავით სართანიამ (დავით სართანია, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010).

მდეგის სისუსტეს და გაჩერებას არ აპირებდნენ. თურქეთისავე მოთხოვნით, 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიამ რუსეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა.

სწორედ ამ პერიოდს აანალიზებს თავის მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის უპერსპექტივობა

ივანე ჯავახიშვილი სკეპტიკურად უყურებდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალს კავკასიის სამ ძირითად ხალხს – ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის არსებული შინაგანი წინააღმდეგობებისა და განსხვავებული საგარეო ორიენტაციის გამო.

„რამდენად დღეგრძელი იქნება ჩვენი კავკასიის საფედერაციო რესპუბლიკა, ამის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ გამთიშავი ძალა იმდენად ძლიერია, რომ ამ მხრივ განხეთქილება მუდამ მოსალოდნელია და ესეთმა განხეთქილებამ შეიძლება თვით ფედერაცია თან გადაიყოლოს. ასეთ გამთიშავ ძალად ერთის მხრით სომხებია თავიანთ შეუთანხმებელ, უცხო ძალაზე მოიმედე პოლიტიკითა და გაზვიადებული ეროვნულ პოლიტიკურ მოთხოვნილებებით, მეორეს მხრით კავკასიის თურქობა, რომლის ოსმალეთისკენ მისწრაფება მათ ტომობრივ ნათესაობის გამო სრულებით ბუნებრივია. ამიტომ ყოველ უთანხმოებისა, ან თავიანთი მდგომარეობით უკმაყოფილების დროს მათი გულისყური და გონება ოსმალეთისკენ იქმნება. ამჟამად ეს ალღოთი ხდება, შემდეგ კი, რაც უფრო და უფრო განმტკიცდება მათი ეროვნული შემეცნება, ეს მისწრაფება მათთვის შეგნებულ და მიზანშეწონილი პოლიტიკის საგნად იქცევა“.

ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1918 წლის 9(22) აპრილს გამოცხადდა, მხოლოდ მცირე ხანს იარსება და იმავე წლის 26 მაისს დაიშალა.

საქართველო ოსმალური საფრთხის წინაშე – ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი

„რუსეთის თანამედროვე საბედისწერო დაშლამ“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, საქართველო ახალი რთული რეალობის წინაშე დააყენა – ოსმალეთის იმპერია კავკასიის დაპყრობას შეუდგა. ეს ახალი რეალობა საქართველოსთვის ძველი საფრთხის გახსენებას წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს თავისი საკუთარი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა (და არ მინდობოდა „ფედერაციის ინტერესების“ ძიებას). „რუსეთის დაშლამ და პოლიტიკურმა დაუძლურებამ და ოსმალეთის მოულოდნელმა გამობრუნებამ და გაძლიერებამ ჩვენთვის საკუთარ პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა ცხადყო“, – წერდა ივანე ჯავახიშვილი.

ამავე დროს, აღნიშნავდა საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელი პოლიტიკური ძალის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც „ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა შეცდომებით დაუძლურებული საქართველოს“, – ასეთია ივანე ჯავახიშვილის მოკლე შეფასება. მისი მიზანი არა შეცდომების ანალიზი, არამედ მძიმე ვითარების გამოსწორების გზების ძიებაა.

ივანე ჯავახიშვილს ოსმალთა სახელმწიფოს ერთადერთ გაძლიერების გზად კავკასიასა და ჩრდილოეთ ირანში თურქულენოვანი ხალხით დასახლებული ტერიტორიების მიერთება ესახებოდა. „ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ოსმალეთი მომავალში პოლიტიკურად დამარცხდა, მისი ერთადერთი ხსნა და გამობრუნება შესაძლებელია მხოლოდ ჩრდილოეთ სპარსეთის ადერბაგანისა და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის შემოერთებით, რათგან იქაც მათი მოძმე თურქები ცხოვრობენ, რომელნიც ჩვენში შეცდომით თათრებად იწოდებიან. ამგვარი შეერთება, ერთის მხრით, მათ რიცხვს გაამრავლებს, ხოლო, მეორეს მხრით, მათ სიმდიდრეს ისეთ წყაროს ჩაუგდებს ხელში, როგორიც ბაქოს ნავთის წყაროებია. ამიტომ ოსმალეთის დიპლომატების რწმუნებისდა მიუხედავად, ოსმალეთი უეჭველია, ამ თავის გულისზრახვას თავს არ დაანებებს და თავის მიზნის მისაღწევად შესაფერის

დრომდე ჯერ ფარულ, ხოლო შემდეგ ცხადი მუშაობა ექმნება“. – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ოსმალეთის ამ გეგმის განხორციელება ივანე ჯავახიშვილს დიდ საფრთხედ მიაჩნდა საქართველოსთვის, რადგანაც საქართველო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ოსმალეთით იქნებოდა გარემოცული. „ოსმალეთის მხრივ ამ მიზნის მიღწევა ჩვენ დიდს საფრთხეს გვიმზადებს იმიტომ, რომ მაშინ ჩვენ სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც ოსმალეთით ვიქნებით შემორტყმული და საქართველო ამგვარად მომწყვდეული დარჩებოდა. ასეთ მდგომარეობაში კი ჩვენ, ქართველნი, ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჯერ არც ერთხელ არ ვყოფილვართ“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ოსმალები არა მხოლოდ საქართველოს მეზობელ ტერიტორიებს, არამედ საქართველოს ტერიტორიასაც იკავებდნენ, პირველ რიგში, იმ ადგილებს, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ.

ისლამი – მთავარი იარაღი ოსმალთა ხელში

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ოსმალეთი კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და კულტურული ექსპანსია და ამ მხრივ მეზობელი ქვეყნების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა არ შეეძლო. მაგრამ მას თავის გავლენის გასავრცელებლად სხვა მძლავრი იარაღი – ისლამური რელიგია ჰქონდა და ამას კარგად იყენებდა. „ოსმალეთი თუმცა კულტურით ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ მის ხელთ არის ისეთი ძლიერი იარაღი, რომელიც მასზე უფრო დაქვეითებულს ერებს სრულებით უბრძოლველად არამც თუ უმორჩილებს, არამედ მის ერთგულ, ყურმოჭრილ ყმადაც ხდის. ეს იარაღი ისლამია, რომლითაც მან თავისკენ არა ერთი და ორი ერი მიიზიდა და ეროვნულად ან სრულებით გაათურქა, ან ისე გადააგვარა, რომ ღვიძლს თანამოძმეებს ჩამოაშორა და თავის პოლიტიკის გულმოდგინე აღმასრულებლად აქცია“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ამ იარაღით ოსმალეთი საქართველოსაც ებრძოდა და ქართველ მუსლიმებსაც თავის ბრმა იარაღად აქცევდა თანამოძმეთა

წინააღმდეგ. „სხვათა შორის ამავე ისლამის წყალობით ჩვენ ღვიძლს ძმებს მაჰმადიან მესხებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს, ძმათა სისხლს აღვრევინებს და ჩვენი ქვეყნის მშვენიერსა და ნაყოფიერს კუთხეს ხელითგან გვაცლის“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

საქართველოს გარშემო „ოსმალური რკალის“ საფრთხე

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ისლამის მეშვეობით ოსმალეთი ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებასაც ცდილობდა:

„ოსმალეთი იმდენად თავის სახელმწიფო ძალით და მანქანით არ არის საშიში, რამდენადაც ისლამის იარაღით. ამ მხრივ დიდი უბედურებაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთეულთ თითქმის მთლად მაჰმადის სჯულის მიმდევართ ეროვნული შეგნება ძალიან ნაკლებ აქვთ განვითარებული და რაკი კულტურულადაც ჩამორჩენილები არიან, ოსმალეთის სრულიად ისლამობის ქადაგების ანკესზე ასე ადვილად ეგებიან. ამიტომ თუ რომ ოსმალეთი თავის ზრახვის განხორციელებას მოიწადინებს, ჩრდილოეთ კავკასია მის ერთგულ მოკავშირედ და ჩვენ მტრად იქმნება. ასეთ გარემოების შესაძლებლობა კი ჩვენი სრული დამარცხების მომასწავებელი იქმნებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა მომავალში გაჩაღდეს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ქართული პოლიტიკის ამოცანა – ჩრდილოკავკასიელთა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება

ჩრდილოეთ კავკასიაში ოსმალური გეგმის განხორციელების ჩაშლის ერთადერთ გზად ივანე ჯავახიშვილს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მიერ თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება მიაჩნია. კავკასიის მთიელები, რომლებიც „კულტურულად სუსტები“ არიან, ამას თავისი ძალებით ვერ შეძლებდნენ და მათ ამაში საქართველო უნდა დახმარებოდა. აქ კი ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს დიდი მისია ეკისრებოდა, მით უმეტეს, რომ წარსულში საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიელებთან მჭიდრო კულტურული კავშირები ჰქონდა. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„ამის გამო ჩვენ ქართველთა დაუცხრომელი ცდა ერთ მიზნისკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ჩვენ კავკასიის მთეულებს, ჩვენს მეზობლებს ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძოთ და გულის სიღრმემდე ვაგრძნობინოთ, რომ სარწმუნოების გარდა ადამიანებისთვის სხვა ბევრი ღირებულებაც არსებობს. თუნდაც რომ ოსმალეთისა და მის პოლიტიკურ მიზნებსაც თავი დავანებოთ და მხოლოდ ჩვენი მსჯელობა კავკასიის რესპუბლიკის მომავალს ბედ-იღბალს არ გასცილდეს, მაშინაც ჩვენ, ქართველთათვის, მთეულთა და კავკასიის თურქების კავშირი და სარწმუნოებრივ ერთობით ნაკარნახევი ჩვენს წინააღმდეგ თანხმობრივი მოქმედების შესაძლებლობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ეროვნული გრძნობა შევაგნებინოთ და ამით სრულიად ისლამობის მავნე გავლენა გავაქარწყლოთ.

ყოველ საღს ეროვნებას, თუნდაც ჩამორჩენილს, სტიქიური ეროვნული სიყვარული აქვს. ამ მხრივ კავკასიის მთეულნიც თავიანთ სტიქიურ თავისებურებების მოტრფიალენი და დამცველნი არიან. მაგრამ რაკი არც ერთს მათგანს მწერლობა არა აქვს, გადაგვარება ადვილად ეპარებათ, ან თურქული სრულიად ისლამობის საშუალებით, ან სხვანაირი, როდესაც ისინი თავიანთ მიწაწყალს მოსწყდებიან ხოლმე. მაინც და მაინც, სარწმუნოებრივი ერთობა მათ ყველაზე მეტად თურქობასა და ოსმალეთთან აკავშირებს. ეს კი არც სამართლიანია და, როგორც ვთქვით, პოლიტიკურად ჩვენთვის არც სასურველია. სხვებზე მეტად კავკასიის მთეულებიდან ტომობრივად ჩვენ ქართველნი ვდგევართ ახლო და წინათ, როგორც ცნობილია, ქართველობას იმოდენი სულიერი, გონებრივი და სამხედრო ძალა შესწევდა, რომ ჰეგემონია უცილობლად ჩვენს წინაპრებს ეპყრათ: ისინი იყვნენ დარიალანისა კარის მცველნი, მათ ერთმანეთში დამზავებელნი და მათ შორის სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელნი. ქართველი მქადაგებელნი ძველ დროითგანვე მოყოლებული, ოსეთში, დიდოეთში და ლეკეთში მიდიოდნენ და ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ოსურ და სხვა მთეულთა ენებიც ცხადად მოწმობენ, რაოდენად ძლიერი იყო ძველ დროს ქართველთა კულტურული გავლენა“.

ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოკავკასიელთა გადაგვარებას ისახავდა მიზნად

ივანე ჯავახიშვილი მოკლედ აფასებს ოსმალეთისა და რუსეთის მიერ საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში გატარებულ პოლიტიკას, რომელიც ადგილობრივი ხალხების გადაგვარებისკენ იყო მიმართული. საქართველო კავკასიის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ დამოუკიდებელი პოლიტიკის აგება შეუძლია. საქართველოს პოლიტიკა კი ჩრდილოეთ კავკასიელთა თვითმყოფადობის დაცვას უნდა ისახავდეს მიზნად. ამ შემთხვევაში საქართველოს ჩრდილოეთით მეგობრულად განწყობილი მეზობლები ეყოლებოდა:

„კავკასიის მთეულთა შორის მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა კულტურული გავლენა გაჰქრა. ჩვენს მაგიერ რუსებმა და ოსმალებმა დაიწყეს იქ მუშაობა, მაგრამ რუსებსაც და ოსმალებსაც მთეულნი მხოლოდ პოლიტიკურად აინტერესებდათ. მათ სურდათ, ისინი ეროვნულად გადაეგვარებინათ და თავის მონებად ექციათ: რუსების იდუმალი ზრახვა მთეულთა თანდათანი გარუსება იყო, ოსმალებისა კი მაჰმადიანობის იარაღით მათი გათურქება იყო და არის. რაკი რუსები სარწმუნოებრივი ქადაგებით ვერაფერს გახდნენ და ატყობდნენ, რომ ეს საქმეს უფრო ამწვავებდა, ვითომც კულტურულს მოღვაწეობის საშუალებით მათი გარუსება უნდოდათ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა გადააკეთა და უსლარის მიერ ნახმარი ქართული ასოების მაგიერ რუსულის ხმარება დააკანონა. ამგვარადვე, თუმცა უძველესი ოსური საქრისტიანო მღვდელმსახურების წიგნები ქართველებმა სთარგმნეს ოსურად და ქართულ ასოებითვე დაბეჭდეს, მაგრამ ქართული განდევნილი იყო და ამისთვისაც რუსული ანბანი შემოიღეს, იმავდროულად, რომ რუსული ანბანი კავკასიის ენების ბგერითი შემადგენლობისათვის გამოსადეგარი არ არის, ქართულის ღირსება კი ამ მხრივ უკვე ბარ. უსლარმაც აღნიშნა. ოსმალთა წინათ იდუმალი და ამჟამად უკვე ცხადი ქადაგება მაჰმადიანობის სამოსელთან ერთად არაბულ-თურქულ ანბანს ავრცელებს, რომელიც კავკასიის ენების ბგერების გამოსახატავად თუ რუსულ ანბანზე უარესი არა, უკეთესი მაინც და მაინც არ არის. როგორც

რუსული ანბანი გამარუსებელ გზად უნდა ყოფილიყო, ისე არა-ბულ-თურქული ანბანი სრულიად-თურქობის მიზანს ემსახურებო-და და ემსახურება. მაგრამ თუ რუსეთის სამოქალაქო და სამეცნიე-რო კულტურის არსებობის უარყოფა, რასაკვირველია, შეუძლებე-ლია, ოსმალეთი კი ამ მხრივ ჩამორჩენილია და უნაყოფო, რომ აქამ-დისაც თავისთვის საკუთრივაც უმაღლესი სამეცნიერო ტაძარი (სამკურნალო ფაკულტეტის გარდა) და მეცნიერება ვერ შეუქმნია. ამიტომ, თურქულ გავლენის გაძლიერება იმის გარდა, რომ ჩვენ-თვის პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს, თვით კავკასიის მთეუ-ლების კულტურასაც არაფერს სიკეთეს არ უქადის.

ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. არც რუსების, არც ოს-მალთა გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვადგება. მთეულთა ეროვ-ნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს. საა-მისოდ ჩვენ არც ძალა გვაქვს და თუნდაც რომ ძალა გვქონდეს, მაინც არ უნდა ვიკადროთ. ჩვეულებრივ ამგვარი პოლიტიკაც უფ-რო უსიამოვნებასა და მტრობას სთესავს, ვიდრე სიყვარულს. მხო-ლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მი-ზანი. რაკი რუსეთმა კულტურული მოღვაწეობის უნარი ვერ გამო-იჩინა, ხოლო ოსმალეთის ამგვარი მოღვაწეობა რომც უნდოდეს არ შეუძლიან, ამიტომ ეს დიდი და პასუხსაგები საქმე ქართულმა მეცნიერებამ და ქართველობამ უნდა იკისროს...

თვით ჩვენივე მომავალი პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს სა-კუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გა-დამგვარებელი პანთურქული. მაშასადამე, ამ მხრივაც ქართვე-ლობისთვის ზემოაღნიშნული საკულტურო შრომის გაწევა უეჭვე-ლია, მოუხდება, რაკი ჩვენ ქართველებთან მათ კარგი მეზობლუ-რი განწყობილება აქვთ და ამასთანავე მათთვისაც ცხადი იქმნება, რომ ჩვენ არც მათი პოლიტიკური ბატონობა გვსურს და მთელი ჩვენი ძალღონითაც მოწადინებულნი ვართ, რომ ისინი ეროვნულს გადაგვარებას გადავარჩინოთ და, პირიქით, შეძლებისამებრ, მათს ეროვნულს აღორძინებას ხელი შევუწყოთ. ამიტომ საფიქრებე-ლია, რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და

ჩვენი და მთეულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას“.

6.2. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობის შესახებ (1919 წლის აპრილი)

ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის აპრილში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ

1919 წლის 27-28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილი პროფესურის და სტუდენტების წინაშე ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი, ერთი შეხედვით, მისთვის უჩვეულო მოხსენებით წარსდგა. ღვაწლმოსილი ისტორიკოსი თავის საჯარო ლექციაზე „თანამედროვე მომენტს“ აანალიზებდა, როგორც პარიზში დაწყებულ საზავო კონფერენციაზე საქართველოს მიერ წარგზავნილი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი.

პარიზის საზავო კონფერენციისათვის მზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოში. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის უნდა ჩაეყარათ საფუძველი და მათ მირ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საქართველოს ბედიც იყო დამოკიდებული. „სულ ახლო მომავალში პარიზში მოწვეული იქნება მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, რომელზედაც, სხვათა შორის, საბოლოოდ გადაწყდება აღდგენილ თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი. ყველანი გაფაციცებით ემზადებიან საერთაშორისო მაღალ კრებულისათვის, რომ კულტურულ კაცობრიობას თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი წარუდგინონ“, – 1919 წლის დასაწყისში წერდა გაზეთი „საქართველო“.[1]

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს პოზიციების გასაძლიერებლად საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ დააჩქარა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა, დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა კი 12 მარტს შედგა. დამფუძნებელი კრების შეკრების

[1] „საქართველო", 1919 წ. 7 იანვარი.

თაობაზე საგანგებოდ ეცნობა პარიზში ჩასულ საქართველოს დელეგაციის წევრებს – კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს. კარლო ჩხეიძე, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, დაუსწრებლად აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პოსტზეც.

პარიზში გაგზავნილ საქართველოს დელეგაციას გზაში მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუხდა. 1919 წლის 9 იანვარს საქართველოს 12-კაციანი დელეგაცია თბილისიდან ბათუმისკენ გაემგზავრა, საიდანაც პარიზში უნდა ჩასულიყვნენ. დელეგაციის შემადგენლობაში, საქართველოს მთავრობის თხოვნით, ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა. თუმცა მას უმჯობესად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტისგან დროებით მოწყვეტას უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტებიც განიცდიდნენ.[1]

საზავო კონფერენციაზე მიმავალი დელეგაცია ბათუმში 11 იანვარს ჩავიდა და ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ 17 იანვარს სტამბოლისკენ მოახერხა გამგზავრება. იქ დელეგაცია დიდი ხნით გააჩერეს და პარიზისკენ გამგზავრების საშუალება არ მისცეს. ამ ინფორმაციამ საქართველოში უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არასოციალისტურ პრესაში გაჩნდა ვერსია, რომ მოკავშირეებს დელეგაციის „სოციალისტური“ შემადგენლობა არ მოსწონდათ და ამიტომ შეაფერხეს სტამბოლიდან მისი გამგზავრება.[2]

---

[1] „ჩვენ უნივერსიტეტს ბედი არ სწყალობს. პირველი სემესტრი იყო და ხომ მთლად გააქარწყლა ბოლშევიკების და ოსმალოების შემოსევამ. მთელი სტუდენტობა ჯარში იყო და ვის ეცალა უნივერსიტეტისათვის. ვფიქრობდით, მეორე სემესტრში მაინც იქნებოდა წესიერი მეცადინეობა, მაგრამ აქაც არ გაგვიმართლა იმედი. ჯერ ერთი, მეორე სემესტრში ძალიან გვიან დაიწყეს ლექციების კითხვა, მერე უნივერსიტეტის საუკეთესო ხელმძღვანელი, პატივცემული პროფესორი ივანე ჯავახიშვილი უცხოეთში გაემგზავრა ჩვენს დელეგაციასთან ერთად...“ („სახალხო საქმე“, 1919 წლის 14 მარტი).

[2] „შეთანხმების სახელმწიფოებიც, როგორც სჩანს, უხერხულად სცნობენ ჩვენი დელეგაციის დაშვებას საერთაშორისო კონფერენციაზე, რადგან მისი სოციალისტური შემადგენლობა საშიშად მიაჩნიათ“ („საქართველო“, 1919 წლის 12 თებერვალი); „დელეგაციას საერთოდ ცუდად ეპყრობიან და ჯერ-ჯერობით მსოფლიო კონფერენციაზე არ უშვებენ. ამის მიზეზად ასახელებენ დელეგაციის სოციალისტურ შემადგენლობას. როგორც ხმებია გავრცელებული, შეთანხმების სახელმწიფოში უკმაყოფილონი არიან დელეგაციაში

ცხადია, დელეგაციის შეფერხების ამგვარი ინტერპრეტაცია სოციალისტური მიმართულების გაზეთების აღშფოთებას იწვევდა.[1]

საბოლოოდ, საქართველოს დელეგაციის მხოლოდ ორ წევრს – კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება. სტამბოლში დარჩენილი დელეგაციის დანარჩენი წევრების დიდი ნაწილი კი, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი, უკან გამობრუნდნენ და 2 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ. „პროფ. ი.ჯავახიშვილი დაბრუნდა სტამბოლიდან და შეუდგება ამ მოკლე ხანში ლექციების კითხვას“, – წერდა ამასთან დაკავშირებით „სახალხო საქმე“.[2]

ივ. ჯავახიშვილმა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბულში ყოფნა გამოიყენა იმ საკითხებზე ნაშრომების შესაქმნელად, რომლებიც, მისი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის. ეს ნაშრომები: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც დაწერა 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმსა და კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელიც 1919 წლის თებერვალ-მარტში კონსტანტინეპოლში დაწერა. ნაშრომების დაწერის ადგილი და დრო თავად ივ. ჯავახიშვილის მიერაა აღნიშნული. ორივე ნაშრომი 1919 წელს თბილისში დაიბეჭდა.

თბილისში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, სტუდენტებმა და პროფესურამ სთხოვა ინფორმაციის მიწოდება საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის საქმიანობის, საერთაშორისო ვითარების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამკვიდრების პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ.

ჩხეიძისა და წერეთლის მონაწილეობით“ („საქართველო“, 1919 წლის 13 თებერვალი).

[1] იხ. მაგ. „შრომა“, 1919 წ. 20 თებერვალი: „ჩვენი დელეგაცია სტამბოლში ზის და იქიდან წასვლას ვერ ახერხებს. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული და ნაციონალისტური წრეების მიერ შეთხზული ჭორი თითქოს ჩვენს დელეგაციას იმიტომ აბრკოლებენ, რომ ის სოციალისტებისაგან შესდგება, მართალი არ არის. ჩვენი დელეგაციის სტამბოლში გაჩერება, უეჭველია, არის ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრების საქმე. მათი მიზანია, რომ ჩვენი დელეგაცია სრულებით არ მოხვდეს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომ ჩვენი ხმა იქ სრულებით არ გაისმას“.

[2] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 9 აპრილი.

ივანე ჯავახიშვილი ჩვეული პასუხისმგებლობით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოეკიდა ამ თხოვნას და 1919 წლის 27-28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ვრცელი მოხსენება „თანამედროვე მომენტის“ შესახებ. როგორც იმდროინდელ პრესაში აღინიშნა, „მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწრო“.[1] ამ ლექციის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს“ რამდენიმე ნომერში (1919 წლის 4, 7 და 8 მაისი) სათაურით – „პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე“.

ივ. ჯავახიშვილის ლექციის ტექსტი იბეჭდება აღნიშნული საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით. ჩასწორდა მხოლოდ რამდენიმე კორექტურული შეცდომა. ტექსტის უკეთ აღქმის მიზნით კი გამოყოფილია ქვესათაურები, ლექციის შესაბამისი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტში საჯარო ლექციას კითხულობდა, მიმდინარე მომენტის მთავარი საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება და საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ 11 თვე იყო გასული. ამ დროისათვის საქართველოს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა გერმანია, საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ქვეყანა. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაში ახალი საფრთხეები გაჩნდა. საჭირო იყო ურთიერთობის მოწესრიგება გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებთან. ეს კი, როგორც ივ. ჯავახიშვილის მოხსენებიდანაც ჩანს, იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. სიმშვიდე არ იყო საქართველოს საზღვრებზე, რომელთა მიმართაც მეზობლები სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდნენ.

ივ. ჯავახიშვილი, როგორც ექსპერტი, საქართველოს ხელისუფლებას, პირველ რიგში, სწორედ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების თაობაზე მოსალოდნელ დავასთან დაკავშირებით სჭირდებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველოს საზღვრების შესახებ დაწერილ ნაშრომში ივანე ჯავახიშ-

[1] „საქართველო“, 1919 წლის 4 მაისი.

ვილმა ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებიც ამოსავალი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისათვის ამ საკითხის გადაწყვეტისას:

- საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრები აქვს და ამ საზღვრებში საქართველოს სახელმწიფოს გაუადვილდება თავდაცვა;

- საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს;

- მეზობლებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საზღვრების საკითხში შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წასვლა, ოღონდ ისე, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ დაზარალდეს.

ისტორიის გაკვეთილები მიმდინარე პოლიტიკისათვის

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების სიმრავლის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის უმთავრეს საფრთხეს სულ სხვა რამეში ხედავს, რაშიც მას ადვილად არ დაეთანხმებოდნენ არა მხოლოდ იმდროინდელი ქართული პოლიტიკის მესვეურები, არამედ პოლიტიკური სპექტრის და მთლიანად საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, მთავარი საფრთხე საქართველოსთვის თავად „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა“ იყო.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი მოხსენება ვრცელი ისტორიული მიმოხილვით დაიწყო და ეს არ იყო ცნობილი ისტორიკოსის მიერ თავისი პროფესიისათვის უბრალო ხარკის მოხდა.

ჯერ ერთი, 1918-1921 წლების საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმის ჩვენებას, თუ როგორ დაარღვია რუსეთის იმპერიამ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და დაიპყრო საქართველო. ამით იქმნებოდა ისტორიული არგუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დასასაბუთებლად.

ივანე ჯავახიშვილს წარსულის გახსენება უფრო სხვა რამისთვის სჭირდება. მასში ხედავს ისტორიის გაკვეთილებს მიმდინარე პოლიტიკისათვის. „საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც XVIII საუკუნეა. აწინდელმა ქართველმა პო-

ლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“.

მაინც რა მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილს საქართველოს წარსულიდან „საგულისხმო და გამაფრთხილებელი“ მიმდინარე პოლიტიკისათვის? ივანე ჯავახიშვილი აანალიზებდა, თუ რამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ის ასახელებდა ერთადერთ მიზეზს – „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა“ ევროპელებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებით. „ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის მოკლე ისტორიული ექსკურსი მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ VI და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ამგვარმა გულუბრყვილო პოლიტიკამ. ლექციის დასაწყისშივე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მთავარი დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე“, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

დამოუკიდებლობის აღდგენა და „გულუბრყვილო პოლიტიკის“ ახალი სახე

ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ძველმა საბედისწერო სენმა კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“, – ასეთ შეფასებას აძლევდა ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი.

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა“, რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა, საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადაიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია“.

ივ. ჯავახიშვილს „გულუბრყვილო პოლიტიკის“ გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს – თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. „ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა“, – ირონიულად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. ივ. ჯავახიშვილს უხდებოდა იმ დელეგაციაში ყოფნა, რომლის წევრების დიდი ნაწილიც რევოლუციური მოლოდინებით იყო გამსჭვალულნი და ამ პოზიციიდ-

ან აღიქვამდა მოვლენათა განვითარებას. იყო მოლოდინი იმისა, რომ „ევროპის დიდ ომს უნდა მოჰყოლოდა დიდი გარდაქმნა“.

ივ. ჯავახიშვილმა ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ წაუკითხა უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა დიდი ნაწილიც პოლიტიკაში იყო ჩართული და თუ სტუდენტური გამგეობის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად სოციალისტურად განწყობილი. სწორედ იმ სტუდენტების სახელით, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ლექციას უსმენდნენ, დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ესალმება ქართველ ერის სუვერენობის დამადასტურებელ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კაპიტალიზმის რღვევის ხანაში საქართველოს სოციალისტური წარმომადგენლობა გაბედულად ამოუდგეს გვერდში მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატიას და ცხოვრების ბურჟუაზიული საფუძვლები შესცვალოს სოციალისტური საფუძვლებით, რაც საქართველოს მიანიჭებს იმ შრომის სუფევას, რისთვისაც სისხლიდან იცლება მოწინავე ევროპა“.[1] როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საქართველოს დამფუძნებელ კრებას უსურვებენ არა საქართველოს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მუშაობას, არამედ აქტიურ მონაწილეობას მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნაში.

ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“, – ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს მე-18 საუკუნეში ქართული პოლიტიკური აზროვნების მიერ გამოჩენილი გულუბრყვილობის შესახებ თავისებურად გამოეხმაურა და დამატებითი ფაქტობ-

[1] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 19 აპრილი.

რივი მასალით წარმოადგინა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც 1920 წელს გამოსცა ორი პატარა ბროშურა: „პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა“ და „აღამაჰმადხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებელნი 1797 წ.“.

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „საქართველოს რუსეთის ხელში ჩავარდნაში“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ვახტანგ VI-ის გულუბრყვილობამ, როდესაც ის მთლიანად მიენდო პეტრე I-ს, როგორც ქრისტიან ხელმწიფეს. „პეტრე დიდისა და ვახტანგ მეფის შედარება რომ იქმნეს, მაშინ ვახტანგ მეფე პეტრე დიდზედ ბევრით გონიერი გამოვა და განათლებული... პეტრე დიდი ვახტანგ მეფეზედ მაღლა იდგა მხოლოდ გველაძუობით და ეშმაკობით“, – აღნიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძე. მაგრამ ქრისტიან მონარქთან ურთიერთობით მოხიბლული „ვახტანგ მეფე პეტრე დიდის პოლიტიკას სულ ვერ იმჩნევდა და მას თითქმის წმინდანად სახავდა“. ქართველთა მეფის მიამიტობით სარგებლობდა „პეტრე დიდი და მიტომაც მეცადინეობდა ... ვახტანგ მეფის დასაღუპად და საქართველოს დასაჩემებლად“ (ჭიჭინაძე ზ., 1920A, გვ. 9).

ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, იგივე გამეორდა მეფე ერეკლეს დროსაც. რუსებს საქართველოს ხელში ჩაგდებაში „ხელს უწყობდა დიდათ ის გარემოება, რომ რუსთა და ქართველთა სჯული ქრისტიანული იყო და მეორე, ქართველები კიდევ ამ ქრისტიანობის სჯულის დიდი პატივისმცემლები იყვნენ“ (ჭიჭინაძე ზ., 1920B, გვ. 14). ამავე დროს, ქართველები საერთოდ აღარ ენდობოდნენ ოსმალებს და სპარსელებს და არც მათ დაპირებებს მეგობრობის შესახებ. „ბედშავი ქართველნი რაკი ერთხელ შეწუხდნენ ოსმალ-სპარსთაგან, რაკი ერთხელ სასტიკად იქმნენ აოხრებულ-ანიავებულნი, ამიტომ ქართველებს მათი აღარაფერი სჯეროდათ, ხოლო ქართველნი ვეღარ არჩევდნენ ვერც ოსმალ-სპარსთა მტრობას და ვერც მეგობრობას“ (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ. 8).

„ოსმალეთ-სპარსთა მეგობრობა“ მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო. ამ პატარა ბროშურებს კი ზაქარია ჭიჭინაძე, ალბათ, იმიტომ წერდა, რომ საბჭოთა რუსეთის მეგობრული ზრახვებისა არ სწამდა და არც სხვას ურჩევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმედად ყოფნას.

1919 წლის აპრილი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება. 1919 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ლექციას კითხულობდა, ქართული გაზეთები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე მოპოვებული წარმატებების შესახებ იუწყებოდნენ – ქართულმა ჯარებმა გაგრა და არტაანი დაიკავეს.[1] ეს ფაქტი, ცხადია, გავლენას ახდენდა ვითარების შეფასებაზე. „საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის“, – ასეთია ბ-ნი ივანეს დასკვნა. საქართველოს მეზობლად აღარ ჩანდნენ ქვეყნები, რომლებიც ისტორიულად სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდნენ ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ირანი დასუსტებული იყო და დიდი ხანია, აღარ ერეოდა კავკასიის პოლიტიკაში, ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და მას ანტანტის ქვეყნები ინაწილებდნენ, რუსეთი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული და საქართველოსთვის არ ეცალა. თუნდაც რომ მომხდარიყო რუსეთის გაძლიერება, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ომში გამარჯვებული ბრიტანეთი აღარ დაუშვებდა რუსეთის ხელახალ შემოსვლას სამხრეთ კავკასიაში. „ინგლისს ძალიან ეშინიან, რომ კვლავ მოღონიერებულმა რუსეთმა ინდოეთისკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

თუმცა, ერთი შეხედვით, ეს მყარი არგუმენტი სულ მალე გაბათილდა. 1919 წლის მაისის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიას დატოვებდნენ და მათ იტალიელები ჩაენაცვლებოდნენ. მოვლენები

[1] „ჩვენმა ჯარებმა სოჭის მიმართულებით გაგრა აიღეს, ახალციხის მიმართულებით კი ქ. არტაანი“ („საქართველო“, 1919 წლის 24 აპრილი); „ნოვოროსიაში მოხალისეთა ჯარის სარდლობას წინადადება მიუცია ქართველებისათვის სამ დღეში დასტოვონ ქალაქი“, „არტაანის ფრონტზე ჩვენს მზვერავებს შეტაკება აქვთ ქურთებთან“ („ერთობა“, 1919 წლის 30 აპრილი).

ისე განვითარდა, რომ იტალიელები კავკასიაში არ გამოჩენილან და საერთოდ, ევროპის ქვეყნებმა დასტოვეს ეს რეგიონი.

იმდროინდელ ვითარებაში ივ. ჯავახიშვილს მართებულად მიაჩნია საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გაგრძელება. რას ნიშნავდა „ნეიტრალიტეტი“ საქართველოს სინამდვილეში? ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. რადგანაც 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს აღარ ემუქრებოდა დიდი დამპყრობელი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს“. მას კარგად ესმოდა ისიც, რომ საქართველოს შეიძლება მოუწიოს სამხედრო თავდასხმის მოგერიება რომელიმე მცირე მეზობლის ან რუსეთის სამოქალაქო ომში მონაწილე რომელიმე ძალის მხრიდან, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს შეუძლია თავისი ძალებით ასეთი თავდასხმების მოგერიება. „საჭიროა მხოლოდ, რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, თუმცა ამისათვის საქართველოს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია სამხედრო საქმის ორგანიზებისათვის.

„ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს“, – ამ სიტყვებით მთავრდება ივ. ჯავახიშვილის საჯარო ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება

ივ. ჯავახიშვილის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრებოდა, რა თქმა უნდა, სწორი იყო 1919 წლის დასაწყისში არსებული ვითარებისათვის, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გეოპოლიტიკური სიტუაცია საქართველოს საზიანოდ შეცვალა. ანტანტის ქვეყნებმა სამხრეთ კავკასია დატოვეს, დამოუკიდებელი საქართველო კი საბოლოო ჯამში მარტო აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთისა და ათათურქის მიერ აღორძინებულ თურქეთის სახელმწიფოს პირისპირ. ყოველივე ამის განჭვრეტა 1919 წლის გაზაფხულზე შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს არაფერს ცვლის ივ. ჯავახიშვილის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ პრინციპულ დებულებებში იმის თაობაზე, თუ რას უნდა ემყარებოდეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა: ქართულ აზროვნებაში საგარეო პოლიტიკისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის აღმოფხვრა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა 1921 წელს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა რუსეთის მიმართ გატარებულმა „გულუბრყვილო“ საგარეო პოლიტიკამაც. საქართველოს ხელისუფლებაში დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთთან დადებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე და მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც საბჭოთა რუსეთის კარგად მომზადებული თავდასხმა 1921 წლის თებერვალში, ისე ქემალისტური თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს და ბათუმის ოლქის მიტაცების მცდელობა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის აპრილის ბოლოს წაკითხულ მოხსენებაში მოცემულ ანალიზს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი არ გათავისუფლებულა და, მით უმეტეს, საქართველომ უნდა დასძლიოს რუსეთისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის ახალი მცდელობები. პრინციპში იგივე ითქმის სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. ყველა მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად და „უანგარო მხარდაჭერის“ იმედად ყოფნა არ შეიძლება. თუმცა

აუცილებელია ინტერესთა თანხვედრის ძიება და ამ ყველაფრისათვის ამოსავალი უნდა იყოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „თავის თავსა და თავის ძალღონეზე დაყრდნობა“.

დანართი

ივანე ჯავახიშვილი. მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ

უკვე იმ მოხსენებაში, რომელიც ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას ეხება, აღნიშნული მქონდა ის მთავარი მიზნებიც, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ტაძარს დასახული უნდა ჰქონოდა. სხვათა შორის, იქ ნათქვამი იყო, რომ ერთ-ერთ ამგვარ მიზნად კავკასიის ერების ენებისა და ზეპირსიტყვაობის, აგრეთვე ზნე-ჩვეულებათა მეცნიერული შესწავლა უნდა ყოფილიყო (ივანე ჯავახიშვილის მოხსენება: „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“. წაიკითხა 1917 წლის 12 მაისს თბილისში და 17 მაისს გაიმეორა ქუთაისში). რაკი ამჟამად ჩვენი პოლიტიკური მომავალი და იმედი უკვე ნათლად გამორკვეული გვაქვს და ჩვენი ერის მდგომარეობაც მომავალ საარსებო ბრძოლაში უფრო მკაფიოდ გათვალისწინებადია, გარემოება გვავალებს, ეს ერთი დასახული მიზანთაგანი ეხლავე მთელის თავისი სიღრმე-სივრცელით განვიხილოთ და საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ წინასწარ შემუშავებული გეგმისდა მიხედვით მის განხორციელებას შევუდგეთ.

ზემოაღნიშნულს მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მახლობელ და შორეულ ერების ენისა, მწერლობისა და ისტორიის შესწავლა ჩვენივე ენისა, მწერლობისა და წარსულის მეცნიერულ შესწავლისთვისაც აუცილებლადაა საჭირო. აქამდის ისე იყო საქმე მოწყობილი, რომ მხოლოდ რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებობდა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნად მთელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული. უცხოეთში მხოლოდ ორგან არის აღმოსავლეთ ენების სასწავლებელი, ბერლინსა და პარიზსში, მაგრამ ორთავეს უმთავრესად პრაქტიკული და არა სამეცნიერო მიზანი აქვთ. ისე კი დასავლეთ ევროპაში,

სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მხოლოდ თითოოროლა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი ჰყავთ, ერთად კი, ორიენტალისტები არსად არიან თავმოყრილნი.

რუსეთის სამეცნიერო ტაძრის ხანგრძლივმა ისტორიამ სრულს სიცხადით დაამტკიცა, რომ არც რუს მეცნიერთა და არც რუს სტუდენტთა შორის მათ მრავალრიცხოვნებისადა მიუხედავად, აღმოსავლეთისა და სამხრეთის, მაშინ თვით მათივე სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა აწმყოისა და წარსულის მეცნიერული შესწავლა არ აინტერესებთ. კერძოდ, საქართველოსა, სომხეთისა და საზოგადოდ კავკასიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ განსვენებული ფრანგი მეცნიერი მ. ბროსე, ორიოდე უცხოელი და თვით ქართველი და სომეხი მეცნიერნი რომ არ ყოფილიყვნენ, სრულებით არაფერი არ იქმნებოდა გაკეთებული. ქართველ და სომეხ მეცნიერთა ღვაწლი მეცნიერების წინაშე ამ მხრივ სამართლიანად აღნიშნულია პროფ. ვ. ბარტჰოლდის მიერ მის წიგნში «История изучения Востока в Европе и в России» (Спб. 1911წ. გვ. 254-255).

მეტად დამახასიათებელია, რომ ასი წლის განმავლობაში რუსთა შორის ერთიც არ აღმოჩენილა, რომელსაც თავის კვლევის საგნად განსაკუთრებით ან საქართველო, ან სომხეთი, ან კავკასიის დანარჩენი ნაწილები აეღო. დანარჩენ აღმოსავლეთის შესწავლაშიც, როგორც ვ. ბარტჰოლდის მიერ პირუთვნელად ნათქვამი აქვს, რუსებმა ვერ გაამართლეს ის მოლოდინი, რომელიც შეეფერებოდა რუსეთის გეოგრაფიულს მდებარეობას, მცხოვრებთა მრავალრიცხოვანს შემადგენლობას და ხანგრძლივ მოღვაწეობას (იქვე, 256), რუს მოსწავლე ახალგაზრდობას თითქმის განსაკუთრებით საელჩო მოღვაწეობის ასპარეზი იზიდავდა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტისაკენ, წმინდა სამეცნიერო ცოდნისმოყვარეობა და წყურვილი ძალიან იშვიათი სანახაობა იყო.

რუსეთის თანამედროვე საბედისწერო დაშლამ და თვით რუსთა სახელმწიფო სამზღვრების ძალზე შემცირებამ რუსეთი მახლობელს აღმოსავლეთს მეზობლობას ჩამოაშორა და ამის გამო მომავალში ის მიმზიდველობაც გაჰქრება, რომელიც რუსებს აღმოსავლეთის შესწავლას აიძულებდა. ამიტომ საეჭვო ხდება, რომ მან მომავალში აღმოსავლეთის შესწავლაში წინანდელზე მეტი ნაყოფიერების გამოჩენა შესძლოს.

ჩვენი მთელი მომავალი და გონივრულად გათვალისწინებული ეროვნული პოლიტიკა გვავალებს, რომ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ჩვენ, ქართველებმა, ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისროს. ამას, როგორც აღნიშნული გვქონდა, თვით ჩვენივე ერისა და ქვეყნის სამეცნიერო შესწავლაც მოითხოვს, მაგრამ ამას ჩვენ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებაც გვიკარნახებს.

რუსეთის დაშლამ და პოლიტიკურმა დაუძლურებამ და ოსმალეთის მოულოდნელმა გამობრუნებამ და გაძლიერებამ ჩვენთვის საკუთარ პოლიტიკურს წარმოების აუცილებლობა ცხადყო. ოსმალეთი თუმცა კულტურით ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ მის ხელთ არის ისეთი ძლიერი იარაღი, რომელიც მასზე უფრო დაქვეითებულს ერებს სრულებით უბრძოლველად არამც თუ უმორჩილებს, არამედ მის ერთგულ, ყურმოჭრილ ყმადაც ხდის. ეს იარაღი ისლამია, რომლითაც მან თავისკენ არა ერთი და ორი ერი მიიზიდა და ეროვნულად ან სრულებით გაათურქა, ან ისე გადააგვარა, რომ ღვიძლს თანამოძმეებს ჩამოაშორა და თავის პოლიტიკის გულმოდგინე აღმასრულებლად აქცია.

ეს ოსმალეთი ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა შეცდომებით დაუძლურებული საქართველოს, სხვათა შორის ამავე ისლამის წყალობით ჩვენ ღვიძლს ძმებს მაჰმადიან მესხებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს, ძმათა სისხლს აღვრევინებს და ჩვენი ქვეყნის მშვენიერსა და ნაყოფიერს კუთხეს ხელითგან გვაცლის. მაგრამ მომავალში ჩვენ ამაზე უფრო მეტი განსაცდელიც მოგველის. რამდენად დღეგრძელი იქნება ჩვენი კავკასიის საფედერაციო რესპუბლიკა, ამის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ გამთიშავი ძალა იმდენად ძლიერია, რომ ამ მხრივ განხეთქილება მუდამ მოსალოდნელია და ესეთმა განხეთქილებამ შეიძლება თვით ფედერაცია თან გადაიყოლოს. ასეთ გამთიშავ ძალად ერთის მხრით სომხებია თავიანთ შეუთანხმებელ, უცხო ძალაზე მოიმედე პოლიტიკითა და გაზვიადებული ეროვნული პოლიტიკურ მოთხოვნილებებით, მეორეს მხრით, კავკასიის თურქობა, რომლის ოსმალეთისკენ მისწრაფება მათ ტომობრივ ნათესაობის გამო სრულებით ბუნებრივია. ამიტომ ყოველ უთანხმოებისა, ან თავიანთი მდგომარეობით უკმაყოფილების დროს მათი გულისყური და გონება ოსმალეთისკენ

იქმნება. ამჟამად ეს ალღოთი ხდება, შემდეგ კი, რაც უფრო და უფრო განმტკიცდება მათი ეროვნული შემეცნება, ეს მისწრაფება მათთვის შეგნებულ და მიზანშეწონილი პოლიტიკის საგნად იქცევა. ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ოსმალეთი მომავალში პოლიტიკურად დამარცხდა, მისი ერთადერთი ხსნა და გამობრუნება შესაძლებელია მხოლოდ ჩრდილოეთ სპარსეთის ადერბაგანისა და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის შემოერთებით, რათგან იქაც მათი მოძმე თურქები ცხოვრობენ, რომელნიც ჩვენში შეცდომით თათრებად იწოდებიან. ამგვარი შეერთება ერთის მხრით მათ რიცხვს გაამრავლებს, ხოლო მეორეს მხრით მათ სიმდიდრეს ისეთ წყაროს ჩაუგდებს ხელში, როგორიც ბაქოს ნავთის წყაროებია. ამიტომ ოსმალეთის დიპლომატების რწმუნებისდა მიუხედავად, ოსმალეთი უეჭველია ამ თავის გულისზრახვას თავს არ დაანებებს და თავის მიზნის მისაღწევად შესაფერის დრომდე ჯერ ფარულ, ხოლო შემდეგ ცხადი მუშაობა ექმნება.

საფიქრებელია, რომ რაკი ეხლა მას სამხრეთით და დასავლეთით ინგლის-საფრანგეთისაგან განსაცდელი მოელის, იმდენი თავისუფალ ძალა ვერ მოჰკრიბოს, რომ ამ მიზნის განხორციელება ამჟამადვე შესძლოს. შემდეგში კი ამისთვის ხელსაყრელ გარემოებას უნდა უცადოს. მაგრამ ოსმალეთის მხრივ ამ მიზნის მიღწევა ჩვენ დიდს საფრთხეს გვიმზადებს იმიტომ, რომ მაშინ ჩვენ სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც ოსმალეთით ვიქნებით შემორტყმული და საქართველო ამგვარად მომწყვდეული დარჩებოდა. ასეთ მდგომარეობაში კი ჩვენ ქართველნი ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჯერ არც ერთხელ არ ვყოფილვართ. ამიტომ თუ სამხრეთით სამხედრო საქმეების მიმდინარეობა ოსმალეთს მართლაც საშუალებას მისცემს კავკასიის დაპყრობისათვის საკმაო რიცხვი თავისუფალი 30-50 000 მეომარი გამოიმეტოს და იგი იძულებული იქმნება თავის ზრახვების განსახორციელებლად სხვა უფრო მარჯვე დროს უცადოს, მაშინ ჩვენ ქართველები უნდა ვეცადნეთ, რომ ოსმალეთის გეგმის სრულად განხორციელება მომავალში შეუძლებელი შეიქმნას. ოსმალეთი იმდენად თავის სახელმწიფო ძალით და მანქანით არ არის საშიში, რამდენადაც ისლამის იარაღით. ამ მხრივ დიდი უბედურებაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთეულთ თითქმის მთლად მაჰმადის სჯულის მიმდევართ ეროვნუ-

ლი შეგნება ძალიან ნაკლებ აქვთ განვითარებული და რაკი კულ-ტურულადაც ჩამორჩენილები არიან, ოსმალეთის სრულიად ისლა-მობის ქადაგების ანკესზე ასე ადვილად ეგებიან. ამიტომ თუ რომ ოსმალეთი თავის ზრახვის განხორციელებას მოიწადინებს, ჩრდი-ლოეთ კავკასია მის ერთგულ მოკავშირედ და ჩვენ მტრად იქმნე-ბა. ასეთ გარემოების შესაძლებლობა კი ჩვენი სრული დამარცხე-ბის მომასწავებელი იქმნებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც შესაძ-ლოა მომავალში გაჩაღდეს.

ამის გამო ჩვენ ქართველთა დაუცხრომელი ცდა ერთ მიზნის-კენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ჩვენ კავკასიის მთეულებს, ჩვენს მეზობლებს ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვი-ძოთ და გულის სიღრმემდე ვაგრძნობინოთ, რომ სარწმუნოების გარდა ადამიანებისთვის სხვა ბევრი ღირებულებაც არსებობს. თუნდაც რომ ოსმალეთისა და მის პოლიტიკურ მიზნებსაც თავი დავანებოთ და მხოლოდ ჩვენი მსჯელობა კავკასიის რესპუბლიკის მომავალს ბედიღბალს არ გასცილდეს, მაშინაც ჩვენ, ქართველ-თათვის, მთეულთა და კავკასიის თურქების კავშირი და სარწმუ-ნოებრივ ერთობით ნაკარნახევი ჩვენს წინააღმდეგ თანხმობრივი მოქმედების შესაძლებლობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს. ამი-ტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ეროვნული გრძნობა შევაგნებინოთ და ამით სრულიად ისლამობის მავნე გავლენა გავაქარწყლოთ.

ყოველ საღს ეროვნებას, თუნდაც ჩამორჩენილს, სტიქიური ეროვნული სიყვარული აქვს. ამ მხრივ კავკასიის მთეულნიც თავი-ანთ სტიქიურ თავისებურებების მოტრფიალენი და დამცველნი არიან. მაგრამ რაკი არც ერთს მათგანს მწერლობა არა აქვს, გა-დაგვარება ადვილად ეპარებათ, ან თურქული სრულიად ისლამო-ბის საშუალებით, ან სხვანაირი, როდესაც ისინი თავიანთ მიწა-წყალს მოსწყდებიან ხოლმე. მაინც და მაინც, სარწმუნოებრივი ერთობა მათ ყველაზე მეტად თურქობასა და ოსმალეთთან აკავში-რებს. ეს კი არც სამართლიანია და, როგორც ვთქვით, პოლიტიკუ-რად ჩვენთვის არც სასურველია. სხვებზე მეტად კავკასიის მთეუ-ლებიდან ტომობრივად ჩვენ ქართველნი ვდგევართ ახლო და წი-ნათ, როგორც ცნობილია, ქართველობას იმოდენი სულიერი, გო-ნებრივი და სამხედრო ძალა შესწევდა, რომ ჰეგემონია უცილობ-ლად ჩვენს წინაპრებს ეპყრათ: ისინი იყვნენ დარიალანისა კარის

მცველნი, მათ ერთმანეთში დამზავებელნი და მათ შორის სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელნი. ქართველი მქადაგებელნი ძველ დროითგანვე მოყოლებული, ოსეთში, დიდოეთში და ლეკეთში მიდიოდნენ და ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ოსურ და სხვა მთეულთა ენებიც ცხადად მოწმობენ, რაოდენად ძლიერი იყო ძველ დროს ქართველთა კულტურული გავლენა.

კავკასიის მთეულთა შორის მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა კულტურული გავლენა გაჰქრა. ჩვენს მაგიერ რუსებმა და ოსმალებმა დაიწყეს იქ მუშაობა, მაგრამ რუსებსაც და ოსმალებსაც მთეულნი მხოლოდ პოლიტიკურად აინტერესებდათ. მათ სურდათ ისინი ეროვნულად გადაეგვარებინათ და თავის მონებად ექციათ: რუსების იდუმალი ზრახვა მთეულთა თანდათანი გარუსება იყო, ოსმალებისა კი მაჰმადიანობის იარაღით მათი გათურქება იყო და არის. რაკი რუსები სარწმუნოებრივი ქადაგებით ვერაფერს გახდნენ და ატყობდნენ რომ ეს საქმეს უფრო ამწვავებდა, ვითომც კულტურულს მოღვაწეობის საშუალებით მათი გარუსება უნდოდათ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა გადააკეთა და უსლარის მიერ ნახმარი ქართული ასოების მაგიერ რუსულის ხმარება დააკანონა. ამგვარადვე, თუმცა უძველესი ოსური საქრისტიანო მღვდელმსახურების წიგნები ქართველებმა სთარგმნეს ოსურად და ქართულ ასოებითვე დაბეჭდეს, მაგრამ ქართული განდევნილი იყო და ამისთვისაც რუსული ანბანი შემოიღეს, იმავდროულად, რომ რუსული ანბანი კავკასიის ენების ბგერითი შემადგენლობისათვის გამოსადეგარი არ არის, ქართულის ღირსება კი ამ მხრივ უკვე ბარ. უსლარმაც აღნიშნა. ოსმალთა წინათ იდუმალი და ამჟამად უკვე ცხადი ქადაგება მაჰმადიანობის სამოსელთან ერთად არაბულ-თურქულ ანბანს ავრცელებს, რომელიც კავკასიის ენების ბგერების გამოსახატავად თუ რუსულ ანბანზე უარესი არა, უკეთესი მაინც და მაინც არ არის. როგორც რუსული ანბანი გამარუსებელ გზად უნდა ყოფილიყო, ისე არაბულ-თურქული ანბანი სრულიად-თურქობის მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება. მაგრამ თუ რუსეთის სამოქალაქო და სამეცნიერო კულტურის არსებობის უარყოფა რასაკვირველია შეუძლებელია, ოსმალეთი კი ამ მხრივ ჩამორჩენილია და უნაყოფო, რომ აქამდისაც თავისთვის საკუთრივაც უმაღლესი სამეცნიერო

ტაძარი (სამკურნალო ფაკულტეტის გარდა) და მეცნიერება ვერ შეუქმნია. ამიტომ, თურქულ გავლენის გაძლიერება იმის გარდა, რომ ჩვენთვის პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს, თვით კავკასიის მთეულების კულტურასაც არაფერს სიკეთეს არ უქადის.

ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. არც რუსების, არც ოსმალთა გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვადგება. მთეულთა ეროვნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს. საამისოდ ჩვენ არც ძალა გვაქვს და თუნდაც რომ ძალა გვქონდეს, მაინც არ უნდა ვიკადროთ. ჩვეულებრივ ამგვარი პოლიტიკაც უფრო უსიამოვნებასა და მტრობას სთესავს, ვიდრე სიყვარულს. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი. რაკი რუსეთმა კულტურული მოღვაწეობის უნარი ვერ გამოიჩინა, ხოლო ოსმალეთს ამგვარი მოღვაწეობა რომც უნდოდეს არ შეუძლიან, ამიტომ ეს დიდი და პასუხსაგები საქმე ქართულმა მეცნიერებამ და ქართველობამ უნდა იკისროს.

ჩვენ, ქართველებმა, ისევ ჩვენ წინაპრების მაგალითს უნდა მივბაძოთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამოქმედო იარაღი დროის შესაფერისად შევცვალოთ. უკვე ძველს დროსვე ქართველი მქადაგებელნი ოსეთში და დაღესტანში შესულან და ქრისტიანობა გაუვრცელებიათ. ამას ოსეთში და ხუნზახში შენახული ქართული ეკლესიების ნანგრევები და ასომთავრული წარწერების ნატეხები ცხად ჰყოფენ. მე-13 ს.-შიც ქართველმა განთქმულმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა გარესჯით ბელაქანში წასულმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა“ (ჟამთააღ. 889, გვ. 731). დასასრულ ჩვენ პოლიტიკურ დაცემის ხანაშიაც, როდესაც საკუთარს დამოუკიდებლობას ვკარგავდით, ჩვენმა მოღვაწეებმა იმოდენი შეიძლეს, რომ ოსებს სამღვდელმსახურო წიგნები ქართულითგან გადაუთარგმნეს და ქართულ ასოებით დაუბეჭდეს. ეს თითქოს პირველი ცდა იყო ოსური მწერლობის შესაქმნელად და ოსურ მწერლობის ენის უძველესი ნიმუშია. მაგრამ უეჭველია, ძველ დროსაც და მე-13 საუკ.-შიაც პიმენ სალოსს უნდა მკვიდრთა დედა ენა სცოდნოდათ და მის ენაზე ექადაგათ.

ამის მსგავსადვე თანამედროვე ქართულმა მეცნიერებამ და ქართველობამ თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა კავკასიის

მთეულთა ენები შეისწავლოს და შემდეგ მათ შორის განათლებისა და ეროვნული შემეცნების შუქი მოჰფინოს. ეს კულტურული მოვალეობა სულერთია, ვინმემ უნდა შეასრულოს იმიტომ, რომ სრულებით ცხადია, რომ თითონ დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრთ თავის საკუთარი ძალით ამის შექმნა არ ძალუძთ.

ხოლო რაკი რუსეთსა და ოსმალეთს მხოლოდ პოლიტიკური, გადამგვარებელი ზრახვები ჰქონდათ და აქვთ, ისინი, როგორც დავრწმუნდით, ამ მიზნისთვის არ გამოდგებიან, ადგილობრივ კავკასიის ერთა შორის კი სხვებზე ჩვენ, ქართველებს, ცხადია, უპირატესობა გვაქვს. ჩვენებურს თურქებს, ე. წ. თათრებს თავიანთთვისაც ვერ მოუვლიათ და საამისო ძალა არც შესწევთ და, თუნდაც შესწევდეთ კიდეც, მათი მოღვაწეობა კავკასიის მთეულთა გათურქებას უფრო შეუწყობს ხოლმე, ვიდრე მათ ეროვნულ გრძნობებისა და მწერლობის აღორძინებას.

სომეხთ აქამდის კავკასიის მთეულთადმი არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ და ამგვარი აზრი ფიქრადაც არ მოსვლიათ. ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ სომხები თავის მოსახლეობით არსად მათ მეზობლად არ ითვლებიან და მათთვის ამ საკითხის იმდენად მწვავე და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ჩვენთვის. მაგრამ თუნდაც რომ სომხებს ამგვარი მოღვაწეობა სდომებოდათ, ვეჭვობ, მათ შრომას რაიმე ნაყოფი გამოეღო. იმ ცხად მტრობისა და შუღლის გამო, რომელიც მათსა და მაჰმადიანთა შორის სუფევს, აგრეთვე იმ პოლიტიკურ მიმართულებისა გამო, რომელსაც სომხები მისდევდნენ და ეხლაც მისდევენ და რომელსაც კავკასიის მთეულნი და დაღესტანი არასდროს ნებაყოფლობით არ შეურიგდება.

ჩვენ, ქართველებს, ამ მხრივ, როგორც ნათქვამი იყო, ბევრი უპირატესობა გვაქვს. ჯერ კიდევ ეხლაც კავკასიის მთეულებს და დაღესტანს კარგად ახსოვს, რომ წარსულში ჩვენ ყველა კავკასიელთა დამზავებელნი და შემაკავშირებელნი ვიყავით, რომ საქართველოს ხელთ იყო მარტო პოლიტიკური კი არა, არამედ კულტურული ჰეგემონია. ეხლაც, თუმცა ჩვენ პოლიტიკურად უძლურნი ვართ, მაგრამ მთელ კავკასიაში მაინც ერთადერთი ერი ვართ, რომელმაც ასე თუ ისე თავის შინაურ წესიერების დაცვაც შესძლო და თავის მეზობლების შემარიგებელი და დამზავებელია, ეხლაც

ყველასათვის ცხადია, რომ კავკასიისა და განსაკუთრებით კავკასიაში ჰეგემონია ქართველების ხელთ არის, – ჯერ ეს ერთი.

მეორეც ისა, რომ კავკასიის მთეულთა და დაღესტნის ენების შესწავლა ჩვენ ქართველთათვის ისედაც საჭიროა, თვით ჩვენი დედაენის ღრმა სამეცნიერო შესწავლისათვისაც აუცილებელია. ამასთანავე ვითარცა მეზობლებს ამ ენების შესწავლა სხვებზე უფრო ადვილად შეგვიძლიან.

მესამეც ისა, რომ თვით ჩვენივე მომავალი კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადამგვარებელი პანთურქული. მაშასადამე, ამ მხრივაც ქართველობისთვის ზემოაღნიშნული საკულტურო შრომის გაწევა უეჭველია მოუხდება, რაკი ჩვენ ქართველებთან მათ კარგი მეზობლური განწყობილება აქვთ და ამასთანავე მათთვისაც ცხადი იქმნება, რომ ჩვენ არც მათი პოლიტიკური ბატონობა გვსურს და მთელი ჩვენი ძალღონითაც მოწადინებულნი ვართ, რომ ისინი ეროვნულს გადაგვარებას გადავარჩინოთ და პირიქით შეძლებისამებრ მათს ეროვნულს აღორძინებას ხელი შევუწყოთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და ჩვენი და მთეულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას.

დასასრულ, თვით ჩვენი ქართული ანბანიც მათ ენების ბგერათა გამოსახატავად, როგორც თავის დროზე უსლარმაც აღნიშნა, სხვა ყველა ანბანზე უკეთესია.

ერთა შორის მჭიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რომ ენის უცოდინრობა ორთავ მხრის მოღვაწეებს საშუალებას არ აძლევს, ერის გულისნადები შეიგნოს და გაიზიაროს და თავისი გულისტკივილი სიღრმემდე აგრძნობინოს. ამიტომაც, ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთეულთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროს.

ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე

სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 და 29 აპრილს პრ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწო. მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა.

„გულუბრყვილო“ საგარეო პოლიტიკის შედეგები

პროფ. ჯავახიშვილი ჯერ ჩვენს ისტორიულ პოლიტიკას შეეხო. იგი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთ-ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში, იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ ევროპიელებთან პოლიტიკის წარმოებაში. ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.

იმპერიალისტური პოლიტიკა რუსეთში დაიწყო პეტრე I დიდის დროს. ჯერ სუეცის არხი არ იყო მაშინ გაყვანილი და ევროპიელები ინდოეთში მიდიოდნენ სავაჭროდ აფრიკის გარშემო. რასაკვირველია, ეს ძალიან შორი გზა იყო, ამისთვის პეტრე პირველმა განიზრახა დაეპყრო სპარსეთი და სპარსეთიდან ინდოეთში გადასულიყო. ეს გზა უფრო მოკლე იყო და ინდოეთის ვაჭრობაც ადვილი ჩასაგდები იყო ხელში. პეტრე დიდის აზრით, უნდა დაარსებულიყო კასპიის ზღვის ნაპირას რამოდენიმე ქალაქი, საცა მოეწყობოდა ინდოეთიდან გამოტანილ საქონლის საწყობი. სპარსეთზე გალაშქრებისათვის პეტრე დიდს დასჭირდა საქართველო. 1721 წელს მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა პეტრე დიდის დესპანი. იგი წარუდგა მეფე ვახტან VI-ეს, დაჰპირდა რუსეთის მფარველო-

ბა, საქართველოს გაერთიანება, დახმარება ჯარით, ფულით, იარაღით და მოუწოდა მას რუსეთთან ერთად სპარსეთისათვის ომი გამოეცხადებინა. ეს გეგმა საერთოდ სპარსეთზე დაცემისა ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ვახტანგ მეექვსე გადახარა მისკენ. მან მოიწვია დარბაზი (პარლამენტი), დარბაზის უმრავლესობა წინააღუდგა მეფის განზრახვას, დარბაზი შესდგებოდა აღმოსავლეთ პოლიტიკაში დახელოვნებულ პირებისაგან და მან გაითვალისწინა ის უბედურება, რომელიც ამით საქართველოს დაატყდებოდა. მეფე არ დაემორჩილა დარბაზის დადგენილებას და პეტრე დიდთან ერთად სპარსეთს ომი გამოუცხადა. ვახტანგმა აიღო განჯა, გადავიდა ყარაბახს, საცა პირობებისამებრ უკვე პეტრე დიდის ლაშქარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომ პეტრე დარუბანდიდან უკან გაბრუნებულიყო. ვახტანგ მეექვსესთვის კი შემოეთვალა: „შენ ნუ შეშინდები, განაგრძე სპარსეთთან ომიო“. ვახტანგი თავისი ჯარით დაბრუნდა უკან და საქართველომ იწვნია სპარსთა შემოსევა, რომელთაც მოსრეს და მოაოხრეს სრულიად აღმოსავლეთ საქართველო. თვით ვახტანგმა მიატოვა თავისი სამეფო და თავისის მახლობლებით გადასახლდა რუსეთს. ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს პირველად რუსეთთან დაახლოვება, მაგრამ ქართველმა მაშინდელმა პოლიტიკოსებმა მაინც ამით ჭკვა ვერ ისწავლეს და ისევ ისე გულუბრყვილონი დარჩნენ პოლიტიკაში.

დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ საქართველო კვლავ წამოდგა, წელში გაიმართა. თეიმურაზ მეფემ მოამზადა ნიადაგი ირაკლი მეორის სახელოვან მეფობისათვის. ირაკლი გენიოსი იყო, როგორც აღმოსავლეთ პოლიტიკაში, ისე სარდლობაში. საქართველო გაძლიერდა, დამყარდა მშვიდობიანობა, ერეკლეს ჰმორჩილობდა განჯა და ერევანი, მთელ ამიერ-კავკასიაში და მის გარედაც კი ირაკლის დიდი გავლენა ჰქონდა და საქართველოს ყველა პატივსა სცემდა. ერეკლეს სწადდა გაერთიანებული საქართველო. აღმოსავლეთ საქართველო, რომელშიაც შედიოდა სხვათა შორის ლორი, ბამბაკი, ყაზახი – უკვე გაერთიანებული იყო. ერევნის ხანს და განჯის ხანს ერეკლისათვის არამც თუ არ უღალატნიათ არც როდის, არამედ მუდამ ერეკლესთან ერთად იბრძოდნენ სპარსელების წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოც გაერთიანებული იყო მეფე სოლომონის მიერ. მხოლოდ სამხრეთი საქართველო ეჭირათ ოსმა-

ლებს და ერეკლეს საზრუნავი იყო როგორმე ეს მხარე ისევ დედა საქართველოსთვის შემოეერთებინა. ამ დროს რუსეთში მეფობდა ეკატერინე მეორე, რომლის დროსაც კვლავ შედგენილ იქმნა პეტრე დიდის მიხედვით გეგმა სპარსეთის და ოსმალეთის დაპყრობისა და ინდოეთთან ვაჭრობის გაჩაღებისა. კიდევ დასჭირდათ საქართველო. ეკატერინის შიკრიკი დაჰპირდა ირაკლის რუსეთის მფარველობა, დახმარება, ჯარი, იარაღი, მხოლოდ ირაკლის უნდა ომი გამოეცხადებინა რუსეთთან ერთად ოსმალეთისათვის. მართლაც თბილისში ჩამოვიდა ასი ბატალიონი[1] რუსის ჯარისა ცნობილ ტოტლებენის წინამძღოლობით და ირაკლიმ გამოუცხადა ომი ოსმალეთს. საქართველოში არ იცოდნენ არც ზარბაზნების ჩამოსხმა, არც მათი მოხმარება. ტოტლებენის ჯარში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა რატიშვილმა და თარხნიშვილმა დაუწყეს ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმისა და მოხმარების სწავლება. სწორეთ ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა მიატოვა ირაკლი, თუმცა ირაკლი ეხვეწა მას, მაგრამ ტოტლებენი წავიდა და მტერს ირაკლი პირში შეატოვა. ირაკლის გენიოსობამ საქართველო იხსნა განსაცდელისაგან. ტოტლებენმა რატიშვილი და სხვა ქართველი ოფიცრები ციხეში ჩასხა და ციმბირში გადაასახლა იმისათვის, რომ მათ ქართველებს ზარბაზნების ხმარება ასწავლეს.

ყველა სახტად დარჩა მოკავშირე რუსეთის ასეთი ქცევით. როგორც საიდუმლო არქივებიდან ირკვევა, რუსეთს სრულიადაც აზრად არა ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო, მაგრამ ამ ვერაგობამ ვერ გაუხილა ქართულ პოლიტიკას თვალები, იგი მაინც გულუბრყვილო დარჩა და ეგონა, რომ ძლიერი უანგაროდ დაეხმარებოდა მაჰმადიანებით გარემოცულ ქრისტიან ერს. 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება დაწე-

[1] კორექტურა: ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ტოტლებინის რაზმის შემადგენლობას: „რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისათვის გენ. გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსან კარაბინერებით, 2 ასეული ცხენოსანი ჰუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 12 საველე ზარბაზნით" (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბილისი, 1998, გვ. 407).

რილია, როგორც ირკვევა, არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით. ამ ტრაქტატის დედნიდან ჰსჩანს, რომ იგი დაწერილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონის სახელი წაშლილია და ტრაქტატიც დაიწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. განზრახული ყოფილა, რომ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწერა იმერეთის მეფე სოლომონსაც, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს საქართველო უკვე გაეყოთ და დასავლეთ საქართველო ოსმალეთისათვის გადაეცა რუსეთს. საერთაშორისო უფლების მცოდნე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ტრაქტატი არის მხოლოდ მოკავშირეების ტრაქტატი და იგი სრულებითაც არა ჰგულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს ტრაქტატი ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს. იმ დროს, როცა ეს ტრაქტატი თბილისში ირჩეოდა, მაშინ აქ იყო აღა-მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი დესპანი. აღა-მაჰმად ხანი სთხოვდა ირაკლის, რომ მას თავი დაენებებინა რუსეთთან დაახლოვებისათვის და ჰპირდებოდა აზერბაიჯანს თავრიზამდე [„საქართველო“, 1919 წლის 4 მაისი].

ირაკლიმ მაინც უარი არა სთქვა და ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა. აღა მაჰმად-ხანმა მოაოხრა თბილისი და თვით ირაკლი თბილისიდან ილტვოდა. ირაკლი თავის დროზედ სთხოვდა რუსეთს, ხელშეკრულება შეესრულებინა და მაშველი ჯარი გამოეგზავნა, მაგრამ ამაოდ. თბილისის მოოხრების შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა ირაკლის კვლავ დესპანი გაუგზავნა, ჰპირდებოდა დანგრეულ ქალაქების აღდგენას, წაყვანილ ტყვეების განთავისუფლებას, ოღონ ირაკლის რუსეთისთვის პირი მოერიდებინა. ირაკლიმ ამაზედ არავითარი პასუხი არ გასცა. ის მაინც შველას ელოდა რუსეთიდან, მაგრამ ამაოდ. ირაკლი ისე გარდაიცვალა, რომ მან ვერ იხილა კვლავ აღდგენილი საქართველო.[1] ირაკლის სიკვდილის შემ-

[1] ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარი ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მისი მამის თეიმურაზ II-ისა და მისი პირადი დაუღალავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამ-

დეგ პეტერბურგში მალე გამოქვეყნდა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი, მაგრამ ამ მანიფესტის გამოქვეყნებას თბილისში ვერა ჰბედავდნენ. მეფე გიორგი მეცამეტესთან პავლე პირველი აწარმოებდა მიწერ-მოწერას დამატებით პუნქტების შესახებ. ხოლო ორი წლის შემდეგ, როცა საქართველოს შეერთების მანიფესტი უკვე გამოქვეყნებული იყო პეტერბურგში, პავლე პირველის დელეგატებმა წამოიღეს ეს მანიფესტი თბილისში, ამ მანიფესტზედ ხელი უნდა მოეწერა გიორგი მეცამეტეს და შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ დელეგატები გზაში იყვნენ, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა. მაშინ საქართველოს ახალ მთავარსარდალმა კნორრინგმა შეკრიბა სიონის ტაძარში ყველა დიდებულნი, უფლისწულნი, დედოფალნი, შემოარტყა ჯარი, წაუკითხა მათ მანიფესტი და მოითხოვა, რომ ყველას ხელი მოეწერა მანიფესტზე, ვინც ხელს არ მოაწერდა, მას დახვრეტდნენ. ბევრი არ შეუშინდა ამას და ხელი არ მოაწერა მანიფესტს. ამგვარად მოხდა „ნებაყოფლობითი" შეერთება საქართველოსი რუსეთთან. ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე.

დამოუკიდებლობის აღდგენა

ას ჩვიდმეტმა წელმა გაიარა და საერთაშორისო განწყობილების წყალობით საქართველოს მონობა კვლავ მოეხსნა. ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა.

რუსეთს ყველაზედ გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, შემდეგ კი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ

ლული, რომ ამით ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა“ (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბილისი, 1998, გვ. 429).

პარტიას სომხები და რუსები, მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცლოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის, ან სომხის მობოლშევიკე ჯარი. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია.

საქართველოს დელეგაციის გამგზავრება პარიზის კონფერენციაზე

დამარცხდა გერმანია და მოკავშირეებიც შემოვიდნენ კავკასიაში. მოკავშირეები მოვიდნენ აქ ჩვენდამი მტრულ განწყობილებით. ისინი ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ჩვენ აქ გერმანელები შემოუშვით. როგორც იყო, ასე თუ ისე მოვაგვარეთ საქმე მოკავშირეებთან და მივიღეთ ნება, რომ ჩვენ დელეგაციას შეეძლო პარიზის კონფერენციაზედ გამგზავრება. წინა დღით გადმოგვცეს, რომ ჩვენს დელეგაციას ბათუმში საგანგებო გემი ელოდება და იქ მალე უნდა გავმგზავრებულიყავით. საჩქაროდ მოვემზადეთ და ბათუმს გავემგზავრეთ, მაგრამ იქ გემი არ დაგვხვედრია. მოკავშირეებმა დაგვარწმუნეს, რომ შეცდომა მოხდა და გემი აქამდის რაღაცა მიზეზის გამო არ ჩამოვიდაო. კვირაზედ მეტი ველოდეთ იმ ჩვენთვის საგანგებოდ გამოგზავნილ გემს, მაგრამ ის გემი დღესაც არ ჩამოსულა ბათომში. სომხების დელეგაცია კი ჩასულის უმალ ნაღმოსნით გაგზავნეს კონსტანტინეპოლში. ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა, ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ბათომიდან გაგვგზავნეს გემით, რომელიც სოლონიკში მიდიოდა. ამ გემს ჩვენ სოლონიკში უნდა წავეყვანეთ. სოლონიკიდან კი ადვილი იყო საფრანგეთში გამგზავრება, მაგრამ ეს გემი უნებლიეთ სტამბოლში გაჩერდა და ჩვენც ქვევით აღარ გაგვიშვეს.

კონსტანტინეპოლში ჩვენი ცხოვრება მაინც სასარგებლოდ აღმოჩნდა. საქართველოში ჩვენ არ ვიცოდით, თუ ქვეყანაზედ რა ამბები ხდებოდა. აქ კი გავიგეთ, რომ მთელი რუსეთი და ევროპა გარშემორტყმულია მოკავშირეების მიერ. საფრანგეთის გარეშე

საქმეთა სამინისტროს ნება დაურთველათ არავის არსათ უშვებენ: ბელგიელს ბელგიაში წასვლა არ შეუძლიან, დანიელს დანიაში, ისპანიელს ისპანიაში და სხვა. წერილებზე სასტიკი ცენზურაა, რომელიც ომის დროსაც კი არ იყო. თუმცა ამ გარშემორტყმას მოკავშირეები ხსნიან ბოლშევიზმის გავრცელების შიშით, მაგრამ გარშემორტყმულნი არიან ის სახელმწიფოებიც კი, საცა სრულებითაც არ არის ბოლშევიზმი, ნეიტრალური სახელმწიფოებიც კი განიცდიან ამ გარშემორტყმას. ნეიტრალობაც კი მოკავშირეებს საეჭვოდ მიაჩნიათ. საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორე გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადაიხარა. სტამბოლში ჩასვლისას მოკავშირეთა ჟანდარმერიამ დაარღვია ჩვენ დელეგატთა ელემენტარული უფლება ხელშეუხებლობისა: დაიწყეს გამოკითხვა რომელი დელეგატი რა პარტიას ემხრობოდა, რა აზრისა იყო ამ მსოფლიო ომზედ. საზოგადოთ საქართველოს დელეგაციას კარგი თვალით არ უყურებდნენ. მოკავშირენი საქართველოს სთვლიდნენ გერმანიის მოკავშირედ, ამავე დროს კი სომხეთს ისინი თავიანთ მოკავშირეთა სთვლიდნენ და საკმარისი იყო გქონოდათ მოწმობა, რომ თქვენ სომხეთის ქვეშევრდომი ხართ და თავისუფლათ შეგეძლოთ შესვლა და გამოსვლა კონსტანტინეპოლიდან. სომხეთს დიდი უპირატესობანი ჰქონდა მინიჭებული: თვით მუსულმანებს, სპარსელებს და ოსმალებს არ უშვებდნენ სტამბოლში, თუ მათ სომხის პარტრიარქიდან არ ექნებოდათ მოწმობა, რომ ამისა და ამ მუსულმანს სომხების ჟლეტაში მონაწილეობა არ მიუღია. სომხებმა, საზოგადოდ, გამოიჩინეს დიდი უნარი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში საზოგადოებრივ აზრის სომხეთის სასარგებლოდ შემუშავებისა. მარტო სტამბოლში გამოდის ხუთი სომხური გაზეთი და ორიც ფრანგული, რომელსაც სომხები მეთაურობენ. საქართველოს დელეგაციის იქ ყოფნის დროს ამ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილები იწერებოდა საქართველოს წინააღმდეგ. ჯერ წერილი დაიბეჭდებოდა ხოლმე სომხურ გაზეთებში, შემდეგ ის განმეორდება ფრანგულში.

სომხეთის პოლიტიკოსთა პრეტენზიები

სომხების საქართველოსადმი ზიზღი პირდაპირ საკვირველია. რა ჭორი, რა ცილისწამება არ იბეჭდებოდა ამ გაზეთებში. სხვა და სხვანაირად იმეორებდნენ იმ აზრს, რომ საქართველო კიდევ ომის წინად პირობით შეეკრა გერმანიას, რომ ქართველები ხელს შეუწყობენ რუსეთის დანგრევას და სამაგიეროდ მიიღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. მართლაც ქართველებმა დაანგრიეს რუსეთი, შეასუსტეს ამით მოკავშირეები და სამაგიეროთ მიიღეს დამოუკიდებლობა. ჩვენ საზოგადო მოღვაწეთ მასხარათ იგდებდნენ, ჟორდანიას, ჩხენკელს და სხვა მინისტრების სახელს უეჭველად ოსმალურ სახელებს უმატებდნენ, ესე მაგ., სწერდნენ ენვერ-გიორგაძემ ესა და ეს სისაძაგლე ჩაიდინა სომხების წინააღმდეგაო. სომეხ-ქართველთა ომს ისინი აბრალებდნენ ქართველებს, ქართველებმა ასტეხეს ეს ომიო. ამ ომში სომხის ძლევა-მოსილმა მხედრობამ სასტიკად დაამარცხა ქართველებიო და მოკავშირეები რომ არ ჩარეულიყვნენ, ჩვენი მხედრობა სომხეთის ქალაქს თბილისს აიღებდაო.

ქართველებს აბრალებდნენ ღალატს. მხოლოდ საქართველოს ღალატმა გერმანია მოიყვანა ამიერკავკასიაშიო. ქართველებს რომ სომხებისათვის მხარი მიეცათ, გერმანელები ვერ გაბედავდნენ კავკასიაში მისვლასაო. ჩვენი დელეგაციის წევრნი სტამბოლში რომელ დაწესებულებაშიც კი არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: „როგორ შეუშვით გერმანელები საქართველოშიო“. რა მოსაზრებანიც კი არ უნდა მოეყვანათ ჩვენ დელეგატებს გერმანელების ჩამოსვლის შესახებ, ისინი მაინც თავისას იმეორებდნენ, არ უნდა შეგეშვათ გერმანელებიო [„საქართველო“, 1919 წლის 7 მაისი].

ძალიან საძაგელი წერილები დაიბეჭდა იმ დროს გენ. ოდიშელიძეზე.[1] მას აბრალებდენ, რომ მან ოსმალეთიდან აიღო ქრთამი

[1] მაგალითად, კონსტანტინეპოლის გაზეთ „სტამბულს“ მოჰყავდა შემდეგი ამონაწერი სომხურ გაზეთ „ჯაგათამარი“-დან, რომელიც ასევე კონსტანტინეპოლში გამოდიოდა: ... საქართველოს პოლიტიკურმა აგენტებმა მსოფლიო ომის დაწყებისას შესძლეს დაედოთ გერმანიის მთავრობასთან საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალით გერმანიას, თუ რუსეთი დამარცხდებოდა, უნდა აეძულებინა ეს უკანასკნელი, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

და აზრუმი და ყარსი უბრძოლველად გადასცა ოსმალეთს. ეს სისაძაგლე ვერ მოითმინა ოდიშელიძემ და მან დასაბუთებული წერილი დაბეჭდა გაზეთში, საცა ამტკიცებდა აზრუმის და ყარსის დაკარგვაში თვით სომხები არიან დამნაშავენიო: ჯერ მტერი არც კი მოახლოვებოდა აზრუმს, რომ სომხის ჯარისკაცები გაიქცნენ იქიდან. მათ ღენერალ ანდრანიკს უნდოდა ისინი შეეჩერებინა, მაგრამ ჯარის კაცებმა დასჭრეს იგი და აზრუმს თავი მიანებეს. ესევე ამბავი ყარსში დატრიალდა. ამის შემდეგ სომხებმა თავი გაანებეს ასეთ ამბებზე წერას, შემდეგ საზოგადოდ საქართველოს წინააღმდეგ იწყეს წერა. სომხები აბრალებდნენ ქართველებს, რომ მათ შეკრეს ყველა გზები და სომხეთში არ უშვებენ არავითარ სანოვაგეს, არც მედიკამენტებს და ხელს უწყობენ სომეხთა ამოჟლეტას. ქართველები გამოქცეულებს სასტიკათ ეპყრობიან და ჟლეტენ მათ. ერთი სიტყვით, არავითარი სისაძაგლე არ დარჩა, რაც სომხებს ქართველებისათვის არ მიეწერნათ. ამავე დროს, სომხები გამოდიოდნენ ქომაგად ყველა დაჩაგრულ ერისა. მაგალითად დაბეჭდილი იყო წერილი აბხაზეთზე – წერილი ჰღაღადებდა: „ქართველები ჟლეტავენ და ავიწროვებენ პატარა თავისუფლების მოყვარე ერს აფხაზებს. მხოლოდ სომხები ეხმარებიან მათ და სცდილობენ, იხსნან ისინი ქართველების მტარვალობისაგან. ამ გაზეთების აზრით, ერთად-ერთი ერი, რომელზედაც შეიძლება დაემყარნენ მო-

---

გამორკვეულია, თუ როგორ იქნა შესრულებული ეს ხელშეკრულება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ. იმ დროს, როცა სომხური ჯარები გმირულ წინააღმდეგობას უწევდენ მტერს კავკასიის ფრონტზე, ქართველები, მოქმედებენ კულისებს იქით, რომ შეეფერხებინათ და ხელი შეეშალათ სომხების წინააღმდეგობისათვის. ისინი ეჩქაროდენ, შეეწყვიტათ ოსმალეთთან მტრული მოქმედებანი, რომ საიდუმლო ხელშეკრულება სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი. ცნობილია ყოფა-ქცევა ქართველი გენერლის ოდიშელიძისა, რომელიც მაშინ ერზრუმს უფროსობდა, თფილისში მყოფ სამხედრო კომიტეტის განკარგულებათა წინააღმდეგ და წინააღმდეგ სომხების გენერლებისა, რომლებმაც გადასწყვიტეს, გაეგრძელებინათ წინააღმდეგობის გაწევა. ოდიშელიძემ აიძულა, დაეცალათ ერზრუმი მაშინ, როცა არაფერი არ ამართლებდა ამ გადაწყვეტილებას. ერზრუმის დატოვებით ოსმალურ ჯარებს გზა გაეხსნათ კავკასიაში თავისუფლად შესასვლელად. ამისდა მიუხედავათ, სომხები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გენ. ნაზარბეკოვი, მტკიცედ განაგრძობდენ წინააღმდეგობის გაწევას კარაკლისთან მომხდარ ბრძოლამდე, რომელმაც ცოტათ თუ ბევრათ დაასუსტა ოსმალთა შემოტევა“ („შრომა“, 1919 წლის 21 თებერვალი).

კავშირენი, არიან სომხები, რომ მხოლოდ სომხები იყვნენ და არიან ინგლის-საფრანგეთის მოკავშირენი და, როგორც ასეთებს, მხოლოდ მათ აქვთ უფლება, დაშვებულ იყვნენ საზავო კონფერენციაზედ. ამავე დროს გამოქვეყნდა ის ტერიტორიალური მოთხოვნილებანი, რომელიც წარუდგინა სომხების დელეგაციის თავმჯდომარემ ნუბარ-ფაშამ პარიზის კონფერენციას. სტამბოლის გაზეთებში და თბილისის გაზეთებშიც ეს მოთხოვნილებანი სისწორით არ იყო მოყვანილი.[1] მალე სტამბოლში მივიღეთ ინგლისურ-ფრანგული გაზეთები და იქიდან გავიგეთ აშკარად თუ რა მოუთხოვნია ნუბარ-ფაშას. მხოლოდ მაშინ მივხვდით, თუ ასეთის გაშმაგებით რათ ებრძოდენ საქართველოს სომხები. სომხებს უნდოდათ, რომ კონფერენციაზედ ქართველები არ ყოფილიყვნენ, რათა სომეხთა ტერიტორიულ მოთხოვნილებისათვის კრიტიკა არავის გაეწია. სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები კი ძალიან გადაჭარბებული იყო. ინგლისის გაზეთებში დაიბეჭდა რუქა იმ ტერიტორიისა, რომელსაც ნუბარ-ფაშა მოითხოვდა. ეს რუქა შემდეგ დაიბეჭდა ფრანგულად სხვა და სხვა საღებავებით. სომხების დელეგაცია სომხეთის უდავო ტერიტორიად სთვლიდა იმ ადგილებსაც კი, რომელნიც სომხეთს არც როდის არა სჭერია. მაგალითად, თბილისი, მცხეთა, ბათუმი ნუბარ ფაშას აზრით უდავო კუთვნილებაა სომხეთისა, სომხეთს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია: აღმოსავლეთიდან სომხეთი ისაზღვრება კასპიის ზღვით, ბაქოც სომხეთში შედის. ჩრდილოეთიდან სომხეთის საზღვარი გადმოდის განჯის და თბილისის გუბერნიებზედ, ასდევს მტკვრის ხეობას, ისე კი რომ რკინის გზის ლიანდაგი სომხეთში რჩება, გადადის ახალციხეზედ

[1] მაგალითად, გაზეთი „შრომა“ სომხეთის მიერ მოთხოვნილი საზღვრების შესახებ საქართველოსთან მიმართებაში აღნიშნავდა: „საქართველო-სომხეთს შორის საზღვარი დაწესდა ტრაპიზონის-ერზერუმის ნავთსადგურის და ბათომს შუა, რომელიც (ე. ი. ბათუმი) დარჩება საქართველოსთვის ზღვაზე გასასვლელ პუნქტად. ისტორიულ თვალსაზრისით სომხებს არ აქვთ უფლება ტრაპიზონზე, მაგრამ ის ვიწრო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ამ ქალაქის ჩრდილოეთით, არის შემაერთებელი ჯაჭვი ზღვასთან და ეს იქნება ეკონომიკური საზღვარი, რომლის სომხეთისათვის მინიჭებაზე უარს არ იტყვის არც ერთი მიუდგომელი კომისია. შავი ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის საზღვარი სომხეთისა წავა აღმოსავლეთით – შეიერთებს არტაანს, ალექსანდროპოლს – ერევნის გუბერნიის ახლანდელ საზღვრამდე, სადაც სჭარბობს სომხობა“ („შრომა“, 1919 წლის 21 თებერვალი).

და ჩადის ბათომში. სამხრეთით თითქმის მთელი ჩრდილო სპარსეთი ქალაქ თავრიზით შედის სომხეთში. მცირე აზიის დიდი ნაწილი და კილიკიაც სომხეთის ნაწილებს შეადგენენ. ერთი სიტყვით, სომხებს ძალიან დიდი იმპერიალისტური მადა გამოუჩნდათ. სომხები ქართველებსა სწამებდნენ იმპერიალისტობას და იმპერიალისტობაში მათ ყველაფერს გადააჭარბეს. ამ მოთხოვნილებამ საფრანგეთის პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სომხებისადმი კარგად განწყობილი ფრანგული გაზეთები ურჩევდნენ, რომ სომხებს შეემცირებინათ თავიანთი მოთხოვნილებანი. ფრანგული გაზეთები აშკარად სწერდნენ, რომ ისინი კილიკიას ცოცხალი თავით სომხებს არ დაუთმობენ. ინგლისური გაზეთებიც სწერდნენ, რომ მესოპოტამიას ინგლისი არ დაუთმობს სომხებს. როგორც გამოირკვა 1916 წლის ხელშეკრულობით ოსმალეთი უკვე განაწილებული ყოფილა მოკავშირეთა შორის და კილიკია შეხვედრია საფრანგეთს, მესოპოტამია კი ინგლისს. ამან გამოიწვია ინგლის-სომხეთის და საფრანგეთ-სომხეთის დამოკიდებულობის გაცივება. სომხებს მოუსპეს ყველა უპირატესობანი. სტამბოლის სომხურ-ფრანგული გაზეთები ამის შესახებ სდუმდნენ. მაგრამ სომხებს იარაღი არ დაუყრიათ და თავის მფარველად მათ გამოაცხადეს ამერიკა. მხოლოდ სომხები ისე მოიქცნენ, რომ ამერიკის მფარველობა თითონ კი არ წამოაყენეს, არამედ ბერძნებს წამოაყენებინეს საზავო კონფერენციაზედ, მაგრამ ამ წინადადებამ დიდი აურზაური გამოიწვია. სომხეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზედ არ დაუშვეს მიუხედავად იმისა, რომ მთელი დედამიწის ზურგიდან საზავო კონფერენციას მისდიოდა აუარებელი დეპეშები, რომელნიც მოითხოვდნენ სომხეთის დელეგაციის დაშვებას.

საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს

საზავო კონფერენციაზედ ჯერ არ წამოუყენებიათ ისეთი საკითხები, რის გადაჭრაშიც საჭირო ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის დასწრება. საქართველომ იმით არაფერი წააგო, რომ კონფერენციაზედ დროზედ არ გაუშვეს. საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის. თუმცა საფრანგეთს სურდა ძველი რუსეთის აღ-

დგენა, რომ მას გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირე ჰყოლოდა, მაგრამ თითონაც დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. ინგლისს ძალიან ეშინიან, რომ კვლავ მოღონიერებულ რუსეთმა ინდოეთისაკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს. მაშასადამე, ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ მოელის. საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს, და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი. საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერთად ერთი საზღვარი, რომელიც ღიაა, ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება დასჭირდება. მშვენიერი საზღვრების გამო საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა, საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა. ჩვენ სამშობლოს რამდენიმე ათეული საუკუნე უცხოვრია, ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, მაგრამ იგი ისევ ისე სდგას, როგორც სალი კლდე, მაშინ როცა მის დამპყრობი სახელმწიფონი დაშლილან, განადგურებულან და ბევრი მათგანი სრულებით აღგვილან დედამიწის ზურგიდან.

ამ გვარად ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს [„საქართველო", 1919 წლის 8 მაისი].

გ. ბ.

თავი 7. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების შესახებ



7.1. ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი)

1918 წლის ბოლო უაღრესად რთული აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში. ერთი მხრივ, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება მნიშვნელოვანი შეღავათი იყო საქართველოსთვის და მის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობას ქმნიდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანიის დამარცხების შედეგად საქართველომ დაკარგა სტრატეგიული მოკავშირე და დამოუკიდებლობის გარანტი ქვეყანა.

ამიერკავკასიაში ოსმალეთისა და გერმანიის ნაცვლად გამარჯვებული ანტანტის ქვეყნები, კონკრეტულად კი, დიდი ბრიტანეთი შემოდიოდა, რომლის საოკუპაციო ზონად და გავლენის სფეროდ განისაზღვრა აღნიშნული რეგიონი. თავიდან ძნელი სათქმელი იყო, რას მოიმოქმედებდნენ ამიერკავკასიაში შემოსული ინგლისელები და რა დამოკიდებულება ექნებოდათ საქართველოსთან, რომელიც გერმანიის მოკავშირედ აღიქმებოდა.

სწორედ ამ პერიოდში უაღრესად გამწვავდა საქართველოს ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან. დაშნაკთა მთავრობამ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა და სამხედრო მოქმედებაზეც გადავიდა. დრო ამისთვის ხელსაყრელად მიიჩნიეს. ანტანტის სიმპათიები ოსმალებისგან დაზარალებული სომხებისკენ იყო. შესაბამისად, საქართველოსთან დაპირისპირებაში ანტანტის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ.

სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები და თავდასხმა საქართველოში უაღრესად მტკივნეულად აღიქვეს. ასეთ რამეს არ მოელოდნენ მეზობელი ქვეყნისგან, რომელსაც ძნელბედობის დროს ყოველთვის გვერდში ედგნენ და დახმარებას უწევდნენ.

ივანე ჯავახიშვილს არ უყვარდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების საჯარო კომენტირება და თავისი პოზიციის გამოხატვა, მაგრამ ამჯერად, საქართველო-სომხეთის ომთან დაკავშირებით, მან ორი საჯარო ლექცია წაიკითხა: ერთი – 18 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **„ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა“,** მეორე კი – 22 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კლუბში **„საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“.**

ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული აღნიშნული ლექციების შესახებ მოკლე საგაზეთო ცნობები მოგვეპოვება. გამოქვეყნებულია ასევე თავად ლექციების შინაარსის მოკლე საგაზეთო ანგარიშებიც. 18 დეკემბრის ლექციის შესახებ ინფორმაცია 1918 წლის 20 დეკემბერს გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველომ“ სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია“.[1] 22 დეკემბერს წაკითხული ლექციის შინაარსი კი 25 დეკემბერს გამოაქვეყნა „სახალხო საქმემ“ იმავე სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია“.[2] ეს მასალა 27 დეკემბერს გადაბეჭდა ქუთაისში გამომავალმა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთმა „ხალხის მეგობარმა“ სათაურით „სომხეთის საზღვრები“.[3]

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ლექციების საგაზეთო ანგარიშები საინტერესო დოკუმენტებია და მათ ყურადღება უნდა მიექცეს ცნობილი მეცნიერის იდეური მემკვიდრეობის შესწავლის დროს. 1918 წლის დეკემბერში წაკითხული საჯარო ლექციებისთვის მომზადებული მასალები ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანა-

---

[1] ელპარიძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია, გაზ. „საქართველო“, ქრისტეშობისთვის 20, 1918 წ., № 244, გვ. 3.

[2] პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია , გაზ. „სახალხო საქმე“, 25 დეკემბერი 1918 წ.,

[3] სომხეთის საზღვრები – გაზ. „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, № გვ. 4.

მედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც 1919 წლის იანვარ-მარტში დაწერა.

საქართველოს სამხრეთი საზღვრის თემას ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც დაუბრუნდა, სომხეთის მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიების გამო. ამაზე მეტყველებს ივანე ჯავახიშვილის მიერ 1925 წელს მომზადებული მოხსენებითი ბარათი.[1] მასში 1918 და 1919 წლების ტექსტებთან შედარებით უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი როგორც საკითხის ისტორია, ისე მოვლენათა შემდგომი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 18 დეკემბერს წაკითხული ლექცია

18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ივანე ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში წაიკითხა „რიგს გარეშენ ლექცია „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა“.

მოკლე საგაზეთო წერილის მიხედვით ძნელია, ვიმსჯელოთ ლექციის სრულ შინაარსზე, რომლისთვისაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ივანე ჯავახიშვილი მისთვის დამახასიათებელი აკადემიური კეთილსინდისიერებით მოემზადა. მაგალითად, ვერაფერს ვიტყვით ლექციის შესავალ ნაწილზე, რომლის თაობაზეც გაზეთის კორესპონდენტი მოკლედ აღნიშნავს: „პატივცემულმა პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა“.

ივანე ჯავახიშვილმა თავის ლექციაში, პირველ რიგში, დაასაბუთა, რომ ტყუილია არგუმენტი, თითქოს ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი სომხეთთან იყო ეკონომიკურად დაკავშირებული. მისი თქმით, პირიქით, ეს კუთხეები მჭიდროდ არიან ეკონომიკურად დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან.

---

[1] ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი უსათაუროა და ის პირობითი სათაურით იქნა გამოქვეყნებული: ივანე ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ვახტანგ გურულმა, ავთანდილ არაბულმა და მერაბ ვაჩნაძემ. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1998.

ამასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა აღნიშნული კუთხეების ისტორიულად საქართველოს კუთვნილება და ჩვენი ქვეყნისთვის მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. მისი თქმით, „თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც“.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ერთადერთი საფუძველი, რასაც სომხეთის მოთხოვნა შეიძლება ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობა გაჩნდა რუსეთის ბატონობის პერიოდში და ამასთან, „რეალური მოსახლეობა“ არაა იმის საბუთი, რომ ეს ტერიტორია სომხეთს მიეკუთვნოს.

ივანე ჯავახიშვილი შემდეგ ცდილობს იმ „ილუზიების“ უარყოფას, რომელიც გავრცელებული იყო „ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფებში“ და იმდროინდელ ქართულ პოლიტიკაში გამოიყენებოდა. ასეთი იყო ხშირად გაჟღერებული მოსაზრება, რომ „საქართველოსა და სომხეთს შორის ომი არასდროს ყოფილა“ და რომ კონფლიქტი ადვილად მოგვარდებოდა „სამშვიდობო კონფერენციის“ გამართვით. ჯავახიშვილის თქმით, წარსულში არაერთხელ ყოფილა ომი საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც შეეხება სამშვიდობო კონფერენციას, მის იმედად ყოფნა და ომის დაწყების ფაქტის უარყოფა სახიფათო იყო ქვეყნისათვის.

18 დეკემბერს, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა ქართულ უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა, ომი საქართველოსთვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. სომხეთის ჯარი წინ მოიწევდა და ძნელი სათქმელი იყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შეძლებდა თუ არა მოლაპარაკებებსა და „მეგობრული განწყობის განმტკიცებაზე“ ორიენტირებული საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, რომლითაც დაამთავრა ლექცია: „საქართველოს არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ თუ ვინიცობაა, გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებს“.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 22 დეკემბერს წაკითხული ლექცია

ივანე ჯავახიშვილმა სომხეთ-საქართველოს საზღვრის შესახებ კიდევ ერთი ლექცია კვირას, 22 დეკემბერს, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ კლუბში წაიკითხა. ლექცია, როგორც ჩანს, ფედერალისტთა თხოვნით დაიგეგმა. დასწრება ფასიანი იყო და შეგროვილი თანხა სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმს გადაერიცხა.

აღნიშნული ლექციის შესახებ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა. პირველი განცხადება 21 დეკემბერს გამოქვეყნდა, როდესაც ახალი ამბების რუბრიკაში განთავსდა მოკლე ინფორმაცია **„პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ლექცია“:**

> კვირას, დეკემბრის 22 დღის 12 საათზე სოც-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი სამი მანეთი. მოწაფეთათვის ერთი მანეთი. შემოსავალი სოც-ფედერ. მებრძოლ რაზმის სასარგებლოდ გადაირიცხება.[1]

იგივე განცხადება გამეორდა „სახალხო საქმის“ 22 დეკემბრის ნომერში, მე-3 გვერდზე. გაზეთის იმავე ნომერში ივანე ჯავახიშვილის ლექციის შესახებ კიდევ ერთი მოკლე ინფორმაციაა გამოქვეყნებული, ოდნავ განსხვავებული შინაარსით:

> კვირას, დეკემბრის 22-ს, შუადღის 12 საათზე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ კლუბში (სემინარიის ყოფილი შენობა) პროფ. ივანე ჯავახიშვილი წაი-

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, № 413, 21 დეკემბერი, 1918 წელი, გვ. 1. იგივე გაზეთის იმავე ნომრის შიდა გვერდზე გამოქვეყნებულია ამ განცხადების განსხვავებული ვერსია – ლექციის სათაურად 18 დეკემბერს წაკითხული ლექციის სათაურია დასახელებული: „კვირას დეკემბრის 22 დღის 12 ს. პროფესორი ივ. ჯავახიშვილი კითხულობს ლექციას პარტიულ კლუბში ლორის-მელიქოვის ქ. № 1, შემდეგ თემაზე: ქართველ სომეხთა სადავო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა. შესვლა არა წევრთათ შეუძლიან. ფასები მოწ. 1 დანარ. 3 მ.“ 22 დეკემბერს დანიშნული ლექციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველომაც“ („საქართველო“, ქრისტეშობისთვის 22, № 246, გვ. 2).

> კითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი 1 მან. 3 მანეთამდე.[1]

„სახალხო საქმის“ 24 დეკემბრის ნომერში, ახალი ამბების რუბრიკაში, გამოქვეყნებულია ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექციის შესახებ:

> **პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა** სოც.-ფედერალისტთა კლუბში კვირას, დეკემბრის 22, წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო და აუარებელი ხალხი დაესწრო. დაწვრილებით ხვალ.[2]

25 დეკემბერს „სახალხო საქმემ“ მართლაც გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის ლექციის მოკლე შინაარსი სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია“.[3] ქუთაისში გამომავალ ფედერალისტთა გაზეთ „ხალხის მეგობარში“ 27 დეკემბერს გადაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ლექციის „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული შინაარსი მოკლე სათაურით „სომხეთის საზღვრები“. სტატია იწყებოდა ფრაზით: „თფილისში პრ. ჯავახიშვილმა ლექცია წაიკითხა, რომლის შინაარსი ასეთია“.[4]

ამ საგაზეთო ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივანე ჯავახიშვილის მიერ 22 დეკემბერს წაკითხული მეორე ლექცია შინაარსობრივად ბევრად ჰგავდა 18 დეკემბერს უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციას, თუმცა ცხადია, მის ასლს არ წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილმა 22 დეკემბრის ლექცია დაიწყო ისტორიული მიმოხილვით, რათა გაეფანტა საზოგადოებაში „ძალიან გავრცელებული“ ილუზია იმის თაობაზე, რომ „სომეხ-ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვა“. ასეთი ილუზია ხელს უშლიდა ეროვნული ენერგიის მობილიზებას თავდასხმის მოსაგერიელებლად. 22 დე-

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, № 414, 22 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 3.
[2] გაზ. „სახალხო საქმე“, № 415, 24 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 2.
[3] გაზ. „სახალხო საქმე“, № 416, 25 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 2-3.
[4] „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, № გვ. 4.

კემბრისთვის საომარი მოქმედებები საქართველოსთვის კვლავ წარუმატებლად მიმდინარეობდა, 9 დეკემბრიდან ქართული ნაწილები უკან იხევდნენ. 19 დეკემბერს დაშნაკთა ნაწილებმა შულავერი დაიკავეს, 22 დეკემბერს კი – სადახლო.

ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ წარსულში ქართველებსა და სომხებს შორის სულ ცოტა სამჯერ მაინც იყო ომი ჯავახეთისა და ლორესთვის. მე-10 საუკუნის ბოლოდან ეს ტერიტორიები საქართველოს უდავო ნაწილად იქცა. ჯავახიშვილის თქმით, საქართველოსთვის ამ მხარეებს „უდიდესი ეკონომიური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“.

ივანე ჯავახიშვილმა კვლავ აღნიშნა, რომ ეს მხარეები გეოგრაფიულად და ეკონომიურად საქართველოსთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამ მხარეებს პირველებს უხდებოდათ საქართველოზე მტრის შემოტევის მოგერიება. სწორედ ამიტომ ლორეს მხარე „მოწინავე სადროშოდ“ იწოდებოდა, ხოლო ჯავახეთი „წინმბრძოლთა დროშად“.

ამ მხარეებთან მიმართებით, ივანე ჯავახიშვილის თქმით, სრულიად გამოუსადეგარია „ეთნოგრაფიულ პრინციპთან“ აპელირება, რასაც სომხური მხარე ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, სომხური მოსახლეობა ამ ადგილებში გაჩნდა ქართველი მაჰმადიანების გასახლების შემდეგ, ან სადაც ხალხი მტრისგან განადგურდა. „სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ – საფრანგეთი ჩვენიაო“, – აღნიშნა ივანე ჯავახიშვილმა.

ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ჯავახეთი და ბორჩალო „კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა – სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის“. მისი თქმით, ამ კუთხეებს „საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა სურს და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან საზღვრავენ ჩვენს ქვეყანას“.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წ. დეკემბერში წაკითხული საჯარო ლექციები და ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ

1918 წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით წაკითხული ორი ლექციისთვის მომზადებული მასალები ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა საქართველოს საზღვრების შესახებ ნაშრომის დაწერის დროს. ამ ნაშრომზე ივანე ჯავახიშვილი 1919 წლის იანვარ-მარტში მუშაობდა.

სომხეთ-საქართველოს საზღვრის საკითხს ივანე ჯავახიშვილი ეხება დასახელებული ნაშრომის მე-5 თავის ოთხ ქვეთავში (მე-5, 6, 7, 8) და ბოლოსიტყვაობაში. მე-5 ქვეთავში საუბარია რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შეერთებასა და იქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლაზე, მე-6 ქვეთავში განხილულია, თუ როგორ სცადეს, 1913 წელს შეექმნათ „სომხური გუბერნია“ და ახალქალაქის მაზრა გუმბრთან და ერევანთან მიეერთებინათ. თუმცა რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ შექმნილმა კომისიამ ახალქალაქის მაზრის ჩამოშორება თბილისის გუბერნიისაგან ეკონომიკური თვალსაზრისით შეუძლებლად მიიჩნია. მე-7 ქვეთავში ივანე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთის მჭიდრო ეკონომიკური კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

ამ სამ ქვეთავში წარმოდგენილი მასალა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანწილად გამოყენებული იყო 1918 წლის დეკემბერში წაკითხულ ორ საჯარო ლექციაში. რაც შეეხება მე-8 ქვეთავს და ბოლოსიტყვაობას, ნაშრომის ეს ნაწილი დეკემბერში წაკითხული ლექციების შინაარსის გაღრმავება უნდა იყოს.

მე-8 ქვეთავის სათაურია „როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას“. ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად გამორიცხავდა ახალქალაქის მაზრის სომხეთისთვის გადაცემის შესაძლებლობას. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სომხების ჯავახეთში დასახლება დროებით მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული და იქ მცხოვრები სომხები, როგორც კი „სომეხთათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა“, თავის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებს უნდა დაბრუნებოდა. ჯავახეთში კი ოსმალეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანები უნდა დაბრუნებულიყ-

ვნენ. ამით „სამართლიანობა აღდგენილი იქნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება“.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ამ წიგნზე მუშაობას ამთავრებდა, ვარაუდობდა, რომ დგებოდა ხელსაყრელი პირობები „ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობის“ სამშობლოში დასაბრუნებლად. თუმცა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხა.

ივანა ჯავახიშვილის მიერ სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის და ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომის „საქართველოს საზღვრები“ ბოლოსიტყვაობა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაშნაკთა მიზანი მხოლოდ ჯავახეთისა და ბორჩალოს დაკავებით არ შემოიფარგლებოდა:

> „.. ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც“.[1]

ფაქტობრივად, დაშნაკთა ტერიტორიული პრეტენზიების მაქსიმუმის რეალიზება საქართველოს სახელმწიფოს განადგურებას ნიშნავდა. ივანე ჯავახიშვილი არ გამორიცხავდა სომხეთის ახალი თავდასხმის შესაძლებლობასაც:

> თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 50-51.

ზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა, თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს.[1]

ივანე ჯავახიშვილი მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას, საქართველოს საზღვრების დადგენისას ეხელმძღვანელა სახელმწიფოებრივი ინტერესებით და საზღვრების მოხაზულობისთვის სამხედრო თვალსაზრისითაც შეეხედათ. „სახელმწიფოს სამზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი და სასაცილოდ მიაჩნდა სომეხთა მმართველი წრეების მოთხოვნა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ამ უკანასკნელთ საზღვრების დადგენისას მხოლოდ ეთნოგრაფიული პრინციპით ეხელმძღვანელათ. ეს იმ დროს, როდესაც სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვისას ისინი სრულიადაც არ ემყარებოდნენ ეთნოგრაფიულ პრინციპს. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი ირონიულად შენიშნავდა:

„რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდა მიუხედავად, ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბად ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს, ყოველგვარ თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 51.

საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობ-
დნენ და თავიანთ რესპუბლიკის სამზღვრებში სომხებზე
უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოც-
ნებობდენ, ეს იმპერიალისტობა კი არ არის, არამედ
უაღრესი დემოკრატობაა".[1]

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ეთნოგრაფიულ პრინციპზე საუ-ბარი გამოუსადეგარი იყო, რადგანაც სომხები ჩამოსახლდნენ „ჩვენს ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰ-მადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისგან განადგურდა".[2]

ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ არარატის რესპუბლიკის მთავრობამ მოულოდნელი თავდასხმით ქართველობას თავისდა უნებურად დიდი სამსახური გაუწია და „მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს". მეზობ-ლური ძმობა-ერთობა ივანე ჯავახიშვილს სრულიადაც არ მიაჩნდა უმნიშვნელო რამედ, როგორც უკვე ითქვა, ამისთვის შესაძლებ-ლად მიაჩნდა გარკვეული სასაზღვრო ტერიტორიების დათმობაც, მაგრამ როდესაც ძმობა-ერთობაზე ლაპარაკი მხოლოდ ნიღბავდა აგრესიულ ზრახვებს და თავდასხმისათვის მზადებას, ამით თავის მოტყუება დიდი შეცდომა იქნებოდა.

დასკვნა

დეკემბერში წაკითხულ ორ საჯარო ლექციასა და საქართვე-ლოს საზღვრებთან დაკავშირებულ წიგნში ივანე ჯავახიშვილის მიერ გადმოცემული დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამო-ვაყალიბოთ:

საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა იხელმძღვანელოს და ქვეყნის საზღვრების დადგენის დროს დაემყაროს ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მოსაზრებებს.

ჯავახეთი და ლორე (ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები), რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ დაშნაკები, ისტორიუ-ლად საქართველოს ეკუთვნოდა და ეკონომიურად მჭიდროდ არის

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 50

[2] „ხალხის მეგობარი", 27 დეკემბერი 1918, გვ. 4.

დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან. სამხედრო თვალსაზრისით კი ეს მხარეები საქართველოს სახელმწიფოსთვის სამხრეთის კარებს წარმოადგენდა.

ე. წ. ეთნოგრაფიული პრინციპი – მხოლოდ მოსახლეობის ეთნიკური უმრავლესობის მიხედვით ტერიტორიის ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის მიკუთვნება, ივანე ჯავახიშვილს უსაფუძვლოდ მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ დაშნაკები მის შესრულებას მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ და თავად კი სომხეთის სხვა საზღვრებთან მიმართებით მის გამოყენებას არც აპირებდნენ.

1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის დროს შექმნილ ვითარებაზე ქართული პოლიტიკური წრეების ნაწილის ადეკვატურ რეაგირებას ხელს უშლიდა ილუზიები „სამეზობლო ძმობა-მეგობრობაზე“, რაც მათი წარმოდგენით მეზობლებს შორის თავდასხმას და ომს გამორიცხავდა. ამგვარ ილუზიებს ივ. ჯავახიშვილი შემდეგ „პოლიტიკაში გულუბრყვილობას“ უწოდებს, რასაც პოლიტიკოსთა მხრიდან ქვეყნისთვის საბედისწერო შეცდომების დაშვება მოსდევდა.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მოსკოვმა ლორე საბჭოთა სომხეთს გადასცა, თუმცა სომხეთის მმართველი წრეების მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიები არ წყდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს სამხრეთ საზღვართან დაკავშირებით შექმნილ ვითარებასა და სომხეთის ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილმა მოამზადა მოხსენებითი ბარათი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი პირებისადმი. ცხადია, ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არსებობდა. 1925 წლის 25 ივლისით დათარიღებული ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერში, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა, 1918 და 1919 წლების ტექსტებთან შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული სომხების საქართველოში ჩამოსახლების და ამის საფუძველზე გაჩენილი ტერიტორიული პრეტენზიების ისტორია, 1918 წლის ომის მიზეზები და შედეგები, ასევე მოვლენათა განვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როდესაც საოკუპაციო ხელისუფლებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების რეალიზებას.

7.2. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ

1919 წელს ივანე ჯავახიშვილი ორჯერ მაინც შეეხო საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის და, კონკრეტულად, დვალეთის საკითხს. პირველად 1919 წლის იანვარ-მარტში დაწერილ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული"; მეორედ კი – სამთავრობო უწყებათშორის კომისიაში მუშაობის დროს 1919 წლის ივლის-აგვისტოში, რომელშიც იგი მიიწვიეს როგორც ექსპერტი.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დვალეთის მონაკვეთის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „საქართველოს საზღვრები" (1919) აღნიშნავდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი „ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარად-თოვლიან მთებს" (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 6). გამონაკლისია ცენტრალური მონაკვეთი – დვალეთი, რომელიც „კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს ქედებს შუა არის მოქცეული". აქ ბუნებრივი თავისებურება ისაა, რომ „ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე. ი. პირიქეთელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიათ გაუვალია" (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 6-7).

ივ. ჯავახიშვილის თქმით, დვალეთი „საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო" და „ძველითდანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა" (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 7).

დვალეთს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, მას „ჩრდილოეთის-

აკენ მხოლოდ ერთად-ერთი... გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს“ (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 8). ისტორიულად ეს კუთხე ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იყო. „საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად ედგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო, რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა“ (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 8-9).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მე-19 საუკუნეშიც, თავდაპირველად დვალეთი ტფილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული“ (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ.8), შემდეგ კი რუსეთის მთავრობამ დვალეთი საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

ნაშრომში „საქართველოს საზღვრები“, ამ ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი აყენებს საკითხს დვალეთის საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცევის შესახებ. მისი თქმით, „უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს“ (ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 9).

ჯავის მაზრის შექმნის საკითხის განხილვა უწყებათშორისი კომისიის მიერ (1919 წ.)

1919 წლის ზაფხულში შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც ცალკე უნდა შექმნილიყო ჯავის მაზრა, რომელშიც გაერთიანდებოდა შორაპნის, რაჭის და გორის მაზრების უპირატესად ოსებით დასახლებული სოფლები. სამინისტროს აზრით, ეს ხელს შეუწყობდა „ოს მცხოვრებთა კულტურულ განვითარებას“ და „ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგებას“. ამ ნაბიჯით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსებს „ფართე თვითმმართველობა მიენიჭებოდა“.

ამ საკითხის განსახილველად შეიქმნა სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებისგან შემდგარი უწყებათშორისი კომისია. კომისიის სხდომაზე, როგორც საკითხის მცოდნე სპეციალისტი, მიიწვიეს ივანე ჯავახიშვილი.

მოვიტანთ ივანე ჯავახიშვილის მიერ კომისიის 1919 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე გამოთქმულ თვალასაზრისს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ცენტრალური მონაკვეთის შესახებ:

ივ. ჯავახიშვილი ადასტურებს გენ. ბენაშვილის აზრს და ამბობს: ამ რაიონში არის 11 გადმოსავალი ჩრდილოეთიდან სამხრეთში და რომ იგი, თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილი საქართველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის. მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ძალების ყოფნა ამ გადმოსავლების დასაცავად. თუ საქართველოს არ უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, როგორც ძველად მას ეკუთვნოდა, ხელში უნდა ჩაიგდოს დვალეთი, სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გამოსავალი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირდება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტია იმისა, რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათი არ აშინებდეს.

კომისიამ გულდასმით მოისმინა ბენაშვილისა და ჯავახიშვილის აზრები ამ საკითხის შესახებ და გადასწყვიტა, მოხსენება მთავრობას წარუდგინოს.

რადგანაც ჯავახიშვილი წინა კრებაზე არ ყოფილა, ამიტომ თავმჯდომარემ მას გააცნო იმ სტატისტიკური ცნობების საეჭვო ხასიათი, რომლებიც მიწათ-მოქმედების სტატისტიკურ განყოფილების მიერ იყო წარმოდგენილი.

მე მთავრობის პროექტიც კი შეუწყნარებლად მიმაჩნია იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენ პირობებში ბუნებრივად შეუკავშირებელი ნაწილების შეკავშირება ერთ ადმინისტრაციულ ეკონომიურ ცენტრად. მაგალ., რაჭისა და შორაპნის მაზრები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაში, რადგანაც თითქმის ყოვლად შეუძლებელია, განსაკუთრებით ზამთარში, ამ მაზრიდან ყოველ უბრალო, ან თუ გნებავთ დიდ საქმეზედაც გორის მაზრაში გადასვლა. თუ ხელოვნურად შეკავშირება უნდათ ამ მაზრების, რა თქმა უნდა, შეიძლება, ბუნებრივად კი მათი შეერთება ყოვლად შეუძლებელია. არც ეკონომიური და არც სხვა რამე მათ არ აერთებს, რადგანაც, როგორც ვსთქვით, ძნელია ერთი-მეორეში მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულების დაჭერა.

კომისიამ დიდ ხანს იქონია მსჯელობა ამ მეტად სერიოზულ საკითხებზე და ბოლოს გადასწყვიტა, მთავრობას წარუდგეს მოხსენებით ამ საკითხის შესახებ, რათა ნაუცფათევად არ გადასწყდეს ის, რასაც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღევანდელ აგრეთვე მომავალ ჩვენ მდგომარეობისათვის.

7.3. საზღვრების საკითხში სახელმწიფოებრივი აზროვნების დასამკვიდრებლად

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ თავის წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში ვერ გაიყვანა, აქტიურად აგრძელებდა საქმიანობას და მჭიდროდ თანამშრომლობდა იმ პარტიებთან, რომლებთანაც სხვადასხვა საკითხზე საერთო ხედვა გააჩნდათ. ამაზე მეტყველებს 1919 წ. 3 აგვისტოს გამართული შეკრება საქართველოს საზღვრებთან დაკავში-

რებით. ამ შეკრების ინიციატორი იყო ეროვნულ-დემოკრატიული, უპარტიოთა და რადიკალ-დემოკრატების მთავარი კომიტეტები.

ამის თაობაზე გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა:

„კვირას, 3 აგვისტოს, სახაზინო თეატრში გაიმართა მოქალაქეთა კრება ეროვნულ დემოკრატიულ, უპარტიოთა და რადიკალ დემოკრატების მთავარ კომიტეტის ინიციატივით. კრებას, მიუხედავათ სიცხისა, აუარებელი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ სამხედრონი, კრებას თავმჯდომარეობდა და გახსნა სპირიდონ კედიამ, რომელმაც სიტყვით მიმართა საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზღვრების საკითხს საქართველოსათვის.

შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს პრ. ივ. ჯავახიშვილმა და გენერ. გიორგი ოდიშელიძემ.

საზოგადოებამ მომხსენებლები ძლიერი ტაშით დააჯილდოვეს.

ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში დაბეჭდილი იქნება სრული ანგარიში ამ კრების“.[1]

გაზ. „საქართველოს“ იმავე ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი „საზღვრების საკითხი“, რომელიც 3 აგვისტოს გამართულ სხდომას ეხებოდა და აღნიშნავდა: „ყველაფრიდან აშკარათ სჩანდა, რომ საზღვრების საკითხი ძლიერ აღელვებს ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ბევრ მიზეზების გამო კონკრეტულად საზღვრების საკითხი კიდევ არ არის შეგნებული. ეს იმის ბრალია, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნე ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე არ გაჩერებულა“.[2] ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, ცარიზმის რუსეთი, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა საქართველო და, მეორე მხრივ, „სოციალ-დემოკრატიის ტერორი ეროვნული აზროვნების წინააღმდეგ, როცა პატრიოტიზმი გამოცხადებული იყო ბურჟუაზიულ გაუგებრობათ და რეაქციონერობის პირველ ნიშნათ ითვლებოდა“.[3] 3 აგვისტოს გამართული შეკრება მიზნად ისახავდა საზღვრების საკითხში სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებას.

---

[1] საჯარო კრება საზღვრების შესახებ, გაზ. „საქართველო“, 5 მარიამობისთვე, 1919 წ., №165, გვ. 1.

[2] საზღვრების საკითხი, გაზ. „საქართველო“, 5 მარიამობისთვე, 1919 წ., №165, გვ. 1.

[3] საზღვრების საკითხი, გაზ. „საქართველო“, 5 მარიამობისთვე, 1919 წ., № 165, გვ. 1.

გაზეთი საქართველო 8 აგვისტოს სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა, რომ „საქართველოს ყველა პოლიტიკური მიმართულება თითქმის თანაბარის სისწორით აფასებს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს და ერთნაირი საერთო პრინციპის მიხედვით იცავს ამ საზღვრებს“, სოციალისტური პარტიების მიერ უარყოფილია „რეალური მოსახლეობის პრინციპი“ და ეთანხმებიან იმ აზრს, რომ „საქართველოს საზღვრების გასავლებ საერთო მასშტაბად რჩება შუახაზი ისტორიულის, სტრატეგიულის და ეკონომიურ-გეოგრაფიული მთლიანობისა“ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას „ამ პრინციპის მჭიდრო შეკუმშვის ხაზზე აქვს ჩამოყალიბებული“.[1]

დანართი

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია

18 ქრისტეშობისთვეს, საღ 6 ს., სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა რიგს გარეშე წაიკითხა ლექცია „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა“.

პატივცემულ პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა. შემდეგ დაამტკიცა, რომ სადავო ადგილები: ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ, პურს ახალციხე-ახალქალაქიდან 300.000 ფუთს რომ საქართველოში შემოიტანენ, შეიძლება 2 ან 3 ათასი სომხეთში გადაიტანონ. ეს მტკიცება, რომ ამ მაზრებს სომხეთთან მეტი მჭიდრო ეკონომიკური კავშირი აქვს, ვიდრე საქართველოსთან, ჭეშმარიტების უკუღმა შებრუნება იქნებაო.

---

[1] კიდევ საზღვრების შესახებ, გაზ. „საქართველო“, 8 მარიამობისთვე, 1919 წ., №168, გვ. 1.

ამ მაზრების სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, პატივცემულმა პროფესორმა სთქვა: „ეს მაზრები ბუნებრივ მდგომარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადროშეებათ იყო დაყოფილი, მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა და ამის მნიშვნელობა ადვილი გასაგებია, სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგებებოდნენო, აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი. საქართველოს სამხედრო მინისტრის საჯდომი ლორის მიუვალი ციხე იყოო. თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც. მან ადგილების სახელწოდებითა და სხვა და სხ. დროის ისტორიული ფაქტებით დაამტკიცა, რომ ეს მაზრები ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან. ერთად-ერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია, რუსეთის მოსვლის დროს ამ მხრებიდან აიყარა ქართველი მაჰმადიანობა და მათ ადგილზე კი მშვიდობიანის გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი დღეს ამ ადგილებში მცხოვრებთა მეტ პროცენტს შეადგენენ.

მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ მათ ეს ადგილები მოითხოვონ. განა ამერიკაში გადასახლებულ 10 მილიონ გერმანელებს ნება აქვთ ის ადგილები, რომლებზედაც ისინი ცხოვრობენ, გერმანიის კუთვნილად გამოაცხადონო?

შემდეგ აღნიშნა, რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნოებით შექმნილი მათი სურვილია. რომ საქართველოს არა ერთხელ შეხვედრია მოულოდნელად შემოსეულ სომხების წინაშე გალაშქრება. და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს და ჰსურს, მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდოს.

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ, რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიაც და ახლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციების მართვა არ შეიძლება. ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს,

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობის უდიდეს საფრთხეს უმზადებსო.

„საქართველოს, – სთქვა მან, – არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინიცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებსო. ასე დაათავა საყვარელმა პროფესორმა თავისი ლექცია.

მსმენელმა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა იგი.

დარბაზში ისმოდა „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ მხედრობას“.

ელპარიძე

გაზ. „საქართველო“, ქრისტეშობისთვის 20, №244, 1918 წ., გვ. 3

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია (სომხეთის საზღვრები)

თფილისში პრ. ჯავახიშვილმა ლექცია წაიკითხა, რომლის შინაარსი ასეთია:

ჩვენში ერთი ილიუზიაა, ძალიან გავრცელებული, დაიწყო პატივცემულმა პროფესორმა, ამბობენ, რომ სომეხ-ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვა. მაგრამ ისტორიას უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე ჩვენ. ისტორიამ იცის, რომ ქართველ სომხებს სულ ცოტა სამჯერ მაინც ჰქონიათ ბრძოლა სწორედ იმ ადგილებისათვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა – მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისათვის.

სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და უმთავრესად, რასაკვირველია, სახლდებოდნენ სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართ-მოყვარეობით სარგებლობდნენ.

დაახლოვებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშო-

რებია საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ეკვეთებოდა ხოლმე და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას.

ბორჩალოს ეხლანდელი მაზრა იწოდებოდა „მოწინავე დროშად“, რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა, ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა „წინმბრძოლთა დროშად“. ლორის ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად.

სტრატეგიული მნიშვნელობა ლორისა და ჯავახეთისა კარგად ესმოდათ რუსებს და დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი, როგორც წარსულის გახსენებით დაინახავდით. პირიქით, მაშინაც კი, როცა სომხეთი იყო – ეს ტერიტორია **არასოდეს არ ყოფილა უდავო.** ხოლო როდესაც, დაახლოებით მე-11 საუკუნეში, სომხეთი მოისპო – ეს ადგილები სადავო აღარასოდეს ყოფილა – იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა როგორც ჩვენს ტერიტორიას.

გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკვრის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის და მდინარეებიც აქეთ მოისწრაფვიან და მტკვარს ერთვიან. ვაჭრობაც ყოველთვის აქეთკენ ვითარდებოდა, საქართველოსთან და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო – აღებ მიცემობა ყოველთვის საქართველოსთან სწარმოებდა.

სომხებს კიდევ მოჰყავთ სხვა საბუთები სხვათა შორის, გეოლოგიური საბუთებიც. პირველად მესმის, რომ გეოლოგიას პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად იხმარიებენ. მაგრამ გეოლოგია რომ საბუთად მივიჩნიოთ, ვაი თუ სომხებმა ძალიან ბევრი ადგილი დაჰკარგონ ისეთი, რაზედაც ისინი ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდნენ.

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ პრინციპს, ესეც აქ გამოუსადეგარია. სომხები ჩამოსახლდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისგან განადგურდა. ისინი შემოვიდენ **საქართველოში** და არა რომელსამე კერძო ადგილზე. სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ – საფრანგეთი ჩვენიაო.

ჩვენთვის კი ამ მხარეებს უდიდესი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მეცხვარეები იქ აძოვებენ ცხვარს და ამ ადგილების გაწირვა იქნება გაწირვა ჩვენი მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგისა.

ჯავახეთი და ბორჩალო, – სთქვა დასასრულ პატივცემულმა ლექტორმა, – კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის. „მეწინავე დროშის“ და „წინ მებრძოლთა დროშის“ კუთხეებს საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა სურს და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან საზღვრავენ ჩვენს ქვეყანას.

დარბაზი მთლად სავსე იყო მსმენელებით, რომელნიც მრავალჯერ ტაშით აწყვეტინებდნენ ლექტორს. ტფილისის კომიტეტი და ჩვენი პარტიის სამხედრო საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის პატივცემულ პროფესორს ამ ლექციის წაკითხვისათვის, რომლის შემოსავალი გადადებულია სამხედრო საჭიროებისათვის.[1]

გაზ. „სახალხო საქმე“, № 416, 25 დეკემბერი, 1918 წელი, გვ. 2-3

გაზ. „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, № გვ. 4

[1] „ხალხის მეგობარში“ გამოქვეყნებულ ლექციის ანგარიშში ბოლო აბზაცი გამოტოვებულია.



წიგნიდან: ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული

5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ *ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ 1828 წ.-ს დაპყრობილ იქნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი. ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-თიგან მხოლოდ 10 სანჯაყი: ქობლიანისა, ოძრხისა (აბასთუმანისა), ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქისა, ჯარაქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (ჩალდირისა), რაც ძველ სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს უდრის.* ეს მხარე რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, ერტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (= ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია, ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანები ცხოვრობდენ (Иваненко. История гражданского управ. на Кавказе 265- 260). რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (= ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (= ახალციხის მაზ.). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა და ამ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით განრისხდა კიდეც (АКАГК VIII № 291 და Иваненко op. cit. 199). *ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არზუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავსშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან განათავისუფლა.* ამის წყალობით 90.000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა, მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30.000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში (Иваненко op. Cit. 265-266).

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: წინათ იქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ-კი დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლადშემოერთებულ ქვეყანაში 50.000 ორთავე სქესის მცხოვრებიც-კი აღარ ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირიან-ფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ-ლს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ (Иваненко op. Cit. 267).

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდენ სომხები ჯავახეთში ქართველ კულტურის ამ ძველის ძველს კერაში.

6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს (А. Шахатунян. Административный передел Закавказского края გვ. 70-72 და 132-133). ეს რომ განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქი შეექმნათ. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ., როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტიურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილისდა თანახმად, იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის სამაზრო კომისია შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას (ალექსანდროპოლის) მიემატოს, რომ მასთან ერთად ცალკე განსაკუთრებით სომხობით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ 14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან 8 კაცი რუსი იყო (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის კონტროლის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალი ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი), 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარ-

მომადგენელნი ქართველ მაჰმადიანნი მამედ-ალი-ბეგი და მუსტა-ფა-ბეგი ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი) და 2 სომეხი (ქალაქის მამასახ-ლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმო-მადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთხმივ უარჰყო ჯავა-ხეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამო-შორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერ-თება. თავის აზრის დასასაბუთებლად კომისია, სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის სა-კითხებს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქა-ლაქის მაზრა ქ. გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტე-რესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნა-წარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფე-რი სახმარი მთელი მაზრისთვის. ამასთანავე საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიაც და ზამ-თარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის საურმო გზით, რომელიც ზამთარშიაც-კი არ იკვრება ხოლმე. გუმბრთან-კი (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფ-ხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო მთელ თვეობით ყო-ველგვარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყვეტილია ხოლ-მე. ზაფხულშიც-კი, როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალა-ქის მაზ.) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთს ნაწილს ზოგიერთი საქონე-ლი მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდრო-პოლი) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული ერთმხრი-ვი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულ-მა საბჭომ იმავე შემადგენლობით, როგორიც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსივე საკითხის შესახები დადგენილების განსახილ-ველად იყო შეყრილი, ერთხმად დაამტკიცა (იხ. Доклад члена

Тифлиск. Губерн. По крестьянским делам Присутствии И. Абхази Председателю Особого Закавказского Комитета к № 2651).

7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც

თუ იმისდა მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდენ და მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თანაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთხმივ უარჰყვეს, ცხადია, ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი და ნაძალადევი გეგმა ყოფილა. მართლაც-და საკმარისია, ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრისა და ყარსისაგან ჯავახეთსა და სამცხეს ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (= რუსული Безобдальский хреб.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (= რუსულს Мадатапинский хреб.), მერმე ნიალის-ყურის მთის (= რუსულს Чалдырский хреб. და Ульгарский хреб. აღმოსავლეთს ნაწილს) დასასრული ერუშეთის მთის (= რუსულს Ульгарский хреб.) სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამ გვარ ორტოგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალ-გამყოფი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო, რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები, მაგ., ცხად-ჰყოფენ, რომ მე-XVIII-ე ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამ-

ცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით-კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (იხ. ბროსსეს გამოც. Histoire le Georgie II, 466 და გორელ ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული).

ჯავახეთის (ახალქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ ეხლაც ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა: კვლავინდებურად იქითგან საქონელი ტფილისში ჩამოდის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს, როგორც რკინის გზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიური ანგარიშებითგანა სჩანს, მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან კი არა ჰქონია ეკონომიური კავშირი (საქონელი მარტო რკინის გზით კი არა, იქითგან პირდაპირი, შარა და საურმე გზებითაც მოდის), არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც, ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი, მაგ., ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ აღმოსავლეთ საქართველოში და რამდენი მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და ადერბეიჯანში მიდიოდა (ყარსში, ერევანში, ქამარულში, ბაქოში და სხვაგან):

	საქართველოში:	დანარჩენ ამიერკავკასიაში:
1910 წ.	60557 ფ.	462 ფ.
1911 წ.	152858 ფ.	1800 ფ.
1912 წ.	207752 ფ.	3588 ფ.
1913 წ.	96074 ფ.	1312 ფ.
1914 წ.	17144 ფ.	1238 ფ.

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას, განუყრელად ამ კუთხესთან და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო

ძველად, მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდა გვარად შემუშავებულმა ტეხნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის, რომ მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები იძულებული იყვნენ, სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ (იხ. ვახუშტის გეოგრაფია 182).

მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქართველოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთს საქართველოში სულ 857.000 დეს. საზაფხულო საძოვარი ითვლება, აქეთგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291.000 დ. საძოვარია.

ამ ჟამად მთელ აღმოსავლეთ საქართველოში 3.683.000 თავი საქონელი არსებობს, სომხეთის საზღვრებში-კი (ერევნის გუბ., ყარსის ოლქ. და განჯის მაღლ.) სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3.561.000 თავი საქონელი ჰყავს. ამ მაღლობებზე სომხებს დიდძალი 2.000.000 დეს. საუკეთესო საძოვარი აქვთ ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს, მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს. ამიტომ სრულებით ცხადია, რომ სომხებს საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ ეკონომიურად არც გამოსადეგნი არიან და არც საჭირო. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთი საქართველო: უამმაზრებოდ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს მდგომარეობაში და განსაცდელში ჩავარდებოდა, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაიხოცებოდა.

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავთ (ორთავეში 515.772 თავი ითვლება), რომ მარტო მათმა საქონელმა მთელი ამ ფართო და ღონიერ საზაფხულო საძოვრის მოჭმა შესძლოს. მაგ., ბორჩალოს მაზრაში საიჯარო საზაფხულო საძოვარი 46.000 დეს. ითვლება,

აქეთგან 26 სომეხთა სოფლის საზოგადოება 10.000 დეს-ით სარგებლობს საქონლის საძოვრად, დანარჩენი 36.000 დეს. კი აღმოს. საქართველოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ.[1] როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით ცხადია, რომ თუმცა მე-XIX-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირე რიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამც თუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად მასთან არის დაკავშირებული.

8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ.) დასასაკუთრებლად. ერეკლე მეფის პირით საქართველოს, რასაკვირველია, რუსეთთან ამისთვის არ დაუდვია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერთო, ეს უხსოვარ დროითგან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა, ქართული კულტურის ერთი ძლიერ კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, – და ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, – ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგან-კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მე-XIX საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში

[1] დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ იხ. აგრონომ ყაზახაშვილის თხზულებაში „საქართველოს საეროვნო მეურნეობის მოთხოვნილებანი გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით“.

გადასახლებულს ქართველს მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა კი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ. მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.

ბოლოსიტყვაობა

ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს უეჭველია, ნათლად დაანახვებდა, თუ რა სამზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორი თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ სამზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს.

სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს. მართალია, სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ

თვალსაზრისით არას დროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძღვანელიათ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრები შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების შემოხაზვის დროს არამცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელიათ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულს საბუთებზე, უფრო-კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დაუმყარებიათ თავიანთი მიწაწყლის მოხაზულობის რუკა. ამის შემდეგ სწორედ ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს სტამბოლის სომხურს პრესაშიაც-კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერობო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოსაზრება ასე-თუ-ისე კიდევ გასაგები იყო, სახელმწიფოს სამზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდა მიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბად ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარ თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდნენ და თავიანთ რესპუბლიკის სამზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა.

სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს. ამიტომაც არის რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მისს მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ. თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას, რასაკვირველია თავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის სამზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნ ჩალხუშიანის როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ძმობა-ერთობის ჰანგებზე დამღერდენ დაშნაკელთა ბელადები და რა სამზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელს მოქმედებას მთელი ქართველობა რომ დიდით პატარამდე, კიდით კიდემდე არ შეეძრა და შემოსეული მტერი მედგრად არ უკუეგდო. თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამზღვრების გადმოლახვას არ დაე-

რიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარის ხაზად-კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (=რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები...

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ. 39-45 და 49-51.

ივანე ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.)

რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრით – სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით ქართველთა მოსახლეობის ინტერე-

სების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და, ამასთანავე, თავიანთ ერთგულად სთვლიდენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამშობლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30.000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 95% აღემატებოდა, 1832 წ. უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობად სომხები იქცნენ.

მე-XIX ს. სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობით რუსულად ქცეულიყო. 1864 წ. მ. კატკოვს მარტო რუს ნასალდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რუს. მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა, ამიერკავკასიაში მარტო ქალაქები კი არა, არამედ სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო. აბა, მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა („как бы усилилось это (русское) влияние в стране, если бы допущены были условия, необходимыя для того, чтоб и села могли постепенно наполняться русскими людьми“. იხ. Московские ведомости, 1864 г., № 168 ან Собрание передовых статей Московских ведомостей 1864 г., გვ. 467). ამისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად მას კავკასიაში და, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავად-აზნაურთა გადასახლება მიაჩნდა (იქვე).

მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსების ჩასახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდენ, რომ იმოდენი ხალხი არ ყავდათ, რომ ყველგან გასწვდომოდა. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ ქანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის დასასახლებლად ოსმალეთითგან ზეი-

თუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ აზრს რუს-კოლონისტების სიმცირის გამო მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა: სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და, ვითარცა ვაჭარი ხალხი, თან ფულსაც მოგვიტანენო (იქვე, გვ. 500-502). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, ასეთი გავლენიანი რუს შავრაზმელის დასტურის შემდგომ, როგორიც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობაც მიემხრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად გერმანელების და ესტონელების ჩასახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდენ. ამგვარად, ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა. და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოებაკი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აწუხებდა, პირველი-კი აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა. 1867 წ. იგივე მ. კატკოვი უკვე გაჰკივოდა: შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიითგანაც, ავსტრიითგან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანან, რათგან იმათაც, ვისაც სურდათ, იქ არ უშვებენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა (იხ. Моск. Ведомости, 1867 წ., № 264 და 282; Собр. Перед. Стат. Моск. Вед. 1867 г., გვ. 687-688).

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელად და მხურვალე და მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ. ხატისოვების მამა ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წლითგან – 1875 წლამდე სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამიერკავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლებოდა, 1875-83 წ. კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილებათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-93 წ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში – ბორჩალოს, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხები-

სათვის ყოფილიყო განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება: რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულობის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაურ ციებისაგანაც დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიან ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ სხვების, ე. ი. რუსების დასასახლებლადაც გამოდგებაო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.

რათგან ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს. მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობასაც-კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხთ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რათგან, სამაგიეროდ, ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და, თანაც, საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ. კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1867 წ. ის უკვე წერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ ან ბერძენ მოახალშენეებს-კი იგივე არ დაემართებათო. ცხადია, რუს. პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული არ არის (Моск. В. № 13). მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არის. ამ დროს ქართველი ხალხი არვის ახსოვდა, თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად რომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუს. მთავრობასა და არც მის სომეხ მოხელეს არ სურდათ: ქართველი გლეხობის სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში, საქართველოში,

შეკრული ჰქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთითგან-კი მოყვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგენ, მაშინ უკვე ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებულ თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ რომ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნულ გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული: სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფვა და გუმბრთან შეერთება მოითხოვეს გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდენ, ხოლო მათ მესაიდუმლე მრჩევლად, „ხალხის“ უერთგულეს გრძნობების მხურვალე და ენაწყლიან გამომხატველად და ფეხთა მტვერად ივ. ხატისოვის შვილი ალ. ხატისოვი იყო, ხოლო სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ ხელთ. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წ. 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიც სომხებს 6 წარმომადგენელი ყავდათ, ქართველებს-კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფვა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსზაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. ტფილ. საგუბერნიო განსაკ. საბჭომ ეს დადგენილება 1914 წ. 24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და დროს ამგვარმავე კომისიამა და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფვა და გუმბრთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიურ ურყევ მოსაზრებათა გამო ერთხმივ უარჰყო და შეუძლებლად სცნო.

ამ დროს მსოფლიო ომიც ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხების აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავტონომიას, თუ რუსეთის მფარველობის ქვეშე დამოუკიდებლობას შეჰპირდა.

სომეხ პოლიტიკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიტიკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუს. მთავრობის რჩევა განსაზღვრულ დროს აასრულეს კიდეც, მაგრამ საქმე უკუღმართად დატრიალდა და განრისხებული ოსმალები დაშნაკელებისა და თავიანთ პოლიტიკოსების მიერ გაბრიყვებულ სომეხთა ხალხის საზიზღარ ჟლეტას შეუდგენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში, ან სხვაგან სადმე, გადარჩა, მაგრამ დიდძალი სომხობა დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხეცეს მსხვერპლად შეეწირა. სომეხთა გამაბრიყვებელ რუსეთის მთავრობას ეხლა სომეხთა ლტოლვილების ამიერკავკასიაში დატოვება არ სურდა, ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოსმალეთში შეიჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდენ და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტისა (ეხლანდელი ალაშკერტის) და ბასიანის (= პასინის) ველზე რუს ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც-კი მიჰყვეს ხელი.

რუსეთის რევოლუციამ და რუსთა ჯარის უკან დახევამ ოსმალეთს საშუალება მისცა, ყველაფერი წართმეული უკან დაებრუნებინა, ყარსის ოლქიც ხელში ჩაეგდო და ქ. გუმბრს მისდგომოდა. მაგრამ გერმანიის დამარცხების შემდგომ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთიც ფრანგ-ინგლისელებს დაემორჩილა. სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელებისა და მის მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა, დაშნაკელ სომეხთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მოეცათ. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის, ვითომც ისტორიული, ფანტასტიური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ადგილითგან ხმელთა შუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილითგან ქ. არდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალ ხაზით ამ სრულიადი სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც-კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

ამავე დროს, იმავე სტამბოლში ზემოხსენებული ფანტასტიური ისტორიული რუკისდა მიხედვით ახალი სრულიადი სომხეთის სახელმწიფოს რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი, თითქმის იმავე სამზღვრებითაა აღნიშნული, ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული; ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესსა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიურ რუკასთან შედარებით აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს. შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება მახრიალის ჩრდილოეთით, იმერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული. სამაგიეროდ, ახალქალაქი სომხეთშია აღნიშნული და აქეთგან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისაკენ იწევს და საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოს შორის სამზღვარი ტფილისის ოდნავ სამხრეთით, ს. კოდასთან არის გატარებული. შემდეგ სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიიმართება და ქ. განჯა სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიულ პრინციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რათგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც პოლიტიკურად მე-11 ს. შემდგომ აღარ არსებობს, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც-კი არ ატყვიათ.

სომხეთის მთავრობის დელეგაციამ, ყველა ამისდა მიუხედავად, ამგვარი რუკა მსოფლიო კონფერენციას წარუდგინა სომხეთის სახელმწიფოს ამ ფარგლებში დასამტკიცებლად. ასეთი ფანტასტიური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, რათგან მან სტატისტიკური ცნობებით დაამტკიცა, რომ სომეხთა მოსახლეობის ომამდე არსებული რაოდენობის მიხედვითაც ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი სომეხი არც-კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასთვის ცხადი შეიქმნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგა-

ციის ფანტასტიურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა. სომეხ დაშნაკელ მთავრობისა და მმართველ პარტიების მთელი ეს უცნაური და მათი დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა.

მაგრამ სანამ სრულიადი სომხეთის ამ ახირებული გეგმის განხილვამდის მიდგებოდა საქმე, დაშნაკ-სომეხთა მთავრობა თავის რუკაზე დასახული გეგმის პრაქტიკულად შესრულებისათვის სამზადისს შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადასცილებია და საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის და ბათუმის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა, ოსმალეთის სომხეთს გარდა, რომელიც ხელითგან წაუვიდა, ერევნის გუბერნიის გარდა, ყარსის მთელ ოლქსაც არტაან-ართვინითურთ ეპატრონებოდა, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულა. წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენერალ უორკერთან შეთანხმებით 1918 წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატურად მოსთხოვა ქართლის საზღვრამდე დაეხია (Закарталинския земли). რათგან ქართლად სომხები გორის მაზრასა სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და, ამგვარად, ეს მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიურ, ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ლამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს მიწა-წყლის წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამცთუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდიათ კიდეც. ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენა საქართველოსა და ქართველი ერის ხარჯზე უნდოდათ, ეხლა რომ მოხერხებულიყო.

ამ უგუნურმა მეზობელთა შორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას ისევ წინანდელით დაკმაყოფილება მოუხდა. ამგვარად, სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა.

სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა სურვილის გასაგებად მოხდენილმა შეკითხვამ მათი საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენის წადილი და გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრება-ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება კვლავ დაადასტურა, ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების გეგმის განხორციელებას სომეხთა წრეებმა მიაღწიეს; თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც ეს არავითარი მოსაზრებით სასარგებლო არ იყო. 1922 წ. სომეხთა იმავე წრეების ახალი პროექტი იქმნა წარმოდგენილი, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო. რათგან სომეხთა ეროვნული ინტერესები ენისა, სკოლისა და ადგილობრივ მმართველობის მხრივ უზრუნველყოფილი იყო და თანაც ბორჩალოს მაზრასა და ჯავახეთს შორის არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად არ არსებობდა, მათ შორის არსებული გაუვალი მთების გამო ფიზიკური კავშირიც-კი შეუძლებელია, ცხადია, ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საზღვრებითგან გამოყოფვისა და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა. ს.ს.რ. შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრისა და ოროგრაფიულ-ეკონომიური ფაქტორების გამო ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც მან 1/26 თებერვალს 1923 წ. კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტს №221/1367 აცნობა კიდეც. ცენტრალურ კომიტეტის მიერაც ეს დასკვნა დადასტურებულ იქმნა.

ამის შმდგომ სომეხთა იმავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქმნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილები უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო და აქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც, მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიაც ივ. ხატისოვისებური მოსაზრება იყო წარმოდგენილი, რომ, ამავე დროს, წყალი ქართველ ხალხს თავისთვისაც არ ჰყოფნიდა და ამ მინდვრების მორწყვა ქართული სამეურნეო კულტურის განადგურებას უდრიდა, ამაზე სომეხთა პოლიტიკოსები არ ფიქრობდენ. ამ სომეხთა პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ამგვარად ეს პროექტიც უარყოფილ იქმნა. დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი, არამედ რომ აქ ჩვენ სომხეთისათვის პოლიტიკურ ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის დაშნაკელთა ძველი, ზემოდასახელებულ რუკებზე აღბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ მცდელობასთან გვაქვს საქმე.

დასასრულ, ეხლა ორიოდე სიტყვა კიდევ ვითომც ახალ პროექტზე ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფვის აუცილებლობისა შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდეგ ცხადია, თუ საითგან და რისთვის მომდინარეობს ეს პროექტიც. არც გეოგრაფიული და არც ეკონომიური პირობები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესები ეხლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილია. მაშ, რით-ღა არის ეს ვითომც ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკურ-ტერიტორიალური მიზნის მისაღწევად. ამ გეგმის განხორციელებით, ამავე დროს, ქართველ მშრომელ ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექმნეს პირითგან გამოგლეჯილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. თუ წინანდელი

რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკელ პოლიტიკურ-ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად? ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ, ს.ს.ს.რ. მთავრობა ამ პროექტსაც უარჰყოფს იმგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან მომდინარე ზემოაღნიშნული ამისივე მსგავსი პროექტები.

1925. 2. VII.

თავი 8. ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჯერად განვიხილოთ ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წელი) და მუშაობა მისი მთავარი საქმის – ქართული უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

8.1. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს პოლიტიკური პარტიები (1918-1921 წლები)

ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური პარტიებისადმი ორი კუთხით შეიძლება განვიხილოთ:

ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, აინტერესებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და განიხილავდა საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს, აფასებდა მათ იდეოლოგიას და როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში.

მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილი პირადად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მიზანი იყო საქარ-

თველოს ეროვნული ინტერესების დაცვა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განმტკიცება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომზადება.

თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ნებისმიერი ეროვნული საქმის კეთებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ივანე ჯავახიშვილი ახლოს იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან და თანამშრომლობდა მის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან (არჩილ ჯორჯაძე, სამსონ ფირცხალავა, კიტა აბაშიძე). დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, როგორც ექსპერტი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ ჩართული იყო სხვადასხვა სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტაში.

მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი, თუ არ ჩავთვლით მის მონაწილეობას 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებში უპარტიოთა კავშირის სიით. თავად უპარტიოთა კავშირი, რომელიც 1918 წლის ივლისში შეიქმნა, საინტერესო ჩანაფიქრი იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობას, ამის მნიშვნელოვან გზად კი ესახებოდათ „სახელმწიფოებრივ საჭირბოროტო საკითხების“ შესწავლა-გაანალიზება.

„უპარტიოთა კავშირი“ საინტერესო ჩანაფიქრი იყო. ერთი მხრივ, ის ორიენტირებული იყო ანალიტიკურ მუშაობაზე საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის ხელშესაწყობად; მეორე მხრივ, აღნიშნული გაერთიანება ყველა პარტიასთან თანამშრომლობისთვის იყო მზად და პარტიებს შორის დაპირისპირების შემცირებას ისახავდა მიზნად. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ გაერთიანებაში ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა სავსებით გასაგებია.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი შეხედულებების თანახმად, ახლად შექმნილი სახელმწიფოს წყო-

ბილება უნდა განესაზღვრა, ქვეყნის კონსტიტუცია მიეღო სპეციალურ წარმომადგენლობით ორგანოს – დამფუძნებელ კრებას. თავდაპირველად, არჩევნების ჩატარებას 1919 წლის გაზაფხულის ბოლოს ვარაუდობდნენ, თუმცა, იმის გამო, რომ პარიზში პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების კონფერენცია იწყებოდა, საჭიროდ მიიჩნიეს არჩევნების ჩატარების დაჩქარება. პარიზში ჩასული საქართველოს დელეგაცია ილაპარაკებდა საქართველოში შექმნილი არჩეული ორგანოს სახელით.

1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დამფუძნებელ კრებაში პროპორციული საარჩევნო სისტემით 130 წევრი უნდა აერჩიათ. არანაირი პროცენტული ბარიერი არ იყო გათვალისწინებული. საკმარისი იყო ერთი დეპუტატის გასაყვანი ხმების მოგროვება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცნობილი პარტიების – სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების გარდა, ფაქტობრივად, არჩევნებში მონაწილეობისათვის შეიქმნა რამდენიმე ორგანიზაცია და საარჩევნო სუბიექტების რაოდენობამ 15-ს მიაღწია. მათ შორის იყო 1918 წლის ივლისში შექმნილი დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი, რომლის 10-კაციან საარჩევნო სიაშიც შედიოდა ივანე ჯავახიშვილი და დარეგისტრირებული იყო მე-2 ნომრად.

ივანე ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიაში

დამოუკიდებელთა, ანუ უპარტიოთა კავშირმა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, საარჩევნო სიებისა დარეგისტრირებისას ბოლო მომენტში მიიღო. სხვანაირად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირვანდელ საარჩევნო სიაში, რომელიც დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად იყო წარდგენილი, შემდეგ დამოუკიდებელთა კავშირის მიერ წარდგენილ 10-კაციანი სიიდან 7 იყო წარმოდგენილი. მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავდაპირველ სიაში ის მე-18 იყო.

როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილი თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ახლოს იდგა სწორედ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, მიუხედავად იმისა, რომ მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანაგუნდელები ქართული უნივერსიტეტიდან – აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდნენ სწორედ **სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიული სიით.**[1]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება 2017 წლის მარტში დამთავრდა, პარტიის პირველი ყრილობა კი 1917 წლის ივნისის დასაწყისში გაიმართა. როგორი იყო ამ პარტიის იდეოლოგია, მისი უმთავრესი ხედვები საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების თაობაზე? პარტია მხარს უჭერდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, მოქალაქეთა „უფლებრივი თანასწორობა“ აუცილებელ პირობად მიაჩნდა „სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსამტკიცებლად“. ეროვნულ-დემოკრატები წინააღმდეგნი იყვნენ სოციალისტური პარტიებისა და კერძო საკუთრების არსებობას საზოგადოების პროგრესის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. „დაწინაურებულ ხალხთა მთელი ქონებრივი და უფლებრივი ურთიერთობა კერძო საკუთრების ნიადაგზე განმტკიცდა და კერძო საკუთრების უფლებას ემყარება“, – აღნიშნული იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში.[2] რაც მთავარია, პარტია ხაზგასმით აცხადებდა, რომ ის ეროვნული პარტია იყო და არა კლასობრივი. „ის არ იცავს და არ მოითხოვს ისეთს რასმე, რაც ერთს რომელსამე წოდებისა ანუ კლასისათვის იქნება ხელსაყრელი და ერისთვის კი, შესაძლოა, საზიანო და საზარალო იყოს. ის საერთო ეროვნული სხეულის მთლიან და წესწყობილ ზრდა-განვითარებას ისახავს თავის მიზნად და ეროვნულ ცხოვრების თითოეულ ნაწილს იმდენად მფარველობს და ხელს უწყობს, რამდენად ეს საერთო ეროვნულ განვითარებისათვის არის სასარგებლო და ხელსაყრელი“.[3]

---

[1] სცსსა, ფ.1834, ანაწ.2, საქ.68, ფურც. 43, 44.

[2] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921), კრებული 1, თბ., „ახალი აზრი“, 2008, გვ. 24.

[3] იქვე.

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას მოკლედ თუ დავახასიათებთ, ის ეროვნული და დემოკრატიული იყო. შესაბამისად, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, მისთვის ყველაზე მისაღები ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და მზად იყო, ეთანამშრომლა ნებისმიერ პარტიასთან, თუკი ის საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა.

როგორც ჩანს, იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომელთა შორისაც იყო ივანე ჯავახიშვილი, მაინც გადაწყვიტეს კენჭი არ ეყარათ ამ პარტიის სიით და წარმოედგინათ ცალკე სია 1918 წლის ზაფხულში შექმნილი „დამოუკიდებელი (უპარტიოთა) კავშირის“ სახელით.

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი

დამოუკიდებელთა, ანუ უპარტიოთა კავშირის შესახებ მეტად მწირი მონაცემები მოგვეპოვება. 1918 წლის 1 აგვისტოს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა „დამოუკიდებელთა პოლიტიკური კავშირის“ შექმნის თაობაზე. ამდენად, კავშირი 1918 წლის ივლისში შექმნილად მიიჩნევა.

როგორც საგაზეთო ცნობაშია აღნიშნული, „მიზნად კავშირი ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას“. კავშირს არ ჰქონდა შემუშავებული პარტიული პროგრამა და ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. საგაზეთო ცნობაში მოტანილია მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმის სამი უმთავრესი მუხლი:

- საქართველოში დამოუკიდებელ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება;
- საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე;
- შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა.

დასახული მიზნების მისაღწევად კავშირი აწყობდა კრებებს და წერდნენ რეფერატებს „საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე“.

კავშირის საქმეებს განაგებდა საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფეს. ივ. ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, ვახტ. ღამბაშიძე, კონსტ. მაყაშვილი, დავ. კარიჭაშვილი.

თუ დავუკვირდებით უპარტიოთა კავშირის პოლიტიკური პლატფორმის უმთავრეს დებულებებს, რაიმე მისი საწინააღმდეგო არ შეიძლება ჰქონოდა საქართველოში მოქმედ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, მიუხედავად მათი იდეოლოგიური პოზიციისა. შეიძლება სწორედ ამის გამოც გადაწყვიტეს, არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ ცალკე სიით და თავიანთი საქმიანობით აქცენტი გადაეტანათ დაპირისპირებულ პარტიებს შორის თანხმობის მიღწევის შესაძლებლობაზე, საქართველოს საკეთილდღეოდ ეთანამშრომლათ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან.

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი დამფუძნებელი კრების არჩევნებში

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირმა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მხოლოდ 10-კაციანი სია წარადგინა. კარგად ესმოდათ, რომ დამფუძნებელ კრებაში, თავიანთი შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ბევრი წარმომადგენლის გაყვანის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უპარტიოთა კავშირმა ვერცერთი დეპუტატის გაყვანა ვერ შესძლო.

უპარტიოთა კავშირის 10-კაციანი სია კი შემდეგი იყო:

1. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე – პროფესორი სახელმწიფო უფლებისა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავდაპირველ სიაში დასახელებული იყო მე-7 ნომრად);

2. ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (ედპ-ის სიაში იყო მე-18 ნომერი);

3. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე – პარლამენტის წევრი (ედპ-ს სიაში მე-19 ნომერი);

4. მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარიას ძე – პარლამენტის წევრი (ედპ-ს სიაში 27-ე ნომერი);

5. მღვდლიშვილი მიხეილ მოსეს ძე – სასამართლო პალატის უფროსის თავმჯდომარე (ედპ-ს სიაში 35-ე ნომერი);

6. ამირეჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე – აგრონომი-ქიმიკოსი (ედპ-ს სიაში 28-ე ნომერი);

7. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე – ექიმი (ედპ-ს სიაში 50-ე ნომერი);

8. გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე – საქართველოს ჯარის სარდალი:

9. დარახველიძე-კრინიცკი ალექსანდრე მიხეილის ძე – მთავარი ბუღალტერი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი;

10. ზედგენიძე ივანე ბესარიონის ძე – ნაფიცი ვექილი.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში უპარტიოთა კავშირის სია №11-ით იყო წარმოდგენილი. ახალშექმნილმა კავშირმა, რომელსაც საზოგადოება არ იცნობდა და არც პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება გააჩნდა, საარჩევნო კამპანიის ორგანიზება და მხარდაჭერის მოპოვება ვერ შესძლო. უპარტიოთა კავშირმა 883 ხმის მოგროვება შეძლო. თბილისში მან 480 ხმა მიიღო, ქუთაისში – 24, ფოთში – 41, ჭიათურაში – 10. საარჩევნო მეტრი 4643 ხმა იყო. შესაბამისად, უპარტიოთა კავშირმა ერთი დეპუტატიც კი ვერ გაიყვანა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებთან და უპარტიოთა კავშირის წარუმატებლობასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანაწერი გააკეთა თავის დღიურში **მარო მაყაშვილმა,** რომლის მამაც – კონსტანტინე მაყაშვილი სწორედ უპარტიოთა კავშირის სიით იყრიდა კენჭს:

„20 თებერვალი, 1919 წელი

... დიდ ისტორიულ მომენტს განვიცდით. 15 ამ თვეს არჩევნები იყო დამფუძნებელ კრებისა. სოც. დემ. ძალიან ბევრნი გავიდნენ. მერე №2 ეროვ. დემ. და სხვა. დიდი ამბები იყო ქუჩებში. ბიულეტინები დაფრინავდნენ ჰაერში, ავტომობილები დასრიალებდნენ და ნომრებს ჰყრიდნენ. ყველა ჩქარობდა, ხმა მიეცა იმ პარტიისთვის, რომელიც მოსწონდა. ძალიან ბევრს ვღელავდით ჩვენც. №1 იყო უპარტიოებისა და არც ერთი არ გავიდა. 480 ხმა მიიღეს. ახალი პარტიაა და ბევრი მას არ იცნობს. ყველგან სოც. დემ. გადიან. ოჰ, ეგ პარტია ცრუ გზაზე აყენებს. ეგ სოციალისტე-

ბი კი არ არიან, არამედ ბურჟუები, მარტო სახელი აქვთ სოციალ-ისტებისა და მის ენით ლაპარაკობენ. მთელი ერი, მგონი, 15 პარ-ტიათ გაიყო. აბა, აქ რა იქნება, რა გამოვა“.[1]

ივანე ჯავახიშვილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგაციაში

დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ივანე ჯავახიშვილი საქართველოში არ იმყოფებოდა და მას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია საარჩევნო კამპანიაში. ის საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიყვანეს საქართველოს დელეგაციაში, რო-მელსაც პარიზში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაში საქარ-თველოს ინტერესები უნდა დაეცვა.

პარიზში გაგზავნილ საქართველოს დელეგაციას გზაში მნიშ-ვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუხდა. 1919 წლის 9 იან-ვარს საქართველოს 12-კაციანი დელეგაცია თბილისიდან ბათუ-მისკენ გაემგზავრა, საიდანაც პარიზში უნდა ჩასულიყვნენ. დელე-გაციის შემადგენლობაში, საქართველოს მთავრობის თხოვნით, ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა, თუმცა მას უმჯობესად მიაჩნდა უნ-ივერსიტეტში დარჩენა. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტისგან დროებით მოწყვეტას უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუ-დენტებიც განიცდიდნენ.

საბოლოოდ, საქართველოს დელეგაციის მხოლოდ ორ წევრს – კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება. სტამბოლში დარჩენილი დელეგაციის დანარჩენი წევრე-ბის დიდი ნაწილი კი, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი უკან გამობრუნ-დნენ და 2 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ. „პროფ. ი. ჯავახიშვილი დაბრუნდა სტამბოლიდან და შეუდგება ამ მოკლე ხანში ლექციებ-ის კითხვას", – წერდა ამასთან დაკავშირებით „სახალხო საქმე“.[2]

ივ. ჯავახიშვილმა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბულში ყოფ-ნა გამოიყენა იმ საკითხებზე ნაშრომების შესაქმნელად, რომლე-ბიც, მისი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის. ეს ნაშრომებია: „საქართველოს საზ-

---

[1] მარო მაყაშვილი, დღიური, თბილისი, 2014, გვ. 54.
[2] „სახალხო საქმე", 1919 წლის 9 აპრილი.

ღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც დაწერა 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმსა და კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელიც 1919 წლის თებერვალ-მარტში კონსტანტინეპოლში დაწერა. ნაშრომების დაწერის ადგილი და დრო თავად ივ. ჯავახიშვილის მიერაა აღნიშნული. ორივე ნაშრომი 1919 წელს თბილისში დაიბეჭდა.

მზადება ახალი არჩევნებისათვის

1921 წლის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნა, რომელშიც გაერთიანდნენ არასოციალისტური დემოკრატიული პარტიები.

პარტიათა გაერთიანებას წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. 1920 წლის 7 დეკემბერს ეროვნულ-დემოკრატიულ, მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ და რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიების მთავარი კომიტეტების წარმომადგენლები (კ. ტყავაძე, გ. ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე, ალ. ასათიანი, შ. ქარუმიძე, სპ. კედია) შეთანხმდნენ გაერთიანების პირობების თაობაზე. შეთანხმების მთავარ ოქმში ხაზგასმული იყო, რომ „გაერთიანება ერთს პარტიაში ყველა არა სოციალისტურ, დემოკრატიულ პარტიათა და კავშირთა არის საჭირო და ნაკარნახევი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარებით“.

გაერთიანენული პარტია იდეურად და პრაქტიკულად უნდა დაყრდნობოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ამ პროგრამის გადახედვა და ახალ რეალობათა მიხედვით შევსება უნდა მომხდარიყო საერთო გამაერთიანებელ კონფერენციაზე.

არასოციალისტური პარტიების გაერთიანებული კონფერენცია შედგა თბილისში 1921 წლის 23-27 იანვარს. კონფერენციას დაესწრო 220 დელეგატი, მათგან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა 150, ეროვნულ პარტიას – 50, რადიკალ-დემოკრატი იყო 15 და უპარტიო – 5 დელეგატი. ჯერჯერობით ცნო-

ბები არ მოგვეპოვება, მონაწილეობდა თუ არა ამ გაერთიანებაში ივანე ჯავახიშვილი.

არასოციალისტური პარტიების გაერთიანება შეიქმნა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისათვის, რომელიც 1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. საქართველოზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმამ, საქართველოს ოკუპაციამ და გასაბჭოებამ მოვლენები სხვაგვარად წარმართა. ივალე ჯავახიშვილი დარჩა საქართველოში, მის მიერ დაარსებული ქართული უნივერსიტეტის დასაცავად.

8.2. ქართული უნივერსიტეტის სამი წელი დამოუკიდებლობის პერიოდში

ქართული უნივერსიტეტის სწრაფი ზრდა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ივანე ჯავახიშვილის საქმიანობის მთავარი მიმართულება ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მისი განვითარებისთვის ხელშეწყობა იყო.

უნივერსიტეტში გახსნის დროს არსებულ ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე ისწავლებოდა ყველა ის საგანი, რაც რუსეთის უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე – ისტორია-ფილოლოგიისა და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტებზე და, ნაწილობრივ, მესამე ფაკულტეტზე – იურიდიულზე.

პირველი სემესტრი გაგრძელდა 1918 წ. 1 თებერვლიდან 12 ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა, თუმცა ისეთი შემთხვევაც იყო, როდესაც სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო (თურქების შემოტევასთან დაკავშირებით) საკითხიც კი დაისვა მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ.[1]

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თბ., თსუ, 1948, გვ. 49.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის მიღება

1918 წლის დასაწყისში დაარსებული ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა. ნაცვლად სახელწოდებისა: „ქართული უნივერსიტეტი თბილისში“, ამიერიდან მას ეწოდა „თბილისის უნივერსიტეტი“.[1]

შემოდგომის სემესტრი ოქტომბერში დაიწყო. ამ დროისათვის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უკვე ცალკე ერთეულად გამოცალკევდა, რომლის გვერდით შეიქმნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები (გაერთიანებული სახით).

ახალ ფაკულტეტებზე – განსაკუთრებით სამკურნალო ფაკულტეტზე, – შესვლის მსურველთა სიმრავლის გამო ფაკულტეტის საბჭომ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი 500 პირით განსაზღვრა (აქედან 300 სამკურნალო ფაკულტეტზე). ახალ ფაკულტეტებზე მეცადინეობა დაიწყო ნოემბრიდან. მეცადინეობები მხოლოდ დღის საათებში მიმდინარეობდა, ვინაიდან განათების არასაკმარისობა საღამოობით მეცადინეობის საშუალებას არ იძლეოდა.

ივანე ჯავახიშვილის რექტორად არჩევა

1919 წ. 12 ოქტომბერს საღამოს გაიმართა პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომა წინა დღით რექტორ პ. მელიქიშვილსა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკან ა. რაზმაძეს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო. საბჭომ დაგმო ორივეს მოქმედება. რექტორი პ. მელიქიშვილი „თანახმად შემოტანილი თხოვნისა“ რექტორის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, თუმცა უარი ეთქვა პროფესორის თანამდებობის დატოვებაზე. ა. რაზმაძეს წინადადება მიეცა, „თხოვნა შემოიტანოს, რათა განთავისუფლებული იყოს დეკანის თანამდებობიდან“. ამავე დროს, „რექტორის მოვალეობის აღმასრულებელი“ მისი მოადგილე ივანე ჯავახიშვილი გახდა.[2]

---

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თბ., თსუ, 1948, გვ. 53.

[2] პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბ., 2006, გვ.180.

1919 წლის ბოლოს პეტრე მელიქიშვილი, მისი თხოვნის საფუძველზე, გაანთავისუფლეს რექტორის თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი. ამავე დროს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად, ნაცვლად ივ. ჯავახიშვილისა, აირჩიეს კორნელი კეკელიძე.

1919 წ. 17 დეკემბერს პროფესორთა საბჭო განიხილავდა რექტორის არჩევის საკითხს. წაიკითხეს „პროფ. ი. ჯავახიშვილის წერილი სხდომის თავმჯდომარის სახელზე, რომ თუ ვინიცობაა, რექტორის თანამდებობაზე არჩევნების დროს მისი კანდიდატურა დასახელებულ იქმნა, იგი მოხსნილ იქმნეს“. შუამდგომლობა პროფესორთა საბჭოს მიერ „შეწყნარებული არ იქმნა“ და რექტორად „ერთხმად არჩეულ იქმნა პროფ. ივანე ჯავახიშვილი“.[1]

პროფესორთა საბჭოს 1920 წ. 4 იანვრის სხდომაზე „რექტორმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა სამადლობელი სიტყვით მიჰმართა პროფესორთა საბჭოს მისი რექტორად არჩევისათვის და „აღნიშნა, თუ რა მიმართულება უნდა ჰქონდეს სააკადემიო ცხოვრებას“.[2]

ქართული უნივერსიტეტის სამი წელი

უნივერსიტეტი სწრაფად იზრდებოდა. 1920 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტზე 7 სემესტრის სტუდენტობა სწავლობდა, რომელთა საერთო რიცხვი 2814-ს აღწევდა. მათგან 2729 სტუდენტი, ხოლო 85 მსმენელი იყო. წინა სემესტრთან შედარებით, სტუდენტების რაოდენობა 907-ით გაიზარდა.

რაც შეეხება სამეცნიერო-სასწავლო ნაწილს, 1920 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 39 პროფესორი, 10 დოცენტი, 17 ლექტორი, 44 ასისტენტი, 4 ლაბორანტი და 13 ორდინატორი. 1921 წლის დამდეგისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ფაქტობრივად, მთლიანად მოიზიდა რუსეთში მოღვაწე ქართველი პროფესორ-მასწავლებლები. შემდგომი ზრდისათვის, ახალი ფაკულტეტებისა და კათედრების გასახსნელად,

---

[1] პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბ., 2006, გვ. 195.
[2] პროფესორთა საბჭოს ოქმები,1917-1926, თბ., 2006, გვ. 198.

აუცილებელი იყო ან საკუთარი კადრების მომზადება, ან პროფესორების მოწვევა ევროპიდან, რასაც ცდილობდნენ კიდეც.

უნივერსიტეტის წარმატებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებაში (1921 წლის 12 იანვარი) ნათქვამი იყო: „ჩვენს უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო და გასაკეთებელი აქვს, რომ მისი მოწყობა საბოლოოდ დასრულდეს, მაგრამ უმთავრესი მაინც უკვე გაკეთებულია და უნივერსიტეტი შეუჩერებლივ წარმატებაშია. მან თავი მოუყარა ყველა წინათ უცხოეთში გაფანტულ ქართველ მეცნიერებს, მრავალი საქართველოსათვის სრულებით ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის დაწესებულება შეჰქმნა და სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის დაწყება მოახერხა. ეხლა უნივერსიტეტის მორიგ საზრუნავს უნივერსიტეტთან უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტისა და ამ მიზნით არსებულ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამოყენება, მისი უნივერსიტეტთან გაერთიანება და იურიდიული ფაკულტეტის გახსნა-მოწყობა შეადგენს. უნივერსიტეტის საბჭომ დაასრულა უნივერსიტეტის მთელი წესდების განხილვა და მოკლე ხანში, საბოლოვოდ დამტკიცების შემდგომ, მას მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას წარუდგენს“.[1]

იურიდიული ფაკულტეტის გასახსნელად არა მარტო უნივერსიტეტს, არამედ საქართველოს მთავრობასაც გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯი და პროფესორ ზურაბ ავალიშვილისთვის დაუვალებია იურიდული ფაკულტეტის მოწყობა, რომლის ხელმძღვანელადაც თავად ავალიშვილი ივარაუდებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი საქართველო წერდა:

„პროფ. ზ. ავალიშვილი

ევროპაში საქართველოს დელეგაციის წევრი, პროფესორი საერთაშორისო უფლებისა ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი ინგლისის მთავრობას მოუწვევია სამსახურში და დიდი თანამდებობა მიუცია ეგვიპტეში.

როგორც გავიგეთ, საქართველოს მთავრობას ამ დღეებში დაუბარებია ავალიშვილი, საქართველოში იურიდიული ფაკულტეტის მოსაწყობად და ხელმძღვანელად“.[2]

---

[1] „ერთობა", 22 იანვარი, 1921.

[2] „საქართველო“, 1921 წ. 15 თებერვალი, № 34, გვ. 3.

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა

ქართული უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში სტუდენტთა შემადგენლობა ჭრელი იყო: სტუდენტთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც მანამდე რუსეთის და დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა და ვეღარ შეძლეს იქ სწავლის გაგრძელება, მსოფლიო ომისა და რუსეთში სამოქალაქო ომის გამო; იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდათ, მაგრამ მშობლიურ ენაზე უნდოდათ სწავლა, იყვნენ ისინიც, ვისაც ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამო სურდათ სწავლა, დამოუკიდებლად სპეციალობისა, ბუნებრივია, მოდიოდნენ ისინიც, ვისაც სკოლა ახალდამთავრებული ჰქონდა. ამიტომ სტუდენტები ასაკობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, – ხანში შესულ მსმენელების გვერდით ისხდნენ ახალგაზრდები, რომელთაც სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდათ.

სტუდენტებს არ ჰქონდათ სტიპენდია, არც საერთო საცხოვრებელი, არ ეძლეოდათ რაიმე სახის დახმარება. ამიტომ სწავლის პერიოდში ან ოჯახის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდათ, ანდა სწავლასთან ერთად ემუშავათ კიდეც. უმრავლესობა ასეც იქცეოდა.

რაც შეეხება სტუდენტთა პოლიტიკურ აქტივობას, უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ბევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების მხარდამჭერი, ასევე გავლენით სარგებლობდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. მთლიანობაში ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა პატრიოტულად იყო განწყობილი.

8.3. ქართული უნივერსიტეტი 1921 წლის დამდეგს

იმის საჩვენებლად, თუ როგორ ცხოვრობდა ივ. ჯავახიშვილის მონდომებით შექმნილი ქართული უნივერსიტეტი, მოვიტანთ 1921 წლის იანვარ-თებერვალში ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მოკლე ცნობებს უნივერსიტეტის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. აქ საუბარია უნივერსიტეტის მიღწევებსა და პრობლემებზე.

ქართული უნივერსიტეტის მესამე წლისთავი

1921 წლის 26 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მესამე წლისთავი იზეიმა. უნივერსიტეტის 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით სტატიები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „საქართველომ“ და „გრუზიამ“. ახლად შექმნილმა დემოკრატიულმა პარტიამ კი სპეციალური მისალმების წერილი გაუგზავნა უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის დაარსების მე-3 წლისთავთან დაკავშირებით შალვა ამირეჯიბი წერდა: „თბილისის უნივერსიტეტი უახალგაზრდესი უნივერსიტეტია დედამიწის ზურგზე. ის მხოლოდ ცოტათი უფროსია ერევნისაზე და ასეთსავეზე ბაქოში. ის აღმოცენდა „ჟამსა იწროობისასა“, – როგორც იტყოდა ჩვენი მატიანე ძველად და სამი წელი – „მეტად წველი“, – როგორც იტყოდა ამას სულ უთანამედროესი მგოსანი, რომელიც თვით ამ უნივერსიტეტშიაც, ალბათ, მრავლად არის – წელიწადებია სასოწარკვეთილებისა და აღფრთოვანების, ტანჯვისა და ნეტარებისა და ყველაზე მეტად კი იმედის, რომელზედაც შეუძლებელია უარი სთქვას როგორც მთელმა ქართველმა ერმა, ისე მისმა უნივერსიტეტმა“[1].

ეს იყო ეროვნული აღორძინების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელახალი მშენებლობის წლები. ამ დიად საქმიანობაში, რომელსაც მოეცვა მთელი საქართველო, თავისი განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ დროისათვის უნივერსიტეტმა თავი მოუყარა წინათ უცხოეთში გაფანტულ ქართველ მეცნიერებს, შექმნა საქართველოსთვის სრულიად ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის დაწესებულებანი, დაიწყო სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა. ქართული უნივერსიტეტით ამაყობდა და მასზე დიდ იმედს ამყარებდა ქართველი საზოგადოება. „მთელი ჩვენი წარსულის გულისთვის და მთელი ჩვენი მომავლისათვის ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი ძვირფასი, ჩვენი კარგი „უნივერსიტას ტფილასენსი“, როგორც უყვარდათ მეცნიერება და განათლება ჩვენს წინაპრებს...“.[2]

---

[1] „საქართველო“, 1921 წ. 26 იანვარი.
[2] „საქართველო“, 1921 წ. 26 იანვარი.

ქართული უნივერსიტეტი სამშობლოს სიხარულითა და სატკივარით ცხოვრობდა. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს შალვა ასათიანის სტატიიდან „ჩვენი სტუდენტობა“:

„... წლობით ატარებდა ქართველი სტუდენტობა საქართველოს განთავისუფლების იდეიას გულში, ყოველგვარ დევნას განიცდიდა როგორც ძველი მთავრობის მიერ, ისე თვით ქართველებს შორის, ხოლო საქართველოს განთავისუფლების შემდეგ არავითარი მსხვერპლი არ დაუზოგავს ამ თავისუფლების შესანარჩუნებლად.

პირველ ხანებში, როდესაც განთავისუფლებულ საქართველოს ფიზიკური ძალა არ ჰყავდა ამ დამოუკიდებლობის დასაცავად, როდესაც ჯარი სრულიად დაშლილი იყო, როდესაც ჯარში დისციპლინის ნასახიც არ იყო და დიდი გენერლები უჯაროდ ვერაფერს არგებდნენ სამშობლოს, ამ დროს მხოლოდ ქართველი სტუდენტობის ერთსულოვან მისწრაფებით ჯარის ნაწილებში და ოფიცრებთან საერთო მუშაობით ჯარისკაცების სახით ნიადაგი ჩაეყარა ახალ ქართულ ჯარს მტკიცე დისციპლინით და საღი მამულიშვილური შეგნებით. მის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი ომი, სადაც ქართველ სტუდენტობას მონაწილეობა არ მიეღოს და ყველა გამარჯვებასთან ერთად ქართველი სტუდენტობა იგლოვდა ამ ბრძოლებში დაღუპულ ამხანაგ-სტუდენტებს. ომის დროს ნორმალური სწავლა არ არსებობდა უნივერსიტეტისათვის. ყოველთვის, როდესაც ესა თუ ის კუთხე საქართველოსი ბრძოლის ასპარეზად გადაიქცეოდა, სტუდენტს, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა, წარმოუდგებოდა ამ ბრძოლაში დაღუპული ძმები ქართველები და ეკითხებოდნენ: „შენ ისევ მეცნიერებით ხარ გართულიო?" და საკმარისი იყო ეს ლანდი, რომ სტუდენტს წიგნი განზე გადაედო და ხმლისათვის წაევლო ხელი სამშობლოს დასაცავად. ჭირში საქართველოსთან მყოფი ქართველი სტუდენტობა არც ლხინში რჩებოდა განზე და საქართველოს არ ახსოვს არც ერთი ეროვნული თუ ხალხოსნური დღესასწაული, სადაც მას თავის გამოსვლით ზეიმი არ დაემშვენებინოს.

ყველა ამის მოწმეს არ უნდა შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ თუ დღევანდელ გაჭირვებულ პირობებში ქართველი სტუდენტობა არ ივიწყებს თავის ერსა და ხალხს, ის არც შემდეგში, სწავლის დათავებისას, როდესაც მას ამგვარ მუშაობისათვის ცოდნაც და გამოც-

დილებაც მეტი ექნება – არც მაშინ დაიშურებს თავის ენერგიას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამის პირობა ქართველი სტუდენტობის მოღვაწეობაა დღევანდლამდე, ამის თავდები მტერთან ბრძოლაში დაღუპული სტუდენტებია...".[1]

დემოკრატიული პარტიის მილოცვა უნივერსიტეტს

უნივერსიტეტის საიუბილეო დღეს თბილისში მუშაობდა არასოციალისტური პარტიების კონფერენცია, სადაც გადაწყდა მათი ერთ პარტიად გაერთიანება და საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნა. საქართველოს დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ გააგზავნა ორი მისასალმებელი დეპეშა. ერთი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, მეორე კი ქართულ უნივერსიტეტს:

„საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს. ასლი სტუდენტთა გამგეობას საქართველოს დემოკრატიული პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნულ, რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიების და უპარტიოთა კავშირის) კონფერენცია მიესალმება საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და სტუდენტობას და ულოცავს მათ მეცნიერების ტაძრის არსებობის სამი წლისთავს. კონფერენცია იმედოვნებს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის მუშაკნი მედგარი კულტურული ბრძოლით მოუპოვებენ ქართველ ერს საპატიო ადგილს კულტურულ მსოფლიოში.

კონფერენციის თავმჯდომარენი: სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, ალ. ასათიანი, კ. აფხაზი და ალ. შანშიაშვილი".[2]

სტუდენტთა დღე

1921 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტში აღნიშნეს უკვე ტრადიციად ქცეული სტუდენტთა დღე.

მოწოდება სტუდენტთა დღესთან დაკავშირებით:

---

[1] „სახალხო საქმე", 1920 წ. 15 აგვისტო.

[2] „საქართველო", 1921 წ. იანვრის 29.

„სტუდენტთა დღე

იანვრის 26-ს ქართველი სტუდენტობა იდღესასწაულებს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სამი წლის თავს. იანვრის 26-ს „სტუდენტთა დღე“ – ერთი დიდი დღეთაგანია ქართველი ერისათვის. ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი ჩვენი მეცნიერების ტაძარს, ქართულ უნივერსიტეტს. სამი წელი სრულდება, რაც არსებობს იგი, ეს აკვანი ჩვენი მეცნიერებისა. დიდია მისი მნიშვნელობა, დიადია მისი დანიშნულება ქართველი ერისათვის. მეცნიერულად აღზრდილი, შემოქმედების ცეცხლით აღგზნებული ქართველი სტუდენტი, ეს სიმბოლოა ჩვენი ერის კულტურულად აყვავებისა. ქართული უნივერსიტეტი ის წმინდა ადგილია, სადაც უნდა აღიზარდოს ასეთი სტუდენტობა: ამიტომაც დღე მისი დაარსებისა „სტუდენტთა დღე“, იანვრის 26-ს, არის იმავე დროს დღე უაღრესად ეროვნული.

ქართველი სტუდენტობის საკუთარ უნივერსიტეტში არსებობას სამი წლის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია საშუალება ჩუმი აკადემიური მუშაობისა. ის დაეწაფა მეცნიერებას, მაგრამ მუდამ ფხიზლად ეჭირა თვალ-ყური იმ თავგანწირულ ბრძოლა-შემოქმედებისათვის, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ერი. ის ზეიმობდა მშობლიურ ერის ზეიმთან ერთად, მაგრამ მუდამ მზად იყო მტრებთან საბრძოლველად, როცა მის სამშობლოს განადგურებით ემუქრებოდნენ.

სამი წელი გადის: იანვრის 26-ს ქართველი სტუდენტობა მთელს საქართველოში მოაწყობს თავის „ტრადიციულ დღეს“. ამ დღეს ის გააცნობს საზოგადოებას, თუ რისი გაკეთება სურს მას, რა გააკეთა ან ვერ გააკეთა მან და რა პერსპექტივებს ისახავს ის მომავლისათვის. ამიტომ ქართველი სტუდენტობა მოუწოდებს მთელს ერს, ყველას, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირთ, ყველას, ვისაც კი აქვს შეგნება მოქალაქეობისა და დაინტერესებულია ქართველი სტუდენტობით, მიიღოს აქტიური მონაწილეობა „სტუდენტთა დღის“ მოწყობაში, რათა სტუდენტობა დარწმუნდეს, რომ ის განმარტოებული არ არის, არამედ მასზე გული შესტკივა, მისთვის ზრუნავს და მასთან არის მთელი ერი.

„სტუდენტთა დღის“ მომწყობი კომისია“.[1]

---

[1] „საქართველოს პესპუბლიკა“, 1921 წ. 23 იანვარი, „სახალხო საქმე“, 1921 წ. 22 იანვარი.

ჟურნალი სტუდენტური დღისათვის

სტუდენტთა დღისათვის მზადდებოდა სპეციალური ჟურნალი, რომლისთვისაც მასალების მიწოდებას სასწრაფოდ ითხოვდა სტუდენტთა კავშირის გამგეობა:

„სტუდენტთა კავშირის გამგეობა სთხოვს სტუდენტებს 26 იანვრის სტუდენტთა დღის ჟურნალისთვის მოაწოდონ მასალა სტუდენტთა სასადილოში“.[1]

ამავე დროს, გამოსული იყო სტუდენტთა ყოველთვიური ჟურნალის „მომავალის“ მე-2 ნომერი. გაზეთმა „ერთობამ“ 1921 წლის 13 იანვარს გამოაქვეყნა განცხადება აღნიშნული ჟურნალის შესახებ:

„მომავალი სახელმწიფო უნივ. სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნ. №2 გამოვიდა და იყიდება. რედაქ. ა. შილაკაძე.

შინაარსი:

1.სტუდენტთა მეცნიერული მისია – მეთაური;

2. პროფ. კ. კეკელიძე;

3. „მარცვლის“ საკითხის გარშემო – პროფ. გ. ახვლედიანი;

4. ოქრო და ფულის ტრიალი – პროფ. ს. ავალიანი;

5. გუსტავ ლებონის ახალი თეორია – თ. სიხარულიძე;

6. მცხეთა ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო – პრ. დოც. ლეონ მელიქსეთ ბეგი;

7. სიცოცხლე და სიკვდილი – ანატ. კათედრის ასისტ. ვლ. ცეცხლაძე;

8. ნიჭიერი ნაკვესი – ბაბილინა;

9. სიკვდილი მზეში – ს. აბულაძე;

10. მზის ელვარება – ილ. გოგია;

11. სონეტი – ვ. გორგაძე;

12. ებრაული ლირიკა – ვ. გორგაძე;

13. რატომ არ სცხრება? – ლია;

14. ორი ქვეყანა – შ. დუ ვა;

15. ხელოვნება და სოციალიზმი (რეცენზია) – ე.

ფასი 120 მან.

ჟურნალის საგამომცემლო კომიტეტი.“[1]

---

[1] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 7 იანვარი, „საქართველო“, იანვრის 13, 1921 1-ლ გვერდზე, მეორდება 14, 16 და 17 იანვარს.

აღნიშნული ჟურნალის სალიტერატურო ნაწილი განხილულია გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ რაჟდენ გვეტაძის რეცენზიაში[2], რომელშიც საკმაოდ მკაცრ შეფასებებებთან და ირონიასთან ერთად, არც საქებარი სიტყვები დაუშურებია ავტორს:

„ჟურნალი „მომავალი“

მე მინდა შევეხო მხოლოდ ჟურნალის მეორე ნაწილს:

ქართულ პოეზიას არც წარსულში ჰყოლია და არც დღეს ჰყავს ვაზის ჯვარით მოსიარულე ხადუნები. საერთოდ ქართველი ქალები ამ ზიარებისათვის ჯერ კიდევ არ არიან თევდორობის მირაჟებით ატირებულნი;

„ნიჭიერი ნაკვესი“ – ბაბილინასი ყველაფერია, გარდა პოეზიისა.

სამაგიეროდ ბევრნი არიან პოეზიისათვის თავდადებულნი პაჟები:

„სიკვდილი მზეში“ – ს. აბულაძესი, არის უკეთ სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგი. პოეტი სხვათა შორის ადარებს მზის ჩასვლას სიცოცხლეს და გულზე ხელებგადაჭდობილი ამბობს:

„მაგრამ მღიმარ მზეს ღრუბელი ჩანთქავს
და მეკარგება სახეზე ჩრდილი,
უიმედობა გამითხრის საფლავს,
დამაჩერდება თავზე სიკვდილი.“

უფრო საშინელია კიდევ პოეტის მისნობა:

„ეს დღეს იქნება, შეიძლება ხვალ,
განგების ხვედრი არ ამცილდება:
ვით სხვა მრავალი, ისე მეც წავალ,
ტანჯული სული ხორცს გასცილდება“.

მაგრამ... პოეტი მზის მეტისმეტი სიყვარულით ნუგეშცემული გაბედულათ მეტყველობს:

„და თუ ხანდახან ტვინს გამიხურებ,
დაე, დავეცე გულ-შემოყრილი...“

და რომ ის არ „დაეცეს გულშემოყრილი“ ტვინის სიმხურვალით, ვაფრთხილებ მას: მზეს ნუ დაენახვება.

---

[1] „ერთობა“, 1921 წ. 13 იანვარი, № 8, გვ. 1.

[2] რაჟდენ გვეტაძეს რეცენზიაში ჟურნალ „მომავალთან“ ერთად განხილულია ტერენტი გრანელის „სამგლოვიარო ხაზები“ და არიმანის „ლურჯი კაბარე“.

ილ. გოგიას „მზის ელვარება“ მეტამორფოზაა მისი ჭაღარის.

ვ. გორგაძე თანამგზავრია ახალი პოეზიის. უნდა ითქვას: მას უყვარს ძველი სიტყვებით დატვირთვა ლექსის, რაც მაინც და მაინც ბევრს არაფერს ძენს ლექსს. ხშირად აღარიბებს. მისი „სონეტი“ ამ მხრივ თვალნაკრავია. ამ ლექსში მას რითმებათ, მხოლოდ რითმებათ ნახმარი აქვს ლექსიკონებში საძებარი სიტყვები, რაც ნიშანია რითმებზე დანატრულობის. ყოველშემთხვევაში გორგაძის „სონეტი“ ამ ჟურნალში პრიზის ღირსია.

უფრო საინტერესოა მისი წერილი „ებრაულ ლირიკა“-ზე.

„რატომ არ ცხრები“-ს ავტორს – ლიას მივმართავთ მისივე მინიატურის სათაურით...“.[1]

პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ლექციები და ავადმყოფობა

„**საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი საზოგადოებაში წაიკითხავს მოხსენებათა მთელ სერიას. პირველი მოხსენება შესდგება დღეს, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის ქ. № 11), შემდეგ თემაზე: „ჩვენი ყველები, დასწრება არა წევრსაც შეუძლიათ“.[2]

„**საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს 7 საათხე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის ქუჩა № 11), შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: 1) პროფ. პ. მელიქიშვილი – „ჩვენი ღვინოები“ და 2) ინჟ. ი. ყიფშიძე – „ტყვარჩელის ქვანახშირი და კონცენსია იტალიელებთან“. დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ“.[3]

თებერვლის პირველ რიცხვებში პეტრე მელიქიშვილი მძიმედ გახდა ავად და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთი გაზეთი მოკლედ გვაუწყებს ამის შესახებ:

---

[1] „საქართველო“, 1921 წ. 30 იანვარი, № 22.
[2] „ერთობა“, „საქართველო“, 1921 წ. 13 იანვარი.
[3] „ერთობა“, 1921 წ. 2 თებერვალი.

„ **– პროფ. მელიქიშვილის ავადმყოფობა.** მხცოვანი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი ამ ჟამად მძიმედ ავად არის ფილტვების ანთებით. ავადმყოფი მოთავსებულია მიხეილის საავადმყოფოში“.[1]

„დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი ავად გახდა ინფლოენციით. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში წევს.“[2]

„**პროფ. მელიქიშვილის ავათმყოფობის გამო.** პროფესორ მელიქიშვილს, რომელიც ამ ჟამად ავათაა და მიხეილის საავათმყოფოში წევს, თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს ქართულ-გერმანულ საზოგადოებამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის მეოთხე კურსის სტუდენტებმა“.[3]



[1] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 10 თებერვალი.
[2] „ერთობა“, 1921წ. 10 თებერვალი.
[3] „ერთობა“, 1921 წ. 15 თებერვალი.

უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებები და სამეცნიერო საქმიანობა

სტუდენტთა სალიტერატურო წრე

„სტუდენტთა შორის. დღეს საღამოს 6 საათზე სალიტერატურო წრეში მე-2 აუდიტორიაში სტ. ქრისტ. ცქიტიშვილი წაიკითხავს რეფერატს: „ვისრამიანი". დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც“.[1]

მოხსენება გენდერულ საკითხზე

„მოხსენება. ხუთშაბათს 3 თებერვალს საღამოს 7 საათზე სტუდენტთა სასადილოში (თავისუფლების მოედანი № 2) ბ. სერგო ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალთა ბუნების სისუსტე“.[2]

სტუდენტთა აგრონომიული წრე

„სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აგრონომიული წრის საზოგადო კრება დანიშნულია ხუთშაბათს 10 თებერვალს საღამოს 8 საათზე აგრონომიულ დარგის მე-4 კურსის აუდიტორიაში. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები“.[3]

სტუდენტური კრებები

1921 წლის იანვარ-თებერვალში მრავლად ტარდებოდა სტუდენტთა კრებები, რომელთა თაობაზეც გაზეთებში შემორჩა მოკლე განცხადებები.

მაგალითად, გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა 13 იანვარს დანიშნული სტუდენტთა ორი კრების შესახებ:

„სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის სარევიზიო კომისიის კრება დანიშნულია ხუთშაბათს, საღ. 7 სათ. სტუდ. სასადილოში. განსახილველია სასწრაფო საკითხები. პრეზიდიუმი“.[4]

„სტუდენტთა შორის. ხუთშაბათს, იანვრის 13-ს საღამოს 6 საათზე დანიშნულია სტუდენტთა კავშირის გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება. წევრების დახმარება აუცილებელია“.[5]

---

[1] „ერთობა", 1921 წ. 11 თებერვალი.
[2] „საქართველო“, 1921 წ. 2 თებერვალი.
[3] „ერთობა", 1921 წ. 9 თებერვალი.
[4] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 13 იანვარი.
[5] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 13 იანვარი.

6 თებერვალს უნივერსიტეტში ტარდებოდა სტუდენტთა საერთო კრება:

„- **სტუდენტთა კრება.** კვირას თებერვლის 6-ს დილის 9 საათზე დანიშნულია სტუდენტთა არაჩვეულებრივი კრება უნივერსიტეტში. ამხანაგებს ვსთხოვთ, ნუ დაიგვიანებენ.

გამგეობის პრეზიდიუმი“.[1]

ერთ-ერთი ბოლო ინფორმაცია, რაც უნივერსიტეტის მშვიდობიანი ცხოვრების შესახებ შემოგვინახა იმდროინდელმა პრესამ, ეხება ეკონომისტ-სტუდენტთა კრებას, სადაც ამ დარგის სტუდენტთა გაერთიანება შეიქმნა.

არის მოკლე განცხადება დაგეგმილი კრების შესახებ:

„- სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღეს, 10 თებერვალს, პოლიტიკური ეკონომიის სემინარის შემდეგ პირველ აუდიტორიაში შესდგება საეკონომიო დარგის ყველა სემესტრების სტუდენტთა საერთო კრება“.[2] იგივე ინფორმაცია გამოქვეყნდა „სახალხო საქმეში“.[3]

ორი დღის შემდეგ გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია ჩატარებული კრების თაობაზე:

„ – **ეკონომისტ-სტუდენტთა კრება.** ხუთშაბათს, თებერვლის 10-ს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ამავე უნივერსიტეტის ყველა სემესტრის ეკონომისტ-სტუდენტთა საერთო კრება. კრების საგანს შეადგენდა ეკონომიური დარგის სტუდენტთა წესდების განხილვა და დარგის გამგეობის არჩევნები. კრებამ ზოგადად განიხილა და მიიღო წარმოდგენილი პროექტი წესდებისა და აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის ვალდებულება არის, ხელმძღვანელობა გაუწიოს დარგს აკადემიურ და სხვა მუშაობებში. გამგეობაში არჩეული იქნენ: ფ. გოკიელის ასული, ვლ. ანთელავა, ვ. მხეიძე, გ. გორგიძე და ნიკოლაიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიაში: პ. ბეშკენაძე, ვ. ჯაში და ს. გვასალია“.[4]

13 თებერვლის გაზეთ „სახალხო საქმეში“, სადაც გამოქვეყნდა ინფორმაცია სტუდენტ-ეკონომისტთა კრების შესახებ, გამოქ-

---

[1] „საქართველო“, 1921 წ. 6 თებერვალი.
[2] „ერთობა“, 1921 წ. 10 თებერვალი.
[3] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 11 თებერვალი.
[4] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 13 თებერვალი.

ვეყნდა ასევე პირველი ცნობა საქართველოზე ახალი სამხედრო თავდასხმის შესახებ. გაზეთში დასახელებულ სტუდენტ-ეკონომისტთა შორის კი არის პავლე ბეშკენაძე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ დაიღუპება თბილისის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში...

უნივერსიტეტის ყოველდღიური ყოფა

ურმები უნივერსიტეტის წინ

„გვთხოვენ დავბეჭდოთ: ვაკეში, უნივერსიტეტის წინ, თითქმის ყოველ დღე ქუჩაში დგას ურმები ხარებ გამოშვებული. აქ აჭმევენ თივას ცხენებს, ვირებს, რის გამო უნივერსიტეტის წინ დიდძალი ნაგავი გროვდება. საჭიროა სისუფთავე, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენის აზრით, უნივერსიტეტის წინ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი მაგარი სასმელებით ვაჭრობა და ამით ბოლო მოეღება აქაურ უსუფთაობას. საჭიროა, ამას მიაქციოს ყურადღება ქალაქის თვითმმართველობამ“.[1]

სტუდენტების გაქურდვა

„ – ქურდობა. ხუთშაბათს, 3 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე №12, გასაღების მორგებით გაჰქურდეს სახელმწ. უ-ტის სტუდენტების მ. თავდიდიშვილის და ა. მინოვიჩის ოთახი. წაღებულია სხვადასხვა ნივთები და საცვლები, ღირებული სულ 200.000 მან. მეტი. დაზარალებულთ იქვე განაცხადეს მეორე კომისარიატში და სისხლის სამართლის მილიციაში, რომელთა მიერ ქურდების აღმოსაჩენათ მიღებულია სათანადო ზომები“.[2]

სტუდენტთა კოოპერატივი მატყლს ანაწილებს.

„სტუდენტთა კოოპერატივს დავალებული აქვს მატყლის განაწილება და დარიგება მცხოვრებთათვის. ხელის მოწერა და ავანსის შემოტანა სწარმოებს კოოპერატივში ყოველ დღე. მსურველთ დააჩქარონ ხელის მოწერა. რუსთაველის პროსპექტი № 49“.[3]

---

[1] „ერთობა“, 1921 წ. 21 იანვარი.
[2] „საქართველო“, 1921 წ. 5 თებერვალი.
[3] „ერთობა“, 1921 წ. 7 იანვარი.

კოსტუმები სტუდენტებისთვის

„სტუდენტთა კოოპერატივში (რუსთაველის პრ. №40) იყიდება მხოლოდ წევრებზე შეკერილი კოსტუმები ხელმისაწვდომ ფასებში, წევრებს სთხოვენ დაჩქარებით შეიძინონ“.[1]

დაკარგული პირადობის მოწმობა

„დაიკარგა პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან. ნიკოლოზ მიხ.-ძე წულუკიძის სახელზე გაცემული მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს“.[2]

ფრანგული ენის გაკვეთილები

15 თებერვალს გაზეთმა „საქართველომ“ გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ლექტორის ელისაბედ ორბელიანის განცხადება:

„ფრანგული ენის გაკვეთილებს იძლევა სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ელისაბედ ორბელიანი. ცნობების მიღება შეიძლება ფრანგული გაზეთის რედაქციაში, წყნეთის ქუჩა № 11, 11-დან 3 საათამდე, ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა“.[3]

პარტიული ცხოვრება უნივერსიტეტში

უნივერსიტეტში აქტიურად მოქმედებდნენ იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციები. ამის თაობაზე გაზეთებში გამოქვეყნებულია მოკლე ინფორმაციები.

სოციალ-დემოკრატები:

„სახელმწიფო უნივერსიტეტი. შაბათს, საღამოს 7 ს. დანიშნულია სოც-დემოკრატ სტუდენტთა (ყველა ფაკულტეტების და დარგების) საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. სეით დევდარიანი პარტიული კონფერენციის მუშაობის და დადგენილებების შესახებ“[4]

„სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს საღამოს 7 საათზე დანიშნულია სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიუროს სასწრაფო სხდომა“.[5]

---

[1] „ერთობა“, 1921 წ. 12 თებერვალი.
[2] „საქართველო“, 1921 წ. 10 თებერვალი.
[3] „საქართველო“, 1921 წ. 15 თებერვალი, № 34, გვ. 1.
[4] „ერთობა“, 11 თებერვალი, 1921, პარასკევი.
[5] „ერთობა“, 9 თებერვალი, 1921.

„ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ რედაქციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი: „ერთობის“ № 298-ის ახალ ამბავში (სიტყვიერების დარგის სტუდენტთა საყურადღებოთ) მომხსენებელი ნ. ბოკუჩავა არის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. ბოკუჩავა და არა ნოე ბოკუჩავა“.[1]

„სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს საღ. 7 ს. დანიშნულია სოც-დემ. სტუდენტთა (ყველა ფაკულტეტებისა და დარგების) საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. სეით დევდარიანი პარტიული კონფერენციის მუშაობისა და დადგენილების შესახებ“.[2]

„**სოც-დემ. პარტიაში კრებები.** დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია ს.დ. სტუდენტთა ბიუროს სასწრაფო სხდომა. სხდომაზე მოწვეული არიან შემდეგი სტუდენტნი: ა. ჩაჩუა, ვ. ფირცხალავა, ბ. კალანდარიშვილი, ს. ედიბერიძე, ვ. ნუცუბიძე, ლ. ციცაგი, შ. დუდუჩავა, ივ. წერეთელი, პ. ფირცხალაიშვილი, ესტ. ლატარია, დ. ლომთათიძე, ი. კანკავა, სოკ. ძიმისტარიშვილი, გ. თაყაიშვილი, არ. თარიანი, ფ. ცისკარიშვილი, ე. ხატიაშვილი, კ. სამყურაშვილი, აკ. ჭყონია, კ. კედია“.[3]

სოციალისტ-ფედერალისტები:

2 თებერვალს გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „**სოც-ფედ. სტუდენტთა შორის.** დღეს, საღამოს 5 საათზე სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია სოც-ფედ. სტუდ. მთავარ ბიუროს სასწრაფო სხდომა. პრეზიდიუმი წევრებს სთხოვს, ნუ დაიგვიანებენ“.[4]

15 თებერვალს, სამშაბათს, უკვე ომის დაწყების შემდეგ, როდესაც სომხეთის მხრიდან წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს, გაზეთი სახალხო საქმე იუწყებოდა უნივერსიტეტში სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა საერთო კრების შესახებ, რომელიც ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას ეძღვნებოდა:

„საქ. ს-ფ. სარ. პარტიაში

სტუდენტთა საერთო კრება. ოთხშაბათს თებერვლის 16-ს, სახელმწიფო უნივერსიტეტის I აუდიტორიაში დანიშნულია ს-ფე-

---

[1] „ერთობა“, 1921 წ., 2 თებერვალი.
[2] „ერთობა“, 1921 წ., 12 თებერვალი.
[3] „ერთობა“, 1921 წ., 15 თებერვალი.
[4] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 2 თებერვალი.

დერალისტ სტუდენტთა საერთო კრება. მომხსენებლად იქნებიან: გრ. რცხილაძე, ს. დადიანი და თედო ღლონტი. მოხსენების შემდეგ მოხდება არჩევნები ბიუროსი. გასარჩევია სასწრაფო საორგანიზაციო საკითხები. კრება გაიხსნება საღამოს 7 საათზე".[1]

ეს კრება არ შემდგარა, რადგანაც ფრონტზე შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, საორგანიზაციო საკითხების განსახილველად აღარავის ეცალა. 16 თებერვალს, საღამოს, უნივერსიტეტში მიტინგი გაიმართა და სტუდენტები მოხალისედ ეწერებოდნენ ფრონტზე წასასვლელად (იხ. შემდგომ).

ფედერალის სტუდენტთა კრება ჯერ ერთი კვირით გადაუდიათ, შემდეგ კი გაურკვეველი დროით. ოთხშაბათს, 16 თებერვალს „სახალხო საქმე" იუწყებოდა:

„საქ. ს-ფ. სარ. პარტიაში

ს-ფ. სტუდენტთა საერთო კრება, დანიშნული მომავალ ოთხშაბათისთვის გადაიდო გამოურკვეველ დრომდე".[2]

სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა აკადემიური წრე

სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტების სამეცნიერო წრის საქმიანობას თებერვალ-მარტის ომის შემდეგ იხსენებდა მისი ერთ-ერთი მონაწილე (ფსევდონიმით ა. ბ-ა), იხსენებდა წრის იმ წევრებს, რომლებიც ბრძოლაში დაიღუპნენ:

„..წელს ნოემბრის რიცხვებში „სოციალისტ-ფედერალისტთა ერთი ჯგუფის ახალგაზრდათა აკადემიური წრე" ჩამოყალიბდა. ამ მცირე წრეს სარჩულათ მეცნიერების ყოველი დარგის საფუძვლიანად შესწავლა ედვა – პარტიის მსოფლმხედველობასთან შეფარდებით. აი აქ უნდა გენახათ თქვენ ეგ ორი მალხაზი (იგულისხმება პავლე ბეშკენაძე და შალვა ტურაბელიძე – მ. მ.) როგორი გაფაციცებით, მთელი თავიანთი ენერგიით და გატაცებით მუშაობდნენ: წრეში მუშაობის დროს ყოველი ადამიანი მათ ნიჭიერ თვალებში ამოიკითხავდა, რომ ისინი ახალგაზრდული ცეცხლით ღვივოდენ და ეს ყველაფერი მათზე მომავლის იმედებით აგავსებდათ და საერთოდ კი ყოველ მათ დადებით მხარეებს თვალწინ გადაგიშლიდათ...

პირველი რეფერატი პავლეს უნდა წაეკითხა...

---

[1] „სახალხო საქმე", 1921 წ. 15 თებერვალი, № 1053, გვ. 4.
[2] „სახალხო საქმე", 1921 წ. 16 თებერვალი, № 1054, გვ. 4.

მეორე მე...

მესამე შალიკოს და ასე სხვებს...

ყველანი გაფაციცებით ველოდით დანიშნულ დღეს, მაგრამ სურვილი და მოლოდინი ომმა გაგვიქრო, რადგან მან სამი დღით ადრე მოგვისწრო.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, წრის წევრები და გავექანეთ მოვალეობის ასასრულებლათ იმ იმედით, რომ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულებს ისევ ჩვენს საყვარელ წრეში მუშაობა მოგვიხდებოდა, მაგრამ ამაოთ... ვინ სად არის, არ ვიცით. ორი საუკეთესო, სულის ჩამდგმელი ამხანაგი აღარა გვყავს...

ვსტირი და ვსტირი ცხარე ცრემლებით სპეტაკ მეგობრებს...“[1]

ახალგაზრდა მარქსისტები „კაპიტალს“ სწავლობდნენ

„დღეს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა ეკონომიურ წრეში გააგრძელებენ „კაპიტალის" კითხვას. ამხანაგები უნდა შეიკრიბონ ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის ბინაზე (ერთობის ქუჩა)“.[2]

„**ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა „კაპიტალის" შემსწავლელ წრის მეცადინეობა, უნივერსიტეტში უქმეების გამო შეწყვეტილი ლექციები განახლდება დღეს და შესდგება ახ. მარქსისტთა ცენტ. კომიტეტის ბინაზე, სამშაბათობით და შაბათობით საღამოს 5½საათზე“.[3]

ეროვნულ-დემოკრატები

უნივერსიტეტში საქმიანობდნენ არასოციალისტური პარტიების წევრი სტუდენტებიც. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინ საქართველოს არასოციალისტური პარტიები გაერთიანდნენ დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით. სწორედ დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ კონფერენციას ეძღვნებოდა 5 თებერვალს დანიშნული არასოციალისტური პარტიების წევრი სტუდენტების კრება:

„პარტიული ცხოვრება.

---

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 31 მარტი, № 26, გვ. 2.
[2] „ერთობა“, 1921 წ. 4 იანვარი.
[3] „ერთობა“, 1921 წ. 11 იანვარი.

საქართველოს დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა კრება.

შაბათს, თებერვლის 5-ს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2-ე აუდიტორიაში დანიშნულია საქართველოს დემოკრატიულ (ეროვნულ-დემოკრატ., ეროვნულ, რად. დემოკრატ. და უპარტიოთა) საერთო კრება, რომლის საგანია დემოკრატიული პარტიის I კონფერენციის ანგარიში და სხ. და სხვა საყურადღებო საკითხები.

წევრთათვის დასწრება სავალდებულოა".[1]

1921 წლის 1 თებერვლის საპროტესტო დემონსტრაცია

1 თებერვალს დამფუძნებელ კრებაში მოხდა ინციდენტი, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში და ფართოდ განიხილებოდა პრესაში. მას მოჰყვა სტუდენტთა პირველი საპროტესტო დემონსტრაციაც. თუმცა, ამ აქციაში სტუდენტობა ერთსულოვანი არ ყოფილა და პარტიული ნიშნით იყო გამიჯნული. სოციალ-დემოკრატი და ნაციონალ-დემოკრატი სტუდენტები არ ღებულობდნენ დემონსტრაციაში მონაწილეობას.

1 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომის შემდეგ სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა ბ. ჩხიკვიშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სოციალისტ-ფედერალისტ დეპუტატ შ. ნუცუბიძეს. საქმე ეხებოდა თვენახევრის წინ მათ შორის მომხდარ შელაპარაკებას, რომლის გახსენებასაც ჩხიკვიშვილის მხრიდან ზემოთაღნიშნული ინციდენტი მოჰყვა.

შეურაცხყოფილ შალვა ნუცუბიძეს თანაგრძნობას უცხადებდნენ და, ცხადია, ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები იყვნენ. შალვა ნუცუბიძეს სახლში ეწვივნენ უნივერსიტეტის რექტორი და დეკანი.

სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე" წერდა:

„ამხ. შ. ნუცუბიძისა და ბ. ჩხიკვიშვილის ინციდენტის გარშემო თანაგრძნობა პროფ. ნუცუბიძეს

[1] „საქართველო", 1921 წ. 4 თებერვალი, № 26, განცხადება მეორდება 5 თებერვლის ნომერშიც.

ბ. ჩხიკვიშვილის მხეცურ მოქმედებით შეურაცხყოფილი ამ. შ. ნუცუბიძე ინახულეს და თავიანთი თანაგრძნობა გადასცეს:

1. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა.

2. ტრამვაელმა მუშებმა და 3. სოციალისტ-რევოლიუც. პარტიის წარმომადგენლებმა“.[1]

2 თებერვალს გაიმართა სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაცია, რასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით ოპოზიციურ პრესაში. „სტუდენტობის დემონსტრაცია მრავალ მხრივ არის სიმპტომატიური და დამაფიქრებელი. ეს პირველი საპროტესტო დემონსტრაციაა რევოლუციის შემდეგ. ეტყობა, რომ მმართველი წრის ზოგიერთ გათამამებულ წევრთა საქციელს ერთობ შეულახავს საზოგადოების ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარე ნაწილი – მოსწავლე ახალგაზრდობა – ქუჩაში გამოდის საპროტესტოდ“, – წერდა, მაგალითად, „ახალი სხივი“. იმავე გაზეთის თქმით, „ჯერ-ჯერობით ... ხმა ამოიღო მხოლოდ სტუდენტობამ“ და მიესალმებოდა ამ გამოსვლას: „ჩვენ არ გვსურს, რომ ახალგაზრდობამ ჩაიკეტოს ლაბორატორია-სემინარიების კარები და სრულიად მოსწყდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. არა, ჩვენ გვინდა ჩვენმა უნივერსიტეტმა აღზარდოს მეცნიერულ და პრაქტიკულ მოღვაწესთან ერთად ნამდვილი მოქალაქეც და ამ მხრივ სტუდენტების გამოსვლას მივესალმებით“.[2]

სასახლესთან მისულ სტუდენტთა დემონსტრაციას აივნიდან მიმართა შ. მესხიშვილმა. მან ბევრი კარგი სიტყვა თქვა სტუდენტების და საზოგადოების ცხოვრებაში სტუდენტების როლის შესახებ:

„მოქალაქენო და ამხანაგებო! სტუდენტობა ყოველთვის იყო ფხიზელი დარაჯი საზოგადოებისა და საკაცობრიო იდეალებისა. იგი მზად იყო და არის, პირუთვნელი მსჯავრი დასდოს ყოველგვარ მოვლენას და თავისი რწმენა ახალგაზრდობას ბრძოლაში სისხლით განუმტკიცებია, მოსწავლე ახალგაზრდობა არის ერის სილამაზე და მისი სინიდისი.

მე ვხედავ და მესმის თქვენი აღშფოთება.

---

[1] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 5 თებერვალი.

[2] „ახალი სხივი“, 1921 წ. 6 თებერვალი.

შეუძლებელი იყო, სტუდენტობას უყურადღებოდ დაეტოვა ის შემაძრწუნებელი ამბავი, რომელიც დამფუძნებელ კრებაში დატრიალდა. მე არა მსურს, მივცე მას რაიმე პარტიული ხასიათი.

სასტიკად შეურაცხყოფილია არა დეპუტატი ნუცუბიძე, არამედ იდეა ხალხის წარმომადგენლობისა, იდეა პოლიტიკურ მოღვაწეობისა, შეურაცხყოფილია ამით თვით ერი და მისი სახელმწიფო, რომლის იურიდიულმა ცნობამ რამდენიმე დღის წინედ ასეთი აღფრთოვანება გამოიწვია ყველა ჩვენში...".[1]

სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს ბ. ჩხიკვიშვილის გარიცხვა დამფუძნებელი კრებიდან. 1921 წლის 4 თებერვალს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ დღის წესრიგში არ შეიტანა ეს საკითხი განსახილველად და მომხდარი კერძო ინციდენტად მიიჩნია.

მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო დამფუძნებელ კრებაში მომხდარი ინციდენტი აღარავის ახსოვდა.

შალვა ნუცუბიძე და ბენია ჩხიკვიშვილი

დახმარება თბილისის უნივერსიტეტს

უცხოური დიპლომატიური მისიები ეხმარებიან სტუდენტებს

[1] „სახალხო საქმე", 1921 წ. 5 თებერვალი.

„სტუდენტთა სასარგებლოდ. ქალ. მოურავმა ბ. ვ. ჩხიკვიშვილმა მიიღო დამატებითი შემოწირულობა სტუდენტთა სასარგებლოთ შემდეგ პირთაგან: ანგორის მთავრობის წარმომადგენელ პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეისაგან – 15.000 მ., სპარსეთის გენერალური კონსულის თავიხანისაგან – 20.000 მან. და ბ. რაიხერისაგან – 10.000 მან. ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით ქალ. მოურავი მადლობას უძღვნის შემომწირველთ. შემოწირულობა გრძელდება“.[1]

მადლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ბიბლიოთეკაზე აქტიურად ზრუნავდა იმდროინდელი ქართული საზოგადოება. ამაზე მეტყველებს თუნდაც შემდეგი ინფორმაცია:

„მადლობის გამოცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროს. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უსასყიდლოდ დაუთმო სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიულ ქიმიის ლაბორატორიას 13 ძვირფასი ქიმიის წიგნი, რისთვისაც ლაბორატორიის გამგე პროფ. პ. მელიქიშვილი დიდს მადლობას სწირავს აღნიშნულს სამინისტროს“.[2]

მისაბაძი მაგალითი

„მოქალაქე აბ. ბუკიამ დაუნიშნა დამსახურებულ მსახიობ ვასო აბაშიძეს და მხცოვან პროფესორ ალ. ცაგარელს, პირველს 60.000 და მეორეს 25. 000 მანეთი წლიურად“.[3]

ზეიმი საქართველოს იურიდიული აღიარების გამო

საქართველოში 30 იანვარს გაიგეს, რომ სამი დღის უკან, 27 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე-იურედ სცნეს. ამას საზოგადოების აღფრთოვანება მოჰყვა. საზეიმო დემონსტრაციაში სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა. ერთ-ერთი გაზეთი ამ ამბავს შემდეგნაირად აღწერს:

„ქუჩაში

---

[1] „ერთობა“, 1921 წ. 3 თებერვალი.
[2] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 5 თებერვალი.
[3] „საქართველო“, 1921 წ. 13 თებერვალი.

ტფილისის ქუჩებზე ამ დროს ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. სადღესასწაულო არაფერი ეტყობოდა. ჯერ არავინ იცოდა ამ ამბისა არაფერი. დეპუტატების ერთი ჯგუფი დაახლოვებით ათ კაცამდე ტრიალებდა სასახლის წინ და ჰსურდა, მოქალაქეთათვის ემცნო ეს დიდად გასახარელი ამბავი. იქვე გაჩნდა პატარა ჯგუფი სტუდენტებისა დროშით და ეს მცირე ხალხი გაემართა რუსთაველის პროსპექტით სიმღერითა და ვაშას ძახილით. თან და თან ხალხში ვრცელდება ეს ამბავი, ყველას აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს, სადღესასწაულო პროცესს ემატება ხალხი, ეხლა იგი უკვე რამდენიმე ათას მონაწილეს ითვლის...“ [1]

6 თებერვალს საქართველოში დიდის ამბით აღნიშნეს დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.

ამ ზეიმში მონაწილეობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამაც მიიღო. სავარაუდოდ, ამ საკითხზე იყო დანიშნული სტუდენტთა საგანგებო კრებაც:

„**- სტუდენტთა საგანგებო კრება.** კვირას, თებერვლის 6-ს, დილით 9 საათზე დანიშნულია სტუდენტთა არა ჩვეულებრივი საერთო კრება უნივერსიტეტში. სტუდენტებს ვთხოვთ, ნუ დაიგვიანებენ. გამგეობის პრეზიდიუმი.“[2]

1921 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს საქართველოს იურიდიული ცნობის გამო მთავრობისა და დამფუძნებელ კრებისადმი მისასალმებელი ტელეგრამის გაგზავნის საკითხი. პროფესორების დ. უზნაძის და ა. შანიძის მიერ შედგენილი ტელეგრამის ტექსტი საბჭომ მოიწონა და დაადგინეს რექტორის სახელით გაეგზავნათ მთავრობისა და დამფუძნებელი კრებისათვის.[3]

ქართული უნივერსიტეტი სამშობლოს სიხარულითა და სატკივარით ცხოვრობდა. ისე ჩანდა, რომ საქართველოს და მასთან ერთად ქართული უნივერსიტეტისათვის, როგორც იქნა, დადგა

---

[1] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 1 თებერვალი.

[2] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 6 თებერვალი.

[3] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბილისი, „უნივერსალი“, 2006, გვ. 267.

მშვიდობიანი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი. თუმცა სულ მალე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა...

დანართი

დამოუკიდებელთა კავშირი

დაარსდა პარტიათა გარეთ მყოფი ქართველების დამოუკიდებელთა პოლიტიკური კავშირი. მიზნად კავშირი ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მის სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს მხოლოდ შემუშავებული მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია:

- საქართველოში დამოუკიდებელ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება;
- საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზედ;
- შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა.

დასახულ მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვა და სხვა საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფეს. ივ. ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, ვახტ. ღამბაშიძე, კონსტ. მაყაშვილი, დავ. კარიჭაშვილი.

წევრთა შორის ბევრი საზოგადო მოღვაწენი არიან, მაგალითად, ნ. თავდგირიძე, გეგე მაღალაშვილი და სხვ.

დამოუკიდებელთა წარმომადგენელნი ეროვ. საბჭოში არიან კ. აფხაზი და კ. მაყაშვილი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 1918 წ., №№ 7, გვ. 4

თავი 9. ივანე ჯავახიშვილი და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი

1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა მოჰყვა, ერთ-ერთი უაღრესად მძიმე ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ხშირად, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს რუსეთ-საქართველოს ომს უწოდებენ. რა თქმა უნდა, სწორედ საბჭოთა რუსეთი დაესხა თავს საქართველოს, მოახდინა მისი ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, მაგრამ საქართველოსთვის ეს მაინც არ ყოფილა მხოლოდ ომი რუსეთთან. მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ აამოქმედა იმ დროისათვის გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი; გარდა ამისა, თურქეთი – საქართველოს კიდევ ერთი მეზობელი – ასევე ჩართული აღმოჩნდა საომარ მოქმედებებში, როდესაც ჯარი შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე და არდაგან-ართვინთან ერთად, ბათუმის მიტაცებასაც შეეცადა.

1921 წლის დასაწყისში საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. იმ დროისათვის კავკასიაში საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ინგლისი და დასავლეთის სხვა ქვეყნები, ფაქტობრივად, აღარ ცდილობდნენ კავ-

კასიაში პოზიციების შენარჩუნებას. ვითარების ბატონ-პატრონი საბჭოთა რუსეთი და თურქეთი ხდებოდნენ. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის გამოყენებას ცდილობდა დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და თან ერთმანეთთან შეთანხმებით იყოფდნენ სამხრეთ კავკასიას.

მთავარი საფრთხე საქართველოს მაინც რუსეთიდან ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ დაეცვა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობები, არც თურქეთი წამოუყენებდა პრეტენზიებს საქართველოს და არც რუსეთის მიერ გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი იაქტიურებდნენ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მოსკოვი მაშინვე აამოქმედებდა სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. აამოქმედებდა სამხედრო ძალას, რადგანაც საქართველოს შიგნით საბჭოთა რუსეთს არ გააჩნდა ისეთი დასაყრდენი, რომლის მეშვეობითაც, შიდა გადატრიალების მოწყობით მოახერხებდა თავისთვის სასურველი ხელისუფლების მოყვანას და საქართველოს გასაბჭოებას. ამის გაკეთება მხოლოდ გარედან აგრესიის გზით იყო შესაძლებელი. 1921 წლის თებერვალში საქართველო მარტო დარჩა საბჭოთა რუსეთის წინაშე, რომელსაც მისი დაპყრობა გადაეწყვიტა და წითელი არმიის შემოტევის მოსაგერიელებლად ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ჰქონოდა.

მძიმე გეოპოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა არასწორად აფასებდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას და ვერ ხედავდა სასიკვდილო საფრთხეს. ამგვარი განწყობის შექმნას გარკვეულწილად ხელი შეუწყო დასავლეთმა. 1921 წლის იანვრის ბოლოს დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ მიჩნეული იქნა იმ მოვლენად, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობა, მით უმეტეს, რომ საქართველოს მეზობელი დიდი სახელმწიფოები – საბჭოთა რუსეთი და თურქეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ და მას ოფიციალურად კეთილმეზობლობას პირდებოდნენ.

მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციას, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და საზოგადოების მხრიდან არსებული ვითარების სათანადო შეუფასებლობას დაემატა უკვე ომის მსვლელობის დროს დაშვებული შეცდომები, რის შედეგადაც მარცხით დამთავრდა ლორესთვის ბრძოლა და ვერ მოხერხდა თბილისის დაცვა.

თბილისის დატოვებამ საბედისწერო როლი შეასრულა ომის შემდგომ მსვლელობაში. ისევე, როგორც 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის დროს, ამჯერადაც საბჭოთა რუსეთს საქართველოსთვის ომი არ გამოუცხადებია. თუკი საქართველო მოახერხებდა წითელი არმიის თავდასხმის მოგერიებას, შეიძლება მოსკოვს კიდევ ერთხელ დროებით უკან დაეხია და ყველაფერი გასაბჭოებული და ფორმალურად დამოუკიდებელი სომხეთ-აზერბაიჯანისთვის დაებრალებინა, მომხდარი კი გამოცხადებულიყო „სამხედრო კონფლიქტად“.

თბილისის აღებამ, ერთი მხრივ, წარმატების იმედი გაუძლიერა საბჭოთა რუსეთს, მეორე მხრივ კი, გამარჯვების რწმენა ბევრს დაუკარგა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის დატოვების შემდეგ საომარი მოქმედებები კიდევ სამი კვირის მანძილზე გრძელდებოდა, უკვე, ფაქტობრივად, არავის ჰქონდა იმედი, რომ საკუთარი ძალებით შეძლებდნენ წითელი არმიის მოგერიებას. იმედს ამყარებდნენ გარედან დახმარების მიღებაზე, პირველ რიგში კი, წითელი არმიის წინააღმდეგ თურქეთის გამოყენების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამას მხოლოდ ახალი პრობლემების გაჩენა მოჰყვა. ასე აღმოჩნდა საქართველო ბათუმის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

საქართველოს ხელისუფლება კვლავ აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის. ცუდი იყო გასაბჭოება და დამოუკიდებლობის დაკარგვა, უარესი – საქართველოს გაყოფა ორი დამპყრობლის მიერ. უცხოეთში წასასვლელად გამზადებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ არჩია ბათუმი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისთვის გადაეცა და არ დაეშვა ბათუმისა და ბათუმის ოლქის თურქეთის ხელში გადასვლა. ბათუმის განთავისუფლება თურქებისაგან ისევ ქართულ არმიას მოუხდა 1921 წლის 18-20 მარტს.

1921 წლის თებერვალ-მარტის ომში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ გვერდში ედგათ პროფესორ-მასწავლებლები და უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. ომის დროს, როგორც თბილისის დაცვისას, ისე ბათუმისთვის მიმდინარე ბრძოლებში, დაიღუპა უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი.

ივანე ჯავახიშვილმა პირადად მოუწოდა სტუდენტებს, იარაღით ხელში დაეცვათ სამშობლო, ისევე, როგორც უნივერსიტეტის სახელით მზადყოფნა გამოთქვა, ქვეყნის თავდაცვისათვის მიმდინარე ბრძოლაში გამოეყენებინათ უნივერსიტეტის ხელთ არსებული რესურსები.

ივანე ჯავახიშვილს არც უფიქრია ემიგრაციაში წასვლა. მისთვის მთავარი ამოცანა უნივერსიტეტის დაცვა იყო, რადგანაც ქართული უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა.

9.1. ქართული უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ივანე ჯავახიშვილის საქმიანობის მთავარი მიმართულება ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მისი განვითარებისთვის ხელშეწყობა იყო. 1918 წლის დასაწყისში დაარსებული ქართული უნივერსიტეტი, რომელიც 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა, სწრაფად იზრდებოდა. 1920 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტზე 7 სემესტრის სტუდენტობა სწავლობდა, რომელთა საერთო რიცხვი 2814-ს აღწევდა. მათგან 2729 სტუდენტი, ხოლო 85 მსმენელი იყო. წინა სემესტრთან შედარებით სტუდენტების რაოდენობა 907-ით გაიზარდა.

რაც შეეხება სამეცნიერო-სასწავლო ნაწილს, 1920 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 39 პროფესორი, 10 დოცენტი, 17 ლექტორი, 44 ასისტენტი, 4 ლაბორანტი და 13 ორდინატორი. 1921 წლის დამდეგისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ფაქტობრივად, მთლიანად მოიზიდა რუსეთში

მოღვაწე ქართველი პროფესორ-მასწავლებლები. შემდგომი ზრდისათვის, ახალი ფაკულტეტებისა და კათედრების გასახსნელად, აუცილებელი იყო ან საკუთარი კადრების მომზადება, ან პროფესორების მოწვევა ევროპიდან, რასაც ცდილობდნენ კიდეც.

უნივერსიტეტის წარმატებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებაში (1921 წლის 12 იანვარი) ნათქვამი იყო: „ჩვენს უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო და გასაკეთებელი აქვს, რომ მისი მოწყობა საბოლოოდ დასრულდეს, მაგრამ უმთავრესი მაინც უკვე გაკეთებულია და უნივერსიტეტი შეუჩერებლივ წარმატებაშია. მან თავი მოუყარა ყველა წინათ უცხოეთში გაფანტულ ქართველ მეცნიერებს, მრავალი საქართველოსათვის სრულებით ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის დაწესებულება შეჰქმნა და სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის დაწყება მოახერხა. ეხლა უნივერსიტეტის მორიგ საზრუნავს უნივერსიტეტთან უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტისა და ამ მიზნით არსებულ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამოყენება, მისი უნივერსიტეტთან გაერთიანება და იურიდიული ფაკულტეტის გახსნა-მოწყობა შეადგენს. უნივერსიტეტის საბჭომ დაასრულა უნივერსიტეტის მთელი წესდების განხილვა და მოკლე ხანში, საბოლოვოდ დამტკიცების შემდგომ, მას მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას წარუდგენს“.[1]

1921 წლის 26 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მესამე წლისთავი იზეიმა. უნივერსიტეტის 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით სტატიები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „საქართველომ“ და „გრუზიამ“. ახლად შექმნილმა დემოკრატიულმა პარტიამ კი სპეციალური მისალმების წერილი გაუგზავნა უნივერსიტეტს.

1921 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს საქართველოს იურიდიული ცნობის გამო მთავრობისა და დამფუძნებელ კრებისადმი მისასალმებელი ტელეგრამის გაგზავნის საკითხი. პროფესორების დ. უზნაძის და ა. შანიძის მიერ შედგენილი ტელეგრამის ტექსტი საბჭომ მოიწონა

[1] „ერთობა“, 22 იანვარი 1921.

და დაადგინეს რექტორის სახელით გაეგზავნათ მთავრობისა და დამფუძნებელი კრებისათვის.[1]

ისე ჩანდა, რომ საქართველოს და მასთან ერთად ქართული უნივერსიტეტისათვის, როგორც იქნა, დადგა მშვიდობიანი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი.

9.2. ყველაფერი სამშობლოს დასაცავად

1921 წლის თებერვალში კვლავ შეწყდა უნივერსიტეტის მშვიდობიანი ცხოვრება. 13 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური შტაბის მოკლე ცნობა: „ღამით, თებერვლის 11-ს, ბეზობდალით სად. შაგალთან და სოფ. შინიხთან, ბორჩალოს მაზრაში, ჩვენ მოწინავე სადარაჯოებს თავს დაესხნენ სომხეთის მხრიდან რეგულიარული ნაწილები. ამავე დროს ბორჩალოს მაზრის განაპირა ადგილების მცხოვრებთა ერთი ნაწილი, რუსებისა და სომხებისაგან შემდგარი, აჯანყდა და თავდამსხმელთ შეუერთდა...“

საქართველოსთვის ომი არავის გამოუცხადებია, მაგრამ პირველივე ბრძოლების შემდეგ წამოყვანილი სამხედრო ტყვეები ამტკიცებდნენ, რომ „ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები“.[2]

15-16 თებერვალს ღამით საქართველოს წინააღმდეგ წითელმა ჯარმა საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდანაც გამოილაშქრა.

თბილისი ფრონტისპირა ქალაქად იქცა...

ინფორმაცია ახალი თავდასხმის და მტრის თბილისისკენ გამოლაშქრების შესახებ სწრაფად გავრცელდა. 15 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომა გაიმართა, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარემ მოახსენა საქმის ვითარება.

პროფესორთა საბჭოს სხდომა

16 თებერვალს მიმდინარე მოვლენებს უნივერსიტეტიც გამოეხმაურა – პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომით და უნივერ-

---

[1] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბილისი, „უნივერსალი“, 2006, გვ. 267.

[2] „ერთობა“, 1921 წ. 15 თებერვალი.

სიტეტის წინ გამართული მიტინგით, რის შემდეგაც სტუდენტთა ნაწილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. გაზეთი „ახალი სხივი“ 20 თებერვალს, როდესაც მტრის პირველი შემოტევა მოგერიებული იყო, უკანასკნელი დღეების შესახებ წერდა: „თექვსმეტ თებერვალს საღამოთი და ჩვიდმეტს დილით მცხოვრებლები შიშს განიცდიდნენ, მაგრამ მდგომარეობა გამოკეთდა ხუთშაბათს შუადღიდან: მთელი თფილისი ფეხზე დადგა და აუარებელი მუშა და სტუდენტი ჩაეწერა მოხალისედ და ფრონტზე გაეშურა. მუშაობის ხალისს იჩენენ ქალებიც“.[1]

16 თებერვალს პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტი მთელი თავისი შესაძლებლობებით ერთვებოდა სამშობლოს დასაცავად მიმდინარე ბრძოლაში. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილმა პირადად აცნობა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავდაცვის კომიტეტს, შემდეგ კი წერილობითაც გაუგზავნეს მიღებული დადგენილება.

ქვემოთ მოგვყავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის მიმართვა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებული თავდაცვის კომიტეტისადმი:

„პატივი გვაქვს, წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ, საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

[1] „ახალი სხივი“, 1921 წ. 20 თებერვალი.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

მიტინგი უნივერსიტეტში: „თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ“

16 თებერვალს უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება. ინფორმაცია ამ კრების შესახებ გამოაქვეყნა გაზეთმა „სახალხო საქმემ“:

„სტუდენტების დემონსტრაცია

თებერვლის 16-ს ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს და მოუწოდეს სამშობლოსათვის თავის დასადებად: გრ. რცხილაძემ და ალ. ლომთათიძემ აგრეთვე მხურვალე სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა. ამის შემდეგ ქართველი სტუდენტობა დიდი დემონსტრაციით, დროშებით და „ვაშას“ ძახილით გაემართა სასახლისკენ. აქ ნოე ჟორდანიამ სიტყვით მიმართა სტუდენტობას და ასე დაამთავრა: „ჩვენს წინააღმდეგ მოდის მშიერი ბანდა, რომ აქ დაძღნენ, მაგრამ ჩვენ საჭმლის მაგივრად საფლავს დავახვედრებთო“. ხალხმა ოვაციები გაუმართეს მთავ. თავმჯდომარეს. ამის შემდეგ სტუდენტობა დაიშალა და ყველა თავთავის პარტიულ ბიუროებში ჩაეწერა ფრონტზე გასამგზავრებლად“.[1]

16 თებერვალს უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენების შესახებ არსებობს ფილიპე შარაძის მოგონებაც, რომელიც იმ დროს სტუდენტთა კავშირის მდივანი იყო.[2]

ფილიპე შარაძის თქმით, 16 თებერვალს დილით უნივერსიტეტში დარეკა გრ. ლორთქიფანიძემ (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი), რომელიც სტუდენტთა კრების მოწვევას ითხოვდა: „მდგომარეობა მეტად ცუდია: მტერი ყოველ მხრიდან გვიტევს, მცირე სანაპირო ჯარები მტრის ძლიერ შემოტევას ვერ უძლებენ და უკან იხევენ, საჭიროა მიშველება, გამ-

---

[1] „სახალხო საქმე“, 1921 წ. 18 თებერვალი.

[2] მოგონება გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი დროშა“, 1961, №35.

ხნევება, სანამ მაშველი ჯარები მოსულან, სტუდენტებმა უნდა იყოჩაღონ“.

სამი საათისთვის სტუდენტობამ თავი მოიყარა უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში (ეს იყო უნივერსიტეტში არსებული ყველაზე დიდი დარბაზი). მათ წინაშე სიტყვით გამოვიდნენ გრ. რცხილაძე და გრ. ლორთქიფანიძე. ფილიპე შარაძე იგონებს: „სამზე და ხუთ წუთზე კათედრაზე გამოდის ბატონი მინისტრი. სტუდენტები ტაშით ეგებებიან. მოკლედ, დრამატულ სურათს ხატავს მდგომარეობისას და მგრძნობიარედ მოუწოდებს ახალგაზრდობას თავის წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის. ის გრიგოლ რცხილაძემ შეცვალა. მისი თბილი, მგრძნობიარე მოწოდება ახალგაზრდათა მიმართ ტაშით იფარება“.

სტუდენტთა რიცხვი თანდათან მატულობს, მათ შენობა ვეღარ იტევს და კრება უნივერსიტეტის წინ, ეზოში გადააქვთ. აქ სტუდენტებს მხურვალე სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ“.

უკანასკნელი სიტყვა სტუდენტ გიორგი ნაკაშიძეს[1] ერგო. მან „ახალგაზრდათა მღელვარება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. გოგონები ცრემლებს ღვრიდნენ. გაისმა მქუხარე ხმა გ. სვანიძის: სასახლისაკენ! გუნდმა დასძახა: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“. ხალხი დაიძრა“.

სასახლის წინ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და პროფესორი შ. ნუცუბი-

---

[1] გიორგი ნაკაშიძის შესახებ 1990 წელს ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავდა: „გიორგი ნაკაშიძე, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა 16 თებერვლის მიტინგზე, იყო ჩემი უფროსი და უახლოესი მეგობარი. იგი 1922 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდ ჯგუფთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებამ გააძევა სამშობლოდან. სწავლობდა ვარშავასა და პრაღაში. საბოლოოდ დაემკვიდრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი. ამჟამად პენსიონერია, ღრმად მოხუცია, 96 წლისა, მარტოხელაა, ცხოვრობს ნიუ-იორკში. 1988 წელს მოწვეული იყო უნივერსიტეტის 70-ე წლისთავის ზეიმზე, ჩამოსვლა ვერ შეძლო.

ძე. სტუდენტობას სიტყვით მიმართა მთავრობის თავმჯდომარემ – ნოე ჟორდანიამ.[1]

16 თებერვლის მიტინგის შესახებ 1990 წელს „თბილისის უნივერსიტეტში“ თავისი მოგონება გამოაქვეყნა ალექსანდრე ბარამიძემ: „მე არ დავსწრებივარ სტუდენტობის შეკრებას აუდიტორიაში და არც მთავრობის სასახლის წინ ვყოფილვარ. დავესწარი სტუდენტთა მრავალრიცხოვან მიტინგს უნივერსიტეტის ეზოში. თბილი მზიანი დღე იყო. მიტინგზე პირველი სიტყვა წარმოთქვა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა, ე. ი. მოადგილემ, ალექსანდრე ლომთათიძემ... ლომთათიძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც ძლიერ ღელავდა. მან გაბზარული ხმით ბრძანა: „მე ვეთანხმები მთავრობის წარმომადგენელს, რომ ჩვენს ქვეყანას უკიდურესი გასაჭირის დღეები დაუდგა. მე მოვუწოდებ ჩვენს სტუდენტობას, ვისაც კი უნარი შესწევს, თავი გამოიდოს სამშობლოსათვის. მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია სურსათ-სანოვაგე, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენს ბრძენ ხალხს უთქვამს, – აქ ბატონმა რექტორმა ხმას აუწია და მკაფიოდ წარმოთქვა, – „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ გაეშურებაო, – დაასრულა სიტყვა ცრემლმორეულმა რექტორმა.[2]

---

[1] ფ. შარაძე 1926 წელს გამოქვეყნებულ თავის პატარა სტატიაში, რომელიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ახალგაზრდობის ბრძოლას ეხებოდა, 16 თებერვალს გამართული სტუდენტური აქციის შესახებ მხოლოდ მოკლედ აღნიშნავდა: „მახსოვს 1921 წლის 16 თებერვალი. საგანგებოთ მოწვეული სტუდენტთა კრება. დამფ. კრების თავ. ამხანაგმა ა. ლომთათიძემ მიმართა სტუდენტებს: „ახალგაზრდებო, ახლა თქვენი რიგია, ბედმა გარგუნათ, იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან“. – „მზათ ვართ გავწყდეთ ყველანი ერთად“, – გაისმა ახალგაზრდობის საერთო ხმა მთელს დარბაზში. მეორე დილით უკვე ახალგაზრდობის რამოდენიმე ასეული მოწინავე პოზიციებისაკენ მიემგზავრებოდა“ (ფ. შარაძე. ქართველი ახალგაზრდობა – „სახალხო საქმე“, 1926, № 1, გვ. 31-32). როგორც ვხედავთ, ფ. შარაძე ფრთხილობს და ივანე ჯავახიშვილს საერთოდ არ ახსენებს. ეს გასაგებიცაა – 1926 წელს იმის თქმა, რომ ივანე ჯავახიშვილმა ბრძოლისკენ მოგვიწოდაო, ისედაც დევნილი მეცნიერის მიმართ რეპრესიების დამატებითი არგუმენტი შეიძლება გამხდარიყო.

[2] „თბილისის უნივერსიტეტი“, 20 აპრილი, 1990 წ.

16 თებერვალს სასახლის წინ სტუდენტობამ „ფიცი დასდო, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის სამშობლოს“[1]. იქვე შედგა რამდენიმე რაზმი ყოფილ ოფიცერ-სტუდენტთა მეთაურობით, ბევრმა მიაშურა თავ-თავის პარტიულ ბიუროებს და „ჩაეწერა ფრონტზე გასამგზავრებლად“.[2]

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მოკლედ იუწყებოდა:

„მდგომარეობა ტფილისში. დედა ქალაქი ფეხზე დადგა. მოხუცი, ახალგაზრდა ყველა სიამოვნებით ეწერება რაზმებში. თებერვლის 16-ს მთელი სტუდენტობა დროშით ხელში მოადგა სასახლეს და ფიცი დასდო, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის სამშობლოს“.[3]

მოხალისეთა ჩაწერა 17 თებერვალსაც მიმდინარეობდა. ამის თაობაზე გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა:

„მოხალისეთა ჩაწერა

მთელი დღე 17 თებერვალს ყველა სათანადო დაწესებულებაში სწარმოებდა მიღება მოხალისეებისა. ეწერებიან ათასობით. ვინ არ არის ამათში? სტუდენტი, ვაჭარი, მოწაფე, მღვდელი, მუშა, მოხელე, პროფესორი, მასწავლებელი. ფუნქციები მოხალისეთა შორის სწრაფად ნაწილდება. შესანიშნავად მუშაობენ ძველი ოფიცრები: ისინი მოხალისეებიდან ადგენენ ცალ-ცალკე გუნდებს, რომელთაც იქვე აწვდიან ელემენტარულ ცნობებს სამხედრო დისციპლინასა და სამსახურზე. ზოგიერთი დაწესებულება და სასწავლებელი მთლად გამოცხადდა სამობილიზაციოდ. აღსანიშნავია მიწის მზომელთა სასწავლებელი, რომლის მოწაფეები თოფ-ქვეშ დადგნენ დირექტორის მეთაურობით, ნაწილი მოხალისეთა იგზავნება ფრონტზე. დანარჩენთ ევალებათ თბილისში წესიერებისა და მყუდროების დაცვა“.[4]

ფრონტზე წასულ სტუდენტთა შორის იყო ალექსანდრე ბარამიძე, რომელიც იმ დღეების შესახებ იგონებდა: „მიტინგი რომ დამთავრდა (კარგი დრო იყო გასული), სტუდენტობის დიდი ნაწილი იმ დღესვე ჩაეწერა მოხალისე მეომრებად და ფრონტზე გაემ-

---

[1] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წლის 18 თებერვალი.
[2] „სახალხო საქმე“, 1921 წლის 18 თებერვალი.
[3] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ. 18 თებერვალი.
[4] „საქართველო“, 1921 წ. 18 თებერვალი.

გზავრა. ფრონტიც აქვე იყო, თბილისის მისადგომებთან. იარაღის ტარების უცოდინარნი (მათ შორის მეც) სანიტრებად გაგვამწესეს. ჩვენს სანიტარულ რაზმში იყო კიდევ ორი სტუდენტი – ერთი ჩემი სკოლის ამხანაგი, მედიკოსი სტუდენტი გიორგი თურმანიძე და იოსებ ყაუხჩიშვილი, მგონი ისტორიკოსი, შემდგომ პოლიგრაფიის დარგის მუშაკი. ჩვენც დაუყოვნებლად გაგვგზავნეს ფრონტზე და სადგომად მიგვიჩინეს სადგური ვაზიანი. მოწყალების დად ჩაეწერა ჩემი თანაკურსელი სტუდენტი მარო მაყაშვილი, მშვენიერი გარეგნობის პატრონი და ყოველმხრივ მომხიბლავი ადამიანი. მარო მაყაშვილი, მისი ამხანაგი ქეთო ღამბაშიძე და მე ერთად ვმეცადინეობდით და ვემზადებოდით გამოცდების ჩასაბარებლად საქართველოს ისტორიაში (ივანე ჯავახიშვილთან) და, აი, თავზე დაგვატყდა საბედისწერო თებერვალი. მარო დაიღუპა კოჯორში. სხვათა შორის, კოჯორ-ტაბახმელას სექტორის ბრძოლებში მონაწილეობდა ბოტანიკოსი სტუდენტი ნიკო კეცხოველი (შემდგომ ცნობილი მეცნიერი და უნივერსიტეტის რექტორი). ნიკო კეცხოველი ხელში დაიჭრა კიდეც. ჩემი უფროსი ძმა, ბენო ბარამიძე, სტუდენტი-ისტორიკოსი, არტილერისტი იყო და სოღანლუღის ფრონტზე იმყოფებოდა. 23-24 თებერვლის მძიმე ბრძოლების შემდეგ მთავრობასთან შეთანხმებით სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის დატოვება ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად და დედაქალაქის დარბევისაგან გადასარჩენად...“[1]

სამშობლოს დასაცავად წასული სტუდენტების ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ჩვენდა სამწუხაროდ, მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. იმდროინდელმა გაზეთებმა შემოგვინახა მხოლოდ რამდენიმე მათგანის ვინაობა – მარო მაყაშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი, პალიკო ბეშკენაძე, კონსტანტინე კვიცარიძე ...

23 თებერვალს რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო ტაძრის ეზოში (ახლანდელი პარლამენტის შენობის ადგილას) დაკრძალეს თბილისთან მიმდინარე ბრძოლების დროს დაღუპული 14 მეომარი. დაკრძალულთა შორის იყო მარო მაყაშვილი.

მარო მაყაშვილი დაკრძალეს სამხედრო ტაძრის ეზოში შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს, მესერთან ახლოს. ნოე ჟორდანიას

[1] „თბილისის უნივერსიტეტი“, 20 აპრილი, 1990 წ.

უთქვამს – მარო გზის პირას უნდა დაიკრძალოს, რათა ყოველმა გამვლელ-გამომვლელმა თაყვანი სცეს და ყვავილი დასდოსო მის საფლავზე... მარო მაყაშვილთან ერთად დაღუპული პავლე ბეშკენაძე კი მშობლიურ ქუთაისში დაკრძალეს.

9.3. უნივერსიტეტი 25 თებერვლის შემდეგ

ქართული უნივერსიტეტი – დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობა

24 თებერვალს საღამოს ყველასთვის მოულოდნელად ქართული არმიის ნაწილებმა თბილისი დატოვეს. „თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა პარადი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე. მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიაც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია, ამ პროცესისასთვის ხელი შეეშალა. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებული იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობაა ამართული“.[1]

საქართველოს დამოუკიდებლობას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. ბევრმა ჯერ თბილისი, შემდეგ კი საქართველო დასტოვა. ივანე ჯავახიშვილს კი ერთი წუთითაც არ უფიქრია თბილისიდან წასვლა და უნივერსიტეტის მიტოვება.[2] ქართულ უნივერსიტეტს დაცვა სჭირდებოდა. უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიხაკო წერეთელი შემდეგ იგონებდა: „უკა-

---

[1] გერონტი ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბილისი, „არეტე“, 2003, გვ. 52.

[2] თსუ პროფესორ-მასწავლებლებიდან სამშობლო დატოვა ინგლისური ენის ლექტორმა ვანდა ღამბაშიძემ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე 1920 წლის მაისში პროფესორად არჩეულმა მიხაკო წერეთელმა, ასევე პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც ემიგრაციაში გაჰყვა ქართულ ეროვნულ განძს.

ნასკნელად ვნახე ივანე ჯავახიშვილი ამ ჯალათის მოსვლის[1] რამდენიმე დღის შემდეგ, უნივერსიტეტში. მის მჭვუნვარე სახეს რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება ეტყობოდა. კვლავ წარმომიდგა ძველი ქართველი კლდის სულის პატრონი, რომელსაც ვერავითარი წამების ხილვა ვერ შეაშინებდა. უსიტყვოდ გამოვეთხოვე. მეც მალე დავტოვე საქართველო სულის გადასარჩენად, როგორც ბევრმა სხვამ, და აღარ მინახავს მას შემდეგ დიდი ქართველი, რომელიც თავის სადარაჯოზედ დარჩა, თუმცა იცოდა, რომ მტარვალისთვის სული საწამებლად უნდა მიეცა".[2]

ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა ქართული უნივერსიტეტის დაცვას. უნივერსიტეტის მნიშვნელობა ყველას კარგად ესმოდა. ქართული უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ეპიზოდი ლ. ტიტვინიძის მოგონებიდან, რომელმაც გაიხსენა უკვე გასაბჭოების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექცია მე-11 საუკუნეში მიმდინარე ბრძოლის თაობაზე, რომ საქართველოს თავისი კათალიკოსის ყოლის უფლება ჰქონოდა და რაც გიორგი მთაწმინდელის გამარჯვებით დამთავრდა. „იმ დროს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ორი ფაქტორი ახასიათებდა: მეფე და კათოლიკოსი; თუ რომელიმე სახელმწიფოს ერთი მათგანი აკლდა, ის სახელმწიფო სრული, დამოუკიდებელი არ იყო. დღეს მესამე ფაქტორიც არსებობს; ერს, რომელსაც უნივერსიტეტი არა აქვს, ის ერი სრული, დამოუკიდებელი არ არის", – უთქვამს ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილს.[3]

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ უნივერსიტეტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ფაქტორი.

არჩევანი ომსა და სწავლის განახლებას შორის

ქართული არმიის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ სტუდენტები, რომლებიც მის რიგებში იყვნენ, გაჰყვნენ თავიანთ სამ-

---

[1] იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლება.

[2] მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბილისი, „ახალი აზრი", 2014, გვ. 40.

[3] ლ. ტიტვინიძე, მოგონებანი ჩვენს უნივერსიტეტზე – „კავკასიონი", XIII, 1968, პარიზი, გვ. 20.

ხედრო ნაწილებს და აგრძელებდნენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამ ომის ბოლო ეპიზოდი იყო ბრძოლა ბათუმისათვის, როდესაც ქართულმა ჯარმა ქალაქიდან განდევნა თურქები.

ბათუმისათვის ბრძოლის დროს ბევრი სტუდენტი მსახურობდა ქარუმიძის ბატარეაში, რომელიც კახაბერის ფორტს იცავდა და გადამწყვეტი როლი შეასრულა ბათუმის დაცვის საქმეში. სოსო ასლანიშვილი, რომელიც სანიტარულ რაზმში მსახურობდა და ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ბათუმისათვის ბრძოლა, აღნიშნავდა: „ჩვენს ვაგონზე გადმოკიდებულ დროშას წითელი ჯვრით თანდათან მოაწყდა დაჭრილები, რომელთა შორის ბევრი იყო სტუდენტები ქარუმიძის ბატარეიდან. დასვრილნი სისხლით და ტალახით...“[1]

ბათუმის დასაცავად ბრძოლაში დაღუპული სტუდენტების შესახებ მოკლედ გვაუწყებს 1921 წლის მარტში თბილისში გამომავალი ერთადერთი არაბოლშევიკური გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“. გაზეთი წერდა ბათუმში დაღუპული ფედერალისტთა პარტიის წევრი სტუდენტების შესახებ:

„საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და საზოგადოებას, რომ ბათომში ოსმალებთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპნენ პარტიის წევრები სტუდენტები შოთა ვადაჭკორია, შალვა ტურაბელიძე, კირილე ცომაია“.[2]

შალვა ტურაბელიძე 1921 წლის 27 მარტს დაკრძალეს ქუთაისში,[3] კირილე ცომაია თბილისში ჩამოასვენეს და დაკრძალეს.[4]

სტუდენტთა მეორე ნაწილი და პროფესურა, რომლებიც თბილისში დარჩა, სულ მალე აღმოჩნდა რთული არჩევანის წინაშე – განეახლებინათ სასწავლო პროცესი უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ეს აუცილებელი იყო, პირველ რიგში, იმიტომ, რომ გარკვეული ძალები მაშინვე ამოქმედდნენ ქართული უნივერსიტეტის გასაუქმებლად და მის ნაცვლად რუსული კავკასიის უნივერსიტეტის შექმნას სთავაზობდნენ ახალ ხელისუფალთ.

---

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 13 მაისი.
[2] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 30 მარტი.
[3] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 27 მარტი.
[4] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 14 აპრილი.

თბილისის უნივერსიტეტმა დაადგინა მუშაობის განახლება 1921 წლის 4 მარტიდან. ამის თაობაზე იმდროინდელი პრესა იუწყებოდა:

„ – **უნივერსიტეტში.** ყველა ფაკულტეტებმა თავ-თავიანთ სხდომაზე დაადგინეს განაახლონ ლექციების კითხვა და მუშაობა ამ კვირის განმავლობაში. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე ლექციები დაიწყება პარასკევიდან 4 მარტიდან. საღამოს ლექციები დაიწყება ნაცვლად ხუთისა ოთხ საათიდან“.[1]

თუმცა, როგორც ჩანს, ლექციები განახლდა ორშაბათიდან, 7 მარტიდან. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ გამოაქვეყნა დათიკო პერესვეტელის სტატია. ავტორი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა სტუდენტების მიმართ: „ჩვენი სტუდენტობა ეს ხომ სარკეა ჩვენი ერის აზროვნების, – ცხოვრება, პოლიტიკა და მეცნიერება ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ მათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია; მეცნიერიც ხომ იგივე მოქალაქეა, მას აქვს გარკვეული თავისი შეხედულება ცხოვრებაზე, ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე და იმიტომაა, რომ ჩვენი სტუდენტობა ფხიზელი დარაჯია ერის ცხოვრებისა, მას არასოდეს არ შეუძლია ხელი აიღოს თავის საზოგადო აზრებზე, რომ არ გამოსთქვას თავისი რწმენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მას დიდი მისია დააკისრა მშრომელმა კლასმა“.[2] ამ მისიის წარმატებით შესრულების პირობად კი ავტორს სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მიაჩნია და ამის გაკეთებას მოელის თბილისში დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

უნივერსიტეტში სწავლის განახლებას გაზეთი „კომუნისტიც“ გამოეხმაურა სტატიით „ქართველ სტუდენტობას“. ავტორი სტუდენტებს ეჭვის თვალით უყურებდა: „ჩვენ ვიცით, რომ სტუდენტობის ნაწილს ჯერ კიდევ სავსებით ვერ გაუნთავისუფლებია თავი ერთგვარ გაუგებრობისა და ეჭვებისაგან, რაც არის შედეგი წარსულ მოგონებათა და მენშევიკების მიერ ყალბი ინფორმაციის საშუალებით შექმნილი ატმოსფერისა“.[3] სტატიის ავტორის მტკიცებით, მენშევიკები თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად „ხალხის ეროვნული გრძნობებით ეწეოდნენ სპეკულაციას და კომუნის-

---

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 5 მარტი.
[2] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 6 მარტი.
[3] „კომუნისტი“, 1921 წ. 9 მარტი.

ტების გამარჯვებას ისინი საზოგადოებას უსახავდნენ, როგორც ეროვნულ კულტურისა და სახელმწიფოებრივობის მოსპობას და ამ მხრივ მეფური თვითმპყრობელობის დროის დაბრუნებას“.[1] სტატიის ავტორი ირწმუნებოდა, რომ კომუნისტური ხელისუფლება არ აპირებდა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას და ამის დასტურად რევკომის გადადგმული ნაბიჯი მიაჩნდა ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსით დატოვების თაობაზე. „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი სტუდენტობაც შეიგნებს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, ფხიზლად შეაფასებს მომენტს და საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ ჩაკიდებული მხურვალე მონაწილეობას მიიღებს საღ ეროვნულ და სოციალისტურ აღმშენებლობაში“.[2]

სტატიის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოების ღარიბი წრეებიდანაა გამოსული“ და „მუშურ-გლეხური ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ“ მათ საშუალება ეძლეოდათ, ჩაბმულიყვნენ საერთო მუშაობაში და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ „მუშათა კლასის მეცნიერების გამოჭედვის საქმეში“.

სტუდენტების უმრავლესობა კარგად ხედავდა ბოლშევიკურ დემაგოგიას და ყოველდღიურად აწყდებოდა იმის დამადასტურებელ მრავალ ფაქტს, რომ განცხადებები საქართველოს სუვერენულობის შესახებ მხოლოდ საზოგადოების მოტყუებას ისახავდა მიზნად.

17 მარტს, როდესაც ბათუმისთვის გადამწყვეტი ბრძოლა იწყებოდა, გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ ახალი ამბების რუბრიკით მოკლედ იუწყებოდა უნივერსიტეტის სიახლეებს:

„- დაკარგული პირადი მოწმობა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტის მიხეილ მუსხელიშვილისა გთხოვთ ჩასთვალოთ გაბათილებულად.

- ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. შ. ნუცუბიძის ხელმძღვანელობით ეწყობა წრე მსურველთათვის სოციალურ ფილოსოფიის შესასწავლად“.[3]

შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიურ წრეს გაზეთი რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაუბრუნდა:

---

[1] „კომუნისტი“, 1921 წ. 9 მარტი.
[2] „კომუნისტი“, 1921 წ. 9 მარტი.
[3] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 17 მარტი.

„- **პროფესორ შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური წრე.** ამ დღეებში დაიწყებს მეცადინეობას. ლექციები იქნება წაკითხული ქართულ და რუსულ ენაზე.

წრის წევრთა რიცხვი განსაზღვრულია. ჩაწერა შეიძლება წრის მდივან სტუდ. დათიკო წერეთელთან. სტუდ. სასადილო (სოლოლაკი) 2-3 და სოც.-ფედ. რედაქციაში 10-2“.[1]

ამ დროს შალვა ნუცუბიძე მემარცხენე ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი იყო და მის მიმართ პარტიული გაზეთის ყურადღება გასაგებია.

თბილისის უნივერსიტეტში საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავდა თავისი დასაყრდენის შექმნაზე – კომუნისტებისა და მათი თანამგრძნობების თავმოსაყრელად. ამაზე მეტყველებს გაზეთ „კომუნისტში“ 24 მარტს გამოქვეყნებული დიდი ასოებით აკრეფილი განცხადება:

„სახელმწიფო უნივერ. სტ. კომუნისტების და თანამგრძნობთა საყურადღებოთ.

რეგისტრაცია დაიწყო და გაგრძელდება 28 მარტამდის საღამოს 3-5 ს. სტუდენტთა სასადილოში (გამგეობის ოთახში). ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, როგორც კომუნისტებს, ისე თანამგრძნობთ, აუცილებლად ჩაეწერონ.

რეგისტრაციას აწარმოებენ: ამხ. ვარდოსანიძე და შუბლაძე“.[2]

რას ფიქრობდა, რას აკეთებდა ამ პერიოდში ივანე ჯავახიშვილი? გარკვეულწილად ამაზე პასუხს გვაძლევს 1921 წლის აპრილში მის მიერ წაკითხული ლექციების ციკლი XV საუკუნის საქართველოს შესახებ, როდესაც ქვეყანას უხდებოდა მძიმე ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, აპრილის 17-ს, მასწავლებელთა სასახლეში (ყოფილი ქართული კლუბი), დილით თერთმეტის ნახევარზე, საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივ კრებაზე პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-XV საუკუნეში“. ფრიად საინტერესო მოხსენებისათვის ჩვენის ძველი ცხოვრებიდან კრებამ მომხსენებელი ტაშით

---

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 22 მარტი.

[2] „კომუნისტი“, 1921 წ. 24 მარტი.

დააჯილდოვა. მომავალ კრებაზე აპრილის 24-ს დილით თერთმეტის ნახევარზე, მასწავლებელთა სახლშივე პროფესორი ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ზევით მოხსენებულ სათაურითვე მე- XV საუკუნის თაობაზე“.[1]

ბატონი ივანე კარგად ხედავდა, რომ საქართველოს კვლავ დაუდგა მძიმე პერიოდი, როდესაც საჭირო იყო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად.

პირველი შეტევა ქართული უნივერსიტეტის გასაუქმებლად

საქართველოს არაკეთილმოსურნეებმა, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოს პირობებში ჩუმად იყვნენ, თბილისში წითელი არმიის შესვლისთანავე იერიში მიიტანეს ქართულ უნივერსიტეტზე და მისი გაუქმება სცადეს. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი (1908-1983) იგონებდა: „ერთ დილას მამასთან სახლში მოდიან პროფესორები შალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე, ძალიან აღელვებულები არიან და აცნობებენ მამას, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არშაკ ბაბოვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს. კარგად მახსოვს, როგორ აღშფოთდა მამაჩემი და კატეგორიულად უთხრა: „არავითარ შემთხვევაში, რა შუაშია ბაბოვი, რა ხელი აქვს უნივერსიტეტთან. მე მოვალე ვარ, წარვსდგე ახალი ხელისუფლების წინაშე“. და მართლაც, როდესაც ახალი ხელისუფლება დამყარდა, მამა დილიდან უნივერსიტეტში იყო“.[2]

ივანე ჯავახიშვილი 26 თებერვალს მივიდა ბოლშევიკური რევკომის თავმჯდომარესთან მამია ორახელაშვილთან. ომი გრძელდებოდა, საბჭოთა ხელისუფლება თავს მყარად ვერ გრძნობდა, ამიტომ ქართული უნივერსიტეტის გაუქმება ახალ ხელისუფალთ მაშინ არც უცდიათ. მამია ორახელაშვილმა ივანე ჯავახიშვილს განუცხადა, რომ ახალი ხელისუფლება მტრულად არ

---

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 19 აპრილი.

[2] ნათელა ჯავახიშვილი, რაც გამახსენდა, „ნეკერი“, 1990 № 2-4, გვ. 13.

იყო განწყობილი ქართული უნივერსიტეტისადმი. „წადით და დამშვიდებით განაგრძეთ თქვენი ყოველდღიური მუშაობაო“.[1]

28 თებერვალს თბილისის გარნიზონის უფროსმა მ. ველიკანოვმა მანდატი მისცა პროფესორ ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის ქონების ხელშეუხებლობის შესახებ.[2]

თუმცა ეს დაპირებები არ ნიშნავდა, რომ ქართულ უნივერსიტეტს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. თებერვალ-მარტის ომი ჯერ დამთავრებული არ იყო, როდესაც თბილისში მოღვაწე არაქართველი პროფესორ-მასწავლებლების ნაწილმა მოითხოვა ქართული უნივერსიტეტის გაუქმება. მის ნაცვლად უნდა აღდგენილიყო ამიერკავკასიის უნივერსიტეტი.

1921 წლის 9 მარტს უკვე საბჭოურ განათლების უწყებაში განიხილეს „ამიერკავკასიის პროფესორთა ერთი ჯგუფის მემორანდუმი“, სადაც ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნა, ქართული უნივერსიტეტი შეცვლილიყო რუსული ამიერკავკასიის უნივერსიტეტით. სხდომას ესწრებოდნენ ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის პროფესორები როსტოვცევი, არუთინოვი, სოგომონოვი, გორდეევი და სხვები, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები რექტორ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.[3]

ამიერკავკასიის უნივერსიტეტის პროფესორების გამოსვლებმა, სტატიის ავტორის შეფასებით, „ყველაზე უმწეობის, გონებრივი სისაწყლის და დაუფარავ ბნელი ზრახვების შთაბეჭდილება მოახდინა“. მათ უმწეობას ვერ უშველეს „ვერც შეიარაღებულმა სტუდენტებმა, ორ-სამ ადგილზე წითელ ნიშნებით შეაბჯრებულებმა“. მათი მთავარი იმედი – ორატორი სტუდენტი ორჯერ შეაჩერა რევკომის წარმომადგენელმა მ. ორახელაშვილმა.

რევკომის წარმომადგენელმა, სტატიის ავტორის აზრით, „მყისვე აუღო ალღო ყოფ. ამ. კავკ. უნივ. პროფესორთა კონტრ

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 276.

[2] «Дан сей Ректору Грузинского университета тов. Джавахишвили в том, что находящееся в его введении здание Университета занятию воинскими частями не подлежит, равно как и реквизиции находящееся в нем имущество. Все нарушившие настоящее распоряжение будут привлечены к строгой ответственности» (ოთარ ჯანელიძე. ივანე ჯავახიშვილი. თბილისი, 1996, გვ. 28).

[3] „სოციალისტ-ფედერალისტი“, მარტის 11, 1921 წ. № 9, გვ. 1.

რევოლიუციონურ ზრახვებს და მათ ყური აუწია“. დაადგინეს, რომ არსებული მდგომარეობა შენარჩუნდებოდა მომავალ სასწავლო წლამდე. მ. ორახელაშვილის განცხადებით, სამომავლოდ იქნებოდა „ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი“, რომლის მიზანშეწონილ მოწყობის საკითხზე პროფესორთა აზრსაც მოისმენდნენ.

ის, რომ საბჭოურმა რევკომმა არ დახურა ქართული უნივერსიტეტი, უკვე გამარჯვებად მიიჩნეოდა. სტატიის ავტორის განცხადებით, „რევკომის წარმომადგენელმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებზე, რომ ახალი მთავრობა ეროვნულ ნიადაგზე სდგას“.[1]

თბილისის პოლიტექნიკუმის პროფესურა ამ მარცხმა ვერ დააშოშმინა და მალევე მეორე დელეგაცია გაგზავნა რევკომთან იმავე მოთხოვნით. დამატებითი არგუმენტების სახით კი გადადგეს გარკვეული ნაბიჯები საბჭოთა ხელისუფლების საამებლად და ერთგულების დასადასტურებლად: 1) ინსტიტუტის საბჭომ დაუთმო 50 ადგილი წითელარმიელებს; 2) დეკანობიდან ეკონომიურ ფაკულტეტზე გადააყენეს ქართველი პროფესორი და აირჩის რუსი პროფესორი; 3) ინსტიტუტის საბჭომ შემოიღო ახალი კურსები: საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, საზოგადოებრივ კლასების თეორია და სხვ.[2]

გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ ამ მცდელობას „აკადემიური კომბინატორობა“ უწოდა და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მეორე მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა.

ივანე ჯავახიშვილი და სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა

1921 წლის სექტემბერში დაიწყო ახალი სემესტრი, უნივერსიტეტმა სწავლა განაახლა. საბჭოთა ხელისუფალნი უნივერსიტეტს არ ენდობოდნენ. სტუდენტთა უმრავლესობა სხვადასხვა პარტიაში იყო გაწევრიანებული, ეროვნულ პოზიციაზე იდგა და არ აპირებდა არსებულ მდგომარეობასთან შერიგებას. იმდროინდელ ვითარებას კარგად ახასიათებს გიორგი ნაკაშიძე, რომელიც მაშინ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. „1921 წ. სექტემბერში უნივერსი-

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი“, მარტის 11, 1921 წ. №9, გვ. 1.
[2] „სოციალისტ-ფედერალისტი“, მარტის 18, 1921 წ., №16.

ტეტში დაიწყო ლექციების კითხვა. სტუდენტობა თავს იყრიდა ქალაქში და ყველგან და ყოველთვის **დაუფარავად** გამოთქვამდა თავის მტრულ განწყობილებას საქართველოში უცხო ძალის მიერ დამყარებულ რეჟიმისადმი. თვით სტუდენტებში სამი თუ ოთხი კომუნისტი მოიპოვებოდა და ისინიც ისე იყვნენ დარცხვენილი, რომ ვერ ბედავდენ თავისი ვინაობის აშკარად გამოჩენას“.[1]

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ სტუდენტური გამგეობის წევრების დაპატიმრებამ საპროტესტო გამოსვლის მოწყობის სურვილი გააჩინა. სტუდენტებმა გადაწყვიტეს, გამოსვლაში ყველა პარტიის წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა და თავიანთი გეგმის თაობაზე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტს აცნობეს (გიორგი ნაკაშიძე ამ პარტიის წევრი იყო, ისევე, როგორც სხვა მრავალი სტუდენტი). მათდა მოულოდნელად, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტი გამოსვლის მოწყობის წინააღმდეგ წავიდა. პარტიის ხელმძღვანელობაში მიიჩნიეს, რომ სტუდენტთა გამოსვლას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა და ურჩიეს „შესაფერის დროისთვის“ უნდა მოეცადათ.

ასეთმა პასუხმა სტუდენტები არ დააკმაყოფილა. სტუდენტთა საიდუმლო თათბირზე თავად გიორგი ნაკაშიძემ მხარი დაუჭირა საჯარო საპროტესტო გამოსვლის მოწყობას. საპასუხოდ მიშა მეუნარგიამ შეშფოთება გამოთქვა, რომ უნივერსიტეტის შენობა-ეზოში გამართულ კრება-დემონსტრაციას საბჭოთა რევკომის მხრიდან არა მხოლოდ საპროტესტო აქციაში მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიები, არამედ უნივერსიტეტის დახურვაც შეიძლება მოჰყოლოდა. „რას ვეტყვით ჩვენ მაშინ იმავე ქართველ ერს, ჩვენ საყვარელ პროფესორებს და მეტადრე უნივერსიტეტის ფუძემდებელს, ჩვენ ძვირფას ივანე ჯავახიშვილს!?“ – განაცხადა მეუნარგიამ. მანვე წინადადება წამოაყენა, გაეგზავნათ დელეგაცია ივანე ჯავახიშვილთან და თუ ის წინააღმდეგი იქნებოდა „უნივერსიტეტის შენობაში რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლების მოხდენისა“, დაემორჩილებოდნენ მის გადაწყვეტილებას და სხვაგან მოაწყობდნენ საპროტესტო აქციას.

---

[1] გიორგი ნაკაშიძე, გახსენებისათვის – ჟურნ. „კავკასიონი“, XIII, 1968, პარიზი, გვ. 23.

იმავე საღამოს სტუდენტთა დელეგაცია სახლში ესტუმრა ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ამ ვიზიტის თაობაზე წინასწარ გაფრთხილებული იყო. ივანე ჯავახიშვილმა დელეგაცია გულთბილად მიიღო და სტუდენტებს დიდი ყურადღებით მოუსმინა. მისმა პასუხმა სტუდენტები აღაფრთოვანა. გიორგი ნაკაშიძე წლების შემდეგ თავის მოგონებაში შეეცადა, აღედგინა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები:

„დიდი მადლობელი ვარ, რომ სტუდენტობამ ასეთი ნდობა გამოიჩინეთ ჩემდამი და მეტადრე, რომ ასე სათუთად ექცევით უნივერსიტეტის ბედს, მაგრამ უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ ცარიელი კედლები და სახურავი არ არის? უნივერსიტეტი ხართ თქვენ, სტუდენტობა – მოძრავი, მოქმედი ძალა, უსულო შენობას რომ სიცოცხლეს ანიჭებს. სტუდენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვნული და აკადემიური ღირსების, თავისუფლების დაცვაში! იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებას“.[1]

ივანე ჯავახიშვილმა სათითაოდ გადაკოცნა მისული სტუდენტები და გამარჯვება უსურვა. სტუდენტებმა მეორე დღესვე დაიწყეს მოქმედება. გიორგი ნაკაშიძის თქმით, ასე დაიწყო სტუდენტთა ანტიკომუნისტური მოძრაობა და **„ამ მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი, მისი სულისჩამდგმელი იყო მშვიდი, წყნარი, სიცოცხლეშივე ნათელ შარავანდედით მოსილი, ღვთაებრივი ადამიანი – პროფესორი ივანე ჯავახიშვილი“.**

სტუდენტებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს, რითიც კიდევ უფრო გააბოროტეს საბჭოთა ხელისუფალნი. ეს სტუდენტური გამოსვლები პირდაპირ თუ არაპირდაპირ ივანე ჯავახაშვილის სახელს უკავშირდებოდა.[2] ამ მხრივ დამახასიათებელია

---

[1] გიორგი ნაკაშიძე, გახსენებისათვის, ჟურნ. „კავკასიონი“, XIII, 1968, პარიზი, გვ. 23.

[2] უცხოეთში გამომავალი ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ 1921 წლის ნოემბრის ბოლოს აღნიშნავდა: „ქართული უნივერსიტეტის ბედი 25 ოქტომ-

დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ერთი ჩანაწერი თავის დღიურში, რომელიც 1922 წლის 24 მაისის გაფიცვას და კომუნისტების საწინააღმდეგო გამოსვლას ეხება:

ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც საბჭოთა რეჟიმის პირობებში უხდებოდა ცხოვრება და ბრძოლა ქართული უნივერსიტეტის გადასარჩენად, ალბათ, ბევრჯერ უფიქრია 1921 წლის თებერვალ-მარტის ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების მიზეზების შესახებ. მას რომ შესაძლებლობა ჰქონოდა, ამის თაობაზე, შეიძლება ნაშრომიც დაეწერა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

იმ მცირე მასალიდანაც კი, რაც შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილის მოქმედების შესახებ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს, მკაფიოდ ჩანს მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. ძნელი სათქმელია, როგორი იქნებოდა ქართული უნივერსიტეტის ბედი, ივანე ჯავახიშვილი რომ არ დარჩენილიყო საქართველოში მტკიცე გადაწყვეტილებით – დაეცვა მის მიერ დაარსებული ქართული უნივერსიტეტი.

იმ ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აგრძელებდნენ ბრძოლას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ივანე ჯავახიშვილი იყო ღირსების შენარჩუნების, შეუდრეკელობის, სამშობლოს ერთგულების და, ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს საკეთილდღეოდ განუხრელი მუშაობის სიმბოლო.

ბერს ბოლშევიკებმა ოფიციალურათ აცნობეს ქართული უნივერსიტეტის დეკანს ჯავახიშვილს, რომ სტუდენტთა კავშირის და სტუდენტთა სასადილოს გამგეობანი დათხოვნილია და მათ ადგილს დანიშნულები დაიჭერენო. გარდა ამისა, მოითხოვეს რუსულათ ლექციების კითხვა და პოლიტეხნიკუმთან შეერთება. ყველა ამის გამო ჯავახიშვილმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა, ხოლო გამგეობის წევრი სტუდენტები გადაიმალენ“ („თავისუფალი საქართველო“, №13, 30 ნოემბერი, 1921 წ., გვ. 16).

დანართი

ფილიპე შარაძე. ჩემი დღიურიდან (მიტინგი უნივერსიტეტ-ში 1921 წლის 16 თებერვალი)

12 თებერვალი. დილით სტუდენტთა სასადილოში მივდიოდი (აქ იყო სტუდენტთა გამგეობის სამდივნო), გზაში რაღაც ყველანი დაღვრემილი მეჩვენა. ყურადღება არ მივაქციე, სამდივნოში შევე-დი და მუშაობას შევუდექი. 11 საათი იყო, სასადილოს დარბაზში გამოვედი. არაჩვეულებრივად მრავალი სტუდენტები იყვნენ იმ დროისათვის და ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ერთ ჯგუფს შევუერთდი, – არა, ადერბაიჯანელებს შემოუტევიათ და წითელ ხიდზე გადმოსულან, თბილისს უახლოვდებიანო, – ამბობ-და ერთი. მე მითხრეს სომხები გადმოვიდნენ ხრამზე და წინ მოიწ-ევენო, სთქვა მეორემ. მესამემ კიდევ დაუმატა: ამ დილით სამხედ-რო სამინისტროს ერთმა მოხელემ გადმომცა, რომ შავი ზღვის ნა-პირებზე შემოგვიტია წითელმა ჯარმაო. ყველა მეტად შეწუხებუ-ლი და აღელვებული იყო. უნდოდათ გაეგოთ, რაშია საქმე, რა მოხ-და. – შეიძლება ყველა ეს ხმებია, პროვოკაციაა პანიკის ჩამოსაგ-დებად. საჭიროა სინამდვილის გაგება, – გაისმა ხმები...

სტუდენტთა სასადილოს მოლარე კ. სამყურაშვილმა გადმომ-ძახა: ტელეფონზე გთხოვენო. ვინ არის, ვკითხე – არ ვიცი, სტუ-დენტთა კავშირის მდივანს თხოულობს, – მიპასუხა. სასმენი მილი ავიღე: ვინ ბრძანდებით? შევეკითხე, – გრიგოლ ლორთქიფანიძე ვარ, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინის-ტრი. რა ამბავია? გამიელვა თავში. – შეგიძლიათ 12 საათისათვის უნივერსიტეტში მოიწვიოთ სტუდენტთა მიტინგი? მდგომარეობა მეტად ცუდია: მტერი ყოველ მხრიდან გვიტევს. მცირე სანაპირო ჯარები მტრის ძლიერ შემოტევას ვერ უძლებს და უკან იხევს, საჭიროა მიშველება, გამხნევება, სანამ მაშველი ჯარები მოსულან, აქ სტუდენტებმა უნდა იყოჩაღონ. ახლა უკვე 11 საათია და ერთ საათში ვერ მოვახერხებთ მათ თავშეყრას, სტუდენტები გაფანტუ-ლია მთელ ქალაქში: კლინიკებში, ლაბორატორიებში, სემინარიებ-ში... და საგრძნობი ნაწილი მსახურობს. თუ გვიანი არ იქნება, 3 საათისათვის შევძლებ ,ვაცნობო ყველას. – კეთილი, 3 საათვისათ-

ვის იყოს. მაშ, 3 საათზე გრ. რცხილაძე და მე უნივერსიტეტში ვიქ-ნებით, – მითხრა მან. მივიღეთ სასწრაფო ზომები: ყველა გავაფრ-ხილეთ უნივერსიტეტში, ინსტიტუტებში.

სამი საათისთვის სტუდენტობა თავს იყრის უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში (ეს იყო ყველაზე დიდი დარბაზი). სამზე და ხუთ წუთზე კათედრაზე გამოდის ბატონი მინისტრი. სტუდენტები ტაშით ეგებებიან. მოკლეთ, დრამატულ სურათს ხატავს მდგომა-რეობისას და მგრძნობიარედ მოუწოდებს ახალგაზრდობას თავის წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის. ის გრიგოლ რცხილაძემ შეცვალა. მისი თბილი, მგრძნობიარე მოწოდება ახალგაზრდათა მიმართ ტაშით იფარებოდა.

შენობა ველარ იტევს, მიტინგი ეზოში გადავიტანეთ. აქ ქარ-თველ მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი მამა და მათი უსაყ-ვარლესი ადამიანი ივანე ჯავახიშვილი მათ მიმართავს:

„შვილებო, ჩემი მოვალეობაა, თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა, ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწო-დებთ". „ვაჟკაცსა უნდა გული რკინისა, თუნდ აბჯარი ჰქონდეს ხი-საო“, უკანასკნელი სიტყვა სტუდენტ ოქროპირს (ასე ეძახდნენ მას) გიორგი ნაკაშიძეს ერგო. მან მისთვის ჩვეული მგრძნობიარ-ებით ახალგაზრდათა მღელვარება უმაღლეს მწვერვალამდე აიყ-ვანა. გოგონები ცრემლებს ღვრიდნენ.

გაისმა მქუხარე ხმა გ. სვანიძის: სასახლისაკენ! გუნდმა დას-ძახა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. ხალხი დაიძრა. სასახლის წინ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და პროფ. შ. ნუცუბიძე. იქვე შესდგა რამოდენიმე რაზმი ყოფილ ოფიცერ სტუდენტთა მეთაურობით, რომელთაგან ბევრი მსხვერპლად დაეცნენ სამშობლოს სამსხვერპლოზე.

„ჩვენი დროშა“, პარიზი, 1961, № 35, გვ. 13-14

გიორგი ნაკაშიძე. გახსენებისათვის

ომი გათავდა. მტრის თავდასხმა-შემოსევა ჩვენთვის ისე მოუ-ლოდნელი იყო, რომ ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელდა. რუსეთმა

ისევ ჩაიგდო ხელში თავისუფალი საქართველო. თვითეული ქართველი თავს რაღაც შეურაცხყოფილად გრძნობდა, დარცხვენილად გამოიყურებოდა, თითქოს სინიდისი ქენჯნიდა, რომ ვერ შესძლო მოზღვავებული მტრის უკუგდება და სამშობლოს დაცვა-გადარჩენა, – დამარცხებული ერი ვერ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას; დღითი დღე მოელოდა თავისი თუ სხვისი დახმარებით ქვეყნის ხსნასა და განთავისუფლებას.

თითქმის ყოველი ახალგაზრდა ეწერებოდა საიდუმლო სამხედრო რაზმში და მოუთმენლად უცდიდა იმ დროს, როცა ყველა პოლიტიკური პარტიის შეთანხმება მოხდებოდა და საერთო ეროვნული ორგანო მოუწოდებდა ხალხს, იარაღით ხელში გამოსულიყო ოკუპანტების წინააღმდეგ.

ქართული უნივერსიტეტი არ წარმოადგენდა რაიმე გამონაკლისს; სხვებთან ერთად ისიც მტკივნეულად განიცდიდა, სრულიად მოულოდნელად სამშობლოზე თავდატეხილ უბედურებას და სხვებსავით იმედებით იკვებებოდა.

1921 წ. სექტემბერში უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა. სტუდენტობა თავს იყრიდა ქალაქში და ყველგან და ყოველთვის **დაუფარავად** გამოთქვამდა თავის მტრულ განწყობილებას საქართველოში უცხო ძალის მიერ დამყარებულ რეჟიმისადმი. თვით სტუდენტებში სამი თუ ოთხი კომუნისტი მოიპოვებოდა და ისინიც ისე იყვნენ დარცხვენილი, რომ ვერ ბედავდენ თავისი ვინაობის აშკარად გამოჩენას.

უნდა ითქვას სიმართლე: „რევკომი“ ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე სტუდენტობასთან საერთო ენა გამოენახა: ის გვპირდებოდა სტუდენტებისათვის უფასო სასადილოების დაარსებას, უფასო ბინების მოწყობას, სტიპენდიების დანიშვნას და სხვა. მაგრამ ამაოდ! სტუდენტობამ ყოველივე ეს უარჰყო და განაგრძობდა გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებას.

როგორც ეტყობა, თვით ისეთ ტიკინებსაც კი, რომელთაგანაც შედგებოდა მაშინდელი „რევკომი“, მობეზრდათ სტუდენტობის ასეთი განწყობილება და ერთ მშვენიერ დღეს დააპატიმრეს სტუდენტთა გამგეობის სამი აქტიური წევრი: სევერიანე ჭირაქაძე, ფილიპე შარაძე და კოწია ტყავაძე. ესეც არ იკმარეს. უმაღლესი ბრძანება-დადგენილებით გადააყენეს სტუდენტების მიერ არჩეუ-

ლი გამგეობა და იმის ნაცვლად დაგვინიშნეს ე.წ. „რევოლუციური სამეული“, ახლად გამემარცხენებული შურა დუდუჩავას მეთაურობით.

ეს სტუდენტობისათვის აშკარა ომის გამოცხადება იყო. სტუდენტობამ მიიღო ეს გამოწვევა. თუ აქამდე სტუდენტები ამა თუ იმ პარტიის წევრები, ცალ-ცალკე გამოდიოდნენ და ილაშქრებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ, ახლა წამოიჭრა საკითხი მთელი სტუდენტობის ერთ ფრონტად დარაზმვა-გაერთიანებისა და საქართველოს მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრება-ამოძრავებისა. სტუდენტობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. ყოველი საერთო ხასიათის გამოსვლა უმთავრესად მათზე იყო დამოკიდებული. აღშფოთებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის შესავალ კარზე გაკრული „რევკომის“ განკარგულება ნაფლეთებად აქცია და „სამეულის“ ვერც ერთმა წევრმა ვერ გაბედა უნივერსიტეტში მოსვლა, გამოცხადება.

ჩვენ (სოციალისტ-ფედერალისტებმა) ვაფრინეთ დელეგაცია პარტიის მთავარ კომიტეტთან, ვაცნობეთ სტუდენტობაში შექმნილი განწყობილება და ჩვენი სურვილი მთლიანი ფრონტით ბოლშევიკების წინააღმდეგ დემონსტრაციების მოწყობისა.

ამასობაში მოვიდნენ ჩვენთან სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა დაჯგუფებების წარმომადგენლები და გამოგვიცხადეს, რომ ისინი უკვე მზად არიან საერთო ფრონტით გამოსვლისათვის, მხოლოდ ელოდებიან ჩვენ გადაწყვეტილებას.

ერთ პატარა ოთახში, წყნეთის ქუჩაზე, მოვიყარეთ თავი ოციოდე სოც. ფედ. სტუდენტმა. აქ, ჩვენი ახალგაზრდობის სინიდისად აღიარებულის, სტუდენტ გედეონ სვანიძის მიერ გახსნილ კრებაზე, მოვისმინეთ დელეგაციისაგან პარტიის მთავარი კომიტეტის რჩევა-დარიგება და პასუხი: „შეიკავეთ როგორმე თავი; არა გზით არ დაუშვათ სტუდენტობის საჯარო გამოსვლები, რასაც შეიძლება დიდი მსხვერპლი მოჰყვეს. მოვუცადოთ უნდა შესაფერის დროს“-ო.

სახტად დავრჩით. ჩამოვარდა საერთო უხერხული სიჩუმე. ბოლოს წამოვდექი და აღელვებული ხმით განვაცხადე: – ვის შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს, ან შესაფერისად არ დააფასოს რჩევა-დარიგება ასეთი დიდებული მამულიშვილებისა, როგორიც არიან

ჩვენი ძვირფასი გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სხვა, ყოვლად შესანიშნავი და მეტად პატივსაცემი წევრი მთავარი კომიტეტისა. ყველამ ვიცით, თუ რა კეთილშობილური გრძნობით, რა სიყვარულით ჩვენდამი არის გამოწვეული და ნაკარნახევი ასეთი აზრი, მოწოდება, მაგრამ მიუხედავად ჩვენი ღრმა პატივისცემისა მათდამი, ჩვენ უპირველესად ყოვლისა ანგარიში უნდა გავუწიოთ მთელი ერის სულისკვეთებას.

„მოვუცადოთ შესაფერის დროს!“ ბატონებო! ჩვენ ვიცდით უკვე რვა თვე! მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, მტერი იმაგრებს თავის პოზიციებს და ჩვენ კი ხმაც არ ამოვიღოთ? პროტესტიც არ განვაცხადოთ?

„შესაფერისი დრო“ ძალიან კარგია, მაგრამ როდის მოვა, როდის დადგება ეს შესაფერისი დრო? არა, ამხანაგებო! დღეს არ არის გაჩუმების, უმოქმედობის ხანა! ახლა საჭიროა ჩვენში დაგუბებული-დამარხული გულის წყრომა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საჯაროდ გამოვთქვათ. მთელი ხალხის გულის წადილი შევასრულოთ და თუ საჭიროა, მსხვერპლიც გავიღოთ!

ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, უკუვაგდოთ ყოვლად პატივსაცემი და გონივრული დარიგება ჩვენი მთავარი კომიტეტისა და ავყვეთ ჩვენს გულისთქმას, ჩვენს აღელვებულ, აბობოქრებულ გრძნობებს! მე მომხრე ვარ სტუდენტების საერთო გამოსვლა-დემონსტრაციებისა...

ეტყობოდა, რომ კრება არ იყო მაინც და მაინც წინააღმდეგი ჩემს მიერ გამოთქმული აზრისა... სიტყვა ითხოვა **მიშა მეუნარგიამ.**

„ამხანაგებო! მე ვხედავ, რომ თითქმის ყველანი მომხრე ხართ ამხანაგ გიორგი ნაკაშიძისა. მეც თქვენთან ვარ, მხოლოდ ერთი პირობით.

როგორც იცით, ბოლშევიკებმა არ დაინდვეს საუკუნეთა შემდეგ მკვდრეთით აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა და ყოველგვარი ადამიანური, ეროვნული, საერთაშორისო უფლებების დარღვევით, უცხო ძალის დახმარებით გამეფდნენ დაპყრობილ სამშობლოში. თქვენ იცით, თუ რას წარმოადგენს მთელი ქართველი ერისათვის ჩვენი ახლად დაარსებული უნივერსიტეტი. რას ვიზამთ, რა დაგვემართება, თუ ჩვენს მიერ უნივერსიტეტის შენობა-ეზოში გამართულ კრება-დემონსტრაციებს ბოლშევიკებმა არამც თუ დაკეტვით, არამედ თვით შენობის განადგურებით უპასუხონ! მათგან

ხომ ყველაფერი მოსალოდნელია! რას ვეტყვით ჩვენ მაშინ იმავე ქართველ ერს, ჩვენ საყვარელ პროფესორებს და მეტადრე უნივერსიტეტის ფუძემდებელს, ჩვენ ძვირფას ივანე ჯავახიშვილს?! მე წინადადებას ვიძლევი, გაიგზავნოს დელეგაცია ივანე ჯავახიშვილთან და თუ ის წინააღმდეგი იქნება უნივერსიტეტის შენობაში რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლების მოხდენისა, დავემორჩილოთ მის გადაწყვეტილებას და ჩვენი ბრძოლის ასპარეზი გადავიტანოთ სხვა ადგილას, თუ გნებავთ, მუშათა პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით და თავოსნობით მოვაწყოთ საერთო გამოსვლები."

მიშა მეუნარგიის წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

კრების შემდეგ შევხვდით სხვა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც სავსებით გაიზიარეს ჩვენი გადაწყვეტილება...

საღამოს ცხრა საათზე სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი – დათიკო ლომთაძე, ყოველთვის ზრდილი, დარბაისელი და მეტად კეთილშობილი ადამიანი, ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელი – ცოცხალი, მოქმედი, მჭევრმეტყველი, ელისო პატარიძე, სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლები – მიშა მეუნარგია, ეს ფიზიკური და სულიერი სილამაზის ნამდვილი განსახიერება და მე ვესტუმრეთ პროფესორ ივანე ჯავახიშვილს, დაუვიწყარი გია აბაშიძის მიერ უკვე გაფრთხილებულს. ბ-ნი ივანე გულთბილად მოგვეგება და სასტუმრო ოთახში მიგვიპატიჟა. იქ ჩაი და ნამცხვრები მოგვართვეს.

ამხანაგების დავალებით გავაცანი საყვარელ პროფესორს ჩვენი დადგენილება და მასთან მისვლის მიზეზი. მან დიდი ყურადღებით მოისმინა ყოველივე და გვითხრა შემდეგი:

„დიდი მადლობელი ვარ, რომ სტუდენტობამ ასეთი ნდობა გამოიჩინეთ ჩემდამი და მეტადრე, რომ ასე სათუთად ექცევით უნივერსიტეტის ბედს. მაგრამ უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ ცარიელი კედლები და სახურავი არ არის? უნივერსიტეტი ხართ თქვენ, სტუდენტობა – მოძრავი, მოქმედი ძალა, უსულო შენობას რომ სიცოცხლეს ანიჭებს. სტუდენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვნული და აკადემიური ღირსების, თავისუფლების

დაცვაში! იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებას“...

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წამოვდექით. მადლობა გამოვუცხადეთ და გამოვემშვიდობეთ. გადაგვკოცნა სათითაოდ და გვისურვა გამარჯვება...

მივდიოდით შინ აღფრთოვანებულნი, ფრთებ-გამოსხმულნი. მეორე დღეს საგანგებოდ მოწვეულმა მრავალ-რიცხოვანმა სტუდენტების კრებამ აირჩია ერთხმად საერთო ხელმძღვანელი, რომელთანაც ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ მიავლინა თავისი წარმომადგენელნი, ამით კვლავ კიდევ ხაზი გაესვა სტუდენტობის ერთ ფრონტში გაერთიანება-დარაზმისათვის.

ასე დაიწყო ეგრეთ წოდებული სტუდენტთა ანტიკომუნისტური მოძრაობა, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა. არამც თუ დედა-ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობაში და მოსახლეობაში, არამედ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამ მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი, მისი სულისჩამდგმელი იყო მშვიდი, წყნარი, სიცოცხლეშივე ნათელ შარავანდედით მოსილი, ღვთაებრივი ადამიანი – პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ჟურნ. „კავკასიონი“, XIII, 1968, პარიზი, გვ. 22-24.

უნივერსიტეტი საბჭოთა ოკუპაციის პირველ დღეებში

დათიკო პერესვეტელი. ფიქრები. ფურცელი 2.

ხვალ ჩვენ მეცნიერების ტაძარში სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა სკოლებში ნორმალური სწავლა იწყება და ჩვენი საზოგადოება გულის ფანცქალით ადევნებს თვალს მის მაჯის ცემას.

მართლაც ჩვენი ახალგაზრდობა ბარომეტრია ერის ცხოვრებისა, რომელსაც სჭირია გაათკაცებული სიფხიზლით მოვლა და პატრონობა, მისი სკოლის მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე დაყენება; შეიხედეთ დაბალ სკოლაში, ნახავთ თქვენ ბავშვს – სრულიად ნორჩ პატარა ადამიანს, რომელსაც თავისი აზრი, სურვილი და წადილი აქვს, მას სჭირდება დედა ენაზე განვითარება, მშობლიური ენის გაგონება მისი აღზრდა-განვითარებისათვის და ვინც მოინდომებს ამის ხელის შეშლას, იგი პირველად წყეული იქნება მათ მიერ...

ჩვენი სტუდენტობა ეს ხომ სარკეა ჩვენი ერის აზროვნების – ცხოვრება, პოლიტიკა და მეცნიერება ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ მათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია; მეცნიერიც ხომ იგივე მოქალაქეა, მას აქვს გარკვეული თავისი შეხედულება ცხოვრებაზე, ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე და იმიტომაა, რომ ჩვენი სტუდენტობა ფხიზელი დარაჯია ერის ცხოვრებისა, მას არასოდეს არ შეუძლია ხელი აიღოს თავის საზოგადო აზრებზე, რომ არ გამოსთქვას თავისი რწმენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მას დიდი მისია დააკისრა მშრომელმა კლასმა, იგი პირნათლად შეასრულებს მას, თუ დღევანდელი მთავრობის მიერ იგი გამოყვანილ იქნება იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება.

მართლაც ყოვლად შეუძლებელია, მან შესძლოს სისტემატიურად მეცნიერების შესწავლის მოწყობა, ვინაიდან იგი მოდის აუდიტორიაში საღამოობით მუშაობის შემდეგ დაღლილ-დაქანცული და ამ მდგომარეობაში ყურადღებას ვერ ადევნებს ლექციას. მეორეც, მას მოკლებული აქვს საშუალება, იმუშაოს ლაბორატორიაში, კლინიკაში, რადგან მას ყოველივე ამისთვის თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს; მაშინ მისი და ერის ცხოვრებაც უკეთ იქნება მოწყობილი.

ამის მოსაწყობად პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადასდგა დღევანდელმა მთავრობამ, მაგრამ იგი უფრო ფართო მაშტაბით უნდა მიმდინარეობდეს – სტუდენტი უნდა უზრუნველყოთ ყოველმხრივ, ვინაიდან ადამიანისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა ჭამა-სმა, გამთბარი ბინა, ტანსაცმელი, რომ მან შესძლოს იაზროვნოს და მით სარგებლობა მოუტანოს მშრომელ ხალხს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ საკითხს მეტი სიფაქიზით და ყურადღებით მოეპყრობიან, ამას მოითხოვს უკიდურესი საჭიროება ინტელექტუალური ძალების, რაც შეიძლება მეტათ გამრავლებისა. მე კი ღრმად მწამს, რომ ჩვენი სტუდენტობა, რომელიც უკიდურესი დამცველია ეროვნების, დიდ სამსახურს უწევს ქართველ მშრომელ ხალხს, რომელთანაც იგი იქნება და არის ჭირსა და ლხინში.

დათიკო პერესვეტელი

„სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 6 მარტი

კ.ნ. ქართველ სტუდენტობას

სულ რაღაც სამიოდე წელია, რაც რევოლუციის წყალობით თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. მანამდე კი ჩვენი ახალგაზრდობა გაბნეული იყო რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა ეროვნებათა სტუდენტებთან ერთად, ეწაფებოდა და იძენდა რა წმინდა მეცნიერულ ცოდნას, ამავე დროს, მედგრად იბრძოდა საუკეთესო საზოგადოებრივ იდეალებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენ სტუდენტობას უკანასკნელი ალაგი არ ეჭირა, პირიქით, იგი ყველგან წინა რიგებში იდგა და თავდადებით ემსახურებოდა მშრომელ მასების გათვითცნობიერების საქმეს. ჩვენ უფლება გვაქვს, მოველოდეთ, რომ ამ ტრადიციას ჩვენი სტუდენტობა საქართველოშიც არ უღალატებს, არამედ მშობლიურ ქვეყნის პირობებში უფრო განამტკიცებს და გააღრმავებს.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოების ღარიბი წრეებიდანაა გამოსული და მას, დღეს, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, სრული საშუალება და გასაქანი ეძლევა, ახალგაზრდული ენერგიით და სიყვარულით ჩაებას საერთო მუშაობაში და მუშათა კლასის მეცნიერების გამოჭედვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ჩვენ ვიცით, რომ სტუდენტობის ნაწილს ჯერ კიდევ სავსებით ვერ გაუნთავისუფლებია თავი ერთგვარ გაუგებრობისა და ეჭვებისაგან, რაც არის შედეგი წარსულ მოგონებათა და მენშევიკების მიერ ყალბი ინფორმაციის საშუალებით შექმნილი ატმოსფერისა. ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს კომუნისტების სოციალური ბრძოლის მეთოდები, რომლის წინააღმდეგ სოციალისტური ახალგაზრდობა ვერ წავა, მით უფრო, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, აწარმოებს თავისებურ, ადგილობრივ ცხოვრებასთან შეფარდებულ ტაქტიკას; მე მოგახსენებთ ეროვნულ საკითხზე. მენშევიკები პარტიულ ბატონობის და პირადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ხალხის ეროვნული გრძნობებით ეწეოდნენ სპეკულაციას და კომუნისტების გამარჯვებას ისინი საზოგადოებას უსახავდნენ, როგორც ეროვნულ კულტურისა და სახელმწიფოებრივობის მოსპობას და ამ მხრივ მეფური თვითმპყრობელობის დროის დაბრუნებას. ასეთი

ატმოსფერით მოწამლული იყო ქართველი სტუდენტობის ფსიხიკაც. ბევრისათვის უწინაც ცხადი იყო ასეთი შეხედულობის უსაფუძვლობა და სიყალბე, ხოლო კომუნისტების გამარჯვების შემდეგ, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. ამას სავსებით ადასტურებენ რევოლუციონურ კომიტეტის პირველი ნაბიჯებიც. მათ შორის აღსანიშნავია რევკომის განკარგულება ქართული ენის შესახებ და ამხ. შ. ელიავას სიტყვა, ხელოვნების მუშაკებისადმი მიმართული, ქართული ენის შესახებ: „პროვოკაციული ხმების უარსაყოფად ქალაქ თბილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოდ რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიც უნდა სწარმოებდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“. ხოლო ამხ. ელიავა გარკვევით და ხაზგასმით აცხადებს: „ჩვენი სახელმწიფო აბსოლუტურად სუვერენულია ეროვნულ სახელმწიფოსა და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში. დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიზაციასა და ძალმომრეობას. იმათ ხელები მოეკვეთება, ვინც ძველის დაბრუნებას მოინდომებს. ამ მხრივ არავის ჩარევას არ შევიწყნარებთ“. ამ სიტყვებს კომენტარები არ სჭირია. რასაკვირველია, არიან ჩვენში ელემენტები, რომელნიც ინტერნაციონალურ დროშის ნიღბით შეეცდებიან თავიანთი ზოოლოგიურ ნაციონალიზმის ინსტინქტის დაკმაყოფილებას. მათ წარმოდგენაში, შეიძლება, ძველებურ ეროვნულ გაბატონების შესაძლებლობის პერსპექტივა იშლება. ასეთი ხალხი იძულებული გახდება, სამუდამოდ ჩაჩუმდეს. ხოლო იმ ქართველ საზოგადოების ნაწილმა, რომელსაც უყვარს ეროვნული ფაქტების შემდეგ, უნდა სძლიოს ყოველგვარი გაუგებრობა და უნდობლობა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი სტუდენტობაც შეიგნებს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, ფხიზლად შეაფასებს მომენტს და საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ ჩაკიდებული მხურვალე მონაწილეობას მიიღებს საღ ეროვნულ და სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კ. ნ.

„კომუნისტი“, 1921 წ. 9 მარტი

ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ირგვლივ

მარტის 9 განათლების სამინისტროს შენობაში შესდგა კრება ყოფ. ამიერკავკასიის უნივერსიტეტის აღდგენის საკითხის გამო. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი, დეკანები: კორნ. კეკელიძე და ალ. ალადაშვილი, ანდრ. რაზმაძე და შალვა ნუცუბიძე. ყოფ. ამიერკავკასიის უნივერსიტეტიდან პროფ. როსტოვცევი, არუთინოვი, სოგომონოვი, გორდეევი და სხვ. იყვნენ აგრედვე ყოფ. ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენელნი.

კრებას დაესწრო რევკომის წარმომადგენელი მ. ორახელაშვილი. კრება გახსნა სასწავლო კოლეგიის წევრმა ალ. წერეთელმა. კრებას მოხსენდა ყოფ. ამიერკავკასიის პროფესორთა ერთი ჯგუფის მემორანდუმის შინაარსი, რის შემდეგაც გაიმართა კამათი ამიერკავკასიის ყოფ. უნივერსიტეტის განახლების შესახებ.

რევკომის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალ მთავრობას არ აქვს განზრახული, შესცვალოს არსებული მდგომარეობა, რადგან ეს შუა სემესტრში უდროოდაც მიაჩნია და გარდა ამისა არ აქვს ჯერჯერობით შექმნილი ის აპარატი, რომელსაც ასეთ ცვლილებებს უმტკივნელოდ ჩაატარებდა. თუ ყოფილი ამ. კავკ. უნივერსიტ. სტუდენტები დღეს-დღეობით მეცადინეობენ და მათ ამის საშუალება აქვთ, არსებული მდგომარეობა უნდა დარჩეს მანამდე, ვიდრე მომავალ სასწავლო წლიდან არ მოხდება არსებითი შეცვლა მთელი სასწავლო სისტემისა. მაშინაც სთქვა რევკომის წარმომადგენელმა, იქნება ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის მიზან შეწონილად მოწყობის შესახებ ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი ავტორიტეტული აზრითო. ამის შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, ალ. ალადაშვილმა და შ. ნუცუბიძემ. ამიერკავკასიის უნივ. პროფესორთაგანაც ბევრმა ილაპარაკა, მაგრამ მათ არგუმენტაციამ და მსჯელობამ ყველაზე უმწეობის, გონებრივი სისაწყლის და დაუფარავ ბნელი ზრახვების შთაბეჭდილება მოახდინა. ყოფილ ამიერკავკასიის პროფესორთა უმწეობას ვერ უშველეს ვერც შეიარაღებულმა სტუდენტებმა, ორ-სამ ადგილზე

წითელ ნიშნებით შეაბჯრებულებმა. მათი იმედი – ორატორი სტუდენტი ორჯერ იქმნა შეჩერებული რევკომის წარმომადგენელის მიერ.

უნდა ითქვას, რომ სიტყვების მოსმენისას რევკომის წარმომადგენელმა მყისვე აუღო ალღო ყოფ. ამ. კავკ. უნივ. პროფესორთა კონტრ რევოლიუციონურ ზრახვებს და მათ ყური აუწია.

დადგენილ იქნა, დარჩეს არსებული მდგომარეობა მომავალ სასწავლო წლამდე. რევკომის წარმომადგენელმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებზე, რომ ახალი მთავრობა ეროვნულ ნიადაგზე სდგას.

„სოციალისტ-ფედერალისტი“, მარტის 11, 1921 წ. № 9, გვ. 1

აკადემიური კომბინატორები

ოფიციალურ ცნობების მიხედვით, ტფილისის პოლიტეხნიკუმის საბჭო მეორეჯერ გზავნის დელეგაციას მთავრობასთან, რათა პოლიტეხნიკუმის საქმეები მოაწყოს ნივთიერის და სხვ. მხრივ სჩანს პირველი დელეგაციის საქმე ცუდად გათავებულა, რადგანაც მეორეს გაგზავნა შეიქმნა საჭირო.

რევკომს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება, რომ ჩვენში საკითხის ხანგრძლივად და ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ, განზრახული იყო მთლიანი უმაღლესი სკოლის იდეიის განხორციელება. საქართველოს უნდა მიებაძნა ისეთი გამოცდილ ქვეყნებისათვის, როგორიცაა ამერიკა, გერმანია, ბელგია და სხვ. და შეეერთებინა უმაღლესი თეორიული და უმაღლესი ტეხნიკური ცოდნა ერის მთლიან სკოლაში ე. ი. უნივერსიტეტში ტეხნიკური განყოფილებით. აუარებელი საბუთები არსებობს მთლიანი უმაღლესი სკოლის სასარგებლოთ, მათი აღნიშვნა აქ შეუძლებელია, ყველა ეს საბუთები მიღებული იქმნენ მხედველობაში და მთელ რიგმა ავტორიტეტულ დაწესებულებებისა (მაგ. განათლების კომისიამ დამფუძნებ. კრების) გამოსთქვეს ურყევი სურვილი მთლიანი უმაღლესი სკოლის დაარსებისა. ეს საბუთები დღემდისაც ძალაშია ყველასთვის, ვისაც მართლა აინტერესებს განათლების საკითხი საქართველოში და არა იმ აკადემიურ კომბინატორებისათვის, რომლებსაც ასულდგმულებენ სულ სხვა ზრახვები.

რა დამატებითი და ახალი საბუთით მიდის რევკომთან ეს მეორე დელეგაცია? 1) ინსტიტუტის საბჭომ დაუთმო 50 ადგილი წითელ არმიელებს; 2) დეკანობიდან ეკონომიურ ფაკულტეტზე გადაყენებულია ქართველი პროფესორი და არჩეულია რუსი პროფესორი; 3) ინსტიტუტის საბჭოს შემოუღია ახალი კურსები: საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, საზოგადოებრივ კლასების თეორია და სხვ.

ყველა ამ ცნობების დართვით სურთ, შექმნან ერთგვარი ატმოსფერა სხვა და სხვა წრეებში, რომ მიზანს მიაღწიონ. რა არის ეს, თუ არა კომბინატორობა? ასე იქცეოდა ძველად სპეკულიანტი, როდესაც ის ნიშნავდა სტიპენდიებს, ქველმოქმედობდა და სხვ., რათა მოეგო ვიღაცას გული. მეთოდი ერთი და იგივეა, მხოლოდ იქ დავთრული ანგარიშები იყო და აქ კი აკადემიის წმინდა დროშა გამხდარა პოლიტიკურ სპეკულიაციის საგანი.

ვიღაც ბაღდატოვები კი, საქართველოს სააგენტოს სათავეში წამოსკუპებულნი, სცდილობენ, თავის მხრივ შესაფერი ცნობებით ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის ჯეროვან დამუშავებას.

ტყუილი მუშაობაა – ქართულ საზოგადოებრივ აზრს თავისი ისტორია და ტრადიციები აქვს და თქვენს ხრიკებს კონტრაბანდათ ვერ გაატარებთ.

ნარი

„სოციალისტ-ფედერალისტი“, მარტის 18, 1921 წ., №16

ნაწილი მესამე

ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა პერიოდში

თავი 10. ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში (1921-1926)

1921 წლის თებერვალ-მარტის ომი საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. ეს იყო დიდი ეროვნული კატასტროფა, ბევრისთვის მოულოდნელი და მით უფრო მტკივნეული. თავიდან ასევე ბევრს უჭირდა, სრულად გაეაზრებინა, თუ რა ცვლილება მოხდა საქართველოში. ბოლშევიკი ხელისუფალნი თავიდან პირობას დებდნენ, რომ მხოლოდ „მენშევიკებს“ ებრძოდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი კი ხელშეუხებელი დარჩებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ განცხადებები იყო. რუსეთის წითელი არმიის ხიშტებზე დამყარებული საბჭოთა რეჟიმი პოზიციების განმტკიცებასთან ერთად სულ უფრო აძლიერებდა რეპრესიებს და საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისაგან

აღარაფერი რჩებოდა. ეს თანდათან ნათელი გახდა იმ ადამიანებისთვისაც, რომელთაც თავიდან ბოლშევიკების დაპირებების სჯეროდათ.

ძლიერდებოდა საპროტესტო და განმათავისუფლებელი მოძრაობა და სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა საბჭოური რეპრესიები. საბჭოთა რეჟიმისათვის წინააღმდეგობის ერთ-ერთი უმთავრესი კერა ქართული უნივერსიტეტი იყო.

საბჭოთა ხელისუფალნი ვერ იტანდნენ ქართულ უნივერსიტეტს და მას „მტრულ დაწესებულებად“ მიიჩნევდნენ, რომლის „გაწმენდაც“ საჭირო იყო, მაგრამ თავიდან ფრთხილობდნენ. 1921 წელს ჩეკა-ს მიერ შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში უნივერსიტეტთან დაკავშირებით აღნიშნული იყო: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითქმის არ არიან საბჭოთა პლატფორმაზე გამოკვეთილად მდგომი და ხელისუფლებისადმი ერთგული პროფესორები. პროფესურა ორ კატეგორიად იყოფა: პასიური და ანტისაბჭოთა“.[1]

1921 წელს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი აქტიურად მუშაობდა არალეგალურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. მათ სათავეში ედგა ახალგაზრდა მარქსისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალური კომიტეტები.

1921-1924 წლებში სვანეთში შეიარაღებული გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბიძინა პირველი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში, სვანეთში აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან 30-მდე სტუდენტი გაემგზავრა.

სტუდენტები პერიოდულად იკრიბებოდნენ ოჯახებში, მსჯელობდნენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, ეკონომიურ, სოციალურ განვითარებაზე. პერიოდულად გადიოდნენ რაიონებში, სადაც მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ, ამზადებდნენ მათ მომავალი გამოსვლებისათვის, თავადაც აქტიუ-

---

[1] ციტ.: თენგიზ ენდელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, I, 2009, გვ. 107.

რად მონაწილეობდნენ შეიარაღებულ გამოსვლებში, საპროტესტო აქციებში და სხვ. ამ ადამიანებს სჯეროდათ, რომ საბჭოთა რეჟიმი საქართველოში დიდხანს ვერ გასტანდა და საქართველოს განთავისუფლების დრო შორს არ იყო.

10.1. ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში

ქართული უნივერსიტეტის დასაცავად

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ივანე ჯავახიშვილს საქართველოდან წასვლა არც უფიქრია. მისთვის მთავარი ამოცანა ქართული უნივერსიტეტის დაცვა იყო. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ეროვნული უნივერსიტეტის არსებობა ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილი და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

ქართული უნივერსიტეტის, მისი ეროვნული სულის, პროფესურისა და პატრიოტულად განწყობილი სტუდენტობის შენარჩუნება ივანე ჯავახიშვილის უმთავრესი ამოცანა გახდა. ამ ბრძოლაში მას საბჭოთა რეჟიმის დიდი რეპრესიული აპარატი უპირისპირდებოდა, რეჟიმისა, რომელიც ასევე კარგად აცნობიერებდა უნივერსიტეტის მნიშვნელობას და ამოცანად ისახავდა ქართული უნივერსიტეტის „გასაბჭოებას“, მისთვის ეროვნული სულის წართმევას. საბჭოთა ხელისუფლება არც უნივერსიტეტის სტუდენტებს ენდობოდა და არც პროფესურას. საჭიროდ მიაჩნდათ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების „იდეურ პოლიტიკური აღზრდა“, შეცვლილიყო სტუდენტთა კონტინგენტი.[1]

1922 წელს თბილისის უნივერსიტეტს არსებობის 5 წელი შეუსრულდა. 1922 წლის გაზაფხულზე შედგა უნივერსიტეტის პირველი გამოშვებაც. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ დიპლომი მიენიჭა 28 პირს (25 ვაჟი, 3 ქალი).[2]

---

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 71.

[2] პროფესიების თვალსაზრისით თსუს პირველი გამოშვება შემდეგი იყო: ისტორია – 15, ფილოსოფია – 6, სიტყვიერება – 3, ენათმეცნიერება – 2, ხელოვნება – 1, ეკონომიკა -1.

1923 წლის ოქტომბერში თსუ-ში 3710 სტუდენტი სწავლობდა. აქედან 1.149 პედაგოგიურ ფაკულტეტზე, 848 სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, 612 აგრონომიულზე, 847 სამკურნალო და 254 პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის სოციალური შემადგენლობა კომუნისტების კლასიფიკაციით შემდეგი იყო: 1860 გლეხი, 1239 ინტელიგენტი, 320 მუშათა კლასიდან, დანარჩენი – სასულიერო წოდება – ვაჭარ-მრეწველნი.[1]

გასაბჭოების შემდეგ უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა. უნივერსიტეტის საქმეებს აქტიურად წარმართავდა არა პროფესორთა საბჭო, არამედ განათლების სახალხო კომისარიატი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის შეცვლა და „პოლიტიკურად საიმედო“ პირებით მისი შევსება დაისახა. რუსეთის უნივერსიტეტების მსგავსად, 1922 წლიდან თსუ-ში გაიხსნა მუშათა ფაკულტეტი. მისი მსმენელები ხდებოდნენ პირები, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალო განათლება. მუშათა ფაკულტეტიდან შემდეგ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ირიცხებოდნენ. პირველ წელს მუშათა ფაკულტეტზე 280 პირი მიიღეს, შემდეგ წლებში ამ რიცხვმა 800-ს გადააჭარბა. განათლების სახალხო კომისარიატი ყოველწლიურად განსაზღვრავდა ფაკულტეტზე ჩასარიცხ მსმენელთა კონტინგენტს, რომელიც შემდეგ ნაწილდებოდა კომპარტიის ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს შორის. მუშათა ფაკულტეტზე ირიცხებოდნენ მუშათა და გლეხთა ფენებიდან 18-30 წლის ახალგაზრდები, ფიზიკური მუშაობის განსაზღვრული სტაჟით. მათი შერჩევა ხდებოდა არა ნიჭის მიხედვით, არამედ „სანდოობით“. შერჩევას ახორციელებდა საგანგებო სამანდატო კომისია. ერთ-ერთი გამოცდა „პოლიტცოდნაში“ უნდა ჩაებარებინათ.[2]

1923 წლის ოქტომბერში თსუ სტუდენტთა შორის ბოლშევიკებს უკვე „დასაყრდენი“ ჰქონდათ: 69 სტუდენტი კომპარტიის

---

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 81-82.

[2] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 78.

წევრი იყო, 38 კომპარტიის წევრობის კანდიდატი, 101 კომკავშირის წევრი.[1]

1924 წლიდან უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები დაწესდა და ერთ-ერთი გამოცდა ყველა ფაკულტეტზე იყო საგანი „საბჭოთა აღმშენებლობა“.[2] 1925 წლიდან უნივერსიტეტში დაიწყო მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სისტემატიური სწავლება, 1926 წლიდან კი თსუ ფაკულტეტებზე ისწავლებოდა „საზოგადოებრივი მეცნიერებების“ საგნები: „საბჭოთა კონსტიტუცია“, „სოციალიზმის ისტორია“, „ეკონომიკური პოლიტიკა“, „კომპარტიის ისტორია“, „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“, „ისტორიული მატერიალიზმი“.[3]

ლექციები წარსულზე – დასკვნები მიმდინარე პოლიტიკისთვის

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ცდილობდა უნივერსიტეტის გადარჩენას, იძულებული იყო, გარკვეულ ფარგლებში ეთანამშრომლა საბჭოთა ხელისუფლებასთან. პირდაპირი კრიტიკული გამოსვლა მისი მხრიდან გამორიცხული იყო. ეს საფრთხის ქვეშ დააყენებდა არა მხოლოდ პირადად მას და მის ოჯახს, არამედ ქართულ უნივერსიტეტსაც.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსი იყო, ისტორია კი მძლავრი პოლიტიკური იარაღია. ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექციები წარსულის შესახებ ეხმიანებოდა საქართველოში არსებულ რეალობას, მსმენელს უბიძგებდა ანალოგიების გავლებისაკენ და შესაბამისი დასკვნების გაკეთებისაკენ.

1921 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექციების ციკლი XV საუკუნის საქართველოს შესახებ, როდესაც ქვეყანას უხდებოდა მძიმე ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ტერიტო-

---

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 82.

[2] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 85.

[3] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948, გვ. 81, 112.

რიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ამის თაობაზე შემორჩენილია მოკლე საგაზეთო ცნობა:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. აპრილის 17-ს, მასწავლებელთა სასახლეში (ყოფილი ქართული კლუბი) დილით თერთმეტის ნახევარზე საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრებაზე პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-XV საუკუნეში". ფრიად საინტერესო მოხსენებისათვის ჩვენის ძველი ცხოვრებიდან კრებამ მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვა. მომავალ კრებაზე აპრილის 24-ს დილით თერთმეტის ნახევარზე, მასწავლებელთა სახლშივე პროფესორი ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ზევით მოხსენებულ სათაურითვე მე-XV საუკუნის თაობაზე".[1]

ბატონი ივანე კარგად ხედავდა, რომ საბჭოთა რეჟიმის დამყარებასთან ერთად, საქართველოს კვლავ დაუდგა მძიმე პერიოდი, როდესაც საჭირო იყო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად.

კიდევ ერთი მაგალითი უფრო მოგვიანო პერიოდიდან, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია სათაურით „რაინდობა და ვერაგობა ძველ საქართველოში". ივანე ჯავახიშვილმა ისაუბრა დაუდ-ხანზე და დაგმო სამშობლოს მოღალატე და მედროვე ადამიანი. დაუდ ხანის კრიტიკა იმითაც იყო გამოწვეული, რომ გამოიცა მის მიერ დაწერილი სამედიცინო წიგნი „იადიგარ დაუდი" და ეს პიროვნება ზოგისთვის კარგ მოღვაწედ გამოჩნდა. ივანე ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ ამ წიგნის შედგენა არაფერს ცვლიდა დაუდ-ხანის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ნეგატიურ შეფასებაში.

ამ ლექციის თაობაზე პროფესორი შალვა ხიდაშელი დიდი ხნის შემდეგ იგონებდა. მოვიტანთ შალვა ხიდაშელის მოგონების ამ ნაწილს სრულად:

„ერთ დღეს ბატონმა ივანემ გამოაცხადა, რომ საჯარო ლექციის წაკითხვას აპირებდა. ლექციის სათაური იყო: „რაინდობა და ვერაგობა ძველ საქართველოში". ყველა ჩვენთაგანი გაურკვეველი მოლოდინისა და მოუთმენლობის განცდამ შეიპყრო. ვგრძნობ-

[1] „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 19 აპრილი.

დით, რომ ლექცია რაღაც საგანგებო გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც მხოლოდ ლექციის შემდეგ გაირკვა.

ამ დროს გამოქვეყნდა XVI ს-ის ქართველი მოღვაწის, დავითის (შემდეგ დაუდ-ხანად წოდებულის) სამედიცინო ძეგლი „იადიგარ დაუდი“. გამომცემელს, ექიმ ლადო კოტეტიშვილს, ძეგლი აინტერესებდა ძველი ქართული მეცნიერების და სამედიცინო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მისი მნიშვნელობაც ამით იყო განსაზღვრული, მაგრამ მკითხველთა ფართო საზოგადოებაში დავითი პოპულარული პიროვნება გახდა. საზოგადოება ალაპარაკდა მის დიდ დამსახურებაზე ქართული მეცნიერების და ქართველი ერის წინაშეც. მაგრამ საქმე ისაა, რომ დაუდ-ხანს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ქართველი ერისათვის ვნების მეტი არაფერი მოუტანია. მემატიანის სიტყვით, „კაცი უღმერთო... მეძავი და მემრუშე, რომლისა გულსა არარა იყო ზრუნვა სულისა და ქვეყნისა“, „სულმოკლე და მოღალატე“, გადაგვარებული პიროვნება და ყიზილბაშების მთავარი დასაყრდენი ქართლის ისტორიის მძიმე პირობებში.

სამწუხაროდ, ამ ლექციის არავითარი კვალი არაა დარჩენილი ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში დღევანდელ მკითხველს შეუძლია ასეთი სტრიქონები ამოიკითხოს: „დაუდ-ხანი“ სამწერლო მოღვაწეობას მადლიან საქმედ სამართლიანად სთვლის და სრულს ჭეშმარიტებას სწერს, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელის შეწყობა მისაბაძ სათნოებად მიაჩნია – „კაცმან კაცი რომ სარჯლისა და სიკვდილისაგან დაიხსნას და მოარჩინოს, უფრო უმეტესი მადლი არისო“-ო, მაგრამ, – განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, – „ახსოვდა თუ არა“ სტამბოლში მყოფ დაუდხანს, „რომ საქართველოში მრავალი კაცი მარტო უხედობითა და უცოდინარობით კი არ დაზიანებულა და მომკვდარა, არამედ არანაკლებ და უფრო მეტად შინაური, ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით, როდესაც ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი იღვრებოდა მისებრ უგუნურ ბატონიშვილთა და დიდებულთა წყალობით, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ მებრძოლთა გვერდში ამოდგომასა და შველას ვერაგობას, მტრის ბანაკში ყოფნასა და

ქვეყნისა და მშობელი ერის ღალატსა რჩეობდნენ. აგონდებოდა თუ არა ეს თავისი სააუგო წარსული ამ მართლაც რომ „უღირს დაუდ-ხანს“, როდესაც, მას შემდგომ, რაც სამშობლოს უბედურებით მან საკუთარი ბედნიერება მოიპოვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერც ძლიერი მტრის მფარველობამ უზრუნველყო მისი ღალატით შენაძენი სვიანობა, ის სტამბოლში გაქცეული ამაოდ ელოდებოდა გარეშე ძალის დახმარებას“.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ სტრიქონებს ცეცხლი აკლდეს, მაგრამ იმ დღეს „ცხელ გულზე“ წაკითხული ლექცია განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში სულ სხვა იყო. ხუთი წლის განმავლობაში მასთან ურთიერთობისას ბატონი ივანე ასეთი მე არ მინახავს, მისი ლექცია ემოციებით იყო დატვირთული. მგზნებარე, აღგზნებული ისე ლაპარაკობდა, თითქოს თვალწინ ედგა მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე „ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით“ დაღუპული ყოველი ცალკეული ადამიანი. მსმენელებით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს. ნათლად, მკაფიოდ დახატა რენეგატობის ისტორიული სურათი საქართველოში, დაახასიათა მისი უარყოფითი მნიშვნელობა, დეტალურად წარმოადგინა დაუდ-ხანის პოლიტიკური საქმიანობა და ლექცია შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: – განა, ერის წინაშე დამსახურება იმასა ნიშნავს, რომ ორი წიგნი წაიკითხო და მესამე დაწერო?!“[1]

10.2. ივანე ჯავახიშვილი და სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობა

ივანე ჯავახიშვილი განზე ვერ გადგებოდა სტუდენტური მოძრაობისაგან. სტუდენტთა საუკეთესო ნაწილი თავდადებით იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

სტუდენტთა საპროტესტო აქციები პირდაპირ თუ არაპირდაპირ ივანე ჯავახაშვილის სახელს უკავშირდებოდა. მთელი ქვეყანა თვალს ადევნებდა იმას, თუ რა ხდებოდა უნივერსიტეტში. 1921 წლის ნოემბრის ბოლოს უცხოეთში გამომავალმა ჟურნალმა „თავი-

[1] შალვა ხიდაშელი, ივანე ჯავახიშვილი – 100: რამდენიმე მოგონება, „განთიადი“, 1976 №4, გვ. 112-113.

სუფალი საქართველო“ გამოაქვეყნა მოკლე ინფორმაცია სათაურით: „ქართული უნივერსიტეტის ბედი“, რომელშიც აღნიშნული იყო:

„25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა ოფიციალურათ აცნობეს ქართული უნივერსიტეტის დეკანს ჯავახიშვილს, რომ სტუდენტთა კავშირის და სტუდენტთა სასადილოს გამგეობანი დათხოვნილია და მათ ადგილს დანიშნულები დაიჭერენო. გარდა ამისა, მოითხოვეს რუსულათ ლექციების კითხვა და პოლიტეხნიკუმთან შეერთება. ყველა ამის გამო ჯავახიშვილმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა, ხოლო გამგეობის წევრი სტუდენტები გადაიმალენ“.[1]

სტუდენტები და 1922 წლის 11 თებერვლის საპროტესტო აქციები

1922 წლის 11 თებერვალი ეროვნულმა ძალებმა გლოვის დღედ გამოაცხადეს. გამოუშვეს პროკლამაციები და ბროშურები, დაინიშნა საპროტესტო აქციები. ამ გამოსვლებს უნდა ეჩვენებინა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოსთვის გარედან იყო თავს მოხვეული. ეს მნიშვნელოვანი იყო გენუაში დაგეგმილი კონფერენციის წინ, სადაც ემიგრაციაში წასული საქართველოს ხელისუფლება საქართველოს დეოკუპაციის საკითხის დაყენებას ცდილობდა.

10 თებერვალს ღამით „ჩეკამ“ ანტისაბჭოთა პარტიების თითქმის ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრა და მეტეხის ციხეში ჩასვა. მიუხედავად ხელმძღვანელების გარეშე დარჩენისა, მეორე დღეს გამოსვლები მაინც დაიწყო. მასში უმთავრესად სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. სტუდენტების დიდი ნაწილი ლექციებზე არ გამოცხადდა.

გაზეთი „კომუნისტი“ მოწინავე წერილში სტუდენტთა გამოსვლის გამო ირონიულად წერდა: „გვგონია, რომ მეცნიერებამ არაფერი იზარალა იმისგან, რომ ამ ჯენტლმენებმა შაბათს არ იმეცადინეს და აგრეთვე იმისგან, რომ ზოგიერთი მათგანი დაიჭირეს და სასამართლოში მისცეს უნივერსიტეტის ეზოში თავხედური ქცევისათვის“.

---

[1] „თავისუფალი საქართველო“, №13, 30 ნოემბერი 1921 წ., გვ. 16.

თუმცა ჩეკა საიდუმლოდ ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა: „მიუხედავად წარუმატებლობისა, თებერვლის გამოსვლებმა აჩვენა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე სრულიადაც არ არის სუსტი, პირიქით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მათი ორგანიზაციები ახლა ძლიერია, კარგად კონსპირაციულნი და წარმოადგენენ საფრთხეს, რომელსაც აუცილებელია სათანადო ანგარიში გაეწიოს“.

სტუდენტები 1922 წლის 24-26 მაისის საპროტესტო გამოსვლებში

რეპრესიების მიუხედავად, აქტიურობდა უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი. მათ 500 სტუდენტის ხელმოწერით გააგზავნეს მიმართვა ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობისადმი. 1922 წლის 30 მარტით დათარიღებულ ამ დოკუმენტში ნათქვამია:

„უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იდეითა და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება, განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშობილი სამეცნიერო მუშაობა“ (უფრო მეტი იხ. დანართში).

12 მაისს თავის ბინაში დააპატიმრეს თსუ სიბრძნისმეტყველების განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 22 წლის კალისტრატე სალია და კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის მიუსაჯეს 6 თვის პატიმრობა. 1922 წლის ოქტომბერში ის სხვა 61 პოლიტპატიმართან ერთად გერმანიაში გადაასახლეს.

1922 წლის 25 თებერვალს გამართული საბჭოების ყრილობის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან „დამოუკიდებლობის დღე“ 25 თებერვალი იყო და აღარ უნდა აღენიშნათ 26 მაისი. ამან ქართულ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. 26 მაისის აღსანიშნავად დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა. მოულოდნელობისა და საბჭოთა ორგანოების შეცდომაში შესაყვანად გადაწყდა, რომ საპროტესტო აქცია 26 მაისამდე გამართულიყო და გამოსვლის პირველ დღედ დაინიშნა 24 მაისი. ამ

დღეს უნივერსიტეტს ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს. სხვებთან ერთად დააპატიმრეს ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძე.[1]

ამ გამოსვლასა და ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობის თაობაზე საინტერესო ჩანაწერი აქვს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს თავის დღიურში, რომელიც 1922 წლის 24 მაისის გაფიცვას და კომუნისტების საწინააღმდეგო გამოსვლას ეხება:

„დიდი შეტაკება მომხდარა უნივერსიტეტთანაც; შენობა უკვე გარე-მოცული იყო წითელ არმიელთაგან, უნივერსიტეტში აღარ უშვებდენ არც სტუდენტობას, არც პროფესორებს. როდესაც რექტორი ივანე ჯავახიშვილი შედიოდა ეზოში, შეაჩერეს ის რუს-არმიელებმა, არ გაუშვეს. რექტორი ეკითხება მათ ქართულად: „რა ამბავიაო“. რუსები უპასუხებენ: „არ გვესმის, რას ლაპარაკობ, გველაპარაკეთ რუსულად, გასაგებ ენაზეო“! ჯავახიშვილს ვერ დააძრევინეს რუსულად ვერც ერთი სიტყვა, დააპატიმრეს ისიც, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს; ასევე მოექცნენ პროფესორ რაზმაძესაც და სხვებსაც“.[2]

აქცია გაგრძელდა: „სტუდენტობა – ქალები თუ ვაჟები – დაიძრა ვერის სასაფლაოსაკენ, აქ გამართეს დიდი მიტინგი, აუშვეს ეროვნული დროშები; მაგრამ ფიცხლად გარს შემოერტყა მათ წითელ-არმიელები და მილიციელების რაზმები; მოხდა შეტაკებანი! გამძვინებულ ვეფხვივით იბრძოდენ ქართველი ქალები – სტუდენტები, ბევრს ცხვირ-პირი ჩაამტვრიეს, ტანისამოსი შემოაფხრიწეს, დააპატიმრეს და ციხეები თუ „ჩეკები“ აავსეს... აი, რით დასრულდა თბილისში 24 მაისის გაფიცვა, რომელსაც კომუნისტებმა „აჯანყება“ უწოდეს...“

სახლის ჩამორთმევა ხოვლეში

ივანე ჯავახიშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მშობლების სახლი სოფელ ხოვლეში.

---

[1] თენგიზ ენდელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. შრომების კრებული, I, 2009, გვ. 107.

[2] ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., ლიტერატურის მუზეუმი, 2013, გვ. 255.

„ამონაწერი ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმიდან 1923 წ. 3 მარტის კრებისა. ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის შესახებ.

მოისმინეს: ხოვლის სასწავლებლის შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილებს, რომელი შენობაც გამოირკვა, რომ სოფ. ხოვლისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს, დაადგინეს: ჩამორთმეული იქნას ჯავახიშვილების სახლი და გადაეცეს ხოვლის სასწავლებელს აღმასკომის განკარგულებაში“.

დოკუმენტს ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე ჩიტიაშვილი და მდივანი მეზურნოვი.

კრების ოქმის ამონაწერი შედგენილია 1924 წლის 15 აპრილს. დოკუმენტიდან არ ჩანს, ვინ აღასრულა ახალქალაქის თემის აღმასკომის 1923 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც სხვა დუკუმენტებიდან ირკვევა, ადგილობრივი ჩინოვნიკებისაგან იქმნებოდა სპეციალური კომისია, რომელსაც ჩამორთმეული ქონების შესახებ აქტი უნდა შეედგინა.

10.3. რეპრესიების გაძლიერება უნივერსიტეტის წინააღმდეგ

1923 წელი: ახალი რეპრესიები უნივერსიტეტში

1923 წლის 30 მარტს თსუ-ის პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ახალი ვადით აირჩიეს რექტორად, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება უნივერსიტეტზე ზეწოლას აძლიერებდა. ივანე ჯავახიშვილს განსაკუთრებით ვერ იტანდა ლავრენტი ბერია. არსებობს ასეთი გადმოცემაც: როცა ბერია პირადად მისულა ივანე ჯავახიშვილთან და მისთვის უთქვამს, ჩემს ცოლს უნივერსიტეტში ჩაბარება უნდა, მაგრამ სკოლის დამამთავრებელი ატესტატი არ ააქვსო, ივანე ჯავახიშვილს მისთვის უპასუხია: – ვერ მივიღებთო. ბრძანება რომ იყოსო, – უკითხავს ბერიას. ივანეს კი პირდაპირ უთქვამს: – უნივერსიტეტში ბრძანებებს მე ვიძლევიო.

1923 წლის გაზაფხულზე, ძირითადად მარტში, ჩეკამ დააპატიმრა ანტისაბჭოთა პარტიების რიგი თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის იყო თსუ დოცენტი სერგი დანელია, ასისტენტე-

ბი: დიმიტრი ჯავახიშვილი და გიორგი რცხილაძე. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გეგეჭკორის წერილის პასუხად, თუ რა ბრალდებით იყვნენ აღნიშნული პირები დაპატიმრებული და შესაძლებელი იყო თუ არა თსუ-ს მხრიდან თავდებში მათი გამოშვება, საქჩეკამ განაცხადა, რომ მათ „ბრალად ედებათ შეიარაღებული აჯანყების მომზადება და ამიტომ მათი განთავისუფლება არ შეუძლიათ“.[1]

1923 წლის 26 მაისს, რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, ქუჩაში იარაღის მუქარის ქვეშ დააკავეს თსუ აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 26 წლის **ნიკოლოზ კეცხოველი.** თავდაპირველად კატეგორიულ უარზე იყო, დაესახელებინა მის მიერ უნივერსიტეტში შექმნილი „ხუთეულის“ (არალეგალური ჯგუფის) წევრები. ერთი თვის შემდეგ კი, როგორც ჩანს, იძულებული გახდა, დაესახელებინა სტუდენტური კომიტეტის წევრები: ელისე პატარიძე, ლეო დგებუაძე, კალე მესაბიშვილი, ნიკოლოზ დგებუაძე, მიხეილ გოგიაშვილი, ს. მუსხელიშვილი.[2] ნ. კეცხოველი აღიარებითი ჩვენების მიცემისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის შესახებ დეკლარაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით გაანთავისუფლეს.

ნიკო მარი და შეტევა ქართულ უნივერსიტეტზე

ნიკო მარი თავიდანვე დაუპირისპირდა ქართული უნივერსიტეტის იდეას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ნიკო მარის პოზიციას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნიკო მარი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგა და მათ მხრიდან ნდობაც დაიმსახურა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში

---

[1] თენგიზ ენდელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, I, 2009, გვ. 113.

[2] თენგიზ ენდელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, I, 2009, გვ. 113-114.

ნიკო მარის დაპირისპირება ივანე ჯავახიშვილთან და ქართულ უნივერსიტეტთან ახალი ძალით გაიშალა.

ნიკო მარი წინააღმდეგი იყო რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერების და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემისა. ასევე არ მოსწონდა ამერიკელი არქეოლოგების შესაძლო ჩამოსვლა მცხეთასა და ნაქალაქევში.

1924 წლის 2 ივლისს „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტში“ „ჩვენის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი: „პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე“. სტატიაში საუბარი იყო ნიკო მარის დიდ დამსახურებაზე მეცნიერების წინაშე და ამის შემდეგ გალანძღული იყო ქართული უნივერსიტეტის პროფესორები. სიტყვები და სტილი ამ სტატიისა მეტად ნიშანდობლივია და კარგად წარმოაჩენს იმდროინდელ რეალობას:

„რაღაც მიზეზით მარრმა არა სავსებით პატივისცემით მოიხსენია ქართველ პროფესორების აზროვნება. მან აღნიშნა, რომ ის წყარო, რომლითაც იკვებება ქართველ პროფესორების სამოქალაქო სიმამაცე, არის „ზოოლოგიური შოვინიზმიო“.

ეს საკმარისი იყო, რომ ჩვენ პროფესორებს ომი გამოეცხადებინათ მარრისთვის. მარრის გაეგზავნა ლანძღვის წერილი, რომელშიც აცხადებდენ, რომ მას ქართველი პროფესორები ნებას არ მისცემენ ლექციები წაიკითხოს ქართულ უნივერსიტეტშიო.

როდესაც მარრი ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისში, მის საჯარო ლექციებზე ქართველი პროფესორები დემონსტრატიულად არ ესწრებოდენ. ამ ისტორიიდან მარრის ფიგურამ, თუნდაც ჩემს თვალში, კიდეც მოიგო. უცნაური იქნებოდა, თუ რომ დიდ და თანამედროვე პიროვნებას, როგორიც მარრია, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები გაიგებდენ და შეაფასებდენ ეს პროვინციალურ რუტინიორობაში და ეროვნულ კარჩაკეტილობაში ჩაფლული და დახავსებული ადამიანები.

ასეთ, უკაცრავად პასუხია, მეცნიერთათვის, ადამიანი, რომელიც თავის სამშობლოსადმი სიყვარულს გამოხატავს თავისი ეროვნული კულტურის გულმოდგინე შესწავლითა და მისთვის საყოველთაო საკაცობრიო მნიშვნელობის მიკუთვნებით, ასეთი ადამიანი ამ „მეცნიერთათვის“ უცხო კაცია.

აი ამიტომ, როგორც კი გამოირკვა, რომ მარრი არ არის შოვინისტი და ჰკიცხავს ყოველ შოვინისტს, თუნდაც ესენი იყონ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები, უკანასკნელებმა შეაფურთხეს მარრის მეცნიერულ დამსახურებას და ჩამოაშორეს ის ქართველ პროფესორების ოჯახს.

ვიმეორებ, მარრს ამით არაფერი არ დაუკარგავს, მაგრამ ქართველმა პროფესორებმა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამ სამარცხვინო საქციელში, დაამტკიცეს, რომ მათ დასახასიათებლად სიტყვები „ზოოლოგიური შოვინიზმი“ ძალიან რბილადაა ნათქვამი. ამ პროფესორულ ნაციონალიზმის ტროგლოდიტებმა, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ მსოფლიო მასშტაბით განთქმულ მეცნიერს, გადააჭარბეს მეფის თვითმპყრობელობას და სინოდს, რომლებმაც თავის დროზე ტოლსტოი განდევნეს.

დახავსებულ, სასიკვდილოთ განმზადილ ხალხს არავითარი საქმე არ აქვთ თანამედროვე ხანაში. მათი ადგილია სიძველეთა მუზეუმში.

დროა, საქართველოს სახ. განათლების კომისარიატმა დაანახვოს პროფესორებს, რომ ჩვენში საქართველოში რევოლიუციონურ მუშათა და არა დახავსებულ პროფესორების დიქტატურაა“.

ივანე ჯავახიშვილმა ამ ცილისმწამებლურ პუბლიკაციაზე თბილისის უნივერსიტეტის სახელით საპასუხო წერილი დაწერა, მაგრამ ის არ გამოქვეყნებულა და საარქივო მასალამ შემოგვინახა.

ივანე ჯავახიშვილი საპასუხო წერილში აჩვენებდა ნიკო მარის ველიკოდერჟავულ და ქართველ მეცნიერთა შეურაცხმყოფელ პოზიციას. ამავე დროს, კვლავ პრინციპულად აფიქსირებდა თბილისის უნივერსიტეტის პოზიციას:

„ნ. მარრის ამგვარი მოქმედების და საქართველოსადმი მოპყრობის მიუხედავად, მან ჩვენს უნ-ტს შეატყობინა, რომ ჩვენს უნ-ტში ლექციის წაკითხვა ჰსურდა. უ-ტს ყველა ზემოაღნიშნული შეურაცხყოფის შემდგომ, სანამ ის თავის სიტყვებს უკან არ წაიღებდა, შეუძლებლად მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ნ. მარრთან ურთიერთობა ჰქონოდა და უპასუხა, რომ უ-ტს უკვირს, რომ მან, აკად ნ. მარრმა, სამეცნიერო შემოქმედებისათვის გაუნაყოფიერებელ და ბარბაროსულ ქვეყანაში მოსვლა და მეცნიერებთან ურთიერთობა მოისურვა.

აკად. ნ. მარრს სრული საშუალება ჰქონდა, ადამიანური დამოკიდებულება დაემყარებინა და მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევა ყოველი პატიოსანი ადამიანი, უკან წაეღო თავისი შეურაცხყოფა და ბოდიში მოეხადა, მაგრამ მან ეს, როგორც ეტყობა, არ ინება...

ვფიქრობთ, რომ ვისაც სიმართლე და ადამიანური დამოკიდებულების დამყარება აინტერესებს, ის ნ. მარრს ურჩევს, თავისი წერილებით მტრობის გაღვივების მაგიერ, ის ნაბიჯი გადასდგას, რომელსაც ყველა ზრდილობიანი ადამიანი ასეთ შემთხვევაში გადასდგამს ხოლმე“.

ნიკო მარმა მეცნიერული საკითხები პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია და ამით ნიადაგი მოამზადა ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებისათვის. ნ. მარის ავტორიტეტის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა შეტევა უნივერსიტეტზე, რასაც შედეგად მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება და უნივერსიტეტის დაშლა.[1]

10.4. 1924 წლის აჯანყება და ქართული უნივერსიტეტი

თსუ სტუდენტები და 1924 წლის აჯანყება

ქართველ სტუდენტთა ნაწილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აჯანყებაში. მაგალითად, შორაპნის მაზრაში აჯანყებულთა პოლიტიკური ხელმძღვანელის დ. გაბუნიას თანაშემწეები იყვნენ სტუდენტები: დ. ახვლედიანი, ალ. აბაშიძე და ხუზა ქოჩაკიძე.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, აჯანყებაში მონაწილეობისათვის ბოლშევიკებმა დახვრიტეს 857 ადამიანი, მათ შორის 31 სტუდენტი იყო: გიორგი აბაშიძე, ანდრო აბაშიძე, შალვა აბაშიძე, ბესარიონ ბარათაშვილი, დიმიტრი გოგნიაშვილი, გიორგი გარსიაშვილი, ავთანდილ გედევანიშვილი, ლეო დგებუაძე, ნიკოლოზ დგებუაძე, ვასილ კაპანაძე, დავით კანდელაკი, ალექსანდრე კინწურაშვილი, მიხეილ მეიფარიანი, კირილე ნიკურაძე, გედეონ სვანიძე, პავლე სვანიძე, ივანე სინჯიკაშვილი, გიორგი ქურხული, სიმონ ციცქიშვილი, მიხეილ ძამაშვილი, გიორგი კეკელიძე, ნიკოლოზ ხარში-

[1] ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი გაგება 1917-1935 წლებში, თბ., 2011, გვ. 12.

ლაძე, ვლადიმერ ჯორბენაძე, შალვა ჯუღელი, აკაკი ქოციაშვილი, თენგიზ ჯაფარიძე, ტიხონ კედია, გრიგოლ ჩაჩიბაია.

ივანე ჯავახიშვილის დაპატიმრება 1924 წლის აჯანყების დროს

1924 წელს აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების დროს ივანე ჯავახიშვილი სოფელ კარსანში ა. დიდებულიძის აგარაკზე ყოფილა. მისი შვილი ნათელა იხსენებს: „თბილისიდან ჩემა დეიდებმა აცნობეს მამას, რომ პირველივე ღამეს მოაკითხეს მას. ქუჩაში ღამის მორიგეს, ჩვენ მოხუც მეეზოვეს, შეეკითხნენ – სახლშია თუ არა მამა? იმას ეპასუხა, რომ მამა დასასვენებლადაა ოჯახთან ერთად წასული. მაშინ გაუფრთხილებიათ დაპატიმრების დაქადნებით, რომ არავისთვის გაემხილა მათი მოსვლა. ამის მიუხედავად, წასულან თუ არა ისინი, მას უცნობებია ჩემი დეიდებისთვის ეს ამბავი. წერილის მიღებისთანავე მამა ფეხით წამოვიდა თბილისში და თვითონვე გამოცხადდა „ჩეკაში“, სადაც იგი დააპატიმრეს და დააყოვნეს 48 საათი.“

პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე კი ცნობილი გერმანისტის ბიძინა კონტრიძის მონაყოლს იგონებს: „1924 წელს, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ბიძინა კონტრიძე დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. ერთ საღამოს, თურმე, გაიღო კარი და შეიყვანეს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. ბიძინა იხსენებდა: – წამოვხტით ყველა, შემოვესიეთ, საწოლი გავუმზადეთ, რაც შეგვეძლო, ყურადღება გამოვიჩინეთ და მივუალერსეთ. ბატონმა ივანემ კი გვითხრა: ახლა გვიანია, დაძინების დროა, ნუ მივეცემით პესიმიზმს და უსაქმურობას, ხვალიდანვე დავიწყებ თქვენთვის ლექციების კითხვას საქართველოს ისტორიაშიო. მეორე დღეს, ყველასთვის გასახარად, ივანე ჯავახიშვილი გაუთავისუფლებიათ.“

თსუ პროფესორთა საბჭოს განცხადება 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით

1924 წლის აჯანყების შემდეგ ბოლშევიკურ პრესაში და ბოლშევიკი ლიდერების მხრიდან უნივერსიტეტის და ინტელიგენციის წინააღმდეგ უაღრესად მტრული კამპანია გაჩაღდა. ლანძღვასთან

ერთად, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მოსთხოვეს, დაეგმო აჯანყება და მხარი დაეჭირა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა გააძლიერა უნივერსიტეტზე შეტევა და საჯაროდ უნდობლობა გამოუცხადეს უნივერსიტეტის პროფესურას.

ნაწყვეტი ამხ. მ. კახიანის მოხსენებიდან „მენშევიკური ავანტიურა“

ავანტიურა და ინტელიგენცია

მენშევიკური გამოსვლები დაიწყო სამარცხვინოდ და ასევე სამარცხვინოდ დასრულდა. აი, ამიტომ, ყველა მშრომელები ზიზღით უცქერიან ამ ავანტიურას, მისგან პირს იბრუნებს აგრეთვე ინტელიგენციაც. ინტელიგენცია ელოდებოდა იმას, რა მოხდებოდა – ვინ გაიმარჯვებდა, ვინაიდან ინტელიგენციის ჩვეულებაა, დარჩეს იმათ მხარეზე, ვინც გაიმარჯვებს. და როდესაც მათ დაინახეს, რომ მუშების და გლეხების ხელები არ აკანკალებულა და დაუზოგავად გაუსწორდა ხალხის მტრებს, ის გამოერკვა და ლაპარაკობს, რომ ეს მართლაც სამარცხვინო ავანტიურაა. დღეს თქვენ, ალბათ, წაიკითხეთ ქართველ პროფესურის განცხადება, რომელიც ამას წინათ მხარს უჭერდა სწორედ ამ მენშევიკებს და ნაციონალისტებს, რომელსაც არც ისე „ძალიან“ უყვარს ბოლშევიკები. ის დღეს აცხადებს:

„ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. უმაღლეს განათლების კერას და ქართულ კულტურის ბურჯს, სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე და უპასუხისმგებლო ავანტიურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალა-უფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდვეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს“.

ხელს აწერენ საქართველოს ცნობილი პროფესორები.

„კომუნისტი“, 12 სექტემბერი, 1924 წ.

1924 წლის 5 სექტემბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელით მიღებული იქნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ ჰგმობს უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების დამღუპველად. ჯგუფური ძალაუფლების ძიების „ეროვნული თავისუფლებისათვის“ ბრძოლის საგანში გარკვევა სრულიად არ ათავისუფლებს ამ ავანტიურას ერის სამტრო მოქმედების ყოველი ნიშნებისაგან.

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტიურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობდა საბჭოთა ძალა-უფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების, ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქეობრივობის აღდგენით ამიერიდანაც გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა“.[1]

1925 წელი: ქართული უნივერსიტეტის პროტესტი ჩიჩერინს

1925 წლის გაზაფხულზე საქართველოში ჩამოსული საბჭოთა კავშირის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ კალინინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი, საქართველოს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების მამია ორახელაშვილთან და მიხეილ კახიანთან ერთად უნივერსიტეტს ესტუმრნენ, რომლის ეზოშიც დიდი მიტინგი უნდა გამართულიყო. ჩიჩერინის ტრიბუნაზე ასვლისთანავე ატყდა სტუდენტების შეძახილი: „გაიყვანეთ წითელი არმია საქართველოდან“, „მოგვეცით რეფერენდუმი“. სტუდენტებმა გაშალეს სამფეროვანი დროშა და „დიდების“ სიმღერით გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ.

დემონსტრანტებს გზა გადაუღობეს სამხედრო სკოლის კურსანტებმა და მილიციელებმა და აიძულეს ისინი, უკან დაბრუნებუ-

[1] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბილისი, უნივერსალი, 2006, გვ. 396.

ლიყვნენ. ხელისუფლება შეეცადა, მიტინგი ამჯერად დარბაზში ჩაეტარებინა, მაგრამ უშედეგოდ, სტუდენტებმა იგი ჩაშალეს.[1]

1926 წელი: ივანე ჯავახიშვილის განთავისუფლება რექტორობიდან

1926 წლის 21 ივნისს, ახალი წესდების თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართა. სხდომას სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებიც კი ესწრებოდნენ. არჩევნების ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ივანე ჯავახიშვილი არც კი დასწრებია არჩევნებს. სხდომას რექტორის თანამდებობაზე ასარჩევად მალაქია ტოროშელიძემ თედო ღლონტის კანდიდატურა შესთავაზა.

„ერთ დღეს მამა მძიმე გულისწუხილით შემდეგ ცოცხალმკვდარი მოიყვანეს სახლში. იგი ლოგინად ჩავარდა. ასე გულგატეხილი, გულნატკენი და შეურაცხყოფილი მე ის არ მინახავს შემდეგში მომხდარი მავნებლური გამოსვლების დროსაც კი. ამ ამბავმა კინაღამ იმსხვერპლა მამა," – ამბობს ნათელა ჯავახიშვილი. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ საშინელი ცილისმწამებლურ კამპანიას 1926 წლის 23 ივნისს მისი რექტორობიდან გათავისუფლება მოჰყვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელი პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ თედო ღლონტმა დაიკავა.

1926 წლიდან სასწავლო გეგმაში შეიტანეს ისეთი საგნები, როგორიცაა: საბჭოთა კონსტიტუცია, სოციალიზმის ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომიის საფუძველები, ისტორიის მატერიალიზმი.

---

[1] ნ. კირთაძე, 26 მაისს ვერასოდეს დაჩრდილავს სუსხიანი 25 თებერვალი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1990 წ. 23 თებერვალი.

დანართი

ქართველ სტუდენტთა მიმართვა ევროპის და ამერიკის ახალგაზრდობას

... 1921 წლის თებერვალში ხანგრძლივი და თავგანწირული ომების შემდეგ, რომელსაც ერმა შესწირა თავისი საუკეთესო ძალები, დამოუკიდებელი საქართველო დაიკავა რუსეთის წითელმა ჯარებმა. მრავალრიცხოვან მტერს ვერ გაუმკლავდა სამშობლოსათვის თავდადებული მცირერიცხოვანი ქართველი ხალხი. ის ფიზიკურად დამარცხდა. რუსეთის წითელმა ჯარმა დაამყარა საოკუპაციო ხელისუფლება, რომელმაც სულ მოკლე დროში მოუსპო თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ყოველგვარი ნიშანწყალი: დააქუცმაცა ეროვნული ტერიტორია, მოსპო ყოველგვარი საზღვრები, განდევნა ქართული ენა უმრავლეს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მოსპო ქართული ლაშქარი, გახრწნა ქართული სკოლა, რკინის გზები შეუერთა რუსეთს და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში საოკუპაციო ჯარების თარეშმა გაანიავა ეროვნული ავლადიდება, არივ-დარივა ეკონომიკური ცხოვრება და ერი, კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინების გზაზე შემდგარი საშინელი შიმშილისა და ეკონომიკურ დაქვეითებამდე მიიყვანა.

დღიდან საქართველოს ოკუპაციისა ბოლშევიკური ხელისუფლება სცდილობდა საზოგადოებრივი აზრის გაყალბებას და ისეთი ილუზიების შექმნას, თითქოს ქართველი ხალხი მას თანაუგრძნობს, მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი ცდისა და მთელი იძულებითი აპარატის ამოქმედებისა, მან ეს ვერ შესძლო და როგორც ქართველმა ხალხმა, ისე ქართველმა სტუდენტობამ – ახალგაზრდობამ არა ერთხელ აშკარად და მკაფიოდ გამოხატა სრული მტრული განწყობილება მოძალადე უცხოელი ძალის მიმართ... ოკუპანტების ხელისუფლება ვერ ითმენს ვერავითარ უკმაყოფილებას და ერის მძლავრ და ერთსულოვან მოთხოვნილებებს უნახავი და დაუზოგველი რეპრესიებით უპასუხებს...

საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილმა უცხო ძალამ მოიწადინა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. იგი სცდილობს, მოშალოს ერის კულტურის აღორძინების უმძლავრესი ფაქტორი –

სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიწყო სტუდენტობის მასიური შევიწროება და ყველა მისი ორგანიზაციების დაშლა. ერის თავგანწირულ ბრძოლაში აქტიურ და პირდაპირ მონაწილეობას იღებს მთელი ქართველი სტუდენტობა. ის დარწმუნებულია, რომ ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია მშვიდი სამეცნიერო მუშაობა და ეროვნული კულტურის განვითარება...

4500 ქართველი სტუდენტის სახელით ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის საბჭო.

ქ. ტფილისი, 1922 მარტის 20.

ივანე ჯავახიშვილი: „ზოგს ახლა მამულიშვილობა დასაცინ სიტყვად გაუხდია...“

... ეს უსახო კოსმოპოლიტებს შეეხებათ, ისინი ჩვენ ძველ ხალხს გვეძახიან. ზოგნი, ალბათ, ჩამორჩენილებადაც გვთვლიან, მე-19 საუკუნიდან მოსულ კაცებად. მე, მართალი გითხრათ, სწორედ იმით მომაქვს თავი, რომ ბევრი რამ კარგი, ერთგულება ქვეყნისა და მამულიშვილობა ჩემი თაობის საგზლად იმ ძველი დროიდან შემომრჩა, მაგრამ „ზოგს ახლა მამულიშვილობა დასაცინ სიტყვად გაუხდია, სწორედ იმას გვიწუნებენ, რაც მოწონების ღირსია, რაც იმ ცეცხლის ნაპერწკალია, ჩვენს სულში ილიას და აკაკის რომ გაუღვიძებიათ...

მართალი გითხრათ, არ მომწონს ის კოსმოპოლიტები, წარამარა რომ გაიძახიან – სულერთია, რევოლუციის, სოციალიზმის ტაძარში ქართულად ილოცებთ, რუსულად თუ ინგლისურადო. არა, სულერთი არ არის! ვინც ისტორიაში ჩახედულია, იმან იცის, რომ ეს აზრი „არ ახალია, ძველია“. ჩვენში ქრისტიანობა რომ ვრცელდებოდა, ამ ახალ სარწმუნოებას სალოცავ ენად ბერძნული ჰქონდა. მაგრამ ქრისტიანებად მოქცეულმა ერებმა სულ მალე გაიგეს, რომ სულერთი არ იყო, ბერძნულ ენაზე ილოცებდნენ თუ თავიანთ ეროვნულ ენაზე და ქრისტიანობის ენად იმ ქვეყნის ენა გახდა, სადაც იგი ვრცელდებოდა. ასე მოიქცნენ ქართველებიც. ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულად სრულდებოდა, მაგრამ მერმე მოიკრიბეს ქართველებმა ეროვნული ენერგია და, სწორედ ქართლში, ბერძნული ენის ნაც-

ვლად, ქართულად დაიწყეს წირვა-ლოცვა. მერე მთელ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების წესი ქართულ ენაზე სრულდებოდა. სწორედ ამ გზით მოხერხდა წარმართული სარწმუნოების დაძლევა. ეროვნული ენები უნდა ემსახურებოდეს ხალხში ყოველი ჭეშმარიტად დიდი იდეალის გავრცელებას, ეროვნული ენების მეოხებით შეიძლება დაინერგოს ყოველი სიკეთე ერის სულში. ამის დავიწყებას კოსმოპოლიტიზმი, უგვარტომობა მოსდევს. უგვარტომო ხალხს არასოდეს შეუქმნია ეროვნული ღირებულება. სწორედ რევოლუციამ მოგვანიჭა ჩვენ იმის უფლება, რომ ქართულად ვაწარმოოთ ერის ცხოვრება, ჩვენ კარგად გვახსოვს, ეს სულ გუშინ იყო, რომ სასამართლოშიც, დაწესებულებაშიაც, სკოლებშიაც და ყველგან ქართული ენა დევნილი იყო. ჩვენმა წინაპრებმა მთელი საუკუნე შეალიეს მასთან ბრძოლას, რომ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ძარღვიან ენას პატივისცემა არ მოჰკლებოდა. მე არც იმ ენათმეცნიერებისა მჯერა, რომ გამომხტარან და ამტკიცებენ, ერთი ენიდან წარმოიშვა მრავალი ენა და მრავალი ენიდან ერთი უნდა შეიქმნასო. მე წინააღმდეგი როდი ვარ, რომ საერთაშორისო კომუნიკაციისათვის ერთი ენა გამოვიყენოთ, მაგრამ ეს ენა ვერ შეცვლის ეროვნულ ენებს... ენა ადამიანის სულს, მის ეროვნულ ხასიათს გამოხატავს და იმის მოსპობას არავინ მოისურვებს, არც ფრანგი და არც ინგლისელი, არც რუსი და არც ქართველი...

სანამ საქართველო იქნება, მანამდე ქართული ენაც იცოცხლებს! ვისაც ქართული ენის მოსპობა უნდა, იმას საქართველოს დაქცევაც განუზრახავს...

სერგი ჭილაია. მე და ჩემი პროფესორი. ქრონიკა – „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წ. 15 მაისი, გვ. 2

თავი 11. საბჭოთა ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ



ივანე ჯავახიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობით იყო დაკავებული და პოლიტიკაში არ ერეოდა, საბჭოთა ხელისუფლება მტრად მიიჩნევდა. ამის მიზეზი იყო მისი სამეცნიერო კონცეფცია და ის ავტორიტეტი, რითიც სტუდენტთა შორის სარგებლობდა. თავად ქართული უნივერსიტეტიც „საბჭოთა ხელისუფლების მტრების“ და „არასაიმედო ადამიანების“ თავმოყრის ადგილად მიიჩნეოდა. 1926 წელს ივანე ჯავახიშვილი რექტორის თანამდებობიდან გადააყენეს, შემდეგ კი საერთოდ დაატოვებინეს უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ რამდენჯერმე გაიმართა „მამხილებელ-კრიტიკული“ კამპანია, რომლის მიზანიც მეცნიერის დისკრედიტაცია, მისი ნაშრომების უარყოფა იყო. გარდა ამისა, უნდოდათ, რომ ივანე ჯავახიშვილს თავი ემართლებინა, ან სულაც დაპატიმრების შიშით, თავი მარქსისტად გამოეცხადებინა და ხელისუფლების მეხოტბე გამხდარიყო.

ივანე ჯავახიშვილმა ღირსეულად გაუძლო ამ მძიმე გამოცდას, თუმცა არ შეგვიძლია ამის თქმა ბევრ იმ ადამიანზე, რომლებსაც ბედმა არგუნა ამ პერიოდში, როგორც ბოლშევიკები ამბობდნენ, „ისტორიის ფრონტზე“ ყოფნა.

11.1. რეპრესიები ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ 1921-1929 წლებში

ბოლშევიკური „აღმშენებლობა“ უნივერსიტეტში

წერილი საქართველოდან

...1925 წლამდე ჩვენი უნივერსიტეტი შედარებით დამოუკიდებელი იყო. ახალგაზრდობა მხურვალეთ ეწაფებოდა მშობლიურ ენაზე უმაღლეს ცოდნის მიღებას. მიუხედავათ ფინანსიურად შევიწროებული პირობების (მთავრობა თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევდა უნივერსიტეტს), იქ ნამდვილი შემოქმედებითი ენტუზიაზმი მეფობდა. ყველა კარგათ გრძნობდა, თუ რა საპასუხისმგებლო პოსტზე იდგა, ყველას შეგნებული ჰქონდა, რომ კულტურული ერთიანობა საუკეთესო იარაღია მტერთან ბრძოლაში. მაგრამ ეს მდგომარეობა არც ბოლშევიკების მსუნაგ ყნოსვას გამოეპარა. მათ კარგად იცოდენ, რომ საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა მათი დაუძინებელი მტერია, ეხლა ისინი ხედავენ ამ ახალგაზრდობას ეროვნული კულტურის დროშის ქვეშ გაერთიანებულს. რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას მოსკოვის ლაქიები ვერ შეურიგდებოდენ, და ამ რიგად დაიწყო კომუნისტური ლაშქრობა უნივერსიტეტის წინააღმდეგ, ჩვეულებრივი კომუნისტური ლაშქრობა, მთელი თავისი ატრიბუტებით, რომელიც არ ზოგავს არავითარ ბინძურ საშვალებებს, ოღონდ კი თავის მიზანს მიაღწიოს. ჯერ თავიანთ აგენტების საშვალებით მოინდომეს ინტრიგების გაჩაღება პროფესორებსა და სტუდენტობას შორის, მაგრამ რაკი ამ გზით ვერას გახდენ, საჭიროდ დაინახეს საქმეში აშკარად ჩარეოდენ.

1925 წელს თანამდებობიდან მოხსნილ იქნა არჩეული რექტორი. ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველ საზოგადოებას. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები განადგურებით ემუქრებიან არა მარტო ერის პოლიტიკურ და ფიზიკურ არსებობას, არამედ მის კულტურასაც. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მთავრობის ჩარევა უნივერსიტეტის საქმეებში მოასწავებდა ბოლშევიკურ დიქტატურის გაბატონებას მეცნიერებაში. მაგრამ განა შესაძლოა, წიგნით შეებრძოლო რუსულ ხიშტს? ქართველმა ერმა ბრძოლის ეს უკანასკნელი პოზიციაც დათმო. დასთმო დროებით და გადაულოცა თა-

ვის მტერს. ამის შემდეგ უნივერსიტეტის საქმეები დღითი-დღე ფუჭდებოდა, 1926 წლიდან შემოღებულ იქნა ახალი სამოსწავლო გეგმა. განსაკუთრებით ღრმა ცვლილებები სოციალ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა განიცადა, რომელიც მთავრობას „კონტრრევოლიუციის“ ბუდეთ მიაჩნდა. გაუქმებულ იქნა მთელი რიგი საგნების, ხოლო მათ ნაცვლად შემოიღეს ისტორიული მატერიალიზმი. საბჭოთა სამოქალაქო სამართალი, კოოპერაციის მოძღვრება, კომპარტიის ისტორია, საბჭოთა ბაზრის და კონიუკტურის თეორია, საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა და სხვა მსგავსი „საბჭოთა“ მეცნიერებანი. მოკლეთ, მოხდა უნივერსიტეტის სრული „გასაბჭოება“.

ახალი საგნები ლექტორების ახალ კადრებს საჭიროებდენ, ცენტრალური კომიტეტი პირდაპირ ირჩევდა ლექტორებს „სანდო ხალხიდან“, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი რენეგატები, რომელნიც ასეთ „საპატიო“ თანამდებობაზე უარს არ იტყოდენ.

ამავე წლიდან შეცვლილ იქნა უნივერსიტეტში მიღების წესებიც. ცოდნა უკვე გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა უნივერსიტეტში შესასვლელად, საკმარისი იყო მხოლოდ „კომსომოლობა“, რომ უნივერსიტეტში მოხვედრის გარანტია ხელთ გქონოდა. ამრიგად მთავრობამ ხელოვნურად შექმნა ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდობის მასიურ „გაკომსომოლებას“. მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალგაზრდობას თვალი მუდამ ტფილისისაკენ ეჭირა, იქ იყო მისი ზრახვები, იქ მოელოდა ის ქართულ მეცნიერებას ზიარებოდა და ქვეყნისათვის სასარგებლო შვილი გამხდარიყო. კომუნისტებმა მას ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც მოუსპეს. ის, ვინც ასეთ პირობებს ვერ ეგუებოდა და ბრძოლას სხვა მეთოდებით განაგრძობდა, ციმბირის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ახალგაზრდობის მეორე ნაწილი თითქმის ასეთ პირობებს ურიგდებოდა და „კომსომოლობაზედაც“ მზათ იყო, ოღონდ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცემოდა. მაგრამ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კარგათ იცის, რომ ასეთი გზით ის საიმედო ბაზას უნივერსიტეტში ვერ შექმნის და მოსალოდნელ ხიფათის თავიდან ასაცილებლათ უნივერსიტეტის კედლები ჩეკის აგენტურით გაავსო.

1929 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებაც გაუქმდა. ის დაიშალა ცალკე ინსტიტუტებად, რომლებსაც დირექტორებად ახლად, საბჭოთა ყაიდაზე გამომცხვარი „პროფესორები“ დაუნიშნეს. ეკონომიური დარგი გადაკეთებულ იქნა ფინანსიურ-ეკონომიურ ინსტიტუტათ სხვადასხვა „საბჭოთა განხრებით“ (საკოლმეურნეო, საგეგმო, ფინანსიური და სხვა მისი მსგავსი), ხოლო დირექტორად მას დაუნიშნეს „პროფესორი“ (sic!) ვიღაც დ. დოლიძე, პიროვნება სრულიად ბაცი და უვიცი, რომელსაც წერაკითხვის მეტი არაფერი გაეგება; ამბობენ, რომ მოსკოვში იყოო, მარა მის გამოლაყებულ თავს მოსკოვი რას შესძენდა! არც სხვა ინსტიტუტებს აქვთ საქმე უკეთესად; კათედრასთან ახალგაზრდების დატოვების უფლება პროფესორებმა ხომ დიდი ხანია, დაჰკარგეს; ეხლა ამ უფლებას სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ „სტუდენტთა აღმასბიურო“, იგივე ცენტრალურ კომიტეტის აგენტები, რომელნიც, რა თქმა უნდა, არ მოტყუვდებიან „საპროფესორო ხალხის“ შერჩევაში. ბოლშევიკურმა დიქტატურამ თავისი ჩვეული დაღი დაასვა უნივერსიტეტის საქმიანობას, მეცნიერული დისციპლინა შეცვლილ იქნა პოლიტიკური დისციპლინით. გაჩაღდა ინტრიგანობა და ჯაშუშობა, რომელსაც ზოგი „სტაჟიანი“ პროფესორიც არ ერიდებოდა. ასეთ მასწავლებლების შემყურე სტუდენტობის ზნეობაზე და სიმტკიცეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც ანდაზა ამბობს, „რაც მღვდელია, ის მრევლიო“. მაგრამ თავის დროზე ყველა ბნელი საქმეები მზის სინათლეზე ამოსცურავს და ისტორია თავის მსჯავრს დასდებს უღირს შვილებს, რომელთაც საპასუხისმგებლო მომენტში ხელი აიღეს თავიანთ უზენაეს მოვალეობაზე და საერთო საქმეს გვერდი უქციეს.

ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის განვითარების გზები უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში. ოდესღაც ქართული უნივერსიტეტი – ეხლა ბოლშევიკურ ალილუიის ტაძრად იქცა...

სრულებით აკრძალულია უნივერსიტეტის სამკითხველოდან ძველ ქართულ-საისტორიო შრომების გამოტანა, ასეთივე veto აქვს დადებული მრავალ უცხოეთის პერიოდულ გამოცემებს. მხოლოდ საგანგებო ნებართვით შეიძლება რომელიმე ნომრის გამოტანა...

ნამდვილი საქართველო, მებრძოლი საქართველო მოსკოვის ყმა ვერ დარჩება, ის ადრე თუ გვიან ააფრიალებს ეროვნულ თავისუფლების დროშას!..

გივი

„დამოუკიდებელი საქართველო“ (საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო), 1931 იანვარი, №61

ლავრენტი ბერია უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის შესახებ

1928 წლის 5 აპრილს საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ლავრენტი ბერია სპეციალურ მოხსენებაში (რუსულ ენაზე) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლევან ღოღობერიძეს წერდა უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ:

„მიუხედავად ყველა წმენდისა და შეზღუდვებისა, მაინც სტუდენტობის შემადგენლობის კარგა ნახევარი ჩვენი არაა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაჯანსაღებლად მიღებული ღონისძიებანი არასაკმარისი, სანახევრო აღმოჩნდა და ამიტომაც ვერ მოგვცეს სასურველი შედეგები. უმეტესობა სტუდენტობის მასისა, რომელიც 8000 ადამიანს მოიცავს, იდეოლოგიურად იმყოფება მოსახლეობის შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი ფენების გავლენის ქვეშ. სტუდენტთა არამცირედი ნაწილი, ამა თუ იმ ფორმით, მონაწილეობს ანტისოციალისტური პარტიების მუშაობაში.

სტუდენტთა შორის ყველაზე დიდი გავლენით ძველებურად სარგებლობენ შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი პროფესორები.

პროფესორი ჯავახიშვილი გაღმერთებულია. იგი სტუდენტობისათვის ნამდვილი კერპი გახლავთ. დამახასიათებელია, რომ საზეიმო სხდომის დროს, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ათი წლისთავს, სტუდენტობამ საკმაოდ ცივად მიიღო ამხანაგები ფ. მახარაძე, თედო ღლონტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მაგრამ საკმარისი იყო, ვიღაცას დაეყენებინა წინადადება პრეზიდიუმში ივანე ჯავახიშვილის (იგი ამ დროს იქ არ ყოფილა) არჩევისა, რომ დარბაზი პირდაპირი აზ-

რით ახმაურდა ხანგრძლივი შეუწყვეტელი ტაშისკვრითა და მისასალმებელი წამოძახილებით. ამან ძალზე შეაცბუნა ამხანაგი ფილიპე. სწორედ მაშინ, ბოლოს და ბოლოს, მას შეეძლო ნამდვილად დარწმუნებულიყო, თუ ვის მხარესაა სტუდენტობის მასის სიმპათიები და ვისი იდეოლოგია ატყვევებს მას. თუ არა და უწინ, ხდებოდა, მოახსენებ სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანთა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და თქვენ გეუბნებიან – „არ შეიძლება ასე იყოს“.

ამგვარ სტუდენტობასთან კვლავაც დიდი ჯახირი მოგვიწევს და ვინ იცის, რას უნდა ელოდო მისგან ქვეყანაში რაიმე სერიოზული გართულების შემთხვევაში“.[1]

ივანე ჯავახიშვილი 1930 წლიდან მოყოლებული 1936 წლის იანვრის ჩათვლით რამდენჯერმე გახდა მძაფრი კრიტიკის ობიექტი კამპანიის ფორმით. მის ნაწერებს ფეოდალურ-ბურჟუაზიულად მიიჩნევდნენ, მიუღებლად მიიჩნევდნენ მის შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თაობაზე.

11.2. 1930 წელი: ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა ე. წ. „კონდრატიევშჩინას“ წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში

1930 წელს ე. წ. „კონდრატიევშჩინას“[2] წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის ერთ-ერთი მსხვერპლი სწორედ ივანე ჯავახიშვილი იყო. ეს კამპანია მიზნად ისახავდა ძველი ინტელიგენციის განადგურება-დათრგუნვას.

---

[1] ლ. ბერიას მოხსენებიდან ეს ნაწყვეტი პირველად გამოაქვეყნა ვახტანგ გურულმა (გაზ. „სვობოდნაია გრუზია“, 1998 წ. 7 თებერვალი), ქართული თარგმანი: გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 137-138.

[2] ეკონომისტი ნ. კონდრატიევი ძველი „ბურჟუაზიული სპეციალისტი“ იყო, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიაში („გოსპლანში“) მუშაობდა და კულაკობის – გლეხობის ყველაზე უნარიანი ნაწილის ლიკვიდაციას ეწინააღმდეგებოდა. კონდრატიევი საბჭოთა ხელისუფლების მტრად იქნა მიჩნეული. ის იქცა განსახიერებად „ბურჟუაზიული სპეციალისტებისა“, რომელთა წინააღმდეგაც გაიშალა ფართო პროპაგანდისტული კამპანია. დაიწყო დისკუსიები, რომლის დროსაც „სოციალიზმის მტრები“ უნდა ემხილებინათ.

ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის კრიტიკა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმზე

საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი მიხეილ კახიანი 1930 წლის 11 იანვარს გამართულ პლენუმზე გამოსვლისას უნივერსიტეტის შესახებ აღნიშნავდა:

„დღემდე იქ მემარჯვენე პროფესურას, ყოფილი რექტორის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ერთგვარი გავლენა აქვს. პროფესურის ეს ნაწილი იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ, მისი ავტონომიისათვის, მისი აკადემიზმისათვის და მეტად მტრულად უცქერის „აკადემიური ტრადიციების“ დარღვევას. პროფესურის ეს ნაწილი იქამდე მიდის, რომ ბოიკოტსაც კი უცხადებს იმ პროფესორებს, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებიან და რომელთაც სურთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა“.[1]

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი მალაქია ტოროშელიძე, რომელმაც პარტიულ ლიდერს უნივერსიტეტის კრიტიკაში დაასწრო: „რაც შეეხება კერძოთ სახელმწიფო უნივერსიტეტს, იქ მართლაც ბლომათაა შენახული ძველი, დახავსებული წესები და ჩვეულებები, რომლებიც აქამდე უნდა აღმოგვეფხრა, მაგრამ ვერ აღმოვფხვარით... უნივერსიტეტში სწორია, მუშაობს ზოგიერთი ისეთი პირი, რომელსაც არაფერი სწამს არც ჩვენი პარტიის და არც ხელისუფლების“.[2]

პლენუმის რეზოლუციაში კი უნივერსიტეტთან დაკავშირებით აღინიშნა: „ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში არიან ბურჟუაზიულ-რეაქციონური პროფესორები, რომლებიც აფერხებენ უმაღლეს სასწავლებლის რეორგანიზაციას და მათ შეფარდებას სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან. ამიტომ პლენუმი ავალებს ცკ-ის პრეზიდიუმს, კადრების დაჩქარებით მომზადების გეგმის დამუშავებასთან ერთად, მიიღოს საჭირო ზომები უმაღლეს სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების გასაწმენდათ ჩვენთვის უცხო, რეაქციონურად განწყობილი პროფესურისა და მასწავლე-

[1] „კომუნისტი“, 1930 წ. 19 იანვარი.
[2] „კომუნისტი“, 1930 წ. 14 იანვარი.

ბელთა შემადგენლობისაგან და სამეცნიერო მუშაკთა მომზადების გასაძლიერებლად, რათა მიუღებელი ელემენტები შეცვლილი იქნან კომუნისტებით და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ ახალგაზრდა ძალებით“.[1]

1930 წლის პირველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ნაცვლად ორი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა: ფინანსურ-კოოპერატიული და სახელმწიფო პედაგოგიური.

ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა უნივერსიტეტში გამართული „კონდრატიევშჩინას“ საწინააღმდეგო კამპანიის დროს

„კონდრატიევშჩინას“ საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო 1930 წ. 30 ნოემბერს. 3 დეკემბერს ეს კამპანია ფინანსურ-კოოპერატიულ ინსტიტუტში ჩატარდა, 13, 17 და 20 დეკემბერს კი – პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მთავარი დარტყმა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ღონისძიებას არ დასწრებიან ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი, რომლებიც კრიტიკის მთავარი ობიექტები იყვნენ.

პედაგოგიურ ინსტიტუტში მოხსენებით გამოვიდა დირექტორი ივანე ვაშაყმაძე. მისი დახასიათებით, ინსტიტუტის პროფესურის 80% არამარქსისტული მსოფლმხედველობის იყო. მან პროფესორები სამ კატეგორიად დაჰყო: მემარცხენეებად, ჭაობად და მემარჯვენეებად. მემარჯვენე პროფესურა „მტრულად არის განწყობილი ჩვენ მიმართ... თავისი პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობით ხელს უშლის ახალ კადრების რევოლუციონურ მარქსიზმის ნიადაგზე აღზრდას. ეს ხალხი გამოხატავს დრომოჭმული ქვეყნის მსოფლმხედველობას“. აღნიშნული სულისკვეთების ადამიანთა ბელადებად კი დასახელდა გრიგოლ წერეთელი და ივანე ჯავახიშვილი. „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ირგვლივ თავს იყრის მემარჯვენე პროფესურა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ხალხი“. ამ კატეგორიის ხალხს „ჯერაც არ გაუწყვეტიათ კავშირი მარქსისტულ მსოფლმხედველობისათვის მიუღებელ იდეოლ-

[1] „კომუნისტი“, 1930 წ. 17 იანვარი.

ოგიასთან. ასეთი მეცნიერული ნაშრომები კი არ გამოგვადგება ჩვენს სოციალისტურ მშენებლობის კადრების აღზრდისათვის“.[1]

მომხსენებელმა პროფესურის წინაშე დააყენა საკითხი – „დღეს სოციალისტურ მშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში ვისთან არიან ისინი – პროლეტარიატთან თუ მის მოწინააღმდეგე ბანაკში, გმობს თუ არა პროფესურის ზოგიერთი წარმომადგენელი თავის წარსულს, ემიჯნება თუ არა იგი მენშევიკურ და სხვა ანტიბოლშევიკურ იდეოლოგიას და საჭიროდ სცნობს თუ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობას. ეხლა, ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წელში, ეს საკითხი მეცნიერების მუშაკთათვის გარკვეული უნდა იყვეს, საკითხი ისმება გარკვეულად: ან ჩვენთან, ან მოწინააღმდეგეთა ბანაკში, სხვა გზა არ არსებობს“.[2]

ივანე ვაშაყმაძემ დიდი ადგილი დაუთმო ივანე ჯავახიშვილის კრიტიკას. მისი თქმით, ივანე ჯავახიშვილის „თეორიული და პრაქტიკული მუშაობა დიდი ხანია, რაც გამორკვეულია“, კერძოდ, „მას არა თუ სწამს მარქსიზმი, არამედ უნივერსიტეტის რექტორად ყოფნის დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა არც ერთი მარქსისტული ლექცია და პროფესურის შორის არ იყო არც ერთი მარქსისტი“. ვაშაყმაძემ ივანე ჯავახიშვილი სხვა ბევრი რამის გამოც გააკრიტიკა: „თავის წიგნში „საქართველოს საზღვრები“ ერთგულ დამცველად გამოდის მენშევიკების და საჭიროდ მიაჩნია მენშევიკურ საქართველოს სომხეთთან ბრძოლის აუცილებლობა“; „წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა (ასეთივე კონსერვატიზმით ხვდება იგი ხელისუფლების სხვა ღონისძიებებსაც)“; „ამ პროფესორის სწავლების პროგრამა არ შეეფერება სოციალისტური მშენებლობისათვის დაჩქარებით კადრების მომზადების საქმეს“; „ვერ ითმენს თავის მონოპოლიის დანგრევას. მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ინსტიტუტს ს. კაკაბაძის ლექტორად მოწვევის საქმეში“.

აქტიურობდა „რევოლუციური ახალგაზრდობა“. სტუდენტმა კომკავშირელმა კ. მელაძემ და ასპირანტმა ს. ყალიჩავამ გააკრიტიკეს არათუ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა, არამედ

---

[1] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930 წ. 16 დეკემბერი.
[2] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930 წ. 16 დეკემბერი.

მეთოდოლოგიაც კი.[1] ივანე ჯავახიშვილს აკრიტიკებდნენ როგორც არამარქსისტს, ნაციონალისტს, რომელსაც არ ესმოდა ისტორიული მატერიალიზმი, უგულებელყოფდა საზოგადოებრივ ფორმაციებს და კლასთა ბრძოლას. მას ბრალდებოდა ისტორიული მეცნიერების „ჩამორჩენა“ საქართველოში. თუმცა დისკუსიის ხასიათს ყველაზე კარგად თვით გამომსვლელთა სიტყვები გვიჩვენებენ.

ივანე ვაშაყმაძე (საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, წითელი პროფესორი): „ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი. განზოგადოებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შევხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ, ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯა-

[1] სტენოგრამიდან ნაწყვეტები გადმოცემულია: ვახტანგ გურული. დრო, მოვლენა, ადამიანები (როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს), თბ., „უნივერსალი“, 2011, გვ. 6-13.

ვახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა, მაგრამ წინ მსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგან მასში ეკონომიკა სრულიად არაა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა".

ივანე ჯავახიშვილის არმოსვლის გამო სხდომის ორგანიზატორები გაღიზიანებას არ მალავდნენ.

პეტრე შარია (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი): არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვა და სხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდი ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. უმთავრესად ორ პროფესორზედ, რომლებიც ლაპარაკობდნენ, თუ როგორი იყო მათი მუშაობა, აგრეთვე, მათი მოღვაწეობა, როგორი არის მათი იდეოლოგიური ფრონტი. ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთ პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოაშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი. მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამისი პასუხი უნდა მივსცეთ".

ცხაკაია (სტუდენტი): „მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფ. ჯავახიშვილი თავისი მიმდევრებით. აქ ლაპარაკობდენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ას-

ეთი დიდი მეცნიერია. მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები აუცილებლად ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს მოგვცემს. ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყოს ნაჩვენები“.

სიმონ ჯანაშია: „ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვსცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის (ადგილიდან: არ არის საკმარისი! ტაში).

დემეტრაშვილი (სტუდენტი): „რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაიწყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეო. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელიგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელიგენციის წრეში. ჩვენ თქვენ გიცნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, თქვენ სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორიც არის „შადური“, „დამპატიჟე“, ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (ხანგრძლივი ტაში). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის... საჭირო არ-

ის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის“.

გაბუნია (სტუდენტი): „აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორიც არის ჯანაშია და სხვები. ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჯანაშია აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჯანაშია არის ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და არა მარტო ფაქტების აღნუსხვით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს. შემდეგ პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს, ე. ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან“.

ნიკო ბერძენიშვილი: „მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივც. მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე: ჯავახიშვილის). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში... მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისათვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეფცია (ადგილიდან: ძირს, ძირს, ძირს!)

მელაძე (სტუდენტი): „როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვაწარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშვინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს და თვითეულმა უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოაშკარავება, რომლებიც ფიქრობდენ ჯოჯოხეთის მანქანების დადგმას და რომლითაც ფიქრობდენ, აეფეთქებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი... მინდა ვი-

ლაპარაკო ზოგიერთ ლექტორებზე... მათ უნდათ დაიცვან თავიანთი დისერტაცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს...“

ყალიჩავა (ასპირანტი): „შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვდაო. ეს არის კონტრრევოლიუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისაკენ“.

ხარატიშვილი (ასპირანტი): „პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც (ტაში).

ივანე ჯავახიშვილზე შეტევა შემდეგშიც გრძელდებოდა. განათლების სახალხო კომისარიატის 1931 წლის 28 მაისის დადგენილების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი იძულებულია, დატოვოს უნივერსიტეტი. ბრალდება – მემარჯვენე პროფესორობა, „კონდრატიევშჩინას“ მავნებელთა ჯგუფის მიმართულების თანამოზიარეობა.

1931 წლის 7 ივლისს ივანე ჯავახიშვილი წერილს უგზავნის ფილიპე მახარაძეს უნივერსიტეტიდან წასვლის შესახებ.

1931 წლის 27 სექტემბერს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმის კონსულტანტად დაინიშნა.[1]

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 422.

როგორ ჩაუშალეს ივანე ჯავახიშვილს ლექცია
(ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან)

„იმ დროს თბილისის უნივერსიტეტს ერთადერთი შენობა – დღევანდელი პირველი კორპუსი ჰქონდა. სტუდენტთა კონტინგენტიც, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით მცირე იყო. ამიტომ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და ვამხანაგობდით კიდეც.

მახსოვს, ერთხელ ლექცია გაგვიცდა, მეორე სართულის მოაჯირებზე ნახევრად ჩამომსხდარნი ვსაუბრობდით. ჩვენთან ერთად ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებიც იყვნენ. როცა ვკითხეთ: აქ უსაქმოდ რადა ხართო, გვიპასუხეს: „ახლა ჩვენთან ლექციას კითხულობს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. აუდიტორიაში ორი მთვრალი სტუდენტია და ვერაფრით ვერ გამოვიყვანეთ, ისინი აუცილებლად ჩაშლიან ლექციას. ჩვენ არ გვინდა ამის მოწმენი გავხდეთ“. ამ ამბავმა ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები ხშირად ვესწრებოდით ივ. ჯავახიშვილისა და შ. ნუცუბიძის ლექციებს.

გამოსვლის ზარი ჯერ არ იყო დარეკილი, რომ მე-3 სართულიდან ხელზე პალტო გადაკიდებული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი დავინახეთ. იგი სრულიად დამშვიდებული, ოდნავ ფერმკრთალი ჩანდა, მისი დანახვისთანავე ჩვენ მოაჯირს ჩამოვეცალეთ და გავსწორდით. ეს არ გამოეპარა მას. ეტყობა, ესიამოვნა, ჩვენს წინ შეჩერდა და გვკითხა, რომელი ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით. პასუხზე მადლობა გვითხრა და დაგვშორდა.

ზარის დარეკვის შემდეგ შევიტყვეთ, რომ მთვრალებმა „თავისი საქმე“ გააკეთეს, ივ. ჯავახიშვილი აიძულეს, აუდიტორია დაეტოვებინა.

ეს იყო ჩვენს ქვეყანაში წამოწყებული მახინჯი მოვლენის – ე. წ. „კონდრატიევშჩინას“ გამოძახილი. ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გადავიდა“.[1]

[1] ვ. პარკაძე, მოგონებები ქართველ მეცნიერებზე, თბ., „მეცნიერება“, 1994, გვ. 7-8.

„სიმონ ყაუხჩიშვილის გადმოცემით, ასევე დევნილ ივანე ჯავახიშვილთან დღეგამოშვებით დადიოდნენ ანდრია ბენაშვილი და ალექსანდრე დიდებულიძე. ორივენი ბატონ ივანეს ზნეობრივადაც ამაგრებდნენ და მატერიალურადაც ეხმარებოდნენ“.[1]

11.3. 1936 წელი: „მამხილებელი“ შეტევა ივანე ჯავახიშვილზე

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დისკუსია „საისტორიო ფრონტზე“ მდგომარეობის შესახებ

1936 წლის 23 მარტს თბილისის უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა, წითელი პროფესურის წარმომადგენელმა კარლო ორაგველიძემ, სპეციალობით პოლიტ-ეკონომისტმა, ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“, რომლითაც დაიწყო „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“. რექტორის მოხსენებაში და მთელ დისკუსიაში კრიტიკის მთავარი ობიექტი ივანე ჯავახიშვილი იყო. ორაგველიძის გამოსვლა ხელისუფლების დაკვეთა იყო. ორაგველიძე, ერთი მხრივ, მრავალ უსაფუძვლო ბრალდებას უყენებდა და ცილს სწამებდა ივანე ჯავახიშვილს, მეორე მხრივ კი, ქება-დიდებით იხსენიებდა ბერიას სახელით გამოსულ ნაშრომს „ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის ამიერკავკასიაში“.

ჯავახიშვილისთვის წაყენებული ბრალდებები დღეს სასაცილოც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა მაშინ ეს ბრალდებები გამოხატავდა ხელისუფლების განწყობას და ივანე ჯავახიშვილის დაპატიმრების და ფიზიკური განადგურების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. კ. ორაგველიძის თქმით, ივანე ჯავახიშვილის აზროვნების საფუძველი ისტორიული იდეალიზმი იყო და „ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლუატაციას“; ჯავახიშვილს გაზვიადებულად წარმოუდგენია ისტორიაში პიროვნების როლი; ჯა-

[1] ვ. პარკაძე, მოგონებები ქართველ მეცნიერებზე,. თბ., „მეცნიერება“, 1994, გვ. 120.

ვახიშვილი უარყოფს კლასობრივ ბრძოლას – „ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს, გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის“, ჯავახიშვილს არ ახასიათებს „მეცნიერული მიუდგომლობა“ – „მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი ფიქტიური, სინამდვილეში ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასების და მათი წარმომადგენლების მხარეზეა“; ორაგველიძის მტკიცებით, ჯავახიშვილმა ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ „მენშევიკების დაკვეთით“ დაწერა და ამ ნაშრომში „ჯავახიშვილი ცდილობს, თეორიული საფუძველი შეუქმნას მათ იმპერიალისტურ ზრახვებს სომხეთის მიმართ“; ივანე ჯავახიშვილის დანაშაული ყოფილა ისიც, რომ „ურჩევს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ლაქიებს – მენშევიკებს და მათ მთავრობას, სომხეთთან საზღვრების გადაწყვეტის დროს, დაადგნენ სახელმწიფოებრივ და არა ეთნოგრაფიულ თვალსაზრისს“.

კარლო ორაგველიძის დასკვნით, უნდა მხილებულიყო და იდეურად განადგურებულიყო „ჯავახიშვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სკოლა“, რაც შესაძლებელს გახდიდა ქართული ისტორიოგრაფიის „ჩიხიდან გამოყვანას“. ჯავახიშვილის სკოლა ისტორიის მეცნიერებაში „მარქსისტულ-ლენინური სკოლით“ უნდა ჩანაცვლებულიყო: „მთავარი მიზეზი ისტორიის ფრონტზე ასეთი მდგომარეობისა... მდგომარეობს იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი საფუძველი ისტორიკოსების კვლევისათვის, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მეცნიერული მეთოდი ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი იარაღი ისტორიკოსებისათვის მთელი მათი მუშაობის პროცესში“.

ხელისუფლების მეხოტბე და მედროვე ისტორიკოსების და სტუდენტების გამოსვლები ივანე ჯავახიშვილს ისე არ სწყენია, როგორც თავის საყვარელი მოწაფეებისა – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილისგან წამოსული კრიტიკა. ამის თაობაზე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა ვარლამ დუნდუას.[1]

---

[1] გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 125.

ივანე ჯავახიშვილის კრიტიკას რიგმა გამომსვლელებმა თავი აარიდეს. მაგალითად, აბელ კიკვიძემ (მაშინ ასპირანტმა) მართალია, შეაქო რექტორის მოხსენება, მაგრამ შემდეგ ისაუბრა მონათმფლობელობასა და ფეოდალიზმზე საქართველოში, ისე, რომ საერთოდ არ უხსენებია ივანე ჯავახიშვილი. გიორგი გოზალიშვილმა ილაპარაკა 1832 წ. შეთქმულებაზე, მატერიალური ძეგლების შესწავლის აუცილებლობაზე. დისკუსიის დროს არაფერი თქვა სარგის კაკაბაძემ, რომელსაც კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან. გამოსვლისაგან თავი შეიკავა შალვა ნუცუბიძემ. მხოლოდ ერთი შენიშვნა გამოთქვა სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ნაწყვეტები დისკუსიის სტენოგრამიდან, რომელიც 1936 წლის 23 მარტს – 2 აპრილს ჩატარდა უნივერსიტეტში (სულ გაიმართა ოთხი სხდომა):[1]

კარლო ორაგველიძე (თსუ რექტორი, წითელი პროფესორი): ... ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლუატაციას...

... ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს, გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის. ამას მოითხოვს ვითომ მეცნიერული მიუდგომლობა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასეთი მიუდგომლობა არ არსებობს. სინამდვილეში, თავისი ისტორიული კვლევის დროს პროფ. ჯავახიშვილი ატარებს ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს. მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი – ფიქტიური. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა. ჯავახიშვილი არ ზოგავს ძალებს, რომ მთელი რიგი ქართველი მეფეები შესანიშნავ ფერებში დახატოს...

ჯავახიშვილის თეორია ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში არამეცნიერული და აშკარად აპოლოგეტურია. ის გარკვევით დგას ბატონ-ყმობის სისტემის გამარ-

---

[1] სტენოგრამიდან ნაწყვეტები გადმოცემულია: ვახტანგ გურული. დრო, მოვლენა, ადამიანები (როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს), თბ., „უნივერსალი“, 2011, გვ. 13-22.

თლების ნიადაგზე – ცდილობს, წარმოგვიდგინოს იგი იდილიურ ფორმაში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, როგორც ჰარმონიული სისტემა. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობას ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ ადგილი არ აქვს. ან რად უნდა ებრძოლათ გლეხებს თავისი მზრუნველებისა და მფარველების – პატრონების წინააღმდეგ? ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით, ეს სულ გაუმართლებელი იქნებოდა და მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა...

მაგრამ ჯავახიშვილი, დგას რა თავის ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თვალსაზრისზე, უარყოფს სტალინის შეხედულებას. მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს. ჯავახიშვილს არ შეუძლია ისტორიული მასალებით დაასაბუთოს თავისი დებულება. პირიქით, ფაქტები, რომელთაგან ნაწილი თვით მას მოჰყავს თავის ნაშრომებში, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს...

ვ. ცინცაძე: პროფ. ჯავახიშვილს ეტყობა (ობიექტურად) არასოდეს არ უცდია, თავი დაეხწია დახავსებული აზრებისაგან, თვალი გადაევლო და პრაქტიკა მიეღო იმ უდიდეს ისტორიულ ცვლილებებისაგან, რომლითაც ხასიათდება ახალ საუკუნეთა პერიოდები...

პროფ. ჯავახიშვილს გათანაბრებული აქვს, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ ამჩნევს იმ ფეოდალურ სულით გაჟღენთილ და ბურჟუაზიული სახეებით შეფერადებული ჯგუფების არსებობას, რომლებიც მაშინ არსებობდენ და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდენ საზოგადოების შიგნით...

ნიკო ბერძენიშვილი: ქართველი ერის ისტორიის ავტორი ტექნიკურ მომზადებულობით უეჭველად მაღალი ტიპის ისტორიკოსია. ევროპულ და აღმოსავლურ ენების მცოდნე, ფილოლოგი და ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი, ფრთხილი და დინჯი მკვლევარი – ის სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის შენობის საშენი მასალა, ჟამთა სიღრმის ბურუსში მიმალული ფაქტები აღმოეჩინა, გამოემჟღავნებინა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი და საპატიოა. მან პირველმა გაბედა და საქართველოს ისტორიის ძველი ხანა გასწმინდა ზღაპართა ბურუსისა-

გან, რომელიც აგრე სქლად შემოხვეოდა მას. მაღალ ტექნიკური ხერხებით მოიპოვა და დაადგინა აურაცხელი ფაქტები.

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, მის მიერ მოპოვებულ ისტორიულ ფაქტებს თუ დადგენილ მოვლენებს კრიტიკულად უდგებით და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით ზოგს მივიღებთ, ზოგს კიდევ უკუვაგდებთ ან გადავაფასებთ და შევავსებთ; მრავალ ახალსაც აღმოვაჩენთ იქ, სადაც მან ეს ვერ შენიშნა (და არც შეეძლო შეენიშნა: ფაქტის მოპოვება ხდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რაც არსებობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას ეძებ...).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე.

მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენი დღევანდელი სხდომა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა...

„ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი ღვიძლი შვილია წვრილ ბურჟუაზიულ-ქართულ ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტურ იდეების მატარებელია. კვლევის ანალიტიკურ-ინდუქტიური მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო.

ლუკა ციხისთავი (თსუ პროფესორი, ფილიპე მახარაძის უახლოესი თანამებრძოლი): ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივ. ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს.

ჯინჭველაშვილი: მიუხედავად მრავალი შრომებისა, რომელიც დასწერა ჯავახიშვილმა, კერძოთ, საქართველოს ისტორიაში, ვერ მოგვცა ჩვენი ხალხის ნამდვილი, კლასთა ბრძოლის ისტორია. მას, თითქმის გამოუკლებლივ, აღწერილი აქვს ყველა „მეფეების“ ისტორია, მათი თავგადასავალი, ომები, დეტალურათაც კი, მაგრამ მთავარი, რაც ამოძრავებს ისტორიას, კლასთა ბრძოლა, რომ-

ლითაც ხასიათდება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ხალხთა ცხოვრება, მთლიანად დავიწყებულია... /ივანე ჯავახიშვილმა/ განგებ დაფარა გამწვავებული კლასთა ბრძოლა, რომელსაც ძველ საქართველოშიც ჰქონდა ადგილი... ისტორიკოსი ცდილობს, ნაციონალ-შოვინიზმი დანერგოს თავის მკითხველში და ბუნებრივია, რომ უკანასკნელი მის შრომებში მძლავრ მომენტადაა მოცემული".

სიმონ ჯანაშია: მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო წამოყენებული პროფ. ჯავახიშვილის შესახებ. ეხლა სასაცილო იქნებოდა დაგვეწყო იმის მტკიცება, რომ ჯავახიშვილი მარქსისტი არ არის, ამას არც თვითონ ამტკიცებს და არც არავის სჯერა, რომ ის მარქსისტი არის.

რა თქმა უნდა, საქმე ამაში არ არის, არამედ საქმე იმაშია, რომ როგორც აქ სამართლიანად იყო აღნიშნული, ჩვენ ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მივიდეს ჯავახიშვილთან. ჩვენ ხომ ჯავახიშვილს ნიღილისტურათ ვერ შევხედავთ, რადგან ნიღილიზმი ჩვენი მეთოდი არ არის. მაშ როგორღა უნდა მივიდეთ მასთან? ამის შესახებაც იყო აქ ნათქვამი და მეც იგივე შემიძლია გავიმეორო. ჩვენ ყოველთვის ვესაუბრებით აუდიტორიას და კონკრეტულ პრაქტიკულ მასალაზე (აი, ეს არის ჩვენი მეთოდი) უჩვენებთ, თუ როგორ უნდა მივიდეთ ჯავახიშვილთან, რა უნდა მივიღოთ მისგან, რა არ უნდა მივიღოთ და რაც უნდა მივიღოთ, როგორ უნდა მივიღოთ.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის. საკმარისია, მარტო ჩამოვთვალოთ ის შრომები, რომლებიც მას დაუწერია ან შეხედოთ წიგნთსაცავში იმ თაროებს, რომლებზედაც ჯავახიშვილის წიგნები აწყვია, რომ დაინახოთ, თუ ამ ადამიანს რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია, რომლის ნაყოფი ასეთი მრავალრიცხოვანი ტომების სახით არის ჩვენს წინაშე წარმოდგენილი.

არ იქნებოდა სწორი, გვეთქვა, რომ პროფ. ჯავახიშვილის დამსახურება მდგომარეობს ფაქტების შეგროვებაში. არა ერთი შეხედულება განზოგადებულიც აქვს მოცემული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. არ იქნებოდა ეს სწორი ორის მხრივ. ეს ქმნის, ჯერ ერთი, ისეთ ყალბ შეხედულებას, რომ ყველა ის ფაქტი,

რომელიც დაგროვილია ჯავახიშვილის მიერ, სწორი ფაქტია და უნდა მივიღოთ ისე, როგორც ჯავახიშვილს აქვს მიღებული. მეორე, ეს ჰქმნის ყალბ შეხედულებას, თითქოს ამიერიდან ფაქტიურ სფეროში აღარაფერია გასაკეთებელი.

გ. ჯანელიძე: მე ვფიქრობ, რომ კამათის მთავარი დანიშნულება არის, რომ მთელი სიღრმით გამოაშკარავოს საქართველოში პროფ. ი. ჯავახიშვილის სკოლის ბურჟუაზიულ ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის ბუნება, გამოამჟღავნოს ჩვენი სხვა ისტორიკოსების მუშაობაშიაც დეფექტები და დასახოს ამოცანები მომავალში სწორი მუშაობისათვის, საქართველოს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნისათვის. ცხადია, ამ დიდ საქმის შესრულებას ბურჟუაზიულ პროფესორებს ვერ მივანდობთ, ჩვენი ისტორიის საკითხებზე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ პროფესორების და, კერძოთ, პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობამ ვერ მოგვცა ნამდვილი „საქართველოს ისტორია“, სწორეთ ისეთი ისტორია, რომლის შინაარსს საგვარეულო წესწყობილების დანგრევის შემდეგ კლასთა ბრძოლა წარმოადგენს, ისტორიის, რომელიც რამოდენიმე ათასი წელი გრძელდება და მდიდარია ამ შინაარსით. ამის მიზეზი ის არის, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი ერთგულად, თანმიმდევრობით დაადგა იმ გზას, რომლითაც მისი კლასი მიდიოდა. ის გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი გახდა. მართალია, გაბატონებულმა კლასმა არა ერთი და ორი გამოჩენილი რევოლუციონერი ისტორიკოსი მისცა პროლეტარიატს, მაგრამ მათ რიცხვში არ არის პროფ. ი. ჯავახიშვილი. ის, პირიქით, ბოლომდე ერთგული დარჩა თავის კლასის...

სიმონ ყაუხჩიშვილი: პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების საკითხებისათვის უაღრესად საჭირო საქმეს წარმოადგენს ჩვენთვის. არც იმას ვფიქრობთ, როგორც ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგი აღნიშნავდა, თითქოს ი. ჯავახიშვილის ღვაწლი იმიტომაც არის დასაფასებელი, რომ მას, სხვა არა იყოს რა, დიდი ფიზიკური შრომა გადაუტანია. არც იმას ვიზიარებ, როგორც ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ი. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ფაქტებს სრულიად ვერ ენდობა ადამიანი.

ტალახაძე (საქართველოს მთავარი პროკურორი და სამეულის წევრი): პროფ. ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ის-

ტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს, გაწყვიტოს პროფ. ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში. ასე რომ, პროფ. ჯავახიშვილის გავლენა არსებობს არა მარტო ძველი საზოგადოების ისტორიკოსებზე, არამედ არსებობს მათზედაც, ვისაც სურს, გააკრიტიკოს ჯავახიშვილი და გადავიდეს მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე...

მე ძალიან მოხარული ვიქნები, რომ ჯავახიშვილმა დაიწყოს გადაიარაღება და გახდეს მარქსისტი, ამაზე კარგი რამ არ შემიძლია ვუსურვო მას, მაგრამ ამის იმედი ჩვენ ნაკლებად გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვაწარმოებთ მის წინააღმდეგ კრიტიკას, რომელიც მიმართული არის ჯავახიშვილის იდეალისტურ, რეაქციონურ კონცეპციის დასამსხვრევად.

ნიკოლოზ მახარაძე: ... უკანასკნელი, რაც ყველაზე უფრო დიდი დანაშაული არის პროფ. ჯავახიშვილისა ისტორიის მიმართ – ეს არის მისი დამახინჯებული შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ... დაბოლოს, ამხანაგებო, პროფ. ჯავახიშვილს აქვს ნამდვილი ბიოლოგიური შოვინიზმი /თითქოსდა სომხების მიმართ/.

დღვილავა: ი. ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, წარმოადგენს ფეოდალურ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის ისტორიკოსს. არ შეიძლება ითქვას, რომ ის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ისტორიკოსია, არამედ მასში არის დიდი დოზა წმინდა ფეოდალურ, მემამულურ, პომეშჩიკურ შეხედულების, რასაც გვერდს ვერ აუვლით, როდესაც ვიხილავთ მის ნაწარმოებებს... მენშევიკური დიქტატურის ისტორიის დაწერა ჯავახიშვილს არ მოუსწრია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯავახიშვილი ამ პერიოდში აქტიურ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა და ხშირად გამოდიოდა მენშევიკურ პოლიტიკის ყველაზე უფრო აგრესიული შოვინისტური პოლიტიკის დაცვის მიზნით.

ივანე ჯავახიშვილი მის წინააღმდეგ გაშლილი კამპანიის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი მის წინააღმდეგ გამართულ „დისკუსიას“ არ დასწრებია, მაგრამ თუ რა ხდებოდა უნივერსიტეტში გამართულ ამ შეკრებებზე, სხვებისგან გებულობდა. ცილისმწამებლურმა კამპანიამ სერიოზულად იმოქმედა დიდი მეცნიერის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. ჩვენამდე მოაღწია ივანე ჯავახიშვილის წერილებმა ვარლამ დუნდუასადმი, რამდენიმე წერილი სწორედ ამ პერიოდს ეხება.

„დისკუსიის“ დამთავრებიდან 10 დღის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დუნდუას წერდა: „უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა ტ. ს. (ტფილისის სახელმწიფო) უნივერსიტეტში. რექტორ კ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტ-ში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომის უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი“ ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი შხამი პრორექტორმა გრ. ჯანელიძემაც წამოანთხია... და ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა. ამბობდნენ, რომ ეს ვითომც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო“.[1]

1936 წლის 12 მარტს ვარლამ დუნდუასადმი გაგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი აცნობებდა თავის გადაწყვეტილებას, წასულიყო უნივერსიტეტიდან: „ამის შემდეგ უნივერსიტეტში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა და ამიტომ განათლების კომისარს განცხადება გადავეცი, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავს ვანებებ. შევწყვიტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და სულ სხვა სპეციალობის საკითხებზე უნდა დავიწყო მუშაობა, უნდა უნივერსიტეტს ყველა წიგნი დავუბრუნო“.

1936 წლის 7 მაისს ვარლამ დუნდუას ივანე ჯავახიშვილი ატყობინებს თავისი ავადმყოფობის შესახებ: „ავად ვიყავი და ორიოდე

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბ., 1996, გვ. 40.

დღეა, რაც ავდექი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსწრებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ 10 წელი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი გადავრჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შევძლო“.

1936 წელს სამეცნიერო ნაყოფიერებით გამორჩეულ დიდ მეცნიერს არაფერი დაუწერია და არც გამოუქვეყნებია. ივანე ჯავახიშვილმა უარი განაცხადა, ყოფილიყო თავმჯდომარე (მორიგეობით) და წევრი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის დამდგენი კომისიისა, რომელიც 1935 წლის თებერვლიდან უნივერსიტეტთან არსებობდა.[1]

1936 წელს ივანე ჯავახიშვილს 60 წელი შეუსრულდა. პროფესორ შალვა ჩხეტიას მოგონებით, საიუბილეო 1936 წელს ივანე ჯავახიშვილმა კოლეგებს ნება არ დართო მისთვის იუბილის ჩატარებისა.[2] თუმცა გურამ ყორანაშვილის აზრით, თუ გავითვალისწინებთ ივანე ჯავახიშვილის გარიყულობას, საეჭვოა, რომ იუბილის გადახდა ვინმეს მისთვის მართლაც შეეთავაზებინა.[3]

კარლო ორაგველიძის მოხსენებას სრული სახით ივანე ჯავახიშვილი გაეცნო მისი ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ. 1937 წლის 23 იანვარს ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დუნდუას წერდა: „კ. ორაგველიძემ უნივერსიტეტის ორგანოში დაბეჭდა თავისი მოხსენება, რომელიც შარშან წაიკითხა ჩემს წინააღმდეგ. მე ის მაშინ არ მომისმენია და მისი შინაარსი მხოლოდ მონათხრობის სახით მქონდა გაგონილი. ეხლა საშუალება მქონდა ჩემის თვალით წამეკითხა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო. ამ ვაჟბატონის მტკიცებით, თურმე ფეოდალური წესწყობილებისა და ჩაგრულთა მჩაგვრელთაგან ექსპლოატაციის გასამართლებლად დამიწერია ჩემი თხზულებები. საქართველოს საზღვრებზე რომ მაქვს მსჯელობა,

---

[1] გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 134.
[2] აკაკი სურგულაძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976, გვ. 26.
[3] გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 134.

ვითომც ვისიმე კარნახით და მეზობლების მძულვარებით ვხელ-მძღვანელობდე, ჩემს გამოკვლევებში სოციალური ბრძოლის შესახებ ვითომც მე არას ვამბობდე, და საერთოდ კი საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორის სახელწოდების ღირსიც-კი გამხადა“.[1]

ივანე ჯავახიშვილს კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ეს კრიტიკა უნდა ყოფილიყო საქმიანი და არა ცილისმწამებლური და უსამართლო. 1937 წლის 7 მარტს ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დუნდუას წერდა: „ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს. ეს მე თვითონ სხვებზე უკეთესად ვიცი, მაგრამ მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქ. ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომის გარდა, საქ. ისტორიაში თითქმის არაფერი იყო და ყველაფერი უნდა ერთს ადამიანს და შეძლებისამებრ მალე გაეკეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვითონ გამკაფველისათვის უმადურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა ვცდილიყავ, ჩემი გაკეთებული უნებლიეთ ჰავხელად დაწერილის მსგავსი უნდა დაწერილიყო, მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის არ დამიშლია?! განა ჩემთვის-კი უკეთესი არ იყო, რომ მე დამშვიდებული, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც-კი დრო არ მქონია“.

[1] ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბ., 1996, გვ. 50-51.

თავი 12. როგორ გადარჩა ივანე ჯავახიშვილი



ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის იდეურად მიუღებელი და „არასაიმედო“ პიროვნება იყო, „ანტისაბჭოთა ბურჟუაზიული სპეციალისტების“ წარმომადგენელი. ივანე ჯავახიშვილს არაერთხელ მოუწყეს იდეოლოგიური „გაკიცხვა“ და დამცირება. ის არა მხოლოდ რექტორობიდან გადააყენეს, არამედ უნივერსიტეტიდანაც გააძევეს.

ივანე ჯავახიშვილის დევნას ახორციელებდნენ კომუნისტური რეჟიმის უმაღლესი ეშელონის მითითებით, მათ მიერ დანიშნული უნივერსიტეტის მარიონეტი ხელმძღვანელები.

ივანე ჯავახიშვილის დევნაში აქტიურად ჩართული იყო საბჭოთა უშიშროების ორგანოები ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, რომელიც შემდეგ ამიერკავკასიის პარტიული ლიდერიც გახდა, ბოლოს კი მოსკოვში გადაიყვანეს უშიშროების მინისტრად.

თუმცა, დევნა საბჭოთა რეჟიმისათვის საკმარისი არ იყო. „იდეოლოგიურ“ კრიტიკას უნდა მოჰყოლოდა ფიზიკური ანგარიშსწორება. სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა 1937-1938 წლებში ე. წ. „დიდი ტერორის“ პერიოდში.

12.1. როგორ ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი დევნის პირობებში

„ჩემს მოღვაწეობას უნივერსიტეტში ყოველგვარი აზრი დაეკარგა“

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან სისტემატიური დევნის პირობებში, ივანე ჯავახიშვილმა გადაწყვიტა, სამსახური საერთოდ მიეტოვებინა და პენსიაზე გასულიყო.

1935 წლის 10 აპრილს ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი შინაარსის განცხადება დაწერა:

„საქართველოს სსრ განათლების კომისარს!

მას შემდგომ, რაც თსუ რექტორი პროფ. კ. ორაგველიძე და სასწავლო ნაწილის პრორექტორი დოცენტი გრ. ჯანელიძე უნივერსიტეტში საჯარო სხდომებზე ბილეთებით მოწვეულ მრავალრიცხოვან დამსწრე საზოგადოებას და მათ შორის ჩემს მსმენელ სტუდენტებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყველა ნაშრომის უვარგისობას უმტკიცებდნენ და ჩემი, ვითარცა მეცნიერისა და უნივერსიტეტის პროფესორის, სახელის გატეხას გულმოდგინედ და გააფთრებით ლამობდნენ, იმას გარდა, რომ ჩემს მოღვაწეობას უნივერსიტეტში ყოველგვარი აზრი დაეკარგა, ასეთ პირობებში უნივერსიტეტში ჩემი დარჩენაც ჩემი ადამიანური ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია.

ამიტომ ვალად ვრაცხ, მოგახსენოთ, რომ ამ სემესტრში, მაისის დამდეგს, ლექციების გათავებისთანავე ჩემს, ვითარცა უნივერსიტეტის პროფესორის, მოვალეობას დამთავრებულად ჩავთვლი და გთხოვთ, რომ ამიერითგან უნივერსიტეტის პროფესორობისგან გამათავისუფლოთ, და თანაც ეს გარემოება უნივერსიტეტის რექტორს აუწყოთ, რომ ჩემ მიერ წაკითხული კურსების გამოცდების ჩასაბარებლად ის პირი დანიშნოს, რომელიც ყველაფრით ჩემზე უკეთ მცოდნედ მიაჩნია.

მოგართმევთ რა უნივერსიტეტის პროფესორებისგან ჩემი გადადგომის ამ განცხადებას, ვფიქრობ, რომ 1899 წლიდან მოყოლებული 38 წლის განმავლობაში პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტების სამსახურის გამო, კანონით პენსიის მიღების უფ-

ლება უნდა მქონდეს. თუ მე არ ვცდები, გთხოვთ, სათანადო დაწესებულების წინაშე შუამდგომლობა აღძრათ, რომ კანონით კუთვნილი პენსია დამენიშნოს“.

ივანე ჯავახიშვილს პენსია კი არა, კრიტიკის ახალი ტალღა, დაპატიმრება და დახვრეტა ელოდა...

ივანე ჯავახიშვილის წერილი სტალინს

1935 წელს ივანე ჯავახიშვილს მის გარშემო და ზოგადად განათლების სფეროში შექმნილი ვითარების შესახებ სტალინისთვისაც უცდია წერილის მიწერა. ამის შესახებ საუბარია ერთ-ერთ „დასმენაში“, რომელშიც უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი რექტორს უჩიოდა.

ლაპარაკია იმ დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ლავრენტი ბერიასადმი უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მდივნის, ს. გეგენავას მოხსენებით ბარათზე:

„უნივერსიტეტის რექტორმა ლ. აღნიაშვილმა დაკარგა ყოველგვარი პარტიული სიფხიზლე, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა სტალინის სახელზე დაწერა მწვავე საჩივარი, რომელშიც აკრიტიკებდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილებას, რომელიც ამუხრუჭებს განათლების სისტემას რესპუბლიკაში. მას ეს წერილი ჯავახიშვილმა გადასცა სტალინთან გასაგზავნად, მაგრამ აღნიაშვილმა ის ათი დღის განმავლობაში არავის გაანდო, ათი დღის შემდეგ კი მე გამენდო და მითხრა, რომ წერილი დამეხია და არ გაგვეგზავნა სტალინთან, რაც მე ვაცნობე როგორც ცეკას, ასევე, ჩეკას“.[1]

წერილი დაწერილია 1935 წლის 15 თებერვალს და ხელს აწერს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ს. გეგენავა.

უნივერსიტეტის რექტორი ა. აღნიაშვილი ამ დასმენის საპასუხოდ ცენტრალური კომიტეტის მდივან ლავრენტი ბერიას შემდეგ ახსნა-განმარტებას აძლევს:

„პარტიული სიფხიზლე არ დაგვიკარგავს, თუ 1924 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ 3 კაცი იყო კომუნისტი და კომკავ-

[1] საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9.

შირელი, 1928 წელს კომუნისტთა და კომკავშირელთა რაოდენობა მხოლოდ 14 კაცამდე გაიზარდა, 1930 წელს კი 45 კაცს მიაღწია“.

რექტორი ა. აღნიაშვილი არაფერს ამბობდა სტალინთან გასაგზავნი წერილის თაობაზე. აღნიაშვილი რექტორობიდან გადააყენეს.

ივანე ჯავახიშვილი და ალექსანდრე სვანიძე

ივანე ჯავახიშვილთან პირადი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა გავლენიან პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, ალექსანდრე/ალიოშა სვანიძეს (1886-1942). მას იენის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა დროს მსახურობდა: საქართველოს სსრ განათლების, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად გერმანიაში, საგარეო ვაჭრობის ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ, საკავშირო სახელმწიფო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილედ. გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ. რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალს "Вестник древней истории", რომლის პირველ ტომშიც ჟურნალის საპროგრამო წერილი დაბეჭდა.

ალექსანდრეს და, ეკატერინე/კატო სვანიძე (1885-1907) – სტალინის პირველი მეუღლე იყო. სტალინი ახლო ურთიერთობას ინარჩუნებდა თავის ყოფილ ცოლისძმასთან, რის გამოც ალექსანდრე სვანიძე დიდი გავლენით სარგებლობდა.

1935 წ. ნოემბერში ალექსანდრე სვანიძემ წერილი მისწერა ივანე ჯავახიშვილს, სადაც აღნიშნავდა, რომ სურდა, ამ უკანასკნელს თავის გარშემო შემოეკრიბა ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი ყოფილიყო.

როცა გაიგო ივ. ჯავახიშვილის დევნის ამბავი, 1935 წ. დეკემბერში მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში ალ. სვანიძე წერდა: „დამაღონა იმ გარემოებამ, რომ თქვენი კალიბრის მოღვაწეს ისეთ უწმაწურ პირობებში უხდება მუშაობა, რომ მას წლობით საშუალება არა აქვს, გამოაქვეყნოს ყველასათვის საინტერესო გამოკვლევები. შევეხვეწე, რაც შემეძლო გერმანე მგალობლიშ-

ვილს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, რომ ყურადღება მოგაქ-ციონ თქვენ და გაგიადვილონ მუშაობა. რაც შეეხება ქალდების (ურარტუელების) საკითხს, მგალობლიშვილი ფიქრობს სპეცია-ლური კათედრა გახსნას უნივერსიტეტში. ძალიან კარგი იქნება, თუ სპეციალისტები ხელს შეუწყობთ მთავრობის ამ დაწყებულე-ბას. მგალობლიშვილი ფიქრობს აგრეთვე, დაავალოს უნივერსი-ტეტს „შედარებითი გრამატიკის“ გამოშვება ქართველური ენე-ბისა და აგრეთვე, პარალელური ლექსიკონისა. გთხოვთ შეამზა-დოთ ჩვენი სპეციალისტების აზროვნება საამისოდ და თქვენი რჩევით ხელი შეუწყოთ ამ საქმეს“.

გარდა მგალობლიშვილისა, როგორც ჩანს, ალექსანდრე სვა-ნიძე სტალინსაც ელაპარაკა ივანე ჯავახიშვილის შესახებ, რა-მაც გადაწყვიტა კიდეც ჯავახიშვილის ბედი. თავად ალექსანდრე სვანიძე 1937 წელს დააპატიმრეს და 1942 წელს დახვრიტეს...

1937 წელს ალიოშა სვანიძე დააკავეს, გამოძიება გრძელდე-ბოდა 1937 წლის დეკემბრიდან 1940 წლის დეკემბრამდე. 1940 წლის 4 დეკემბერს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ალექსანდრე სვანიძეს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. გამოძიებამ ბრალად წაუყენა: 1922 წლიდან საქართველოს ნაციონალისტურ-უკლონისტური დაჯგუფების წევრობა, 1929 წლიდან მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა მოძრაო-ბის წევრობა, აგრეთვე ფინანსური თაღლითობები და ამ გზით ტროცკისტული ორგანიზაციის დაფინანსება ესპანეთში და შპი-ონაჟი გერმანიის დაზვერვისთვის. დაკითხვების მიმდინარეობი-სას ალიოშამ წაყენებული ბრალდებები არ აღიარა.

1939 წლის დეკემბერში ასევე დააპატიმრეს ალიოშას ცო-ლი, მარია, რომელსაც ქმრის ანტისაბჭოთა შეთქმულების და-ფარვა დასდეს ბრალად და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ასევე დააკავეს ალიოშას ერთ-ერთი და მარიკო, რო-მელსაც 10 წლით მიესაჯა პატიმრობა და ვაჟიშვილი ჯონი. 1941 წლის 20 აგვისტოს ალიოშა დახვრიტეს ბერიას უშუალო ბრძანებით, 1942 წლის მარტში დახვრიტეს მარია და მარიკო. ალიოშას ვაჟი ჯონი პატიმრობაში, ძირითადად ციხის სავად-მყოფოში, იმყოფებოდა 1948 წლამდე, შემდეგ ჯონი ციხიდან

გაანთავისუფლეს და მიუსაჯეს გადასახლება, საიდანაც 1956 წელს დაბრუნდა. იგი გახდა ცნობილი აფრიკანისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1957-1959 წლებში დაქორწინებული იყო სტალინის ქალიშვილზე, სვეტლანა ალილუევაზე, რომლისთვისაც ეს რიგით მესამე ქორწინება იყო.

1956 წლის 19 იანვარს ალექსანდრე სვანიძის სახელის რეაბილიტაცია განხორციელდა.

12.2. „ჩეკას“ მიერ ივანე ჯავახიშვილზე „მამხილებელი“ საქმის შეთითხნა

რა ბრალდებებით და როგორ აპატიმრებდნენ „იდეურ მტრებს“

1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ დროს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და დასჯილი ადამიანებისთვის ტიპური ბრალდება იყო „ტროცკისტულ-ზინოვიური ანტისაბჭოთა საქმიანობა“, რაც მითიური არალეგალური ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდებოდა და ასევე ფაშისტური გერმანიის აგენტად გამოცხადება.

ამის დასამტკიცებლად საკმარისი იყო პატიმრისაგან „აღიარების“ მიღება, ჩეკისტებისთვის სასურველ ოქმზე ხელმოწერა. პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდნენ, მაგალითად, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების დაპატიმრებით.

1938 წელს ჩეკისტი გამომძიებლების მიერ განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა ჩვენება-აღიარება ე. წ. „ფუტლიარების“ მეთოდით. პატიმარს აწერინებდნენ საკუთარ ბიოგრაფიას ან რაიმე ცხოვრებისეულ ამბავს და აიძულებდნენ, მოეხსენიებინა ყველა ის პირი, ვისაც ამ დროს შეხვედრია. შემდეგ ჩეკისტი გამომძიებელი ამ პირებთან დაკავშირებით იგონებდა თავისთვის სასურველ ისტორიებს, შეჰქონდა ოქმში და დაკავებულს აიძულებდნენ, ხელი მოეწერათ.[1]

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 31.

დაკავებულები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ აწამებდნენ ადამიანებს ჩეკისტები და წინააღმდეგობა ბევრს უაზრობად მიაჩნდა, დაკითხვის ოქმებს ხელს წაუკითხავად აწერდნენ, ოღონდაც თავიდან აეცილებინათ წამება და არაადამიანური მოპყრობა, შემდეგ კი თუნდაც დაეხვრიტათ. ამ პერიოდის ჩვენებებში იშვიათია ნაწამები პიროვნება, რომელსაც არარსებულ კონტრრევოლუციურ მუშაობაზე უარი ეთქვას და სხვაც არ დაესახელებინოს.[1]

სადისტური სისასტიკით გამოირჩეოდა ჩეკას გამომძიებელი ნიკიტა კრიმიანი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილ მდივანს სამსონ მამულიას დაკითხვის დროს თვალი ამოუგდო, ტიციან ტაბიძემ კი კონტრრევოლუციონერთა შორის გიორგი სააკაძე დაასახელა და უვიცმა ჩეკისტმა მასზე ძებნაც გამოაცხადა.[2]

ნაწამები და შეშინებული ადამიანები ასახელებდნენ თავიანთ ნაცნობებს და ხელს ადებდნენ ჩეკისტების მიერ დასახელებულ პიროვნებებსაც, რომელთა ნაწილსაც შემდეგ აპატიმრებდნენ და ანალოგიურ „ჩვენებებს“ ართმევდნენ და ახალი „ჩანართებით“ ამდიდრებდნენ. ასე იქმნებოდა პატიმართა აღიარებების ჯაჭვური რეაქცია, ჩეკისტური ტერმინით აღიარებათა „გადაფარვა“ და „დადასტურება“.

იყვნენ მოხალისეებიც, რომლებიც შიშის გამო თუ კარიერისტული მოსაზრებებით „ამხელდნენ“ და აბეზღებდნენ „საეჭვო“ და მათთვის არასასურველ პიროვნებებს.

იყო „ხალხის მტრების“ გამოვლენის „გეგმიური“ დავალებებიც. ამ მხრივ უნივერსიტეტი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. 1937 წელს უნივერსიტეტის პირველკურსელის სოკრატ ხურცილავას მოგონებით, უნივერსიტეტის პარტიულ-კომკავშირულ კრებებზე, რომლებიც მტრების გამოვლენის მიზნით იმართებოდა, თავმჯდომარე ტრიბუნიდან მიმართავდა ხოლმე დამსწრეებს ზოგადად ან პერსონალურად: „როგორ ეხმარები პარტიას ხალხის მტრებისა და მათი მოკავშირეების განადგურების საქმეში?!“ – ზოგი იქვე ასახელებდა გამოსავლენი მტრების რაოდენობას. იყო

---

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 64-65.

[2] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 51.

შემთხვევა, როცა ერთ პიროვნებას ათზე მეტი ადამიანი დაუსახელებია. ამ დროს უნივერსიტეტში დამსმენები ჭარბად პარპაშობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სუსტი სტუდენტები უფროსკურსელი ფრიადოსნების წინააღმდეგ. ზოგჯერ ლექტორებსაც ასახელებდნენ.[1]

1938 წლის 1 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ უნივერსიტეტის პროფესურისა და სტუდენტების სახელით გამოქვეყნებულ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ დაეხმარებიან „სახელოვან დაზვერვას საბოლოოდ გასწმინდოს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ჯაშუშთა და ფაშიზმის აგენტთა ნარჩენებისაგან“.

უნივერსიტეტის ძველი პროფესურა და მისი თანამოაზრე სტუდენტობა არ იყო კმაყოფილი საქართველოს დაპყრობითა და გასაბჭოებით, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით, მაგრამ აბსურდული იყო ის ბრალდებები, რასაც მათ ჩეკისტები უყენებდნენ.

ივანე ჯავახიშვილის „საქმე“

ივანე ჯავახიშვილსა და ქართული უნივერსიტეტის პროფესურაზე შეტევისათვის ჩეკა წლების მანძილზე „ემზადებოდა“. 1935 წელს დააპატიმრეს უნივერსიტეტის გერმანული ენის მასწავლებელი რეინგოლდ ჩაკერტი. აღსანიშნავია, რომ წამების მიუხედავად, მას ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია. მან ივანე ჯავახიშვილი დაახასიათა როგორც ლიდერი, რომელსაც

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 65-66.

„უნივერსიტეტში ყავს თავისი წრე და აღიარებს გერმანიის სამეცნიერო ავტორიტეტს“, მაგრამ, მისივე თქმით, ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ჩაკერტის გამოყენებით ჩეკას გამომძიებელმა სავიცკიმ უმძიმესი ბრალდებები შეუთითხნა შ. ნუცუბიძეს და სხვებს.[1]

1938 წლის გაზაფხულ-ზაფხულში საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა „დიდი“ მუშაობა გასწიეს და შეთითხნეს „მამხილებელი დოკუმენტები“, რომლის საფუძველზეც „გამოავლინეს“ ვითომდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში არალეგალურად მოქმედი მეცნიერ-პედაგოგების კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაცია, „დივერსიულ-ტერორისტული“ და „მავნებლურ-ფაშისტური“, რომელშიც ვითომდა 121 წევრი (!!) იყო გაერთიანებული.[2]

ამ ვრცელი სიის შესათითხნად ჩეკისტებმა დააპატიმრეს რამდენიმე პროფესორი – ს. ყაუხჩიშვილი, გრ. წერეთელი, ვ. ბერიძე და შ. ნუცუბიძე და შეუდგნენ მათ „დამუშავებას“.

ასეთი „ორგანიზაციის“ არსებობისა და საქმიანობის დასამტკიცებლად დაპატიმრებულ პირებს აიძულებდნენ მათთვის სასურველი ჩვენების მიცემას. მაგალითად, თითქოს კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ფორმირების წევრმა შალვა ნუცუბიძემ 1938 წ. 7 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში „ამხილა“ ივანე ჯავახიშვილი, რომ ჯერ კიდევ 1921-1922 წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის გარშემო შეიკრიბა „შოვინისტური და რეაქციული რწმენის ჯგუფი“, რომელიც შემდეგ გადაიქცა „კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციად“, რომელშიც შედიოდნენ კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ბენაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი და თავად შალვა ნუცუბიძე.[3]

შ. ნუცუბიძის ეს ჩვენება „გამაგრებულია“ გრ. წერეთლის ჩვენებით. აქ დამატებულია აღიარება, რომ „ივანე ჯავახიშვილი მწვავე სიძულვილს განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ“ და ამიტომ „მზად იყო, გამოეყენებინა ბრძოლის უკიდურესი ფორმე-

---

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 55.
[2] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 15.
[3] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 22.

ბი“. ივანე ჯავახიშვილს ბრალი ედება შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. გრ. წერეთელი „აღიარებდა“: „ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით ჩემთვის უკვე მაშინ იყო ცნობილი, რომ ჩვენი კ-რ ორგანიზაციის რიგი წევრები სხვა კ-რ ორგანიზაციებთან ერთად ინტენსიურად ემზადებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად“.

შ. ნუცუბიძის 7 სექტემბრის ჩვენების თანახმად, „ივ. ჯავახიშვილი და კ-რ ხელმძღვანელობა 1924 წლის შეიარაღებული აჯანყების მზადების საქმის კურსში იმყოფებოდა და ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის რიგმა წევრებმა მასში მიიღეს უშუალო მონაწილეობა“. შ. ნუცუბიძემ „აღიარა“, რომ: „ივანე ჯავახიშვილთან ერთად მთელი ძალით ხელს ვუწყობდი და ვიყავი ამ გამოსვლის სულის ჩამდგმელი“.

ჩეკა შ. ნუცუბიძის, ვ. ბერიძის, გრ. წერეთლის ჩვენებებით „ასაბუთებდა“, რომ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ 1921 წელს დაუკავშირდნენ გერმანიის დაზვერვას და მათი დავალებით ეწეოდნენ მასობრივ დაზვერვით მუშაობას. ეს კავშირი „განსაკუთრებით გამყარდა“ 1928 წლიდან, საქართველოში გერმანელი მზვერავების – შმიტი ოტტოს და იონასის ჩამოსვლით, რომლებიც მოქმედებდნენ „აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი საზოგადოების“ სახელით. ჩეკისტები „ამტკიცებდნენ“, რომ გერმანიის დაზვერვასთან კავშირის დამყარებით ქართველ მეცნიერთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დაუკავშირდა ქართული ემიგრაციის ლიდერებს. ამ მიზნით გამოიყენეს შ. ნუცუბიძის და გრ. წერეთლის სამეცნიერო მივლინებები გერმანიაში 1924-1925 წლებში. ისინი თითქოს ივ. ჯავახიშვილის დავალებით დაუკავშირდნენ ცნობილ ანტისაბჭოთა ემიგრანტებს – მიხეილ ყაუხჩიშვილს, მიხაკო წერეთელს და ლეო კერესელიძეს. ასეთ „კავშირებს“ ამყარებდნენ „კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის“ სხვა წევრებიც სამეცნიერო მივლინებების დროს.[1]

ჩეკისტები „ამტკიცებდნენ“, რომ მ. ყაუხჩიშვილის, მ. წერეთლის და ლ. კერესელიძის მეშვეობით, კონტრრევოლუციურ-ფაშის-

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 23-24.

ტური ორგანიზაციის წევრები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ფაშისტური გერმანიის ლიდერებთან საქართველოს განთავისუფლების მიზნით. ეს ითვალისწინებდა იარაღით დახმარებას და განთავისუფლებულ საქართველოზე გერმანიის პროტექტორატის დაწესებას. ჩეკისტებმა შ. ნუცუბიძეს „აღიარებინეს“, რომ ივანე ჯავახიშვილის წინადადებით და გერმანელი მზვერავის იონასის მეშვეობით 1929-1930 წლებში კავშირი დამყარდა გერმანულ საკონსულოსთან და მათი მეშვეობით საზღვარგარეთ ინფორმაციას აწვდიდნენ საქართველოში საბრძოლო-ამბოხებითი საქმიანობისათვის მზადების შესახებ. ჩეკისტები ირწმუნებოდნენ, რომ უკვე 1930 წლის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ფაშისტების ცენტრი. მასში შევიდნენ საქართველოს ფაშისტური ორგანიზაციების განსაკუთრებულად აგრესიულად განწყობილი ხელმძღვანელები. ამ „ცენტრის“ ბელადი და სულისჩამდგმელი თურმე ივანე ჯავახიშვილი იყო. ვუკოლ ბერიძის „ჩვენებით“, ამ ცენტრში შედიოდნენ სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გრიგოლ წერეთელი, სერგი ჯიქია, არნოლდ ჩიქობავა და სხვები. ბერიძეს „აღიარებინეს“, რომ „ესენი არიან ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური იდეოლოგიის მთავარი დასაყრდენი და ფაშისტური იდეების ერთგული გამტარებლები“.

ვ. ბერიძის „აღიარებით“ ივანე ჯავახიშვილი საუბრობდა სამომავლო გეგმების თაობაზე: „შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, სსრკ შიდა და საერთაშორისო მდგომარეობაში ჩვენ აუცილებელია, მოვახდინოთ უკმაყოფილო ელემენტების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ერთიანობაში უნდა მოვიყვანოთ საქართველოს მთელი ანტისაბჭოთა ფორმირებები და ყოველგვარი საშუალებით გავააქტიუროთ ანტისაბჭოთა ბრძოლა იმისთვის, რომ მზად ვიყოთ მომავალი ომისათვის, ჩვენი ანტისაბჭოთა მუშაობა უნდა გავშალოთ იმ ანგარიშით, რომ ინტერვენციის მერე დავიპყროთ სახელმწიფო ხელისუფლება, მივაღწიოთ საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს გამოტაცებას და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნას, მასში ფაშისტური რეჟიმის დამყარებით“.[1]

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 26-27.

ვითომ შ. ნუცუბიძის ჩვენებით, დაახლოებით 1934 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მათი ორგანიზაციის წევრებმა კავშირი დაამყარეს მენშევიკურ იატაკქვეშეთთან და მემარჯვენე-ტროცკისტულ ფორმირებებთან. ამის ინიციატორად ჯავახიშვილი ცხადდებოდა. „ყველა ანტისაბჭოთა ძალთა გაერთიანების გარეშე მან წარმოუდგენლად მიიჩნია საბჭოთა ხელისუფლების დამხობა“.[1]

შ. ნუცუბიძის „აღიარებით“ აქტიურად მუშაობდნენ სტუდენტებთანაც: „ჩვენ ფაშისტურ იდეებს ვუწევდით პროპაგანდასა და შოვინიზმის სულისკვეთებას ვნერგავდით ქართველ ახალგაზრდობაში, კადრებს ვამზადებდით საქართველოში ფაშისტური საქმიანობისათვის... ასეთ სამუშაოს ვასრულებდი პირადად მე. ვსარგებლობდი ავტორიტეტით სტუდენტობაში და მათთან საუბრებში ვავითარებდი „თეორიებს“ ქართული რასის სიწმინდის შესახებ და მათ შეგნებაში ვნერგავდი ფაშისტურ-ნაციონალისტურ სულს“.[2]

ჩეკას მიერ შეთითხნილ დოკუმენტებში საუბარი იყო „ეჭვმიტანილი“ პროფესორების ჯაშუშურ საქმიანობაზეც გერმანიისა და პოლონეთის სასარგებლოდ.

1938 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ზოდელავა მიმართავდა ლავრენტი ბერიას, იმ დროს უკვე საბჭოთა კავშირის შინსახკომის შეფს, საქართველოში ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ვითომდა არსებული 121-კაციანი კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის თაობაზე და შეთითხნილი საქმე მოსკოვში გადააგზავნეს, – ითხოვდნენ ივანე ჯავახიშვილისა და სიაში შესული სხვა პიროვნებების დაპატიმრების უფლებას.

მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში აღმოჩენილია მსხვილი კონტრრევოლუციური ფაშისტური ფორმირება, რომელიც თავის ანტისაბჭოურ საქმიანობას წარმართავს ძირითადად თბილისის უნივერსიტეტში, რომ „ძიების ყოველმხრივ შემოწმებული მასალებით დადგენილია, რომ იდეოლოგი და შთამაგონებელი ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა მთელი მისი ანტისაბჭოური საქმიანობის მანძილზე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თა-

[1] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 29.
[2] გიორგი ციციშვილი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 31.

ვის გარშემო შეაკოწიწა ქართული ინტელიგენციის ყველაზე რეაქ-ციულად განწყობილი ნაციონალისტური ნაწილი. კონტრრევოლუ-ციურ-ფაშისტური ორგანიზაციის რიგი დაპატიმრებული ხელ-მძღვანელი მონაწილეების ჩვენებებით ასევე დადგენილია, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, დაკავშირებულია რა ფაშისტური გერმანიის მთავრობის წრეებთან, ახორციელებს აქტიურ საჯაშუ-შო საქმიანობას გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ. დასას-რულს, თქვენი ბრძანების მიხედვით, დაპატიმრებულმა ერთ-ერ-თმა ხელმძღვანელმა, მონაწილემ კონტრრევოლუციურ-ფაშისტუ-რი ორგანიზაციისა, მთლიანად აღიარა რა თავისი ანტისაბჭოთა საქმიანობა, სავსებით დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ“.[1]

ბერია დოკუმენტს გაეცნო და თავისი რეზოლუციით მოითხო-ვა დაპატიმრებული შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის მოსკოვში ეტაპირება.

როგორ გადაურჩა „დიდ ტერორს“ ივანე ჯავახიშვილი



როგორც ვხედავთ, ჩეკამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ფიზიკურად გაენადგურებინა ივანე ჯავახიშვილი თავის გა-რემოცვასთან ერთად. საჭირო იყო მხოლოდ ნებართვის მიღება მოსკოვიდან, სადაც საკავშირო უშიშროებას უკვე თბილისიდან გადაყვანილი ბერია ხელმძღვანელობდა.

[1] გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 140-141.

ბერიას ნეგატიური დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილისადმი ცნობილია და საეჭვოა, რომ მას თავისით პოზიცია შეეცვალა, „დაენდო“ ივანე ჯავახიშვილი და მის „კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში“ შეყვანილი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ივანე ჯავახიშვილზე ჩეკისტური შეტევა, როგორც ჩანს, თავად სტალინმა შეაჩერა და მას ჯავახიშვილის გარშემო შექმნილი ვითარების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა ალექსანდრე სვანიძემ (1886-1942), რომელიც იმ დროისათვის საბჭოთა იერარქიაშიც იყო აღზევებული და სტალინთანაც ხელი მიუწვდებოდა.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც პირადად იცნობდა სვანიძეს, შემდეგ იგონებდა: „სვანიძის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მისი ხელისშეწყობით, ივ. ჯავახიშვილს მოეხსნა საჩოთირო ბრალდებები და აღდგენილი იქნა თავის ღირსებებში“.[1]

ალ. სვანიძის დისშვილი რევაზ მონასელიძე იგონებდა, რომ 1935 წლის ივლისში ბიძამისი სტალინთან შეხვედრისას გაცხარებით საუბრობდა ბერიას მიერ ივანე ჯავახიშვილის შევიწროების გამო. მისი ვარაუდით, ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თავად ალ. სვანიძის დაპატიმრებისა (1938 წ. 1 იანვარს).[2]

ალ. სვანიძე თავად შეეწირა „დიდ ტერორს“, მაგრამ მანამდე 1935-1936 წლებში შეძლო დიდი ქართველი ისტორიკოსით დაეინტერესებინა „ხალხთა ბელადი“. სტალინის ინტერესი ზოგადად ისტორიისა და საქართველოს ისტორიისადმიც კონკრეტული მიზეზებით იყო განპირობებული.

1934-1936 წლებში იცვლება საბჭოთა ხელისუფალთა დამოკიდებულება ისტორიისადმი. მანამდე ისტორია, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო და სკოლაში მარქსისტულ-სოციოლოგიურ სქემებს ასწავლიდნენ კლასთა ბრძოლისა და ფორმაციების შესახებ. გერმანელმა და იტალიელმა ფაშისტებმა კი ისტორია კარგად გამოიყენეს პროპაგანდისტული მიზნებისათვის. სტალინი და საბჭოთა ხელისუფალნი ახლა ცდილობდნენ შეცდომის გამოსწორებას და ისტორიის დაბრუნებას საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოსაყენებლად.

---

[1] გ. ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991, გვ. 17.
[2] გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 142.

გარდა ამისა, რუსი ემიგრანტები – მილიუკოვი, ტროცკი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ „ველურმა ქართველმა ერმა“ წარმოშვა „ველური“ სტალინი. ასეთი აზრი ბოგინობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთ ნაწილშიც. სტალინს საკუთარი პრესტიჟის დასაცავად რამე უნდა ეღონა და დიდი ზეიმით, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავი, ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, აღდგა ილია ჭავჭავაძის სახელიც. რასაკვირველია, სათანადო ძვრები უნდა მომხდარიყო სტალინის დამოკიდებულებაში საქართველოს ისტორიის მიმართ.[1] ყველაზე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი კი ივანე ჯავახიშვილი იყო.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოებაც – საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის მიმართ პოზიტიური ხდებოდა, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორმა კ. ორაგველიძემ მისი იდეური ჩაქოლვა სცადა 1936 წლის 23 მარტ – 2 აპრილს თბილისში, ჩეკა კი დიდ საქმეს თითხნიდა ივანე ჯავახიშვილის ფიზიკურად მოსასპობად.

1936 წლის 26 იანვრიდან ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკის) ინსტიტუტის მუდმივ სწავლულ კონსულტანტად, მალე მასვე დაევალა ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების კრიტიკული გამოცემაც.

1937 წლის 29 მაისს ვარლამ დონდუასადმი ლენინგრადში გაგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი წერდა: წინა წერილის (გაგზავნილ იქნა 1937 წ. 6 მაისს) შემდგომ ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება „ძირიანად“ შეიცვალაო.

1937 წლის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილი წამოყენებული იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატად (აკადემიკოსად აირჩიეს 1939 წლის 28 იანვარს).

1938 წლის 10 ივნისს ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 10 ივლისს კი – მისი პრეზიდიუმის წევრად.

---

[1] გურამ ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1999, გვ. 140.

1938 წლის 15 ივნისს თსუს დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით კი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამის პარალელურად ჩეკისტები მონდომებით თითხნიდნენ „საქმეს“ ივანე ჯავახიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციისთვის. ეტყობა, ბერია მოგვიანებით მიხვდა ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულების შეცვლის საჭიროებას.

ვასილ ბარნოვის უმცროსი ძმა ალექსანდრე, რომელიც ახლოს იყო ივანე ჯავახიშვილთან, შემდგომში იგონებდა: როცა ბერია მიმხვდარა ივანე ჯავახიშვილისადმი „ზემოდან“ გამოჩენილ აშკარა კეთილგანწყობას, იგი თავისთან დაუბარებია და უთქვამს: თქვენზე ნაწყენი ვარ, თურმე გაწუხებენ და მე კი არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებო, თანაც მისთვის გარკვეული თანხა მიუცია, რაც ივანე ჯავახიშვილს გამოუყენებია მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისთვის.

ბარნოვი ასევე ორჯერ ელაპარაკა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ყოფილ პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს ივანე ჯავახიშვილის ბედ-იღბალის სასიკეთოდ შემოტრიალების თაობაზე. კანდიდ ჩარკვიანმა ღიმილით თქვა: „ვინც ბერიას ახლოს იცნობდა, მისთვის მსგავსი რამის დაშვება აბსოლუტურად გამორიცხულია, ასეთ საქმეებში იგი ინიციატივას არ იჩენდაო.“ მანვე დაადასტურა, რომ ივანე ჯავახიშვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი მოსკოვში გადაწყდა. თუმცა ივანე ჯავახიშვილის გადარჩენასთან ერთად, რეპრესიები თავს დაატყდათ მისი დასის რიგ წარმომადგენლებს. მათ შორის იყო გრიგოლ წერეთელი.

გრიგოლ წერეთელი (1870-1939) – ქართველი ფილოლოგი, პროფესორი, ელინისტი, პაპიროლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თსუ ბიბლიოთეკის დამაარსებელი, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1917), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1914), პროფესორი (1905).

დაიბადა 1870 წელს პეტერბურგში. მამამისი, თავადი ფილიმონ წერეთელი განთქმული იურისტი და ქველმოქმედი იყო, ხოლო დედა, ანა ლუჩაკი – ცნობილი ფილოლოგი. სწავლობდა პეტერბურგის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1888 წელს დაამთავრა. 1893 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1893-1897 წლებში იგი ასწავლიდა სანქტ-პეტერბურგის არქეოლოგიურ ინსტიტუტში, 1897-1902 წლებში იყო ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, 1897 წლიდან იგი მუშაობდა მიუნხენის, ვენის, პარიზის, ლონდონის, რომის, ფლორენციის, ვენეციის, ნეაპოლის მუზეუმებში, ათენის მონასტრების წიგნთსაცავებში. 1902 წელს დაბრუნდა პეტერბურგში და 1905 წლამდე იყო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი. 1905 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი კლასიკურ ფილოლოგიაში. მალევე იგი აირჩიეს ამავე უნივერსიტეტის პროფესორად. 1905-1914 წლებში ტარტუს (იმხანად დერპტის) უნივერსიტეტის (ესტონეთი) ექსტრაორდინარული პროფესორი და კათედრის გამგეა. 1914-1920 წლებში იყო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი და ხელმძღვანელი, 1918-1920 წლებში ბერლინის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.

მიუხედავად წარმატებული კარიერისა, გრიგოლ წერეთელი დათანხმდა ივანე ჯავახიშვილის წინადადებას და ჩამოვიდა საქართველოში. 1920 რწლიდან იყო თსუ კლასიკური ფილოლო-

გიის კათედრის გამგე და პროფესორი. 1923-1941 წლებში ასევე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დამაარსებელი და დირექტორი. ბიბლიოთეკა დღეს მის სახელს ატარებს. იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი და ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელი.

1931 წელს გრიგოლ წერეთელი დააპატიმრეს და გაათავისუფლეს რამდენიმე თვეში. 1938 წლის 24 მაისს იგი კვლავ დაუპატიმრეს. ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა მუხლებით 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდება) და 58-11 (ორგანიზებული მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) წერეთელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გრიგოლ წერეთელი თბილისის ციხეში 1939 წლის 20 სექტემბერს გარდაიცვალა. სსრკ უზენაესი სასამართლოს 1957 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით, გრიგოლ წერეთლის საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირდა.

თავი 13. ივანე ჯავახიშვილი 1938-1940 წლებში

13.1. კომუნისტური რეჟიმის ხარკი და ივანე ჯავახიშვილის ჭეშმარიტი პოზიცია

1937 წლიდან საბჭოთა რეჟიმმა არათუ შეწყვიტა ივანე ჯავახიშვილის დევნა, არამედ პირიქით, დაიწყო მისი განსაკუთრებული დაფასება. ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილს შეექმნა მუშაობის უსაფრთხო პირობები, მეორე მხრივ კი, რეჟიმი მისგან ითხოვდა „ქებისა და პატივისცემის“ პერიოდულ დემონსტრირებას.

1937-1940 წლებში კომუნისტურ პრესაში ივანე ჯავახიშვილის სახელით გამოქვეყნებულია რამდენიმე წერილი, სადაც იმდროინდელი ოფიციალური ტერმინოლოგიით და სტილით შექებულია საბჭოთა პოლიტიკა. საკმარისია ამ სტატიების მარტო სათაურების დასახელება: „საბჭოთა ინტელიგენცია ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს“[1], „სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ“[2], „ოქტომბერმა ფართო გზა გაუხსნა

[1] „კომუნისტი“, 12 დეკემბერი, 1937 წ., № 283 (5084).
[2] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11 მარტი 1939 წ., № 57.

მეცნიერებას“[1], „სოციალისტური მშენებლობის მჭევრმეტყველი მღაღადებელი“[2] (გაზეთ „კომუნისტის“ შესახებ). ამ სტატიებში ივანე ჯავახიშვილი მადლობას უხდის კომუნისტურ ხელისუფლებას ახალი სამეცნიერო ცენტრების გახსნისათვის, ქართული კულტურის ძეგლების აღსადგენად თანხების გამოყოფისათვის, ხაზს უსვამს „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“, „ხალხთა დიდი ბელადის“ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დამსახურებას. შევხვდებით ასეთ ფრაზასაც: „მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, თუ რა უაღრესად დავალებული არიან ისინი ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ყველა ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ დამახინჯებასთან ბრძოლაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ვულგარიზაციასა და განზრახ შერყვნასთან ბრძოლაში“.[3]

ეს არ არის ივანე ჯავახიშვილის სამეტყველო ენა, ივანე ჯავახიშვილი ასე არ წერდა არც ადრე და არც ამ პერიოდში გამოქვეყნებულ თავის სამეცნიერო ნაშრომებში. შესაძლოა, კომუნისტური ხელისუფლების ქება იმ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა „დამსახურებაა“, სადაც გამოქვეყნებულია სტატიები ივანე ჯავახიშვილის სახელით და დიდის ამბით დასახელებულია ავტორის რეგალიები, რომ არის „ორდენოსანი აკადემიკოსი“ და „უმაღლესი საბჭოს დეპუტატი“.

[1] „საბჭოთა მასწავლებელი“, 7 ნოემბერი 1940 წ., № 97 (757), გვ. 3.
[2] „კომუნისტი“, 1940 წ. 3 ივნისი, № 126 (5827), გვ. 3.
[3] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11 მარტი 1939 წ., № 57.

ივანე ჯავახიშვილს თავისი პოლიტიკური ხედვები არ შეუცვლია და, მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა შეწყდა, ზოგჯერ კვლავ იქმნებოდა „კონფლიქტური სიტუაციები“ ოფიციალურ იდეოლოგიასა და მის ხედვებს შორის. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ 1940 წლის 14 სექტემბერს გამართული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვა, რომლის ერთ-ერთი ავტორი ივანე ჯავახიშვილი იყო.

განხილვის დროს ივანე ჯავახიშვილის მიმართ „შენიშვნით“, ფაქტობრივად კი, კრიტიკით გამოვიდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე. მას მიუღებლად მიაჩნდა „დემოკრატიული წყობილების“ შესახებ საუბარი შუა საუკუნეებში, „აბსოლუტური მონარქიზმის“ პირობებში, რასაც, მისი აზრით, ივანე ჯავახიშვილი აკეთებდა და განსაკუთრებით აღნიშნავს შემდეგს: „უდიდესი პატივისცემა ჯავახიშვილის მიმართ ხელს უშლის ბევრს, რომ ამაზე არაფერს ამბობენ“. დავუკვირდეთ ნათქვამს: ჯავახიშვილის კრიტიკა ბევრს უნდა, მაგრამ თავს იკავებენ ჯავახიშვილის მიმართ არსებული „უდიდესი პატივისცემის“ გამო.

მოვიტანთ მოსე გოგიბერიძის შენიშვნას მთლიანობაში: „არ ვთვლი ჩემს თავს კომპეტენტურად, მაგრამ უნდა გავაკეთო ეს შენიშვნაც. იგი შეეხება იმ ნაწილს, რომელიც დამუშავებულია ისეთი სპეციალისტის მიერ, როგორც არის აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და შეეხება საკითხს, შესაძლებელია თუ არა იყოს დემოკრატიული წყობილება აბსოლუტურ მონარქიზმის პირობებში. უდიდესი პატივისცემა ჯავახიშვილის მიმართ ხელს უშლის ბევრს, რომ ამაზე არაფერს ამბობენ. აქ ისეთი თვალსაზრისია გატარებული, რომ მოვიდა ათონიდან დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი და შემოიტანა პირველად სინამდვილეში იდეები დემოკრატიული დამოკიდებულებისა მმართველსა და იმათ შორის, ვინც უნდა იყოს მმართველობის ობიექტი, მერე სულ ეს აზრია გატარებული, რომ ამ სისტემის დემოკრატია თანდათან გადადის საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში. მე ვსვამ საკითხს – დამთავრებულ ფეოდალურ სახელმწიფოში თუ შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი – დემოკრატიზმი“.

საპასუხოდ ივანე ჯავახიშვილი განმარტავდა, რომ, ფაქტობრივად, მ. გოგიბერიძემ სწორად ვერ გაიგო სახელმძღვანელოს

ტექსტი, სადაც არსად ნათქვამი არ იყო, რომ „ძველ საქართველოში დემოკრატია იყო“. ტექსტის გულდასმით წაკითხვის შემთხვევაში ცხადი გახდებოდა, რომ საუბარი იყო „მხოლოდ დემოკრატიული რეფორმების შესახებ“, კერძოდ „სამონასტრო წესწყობილებაში დემოკრატიული მიმართულების შეტანაზე“, რაც გიორგი მთაწმინდელის მიერ განხორციელდა. ეს იყო ბრძოლა წოდებრიობის წინააღმდეგ და ადამიანების დაწინაურება პირადი ღირსების მიხედვით. სამონასტრო წყობილებაში განხორციელებული დემოკრატიული ტენდენცია დავით აღმაშენებლის დროს „სახელმწიფო წეს-წყობილებაშიც იყო გამოყენებული“. სახელმძღვანელოების ავტორებს, „არავის ფიქრად არ მოსვლია, ეს მოვლენა თანამედროვე დემოკრატიად გაეგო“.

ამავე გამოსვლაში ივანე ჯავახიშვილმა უპასუხა გამოთქმულ საყვედურსაც, რომ სახელმძღვანელოში „გლეხთა მოძრაობა არ იყო წარმოდგენილი“. საპასუხოდ ივანე ჯავახიშვილმა მოკლედ შენიშნა, რომ შესაბამისი ცნობები ისტორიულ წყაროებში ნაკლებად მოიპოვება, „ხელოვნურად, სქემის მიხედვით დაწერა“ (რაც მანამდე პოპულარული იყო ისტორიის „მარქსისტულად“ გაშუქების დროს) კი „უკვე დაგმობილი წესია წერისა“.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისის და მისი ისტორიული კონცეფციის დაპირისპირება ოფიციალურ „მარქსისტულ-ლენინურ“ ხედვასთან კარგად ჩანს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მარიამ ლორთქიფანიძის მოგონებაში, რომელიც, პირველკურსელი, 1939 წლის სექტემბერში ესწრებოდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს. ერთ-ერთ ლექციაზე რომელიღაც გულუბრყვილო თუ „იდეოლოგიურად ფხიზელმა“ სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილს გაუგზავნა შეკითხვა, რომ მისი თვალსაზრისი ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ ეწინააღმდეგებოდა სტალინის კონცეფციას. ფაქტობრივად, ეს შეკითხვა კი არა იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრალდება იყო, რასაც „შესაბამისი ორგანოების“ ინფორმირების შემთხვევაში „ბრალდებულის“ დაპატიმრება შეიძლება მოჰყოლოდა.

მარიამ ლორთქიფანიძე იგონებდა:

„მახსენდება ერთი შემთხვევაც – ყოველი ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთს ტოვებდა შეკითხვებისთვის. რადგან ცუდად ესმოდა, გვთხოვდა, რომ შეკითხვები წერილობით მიგვეწოდებინა.

ერთ მშვენიერ დღეს მას გადასცეს რვეულის პატარა ფურცელი. ბატონმა ივანემ წაიკითხა – „არსებობს სტალინის მოძღვრება, რომ ქართველები ერთად ჩამოყალიბდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში, თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას?“ ხომ წარმოგიდგენიათ, რა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა აუდიტორიაში? ყველას ერთი ფიქრი უტრიალებდა – რა მოხდება? ბატონმა ივანემ წყნარად აიღო ეს ქაღალდი, დაკეცა, წვრილ-წვრილად დაანაკუწა, მელნის ჩასადგმელში ჩაყარა, ჩაალაგა თავისი ბარათები, მოჰკიდა „პორტფელს“ ხელი და გავიდა. გაოგნებულები გამოვედით გარეთ. მე, აღშფოთებულს იმით, თუ რატომ არ გასცა პასუხი, ჩემი მეგობრები მაწყნარებდნენ – ივანე ჯავახიშვილის საქციელი ამ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გამოსავალი იყოო. მერე და მერე მივხვდი, რომ მართლაც ეს ყველაზე მართებული ქმედება იყო – ჯავახიშვილმა ამ შეკითხვის ავტორი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა. საბედნიეროდ, უკვე ჩავლილი იყო რეპრესიების ტალღა. თანაც ივანე ჯავახიშვილი აკადემიკოსი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და ასეთი რამ აღარ ემუქრებოდა, თორემ ეს ამბავი რომ სათანადო ადგილზე მივიდოდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს“.

მარიამ ლორთქიფანიძის ამ მოგონებაში მკაფიოდ ჩანს ერის შესახებ ივანე ჯავახიშვილის კონცეფციის სხვაობა სტალინის მარქსისტული ხედვისაგან, მაგრამ კომუნისტური რეჟიმი ამას ყურადღებას აღარ აქცევდა...

13.2. ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის შესახებ

1937 წელს საბჭოთა კავშირში ფართოდ აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის იუბილე. ამ მოვლენას გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილიც, რომელმაც საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.

მოხსენების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ წერილში დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „გუშინწინ მოვიხადე ილია ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე ვალი და აქაური ფილიალის სხდომაზე წავიკითხე მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რომელზედაც ამ უკანასკნელ

დროში ვმუშაობდი, რომელშიც აღნიშნული მაქვს ის დიდი ღვაწ-ლი, მას რომ ამ დარგში მიუძღვის“.

ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი მარქსისტები არ ყოფილან, ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაციის და კლასიკოსად გამოცხადების შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ისტორიის ისეთი ხედვის წარმოჩენა, რაც იმ დროს გაბატონებულ „მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაში“ არ ჯდებოდა. ეს გარემოება ივანე ჯავახიშვილმა კარგად გამოიყენა თავისი ძველი კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც 1930-იანი წლების შუა ხანებში აქტიურად ებრძოდნენ მის ისტორიულ კონცეფციას და ამ ბრძოლას პრიმიტიული და შეურაცხმყოფელი იარლიყებით აწარმოებდნენ.

ივანე ჯავახიშვილმა თავის მოხსენებაში ის მიმართულებაც დაგმო, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ადრე უმართებულოდ ებრძოდა. ამ „მიმართულებას“ კი სწორედ ქართველი მარქსისტები წარმოადგენდნენ. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ილია ჭავჭავაძე „ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდან, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს „თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა. საბედნიეროდ, იმ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო“.[1]

ივანე ჯავახიშვილს თავისი ადრინდელი კრიტიკოსები არც კი უხსენებია, თუმცა ილია ჭავჭავაძის ნაშრომების მოშველიებით ასაბუთებდა თავის სიმართლეს. მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ზოგად-ისტორიული კონცეფცია და მეთოდოლოგიური შეხედულებები. ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს-ის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქმნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სა-

[1] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, კრებ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1956, გვ. 88.

ლიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არცერთ ქართველს არა აქვს“.[1]

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს და ქართველებსაც „თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული“.[2]

13.3. ივანე ჯავახიშვილი – ახალი აკრძალვა აღიარების შემდეგ

ივანე ჯავახიშვილი გარდაცვალების შემდეგაც აღმოჩნდა კრიტიკის სამიზნე. 1953 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე ტომში შეიტანა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წელს დაწერილი ნაშრომები: „საქართველოს საზღვრები“ და „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XVIII საუკუნეში“. ითვალისწინებდა რა არსებულ რეჟიმს, ამ ნაშრომებიდან ამოღებული იქნა რიგი ადგილები, რაც საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის შეფასებას ეხებოდა.

მიუხედავად ივანე ჯავახიშვილის პოზიციის ამგვარი „შერბილებისა“, კომუნისტური რეჟიმისათვის ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომის ხილვა მიუღებელი აღმოჩნდა და მთელი ტირაჟი (5 ათასი ეგზემპლარი) აიკრძალა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის იმდროინდელმა ლიდერმა ვასილ მჟავანაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე, 1954 წლის 16 თებერვალს თავის მოხსენებაში „დიდი ყურადღება“ დაუთმო ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომის კრიტიკას:

„ამას წინათ ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის „ქართვე-

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, კრებ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1956, გვ. 88.

[2] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, კრებ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1956, გვ. 77.

ლი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნი. ამ წიგნის გამოცემით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.

უდავოა, რომ აკადემიკოსმა ჯავახიშვილმა თავის დროზე მცირე წვლილი როდი შეიტანა საქართველოს ისტორიოგრაფიაში, შეკრიბა და სისტემაში მოიყვანა დიდი ფაქტობრივი მასალა, მაგრამ მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ინტერესი მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას ამ მასალისადმი. აღნიშნული წიგნი კი გამოშვებულ იქნა საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევების გაუთვალისწინებლად, კრიტიკული წინასიტყვაობის წარუმძღვანებლად, უკომენტაროდ და უშენიშვნოდ. ბევრი ჩვენი ისტორიკოსი სამართლიანად ამბობს, განსვენებული ჯავახიშვილი ცოცხალი რომ იყოს, თვითონ არ დართავდა ამ წიგნის გამოშვების ნებას. მეხუთე წიგნში შესული ნარკვევები და მასალები შეიცავენ ნაციონალისტური ხასიათის შეცდომებს, დამახინჯებულად აშუქებენ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ფაქტებს.

წიგნში უგულებელყოფილია რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. წინააღმდეგ ისტორიული სიმართლისა და საზოგადოებრივი განვითარების პროცესის მატერიალური გაგებისა, რუსეთთან საქართველოს შეერთება აღნიშნულ წიგნში განხილულია როგორც ქართველი ხალხის ყველა უბედურების მთავარი მიზეზი, მიჩქმალულია ის უდავო ფაქტი, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებამ, მიუხედავად ცარიზმის, რუს და ქართველ ფეოდალთა და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკისა, ერთმანეთთან დააახლოვა საქართველოსა და რუსეთის ხალხები, რომლებმაც აირჩიეს ერთადერთი სწორი გზა. ყველა გარეშე მტრის წინააღმდეგ, მემამულე-მებატონეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გზა“.[1]

ვასილ მჟავანაძემ ივანე ჯავახიშვილის „მცდარი“ პოზიციის კრიტიკის შემდეგ ასევე დაგმო „ივანე ჯავახიშვილის მსგავსი შეცდომები“, დაშვებული იასე ცინცაძის მიერ: „ანალოგიური ხასია-

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 28 თებერვალი, 1954, №41.

თის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეცდომებს შეიცავს მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც მოთავსებულია ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველის“ მესამე წიგნში, რომელიც გასული წლის (ე. ი. 1953 წლის) დამლევს გამოვიდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ პროფესორი ი. ცინცაძე წინასწარი განზრახვით კრებს „ფაქტებს“ და ცდილობს, „დაამტკიცოს“, რომ საქართველოს მოღვაწეთა ორიენტაცია რუსეთთან დაახლოებაზე, შეცდომა იყო, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ბედზე“. საკითხავია: იმჟამად ცოცხალმა, საღ-სალამათმა ბატონმა იასე ცინცაძემ, ივანე ჯავახიშვილის სკოლის ერთ-ერთმა ღირსეულმა (როგორც ინტელექტის, ისე ზნეობრიობის მხრივ) წარმომადგენელმა, როგორ გაიმეორა ივანე ჯავახიშვილის მსგავსი შეცდომები?!“

ვასილ მჟავანაძის დასკვნით, აუცილებელი იყო სპეციალური ღონისძიებების გატარება „ისტორიული მეცნიერების დარგში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის და ამ დარგში არსებული მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის“.

დანართი

მარიამ ლორთქიფანიძე ივანე ჯავახიშვილის ლექციების შესახებ

1939 წლის სექტემბერში, როდესაც უნივერსიტეტში ჩავირიცხეთ, მე, ოთარ ჯაფარიძემ, გივი კიღურაძემ და კიდევ რამდენიმე ჩვენმა ამხანაგმა დავიწყეთ ლექციების ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ძებნა. გვეწყინა, რომ არც პირველ და არც მეორე კურსს ჯავახიშვილის ლექცია არ ჰქონდა, რადგან ის თურმე მესამე კურსიდან იწყებდა სპეციალური კურსების ჩატარებას. მალე გავარკვიეთ ისიც, რომ ახლა სადაც კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტია, იქ უკითხავდა იურისტებს ქართული სამართლის ისტორიას. მივედით და ვთხოვეთ მათ, მოეცათ საშუალება, რომ დავსწრებოდით ბატონი ივანეს ლექციებს.

თვალწინ მიდგას მისი აუდიტორიაში შემოსვლის სურათი – შემოვიდოდა დიდი სასმენი აპარატით და შავი „პორტფელით“, დადებდა ამ „პორტფელს“ მაგიდაზე, ამოალაგებდა ბარათებს (ბარა-

თების სისტემა ჰქონდა), დაალაგებდა მაგიდაზე და იწყებდა ლექციის კითხვას – ჯერ დებულებას წარმოაყენებდა და შემდეგ ამ ბარათებიდან წაიკითხავდა საილუსტრაციო მასალას – ვთქვათ, X დებულებას როგორ ასაბუთებს ვახტანგის სამართალი.

ხდებოდა სხვაგვარადაც – თავდაპირველად წაიკითხავდა ბარათიდან ამონაწერს, შემდეგ იწყებდა მის განზოგადებას. ამით აჩვევდა სტუდენტებს, რომ უნდა ამოხვიდე წყაროდან და წამოაყენო დებულება, მაგრამ შეიძლება ჯერ დებულება ჩამოაყალიბო და შემდეგ დაასაბუთო წყაროებით.

მისი ლექცია ცოტა ძნელად მოსასმენი და რთული იყო. თანაც ჩვენ მაშინ სამართლის ისტორიისა არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ ძალიან პატიოსნად დავდიოდით და ვუსმენდით“.

ფურცლები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებიდან

არსებობს 1930-იან წლებში გადაღებული კადრები, რომელზეც ჩანს, თუ როგორ მუშაობს ივანე ჯავახიშვილი თავის კაბინეტში. მაგიდასთან მჯდარს გვერდით ყვავილები უწყვია, ფურცლებს აქეთ-ქით ატრიალებს... წლების შემდეგ მისმა შვილმა, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა, გაიხსენა, რომ ყვავილებიც და სხვა ყველაფერიც სახელდახელოდ დაიდგა გადაღების წინ. სინამდვილეში, თურმე, გადამღებ ჯგუფს თავზარი დაეცა, როცა აკადემიკოსის ოთახში შემოვიდა.

ივანე ჯავახიშვილს თბილისში ბინა არ ჰქონდა; ცოლის მამიდასთან, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანთან, ცხოვრობდა. მას შემდეგ კი, რაც თავადაზნაურობას სახლები ჩამოართვეს, ამ სახლში ოცამდე ადამიანმა მოიყარა თავი. ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი ერეკლე მეფის შთამომავალი იყო, მაგრამ ოჯახის საქმეები მთლიანად მასზე გადადიოდა. ის იყო მრეცხავიც, ძიძაც და პარიკმახერიც კი, ივანესაც და შვილებსაც თმას თავად კრეჭდა, ხან ხეირიანად, ხან – არც ისე.

ივანე ჯავახიშვილის ე. წ. კაბინეტი თაროებით გადატიხრული ოთახის ნაწილი იყო. ღამე აქ მის ვაჟს, ლალის ეძინა, დღისით კი ჟრიამული იდგა. სუფრას იმავე მაგიდაზე შლიდნენ, სადაც ივანე მუშაობდა, ამიტომ სადილ-ვახშამზე თავის წიგნებისა და ნაწერე-

ბის აკრეფა უწევდა. ივანე ჯავახიშვილი ხმაურს ყურადღებას არ აქცევდა. განსაკუთრებით უყვარდა, როცა უფროსი ქალიშვილი, ნათელა, პიანინოს მიუჯდებოდა და მეცადინეობდა ხოლმე. მუსიკოსობა ივანე ჯავახიშვილის აუხდენელი ოცნება იყო. „მახსოვს, როგორ განიცადა მამამ, როცა მე გათხოვების გამო საკრავის წაღება მომიხდა სახლიდან. მე ამას ვგრძნობდი. წელიწადზე მეტი როიალი არ გადამქონდა და სახლში დავდიოდი სამუშაოდ“, – იხსენებდა ნათელა ჯავახიშვილი.

ოცკაციან ოჯახს ხშირად უჭირდა, ხანდახან ძალიანაც. ერთი პერიოდი მეუღლის, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის, ძვირფასი ნივთების დაგირავებით გაჰქონდათ თავი, ამ ფულით იხდიდნენ უნივერსიტეტის გადასახადებსაც. შვილებს მამის გამონაცვალი ტანსაცმელი ეცვათ. პალტოები და პიჯაკები ისე გაცვითეს, მუზეუმში დასადები აღარაფერი დარჩა. 1986 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილი იგონებდა: „[ერთი] პალტო 25 წელი ატარა. ეს პალტო, თქვენ წარმოიდგინეთ, შემდეგ ნათელასაც ეცვა და, ბოლოს – მე. ასევე მამას ნაცრისფერი კოსტიუმი ჯერ კახამ ატარა და მერე მე გამოვუყვანე წირვა“.

როგორც აღნიშნავენ, ჩაცმაში ივანე ჯავახიშვილს თავისი წესები ჰქონდა. სახლშიც კი, რაც არ უნდა სიცხე ყოფილიყო, ჰალსტუხის გარეშე არ გაივლიდა. არ უყვარდა კალოშები და ყურებიანი ქუდი, ამის გამო პეტერბურგში ცხოვრებისას სმენა დაუქვეითდა. ტანსაცმლის მრავალჯერად მოხმარებას ოჯახის წევრები იმითაც ხსნიდნენ, რომ ივანე საოცრად ფაქიზი და სუფთა კაცი იყო.

ივანე ჯავახიშვილს ჯანმრთელობა არაფრად უვარგოდა და ამიტომ მუდმივად დიეტაზე იყო. ახალგაზრდობაში, თბილისში ყოფნისას ფუნთუშით მოიწამლა. როგორც შემდეგ გაირკვა, ფუნთუშაზე მოყრილი შაქარი იმავე სანაყში დანაყეს, რომელშიც შაბი. მაშინ 6 ადამიანი მოიწამლა და აქედან 2 გარდაიცვალა.

ფრანგული ფუნთუშის ნახევარი, ორი ნატეხი შაქარი, ორი ჭიქა ცხელი წყალი, საუზმეზე – წიწიბურას ფაფა ან ბრინჯის ფლავი, სადილად – ორთქლზე მოხარშული დაკეპილი ხორცის გუფთები – ეს მისი ყოველდღიური მენიუ იყო. არასდროს ჭამდა ხილს და რძის ნაწარმს, არ სვამდა ღვინოს. ძალიან უყვარდა ცხარე საჭმელები, მაგრამ მხოლოდ დაყნოსავდა და ისევ მაგიდაზე დააბრუნებდა ხოლმე.

ერთხელ ექიმმა ტვინის კოტლეტი დაუნიშნა და მეუღლეც ყოველ დღე ყიდულობდა დუქანში. გაბეზრებულმა ყასაბმა ბოლოს იკითხა, ყოველდღე ტვინი რომ მიგაქვთ, ასეთი უტვინო ვინ გყავთ სახლშიო. მიუხედავდ ყველაფრისა, მაინც ხშირად იწამლებოდა. ერთხელ, პეტერბურგში მიმავალი, მატარებელში მოიწამლა და კინაღამ ვაგონიანად ჩახსნეს – ეგონათ, ტიფი ჰქონდა.

ექიმებს მიაჩნდათ, რომ ჯავახიშვილი ზედმეტად ფრთხილობდა კვებისას. „აი, ფეხებს რომ გავჭიმავ და გამკვეთენ, მაშინ ხომ მაინც დარწმუნდებიან, რომ ავადმყოფი ვარ“, – ამბობდა ამაზე ივანე. მისი სიტყვები ასრულდა. სწორედ გაკვეთამ აჩვენა, რომ ნაწლავები წყლულით ჰქონდა დაფარული და რომ არა მკაცრი დიეტა, იქამდეც ვერ მიატანდა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ივანე მართლა „ყველაფერს ჭამდა“, 1917-1918 წლები იყო, როდესაც თბილისში უნივერსიტეტის გასახსნელად ემზადებოდნენ. ნათელა ჯავახიშვილი იხსენებს, რომ ამ ამბით აჟიტირებული ივანე არათუ დიეტას აღარ აქცევდა ყურადღებას, მერხებსაც თვითონ ეზიდებოდა, ერთი მერხი ზედ დაეცა კიდეც და კინაღამ იმსხვერპლა.

ივანე ჯავახიშვილის საბედისწერო დღე

1940 წლის 18 ნოემბერი და ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნული საჯარო ლექცია ივანე ჯავახიშვილისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ორშაბათს, 1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში დაინიშნა საჯარო ლექცია

„ქართული ფილოლოგის და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“. ლექციას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა. ხალხმა ოდნავ მოგვიანებით მოიყარა თავი, ამიტომ ლექტორი გვერდითა ოთახიდან 9-ის 20 წუთზე გამოვიდა. საზოგადოება ტაშით შეხვდა და ვიდრე მაგიდას არ მიუჯდა და მადლობის ნიშნად თავი არ დაუკრა, ტაში არ დამცხრალა.

ივანე ჯავახიშვილმა ჩანთიდან პატარა ფურცლები ამოალაგა თავისი ჩანაწერებით და ლექცია დაიწყო. დაახლოებით 40 წუთი რომ გავიდა, ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და ლექცია გააგრძელა. მას ჩვევად ჰქონდა, 40 წუთის შემდეგ 10-15 წუთი ისვენებდა, იმ დღეს კი არ შეუსვენია. საათი და 15 წუთი გავიდა, განმარტავდა სიტყვა თათარის გენეზისს, „ამირან-დარეჯანიანიდან“ ციტატა დაიმოწმა და… გულიდან საზარელი გმინვა აღმოხდა, უცნაურად გადააქნია თავი და მაგიდას უხერხულად დაეყრდნო.

პირველი აკაკი შანიძე წამოხტა, მივარდა და ხელები შემოხვია. მისცვივდნენ სხვებიც, მაგიდაზე დააწვინეს. დარბაზში ექიმიც აღმოჩნდა, სასწრაფოც გამოიძახეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. 64 წლის ივანე ჯავახიშვილის სიკვდილი მთელმა ქართულმა საზოგადოებამ განიცადა, როგორც ეროვნული უბედურება.

ნათელა ჯავახიშვილი მამის გარდაცვალების შესახებ იგონებდა:

ტრიბუნასთან იდგა, ლაპარაკობდა „ვისრამიანზე“, „ამირანდარეჯანიანზე“... შემდეგ: „უცებ თვალები დაუელამდა, სახეზე რაღაც შესაბრალისმა, უმწეო გამომეტყველებამ დაუარა. დარბაზში რაღაც შრიალი გაისმა, თითქოს უცბად დაჰქროლა ძლიერმა ქარმა, მამა შეტორტმანდა. დღესაც არ ვიცი, როგორ გავჩნდი მამასთან და თავი მე დავიჭირე. ამოცვივდნენ სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე და, მგონი, გიორგი წერეთელი. გავიყვანეთ მამა მომიჯნავე ოთახში, სადაც გრძელი მაგიდა იდგა და იქ დავაწვინეთ... მამამ უცებ ღრმად ამოიხვნეშა, თვალები დახუჭა და ცრემლი გადმოუვარდა. ამ დროს დავინახე, არნოლდ ჩიქობავა მიდი-მოდიოდა და თან ტიროდა. მე მომაგონდა მამის ნათქვამი, რომ არნოლდი ძალიან გაცნობიერებულია მედიცინაში და შევეხვეწე – ბატონო არნოლდ, მაჯა ნახეთ-მეთქი... მან თავი გადააქნია და უფრო ატირდა“.

მარიამ ლორთქიფანიძე იგონებდა:

„ივანე ჯავახიშვილს მთელი ქალაქი აღმერთებდა. მახსოვს, როცა ვიღაცამ ხმა მოიტანა მისი გარდაცვალების თაობაზე, წამსვე, მთელი თბილისი ქუჩაში გამოეფინა. მახსოვს მისი დაკრძალვა. მე და ჩემი მეგობარი ნიკო ქანთარია ერთი საათით ადრე გამოვედით სახლიდან, მაგრამ წყნეთის ქუჩას რომ მოვუახლოვდით, წინ წამოსვლა უკვე შეუძლებელი გახდა. ძლივს მოვახერხეთ უნივერსიტეტის ღობესთან მოსვლა. იმას აქეთ ვერაფრით შემოვაღწევდით.

მახსოვს, როგორ გამოასვენეს და ისიც მახსოვს, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა – ქალიც და კაციც ქვითინებდა. მთელმა ქართულმა ინტელიგენციამ დაიტირა ივანე ჯავახიშვილი, რადგან მას აიგივებდნენ ეროვნულობასთან. მისი დამსახურება იყო მოკრძალებული დამოკიდებულება ქართული უნივერსიტეტის მიმართ. მამაჩემიც კი, რომელსაც ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, მის წინ გავლისას ჩერდებოდა, ქუდს მოიხდიდა, თავს დაუხრიდა და შემდეგ აგრძელებდა გზას“.

„დიდი ივანე“ – ამ სახელით ივანე ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ მოიხსენიებენ. სიკვდილამდე სამი წლით ადრე უთქვამს: „ჩემდა საუბედუროდ, შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისთვისაც დრო არ მქონია“.

რამდენიმე წლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის შრომების აღსაწერად კომისია შეიქმნა. სახლში შესულმა ნიკო ბერძენიშვილმა ქაღალდის გროვები რომ დაინახა, გაოცებულმა თქვა, ამ ყველაფრის არათუ დამუშავებას და შექმნას, მხოლოდ გადაწერასაც კი ერთი ცხოვრება სჭირდებოდა და, შესაძლოა, არც კი ჰყოფნოდაო.

ივანე ჯავახიშვილის დასაფლავება

ვისი სახელობის უნდა იყოს უნივერსიტეტი

1928 წელს, ქართული უნივერსიტეტის მე-10 წლისთავზე, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის დამფუძნებელი, საერთოდ არ მიიწვია და საზეიმო სხდომის დროს დარბაზში არ იმყოფებოდა. ის მხოლოდ სტუდენტების მოთხოვნით „საპატიო პრეზიდიუმში“ აირჩიეს, რამაც დარბაზში მყოფი კომუნისტი ლიდერები გააღიზიანა.

უნივერსიტეტის მე-20 წლისთავზე, 1938 წელს, კომუნისტების დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილისადმი შეცვლილი იყო და უნივერსიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე, 1938 წ. 25-30 მაისს, ივანე ჯავახიშვილს, მისთვის მოულოდნელად, მოხსენების წაკითხვაც სთხოვეს. მისი მოხსენების სათაური იყო „ბრძოლა უმაღლესი სკოლისათვის საქართველოში“. რაც შეეხება ზეიმის დასკვნით სხდომას, რომელიც 30 მაისს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, იქ მოხსენებით უნივერსიტეტის რექტორი გ. კიკნაძე გამოვიდა.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავის აღნიშვნასთან ერთად, გადაწყვიტა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ ქართული უნივერსიტეტისთვის სტალი-

ნის სახელი მიენიჭებინა. ეს გაკეთდა 1938 წლის 9 ივნისს. 1948 წელს უნივერსიტეტის შესახებ გამოცემულ წიგნში ეს შემდეგნაირად იყო გადმოცემული: „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, დაკმაყოფილებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთსულოვანი შუამდგომლობა და უნივერსიტეტს ამხანაგ სტალინის სახელი მიენიჭა. უნივერსიტეტისათვის დიდი სტალინის სახელის მინიჭებამ საერთო აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია მთელ კოლექტივში. მიტინგზე, რომელიც საზეიმო დადგენილებასთან დაკავშირებით ჩატარდა უნივერსიტეტში, პროფესურისა და სტუდენტობის წარმომადგენლებმა პირობა დადეს, გაემართლებინათ ამ საპატიო და საამაყო სახელის ტარება და თავდადებით ებრძოლათ როგორც სწავლების, ისე მეცნიერული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე აყვანისათვის“.[1]

1956 წლიდან, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, უნივერსიტეტი რომ სტალინის სახელობის იყო, აღარ იხსენიებოდა, თუმცა ოფიციალურად არ გაუქმებულა დადგენილება სტალინის სახელის მინიჭების თაობაზე.

მარიამ ლორთქიფანიძის მოგონების თანახმად, უნივერსიტეტისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მინიჭების საკითხი 1976 წელს დადგა, როდესაც ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის იუბილის აღნიშვნა გადაწყდა. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე იყო აკად. გიორგი ძოწენიძე, კომისიის წევრები იყვნენ აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი და სხვა ცნობილი მეცნიერები, მათ შორის იყო მარიამ ლორთქიფანიძეც.

კომისიის პირველივე სხდომაზე, როდესაც დაისვა საკითხი, რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო საიუბილეოდ, მარიამ ლორთქიფანიძემ გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტს მინიჭებოდა მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელი. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა კომისიის წევრმა, მაღალი რანგის პარტიულმა მუშაკმა პავლე გილაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ

[1] თბილისის უნივერსიტეტი (1918-1948), თბ., 1948, გვ.145-147.

უნივერსიტეტი სტალინის სახელობის იყო და არ არსებობდა დადგენილება ამ სახელწოდების გაუქმების შესახებ. საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

თბილისის უნივერსიტეტისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების საკითხი კვლავ დადგა 1988 წელს, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე უნივერსიტეტისათვის მისი დამაარსებლის სახელის მინიჭება მოითხოვა. მოწინააღმდეგეები მაშინაც იყვნენ, იგივე პავლე გილაშვილი. საკითხი განიხილეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოებმა. 1989 წელს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრებმა ერთხმად, ფეხზე ადგომით და ტაშით დაადასტურეს თავისი მხარდაჭერა და უნივერსიტეტს მიენიჭა მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი.

თავი 14. ივანე ჯავახიშვილი: თეორიის საკითხები



14.1. ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი და გეორგ ელინეკის თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებზე სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი გერმანელი კონსტიტუციონალისტის გეორგ ელინეკის (1851-1911) თეორიამ. ელინეკის ავტორიტეტი რუსეთის ლიბერალურ წრეებში მაღალი იყო. ელინეკის თანახმად, სხვაობა სახელმწიფოებრივ და გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციას შორის, ფაქტობრივად, არ არსებობდა. უკვე გვაროვნულ საზოგადოებაში საერთო მიზნების (საანადირო ადგილებისა და საძოვრების ძიება და შენარჩუნება, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების დაცვა, ომის ორგანიზაცია) გულისხმობდა სახელმწიფოს არსებობას. ამავე დროს ელინეკის აზრით, „ნაკლებ სავარაუდოა, რომ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესი ერთი და იგივე ყოფილიყო“. ელინეკი განასხვავებდა აგრეთვე „ადრეულ“ (პირველად) და „მეორეულ“ სახელმწიფოებს.

აღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი მიუდგა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს საქართველოსა და სომხეთში.

ივანე ჯავახიშვილი გვაროვნული და სახელმწიფოებრივი წყობილების იგივეობრიობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ნაშრომში „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება“ (გამოიცა 1905 წ. რუსულ ენაზე, ეს იყო მეცნიერების მაგისტრის წოდების მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი). მისი დედა-აზრია მტკიცება იმისა, რომ კერძოდ საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოშობა არავითარი ისტორიული ტეხილი არ ყოფილა, რომ არსებითად ასეთივე ხასიათის იყო გვაროვნული ორგანიზაცია.

სახელმწიფოებრივი წყობილება ყოველი პირველადი სახელმწიფოსი სხვა არაფერია, თუ არა საგვაროვნო წყობა, რომ იქ, „სადაც საგვაროვნო ორგანიზაციაა... არსებობს სახელმწიფო“.

ეს დებულება ცალსახად მცდარად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც გვაროვნული საზოგადოების რღვევა და მის ნიადაგზე სახელმწიფოს აღმოცენება ერთიანი პროცესია, რომელიც საუკუნეები გრძელდება და ივანე ჯავახიშვილი გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ხედავდა მეფის ხელისუფლებით.

ივანე ჯავახიშვილისათვის სახელმწიფო ზეკლასობრივი ორგანო მხოლოდ საზოგადოების საერთო ინტერესების აღმასრულებელი ორგანო იყო და მის საფუძვლად შეიძლებოდა გვაროვნული წყობილება არსებულიყო. ივანე ჯავახიშვილის აზრით, სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად არავითარი იძულებითი აპარატი არ იყო საჭირო, ასევე „ხარკის სამეუფოსა“ და „ხარკის საერისთაოს“ ასაკრებად.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია კერძო საკუთრების (მათ შორის მიწაზეც) არარსებობა, ამდენად ეკონომიკური თანასწორობა ადამიანთა შორის, მაგრამ უთანასწორობა გვარებს შორის მაინც შეიმჩნეოდა, რის დამტკიცებასაც ჯავახიშვილი ცდილობდა გვიანი ხანის ფაქტითაც.

დასახელებულ წიგნში ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„ტერმინი „დიდგვარიანი“, რომელიც აღნიშნავს დიდებულის ყველაზე მაღალ გრადაციას, აჩვენებს, რომ საქართველოს უძვე-

ლეს ეპოქაში როგორც გვარი, ისე მისი ცალკეული წევრი მით უფრო მაღლა იდგა, მით უფრო გავლენიანი იყო, რაც უფრო მრავალრიცხოვანი, დიდი იყო გვარი; ეს გასაგებიცაა, რამეთუ ძალა ყოველთვის მის მხარეზე იყო“.

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, გვაროვნული წყობილება წარმოადგენდა საფუძველს არა მხოლოდ იბერიის (ქართლის) სოციალური, არამედ პოლიტიკური წყობილებისათვისაც.

ივანე ჯავახიშვილს თავისი შეხედულებანი სახელმწიფოს ხასიათისა და წარმოშობაზე მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული. 1928 წელს გამოქვეყნებული „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში იბერიის (ქართლის) სამეფოსთან დაკავშირებით აღნიშნავდა:

„I-VI სამეფოს მთელი წესწყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წესწყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობისაგან წარმოიშვა და განვითარდა“.

1928 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მე-3 გამოცემაში ივანე ჯავახიშვილი კვლავ იმეორებდა აზრს იმის თაობაზე, რომ სტრაბონის ხანის იბერიის ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე იყო დამყარებული. „მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ჰქონდა თავისი კუთხის დანარჩენ გვარებზე: დიდ-გვარიანი მამასახლისი თემის მეთაურად და გამგედ იყო“.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების კრიტიკა არჩილ ჯორჯაძის მიერ

ივანე ჯავახიშვილის კონცეფცია გვაროვნული და სახელმწიფოებრივი წყობილების იგივეობრიობის შესახებ გააკრიტიკა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც 1907 წელს გაზეთ „ისარში“ (№№ 34, 35 და 38) დაბეჭდა სტატია „ადამიანი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“ (შემდეგ შევიდა ა. ჯორჯაძის თხზულებათა 1-ლ ტომში).

არჩილ ჯორჯაძემ მიუღებლად მიიჩნია ელინეკის თეორია და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს ლუის მორგანის თეორიული პოზიციიდან მიუდგა. ჯორჯაძისთვის მიუღებელია გვაროვნული და სახელმწიფოებრივი საზოგადოებების გაიგივება. ჯორჯაძის თქმით, „პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაცია დამყარებული იყო გვარსა, თემსა და ტომებზე: პოლიტიკური ორგანიზაცია კი, რომელიც მოჰყვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დამყარდა ტერიტორიასა და საკუთრებაზე. პირველსა და მეორეს შორის ძირითადი განსხვავებაა“.

არჩილ ჯორჯაძე ასევე ტერმინოლოგიის არგუმენტშიც ეკამათება ივანე ჯავახიშვილს: „ჩვენი აზრით, ტერმინოლოგიის მსგავსება სრულიადაც არ მოასწავებს წესწყობილებათა მსგავსებას. მართალია, საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოიტანეს სახელმწიფოს ნიადაგზედ, მაგრამ აქედან სრულიად არ წარმოსდგა გვარის და პოლიტიკური საზოგადოების მსგავსება. ტერმინოლოგიის მსგავსება მხოლოდ იმ ფაქტზე გვითითებს, რომ გვარი იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა“.

ჯორჯაძე მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ემყარება ტერიტორიას და საკუთრებას. ასევე აშკარაა ძალადობის, იძულების მომენტიც სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. „სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეგ უმცირესობა ყოველთვის არ განირჩევოდა ეთნიურად უმრავლესობისაგან“.

არჩილ ჯორჯაძის კრიტიკას ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი არ შეუცვლია. ამავე დროს, არჩილ ჯორჯაძეს და ივანე ჯავახიშვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ივანე ჯავახიშვილი არჩილ ჯორჯაძეს მადლობას უხდიდა თავისი თხზულებების პირველი ტომის გაგზავნისათვის 1911 წლის 31 მარტით დათარიღებულ წერილში: „დიდად გმადლობთ თქვენი თხზულებების პირველი წიგნის გამოგზავნისათვის, როგორც ჩვენ მხრივ პირადად, ისე სამეცნიერო წრის მაგიერ... დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე წიგნად გამოვიდა და იმედია, შემდეგშიაც გამოვა იმიტომ, რომ თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველ ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას...“

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების კრიტიკა საბჭოთა პერიოდში მარქსისტული პოზიციიდან

ივანე ჯავახიშვილის კონცეფცია სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა საბჭოთა პერიოდში სასტიკი კრიტიკის საგანი გახდა და ივანე ჯავახიშვილზე 1920-30-იან წლებში განხორციელებული პოლიტიკური თავდასხმების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გ. სოსელია და ი. ტალახაძე. მეცნიერული კამათის ნაცვლად ეს იყო მწვავე იდეოლოგიური ბრალდებები.

მაგალითად, 1931 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გიორგი სოსელია წერდა: „მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი და იმავე იარაღით აღმოჩნდნენ, ერთი მხრივ, მარქსიზმის რენეგატი, სოციალისტი კაუცკი და, მეორე მხრივ, საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორი ჯავახიშვილი“. სოსელია აკრიტიკებს „პროფ. ჯავახიშვილის რეაქციულ ბურჟუაზიულ თეორიას“ და მოუწოდებდა ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ: „ჩვენ მიგვაჩნია... რომ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს იდეალისტურ, რეაქციულ პროფესურასთან და, კერძოდ, ბრძოლა პროფ. ჯავახიშვილის რეაქციულ თეორიულ მიზანდასახულობასთან სასურველ დონეზე ვერ არის“.

14.2. საქართველოს სახელმწიფოს დაქვეითების მიზეზი

„ქართველი ერის ისტორიის“ მე-3 ტომში, XV საუკუნის საქართველოს ისტორიის გადმოცემისას, ივანე ჯავახიშვილი შეეხო სახელმწიფოს დაქვეითების მიზეზებს და საინტერესო თეორია ჩამოაყალიბა, თუმცა ამ საკითხს მხოლოდ გაკვრით შეეხო და აღნიშნა, რომ „ეს ისტორიის ფილოსოფიის საკითხია“[1] და მას დაწვრილებით გააშუქებდა „ისტორიის მიზანის“ მესამე წიგნში „საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით,

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ, 1982, გვ. 403-404.

ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ“.[1]

საქართველოს სახელმწიფოს დაშლის მიზეზებს შორის ივანე ჯავახიშვილი ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიურ საფუძველზე მიუთითებდა და აღნიშნავდა: „დიდი სტიქიურის მსგავსი უბედურების, ან ძლიერი მტრისაგან დამარცხების შემდგომ ხსნისა და გამოსავალის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამაცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე და განმარტავდა: „ასეთ მდგომარეობაში ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალღო იღვიძებს და მაშინ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრივობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას. სახელმწიფოს შემადგენელი ერთეული, თვით კერძო პიროვნებაც უპირველესად თავისი თავის, თავისი თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის მოვალეობის თავითგან მოცილებას სცდილობს“.[2]

ხდება სოციალური სხეულის თავისებური შეკუმშვა და „რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგადაუწყვეტელობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრივობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს“.[3] შედეგად სახელმწიფოებრივობის განვითარება თითქოს უკუიქცევა და განვლილ საფეხურებს უბრუნდება: „ამ დაშლა-დანაწილებისადმი მისწრაფების დროს სახელმწიფოებრივობის განვითარების გზას თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე მხოლოდ უკუქცევითი მიმართულებით, იმავე საფეხურზე თანდათან ჩამოქვეითებით, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეაღმავლობით განვლილი ჰქონდა. სახელმწიფო შემადგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებად და თემებად იწყებს განკერძოებას“.[4]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ, 1982, გვ. 404.
[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ, 1982, გვ. 403.
[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ, 1982, გვ. 403.
[4] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ, 1982, გვ. 403.

14.3. ივანე ჯავახიშვილი
ქართველთა ეროვნული ხასიათის შესახებ

ივანე ჯავახიშვილმა ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა (1918 წლის 30 იანვარს) თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“. დასახელებული ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: მოძღვრება ადამიანზე, ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალები და ადამიანი, ვითარცა მოღვაწე. ამ ლექციის ტექსტი პირველად მხოლოდ 1956 წელს დაიბეჭდა მის სტატიების კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“.

ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა განიხილა ქართველთა ეროვნული ხასიათის შეფასება ძველი ქართველი მოღვაწეების მიერ.

„ნიკოლოზ კათალიკოზს თავის მე-12 ს. შუა წლებში დაწერილ საგულისხმო თხზულებაში უკვე ეროვნული თანდაყოლილი თვისებების არსებობის დებულება აქვს წამოყენებული...

თავის დროინდელი მდგომარეობითა და ქართველ ბერთა წრით არც გიორგი მთაწმინდელი ყოფილა კმაყოფილი. ის თავის მხრით მაშინდელ ქართველთა „სიგრილე“-ს, გულგრილობასა და „სულმოკლეობა“-ს უჩივის. ამის საყვედურზე, როგორც ეტყობა, იმდროინდელი ბერები ამ მოღვაწეს პასუხად ეუბნებოდნენ, რომ წინათაც ამაზე უკეთესი არ იყოო...

გიორგი მთაწმინდელი უჩიოდა აგრეთვე ქართველთა ხასიათის სიმტკიცის უქონლობასა და დაუდგრომლობასაც...

მაგრამ თავისი დროის მდგომარეობითა და საზოგადოებით უკმაყოფილებისდა მიუხედავად, სწორედ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ქართული ეროვნული თვისებების იდეალიზაციამ იჩინა თავი. თუ ამაზე უწინარეს არა, უკვე მე-11 ს-ში იგი ჩამოყალიბებულია: ამ დროისათვის დამთავრებული შეხედულება ჩამოინაკვთა. ქართულ ეროვნულ თვისებებზე, რომელსაც მაშინ და შემდგომშიც ყველა იზიარებდა და რომელიც ქართველთა და სხვა ეროვნებათა თვისებების ერთგვარ დაპირისპირებას წარმოადგენდა. გიორგი ხუცეს-მონაზონის აზრით, მაგ., პირველითგანვე ქართველები, „ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო“... გიორგი

დაყუდებულის რწმენით თვით ღვთისმშობელსაც უყვარდა ქართველობა და მას მფარველობას უწევდა...

გიორგი მთაწმინდელიც სხვა ეროვნების მოსაუბრე თუ მოკამათეებთან ლაპარაკის დროს ყოველთვის ცდილობდა, ხაზგასმით აღენიშნა, რომ „ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო“ არის, რომ ხასიათის ეს თვისება უგუნურებითა, ან უმეცრებით და სიმსუბუქით კი არ აიხსნება, არამედ ზნეობრივი სიფაქიზით, გულწრფელობითა და პატიოსნებით...

გიორგი მთაწმინდელსაც სწამდა, რომ ქართველთა დამახასიათებელ თვისებას რწმენის სისწორე და მიუდრეკელობა შეადგენდა...

ნიკოლოზ კათალიკოზის დახასიათებითაც ქართველები არიან „ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი, რომლითაცა უკუ გამოისახვის და საცნაურ იქმნების სიქველე ჭაბუკისაი“... ე. ი. აზროვნების კეთილშობილობა, გულწრფელობა და მამაცური პირდაპირობა ახასიათებდაო.“

14.4. ივანე ჯავახიშვილი ნაციონალურობისა და ინტერნაციონალურობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი აპირებდა დაეწერა ისტორიული მასალის საფუძველზე დაფუძნებული განმაზოგადებელი თეორიული ნაშრომი, რასაც „ისტორიის ფილოსოფიას“ უწოდებდა. ასეთი ნაშრომის დაწერა მან ვერ მოასწრო, მაგრამ არსებობს მისი მოკლე ჩანაწერები სხვადასხვა თეორიულ საკითხთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერში ივანე ჯავახიშვილი ეხება ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის ურთიერთმიმართებას. ამ ჩანაწერის ზუსტი დათარიღება ძნელია, თუმცა ამჯერად ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ივანე ჯავახიშვილი ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის თანაფარდობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს. მისი თქმით, ინტერნაციონალიზმი არ არის მხოლოდ ახალი დროის მოვლენა და ის წარსულშიც ბევრჯერ გამოვლენილა, როდესაც

ხდებოდა რომელიმე სარწმუნოების ან მოძღვრების სტიქიური ან იძულებითი გავრცელება სხვა ქვეყნებში.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ის, რასაც ინტერნაციონალიზმს ვუწოდებთ, სინამდვილეში არის „პოლიტიკურად თუ კულტურულად გაბატონებული ეროვნების ნაციონალურობით პატარა და უფრო სუსტ ეროვნებათა და ტომთა ეროვნულობის შეგნებულად თუ შეუგნებლივ-სტიქიურად, ფარულად თუ ცხადად დაჩრდილვა და წალეკვა“. დროთა განმავლობაში ეროვნულობა კვლავ იმარჯვებს – „იქ, სადაც საღი ეროვნული სხეულია, ინტერნაციონალურობა თანდათანობით უეჭველად ქრება და ეროვნული სტიქიონი კვლავ განვითარდება ხოლმე“.

ქვემოთ მოგვყავს სრულად ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ჩანაწერი:

„ნაციონალურობა და ინტერნაციონალურობა ანუ ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, განსაკუთრებით ინტერნაციონალობა ახალი ისტორიისა და მხოლოდ ევროპული კულტურის ნაყოფი არ არის, არამედ ყველა ხანაში და ყველგან არის მოსალოდნელი და იყო კიდეც. ინტერნაციონალურობა თან სდევს ხოლმე დიდი სარწმუნოებრივი ან სოციალური მოძღვრების უცხო ნიადაგზე სტიქიურსა და იძულებითს გავრცელებას ან გადანერგვას, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში (ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, ბუდიანობა, მაზდეანიზმი და სხვა, სოციალიზმი, კომუნიზმი).

ინტერნაციონალურობა ეხება ხოლმე როგორც ერის, ისე პიროვნულის განურჩევლობა-თანასწორობას.

ნამდვილი ინტერნაციონალურობა ანუ მსოფლეროვნულობა არც ყოფილა და არც არის, არამედ დიდი და პოლიტიკურად თუ კულტურულად გაბატონებული ეროვნების ნაციონალურობით პატარა და უფრო სუსტ ეროვნებათა და ტომთა ეროვნულობის შეგნებულად თუ შეუგნებლივ-სტიქიურად, ფარულად თუ ცხადად დაჩრდილვა და წალეკვა{ა}.

რაც უფრო დაბალ საფეხურზე დგას ან სუსტია ეროვნება, უფრო ხანგრძლივია ხოლმე მსოფლეროვნულობის ბატონობის ხანა. მაგალითად, დასავლეთის საქრისტიანო ეკლესიაში ყველაზე ადრე რომაელებმა დააღწიეს თავი ბერძნულს წირვას და ლათინურად შემოიღეს წირვა-ლოცვა, ხოლო რაკი გერმანელი გალები,

ბრიტები და სხვები უფრო უწიგნონი და უმწერლობო ერები იყვნენ, ხანგრძლივ იყვნენ ლათინური ინტერნაციონალურობით დამონავებული. აღმოსავლეთში, სადაც კულტურა მაშინდელ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ერთა კულტურაზე გაცილებით მაღლა იდგა, ბერძნული ქრისტიანობის ინტერნაციონალურობაც უფრო ადრე გაქრა და ეკლესიების გაეროვნულებაც სწრაფად დაიწყო და განვითარდა. აქ ამის გარდა ხელშემწყობ გარემოებად ის იყო, რომ ბერძნული პოლიტიკურად გაბატონებული ერის, რომაელების ენა არ იყო, არამედ პოლიტიკურად დამდნარი და იმ დროს მხოლოდ კულტურულად ძლიერ ბერძენთა დედა ენა იყო.

იქ, სადაც საღი ეროვნული სხეულია, ინტერნაციონალურობა თანდათანობით უეჭველად ქრება და ეროვნული სტიქიონი კვლავ განვითარდება ხოლმე".[1]

14.5. ივანე ჯავახიშვილი კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი ფრაგმენტულ შენიშვნებში „ისტორიის მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის შესახებ" აღნიშნავდა:

„რით აიხსნება, კლასთა შორის ინტერესთა სასტიკი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, რევოლუცია მუდმივ კი არა, იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს? რადგან კლასობრივ დარაზმულობასთან ერთად სხვაგვარი შეკავშირებაც არსებობს და ერთი და იგივე პირი, როგორც მუშა, მაგ., კლასობრივად, ზოგიერთ საკითხში შეიძლება პროლეტართან იყოს დაკავშირებული, სხვაფრივ კი, ვითარცა წვრილი მესაკუთრე, ან, ამავე დროს, ვაჭრობის მიმდევარი, მესაკუთრეებთან იყოს დაკავშირებული. ადამიანთა შორის სრული და მკაცრი ინტერესთა წინააღმდეგობა აბსტრაქტული მსჯელობის ნაყოფია უფრო, ვიდრე ცხოვრების უტყუარი სინამდვილე...

გადამწყვეტი ბრძოლა და რევოლუცია იმ იშვიათ შემთხვევებში ხდება, როდესაც ინტერესთა გაერთიანება მკაფიოდ ჩამოყალიბდება და ორ შეუთანხმებელ ბანაკად დარაზმულობა მოხდება ხოლმე".[1]

---

[1] ციტ.: დავით სართანია, ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის, თბ., „საქართველოს მაცნე", 2017, გვ. 364-365.

დანართი

ივანე ჯავახიშვილი. ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები

ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით უფრო ნაკლებ საშუალებას აძლევდა, თავისი პიროვნების ყველა თავისებურება გამოეჩინა, ვიდრე ეხლა. მაგრამ როგორც ეხლა, თანამედროვე ცხოვრების პირობების გარდა, ყოველ ადამიანსა და წრეს თავისი იდეალები აქვს, რომელთა მიღწევაზეც ის ოცნებობს, ისევე ძველადაც იყო. ამიტომ უნდა მაშინდელი ცხოვრების ზოგადი თვისებებიც ვიცოდეთ და სოციალ-ეთიკური იდეალებიც.

ძველ დროს ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდვილი და შებორკილი: ჯერ საგვარეულო წესწყობილება და ზნე-ჩვეულებანი, შემდეგ წოდებრიობა, პატრონყმობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონ-წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდავდნენ და მის მოქმედებას საზღვრებს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიაც.

...

უნდა აღინიშნოს, რომ წოდებრივ დანაწილებასთან ერთად არსებობდა ორი დიდმნიშვნელოვანი და ძლიერი გარემოება, რომელიც წოდებრიობის გამოისობით შექმნილ განცალკევებას ასე თუ ისე ასუსტებდა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის კვალს წოდებრიობასაც კი ამჩნევდა ხოლმე. ამის წყალობით იყო, რომ წოდებრიობა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დახშულსა და უცვლელ ოდენობას არ წარმოადგენდა და როგორც ამაღლება, „აღზევება“, ისევე დამდაბლება და „ჩამომცრობა“ შეიძლებოდა...

ზემოაღნიშნულ გარემოებათაგან ერთი პირადი თვისებისა იყო და ადამიანის პირად შრომასა და სამსახურთან იყო დაკავშირებული. სამსახური წოდებრიობას ღირსებას უმატებდა და ამაღლებდა ადამიანს, „საპატიო“ და „საჩინო“ პიროვნებად ხდიდა.

---

[1] ციტ: მამია დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება 1898-1912, თბ., „მეცნიერება“, გვ. 26.

მეორე გარემოებას ქონებრივი, ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ვინც ქონებრივად და სამსახურითაც თავისთავს განსაზღვრულ დონეზე ვერ შეინარჩუნებდა, იმას ვეღარც მისი წოდებრივი შთამომავლობა უშველიდა, მისი ღირსებაც საზოგადოებრივ სარბიელზე უეჭველად ამისდა შესაფერისად უნდა ჩამომცრობილიყო. ბექას სამართლის წიგნში ნათქვამია: თუ რომელსამე აზნაურს „ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს“, მეტადრე როდესაც ეს ჩამომცრობის პროცესი დროებითი და ხანმოკლე კი არ იყო, არამედ უკვე „მესამე ნათესავი (ე.ი. თაობა) იყოს რომე დამცრობა დაეწყოს“, მაშინ მისი წოდებრივი ღირებულება კარგ და საპატიო გლეხს არაფრით აღემატებოდა... შემდეგშიც ცხოვრების ამ ძლიერ გარემოებას, ეკონომიურ ფაქტორს, თავისი მოქმედება არ შეუსუსტებია. იგი ულმობელად ამსხვრევდა წოდებრივი კარდახშულობის ზღუდეებს და წოდებათა შემადგენლობის ერთგვარ ცვალებადობასა და განახლებას ხელს უწყობდა...

წოდებრიობის განკერძოებას ცოტა არ იყოს აგრეთვე საქართველოში არსებული მოყმეობის, ანუ რაინდობისა და ძმადნაფიცობის წესები ასუსტებდნენ, რაკი ამისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ადამიანის პირად კაცურ თვისებებს, მამაცურ სიქველეს, განუსაზღვრელ სიყვარულსა და უმწიკვლო ერთგულებასა ჰქონდა...

ძველ საქართველოში მცხოვრებნი ორ მთავარ ბანაკად იყოფოდნენ: ერთს და უმთავრეს ბანაკს „ერისკაცნი“ შეადგენდნენ, მეორეს, შედარებით უფრო მცირერიცხოვან ჯგუფს, „მოწესენი“ ეკუთვნოდენ. ეს ორი ცნება ერთი მეორის მოპირდაპირეა და რუისურბნისის 1103 წ. კრების ძეგლისწერაში ნათქვამია: „ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა... მოწესეთა და ერისკაცთა“-ო... მოწესე სამღვდელო პირსა და მონაზონს ეწოდებოდა იმიტომ, რომ ისინი საეკლესიო და სამონასტრო წესებს ემორჩილებოდენ, რომელნიც მთელი მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი იყვნენ.

ხოლო „ერისკაცი“ ქვეყნიური ყოფაცხოვრების მიმდევარი იყო, ვითარცა „წყობათა შინა აღზრდილი“ და „სალაშქროთა საქმეთა“ მოტრფიალე, სიმდიდრისა და კეთილდღეობის მონატრული, ის მთელი თავისი არსებით „მაცდურ“ ქვეყანასთან იყო დაკავშირებული...

ერისკაცი ჩვეულებრივ ოჯახის პატრონი უნდა ყოფილიყო, მას „სახლეუნი“ ჰყავდა და ცოლშვილნი, „დედაწულნი“... იმაზე მეტი უბედურების წარმოდგენა შეუძლებელი იყო, თუ მას შვილი არ ეყოლებოდა და მას შთამომავლობა არ დარჩებოდა. ჯერ ერთი, რომ ამის გამო მისი ხსენება მოისპობოდა და მისი სულის ცხონების შემავედრებელი არვინ იქნებოდა...

ერისკაცის მისწრაფებას, რასაკვირველია, თავისი სახლობის ქონებრივად უზრუნველყოფა, სარჩო-საბადებელის შეძლებისამებრ უხვად მოგება და გამდიდრება შეადგენდა, რომ მას „ხორციელ სიმდიდრე უხუებით“ ჰქონოდა. ამქვეყნიური თვალსაზრისით, ვინც დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას შეიძენდა და ქონებრივ კეთილდღეობას მოიპოვებდა, იმას შეეძლო პატივისცემაც დაემსახურებინა ხალხში, მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა და მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. თუ ზნეობრივი სიფაქიზე და ღვთისნიერი ცხოვრება არ სდევდა თან ეკონომიურს კეთილდღეობაზე ზრუნვასა და გამდიდრებას, მაშინ მას მაშინდელი შეხედულებით მომხიბლავი მიმზიდველობა აკლდა.

ამიტომაც იმდროინდელი თვალსაზრისით ურიგო არ იყო, როდესაც ერისკაცნი „ორთავე ცხორებითა შეზავებულად“ შემკულნი იყვნენ ისე, რომ „სიმდიდრესა თანა საღმრთოისა მოქალაქობისასა ხორციელიცა სიმდიდრე უხუებით აქუნდა“... როდესაც ადამიანი „საღმრთო-საკაცობათა შინა სრული“ იყო... თანაც სჯობდა, თუ მარტო თავისი და თავისიანების კეთილდღეობასა და გამდიდრებაზე კი არ იოცნებებდა და იზრუნავდა, არამედ ღარიბ-ღატაკთა და უძლურ-სნეულთა დახმარებისათვისაც გაირჯებოდა. „ღირს“ და „პატიოსნებით“ მოსილ ადამიანად ისეთი ერისკაცი ითვლებოდა, რომელიც თითონაც თავისი მარჯვენით ირჩენდა თავსა და შრომით მონაპოვრით „გლახაკთაც“ ეხმარებოდა...

საზოგადოდ პირადი შრომით მოპოვებული სარჩო მაშინ, სიმდიდრის ყოველგვარ სხვა წყაროსთან შედარებით, უფრო ზნეობრივი მიმზიდველობით იყო მოსილი. ეს შეხედულება ისე გავრცელებული ყოფილა და შეურყეველ რწმენად ქცეულა, რომ ქველმოქმედების დროს ყოველი ჩვეულებრივი „ცოდვილი“ ერისკაციც ცდილობდა, რომ საქველმოქმედოდ განკუთვნილი „სახმარი“ პირადი შრომითა და ალალ-მართალი გზით ყოფილიყო მოპოვებული.

ეს რწმენა მაშინ იმდენად ყველას ძვალ-რბილში ჰქონდათ გამ-ჯდარი, რომ თვით მეფეებიც-კი, როგორც, მაგ., დავით აღმაშენე-ბელი და თამარ მეფე, რომელთაც არც დრო და არც გარემოება პირადი, ფიზიკური შრომის წარმოებას ხელს არ უწყობდა, მაინც იმის ცდაში იყვნენ, რომ მათი ქველმოქმედების წყაროც „მამუ-ლით“, ან „ხელოსანთაგან მორთმეული“, ან სახელმწიფო საჭურ-ჭლითგან-კი არ ყოფილიყო წარმომდინარე, არამედ საკუთარის მარჯვენით შენაძენი, „ხელთა თვისთა ნადირებულთაგან“ და „ხელთასაქმარის“ გაყიდვით ყოფილიყო მოპოვებული...

ეს შეხედულება ადამიანის პირად შრომას ამაღლებდა და ას-პეტაკებდა და ზნეობრივ მიმზიდველობას ანიჭებდა.

თვით აღებმიცემობასაც კი, თუ იგი მართალსა და პატიოსან გზას მისდევდა, არავინ სათაკილოდ არ თვლიდა. თამარ მეფის ის-ტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ თვით საქართველოს დიდებუ-ლი მეფე თამარიც თავის ხელსაქმეს ჰყიდდა და ამნაირად შეძე-ნილ ფულს ღარიბ-ღატაკთა დახმარებას ანდომებდა... ისეთ ხელი-სუფალს, დიდებულ აზნაურსა და შეძლებულ მემამულესაც კი, როგორიც ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი კახა იყო, აღებმიცემობა თავისთვის სათაკილოდ არ მიაჩნდა...

საღვთისნიერო საქმისათვის მოსახმარებლად თვით „ხრმლი-თა ნაშოებისაგან“ მოპოვებული ფულიც კი, როდესაც ეს „ხრმალი“ „უსჯულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ხმარებული, სჯობდა მამულისა და „სოფელთაგან ანაღებ-ს ფულს...“

რაც უნდა იყოს, მაშინდელ ადამიანს კარგად ესმოდა, რომ „საღმრთოისა მოქალაქეობისა სიმდიდრისა“ და „ხორციელ სიმდიდ-რის“ შეერთება და თანასწორად მოპოვება შეუძლებელი იყო და ან ერთი ან მეორეგვარი „მოქალაქეობა“ დაზიანებული იყო ხოლმე. ას-ეთი „საღმრთო-საკაცობო“ თვისებებისა და მოღვაწეობის შეერთე-ბა, რასაკვირველია, მაინც მთლიანსა და უნაკლო სისრულეს ვერ შეადგენდა და იგი მხოლოდ „ცოდვილი“ ქვეყნის მკვიდრთათვის შე-იძლებოდა, რომ სისრულედ ყოფილიყო მიჩნეული.

ადამიანის პიროვნების იდეალური სისრულე მაშინდელი შეხე-დულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ რომ ის ადგილები, სადაც სისრულის მონატრული კაცები დაბინავდებიან, „სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურისაგან“... „უც-

ხოება“ და „მაცდური“ ქვეყნისაგან განშორება ერთის მხრით და სრული „უპოვარება“ და „სიგლახაკე“ მეორეს მხრით აუცილებელი პირობა იყო იმ ადამიანისათვის, რომელიც პირად სისრულესა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სისპეტაკის მიღწევაზე ოცნებობდა. მას უნდა თავისი მახლობელნიც მიეტოვებინა, ადამიანთა საზოგადოებაც და მხოლოდ „უცხოება“ აღერჩია. ამასთანავე მთელი თავისი საკუთრებისათვის დაენებებინა თავი, რათგან ყოველი სიბოროტისა და ანგარების მიზეზად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული.

მაშასადამე, ვისაც იდეალური სისრულის მიღწევა უნდოდა, მას უნდა აღძვროდა გულწრფელი და ღრმა „სურვილი უცხოებისა და სიგლახაკისა და თვისთა და მეგობართა განშორებისა“... მას უნდა დაეტოვებინა... მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, სარჩო-საბადებელი და უდაბნოში, ან მონასტერში შესულიყო.

ხოლო სამონასტრო წესდების ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ბერებს კერძო საკუთრება არ უნდა ჰქონოდათ... ყველაფერი საერთო და საძმო უნდა ყოფილიყო. თვით ტანისამოსის დაჭერაც კი ერთიერთმანეთისათვის და დაჩემება არ შეეძლოთ...

მაგრამ მაშინდელი შეხედულებით კერძო საკუთრებისა და „მაცდური“ ქვეყნის გარდა ადამიანს „ცოდვათა სიმრავლე“, საერთოდ ცოდვიანობა, ადამიანის გულისთქმასა და ნებისყოფაზეც იყო დამოკიდებული. მისი მცდარი მოქმედება ცოდვად ჩაეთვლებოდა, როდესაც იგი შეგნებული მოფიქრების შედეგს წარმოადგენდა...

ხოლო ყოველი ქრისტიანის იდეალს მაშინ სწორედ ეს „ცხონებაი სულისაი“, ანუ სულის ცხონება შეადგენდა. ამიტომ მისი საზრუნავი იყო თავისი თავი საუკუნო სასჯელისა და ჯოჯოხეთისაგან უზრუნველეყო. მართალია, ამისთვის ერთგვარ საშუალებად ჩადენილ ცოდვათა მონანიება იყო მიჩნეული, მაგრამ, რასაკვირველია, გაცილებით სჯობდა, ადამიანს არ შეეცოდა და ამით თავისი თავი ცოდვების მონანიებისაგანაც გაეთავისუფლებინა...

მაშინ ყოველი ჩვეულებრივი ადამიანი თავის თავს ცოდვილად სთვლიდა. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, ერის კაცთაგანს არავის თავისი თავი უცოდველად არ მიაჩნდა. ამიტომ მაშინდელი რწმენით ცოდვისშვილს, ადამიანს, მხოლოდ განსაკუთრებული ხელმძღვანელობით შეეძლო ცოდვათა ჩადენის საშიშროებისაგან თა-

ვი დაეღწია, მარტო მოძღვრის სწავლა-დარიგება და მუდმივი თვალყურის დევნება დააყენებდა მას სწორე და უცოდველ გზაზე.

ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით ბერ-მონაზონიც კი მონასტერშიაც ცდილობდა, თავის ხელმძღვანელად რომელიმე ცნობილი მოღვაწე გაეხადა...

ცოდვათა მონანიების გრძნობა და ახალი ცოდვების ჩადენის შიში ზოგს ისეთ უკიდურესობამდე მიიყვანდა ხოლმე, რომ ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედების ხალისს უკარგავდა და მოძღვრის ბრძანების შემაყურებლად-ღა ხდებოდა..

ლიტერატურის სია

ამირეჯიბი შალვა, თავადი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) – შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბ., „დიოგენე“, 1998

აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბ., 1943

ასათიანი ნოდარ, საქართველოს ისტორიის კათედრა უნივერსიტეტის ორმოცდამეხუთე წლისთავზე (1918-1963), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107, 1964

ბოლქვაძე მ., ახლო წარსულიდან, „განათლება“, 1908 №3-4

გამყრელიძე გ., თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის), თსუ, 1948

გვრიტიშვილი დავით, ივანე ჯავახიშვილი, თბ., ნაკადული, 1968

გვრიტიშვილი დავით, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., „ნაკადული“, 1960

გოგებაშვილი იაკობ, ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., „განათლება“, 1990

გუგუშვილი პაატა, დაუვიწყარი მასწავლებელი, მოგონება, „მნათობი“, 1974, №1

გურული ვახტანგ, დრო, მოვლენა, ადამიანები (როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს, თბ., „უნივერსალი“, 2011

დუმბაძე მამია, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება 1898-1912, თბ., „მეცნიერება“

ენდელაძე თენგიზ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, I, 2009

ივანე ჯავახიშვილი, ალმანახი, თბ., 2000

ივანე ჯავახიშვილი, კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., „განათლება“, 1977

ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბ., 1996

ინგოროყვა პავლე, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1961, №11

კაშმაძე შალვა, ივანე ჯავახიშვილი, „დროშა“, 1952, №4

კოდუა ედუარდ, ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, თბ., თსუ გამომცემლობა, 1997

ლასხიშვილი გ., მემუარები (1885-1915), ტფილისი, 1934

ლომაშვილი ფარნაოზ, წინ – ჯავახიშვილისაკენ, თბ., „ბარტონი“, 2016

მახარაძე ფილიპე, ივანე ჯაბადარის ხსოვნას – ფ. მახარაძე, თხზულებები, ტ. 3, თბ., 1926

მაყაშვილი კოტე, ვანო ჯავახიშვილი – კოტე მაყაშვილი, ერთტომეული, თბ., „მერანი“, 1997

მეტრეველი როინ, კვალი განათლებული, თბ., „ხელოვნება“, 1975

მეტრეველი როინ, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2012

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა,თბ., „ნეკერი“, 1996

პარკაძე ვ., მოგონებები ქართველ მეცნიერებზე, თბ., „მეცნიერება“, 1994

რაჭველიშვილი ქრისტეფორე. ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, სახელგამი, 1937

სართანია დავით, ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის, თბ., „საქართველოს მაცნე“, 2017

სართანია დავით, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის, თბ., 2010

სართანია დავით, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები, თბ., 2009

ფუტკარაძე ტარიელ, ვაშაკიძე ია, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის პოზიციათა შეპირისპირებითი ანალიზი, თბ., 2011

ციციშვილი გიორგი, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი 1937-1938, თბ., თსუ გამომცემლობა, 2016

წერეთელი მიხაკო, ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014

ყაუხჩიშვილი სიმონ, ივანე ჯავახიშვილი, თბ., „განათლება“, 1976

ყორანაშვილი გურამ, ივანე ჯავახიშვილი, თბ., თსუ, 1999

ჯანაშია სიმონ, ივანე ჯავახიშვილი – შრომები, ტ. 5 თბ., „მეცნიერება“, 1987

ჯანელიძე ოთარ, ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ, თბ., 2018

ჯორბენაძე სერგო, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., თსუ, 1984

რედაქტორი	**რუსუდან მიქენაია**
დამკაბადონებელი	**ხათუთა ბადრიძე**
გარეკანის დიზაინერი	**ნინო ებრალიძე**
გამოცემის მენეჯერი	**მარიკა ერქომაიშვილი**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house